


**UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312  
ა-376**

**ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო  
მეცნიერებათა აკადემია**

**ნ თ ი ნ ა თ ი  
2022 / 4 / (46)**

თბილისი  
2022



\*\*\*

გული შენი რწმენით ცოცხლობს,  
დარდიანი ველარ მღერი,  
გთხოვ, უფალო, მომაცოცხლო,  
ვცდილობ შევიყვარო მტერი!

*გულნაზ ხარაიშვილი*





დაბა წყნეთის, წმინდა გიორგის სახელობის მერვე საუკუნის მონასტერი.  
„ნათლისღება“  
ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები



დაბა წყნეთის, წმინდა გიორგის სახელობის მერვე საუკუნის მონასტერი.

„შობა“

ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები



წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი.  
ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები




### მამა გაბრიელი

შენი მადლით გული მოვირჩინე,  
შემოფრინდა ჩემში გაბათხული,  
გამამდიდრე, ლექსში დამარჩინე,  
ნიჭი გქონდა ჩემთვის შენახული.

*გულნაზ ხარაიშვილი*






უწმინდესი და უნეტარესი,  
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II  
უნდა იცოცხლო უწმინდესო

ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,  
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,  
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,  
საქართველო რომ გამოიმიცოცხლოს!

*გულნაზ ხარაიშვილი*





მეუფე თადეოზი  
(მირიან იორამაშვილი)

\*\*\*

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,  
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,  
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,  
სიყვარულით ყვავილების თოვას.

*გულნაზ ხარაიშვილი*







### შევემენ ჟურნალი

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,  
 მევი დარდებში შემომალამდა,  
 მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,  
 ლექსში კი გული ბევრჯერ აბდავლდა.  
 მარტოდ არა ვარ, ღმერთია ჩემთან,  
 მწრთვნის ისე როგორც ფოლადის ტყვია,  
 მე მის გარეშე სიტყვა არ მითქვას,  
 ვწერ და წყნარ ნიავს უფალთან მიაქს.  
 შევემენ ჟურნალი არც თუ ურიგო,  
 წმინდა გიორგის, ნინოს ხატებით,  
 ვცდილობ სიკეთის ნერგი დაგირგოთ,  
 თუმც დარდიანი თქვენთვის დავტკბები.  
 ლედვის რძესავით მდის სისხლი ხშირად,  
 და იობივით ვითმენ განსაცდელს,  
 მასაც დავლოცავ ვინაც მე მწირავს,  
 ბოროტებისთვის წლებს არ გავაცდენ.

გულნაზ ხარაიშვილი  
 ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი  
 ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო  
 მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

# ჯგუფი ზღვარი



სერგი ლომაძე

\*\*\*

...და სად მივდივართ ბოლოს, სულ ბოლოს,  
აი, როდესაც ყველაფერს ვიგებთ...  
შევცვალოთ თემა... დამნიფდა ჟოლო,  
და ჩანს, სისხლისფრად, მდინარის იქეთ...

გაოგნებული მიყურებ ახლა,  
ხო, მაგ საოცარ თვალებით მიმზერ,  
და მიმითითებ, რომ სისხლი ახლავს  
ამ ჩემს სამოსელს, ზედ გულისპირზე...

იქნებ ვერასდროს ვერაფერს ვიგებთ?  
მაშინ რად ვხედავთ სისხლიან ხელებს,  
და ეკლის გვირგვინს მაშ რატომ ვირგებთ,  
რატომ ვბრუნდებით სამი დღის მერე?!

ირეალობა არის ნამდვილი,  
და რეალობაც ნამდვილი არის,  
და სიყვარულის დიდი მადლივით  
დაგვყურებს ციდან სითეთრე მთვარის.

ხოდა ეგება მართლა დავბრუნდი,  
სახლში დავბრუნდი, მაგ გულის კარი  
ეგებ გამიღო, არ გაამრუდო  
ის გზა, რომელიც არაა მკვდარი!

აი, რითმებიც ისევე გაცვდა,  
როგორაც ჯვარცმის ხსენება ასგზის,  
მაგრამ ყველანი იმ ჯვარცმულ კაცთან  
მივალთ, ჩვენ-ჩვენი გრაალის თასით.

მაინც სად მივალთ ბოლოს, სულ ბოლოს,  
როცა უფალი მის სათქმელს გვეტყვის...  
შევცვალოთ თემა... დამნიფდა ჟოლო,  
და ჩანს, სისხლისფრად, კლდეების ფერხით...

**უშანძილოზა**

## მთავი – სამყარო

იმპერატორის სამოსელი  
ხან — თეთრია, ხან — ლურჯია,  
ხანაც — სხვა ფერის...  
ყოველი ფერი მისი არის...  
იმპერატორი ხეტილობს მთებში  
და ფიქრობს.  
ყოველი ფიქრი, პოეტური,  
მისი არის...  
დახეტილობს მათათა სივრცეში.  
ეს ის მთებია,  
არაერთხელ რომ ქცეულან  
ვარსკვლავთხომლებად...

## ფიქრები

წიგნი,  
ლომი, დრაკონი,  
ჯვარი,  
ხმალი (ვთქვათ — ჯვარის მსგავსი),  
ზეცა და მთები,  
სხვა სიმბოლონიც..  
ეს გაფიქრებს და  
სხვაც — ყველაფერი.  
ყოველივე გაფიქრებს ახლა...  
ჯვარი და წიგნი;  
წიგნი და ჯვარი;  
და ნათებანი,  
სივრცეს გამკრთალნი, შუალამისას,  
უცნაური ფრინველებივით...  
განთიადდება.  
საოცარია მზის ამოსვლის ცა.  
დავხეტილობ იმ სივრცეებში,  
სადაც  
უთვალავი ფიქრი ცხოვრობს...

**შემოდგომის ფოთლები ნიავის**

...მანძილი, რომელიც შენამდე ვერც აღწევს,  
მაინც ხომ დაიტევს უდაბნოს (და ფიფქებს)...  
მერე ჩემს ცხოვრებას ვილაცა გადანერს...  
მთავარი სხვა არის, — გული არ ჩამიქრეს.  
მე ახლაც ჩამესმის, კოსმოსის ხმაურში  
როგორ ილუპება მძივები ვარსკვლავთა,  
ვიცი, — გადავეშვი დიდ აურზაურში,  
საუკუნენი კი არქივებს ჩაბარდა...  
ალბათ დამივიწყებ. მე დამივიწყებენ.  
ჩემი უკვდავება დავინწყებაშია.  
ხომ ზოგი სიცოცხლე ტყვიათ წყებაშია...  
და მე მიხარია, რომ დამივიწყებენ.  
გავექრები, როგორაც ვარსკვლავნი ქრებიან,  
მერე ლეგენდები შენს გულზე დაწერენ,  
რომ უღიადესნი არ იკარგებიან,  
რადგან უსიტყვოდაც სტოვებენ ნაწერებს.  
ამ სიტყვებს მიღმა თუ ვერ ხედავ სხვა სიტყვებს,  
ვით უთქმელ თავ-მაჰალს ან მთვარის სონატას,  
მაშინ, შეიძლება, ეს ხალხი გაგიგებს,  
მაგრამ ის სამყარო შენ აღარ მოგმართავს,  
სადაც ზღვის ტალღები ევერესტს ასკდება,  
სადაც სიყვარული ღმერთობად ფასდება...  
მე კი სხვა რა გითხრა... მე ვუმზერ იმ ველებს,  
სად სეტყვამ ნაშალა ტალღები ყანათა,  
მე ვუმზერ მონასტრებს, რომელთაც აბერებს  
ის, რომ ადამის შვილთ სიბნელე წარმართავს.  
მე ვუმზერ დაცემას საკუთარ ბედისაც,  
(ზეცის ფერფლს შეერთვის გემები ღრუბელთა),  
მაგრამ ვგრძნობ, — მეფე ვარ, ახლაც რომ მეღირსა  
ეს გრძნობა, ამიტომ ბედს შებმას ვუბედავ.  
არა ღირს განსჯანი მოგება-წაგების...  
გზა — ჩემი ჯვარია, ცამ ასე ინება...  
ემაგ შენს მზერიდან ტაძართა თაღები  
თუკი ინებებენ ცრემლების დინებას,  
მაშინ არ ვინანებ, მაგრამ... ზღაპარია...  
ყოველ შემთხვევაში, — ცდი ჩემს დავინწყებას...  
თუმცა პოეზიას მაინც აბარია  
მთვარისფრად ელვარე სულის გასივრცება.  
იქ, ზეცის გუმბათში, განცდა მზისებრია,  
და ანგელოზები გასწევენ ამქრობას...  
გული ჯვარცმულია, სული ბისეია...  
მე მაინც შევძელი მანძილთა გაქრობა...

## მღინარეუბა (ზღვარის ქუჩის მაცხოვრებელი)

აი, ეს ქუჩა ზღვარის ქუჩაა,  
(ანუ — ქუჩაა უსაზღვროების),  
აქ ცხოვრობს კაცი, რომლის დღეები  
მარადისობის დღეებს მოებმის.

აი, ეს ქუჩა, ზღვარის ქუჩაა,  
(ანუ — ქუჩაა შეუცნობელი),  
საწყის-სასრული მას არ უჩანს და,  
მშვიდი ცხოვრების უარმყოფელი

კაცი ცხოვრობს აქ, მოგონებანი  
რომ დააგროვა, ვით საგანძური.  
მან, თავიდანვე, მის შმაგ ცხოვრებას,  
თავისივ გულით მისცა დასტური.

ომების გზები გამოირია,  
გზებზე იხილა სხვა უკვდავებიც...  
ცასთან ჩანს მთები, და ცის იარას  
ავსებს ფოთოლთა მნათი ნავები...



რომელიღაც დრო

(ამ უცნაური ლექსის ძირითადი ავტორი ვარ მე — სერგი ლომაძე, თუმცა, საერთოდ, ეს ქმნილება ინერებოდა ნელა, სხვადასხვა დროში, და მისი ავტორები ვართ, ვთქვათ, ათი კაცი, მეტიც... მოკლედ, ლექსი „რომელიღაც დრო“, უფრო, ჯგუფ ზღვარის ნევრების ერთობლივი ქმნილება არის)...

უსასრულო სივრცეები და  
უსასრულო ანტისივრცეები.  
სამყარო, რომელიც შეიცავს სამყაროებს.  
ზეცანი ვარსკვლავებით, პლანეტებით...  
ცა (ზეცა) რომ ცარიელი ჰგონია ზოგს;  
ცა რომ სავსეა სიცოცხლით,  
ესე იგი — სიკვდილითაც;  
სადაც სიცოცხლეა, იქვეა სიკვდილი,  
და პირიქით, –  
სადაც სიკვდილია, იქვეა სიცოცხლე...  
რა ახმაურებს უსასრულობას? –  
გული ღმერთისა, მარადმოგუგუნე.  
და ძგერს გული,  
ღმერთის გული, მარადიული.  
ვინ არის ღმერთი?  
რაა სამყარო?  
რატომ გვაღელვებს ეს კითხვები  
და სხვა კითხვებიც?..  
ფიქრია... ფიქრი...  
და შემოდგომის ფოთლებია.  
სიკვდილია ფოთლებისა.

უკვდავებაა ფოთლებისა.  
იმედია დაბრუნებისა.  
გაზაფხულდება აქაც, იქაც... ყველა სივრცეში.  
მზე აენთება უთვალავი.  
ვარსკვლავები, პლანეტები, მეტეორები  
დანერენ ფრაზებს.  
დაინერება პოემა სივრცეების,  
დაინერება პოემა მანათობელი,  
მარადიული გულის ძგერის ფონზე...  
ხოლო სული, სული კაცისა,  
სამყაროშიც ვერდატეული,  
თვალეებში რომ ჩასჩერებია მარადისობას,  
აი ეს სული, მემამბოხე,  
ახლა ლოცვასავით მუსიკით ივსება,  
საოცრად პოეტურ მუსიკით...  
სულმა თუ იცის, ნეტა, რა სურს,  
რაა სურვილი უმაღლესი,  
რაა მიზანი!..  
ნეტა რა სურს სულს!..  
დრო არ არსებობს,  
თანაც — დრო გადის...



კახა ზაცივაძე

\*\*\*

დღეს პოეზიის ღამე იქნება,  
მოვლენ, შორიდან, სევდის ლანდები,  
მე რა ვქნა, — ბედმა ასე ინება  
და უსათუოდ შემეყვარდები.

ეს სული ბავშვურ ზღვის ლურჯ სიშორეს  
მიეძალება, როგორც თოლია,  
და მოედება თვალების ბალებს  
შემოდგომათა მელანქოლია...

\*\*\*

ოდესლაც  
ყველა გაცოცხლდება, —  
ყველა აღსდგება.  
ყველაფერი ახლა იწყება.  
სამყარო არასდროს ყოფილა  
ასეთი საინტერესო.  
ვარსკვლავები —  
ზეცის ჯამში ჩანყობილი  
ფორთოხლები,  
ასხივებენ საოცარ იდუმალებას...  
ვაშა ფშაველამ რომ  
გულზე ბალახი დაიფინა,  
ის ბალახი  
არასოდეს დამჭკნარა,  
ის ხასხასებს დღესაც...  
შენი ფიქრები უფსკრულებია,  
და შენ ეშვები, იჩეხები  
მათ სიღრმეებში  
(ან, იქნება, ეს სიღრმენი  
სიმაღლენია)...

ირმის რქებს ახსოვთ  
თოვლის ბავშვობა...  
შენ ყველას ნახავ,  
ვინცკი ოდესმე დაბადებულა,  
ვისაც უცხოვრია...  
შენ ხვდები,  
რა განიცადა ტარიელმა,  
როცა ნესტანის ხილვისას  
დაეცა, — გონი დაკარგა.  
რაა სილამაზე, რომელიც  
გონებას არ გაკარგვინებს“...  
შენ ადიხარ მაღლა,  
ყველაზე მაღლა,  
და ბოლოს ქრები, —  
ველარ ხედავ საკუთარ თავს,  
უჩინარდები,  
და შენ ყველგან ხარ!..  
ყველაფერი ახლა იწყება.  
არასოდეს ყოფილა, სამყარო,  
ასეთი საინტერესო...



გიორგი ზუხბაია  
(ზუხბა)

### დავინწყება

მოგონებავ ლურჯო,  
ნუ დამტოვებ მარტოს.  
ეკლესიის გუმბათს  
ღრუბლის ჩრდილი ათოვს.

ალარ მახსოვს ახლა  
მე, ამ ჩრდილის ცქერით,  
როდის იყო ჩემი  
გული ბედნიერი...

მოგონებავ ლურჯო,  
ნუ დამტოვებ დღესაც.  
შორს, მტრედები თეთრი,  
უხდებოდნენ ზეცას.

ტაძრის სიზმარი

არის, ტაძარი, აღვსილი არსით,  
ის უკვდავების ვნებას გასცილდა,  
არ აუგია ტაძარი არვის, –  
არც ხელს ზეცისას, არც ხელს კაცისას...

ალი გადაკრთა, გადაიზავა  
სიშორეების წუხილის ფარდი.  
იგი, ერთხელაც, ამოიზარდა  
მთის მწვერვალიდან, როგორც ცის ვარდი.

ჰაერი ჰგავდა მუსიკის გზავნილს,  
ნიავეები კი — გადაღვრას ნოტთა,  
შეირხა მინა, დააჩნდა ბზარი,  
და აღმოხეთქა ქვის ნორჩმა ყლორტმა.

სითბო, სინათლის, გაჯერდა, სიტყვით,  
ანუ — სულელებით ყველა მზეების,  
და ნელა-ნელა გამოჩნდა კვირტი,  
ქვის წყნარი კვირტი, თვალუმზერელი.

ფერდობებს ასე ეფინა სიტყვა,  
ანუ — დაისთა, ანუ — აისთა...  
და ცოტა ხანში იფეთქა კვირტმაც,  
და ქვის ყვავილი სრულად გაიხსნა.

ტაძარს სივრცეთა ფრთები ეზავნენ,  
გაჩნდა ტაძარი, ანუ — ანათებს...  
მას შემდეგ იგი დგას მზის მზერაზე,  
და ხედავს სიზმარს, თუმცა არა თვლემს.

ზღვარელთა მინაწერი: კიდევ გვსურდა რამდენიმე ლექსის დამატება ჩვენს ამ ლიტერატურულ მასალაზე, მაგრამ მოვერიდეთ მასალის ძალიან განვრცობას. მიუხედავად ამისა, აქ მაინც წარმოგიდგინთ კიდევ ერთ პატარა ლექსს. მისი ავტორია დარია ხიდუშელი. იგი არაა ჯგუფ ზღვარის წევრი, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ლიტერატურაში, ოფიციალურად — პირველად, ჩვენ შემოგვეყვანა. ლექსი პატარაა, მაგრამ ლამაზი:

ალარც გაზაფხულია,  
(ალარც ია-ენძელა...),  
ამ ნაზამთრალ ამინდებს  
განშორება ეძნელა.

ცვივა თეთრი ფანტელი,  
ილუზია როდია,  
ამედევნენ ფიქრები,  
შემიყვარეს მგონია.

არც ზღაპრული სივრცეა,  
ალარც ია-ენძელა,  
თუ ამქვეყნად, გაზაფხულს,  
მობრძანება ეძნელა...

ვუსურვოთ დარიას — ზღვარელთათვის ერთ-ერთ უახლოეს ადამიანს, რომ ბევრი საინტერესო რამ შექმნას და ვრცელი, საინტერესო ცხოვრებით ეცხოვროს... პოეზიის გზა — ესაა ყველაზე საინტერესო გზა...





# პოეზია



## ირაკლი ნადარეიშვილი



### თ ა მ

ქვაში ნაკვეთი, სიმბოლო ერის,  
ეს სილამაზე, არსად ნახული,  
დღესაც ფრთებსა შლის მისი არწივი,  
დღესაც მედგრად დგას დიდი ხახული.

წყარო გადმოჩქევს უდაბნოს თავზე,  
იქ, სადაც ზეცას კლდის ქიმი ერთვის,  
თუ ყურს დაუგდებთ, გაიგებთ - დღესაც  
გრიგოლ ხანძთელი ლოცულობს ჩვენთვის.

სტუმრად ვიყავი, ვაი, რომ სტუმრად  
კრძალვით ვენვით ჩვენს ძველ სანახებს,  
ენით ვერ აღვწერ, ჩემმა თვალებმა,  
თუ რა აღიქვს და, თუ რა ნახეს!

კაცის ხელს განა ამდენი ძალუძს?  
ამის შექმნაში წვლილია ღმერთის,  
მიუვალ მთებში თითქოს თავმდაბლად  
დგას ნაღვლიანად ტაძარი ტბეთის.

ვიხილე ციხე, ძვლებით ნაგები  
ალბათ, წინაპარს ასე უჯობდა,  
დაცემულიყო სამშობლოს რწმენით,  
როცა ეს ციხე არტანუჯობდა.

კვლავ მონუსხული შევცქერი წარსულს,  
ამ ლოდებს თლიდა მკლავი რვალისა,  
ალბათ, მტერსაც კი დაამუნჯებდა  
ეს სინატიფე დოლისყანისა.

ბრაზით და ბოღმით ამევსო გული,  
აზრმა გამკვინწლა, მამ რისთვის განა?  
იხოცებოდნენ მტერშემორტყმულნი,  
რომ ასე ობლად მდგარიყო ბანა?

გაოცებული ვებრძვი ჩემს გრძნობებს,  
თითქოს დავბრძენდი, თითქოს დავბერდი,  
შენ არაფერი გინახავს ქვეყნად,  
თუ არ გინახავს, ძმაო, შატბერდი.

რისთვის პოხავდნენ სისხლით ამ მიწას  
მკერდს აშველებდნენ დაღეწილ ფარ-ხმალს,  
რომ მათ მომავალს თავდახრილთ ევლოთ?  
და, რომ ქურდულად ელოცათ პარხალს?

ეს სულ სხვა არის, სახლი უფლისა?  
არა, სასახლეს უფრო ვარქმევდი,  
ოთხივე კუთხით ბრწყინვალეებს ოთხთა,  
უკეთეს სახელს ვერც დაარქმევდი.

კაცი ვერ შეძლებს, ქალის ნაშობი  
ხელს ვერ აღმართავს, ვერ გაიმეტებს,  
გულის მაგივრად ქვა უნდა გედოს,  
რამე რომ ავნო იშხანის სვეტებს.

ვით დედოფალი გვირგვინოსანი,  
ვით მარგალიტი იაგუნდებში,  
დგას პატარძალი, ნათლით მოსილი,  
ქართული მიწის ხოდაბუნდებში.

ფრთებჩამორღვეულ, გუმბათდაღეწილს  
ცრემლი რომ სცვივა დიდრონ ლოდებად,  
ოშკის აჩრდილი ჩუმად მთხოვს შველას,  
ვდგავარ უმწეოდ, მხოლოდ გოდებად.

თუმცა ფარულად სწირავს მოძღვარი,  
ინვის სანთელი, ნათლის მხმობელი,  
ქართულ ტაძარში ქართული სულის  
გაისმა ისევ საგალობელი.

სიმწრის ცრემლები, როგორც ღვარცოფი,  
ამ სალ კლდეებზეც გადავლებულა  
ეს იმ დედათა ცრემლები არის,  
თორთუმის ტბად რომ დაგუბებულა.

ქართულ მიწაზე ვიყავი სტუმრად,  
დავბრუნდი ჩემი მიწით სნეული,  
შორიდან ვეტრფი ჩემს ტაო-კლარჯეთს  
მასზე ვარამით გულამღვრეული.



**მადლობა, მეუფეო!**

მადლობა, მეუფეო, რამეთუ გიცნობდით,  
ფიქრსა და ლოცვებში ლექსებით მგალობელს,  
სიკვითით ანთებულს, სათნოს და უბრალოს ...  
ცოდვილთა იმედს და ბეჩავთა მწყალობელს.

მადლობა, მეუფეო, რამეთუ ვირწმუნე...  
არა არს სასირცხვო სტრიქონთა ხლართვაში...  
მაგ თქვენი ღიმილით სული, რომ გამითბეთ..  
და ერთი ცოდვილი მიმიღეთ ვალთაში.

მადლობა, მეუფეო, რამეთუ მიკურთხეთ  
ამ აზრთა ჭიდილი სამზევოს ეხილა,  
გული მომეცით და შემათამამეთ  
ჩამეწნა სიტყვები რითმებში გრეხილად...

ვარდობის თვე იყო, დამლოცეთ უღირსი,  
მიკურთხეთ პურ-ღვინო, მიკურთხეთ კერია,

ასეთი დიდი და იმავ დროს მდაბალი...  
ცოცხლებში ჯერ კიდევ განა თუ ბევრია.

მადლობა, მეუფეო, ძალა, რომ მომეცით  
მეთქვა ის ყოველი, რისი თქმაც მენადა...  
მებრძოლა იმისთვის, რაც მართლად მიმაჩნდა...  
და თუნდაც წამეგო, ღირდა, რომ მეცადა...

ასეთი დიდი და ასეთი მდაბალი...  
მსახური ქრისტესი და ლექსის მკონავი,  
თვალნაპერწკლიანი, პირღიმილიანი,  
მეუფე პოეტი, რითმებით მქროლავი.

მეც მერგო პატივი, რამეთუ გიცნობდით  
დამრჩებით ზმანებად – ენა ტკბილ ხმოსანი...  
ტაძარმა დაკარგა მეუფე – მსახური  
და ერსაც აღარ ჰყავს უბადლო მგოსანი.

27.01.2019 წ.

უფალმა გაანათლოს

**თუში ხანუში**

ქვიშის ბარხანებს მიუყვება უდაბნოს გემი,  
ბახთიარისკენ<sup>1</sup> აულია ქარავანს გემი,  
ავჩქარდეთ ალა! გვილამდებო - ბრძანა გამყოლმა  
არაბულ ტაიჭს დააძგერა ფერდებში დეზი.

ბოლო მზის სხივი გადაერთყა ქედებს მათრახად,  
ბოლო მზის სხივზე ქარავანმა დასცა ბანაკი,  
შაჰირაზადეს ათასერთიდან თითქოს გაცოცხლდა  
ვარსკვლავჭედილი ცის კიდებზე ღამის არაკი.

სიზმარში ვიყავ, როცა ძილი დამიფრთხო ჰანგმა  
მექარავნებს გაემართათ დილის საარი,  
მალე მივალთო - დუდუკის ხმას აჰყვა მეგზური,  
ფერეიდნამდე არც თუ შორი უკვე გზა არი.

არ განცალკევდე, ჩვენთან იარე, არ ჩამორჩეო,  
აქაურ ხანუმს ნუ დაუნყებ ფლირტსა და არშიყს,  
არ მიაშტერდე ნიქებს მიღმა ვისმეს თვალეებში,  
ამ მთებში თავი დაუკარგავს უამრავ აშიკს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ბახთიარი- მთები ფერეიდანში.

<sup>2</sup> აშიკი-მეჭალთანე.

და ქარავანი შეეკლავა მწვანე ხეობებს,  
თითქოს საზღვარი გადმოვკვეთე ნაცნობ სანახის,  
თითქოს სამყარო შეიცვალა ათიოდ წუთში,  
შეგრძნება მქონდა ადრე ხილულის, ასჯერ ნანახის.

დიდრონ ლოდებზე წყარო მოჩქევს ჩუმი ხმაურით,  
თუნგები უხვად შეუდგიათ შხეფთა საგროვად,  
შავი ბურქებით<sup>3</sup> ჩამომდგარან სპარსი დუხთარნი<sup>4</sup>  
თითქოს მზად იყვნენ საკუთარი ბედის საგლოვად.

ერთ-ერთს შევბედე, მწყურია თქო- ხელით ვანიშნე,  
გამომიწოდა დაორთქლილი ვერცხლის ფიალა,  
თან ჩადრს ქვემოდან ამომხედა ეჭვის თვალებით,  
ოთხას წლის სევდამ სადაც წამში გაიფრიალა.

გურჯი ხარ, ხანუმ? თითქოს გულმა ამოიკვნესა,  
კვლავ ამომხედა და მყისიერ ზურგი მაქცია,  
ვხედავ ჩადრიდან ქართულ სულის მიმზერს თვალები,  
სული, რომელიც მტერმა დღემდე ვერ ნააქცია.

კახი ხარ, ხანუმ? იქნებ ჰერი ან იქნებ თუმი?  
უკვე ქართულად შევუძახე მიმავალ დუხთარს.  
შენ და და მე ძმა, ნუ გამირბი, შესდექ, მობრუნდი,  
ნუთუ ვერ არჩევ შენს მოყვასს და უბრალო მუშტარს?

გაშეშდა, თითქოს ქვისგან იყო ნაძერწ-ნათალი,  
თითქოს ერთბაშად მის თვალებში მყინვარმა იკლო,  
შემომამგება მზერა, ცრემლით გაბრწყინებული...  
და მის თვალებში აირეკლა დართლო და დიკლო.

წოვა-თუმი ვარ, შენი კვნესამე, მონად წასხმული,  
ალვანის ველზე ჩემს წინაპრებს უნავარდიათ,  
სახლჩი გვენვიეთ, გურჯ-ნაჰიში<sup>5</sup>, ჰაჰის ბინაში,  
სადაც საანჯმნო<sup>6</sup> გურჯებს ბჭობა გაუმართიათ...

მე გავიქცევი, მივახარებ ჰაჰის ამ ამბავს,  
სახელდახელოდ მოგიხარშავთ გორდილას,<sup>7</sup> ქუმელს,<sup>8</sup>

<sup>3</sup> ბურქა-თავსაბურავი.

<sup>4</sup> დუხთარი- გოგონა.

<sup>5</sup> გურჯი-ნაჰიე - ქართველთა უბანი ფერეიდანში.

<sup>6</sup> საანჯმნო - იგივე საფიხვნო, თავშეყრის ადგილი.

<sup>7</sup> გორდილა - მოხარშული პური.

<sup>8</sup> ქუმელი - ფაფა.

ხავინს<sup>9</sup> და კოტორს<sup>10</sup> მოგიმზადებთ ჩვენი კალტისას,<sup>11</sup>  
მოგონებების ავაგიზგიზებთ გაჭვარტლულ ღუმელს...

მევედრებოდა, ტირილნარევი, რჯულს გაფიცებო,  
სხვაგან არ დარჩე, მინდა პაპისტვინ ეს სიხარული,  
წვრილად გვიამბე გურჯისტანის ავანჩავანი,  
ჩვენ ხატიც გვაქვსო ძველ დროიდან გადამალული...

პაპის ქორაის ეძახიან, მე კი ნანაის,  
მეტიტინება, არ ჩერდება, მოსწრებას ლამობს...  
ძველ ქართულ სიტყვებს ისე ხლართავს და ისე აქსოვს  
კი არ საუბრობს, კი არ ამბობს, ხმატკბილად გალობს.

ხელი ჩამვიდა, მაფიცებდა, მექაჩებოდა  
და გაიფურჩენა ჩემ წინ, როგორც ეხევერია,<sup>12</sup>  
ვერ დავითმინე, ყმანვილივით წამსკდა ცრემლები  
ქარავნის ბაში ამის შემსწრე გადამერია.

აღა, ვინა ხარ? მუჰამედივით რატომ გხვდებიან?  
მთების ასული რით მონუსხე ან რა უთხარი?  
გურჯი ვარ მეთქი - გავიშალე მხრებში ამაყად,  
ერთი სისხლი გვაქვს, სამშობლოს სევდით ანადუღარი...

ჰოდა სტუმარი, ჩვენში არის უფლის გზავნილი,  
აქაც და იქაც ჩვენი ადათი გვაქვს შერჩენილი,  
ჩემს ჯიშის ყვივლს შენ ვერ გაიგებ და ვერც აგიხსნი,  
გურჯი გურჯისტანის არის შექმნილი და გაჩენილი.

იმ დღეს ნადიმი გაიმართა ქორაის ბანზე,  
იმ დღეს ყვაოდნენ ნანაის თვალში ფხიჯა და დევა,<sup>13</sup>  
იმ დღეს შენაქოს ფერის ჰქონდა თუშ ქალს თვალეები,  
იმ დღეს ოთხასჯერ მომინია მუხლის მოდრევა.

ოთხ საუკუნეს მოითვლიდა მათი ტკივილი,  
ოთხ საუკუნეს ინახავენ მშობლიურ ენას,  
ფერეიდნელი თუშ ნანაის თვალეები აფრქვევს  
დღესაც ქართული ჯიშის შნოს და სამშობლოს რწმენას.

06.11.2019 წ.

<sup>9</sup> ხავინი - დამბალ ხაჭოსგან დამზადებული კერძი.

<sup>10</sup> კოტორი-თუშური ხაჭაპური.

<sup>11</sup> კალტი- გამომშრალი ხაჭო, ყველი.

<sup>12</sup> ეხევერია-კლდის ვარდი.

<sup>13</sup> ფხიჯა, დევა -მთის ყვავილები.

დ უ მ ი ლ ი

მოვა დრო, პასუხად დუმილი მექნება,  
დუმილი ყვირილზე ხმამაღლა მგრგვინავი...  
და, თუკი სიტყვებმა დღეს ფასი დაკარგა,  
დუმილით გახდება ეს გული მგმინავი.

დუმილით შევანგრევ აღმართულ ზღუდეებს,  
დუმილით შევხვდები ცხოვრების ღვარცოფებს,  
დღეს, როგორც არასდროს, სიტყვები მარისხებს  
დღეს, როგორც არასდროს ბგერები მაცოფებს!

და, თუკი სიტყვებით ვერავის ვარწმუნებთ,  
სიტყვები სუსხავენ გულსა და გონებას  
სიტყვები ძარღვებში სისხლს როცა ამღვრევენ,  
მე დუმილისაკენ ავირჩევ სწორებას!

დუმილით შევხვდები ბოდიშს და მადლობას,  
დუმილში ჩაკვარგავ წყენას და იარებს,  
და, თუკი სიტყვებმა კვლავ დაიგვიანა,  
ვიცი, რომ დუმილი არ დაიგვიანებს.

დაკარგეს თვისება ამო სიტყვებმა,  
ფიცმაც კი სიტყვებით დაკარგა ხარისხი,  
ნუ მკითხავ ნურაფერს, ნუ მეტყვი „გამოს!“  
ეგ ღვინო უჩუმრად, დუმილით დამისხი

დუმილით დავლოცავ ჩემ წილად დასალოცს,  
დუმილით შევხვდები წყევლას და გინებებს,  
სიტყვები დღეს როცა გულ მუცელს წამლავენ  
და ვილაც სიტყვებით სისინსაც ინებებს...

მე მხოლოდ დუმილი მექნება პასუხად,  
დუმილი ღრიალზე ხმამაღლა მყვირალი,  
დუმილით შევალე მე სულის დარაბას,  
დუმილით ვიქნები ზეცაში მზირალი!

სიტყვებმა ფასი დღეს იმდენად დაკარგა,  
იმდენად დაეცა დღეს სიტყვის ხარისხი,  
არ მინდა ბოდიში და აღარც მადლობა...  
ეგ ღვინო უჩუმრად ერთხელაც დამისხით.

ვენახის ალიტერაცია

ზღვისფერი ზღვაური ზღვის ზღვარზე  
არწევდა ცარიელ ნიჟარებს  
და შლიდა შლეგივით შლეიფად  
ტალღებზე წარსულის იარებს.

რეცხავდა ცოდვისფერ ნაპირებს,  
ქვიშების ქვიშისფერ ქვეშაგებს  
და ფრთათა ფრთხილით ფრთოსანი  
უძღვნიდა ალიონს შესაგებს.

მზის სხივი ეწვნოდა წვიმის წვეთს  
ნათელი ნათების ნათელით  
და ბოლო განთიადს ხვდებოდნენ  
ფიქრები, ნაღვენთი სანთელით.

ინვოდა თითებში სიგარა  
და კვამლიც, ნიაზე შემკრთალი,  
ნაფერფლით ავსებდა საფერფლეს,  
ფერფლისფერ ფერივით ფერმკრთალი.

ცეკვავდა დაორთქლილ მინაზე,  
გარშემო გარინდულ-გართხმული...  
მთვარის და მზის შერწყმას ვნებების  
გრუხუნით მამცნობდა ზაფხული.

ზღვისფერი ზღვაური ზღვის ზღვარზე  
ჩაურეცხს ყოველგვარ სინანულს,  
ქვიშების ქვიშისფერ ქვეშაგში  
ვინც ერთხელ იგემებს სიყვარულს...

ვინც ერთხელ, ვნებებით გალუმპულს,  
ეხება თავის წილ შესახებს  
და ზღვისფერ ზღვაურში ზღვის ზღვარზე  
ტალღების გაიფენს ქვეშაგებს.

13.04.2021 წ.

2018 წ.





ეთერ ჭელიძე

**გუშინ...**

გუშინ ბავშვობამ მეც ჩამომსვა  
 უცნობ ქუჩაზე,  
 არც კი ვიცოდი, წავსულვითყავ  
 საით და როგორ...  
 ფეხაუდგმელმა ვერ ვიგუე უცხო  
 გემბანზე,  
 იდგა ჩემი მე, ისე როგორც  
 უცნობი გოგო!  
 ვერც გამვლელის ხმამ შემაჩერა,  
 ვერც საკუთარმა,  
 ვდიე ვერხვების მოშრიალე  
 ფოთლების როკვას,  
 ვერ გამივაკა ვერა ძალამ  
 გზა ოღრო ჩოღრო,  
 გავრბივარ სადღაც, სკოლის ზარი  
 რეკავს და რეკავს...  
 და ჩვენ ბავშვობა არასოდეს  
 არ გვტოვებს თუნდაც  
 ცხოვრებამ ბევრჯერ შემოგანწას  
 მათრახი ეკლის,  
 ქვეცნობიერში ისევ ცხოვრობ  
 იმ სკოლის ბავშვთან  
 ტოვებ, მიდიხარ და მისი ხმა  
 მოგდევს და გესმის...

02.11.2022წ

**ვედრება....**

ავად მყავს სამშობლო,  
 მკურნალი მჭირდება,  
 მოცარულ იმედებს ვტკეპნი და ვაახლებ,  
 არ ვიცი, ასეთი რა სენი მკვიდრდება,  
 უკურნელ სიძულვილს სახელს რომ ვერ ვარქმევ!

ავად მყავს სამშობლო, წინაპრის ხომალდი  
 შორეულ მირაჟებს ქაოსში მიჰყვება,  
 გაცრეცილ დროშის ტარს  
 ხელი რომ ჩაჰკიდოს  
 იმედი, ღროდადრო ქრება და ინთება!

იღბალი? – იტყვიან, იღბალი შეშლილი,  
 ჩემ ანმყოს ეკლიან ქვაფენილს ანარცხებს,  
 „გმირი“ც და მლიქვნელიც, გვირაბში შეყრილი  
 დიდების მწვერვალზე, მშვიდობას ამარცხებს!

ავად ვარ უფალო, სამშობლოს სიფითრე  
 ძვალსა და სისხლში აქვს, ვით მავნე ბაცილა,  
 უცნობი პლანეტის აუხსნელ სიჩუმემ,  
 ამ ყალბი „ლოცვებით“ რამდენჯერ დამცინა?!

ავად მყავს სამშობლო, შხამ-გესლით გაროზგილს  
 ბუხარში ტკივილის გრიგალი მინთია...  
 კეთროვან „ერთობას“ უწამლე აბებით  
 ობობას ქსელივით „უცნობი“ ბინდიდან!

ავად ვარ უფალო, ხატ-ჯვარსაც დასერილს  
 გავედრებ უსახურ დროებით დაღლილი,  
 „სატახტო“ ზეცისკენ უხილავ ნაფეხურს  
 დაუნთე ერთობის მცხუნვარე ზაფხული!

ავდ მყავს სამშობლო, უშველე უფალო!

\*  
 მგლის ბილიკიდან უკუსვლით  
 დაბრუნებული მეღია,  
 მგელზე ფრთხილია და მეფე  
 ლომზეც კი უფრო ბრძენია,  
 მან იცის მგელი ბებერი  
 გაძვალდეს, მაინც მგელია,  
 სუსტი ძლიერის კვალზე დგას  
 მისი მუნდირის მცველია...

### ხელი ჩაჰკიდე...

ხელი ჩაჰკიდე უფალო  
ვაცთა მოძულე ვაცს,  
საკუთარ ნაკლს რომ გაურბის  
სხვას ზეზეულად კლავს...

სმენა მიეცი უფალო  
რადგან არ ესმის ხმა,  
საკუთარ ცოდვის სიმრავლეს  
ხამს მოყვრისათვის, ხამს!

თვალი მიეცი უფალო  
რადგან სიბრძნის სწამს  
და აღმართები მოყვასის  
მის მყოფადობას კლავს...

გონი მიეცი უფალო  
შენთან გაკვალოს გზა...  
არ ჩაუტეხოს ბილიკი  
შენთან მომვალ მგზავრს!

გული დაუთბე უფალო!  
თვითდაჯერებულ მსჯავრს,  
ადამიანი ეჩვევა  
შენგან ბოძებულ ჯვარს...

### უფალო ღმერთო!

ახლა სიონის რევავს ბარები  
და ცათა ქუხილს ირევლავს ექო,  
ნარიყალაზე სკდება ბზარები  
მამულს გავედრებ დადლილო ღმერთო!  
უცხო სიმების გოდებას ვუსმენ  
სასიკეთილოდ არ მოსულს ერთობ,  
ამ უცხო სახადს შეუვალს, მძიმეს,  
ვერ ვეომები უშენოდ ღმერთო,  
არადა ვინ ვართ, ეს ციდა ერი  
მზე მონისლული დააკვდა დედოს,  
დარდის ლაბადა მოსხმული ბერი  
დაუყვედრებლად დაეძებს შემნდობს!  
ჩამოიბურა ყიჟინა ბრძოლის  
ქარანენილი სიცოცხლე ვერპობს,  
ჟამი მეორედ მოსვლისა მოდის?  
ნება შენია უფალო, ღმერთო!

\*

როცა არ იცი, რა გინდა,  
რა გზას ეძებ და საით,  
შენში დუმილი აყვირდა  
შენში სიჩუმე ბლავის...  
იმათი ენაც არ გესმის  
საკუთარ ფიქრებს კიცხავ,  
იდუმალეზა თავს გესხმის  
და ვერ უბედავ კითხვას!  
ამ გაორებას რა ჰქვია  
ველარ უძებნი სახელს,  
რადაც მთავარი გაკლია  
მყუდროებას რომ არღვევს,  
ეძებ ახალს და რეალურს  
დაემსგავსება რაიც,  
შენც ემსგავსები ლარნაკში  
უნყლოდ გამომშრალ ყვავილს,  
შენს ყველა მიზანს, ოცნებას,  
წრუპავს იმედი ხვალის,  
ლოდინიც ისე გბებრდება,  
ლოდინიც ისე დაგდლის,  
რომ სინამდვილის ფორიაქს  
უძლებ და სიქას გაცლის,  
სანამდი შენ თავს იპოვნი  
ღმერთი ჩაგიკრავს დადლილს!

27.10.2022წ

### სინანული

გატეხილ ლამბაქს ვაკონინებ  
ისე ვით გრძნობებს ოდესღაც ჩამქრალს,  
ჭრელი ფარდები გადაწვნი  
დღემდე ვჭრი, ვკემსავ, მერე ვლამბავ...  
ხან თავს ვისულელებ შეკითხვებით  
ვაითუ ბილიკები დგევარგა,  
რადგან შეუცნობელ მირაჟებში  
ზოგჯერ სინამდვილის განცდას ვკარგავთ,  
მერე სიამაყის არტახებში  
თავად დრო შეგვდგება გამეტებით  
და გულის, ხელის გულით ნატარების  
გრჩება ნაცისკრალი ნატეხები...  
ოდეს დაიმორცხვებს შენი მშვრა  
გრძნობის ნაზვავარი ნამქერები,  
იქნებ იმ ფიქრისაც არა გჯერა  
უტყვი სიყვარულით ნაფერების?!

**ფერხეცვლილი ჰიმნი...**

დაუკარით მდუმარების ტაში,  
გაიტანეთ სიზმარეთში ლელო,  
ჩაურაზეთ მყუდროებას კარი,  
ილაღადეთ –ჩემო საქართველო!

აგალობეთ ფერხეცვლილი ჰიმნი.  
შევახსენოთ,- ცოცხლები ვართ ისევ  
და „ერთობის“ ილუზია „მინი“  
მტერს მოარულს გაბრუნებს მყისვე?

აკოპირებთ წინაპრების მრწამსი!  
ნაკონინებს, მტერი ურცხვად ჩემობს...  
გააცილეთ ქართველები მარშით  
და, იძახეთ: –საქართველო ჩემო!

გამოცალეთ მდუმარების თასი,  
ურგებია უთავთავო ყანა,  
უმასპინძლოდ დარჩენილი სახლი  
კმარა, გესმით?...გაიგონეთ, კმარა!

უცხო კედლებს შეხიზნული ქალის  
ნერვაშლილი, გმინავს თეთრი ღამე...  
დედის ვალთას მონყვეტილი ბაღლი  
ცაში დედის ნაფეხურებს დასდევს!

ჩუ, შეწყვიტეთ მდუმარების მარში,  
საქართველო მაპოვნინოთ ეგებ,  
მე ვარ დედადაკარგული ბავშვი  
ქართველების საქართველოს ვეძებ!!!

\*\*\*

რაც უნდა კეთილი იყო,  
რაც უნდა კარგის მოსურნე.  
ზღვას ქვიშა არ დაეღვევა,  
კაცს, ბოროტი და მოშურნე...

\*

მზეს ვეფიცხები გათოშილ  
ნაფეხურებს ვშლი ავდრიანს,  
ვლამბავ სიცოცხლის ძაფებით  
დღეებს მცივანს და მადლიანს....  
ყველა დღის შემოთენება  
უფლისგან ნაჩუქარია  
ხოლო გულწრფელი ვედრება  
გზას აგარიდებს ქარიანს!

**სიკეთე უნდა სიკეთეს ჰგავდეს...**

სიკეთე უნდა დუმდეს და რწყავდეს,  
მაშვრალი ვაცის უპოვარ სურვილს...  
სიკეთე უნდა უფლის ხმას ჰგავდეს,  
სასონარკვეთილს უკლავდეს წყურვილს...  
სიკეთე უნდა თესო და გასცე,  
რაოდენ, როგორ? განგებამ უწყის...  
მას ქარის თოკზე ნურასდოს გაფენ,  
მწყალობელს მისი მიღება უჭირს!  
სიკეთე უნდა რაღაცით გგავდეს,  
რეკლამირება ფერს აცლის მიზანს,  
სამი ფერიდან თუ შექმნი ცხრაფერს,  
ვინ დაგიჭერებს სიკეთე გიყვარს?!  
სიკეთე უნდა გულისხმას ჰგავდეს  
ის შინაგანად ფეთქავდეს უნდა...  
შენი ყანიდან სხვისაში რგავდე  
რომ შეკრა მადლის ნამცეცი გუნდა...  
სიკეთე უნდა დუმილით რწყავდეს  
უდაბნოდ ქცეულ სანახებს კაცთა  
რომ ყოველჭერზე სიტყვა არ კლავდეს  
მადლს, შენივ ხელით თურამე წაცვდა!

28.10.2022წ





თენგიზ ფანცულაია

### ვინც იარა გაგვიმთელა

მომისმინეთ მეგობრებო,  
ასე მწამს და ასე მჯერა,  
არასოდეს დაგვაფინყდეს,  
ვინც კი ოდნავ წაგვეშველა.

ვინც ტყვიაზე მოგვეყვებოდა,  
წაქცეული აგვაყენა,  
ვინაც ჭირში არ გვმორდება,  
ვისთან გვიხარია ლხენა.

ვინც ხიფათი აგვარიდა,  
ვინც იარა გაგვიმთელა,  
ვინც რომ სიტყვით შეგვეწია,  
დაგვარიგა, მოგვეფერა.

ვინც რომ სწორი გზა გვიჩვენა,  
ვინც ჭრილობა გაგვიკერა,  
ცხოვრებაში უფლისაგან,  
დალოცვილი გვყავდეს ყველა.

პ.ს.

ვინც ჩვენ მხარი მოგვიშალა,  
ძმობის გრძნობა გაგვითელა,  
ვინც სამშობლოს უღალატა,  
ცუდი ქცევით დაგვანელა.

ვინც რომ რწმენა უკუაგდო,  
დაივიწყა მისი ენა,  
ვინც მავნებლობს მნეობრივად,  
შხამს გვაპარებს ნელა ნელა.

ბევრი არის დასასჯელი,  
ვის სულშიაც ძალზე ბნელა,  
არ ვაგინებ და არც ვწყევლი  
ღმერთმა განიკითხოს ყველა.

### ამას ქართველი თუ გეტყვის

მხოლოდ ქართველი თუ გეტყვის: შენ გენაცვალეო,  
ჩემ სიცოცხლეს შემოგავლებ, შენ არ მომიკვდეო,  
შენი ტკივილი დამითმე, შენი ჯენესა მეო,  
მტლად,საფენად დაგედები, შენი ჭირი მეო.

გზად მიმავალი დაღლილხარ, ვატყობ აჭერს მზეო,  
ჭიშკარს ტაბლას მოგაგებებს, ხილი გასინჯეო,  
სახლის კუთხე შენი იყოს, გთხოვ დაისვენეო,  
ამ ცოტაზე ნუღარ განმსჭი, მე ძმად მიგიღეო.

ჭურის ღვინო გამისინჯე, შენთვის მოვხადეო,  
ფუძე-ვარი დამილოცე, ფესვის სიმრავლეო,  
ხატაპური მიაყოლე, კეცზე დავაცხვეო,  
ცოტა ყველი გაპარვია, არ გამიბრაზდეო.

„ველამიდების“ მჭადია, უკვე ავრეკეო,  
პიტნიანი ყველი ნახე, დღეს გადავზილეო,  
ეს ახალი ვარიკაა, კეცზე შევბრანეო,  
გოჭ-ციკანი მოგვეწევა, თონეს ჩავკიდეო.

სტუმარს ვერსად ვერ გაგიშვებ, თავს ნუ მომჭრი მეო,  
ძმას, მეზობელს გადავძახებ, სუფრა გავანყვეო,  
ჩავსხდეთ, პანა ვიჭუკჭუკოთ, აღარ დამითვრეო,  
საქართველოს დავულოცოთ ხვალინდელი დღეო.

დღეს რატომღაც გამქრალია ძმობის სინმინდეო,  
მოდური სიტყვა გახშირდა: „გთხოვ დაიკიდეო“,  
სინიდს-ნამუსი, მორალი რად გადააგდეო,  
უფროს-უმცროსი, ზრდილობა რად დაივიწყეო.

მჯერა ისევ დაბრუნდება ბედნიერი დღეო,  
სიყვარულის აენტება, ჩაუმქრალი მზეო,  
ძმობისა და სიყვარულის შეიკვრება წრეო,  
ქართველი ისევ იქნება მამაცი და მხნეო.

უფალსა ვთხოვ, ერთი ნატვრა მე ამისრულეო,  
ყოველ დილას ვილოცები, ხატთან მდგომარეო,  
რად გაგრძელდა ჩვენი ტანჯვა, ღმერთო გვიშველეო,  
ჩემო ერო გამოფხილდი, დროა აყვავდეო.

მხოლოდ ქართველი თუ გეტყვის: შენ გენაცვალეო,  
ჩემ სიცოცხლეს შემოგავლებ, შენ არ მომიკვდეო,  
შენი ტკივილი დამითმე, შენი ჯენესა მეო,  
მტლად,საფენად დაგედები, შენი ჭირი მეო.



**რატომ გვაშინებ სიკვდილო**

ხომ ყველას ვარზე მოდიხარ, მოსვლით გვაშინებ შენითა, რომ დაგინახავთ ცელიანს, კაის არაფერს ველითა.

ახალგაზრდას, რომ წაიყვან, აქ ცოცხალ მკვდარი ვრჩებიტა.

გპირდები, ბოლო სუფრაზე, დაგლოცავ ჩემივ ხელითა, ანდერძად დავიბარებდი, საკუთარ ლექსის ენითა.

ხან დილას მოხვალ, ხან ღამით, დაგვტანჯე გულის ტკენითა, ხანდახან ისეთს აარჩევ, გვაოსებ, ცრემლის დენითა.

ეტყობა შენაც საქმე გაქვს, დავალებული გევიტა, თორემ ხომ შეწუხდებოდი, დედების ცრემლის ქცევითა.

„სანამ ხართ, ლაღად იცხოვრეთ, დროს ნუ დაკარგავთ ღრენითა, იცოდეთ, ერთხელ მოდიხართ, ყველა წამოხვალთ გევიტა“.

გვადროვე, ცოტა რომ დავტკებთ, ლამაზი ქალის ცქერითა, გვარი და ერი ვამრავლოთ, ჩვენი ქართული კერითა.

რა დაგიშავეთ ამდენი, ჩემი პატარა ერთა, ხანდახან ცოდვიანით და უფრო კი გულით წრფელიტა.

წასვლის წინ შემოვძახებდი, ვაჟას უკვდავი ენითა: „შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“!!!.

იქნებ სამშობლოს ვჭირდებით, ალყა შემორტყმულს მტერითა, გვაცალე ხმალი გავაძროთ, რომ დაგვერევი ცელიტა.

ბოლო დროს ძაან შეგვიჩნდი, გვცელავ ვირუსით ბნელიტა. იქნებ ნაკლები დაკავდე, ხალხით ამ ძველის ძველიტა,

პ.ს: არ დაგავინწყდეთ ქართველნო, დავალთ უფალის რწმენითა, ბევრჯერ დაგვსაჯეს ქრისტესთვის, გვანამეს ცეცხლის ენითა.

იქნებ შვილიშვილს ველოდით, რამდენი წელი თმენითა, მოუმზადებელს რად გვისწრებ, ვეღარ მომწონხარ ქცევითა.

ვერ შევკრებილვართ სუფრაზე, დადგენილ შეზღუდვებითა, რად მოგვანატრე ქეიფი, კეთილი მეგობრებითა.

აღდგომის ცეცხლის გადმოსვლას, გულის ფანცქალით ველიტა, სიკვდილით, სიკვდილის თრგუნვა, ხდება უფალის ხელიტა.

ნუთუ ვერ ხედავ ოხერო, როგორ აგვავე წყენითა

ანი დრო მაინც გვითხარი, რომ დაგხვდეთ, პურით, ყველიტა, წასვლის წინ დაგვალოცინე, ვისთვისაც მივალთ, ვკვდებითა.

**როგორ მინდა ჩემი ლექსით, ოდნავ შეგეშველო**

ყოველ დილას გეფერები, ერო საყვარელო, მამულისთვის მეომარო, ქრისტეს გზის დამცველო, თბილო, ტკბილო, გულიანო, ხალხო სანატრელო, წინაპრის სისხლით მორწყულო, მთა ბარო და ველო.

მოდი ერთად გადავლახთ, დრო რთული, საძნელო, ღონიერი მინდა გნახო, ჩემო საქართველო.

ბევრ ცოდნაში მოწინავე და ბევრშიც პირველო, მსოფლიოში მიღებული, ერო შენ ძირძველო, ენის, რწმენის, ტრადიციის დღემდე შემნახველო, ბევრი დარგის დამწყებო და ბევრის შემქმნელო.

ბევრი ჭირის გადამტანო, სიკეთის მთესველო, მრავალ ხალხის დამპურებო, ყველას მასპინძელო, ერო გამორჩეულო და გმირების გამზრდელო, ანიც ბევრი გაგვეზარდოს, შვილი სასახელო.

ამ ბოლო დროს არეულო, ყვავთა საკორტნელო, ყველა ცდილობს მიიტაცოს, ქართველთ სამფლობელო,

როგორ მინდა თუნდაც ლექსით, ოდნავ შეგეშველო, შიდა მტრობა, ერთურთ შუღლი, ლექსით გავანელო, მსურს კვლავ აყვავდეს გარშემო, სახლ-კარი და მდელო, ფეხზე მინდა წამოვდგე და ისე გადღეგრძელო, ლამაზო და სულზე ტკბილო ჩემო საქართველო.

**მგონი წავედი**

მგონი წავედი, ჩემად ვიხურავ,  
სისტემის მძიმე, უმადურ კარებს,  
მაგრამ მივდივარ თავანუელი,  
სამსახურისას არ ვტოვებ ვალეებს.

ვიხსენებ ბევრჯერ სხვაზე მოქნეულ,  
მოგერიებულ მუშტსა და დანებს,  
რა დამავინწყებს დეკემბრის თვეში,  
ლიახვის პირას გაყინულ "კრანებს".

მწარედ ვიხსენებ ოძისის პოსტზე,  
შენირულ ნერვებს, უძილო ღამეს,  
ბოლო წლები რომ უსამართლობით,  
ფეხქვეშ დამიდეს და დამიტანეს.

ვერ დავივიწყებ ჩვენ ქსნის ხეობას,  
ამ მართლა წმინდა და ღამაზ არეს,  
თითქმის ღალატით და უთავობით,  
სეპარატისტებს რომ ჩააბარეს.

იმ ხალხს ვშორდები, გულდანწყვეტილი,  
თავის კერიდან რომ გამოყარეს,  
ალაღი გულით, უბრალოებით,  
თავი ძალიან რომ შემეყვარეს.

იმ ობოლ ფიფქსაც ვემშვიდობები,  
რომ დაფარფატებს, ახმაჯის მხარეს,  
მომხვდური მტერის გარემოცვაში,  
ფანტელად გაზრდა, რომ არ აცალღეს.

ცუდს კი ვიხსენებ, მაგრამ დღეს ვნატრობ  
ახალგორელებს რომ გაახარებს,  
მეც დაპირებულ სუფრას ვიკისრებ  
ლექსად დავდნები ბედნიერ ღამეს.

ვიხსენებ კარგ ხალხს და ზოგ ცუდ რამეს.  
დღეს-ხვალ ძახილით რომ გამატარეს,  
ჯანდაბას ჩემი თავი და ჯანი,  
ყველას გისურვებთ, ბედნიერ ხვალეს.

ხოდა წავედი, მე სულ სხვა მხარეს,  
ჩემად კი ვმალავ, ცრემლიან თვალებს,  
გავუძლებ გულის ტკივილს და ჭვალეებს,  
უსამართლობით, რომ მომეყარეს.

რა დრო გასულა, თითქმის ორმოცი,  
ვიხსენებ კარგ დროს, ხანდახან მწარეს,  
რა დამავინწყებს ქუთაისელებს,  
ფეხის ადგმაში, რომ დამეხმარეს.

ჯერ საპასპორტო მაგიდა მანდეს,  
შემდეგ ბხს-ს გადამიყვანეს,  
ყველაზე ძნელ დროს მე სამძებროში,  
ბიჭებთან ერთად ვათევედი ღამეს.

თბილად მიმიღეს "ვაჟნიკებმა",  
მაშალაშინეს, გამრანდეს, მთალეს,  
გამოძიების კორიფეებმა,  
დიდებისაკენ გზა გამიკვალეს.

დღეს, რომ შედიხართ სამინისტროში,  
და სელფებს იღებთ პრიზების მხარეს,  
ყველამ იცოდეთ, დიდი თასისთვის,  
ბიჭებმა ოფლი თენგოსთვის ღვარეს.

წავედი, ვმალავ ცრემლიან თვალებს,  
დავლოცავ ყველა კუთხეს და მხარეს,  
სადაც ოჯახში მივუღივარ და  
დღესაც ხალისით მიღებენ კრებს.

მათაც დავლოცავ, იმ ზემოთ მსხდომებს,  
თბილი სიტყვა რომ არ გამატანეს,  
უბრალოდ ვეტყვი, რომ ცხოვრებაში,  
არავინ იცის, რა ელის ხვალეს.

პ.ს:  
როგორ გავძელი მიკვირს,  
ამდენი რთული წელი,  
შემხვდა ღამაში ხალხი,  
ზოგიც ავი და ბნელი.

ვინც მიერთგულეთ გზაში,  
არ მომაკვლით ხელი,  
ყველა მეყოლეთ ძმებო,  
ჯანზე მყოფი და მთელი.

ერთი სიტყვა მაინც გეთქვათ,  
გულის გამხარებელი,  
ამდენი წლის თავდადების,  
თბილად დამფასებელი.

ანი ლექსით შეგანუხებთ,  
ერთ დროს მასწავლებელი,  
თქვენ ბაქანზეც ჩამოდგება,  
დროის მატარებელი.

თენგო ფანცულაია-ხერგილეელი ოქროპირი,  
პოლიციის პოლკოვნიკი (უკვე თადარიგის)  
შს ორგანოებში 1981 წლის 28 დეკემბრიდან  
შს ორგანოების დამსახურებული მუშაკი. (129-ე)  
2021 წლის 03 ნოემბერი.





ნაირა უგულავა  
(ნია გორდელი)

### გვიანი ზემოდგომა

გადაიფრინა წეროების გუნდმა სამხრეთით,  
მზემ აიკვცა მონინებით ოქროს კავები,  
დამჭკნარ ყვავილებს დაატარებს ქარი კალთებით,  
ჩამოვარცხნილი მთები დგანან თავშეკავებით.  
მინდორ-ველები არ ბიბინობს მწვანე ჩითებით,  
ბავშვთა გნიასი და ყიჟინა მინცდა არ ისმის,  
ხის კენწეროზე მობუზული სხედან ჩიტები,  
გვიახლოვდება ბორიასი მკაცრი ნაბიჯით.  
რითმი და ტემპი ზამთრის სუსხმა დაბლა დასწია,  
არც გულისცემა სიხარულით ისე არ ფეთქავს,  
ახლა ოცნება თავის აზრებს თეთრად აკრიფავს,  
გააფერადებს და ხელახლა გაშლის აფრებად.

### მსოფლიო გასცდა თავის ჩარჩოებს

შემოქმედს გეზი არ არევია,  
მზე ორბიტაზე ისევ რონინობს,  
კაცი მის ტყავში ვერ ჩაეცია,  
ისევ ადამის ცოდვა ბოგინობს.

ოღონდაც, ახლა სწრაფი ტემპებით  
ანადგურებენ საღვთო იდეალს,  
ასანყობებენ შხამს და იარაღს  
და აღრმავებენ ცოდვის იარაღს.

თავს ასაღებენ მსოფლიოს მამად,-  
მტაცებლის გეში ყველა ნიჭს ფარავს,  
გროშს ვინ გაიღებს სხვისი ომისთვის,  
ყოველი იბრძვის თითო გოჭისთვის.

მსოფლიო გასცდა თავის ჩარჩოებს,  
აღრეულთ, ახლა ვნება აბოდებთ,  
გონთ დაუბნელდათ და არ იციან,  
რით დამთავრდება ეს ამბიციია.

### დადუმდა სიტყვა

ვდუმდი და რატომ დუმდიო მეტყვით,  
დაგეთანხმებით, დადუმდა სიტყვა,  
ინვის პარკები, ტყე, ქალაქები,  
დიდ საფრთხეშია თვით დედამინაც.

და ვინც რას ამბობს, აზრი აქვს რამეს?  
როცა ქვემეხებს მივანდეთ ბედი...  
მართალი სიტყვა მრავალგზის დავთმეთ,  
ახლა, ძალაა ყველაფრის მთქმელი...

გონება მტრობამ არივ-დარია,  
ხალასი სიტყვა დინებას მიაქვს,  
ახლა, დუმილი ოქროს ფასია,  
ახლა დუმილი ყველაფერს ნიშნავს...

აფეთქებების მთებს არღვევს ექო,  
გავიმეორებ, – რაც ბევრჯერ მითქვამს:  
უფალი მეფობს, უფალი მეფობს  
და საბოლოოდ ის იტყვის სიტყვას!..

## თქვენს შინაური გღალათოზთ მტრები

ისევ დატორა დაუნდობლად ცა გრიგალებმა,  
უსამართლობა, როგორც წესი, კვლავ ზენიტშია,  
ბოროტი ხელით დედამინა კვლავ იმართება,  
სწორუპოვარი განაჩენი ისევ ჩიხშია...

შავი ტალღები წამლევავი ისევ აზვირთდა,  
აღზევდა ძალა, უმეცრება და მრისხანება,  
ახლა სიცოცხლეს – ღვთის ნაბოძებს, ჩალის ფასი აქვს,  
დიდი ფსონები წარღვნისათვის ისევ იდება...

ყალბ იდეალებს აყოლილი ხალხის ბრბოები,  
გავეშებული ველურ ნახირს რომ ემგვანება,  
თავს მოხვეული, ცრუ მცნებებით ნასაზრდოები  
ბელადთან ერთად უფსკრულისკენ მიექანება.

გულუბრყვილობამ, სავალალოდ, თავი იჩინა,  
სალი გონება – ღვთისნიერი, კვლავ დაიჩრდილა,  
ამ ცდომილებას საფასური დიდზე დიდი აქვს,  
საუბედუროდ, ცუდბედობას ამით იმკიან.

და ვინაიდან უმეცრებით თავგზა აგებნათ,  
თქვენი სინძინდე – საფიცარი, ღორებს დაუგეთ,  
უცხო ტომელი ვერ დადგება ფარად – თავდებად,  
სინედრიონი რისხვისაგან როცა ბრმავდება...

რით გაამართლეთ პილატესგან ხელის დაბანა:  
რომ უბრალოა უმანკოთა სისხლის ქცევისგან?  
ვინ გაიძულათ წმინდა სულის შხამით წარწყმედა,  
თუ მიზნადა გაქვთ – საკუთარი ქვეყნის დაქცევა...

დასანანია, თქვენც რომ გიზით დიდი მამონა,  
მისი ღალატით დაიგეგმა მრწამსის აღრევა,  
დადგება ჟამი და სიმართლე კვლავ გაცხადდება,  
არც მათ შერჩებათ უმანკოთა სისხლის დაქცევა...





მამა ამირან ამირანაშვილი

### მშვიდობა ყოველთა

მშვიდობა უფლის მადლია  
ომი კი ბორთთ ხვედრია,  
უფალი ლოცვით გვმფარველობს,  
ბოროტი ცეცხლის ალებით.  
მშვიდნი სიყვარულს ქადაგებს,  
სამოთხე მშვიდთა ხვედრია,  
ბოროტს დღედაღამ არ სძინავს,  
სუსტებს ადვილად ხედნიან.  
მშვიდნი სალოცავს ამშვენებს,  
სულეების განსაზმენდელად,  
ბოროტი მუდამ მზად არის,  
ქვეყნისა დასანგრევებლად.  
მშვიდს პატიების ნიჭი აქვს,  
მას ძალუძს ცოდვილს შეუნდოს,  
ბოროტი ყველგან შარს ეძებს,  
ყველაში ხედავს მტრის ურდოს.  
კეთილი მშიერს აპურებს,  
მწყურვალს წყალს დაალევიანებს,  
ბოროტი წაგლეჯს, წაგართმევს,  
სულსაც არ მოგათქმევიანებს.  
მოდით მშვიდობით ვიცხოვროთ,  
სიყვარულს მივცეთ დინება,  
ბოროტი ბოღმით დამხრჩვალნი,  
ჯოჯობეთს მიედიანება.

### ერთად ვილოცოთ

სულ დაბოღმილი რატომ დადიხარ?  
გესალმებიან არ იღიმები.  
ეშმაკის კლანჭებს შეუბორკიხარ,  
გარს გახვევია შხამის ხუნდები.  
მცხოვან ასაკმა ვერ გამოგიხსანა,  
ველარ გაძეხი თბილი ტახტებით,  
რაც მაღალ ტრამპლინს იპყრობ  
სახტომად,  
მით ჯოჯობეთის კუპრში ჩახტები.  
ფიჭობს მიბაძო იესო ქრისტეს,  
განვაცებულმა ჩვენთან იცხოვრა,  
მოდით და მასთან ერთად ვილოცოთ,  
ჯოჯობეთიდან არ გაჭრის თხოვნა.

### შემოდგომის ჰანგეზი

შემოდგომის დიდებული დილაა,  
გრილი სიო სულის სიმებს ეხება.  
მელოდია საგალობელს წააგავს,  
ტკბილი ჰანგი სიყვარულის შეხება.  
მზის ალერსი ჩაგედვრება თვალებში,  
გადიშლება სიჭაბუკის ვადრები,  
მთელ სამყაროს შემოუვლი ფიქრებით,  
დაქანცული სავარძელში ჩავჯდები.  
იგრძნობ მხრებზე მძიმე ტვირთი გვიდია,  
რასაც ადრე მსუბუქად ატარებდი.  
რა ვიცოდი სიჭაბუკის ცოდვები,  
სიბერეში თუ არ შემიბრალებდით.  
ახლა კი გთხოვთ  
რომ გულწრფელად შემინდოთ,  
სიყმანვილით დანყვეტილი ჯაჭვები,  
მერიდება უფალს როგორ შევხედო,  
კარიბჭესთან მათხოვრად,  
რომ წარვსდგები.

## 14 ოქტომბერი მსხეთობა

მერამდენე ზეიმა,  
მერამდენედ რეკენ ზარებს.  
ცოდვილები შევიკრიბეთ,  
ცოდვილთ ღმერთი შეგვიწყალებს.  
სვეტი მუდამ ცხოველია,  
უფლის კვართით შემოსილი,  
მრევლს გვირიგებს სათნოებას,  
შემოქმედი მადლმოსილი.  
მეფეებს გულში იხუტებს,  
ვინც ქრისტესთვის თავი დადო,  
ვინც გულით და ხმლით გვიცავდა,  
ვინც მტრის ხელში არ ჩაგვავდო.

დიდმა დავითმა გაკურთხა,  
არსაკიძემ აგაშენა,  
წმინდანებმა გამოგთალა,  
მრევლის ლოცვამ დაგამშვენა.  
დღესაც შენი მადლი გვმოსავს,  
ნანატრო და ნაომარო,  
ქრისტეს კვართის შემნახველო,  
მოციქულების აკვანო.  
ზემოდან ჭვარი გდარაჯობს,  
მაყლოვანიდან გაბრიელი,  
დღესაც მზე ხარ მთელი ქვეყნის,  
შენითა ვართ ბედნიერი.

### ოი, საწუთრო

ქვეყნად გახშირდა ტრაგედიები,  
გახდა ცხოვრების თანამგზავრები,  
ბევრჯერ ღიმილი, სიცილ-ვისკისი,  
დიდი ტრაგიზმის ხდება თანმხლები.  
ახალგაზრდული ვნებით განცხრომას,  
თან სდევს გართობა ზღვარგადასული,  
მხიარულება ცრემლით იცვლება,  
და ეწირება თამაშს ასული.  
მთელი ქვეყანა ტკივილმა შესძრა,  
ქალაქი გახდა თალხით მოსილი,  
ყველა ზეიმი გლოვამ შეცვალა,  
და სული ხდება დარშემოსილი.  
ტრაგედიები ეშმაკს ახარებს,  
მოსწონს როდესაც ხალხი მწარდება,  
ანგელოზები სულს დაფარფატებს,  
ცივი ჭურჭელი მიწას ბარდება.  
ოი, საწუთროვ, დაგვინდე მრევლი,  
ნუ ჩაგვაშხამებ მცირედ სიხარულს,  
ისედაც მცირე წუთისოფელში,  
გულს ნუღარ გვატკვენ  
დარდით გაფატრულს.

### ისევ მოვა გაზაფხული

არ ვიცი რას დავაბრალო,  
რა წარმოქმნის სევდის ღრუბელს,  
გული დარდით შეჰყრობილა,  
სული სევდას ძლივსლა უძლებს.  
სახე ფიქრით მოღუშული,  
თითქოს წვიმას ელოდება,  
თვალეზიდან მომსკდარ ცრემლებს,  
გზად ნისლები ეღობება.  
დინჯად ვუვლი ტაძრის ეზოს,  
ვეფერები ვარდის ბუჩქებს,  
მახსოვს ვარდმა გაზაფხულზე,  
როს კოკრები გადაფურცლეს.  
მათაც სევდა შევამჩნიე,  
უმზეობით მოინყინეს,  
იმ თბილ დღეებს იხსენებენ,  
გაზაფხულზე რაც ილხინეს.  
ნუ მოინყენთ დაელოდეთ,  
სევდას შეცვლის სიხარული,  
ცივ ზამთარსაც ერთად დავძლევთ,  
კვლავ გვეწვევა გაზაფხული.

## მუდამ სიმართლე მიყვარდა

არასდროს ვიყავ გამცემი,  
მლიქვნელი ენატანია,  
მუდამ სიმართლე მიყვარდა,  
არც არვინ მომიქრთამია.  
სკოლაში მუდამ ვცდილობდი,  
ჩაგრულის მხარე დამეცვა,  
არავის ვაჩაგვრინებდი,  
თუ ვინმეს კარგად არ ეცვა.  
მეც ბევრჯერ შემომხევია,  
ძმების ნახმარი სამოსი,  
განსაკუთრებით მიჭირდა,  
ცეკვისთვის ტანისამოსი.  
ზოგჯერ სკოლა მიკერავდა,  
ზოგჯერ კიდევ ნათესავი,  
სამაგიეროდ ვცეკვავდი,  
ჩემი ცეკვით ვიყავ მთრალი,  
თბილისში რომ ჩამოვფედი,  
ბევრმა არ გამიღო კარი,  
ისეთი მორცხვი ვიყავი,  
კიბის ქვეშ ამოვყევ თავი.  
ფიროსმანივით ვიცხოვრე,  
რამდენიმე თვე დავყავი,  
როცა მოვხვდი სტუდენტალაქში,  
პარიზში მეგონა თავი.  
ოცდათვრამეტი წლის ვიყავ,  
თითქმის გავხდი პარიზელი,  
ვიფელი როს დავტოვე,  
და კვლავ დავრჩი მე ჩხარელი.







ლამბირა შეყილაძე

**ღვთიური მგზავრი**

ხარ დედამინის ღვთიური მგზავრი,  
 ცის წიაღიდან მოედინები,  
 ანთიხარ როგორც სულმნათი კვარი,  
 ცხოველი მადლით გვესაკმელები.  
 ყოველ ცისმარეს სამშობლოს ლოცავ,  
 ალიონს ხვდები ხელაპყრობილი,  
 ხარ წარმართების კერპთა მკვსავი,  
 ჟამთა სიავით ვერ დაპყრობილი.  
 რწმენით მიიკვლევ გოლგოთის აღმართს,  
 და გაძლიერებს წრფელი მიზნები,  
 მრევლს ანეტარებ, არ იმჩნევ დაღლას,  
 მამულის გულში სანთლად იწვები.  
 სიყვარულია შენი გზამკვლევი,  
 ხარ სიკეთის და მადლის მთესავი,  
 კეთილშობილი მზერით დაეძებ,  
 რომ არვინ დაგრჩეს დაუმწყესავი.  
 ჭიუტად ებრძვი უსამართლობას,  
 ქრისტეს მცნებების მქადაგებელი,  
 ვერ იტან შურს და გაუტანლობას,  
 ხარ სულიერი ტაძრის მგებელი.  
 ქრიტე შენშია, შენ კი ქრისტეში,  
 ხართ ერთურთისგან განუყოფელი,  
 ამალღებიდან ისე გუგუნებ,  
 გვიმსუბუქდება წუთისოფელი.  
 სამოცდათხუთმეტ წელთა სრბოლაში,  
 არ გიძებნია ძვირფასი განძი,  
 დედამინაზე დახვალ ჭვარცმული,  
 ღვთითკურთხეული ვითარც ღმერთკაცი.

**შვილის ნოსტალგია**

მონატრებით დამეფლითა სული,  
 ნაფლეთები შენს საფლავზე ყრია,  
 დავლასლასებ სიქაგამოცლილი,  
 სულს მიხუთავს შენზე ნოსტალგია.  
 მოგონება დარჩა სულის საგზლად,  
 უშენობა რთულია და ძნელი,  
 ყველა ტკივილს გაუძელი მაგრამ,  
 მონატრებას ვეღარ გაუძელი.  
 აჩრდილივით ფიქრს დავყვები დროში,  
 შიგნიდან მხრავს უსაშველო სევდა,  
 რაც ნახვედი მას აქეთ ვარ შოკში,  
 რად გამწირე გენაცვალოს დედამ.  
 სამყოფელი გამიარმდა შვილო,  
 წყვიდში ვარ, შუქი მენატრება.  
 გზა აბნეულს იქნებ შემეშველო,  
 ვერ გპოულობ ჩინი მეკარგება.  
 გულმდულარე ცრემლით ვუმზერ სურათს,  
 სურათიდან მაფრქვევ შუქს და სევდას,  
 თავზე შავი ნისლებილა მხურავს,  
 ხომ არ გცივა?... გენაცვალოს დედა...

**ვერ ტოვებ ქვანჯ**

ყველა ქმედება გაქვს გამიზნული,  
 ვით მეგობარი როგორღა მწამდე,  
 რამდენჯერ უნდა მატკინო გული,  
 პატიებიდან პატიებამდე.  
 მოძმის ზეობა სხეულს გისუსხავს,  
 ვით მოსამართლე შურს ძიობ სხვებზე,  
 რაც უფრო მეტად შორდები უფალს,  
 მით უფრო მეტად ვლოცულობ შენზე.  
 ვერ აგიხილა ცხოვრებამ თვალი,  
 გეზიდებიან ნისლები სადღაც.  
 შენ რომ გგონია მწვერვალებს სწვდები,  
 უფრო და უფრო ეშვები დაღმა,  
 მაფიქრებს შენი ეს ცვლილებები,  
 მოქცეული ხარ ეშმაკის ხელში.  
 ო, როგორ მინდა დემონის ნაცვლად,  
 რომ ქრისტე მეტად სახლობდეს შენში,  
 შენც წუთისოფლის ერთი მგზავრი ხარ,  
 ხანდახან ცრემლი შენც მოგდის თვალზე.  
 სიკეთის მარცვლებს განა არ თესავ,  
 მაგრამ რატომღაც ვერ ტოვებ ქვანჯ.



**ბერდიაკონი ნეოფიტე-გარეჯი**

ნათლისმცემლის მამათა მონასტერი



**მარადისობა**

ისევ ღობეს და ყორეს ვედები,  
ისევ უაზროდ დავხეებები  
და მჯერა სადმე შემეფეთები,  
ზურგშესაქცევად არ მემეტები!  
სანამ შენ მყავხარ არ დავბერდები,  
აღმართს მივყვები თავგამეტებით,  
გასავლელი მაქვს კილომეტრები,  
კაცმა არ იცის სად გავჩერდები.  
თავის მართლება დაგვებდება,  
ძველი გეგმების გადაკეთებით,  
ან რას მივალწევთ, ან რას მოვიმკით,  
უმოქმედობით, ან მოქმედებით?!

ისევ ღობეს და ყორეს ვედები  
და უსაშველოდ მეიმედები  
და არ ვაჭარბებ გადამეტებით,  
გიხსენებ - გულზე თათლად მედები!  
ვტკბები ბავშვური სულისკვეთებით,  
განშორებებით და შეხვედრებით,  
ერთ მშვენიერ დღეს ლოცვა-ვედრებით  
მარადისობას შევუერთდებით.

**ვეფხისტყაოსანი**

გვახსენდება ლეგენდებად, მითებად,  
ის, რაც არის ადათი და წესი,  
თავისუფალ საქართველოს დიდების,  
ნუ აყოვნებ- დაისხი და შესვი!  
რაც ვაჟკაცებს გამარჯვებას ჰპირდება,  
ღრმად გულებში, რომ გაუდგამს ფესვი,  
თავისუფალ საქართველოს დიდება -  
ხალხში მღერის რუსთაველის ლექსი.  
წარსულისკენ გავიხედე ფიქრებში,  
რვაასი წლის იქით გადავეში,  
ისევ ისე დახმარება სჭირდება,  
გამომწყვდეულს ციხესიმაგრეში.  
აღბათ უფრო გემრიელი იქნება,  
არა ჭიქით - სჯობს დავლიოთ პეშვით.  
ის, რაც ქართველს თან დაჰყვება ფიქრებად,  
ხალხში მღერის რუსთაველის ლექსი.  
ხელში იღებ, ჩახუტება გინდება,  
ხმა ჩაგესმის ხმალ-ხანჯალთა ლესვის,  
რუსთაველის საქართველოს დიდების -  
გინდა პეშვით, გინდა ყანწით შესვი!

ხახვი-ხუთუნე

ჩემს პატარა ძმის შვილს-კატოს!

მოიპარო სჯობია,  
როცა ხახვი ძვირია,  
მე ვარ კატოსნაირი,  
კატოც ჩემნაირია.

თოფს ვერ ისვრი მიზანში,  
თუ არ გინადირია,  
თუ ვერ გაგირჩევია,  
თოფია თუ ტირია.

ბავშვს ალღოს ვერ აუღებ,  
თუ შენც არ გიტყვი,  
მე ვარ კატოსნაირი,  
კატოც ჩემნაირია.

იშვიათად ვმასპინძლობ,  
სტუმრები ვი ხშირია,  
გზა აქედან კატომდე  
სწორი-პირდაპირია.

ადამიანს გაუგებ?!  
თუ რაღაცნაირია,  
კატოს ხახვს ვერ აჩუქებ,  
როცა ხახვი ძვირია.

ხახვის ფასი იზრდება,  
როცა ზამთრის პირია,  
ჟრუანტელი დაგივლის,  
თუ ბოსტანი მწირია.

ეს სათამაშოები,  
სპილოა, თუ ვირია,  
ყველა უნდა გავყიდო,  
ხახვი უფრო მჭირია.

ვისთვის საოცარია,  
ვისთვის გასაკვირია,  
მე მხოლოდ ის გამიგებს  
ვინც კატოსნაირია.

წაიყვანეთ ექიმთან  
ვინც ვი გადაირია,  
კატო ბიძას სჭირდება,  
როცა ხახვი ძვირია.

ხახვის უმად ჭამისას,  
რომელს არ გვიყვირია?!  
ეს ბავშვი ვი მიირთმევს,  
ჯობავების გმირია!

თანაკლასელები

უცხოეთში გადახვენილ  
თანაკლასელებს!

ვინ ხართ ამ ქვეყანაზე,  
ღვინით ყანნი გავავსე,  
შენ ვი სად ხარ ყვავაძე?!  
ცხრა მთას იქით ყავაზე...

ეზო გავალამაზე,  
რა არ შემოგთავაზე,  
რა დაკარგე თავაძე  
კუნძულ ოკინავაზე?

ხატავ, ცეკვავ, მღერისხარ  
და უკრავ გიტარაზე,  
სადღაც კონგოს ცენტრში ხარ  
და იძინებ ნანაზე.

შევგროვდებით ისევ, გავშლით კარავს,  
ღვინოს დავლევთ, ან ვინ აგვიკრძალავს?!  
მწვადებს შევწვავთ, ჭვარტლი არ განგმსჭვალავს,  
დავჯდებით და გავიხსენებთ მრავალს.

მადა მოდის ჭამაზე,  
გიფიქრიათ ამაზე?  
ვინც ხართ გამოცანაზე,  
ხან ისე და ხან ასე.

მდინარესთან ჩრდილი დაგვიფარავს,  
ისიც მოვა ვისაც მიუქარავს,  
გამოსწორდა , ახლა არ იპარავს,  
ზიმბაბვეში ზანგის ბოსტანს ბარავს.

ამოვლაზე ჩავლაზე,  
ყველა კარი ჩავრაზე,  
სად გაძვერი ფხალაძე,  
ახლა რომ ხარ ძალაზე?!

მინადორას, რომ ვიხსენებ მზარავს,  
ეგვიპტეში მზესუმზირას ხალავს,  
ალექსანდრე ბერნში ხნავს და კვალავს  
და ვერავის ვხედავ დაუღალავს.





**მირზა ვარძუკელაშვილი**

**მთვარე მეფესვით ჰკიოდა...**

კავკასიონის ნისლეები,  
ნუხელ ჩემს თავზე დიოდა.  
ზეცის შამყურე ამ თვალზე,  
ცრემლები ჩამამდიოდა.

საომარს ჰგავდა ცის კიდე,  
მთვარე მეფესვით ჰკიოდა.  
ძალას აძლევდა შუაღმით,  
ნისლთ აბჭრით მიმოდოდა.

მე თქერში ვიყავ გართული,  
მთვარე ღამეში იბრძოდა.  
ნისლებს ჰმართავდა ბატონი,  
დაღლას არცვისთან ჩიოდა.

იბრძოდა მთვარე მეფესვით,  
ღამის წყვდიადი შიშობდა.  
ვარსკვლავნი მიმოფანტულეს,  
მტრის და თავის მკვდარს ტიროდა

**გაუბრალოვდა...**

გაუბრალოვდა ქვეყნად სინდისი,  
ნამუსს პატივი აჰყარეს დღესაც.  
არ ექცევიან ასე ომშიც კი,  
სანამებელად ჩავარდნილ ტყვესაც.

დაყრუვდა რატომ ნეტა სამყარო,  
უკვე ტაშს უკრავს ვაცობის მკვლელსაც.  
კაცობრიობა დამძიმდა ისე,  
მოსმენის ნაცვლად დასცინის ბრძენსაც.

გაუფასურდა ადამიანი,  
უკვე ვედარ სცნობს მის შემქმნელ ღმერთსაც.  
რა გადაგვარჩენს მაშინ მითხარით,  
უსიყვარულოდ? ვაი ჩვენს მტერსა.

**ადამიანად ჩავთვალე თავი...**

მე სიყვარული შევიცან მაშინ,  
როცა ტკივილის გამიჩნდა გრძნობა.  
ადამიანად ჩავთვალე თავი,  
ოდეს ვისწავლე სხვათ დარდის ცნობა.

აქ არაფერი არ ბრწყინავს ისე,  
როგორაც სულის მყოფობა ღმერთთან.  
სუფთა სინდისით ყოფა ამ სოფლად,  
არის შეხვედრა მუდმივად მზესთან.

ჭეშმარიტება შევიცან მაშინ,  
ეს სიყვარული მენვია როცა.  
ახლა ურყევლად მწამს შემოქმედის,  
ვიცი რისთვისაც ღირს ქვეყნად ყოფა.

წარმავალია ყველა სიმდიდრე,  
აქ ნაგროვები ვაცთ არრით ჰმოძღვრავს.  
სიყვარულია გულს ჭეშმარიტი,  
რაც სულს უკვდავი სამოსლით ჰმოსავს.

**შენი თვალაზი...**

შენი თვალეები მახსენებს ზეცას,  
თითქოს მნათობი ცხრა თვალით მიმზერს.  
ვერსად გავექეც მის მცხუნვარებას,  
ჩემს უშენობას ლოდიანი მივსებს.

რატომღაც ველი სულ ცისკარს ქალო,  
არ ვკარგავ შენი აქ მოსვლის იმედს.  
მწვერვალს ახარებს წითლად აისი,  
მე უშენობის ლოდიანი მიწვევს.

სიომ დაჰბერა დასიცხულ ყვავილთ,  
თითქოსდა მათ საფერებლად ინევს.  
მე შენს სიყვარულს მონატრებული,  
მანდილოსნობას მზე ქარი მიწვევს.

შენი თვალეები მახსენებს ზეცას,  
ნეტავი ერთხელ მენახა კიდეც.  
ჩავძირულიყავ მაგ უსასრულო,  
სიყვარულის ტბას დავეხრჩე ისევ.

**წვიმს...**

წვიმს ეს სექტემბერი გადირია,  
ელვა მგზავრს უნათებს გზას მიმავალს.  
მგზავრიც მიაბიჯებს დაბნეული,  
არც გრძნობს სიყვარულით გულის დაღლას.

ან კი საკვირველი აქ რა არის,  
წვიმა სექტემბერს ხომ სულ თან ახლავს.  
წვიმა ცრემლებია სექტემბერის,  
ოქტომბრის რომ ნატრობს გულით ნახვას.

როგორ იცრემლება სექტემბერი,  
ნეტა შევსძლებ ამ მთის გადავლას.  
ქალავ უშენობით დავიღალე,  
შენზე ფიქრით სევდამ გადამღალა.

წვიმს ცაჲ ჩამოიქცა ამ სექტემბრის  
ღრუბელთაჲ კი იგრძნეს ნისლთა ძალა.  
ნეტა ჩემო ტურფა ქალბატონო,  
რამ გაფიქრებინა ჩემგან წასვლა.

**ცრემლში ნაწური...**

ცრემლში ჩამხრჩვალნი თვალებით მზერა,  
ოხ რა მიძიეა მშობელი ქვეყნის.  
ო რა ძნელია გათავისება,  
კერას მომწყდარი შვილთ თვალზე ცრემლის.

გაუსაძლისად უფრო რთულია,  
მონატრებისგან ჩავლილი დღენი.  
ღამე ნათევი ოთახში კენტად,  
განშორებისგან ჩამქრალი მზენი.

რთულია ძალზედ ემიგრანტობა,  
გულზე მარწუხი მუდმივად მწველი.  
ღმერთო დალოცე გასული ყველა,  
ყველგან ამ ქვეყნის შვილი ქართველი.

ცრემლში ნაწური თვალებით დღესაც,  
ხატთან უპყრიათ ხელში სანთელი.  
და ავედრებენ ღმერთს საქართველოს,  
ღღე გაუთენოს ნატანჯს ნათელი.

**ცაჲ ლურჯო...**

ღამე გატეხა მგლისფრად ცისკარმა,  
შემოდგომისფრად ქარი ნავარდობს.  
გადუღელიათ გულმკვრდი კლდეთა,  
როგორც ბრძოლაში დაჭრილ ავადმყოფს.

აჭრელებულან ტყეთა ფოთოლნი,  
ჭალის ნიაჲ მათთან ნავარდობს.  
წყარო კლდის ძირში ამღერებული,  
ყვავილთ სიყვარულს გულით არა სთმობს.

ნისლთა ქულები აქა იქ წვანან,  
ცისკრის ვარსკვლავთან მთვარე თამადაობს.  
ინწევს ნელ ნელა მთას ალიონი,  
კალმახი თერგის ჩქერში თამაშობს.

მყინვარს სამების ზარის ხმა ესმის,  
ახსენებს ცისკრის ჟამს საარაკოს.  
უკან გაბრუნდა ხევიდან ნისლი,  
ცაჲ ლურჯო დასჩნდი ქართველთ ზღაპარო.

**მე თქვენ ყველა მიყვარხართ...**



არ ვარ იმიტომ შექმნილი რომ ვიღაცა მძულდეს,  
საძულველია კაცში მხოლოდ ცოდვის ქმედება.  
უფლება არ მაქვს მე ვინმესი რამე რომ მშურდეს,  
შურ სიძულვილში იკარგება უფლის ხატება.

ჭეშმარიტება ჩემი ყოფის აი ეს არის,  
მე სიყვარულით შემქმნა მხოლოდ უფლის განგებამ.  
იცი მე მიყვარს ყოველივე ღმერთის შექმნილი,  
ეს მე კი არა თვით უფალმა ასე ინება.

იქ სადღაც დედა...

იქ სადღაც დედა გლოვობს თავის შვილს,  
ვიღაც ვერა გრძნობს მის ტკივილს ლაღობს.  
სადაც მაძლარი მიმოდის ვაცი,  
იქვე მშვიერი ნაჭერ პურს ნატრობს.

ბევრმა არ იცის ღვთის არსებობა,  
სადღაცა ახლა ძმა ძმას ღალატობს.  
ახლა ამ წუთას ვიღაცა ვაცს ჰკლავს,  
ვიღაც ლოცვებით ღმერთთან ბაასობს.

ოჯახში სადღაც ბავშვი ჭყვიტინებს,  
ვიღაცის ბავშვი ბურთს ვერ თამაშობს.  
ვიღაცას სტკივა სადღაცა მღერენ,  
სხვის ტკივილს სხვაგან არვინ არა გრძნობს.

რა დაემართა ადამიანებს,  
რამ დააყრუვა ნეტა სამყარო.  
რატომ გაჰქვლე ღმერთის ხატება,  
სულს რად იმუსრავ ადამიანო?

იქ სადაც დედა გლოვობს თავის შვილს,  
ვიღაცა ყანწით ქორწილს თამადაობს.  
ტაძარში წირვას აღავლენს მღვდელი,  
მრევლთაგან ბევრი უფალს არ ჰმადლობს.

ღმერთო შეგვინდევე ეს უგნურება,  
იქნებ ამ ცოდვით ლოცვით გაგვყარო.  
უფალო თავად უცოდვილეგი,  
განმკურნე როგორც სავლელ დამასკოს,

დამისხით...



დამისხით თასი შეავსეთ,  
სადღეგრძელო ვთქვა ხმიანი.  
სამშობლოს უკვდავებისა,  
ხვალ არამც იყოს გვიანი.

მიდი თამადავ შამღერე,  
ქართული ლაზათიანი.  
ბანს შევეწია იქნება,  
როგორაც ჭალას ნიავი.

აბა დავლურიც დაჰკარით,  
ცერს ვანყებინა წრიალი.  
დავჰქროლა იქნებ ერთხელაც,  
ქართული ცეკვა მზიანი.

დამისხით უნდა მოვასწრო,  
მზეს სიყვარულით ციალი.  
დღეს მინდა გითხრათ მიყვარხართ,  
ხვალ თქმა არ იყოს გვიანი.

ეჰ დავრჩი...

ეჰ დავრჩი დავრჩი მარტოვა,  
არას უჩივი ბედსაო.  
მარტოვას ყოფნა სჯობია,  
ძმობით გვერდში მდგომ მტერსაო.

მე მარტო არსად დავრჩები,  
მე ჩემ ცოდვებით ვკვნესაო.  
დედაი მყავ და ძმიშვილები,  
მამაი საფლავზე წევსაო.

მე ვარ და დედაი ეს ჩემი,  
ვისი თვალითაც ვხედავო.  
დედის ვთხოვ დედაჩემისას,  
მის ჯანმრთელობას ღმერთსაო.

მარტო არასდროს ვიქნები,  
არცრას შავიმჩნევ ბევრსაო.  
უფალი ხომ მუდამ ლოცავს,  
დედაშვილობის წლებსაო.





ლიანა კაკუბავა

**ცოდვილი დავახეხავი.**

ვუძლებ ტკივილებს, მიჭირს მიგნება,  
ვერ მოვუარე გულს-ნაიარევს,  
გადავეფარე წმიდა ხატებით,  
მინც ლოდივით გადამიარეს.

ფათურით ვეძებ სულის გასაღებს,  
კენჭი როდია უცებ ავაგდო?!  
დანყებულია.... მე ვიცავ წესებს  
მორიგ რაუნდზე არ მსურს წავაგო.

დროის მსაჭულად ამყავს ფიქრები,  
ზოგ-ზოგებს ოქრო, მე ვერცხლი მშველის  
და თვალებიდან ყაყაჩოების  
გაშლილ ველებზე განაჩენს ველი.

ვაგულიანებ დათრგუნულ სხეულს,  
თანდათან გასდით ვენებს ფერები.  
განელილია წამლობა ყოფის,  
მეფე ლირივით დამსდის ცრემლები.

ჩემი იღბალი უფლის ხელშია  
და ფეხქვეშ მხოლოდ მუზას ვეგები.  
იგივე დავრჩი დღემდე მოსული,  
ერთი ცოდვილი დავხეხეტი.

**ვემსგავსები დედინაცვალს**

ლომის ღრიალს წააგავდა შთაგონება,  
ვსესხულობდი ბენო სითბოს გააფთრებით  
და ვიხილე: ატმისათვის გალას ქარებს,  
ქარვისფერად დაელენათ ისევ ფრთები.

ორთაჭალის ტურფას ვეძებ ახლა უკვე,  
ღირსად მთვლიან, თუ არ მთვლიან არ დავეძებ!  
კამათობდნენ მნათობები ჩემს ასაკზე  
და მიგებდნენ ორბიტებზე სავალ ღერძებს.

მთების გზებზე წმინდას ვლოცავ ხელში ჭვარით,  
ბოროტება სიკეთემ ვერ ჩაანაცვლა.  
ბრუნავს წრეზე თავდაყირა კარუსელი,  
მეც მგონია ვემსგავსები დედინაცვალს.

\* \* \*

დღეს აშარ ქარსაც გადავუდგები,  
მთებს გადმოვანვენ ჩემი ზღვის პირას,  
მზეს ჩამოვიყვან, სულ კოცნა-კოცნით  
თმებში ჩავუნნავ მკერდსავსე ცირას.

დღეს გულის კარებს მივაყურადებ  
და გაიღება გამოხურული,  
თვალებს ცრემლები ვიცი ექნებათ,  
ბოლო წვეთამდე გამონურული.

დღეს ყვავილებსაც გამოვიგონებ,  
რომ ყველაფერი გაზაფხულს ჰგავდეს ,  
მერე სუსხიან ამ შემოდგომას  
მეც დაისივით, მინდა დავაკვდე.





ადეიშვილი ვობა

\* \* \*

\* \* \*

მესამე ლექსი ამ ოთახში ვნერ თანდასწრებით!  
 ორი მოვიგე, ამოვიგდე  
 სიტყვა თავიდან.  
 მეოთხე ლოცვა, გაშლილ  
 მკერდზე სასვენ ნიშნებით!  
 სიტყვა ხმაურობს ვკაფიაობ  
 ,, დასაბამიდან" .  
 ლექსის ხურჩინი, აკვანივით ბეჭით ვატარე ;  
 ვიყავ შენდობა, შენდობილი სიტყვების ღმერთი.  
 ვძერწნი რქანითელს, საწნახელში  
 ვანვეთებ სიტყვებს.  
 ლურჯ ზღვის ნაპირებს, ოკეანეს ფერებში  
 ვძენნი.  
 მაყვლის თვალებავ, ათვლილ ბგერავ  
 გარმონ კლავიშზე,  
 მთის მწვერვალიდან დაშვებულო ლელიანებო!  
 ლაქაშებშია ჩამალული ნამგალა მთვარე.  
 ჩემად მეტრფი და გელოლიავე ჩემო  
 ,, ყვავილო "...

30 : 08 : 22

ტრფობის სამკუთხედს ცხელ ქვიშაზე  
 მოცეკვავე რითმს!  
 გაშლილი თმებით მონავარდე ალვის  
 ალებას.  
 მოსეირნობდა სამკუთხედში ზღვის შევარდენი.  
 გრაფიკის მუზა მოზაიკად შარავანდედად.

შემოფრინდება ცხელი ქვიშა სევდის ალებით,  
 შემოადნები ცხელი სურო ბედის ბორბალზე.  
 ცხელ მონაკვეთში დამწყვდეული გალიის გამა  
 კვისარი და ფარაონი წისქვილ დოლაბზე.

მივილტვით ვხედავთ რითმს ვთვლი ყელზე,  
 ვლექსავ მუზად მზე ს.  
 ფანდურის სიმზე ქვებს ვთლი, შინდში  
 მგეს მოზაიკად.  
 მითის დედოფალს, გვანცას ფიქრებს  
 ალავერდის დღეს.  
 პირამიდების ატრანშეას, მთის მოზამბიკას

ლექსად მუზად მზე.  
 თმის თვალები წითელ, გუნდ ლურჯში...  
 ოკეანეზე მითმასნილი სირცხვილის ბოძი.  
 ვფიარე და ისევ ვცოდავ, ვღალატობ მთვარე,  
 სულში მაფურთხე რომ მიწოდე სად იყო ბოზი.!

/ ლექსად მუზად მზე...



**დღეა ზეიმოვს ღვინო!**

„ K A G O R I “  
დილის ლაითი ჩვეული  
ლექსი.  
მე შენი სუნთქვა.  
როგორც ამბორი,  
მებრძვის და მკერდზე..  
ყვავილებს მესვრის.

--- დილაა ჩემთან, შენით ვიმეფებ!  
შენთვის დავწერავ მართლის  
ს ა ნ ნ ა ხ ე ლ ს.  
მე ! შენი მკერდის გულის იმეფებს.  
მე ! შენით ვეტრფი ! მუზის ქარაგმებს.

დღე და მთვარეა !  
ასეთი რამე..?  
ვინმეს იათად.  
შეუსყიდია !  
მე შენით მესმის !  
ცრემლთა სიამე,  
დილეგში მარტი...  
მოუთოვია.

--- ისევ ავოსნობს' ძეხორციელი.  
იბრძოდა კლდეში ვითარც ისარი.  
ეხლა დაღამდა...მესროლეთ ლექსი!  
ივნისში, დარდში, ჯამში. ფიცარი.!

შენ!,, ჩემო ლექსო გაფრინდი წადი."  
რამდენი კიდევ დასათმენია..  
მუზა! სიყვარულს თუ ამიკრძალავ!  
ყვავილს მკერდში გესვრიან !.

\*\*\* დილაა ჩემთან ღვინით ვზეიმობ!  
თავი დავმარხე ! რადგან ასეა  
მუზავ სიყვარულს ნუ ამიკრძალავ.  
დილა და ღამე ლექსად მწადია! ---

შენ! ღვინისფერი გქონდა ტუჩები...

10:06 : 2020

\* \* \*

სივრცეს დასასრულს ცის  
ლაჟვარდი დაადეს ნამად.  
ყინვის მართკუთხედს, სანოვაგე  
ჩაცალეს ჯამში.  
ასე იწრთობა სიამაყე,  
ახლდება დაბა.  
ართვინს მხცოვანნი გაჰყვიან  
მცხუნვარე ზღვაში.

ია, კოკორზე გადამსხვრეულ  
მწითურა მაჭებს.  
კვრტზე ენთება სიამტყუპის  
ცალი მენილე,  
ალავერდივით გადავდივართ  
ფილტვების ჯავარს.  
ალაზანივით გავიზვირთე  
როლის მენყვილე.

ქუხს, ორნამენტი საიდუმლო  
სერობის კვალი !  
წითელ ღვინოში,პურის ნამცეცს  
ანობს მორალი .  
მთვარეს მოსტაცეს სამთვარეო  
უძილო ღამე ;  
დროშის ფერს იცვლის  
სათაყვანო " გორამბორგალი "

ქუჩის ლამპიონს გვირილისფერ  
,, უვადო ღელვას .  
დილის ორგიებს სერენადებს,  
ციფრების წამებს .  
მეტეორები მიაქროლებს ცივილურ ვნებას!  
ვიღაც, ვიღაცის მაგივრობას  
პროტოტიპს ლანდებს...  
03 ; 09 ; 22





თემურ გოგსაძე

სიყვარულის ხატი

\* \* \*

ხელისგულზე ვაზავებდი ფერებს...  
გიხატავდი სიყვარულის ტაძარს!..  
ჩემი თავი, თითქმის დავაჯერე -  
ჩავაქრობდი განშორების ხანძარს?!..

გუშინ, ზეცას ვუგალობდით, ერთხმად...  
ხვალ კი, უკვე, მოგონება-ვხდებით?!..  
სიყვარულის მზე, გვაჩუქა ღმერთმა...  
თუმცა ამას, ძალზე გვიან, ვხვდებით!...

დრო, წამების, ბოლო წამებს მითვლის...  
ფერებში ვდებ, ყოველდღიურ კოცნას...  
ჩვენი, ნაზი, სიყვარულის მითი,  
პლანეტებზე, ვიცი, გაიტყორცნა!!!

ემოცია, გონმა გადაფარა...  
ძველმა სიბრძნემ, სევდაც მომიქარგა...  
არაფერიც, არ მთავრდება, არა-  
იმას ვიძინო, თურმე რასაც ვვარგავთ!!!

გაიხსნება გზა, იქ, სადაც, არ ჩანს -  
უსაზღვროა, რწმენის ანდამატი!...  
მთავარია - სიყვარული დარჩა  
და ნახატი - სიყვარულის ხატი!!!  
„მონანიების მელოდია“

\* \* \*

...ეამბორება  
თითები-თითებს!  
ჩვენი სულები  
ანყოვნ რითმებს!  
ქრება - დროის და  
ასაკის - ზღვარი  
ეს ჰარმონია,  
მართლაც სხვა არი!

და გარდამოსვლა -  
ჩემში და შენში,  
მომენატრება  
სხვა სიცოცხლეშიც!...  
შენა ხარ,  
აღთქმა - წუთისოფელში,  
მარადისობის -  
გზა და ნუგეში!

განგება,  
ღვთიურ წრეზე,  
გვაბრუნებს...  
და მონატრებაც -  
გაუსაძლისი,...  
სხვადასხვა დროშიც,  
ნახვას გვარგუნებს -  
ჩვენი სულების,  
ლურჯი მეჭლისით!!!  
(„სიყვარულის ანარეკლები“)

სიყვარულის ანარეკლები

\* \* \*

კოცნით დაგიშანთავ-  
ნანატრ, ლამაზ სხეულს!...  
სულზე მოგიხატავ,  
მარტის ყოჩივარდებს..,  
რომ ამ სიყვარულით,  
სავსე- გადარეულს,  
ქვეყნად სხვა არავინ,  
აღარ შეგიყვარდეს!!!  
  
მერე ამ წამებსაც,  
ტილოდ გარდავსახავ –

სულში შემოვარდნილ,  
გრძნობის, პირველ მეკვლეს!..  
მარადისობისთვის  
ასე, შევინახავ –  
ჩვენი სიყვარულის,  
ლამაზ ანარეკლებს!!!  
-----  
მარადისობისთვის,  
კრძალვით შევინახავ  
ჩვენი სიყვარულის,  
ლამაზ ანარეკლებს!!!  
(„სიყვარულის მარადისობა“)

დავითის რისხვა

ეს ფრაზები, მუხრან მაჭავარიანის და ტაგუ მებურიშვილის ლექსებთან ერთად, სტუდენტურ შემოქმედებით ოლიმპიადაზე, „ცენზურის“ გვერდის ავლით, ლიტერატურულ –კომპოზიციად წარედგინა უნივერსიტეტის დარბაზს...“ მეფე დავით აღმაშენებლის სიმბოლური მანტია – გვირგვინით, ზარების რეკვის, საგალობლისა და სანთლების ფონზე – ფეხზე დამდგარი სცენა და დარბაზი, ერთსულ ვლოცულობდით სამშობლოს თავისუფლებაზე. იმ წუთებში, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ყველაფერი არარაობაა, სამშობლოს სიყვარულთან მიმართებაში.

\*

და მოდიოდა ძლევად ღვთისა, წამებად ერის...  
იმპერიების ბოროტება – ურიცხვი მტერი!...  
მაგრამ ქვეყანა, ესე, ჯვარცმული,  
ტყვეობაშიც კი, არ ნებდება, ღვთის სიყვარულით!!!  
რომ არა ჩვენივ, გენის ღალატი  
რას დაგვაკლებდა მტერი, ვერაგი?!  
ბევრჯერ გავადეთ შიგნიდან ციხე,  
შემოვიხსენით, ჯაჭვის პერანგი.

თუმცა ქვეყანა ესე ჯვარცმული,  
ვერ დააჩოქეს, მაინც ვერასგზის  
შემოვიინახეთ სული და რწმენა  
და ღვთაებრივი, ფესვები ვაზის!...  
დღეს კი, რა ღმერთი, გვინყრება ასე?!  
სრული დაცემის გვიდგას დროება  
და აღარ გვახსოვს, სამშობლოს ხარჯზე,  
ბედნიერება არ იპოვება!!!

.....  
მხოლოდ ერთობა,  
მხოლოდ ერთობა!  
თავისუფლება არ მოდის დავით!  
.....  
და გარდმოვედი, ამიტომ, დავით!

.....-  
ვაუქმებ ანდერძს! –  
„ფეხი დამადგით, ფეხი დამადგით,  
გულზე ყოველმან!“  
რადგან თქვენს გამო, ერმა ჩემმა,  
საიდუმლო არსის მპყრობელმან  
დასთმო ღირსება და სამწუხაროდ,  
სხვის ტახტრევანთან, კიდევ დიდხანს,  
ჩვენი ნებით, ჩავიჩოქებით?!  
აღარ მსურს, ანის, შეიბილწოს ჩემი სამარე...  
თქვენ იბერიის, ბრწყინვალეობა დაასამარეთ!  
ჩრდილოეთის მზეს მიეფიცხეთ ფარისევლები!...

.....-  
ერთურთს  
არ ინდობთ,  
სუფრასთან  
კი, ურცხვად რაინდობთ,  
უცხო რტოებს და უცხო სიტყვებს თავზე  
ევლებით?!

.....-  
დედა  
სამშობლოს ვერრას არგებთ  
სულით მძევლები!!!

.....-  
ერთმორწმუნეა!  
კვლავ  
ჩაგვძახით, რა გაეწყობა?  
მხოლოდ  
უგნური, ბნელისაგან,  
ნათელ დღეს ელის?!  
სამყარო  
ჩვენი, სხვა მცნებაზე, ვერ აეწყობა!  
ბოროტის გენი, ვერ იქნება,  
სიყვარულის  
თესლის მთესველი!...

ერთმორწმუნეა! –  
ამიტომაც გადაეცით, თურმე მთავრობა! –  
ამგვარად წირავთ,  
უკვე ორი, საუკუნეა?!  
საკუთარ სულს და მომავალს სწირავთ,  
სად გადაჩეხეთ, უბედური შთამომავლობა?!

.....-  
ერთმორწმუნეა –  
ვინაც ჩვენი, დაანგრია ციხე-ტაძრები!..  
ვინაც დასერა, ჩამოფხიკა,  
ყველგან, ხატი – წმინდა,  
ჩვენი, სადიდებელი!!!

.....-  
ვის სულში, გონში, გატარდება ცოდვის ამრები,  
როგორ იქნება, ღმერთის,  
მართლადმადიდებელი?!

.....-  
ჰოდა,  
ფრიალებს მყინვარწვერზე,  
დროშა გაშლილი!...  
თეთრი  
მერანი, მხედარს ითხოვს  
ფაფარ აშლილი!...

.....-  
თავისუფლება  
ჩაიხუტეთ, გულში ბავშვივით!  
დამპყრობლის გვირგვინს  
არავისთვის  
მოაქვს დიდება,  
თავისუფლების  
მზე,  
სულ  
მალე ამობრწყინდება!!!

1984 წ. 19 აპრილი, თსუ სააქტო დარბაზი

(ახალი კრებულიდან – "სიყვარულის  
მარადისობა" )

**ავტობიოგრაფია**

მიყვარს ჩემში, დედა-მინის სურნელება!..  
მაგრამ მაინც, მთავარია, უფლის ნება!  
ჰუმორები, ქცევის რიტმებს, თუ განაგებს,  
რწმენის არსი- მარადიულს  
გვიქადაგებს!

ხშირად ვიცვლი, ემოცია, გრძნობა-აღქმას!..  
არ ვღალატობ, სულში, სიყვარულის აღთქმას!..  
მე, დუმილის მეტყველება, უფრო მიყვარს-  
ღირსებიდან, არასდროს არ გადამიყვანს!...

ვეთხოვები ცოდნას, რაც მხდის- უცოდინარს!..  
ვეძებ სიბრძნეს, სიკვდილ-სიცოცხლიდან, მდინარს!..  
სიგიჟეა, ანდა, იქნებ, უფრო მეტიც-  
გარდასახვა, ძებნა-სულ სხვა, ინტელექტის!...

ეპიფიზშიც, ვერ ეტევა, ჩემი სული,  
პლანეტების გონის თხემში, გარდასული!  
აზრთა დოდი, შეუცნობელ , ძალას იძენს,  
სადღაც ქრება, დაბრკოლება-დრო და სიგრძე!

წარმოსახვა, უსასრულო, წყებად მოდის,  
თუმცა მახსოვს, გარდასული, დროის კოდიც!..  
თავისუფლად მონავარდე-ცნობიერი,  
ვერ იქნება, ვერცერთ დროში, ზომიერი!...

გონი ჩემი, უსასრულო ზღვარსაც გასცდა...  
ჭეშმარიტი ნეტარების, მხიბლავს, განცდა!..  
ჯოჯოხეთს თუ, სამოთხის გზას, კი არ ვარჩევ-  
მარადიულ წრე-ბრუნვაში, მინდა დავრჩე!...

ასეთია, გარდამოსვლის, სრული, არსი!-  
აღმასვლებით იზომება, დროის ფასი!  
იფანტება, ნუთისოფლის, სევდა-ჯავრი,  
თუ გონება, ხდება, ღმერთის თანამგზავრი!

**ფოტოლხვანა**

წამი-წამს მიერეკება...  
თვით დროა-გადარბენაში!..  
სიცოცხლის გზა ირეკლება,  
ყვითელ ფოთოლთა ცვენაში!...

დრო იყო-ასაზრდოვებდა,  
ფოთოლი, მწვანე ბუნებას!..  
ახლა, ფერებით, გვტოვებს და,  
სამყაროს ესალბუნება!...

და ფერთა ჰარმონიაში,  
მზის სხივებს, ვეძებ- თითებით!..  
დროის უღმობელ გნიასში,  
მაინც, იმედით, ვინთები!...

ტკივილი, აღარ გვირჩება,  
დრომ, უქმად, თუ ჩაგვირბინა?!  
მხოლოდ ის ცოცხლობს, ვინც რჩება,  
შთამომავლობის გვირგვინად!...

უკეთ, ვერავინ, ახსნიდა,  
მშვენებას-გარდაცვალების!..  
ჩვენს თვალწინ სცვივა-არსი და  
სიცოცხლის ნატერფალები!...

ამ, გასაოცარ, სინაზეს,  
სხვა სამყაროში, მიყავხარ!..  
ვღრიალებ, დროის ჭინაზე,  
მარადიულად-მიყვარხარ!...

-ჰუმორები-ადამიანის სხეულში, სითხედ გარდაქმნილი სინერგია, რომელიც ქცევებს განაგებს  
ეპიფიზი- ტვინის ჯირკვალი, სადაც, მეცნიერების აზრით, სულია მოთავსებული





მანანა სამყურაშვილი

### როგორ ვდარდობ

ამ ჭიქასაც დავლევ რაც გინდ დამემართოს,  
ბაგე სიტყვას შერჩეულად გადმოშლის...  
წინაპრების ნამოქმედარს ჩემი გული,  
ფურცელ ფურცელ სულ უკლებლად ჩამოთვლის...

მაგრამ გულის ნაფიქრალი მწარეა და  
თვალი დარდებს ღვიარებად ჩამოშლის...  
ჩემი გმირი წინაპრების სადიდებელს  
გული, არვისთან არ მოიშლის...

ვერ ჩამოვთვლი მათ გმირობას მრავალია...  
მე წინაპრის განდიდება მავალია...  
მათ სამყოფელს ვერ მივწვდები ცად არიან,  
ზეცამდე კი მხოლოდ მართალთ სავალია...

როგორ ვდარდობ, რომ იცოდეთ დღეს ისინი  
ცრემლებს ციდან ნამქერებად რომ მაყრიან,

### თუთიყუში...

თუთყუშო, როგო მგეხარ,  
იმეორებ ჩემს სიტყვებს...  
გიყვარს ყურში ჩურჩული და  
შენც აგინებ ზოგ ბრიყვებს...

ნეტავ ასე ვინ დაგბადა,  
რად ხარ ენა ჭარტალა...  
დრო ლხენით და მიოქმა—  
მოოქმით რატომ გაატანტალა....

ენის ურცხვი ტლიკინი,  
არავისთან გეკმარა!..  
შენ ხარ ერთი ნებიერი  
ბრიყვი ტაკიმასხარა...

გიყვარს ფეხით დაკიდება,  
საქანელა, ტრიალი...  
სივრცე სულ არა გჭირდება,  
და არც დარი მზიანი...

პატიმარო, გალიაში,  
ხარობს შენი გულია,  
ბინა მოგწომს ვარდებით  
და კენჭით დაფარულია...

ჭრელა —ჭრულა კაბაში,  
ვინ გედრება ქაქანში,  
სიტყვა სწორი თუ აიღე,  
ბზარი არ გაქვს ნათქვამში...

### მთა და მცხხვარა!..

მთებო, კალთები გაშალეთ,  
ცვარი მოჰფინეთ მდელოზე.  
ცხვარი მსურს გავამზიანო,  
შენსა მზის გულა ჩეროზე.

ბინად ქალი მყავს ლამაზი,  
რძით, წითელ ღვინით ნაზავი.  
მხარს კულულები ოქროსი,  
შვენია ვით ცხვარს ნაგაზი...

გული ჩვილი აქვს ფრთხილა,  
ვით მთად უდედო შველია.  
მთებო! თქვენ მინდა ემშოლოთ,  
მიიღეთ ვითა შველია.

მთებო!  
კალთები გაშალეთ,  
დარი ცეკვავდეს მზიანი,  
ჩემ ქალას გამოვიყვან და  
თმას შევაბნიოთ იანი...

მთებო!  
თქვენ მინდა ემშობლოთ,  
ლამით, მზე როა წასული.  
თქვენ მინდა გებარებოდეთ,  
მთვარისა, მზისა ასული...

**ჩიტუნია!..**

ჩიტუნია რა გატირებს,  
ცრემლად რატომ იღვრები!..  
შენც ჩემსავით მიტოვებულ  
ობლად ხომ არ ითვლები?!

დარდითა და სევდით სავსე,  
გატყობ ცრემლად იცლები,  
ცრემლი გდის და საყვარელო,  
დარდებით რად ივსები!..

ჩემი გულიც აატირე,  
სევდის ყანწით ვითვრები,  
ქარო უნდა მიმასპინძლო,  
ხედავ? დარდით ვივსები!..

თუ გავქრები აღარ მოვალ,  
ცაზე ნისლად დავჯდები,  
როგორც მწირი თოვლის ფიფქი  
გულზე ჩამოგადნები...

♠<♥>♠<♥>♠<♥>♠<♥>♠<♥>♠<♥>♠<♥>♠<♥>

**იმან რა იზის...**

ჩემი დარდები ზვის ტალღებსა გავს,  
ანგრევენ გულის ძარღვებს, კაპილარს,  
ზღვის კენჭებივით ჩამორეცხილი გული  
აგდია ტალღის ნაპირას...

რა ვქნა რა ვუყო, რით ვანუგეშო,  
გულს დარდი სჭარბობს სევდა, სენია...  
არვის ეგონოს რომ ეს სამყარო,  
სიცოცხლე ვრცელი მარადისია....

დღეებს ვენკავენ სვავნი, არნივნი,  
კუჭი არა აქვთ ვერა ძღებიან...  
არავინ ფიქრობს საიქაოში რომ  
ცოდვის ხიდებს ვერ ასცდებიან...

ისეთს რა ვუთხარ, გონად, უგონოს,  
რომ თავის გულში სულს არ ჩაბეროს,  
და ყოველ ლუკმის აღების მერე,  
მინიდან ზეცას აღარ ახედოს...

მდიდარი კაცის სული დაინვას...  
ლატავს წაართვას ლუკმა თავისი...  
ღვთის შვილია და იმან რაიცის,  
ღმერთს გულში უზის შვილი თავისი...

**ირაჟო!..**

ირემო მთასა მყვირალო!  
აქ ჩამოსახლდი ბარსაო,  
არ გადამყარო იცოდე  
მოულოდნელსა დარდსაო!..

ჩემებრ გატყობ რომ შეჰხარი  
მალალ ტინიან მთასო!  
მტერს ვერ აუბავ ღამეთი  
გამოსათხრელსა თვალსაო...

რიჟრაჟზე თოფის ხმა მესმა,  
მალევე ძაღლების ყეფაო!..  
მონადირისა ავ გულში  
გაშლილა ლხინის სეფაო!..

მოგდევს, რქით ანგრევე ჭიუხვებს,  
ჩლიქით მინასა ფლეთაო!..  
თვალში მოუხველ უგულოს,  
რომ ვერ გიხილა მჭლეთაო!..

მოხველ და ჩემს წინ ჩამოდექ,  
ვით ამომავალ მზეთაო,  
გულმა იგულა გული და  
დგეხარ ამაყი მხნეთაო!..

**გული-გულთან...**

ლექსით მინდა მოგეფერო,  
ქალავ ჩემო თვალის ჩინო!  
მოდე ჩემთან ლამაზმანო,  
დარდები არ გამიჩინო!..

აგიტაცებ, მთვარის მუხლზე  
გულს ვარსკვლავებს შეგაბნევ...  
ცის დოქებს და მთვარის ყანწებს  
ცრემლებით ნუ შეავსებ!..

ღრუბლის ქულას გავატანოთ  
ჩვენი გულის დარდები,  
ცას ლურჯ თვალზე ჩამოვფინოთ  
მზის სხივების ფარდები!..

უკუნში თუ გავყუჩდებით  
ღამე ვეღარ გვიპოვის!  
გული – გულთან სიყვარულს და  
ნეტარებას იპოვის!..

**თორე მაგ შენი...**

ქალავ ვიცი რომ შენ ჩემთვის,  
სიზმრად ცრემლები ღვარეო...  
ბევრჯელაც თეთრად ათენე  
კრული, შავ-ბნელი ღამეო...

მე ვი იცი? რომ ვნატრულობ  
ნუ გათენდები ღამეო!..  
გულში მინათებ ისე ვით  
ცას ლურჯ კალთაზე მთვარეო.

ველზე ყფეს შავი ნაგაბი,  
გაავებულა ღამეო!..  
ცრემლი შეიშრე ქალავ,  
ტრფობის მითხარი რამეო!..

ღამევ ნუ გამითენდები,  
სატრფოვ მითხარი რამეო!  
თორე მაგ შენი დუმილით  
მეც გული მოვიშხამეო!..

ცრემლი მდინარედ ქცეულა  
მონმედ მომყვება მთვარეო!  
გამო ქალავ და ბაგეზე  
ვარდები გადმოშალეო...

**მისი ნაამაგარი...**

დასანერად ველარ ვპოვე  
ქალაღდი და ფანქარი,  
ლექს ფოთოლზე დაგინერ  
ხვთის ხელით არის ნაქარგი...

ბევრი რამე მომაგონდა,  
ფიქრი ნისლში აბლავლდა,  
აზრი ველარ შემოვკრიფე  
დარდი გულს მიდაგავდა...

გონად მდარე მიხუცისგან  
არვის უნდა სანდალი,  
მისი ნათქვამი ჰგონიათ  
მრავალთ აჯაფსანდალი...

სული ჯანმრთელი რომ იყოს  
არა ნაავადარი,  
სიბერეში სუმთლად ქრება  
მისი ნაამაგარი...

**ამიტომ მე...**

სულ არ მინდა, არ მაოცებს  
მე , წითელი ვარდები.  
სხვა რამ მომწონს, მე სვას  
ვეტრფი, სხვა მაოცებს კადრები!..

მზე და მთვარე, ვარსკვლავები,  
მათი ტრფობით დავდნები!  
ეს სიცოცხლეს მირჩევია  
გადაყარეთ ვარდები!..

ვარდი ეკალზე გაშლილი,  
მეორე დღეს ჩაშლილი....  
ვის უნახავ ცის კიდებზე,  
მზე და მთვარე,  
ვარსკვლავები ნაშლილი?!

ამიტომ მე დამანებეთ  
ცა და მისი შვილები!..  
მათი ტრფობა სიყვარულით  
ამაყი ვარ, მშვიდდები!...

**ძმა-ძმას მივჯაბათ...**

ჩონგურს სიმები აუბი,  
ავახშიანე მთანო...  
სუფრაზე გვერდით დავისხი  
ჩემი ერთგული ძმანო!..

ჩონგურო გული გახსენი,  
პაპისა ვიხმე ხმანო!  
ცხრავე მოვიხმე სუფრაზე  
ხელხეულიძის გვარიო!..

მოდმემან ხელი გაშალა,  
ხმალმა-ხმალს მისცა ბანო,  
ისევ კიჟინებს ბრძოლებში  
ძმათა ძლიერი ხმანო...

მხარი-მხარს მივცეთ ყოველმა  
ბარს ძმად ჰყოლია მთანო,  
მოკეთედ ძმა-ძმას მივებათ,  
არას მოგვიტანს სხვანო...



**ქალაუ...**

თუ ჩემი ტრფობა გნადია,  
თამამად მითხარი...  
სიბერეს ხელები  
ერთხელაც გაჰკარი...

გვირილის თაიგულს  
სამკუთხა ბარათი  
ისევე დავადე როგორაც  
წესია და როგორც ადათი...

სხვას არავის ვანდე  
ქარს გამოვატანე,  
გყვო რაც დარდები  
მაგ გულით ატარე...

მოვდივარ მოგიძღვნა  
ლურჯთვალა კესანე,  
რად მორცხვობ ქალაუ  
ოხ, შენი კვნესამე...

**შენს გულამდე ვახწვევდი...**

რა ჯანსაღი ფრთები მქონდა,  
აღმა დაღმა დავქროდი...  
გულის დარდებს როგორც  
მტვერი, მდელოს მიმოვაბნევიდი...

იას გულს გამოვკანწავდი  
ნაზ თვალეში ხავხედდი,  
მოტრფიალე გულს კი  
ურცხვად, მის კაბაში გავხვევიდი...

ყოჩივარდას ცრემლებით კი  
ლექსს საოცარს დავწერდი...  
ლექსად თქმული წერილებით  
შენს გულამდე ვახწვევიდი...

**მადლის კალთით...**

ქუჩაში რომ გავივლიდი,  
ქართან ერთად ტრიალით,  
მომძახოდნენ... ეს გოგონა  
მამიდას გავს,  
მწვანე კაბის ფრიალით...

მოვდიოდი თან მომქონდა  
არე, ვარდთა სურნელი,  
დღემდე ვერვინ ვერა ვნახე  
ჩემი ქცევის მრთგუნველი...


ცა ლურჯ კაბას მათარებდა,  
ცრემლით გულს მინამავდა,  
სატრფიალო სონეტებს  
ჩემთან არვინ მალავდა...

დღემდე უკვირთ ჩემს კაბაზე  
ვისი ხელი ერია,  
ვინ შეკერა, ვინ მოქარგა!  
ეს რა მშვენიერია...

ვერვინ მიხვდა თვით  
ხვთისმოზლის  
წმინდა ხელი ერია...  
ამიტომაც გულის ფონი  
დამრჩა ხვთსა ფერია...

დედა, წმინდა მარიამი!  
ჩემს კაბებსა ქარგავდა!..  
ქრისტე,  
დიდი მადლის კალთით  
დედის თხოვნით მფარავდა!..





ცაგო აბაშვიდი

\*\*\*\*

ეს ის წამია, როცა გინდა სამყაროს ეყმო,  
როცა ივსები ვოკასავით გრძნობის ნაჟურით...  
როცა ყელიდან სიტყვის ნაცვლად ვარდი იშლება  
და თვით უფალმა თავად მოგცა მამის დასტური...  
გინდა იყვირო! მთელ ქვეყანას ამცნო... ვუყვარვარ!!!  
ბედნიერების გადალახო ყველა საზღვარი,  
რაც ბავშვობაში ძილისპირულს გილამაზებდა,  
სულ ერთიასად აგხდენია ყველა ზღაპარი!  
ეს ის ნუთია, როცა თავად გახდი ნაწილი,  
ახალ სიცოცხლის, უკვდავად რომ გადაგაქცია,  
მამ გაუმარჯოს იმ სიყვარულს, იმ ლამაზ გრძნობას,  
გამაფხულივით მშვენიერი სულს რომ აცვია.....

\*\*\*\*

ჩვენი პირველი ცეკვა..  
ღამე, მთვარე და ვალსი...  
ქარში ფრიალებს კაბა,  
მთვარემ გატეხა ნავსი....  
გვთანგავს „shtrausi“-ს ვალსი,  
რიტმს აყოლილი რხევა,  
ჩემი ოცნების ქალი,  
პირველყოფილი ევა...  
უცებ...მოგპარე კოცნა,  
მთვარემ დახუჭა თვალი,  
ქარი ერთმანეთს გვაკრავს,  
აქეთ დაგვადო ვალი...  
შენი თვალების შუქი,  
ჭაობისფერი სიღრმე,  
მიზიდავს, მითრევს, ვატყობ,  
ალბათ სიკვდილი ვიძმე..  
მე ვერ გავუძლებ ვიცი..  
შენი სიტურფე შემშლის..  
ხარ წყაროსავით სუფთა,  
ჩემი ნაკრძალის შველი.  
ჩვენი პირველი ცეკვა,  
ღამე, მთვარე და ვალსი,  
ქარში ფრიალებს კაბა,  
მთვარემ გატეხა ნავსი....

\*\*\*\*

ამოთქვი გულო, რაც გაშფოთებს ,განუხებს რაიც,  
თქვი,რომ უსიზმრო ღამეებმა ფერი იცვალა,  
რომ დახეთქილი ძარღვებიდან თქრიალებს სისხლი  
და მერამდენე თალხი კაბა შემოიძარცვა.  
თქვი,რომ დაწურე მტევანივით შენი სხეული,  
აღმოდებული ფიქრებიდან სცადე გაქცევა,  
რომ შეერიე ზღვის ტალღებს და გრძნობადაცლილი,  
დაელოდები უსასრულოდ უკუმოქცევას...

\*\*\*\*

ეს ალუბლების ბაღები  
ესეც ნუში და შტოში,  
ჩემი ბავშვობის ტოლები,  
ჩარჩენილები დროში.  
ეს მოკირწყლული ბილიკი,  
ნაირფერადი კენჭით,  
ტკბილმოუბარი წყარო და  
ძენა მზირალი ეჭვით.  
ჩემი ბავშვობის მდინარე,  
ზოგჯერ გიჟმაჟი ბჟუჟი,  
ხანდახან გაგიჟებულა,  
პირზე მოსვლია დუჟი.  
ეს ბუმბერაზი ქედები,  
ჩემი გურიის მთები,  
მდინარე აჭისწყალი და  
წყლები,კამკამა წყლები.  
ენაკვიმატი ხალხი და  
გული ალალი , თბილი,  
მზეც „კრიმანჭულით“ ამოდის,  
გვატკბობს გალობა ტკბილი.  
აქ სხვანაირად თენდება,  
აქ სხვანაირად ვთბებით,  
მოგონებების ფიალას  
ვსვამ და თანდათან ვთვრები..  
ეს მონატრება კი არა,  
მონატრებაზე მეტი..  
ეს სიყვარული კი არა  
თავს დატეხილი რეტი..  
როგორ წამომცდეს „მიყვარხარ“,  
ხარ სიცოცხლეზე მეტი,  
ჩემში მფეთქავი ძარღვი ხარ,  
ჩემი სიცოცხლის მჭვრეტი..

\*\*\*\*

ღამე ქურქივით მოვახვიე ნანამებ სხეულს...  
მთვარის არილზე, ორპირ ქარში ვეძებ სტრიქონებს...  
როგორც ჩაუქი მონადირე, აფრენილ სიტყვებს,  
ვკრეფ გონებიდან, რომელიც რომ გამოვიგონე....  
გაისმის ქარში დედის ურჩი ფოთლების მარში  
და ხელისგულზე დასვენებულ გულს გარს უვლიან...  
სული დავნიწვნი ბამბასავით,  
რომ საახალწლო ნაძვის ხე მოვრთო ...  
მთვარეს ვერძლო ანდა სრულიად....  
ამ ღამის ტყვე ვარ...დაჭრილი და უიარაღო,  
დასერილ სხეულს ალაგ, ალაგ მარილს აყრიან,  
ქარი წამიღებს, რომელიღაც გაზონის ბოლოს  
და შემოდგომის ყვითელ ფოთლებს გულს დამაყრიან...

\*\*\*\*

წლებს მიაქვთ ზურგჩანთით ფიქრები მრავალი...  
სათუთად ვულაგებთ დაკვიცილ ოცნებებს...  
მერე რა, თუ ყველა ოცნება არ ახდა  
და როგორც ბალახი, გულდაგულ მოცვლეს...  
ცივდება ზაფხულის დღეები თანდათან,  
ზურმუხტისფერები ოქროსფერს იკრავენ...  
ხეებიც ტირიან, შრიალით მოთქვამენ  
და უკვირთ შვილები თავს რატომ იკლავენ...  
ფითრდება საღამო ქარის მოძახილზე,  
ჭრელ-ჭრელი ფიფქები მღერიან არიას...  
ჰაერში ტრიალებს სუნი შემოდგომის,  
კვდებიან ფოთლები და მაინც მღერიან...  
რადგანაც იციან, გრძელდება სიცოცხლე,  
რადგანაც იციან, უფალთან მიდიან,  
ტოვებენ მიწიერ სიცოცხლეს ღიმილით,  
ქარს მოაქვს შორიდან „ვალსის“ მელიოღია.

ყოველ ღამის,ფიქრის,ნატვრის  
შეუცვლელი ადრესატო,  
რას მოვთქვამ და რას ვჩურჩულებ,  
მხოლოდ მთვარემ იცის მართო...  
ყოველ ღამით, აივანზე  
რომ ვდარაჯობ სატრფოსავით,  
ხან ღრუბლებში მემალემა,  
ხან ლოცულობს ღვთისმოსავი....

\*\*\*\*\*

ზეცას შეუხსნა გულისპირი  
ცელქმა ღრუბელმა,  
გადაეხვია სატრფიალოდ  
და ააცრემლა..  
ისეთი წვიმა წამოვიდა ,  
ისეთი თქეში,  
რომ ამნაირი არ მინახავს  
აპრილის თვეში...  
ტიროდა ზეცა...  
თვალს სწყდებოდა  
მღულარე ცრემლი,  
ეს მერამდენედ ატყუებდა  
ღრუბელი ცელქი..

\*\*\*\*

ლექსით ვიყუჩებ ტკივილებს,  
სულს ფოთლებივით ასხია,  
დეკემბრის ქარივით ჭიუტი,  
რითმები ჯავშანად მაცვია.

ჭაღარას დავეძებ? რას ამბობთ,  
ჭაღარა, ეს ჩემი შარშია,  
მივყვები ნაქარალ ბილიკებს,  
ეს ქარიც, უბრალოდ შარია.

მეხლება, მიფანტავს ოცნებებს,  
დაკემსილს ფერადი ძაფებით,  
მე ახლა ამათი თავი მაქვს?  
შემშლიან უაზრო ქარები.

მინდორში გავფინე საშრობად,  
წვიმისგან დამბალი რითმები,  
გვირილებს ვუამბე რაც ვნახე,  
წუხელის ნაქსოვი სიზმრები.

\*\*\*\*

მთვარეს ვანდობ შენს სიყვარულს,  
მონატრებას გულში ვიკლავ...  
ჩუმად მისმენს, მეფერება,  
მკლავებს მხვევს და მკერდში მიკრავს...  
ცრემლებს ვყლაპავ...  
ვეძებ რვეულს....  
აღსარებას ჩავაბარებ,  
განთიადზე, დილის ნიავს  
შენთან საღამს დავაბარებ.





გაგა გომართელი

**წერილი მამას**

მოვედი და სამარესთან ჩამოვდექი ლანდივით, ნამოვშალე მაგ შენს გულზე ბელურების ნადიმი. შენს საფლავზე ყვავილები გამოცოცდნენ ჩეროდან, გამიცოცხლდი, სულ ცოტა ხნით გნახო, მამაჩემო და გითხრა, როგორ დამიღენა ბედის ქარმა გვერდები. ნახე, როგორ დაგემსგავსე, ერთნაირად ვბერდებით. შენ რაც მითხარ და მასწავლე, გული იმით ივსება, რომ არასდროს ველალატებ შენს სახელს და ღირსებას. შემეშველე, რა ვუშველო სულს, ცოდვისგან ნანვალებს, ყველას როგორ ვუერთგულო, კიდევ ერთხელ მასწავლე. სუსტი ვარ და მაპატიე, მიჭირს აღიარება, რომ ძნელია შენისთანა კაცის ჩრდილის ტარება. დაღლილი ვარ, არ იფიქრო, ბედს დანერვილს ვუნუნებ, განა მუხლი დამისუსტდა, განა რამეს ვუნუნებ. განა მტკივა, ან უცხოა ცხოვრებისგან გალახვა, მეგობარი ხარ ჩემი და განა მართო მამა ხარ. გიყვები და არ იღელვო, რომ ასეთი ბედის ვარ, მიხარია, შენი მსგავსი ჯვრის ტარება მეღირსა. ახლა წავალ, არ იდარდო, განა ის დრო შორს არი, როცა ჩემიც ჩამთავრდება ბედის კრიალოსანი. აჰა, ჩვენი საუბარის დასასრულთან მივედით, დარდთან ერთად წამომყვება შენი ნახვის იმედი.

**ამოსაკვანისი**

მეფობდა გარეთ პირშავი ბინდი, ღრუბლები კრეფდნენ ზეცის საფირონს და უსასრულო ფიქრების რიგი მოჩანდა, როგორც ზღვის სანაპირო. აღიარება ვარცხნიდა სინდისს, სისუსტეს კვნეტდა ჩემი გუნება და მონატრება მტკიოდა მშვიდი, ვით სიყმაწვილის არდაბრუნება. იმ ღამით მიხმო ლურჯმა ნაპირმა, განცდები ჩემი მისკენ გამწყემსა და პოეზია როგორც „რაპირა“, დამისვა სულის ამოსაკვნესად.

**ზღვა**

ვერ ვეახელი ზვირთებალრენილს და ნიავს მიაქვს ჩემი წერილი, ზღვა – ყველა სევდის ჩუმი დალხენა, ბნელ კატლავანში გამოჭერილი. ვერეკებოდი მისკენ ყრმა ვნებებს და ვეკრობოდი ნაპირს რიყიანს, ვინ იცის, ფიქრთა რამდენი წყება ზღვის სამარეში გადამიყრია. მასთან რამდენი აისი ვაშრე და ვეჭიდავე საღერღელაშლილს. არ მიკვირს, ტანი რადა აქვს მლაშე, ალბათ რამდენი ცრემლია ზღვაში. მარაოს შლიდა ტალღებზე ფერთა, ნომარ სულით, სახით მწუხარით. ეჰე, რამდენჯერ დავბანეთ ერთად მზე, ჰორიზონტზე ნაბლაუჭარი. და ახლაც ალბათ ხავერდის ტალღა ნაპირს მიახლის შეშლილ სალტოებს. მძიმეა ერთი ნაფიქრით დაღლა – მან გამომრიყა, თუ მე დავტოვე. ვერ ვეახელი ზვირთებალრენილს და ნიავს მიაქვს ჩემი წერილი. ზღვა – ყველა სევდის ჩუმი დალხენა, ბნელ კატლავანში გამოჭერილი.

**დიდმარხვა**

რაოდენ მშვიდიც არის კოლვიზმა\*, სულში გაჩხერილს ღრმად აღსარებას, ტყუპი წიხლივით ხვდება ორი ზმნა – დაბადება და გარდაცვალება. და რა წვალეზად დადგინდა წესი, რომ დროის შექმნას მაინც დრო მიაქვს. სიცოცხლე არის უთუოდ ლექსი, ლექსი, რომელიც პალინდრომია. ომია, ყოფას ბრძოლაში ვინვევ, თუმც არაერთხელ ვლენე ტორებით და მოდარაჯედ გავიფაცვიცე, სულის მთვლემარე რეცეპტორები. მორევი მღვრიე შთანმთქვას და ვიცი, სანახაობას შერჩება ლეში, რადგანაც სუნთქვა მეძლევა შპრიციტით და სინანული მერგება პეშვით. შეშლილს მიწოდებს მზაკვარი ჟამი, დაე, მიწოდოს, არცა ვარ სხვა და ქარტეხილებით გაკრეჭილ ამინდს მაინც მზიანი პალიტრით ვხატავ. ვფანტავ წუხილს და ახლოა მსგეფსი, სულიდან ვუშვებ ბნელ აღსარებას, ჩემთვის ორთავე ყოფილა ლექსი – დაბადებაც და გარდაცვალებაც.

\*კოლვიზმა – დიდი მარხულობა



გიორგი ხათაშვილი

**დაღონებულ ბაღში**

განუწყვეტელი ფიქრისგან შეშლილს  
და საამაყო სევდით შებურვილს  
კვლავ ნამალივით მიჭირავს ხელში  
ბარათაშვილის ძველი კრებული,  
მაგრამ წაკითხვას არავინ მაცლის,  
ან რა იციან გვერდით მსხდომებმა,  
პოეზიით რომ ღებულობს ვაცი  
არისტოკრატიულ სიამოვნებას.

**თვითდამარხვა**

ამოვლესე აკლდამის კარი  
და სრულად ერწყმის მწუხარე წყვილიადს:  
აუტანელი ტკივილები,  
ციებ-ცხელება,  
ოფლი,  
კანკალი,  
წყეული წყლული...

დრო...  
დრო...  
დრო...

სულთმობრძაობა –  
მძიმე ჰაერზე მსუბუქი ვარ...  
და უკეთ გხედავ...

**ფარნაზის ფონაზი**

დადუმებული მომყვები და, ალბათ, ხვალიდან  
იმაზე მეტად მოაკლდები ჩემს თვალსაწიერს,  
ვიდრე შარშან და, რომ იცოდე, როგორ არ მინდა  
ამ ყოველივეს წარმოდგენა, რადგან გაცილებ  
სევდისმომგვრელი შემოდგომის ნიავექარში და,  
სანამ გავცდებით ჩვენი ქუჩის ღია სიყვითლეს,  
რამენაირად მაპატიე, ღამით ქმარ-შვილთან  
ღიღებამწყდარი პერანგით რომ უნდა მიხვიდე...

21

კვლავ ავიციდინე შენი მშვილდის ბასრი ისრები,  
ნუ დააბრალე გალაქტიკის კეთილ ვარსკვლავებს,  
რომ აკრძალული სიყვარულით ისე ვიცლებით,  
რომ ჩვენს სხეულებს ერთმანეთზე ვნებით ნასკვავენ,  
რადგან მზე ხდება, სისხლის მსგავსად, მუქი წითელი,  
და მოთარეშე ვერძში შედის, თხემით ტერფამდე,  
მთვრალივით სწყდება გლუვ ორბიტას იუპიტერი,  
მარსის სასტიკი ალმური რომ აღარ ფერფლავდეს!..

**მავრიტანიული მარტვილობა**

მაშინ მშიოდა,  
რამეთუ მართო დავტოვე...  
როგორც უბრალო ბრილიანტი,  
პურის ნაპირი  
და ყველაფერი.

ქარი მათრქვევდა ფიქრს,  
ქარი მათრქვევდა ფიქრს –  
ქარვის...

მონყალე იყო წყალი,  
მონყალე იყო წყალი,  
როცა მოცხარი...

დამემშვიდობა მეშვიდე,  
დამემშვიდობა მეშვიდე –  
შეშინდა...

ლანდის სანთელი,  
ლანდის სანთელი –  
ცამდის...

თავზარდამცემი თევზი,  
თავზარდამცემი თევზი –  
თმაზე...

და ის ესვენა  
სისხლით მოსვრილი...  
ტორსით...

**JIDDU**

რა მშვიდად ისმის მთავარი კითხვა,  
პასუხს არ ვეძებ,  
რამეთუ ვტკბები დიდებული უბედურებით...  
ვუმერ გეცას – სარკეს –  
და ვფიქრობ...  
გავქრე...

ხმა



მათე არაგველი

\* \* \*

დეკემბერია. და ცდი ძვლებდაშლილ ხასიათიდან ხსნის მორიგ მეთოდს. და ეძებ სიტყვას რომ ამ ძებნაში მეტასტაზური დრო მოიკვეთო, რომ უფრო მაღლა შეძლო ახედვა, რომ უფრო მეტი ღამე გესმოდეს, რომ დააღწიო თავი აქედან, რომ მიანვდინო ხმა იესომდე. და გულის უღრმეს ფსკერს მიაბჭინო ის, რაც ფიქრებთან ერთად ელვარებს, და გაჰყვებ, თუკი გახდა საჭირო, არტერიებზე მოძრავ ელმავლებს.

დგას უავტორო და უთარილო მიტოვებული სოფლის სიჩუმე. შენ ყველაფერი უნდა გაიღო და სიცოცხლესაც ნუ დაიშურებ, რომ ერთი კაცი მაინც გიყვარდეს, (ასე დაინყე თხრობა შესავლით) ოღონდ ნამდვილად, ოღონდ იქამდე!.. რომ გაანათო სივრცე მზესავით.

რადგან აქაა შენი სამშობლო! მოუახლოვდი ხრამებს, უფსკრულებს. ოღონდ მას თვალი არ მოაშორო. ოღონდ უყურე!..

ამ გზით – მე ვგრძნობ (და არ ვარ მისანი) – ირგებ უვნებლად ყველა კრულვის შხამს, რადგან ისაა მხოლოდ, ვინც – არი, და მის ყოფნაში ვინც გვიგულისხმა...

მოსინჯე..  
სანამ სულს დასახვრეტად მაგ საკონტროლო ტყვიას ესროდე. რომ დააღწიო თავი აქედან, რომ მიანვდინო ხმა იესომდე.

დილა. ხალისის სიმშვიდე და ჩალის ღირსება. ჩემი ფანჯრიდან გადმოვყურებ დარდის საწყობებს. დროის წისქვილში ეს დღეებიც ჩაისრისება, რისგანაც ნაცნობ ისტორიებს გამოაცხობენ.

გამოღვიძებულს მესიზმრება ისევ – არჩევების არვე ქვითინით მიუყვება ახოს ფერფლიანს. და თავს ჩურჩულით ვუმეორებ: თუ გადარჩები, შენს ირგვლივ ათიათასები გადარჩებიან.

პირდაპირ ვიტყვი, ეგ აზრები აქ არ გაგივა!.. აქ ტექნიკაა. რკინებია. რეზინებია. სხვის ჭვარს ვინ ჩივის, საკუთარსაც მხრების მაგივრად, სატვირთო ავტომობილებით ეზიდებიან.

იშვიათია, რომ სიმართლეს ადასტურებდეს ადამიანი საკუთარი გამოცდილებით. და როგორ გინდა, რომ მიხედო თავს.. მით უმეტეს თუ ამ ქუჩებს და ამ ქალაქებს არ მოცილდები.

მაინც სრულიად განსხვავებულ სიტბოს მოიტანს სული ზამთრებით ჩახერგილი, სული – ნაზვავი. და უნდა მოწყდე ერთდროულად ყველა ორბიტას უგალაქტიკო, ტრუბადური პლანეტასავით,

რათა ამოდ ილაკმუსო და ისაცერო სანამ თვალს ყოფის შუალამე მიებურება. ჰო, მე მტვერი ვარ და ამ მტვერზე უნდა დავწერო: ქრისტე – სამყაროს ერთადერთი ღირებულება!

მისი სახელის წარმოთქმისას ზღვები შრებიან, მთები იწყებენ მოძრაობას, ბრმები ხედავენ. წარმოიდგინე, ამის მიღმა რა შრეებია!.. წარმოიდგინე... და დაწყველილ მძიმე მეტალებს

ნება მიეცი გამოვიდნენ შენი სუნთქვიდან და დაუბრუნდნენ უკაცრიელ მეგაპოლისებს, რასაც სიცოცხლე სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა, სადაც ვერც ერთი საიდუმლო ვერ ამოიცნეს.

ამასაც თავის დრო სჭირდება – ალბათ ოდესმე შენ გაიაზრებ, გამოგონილ მტრებს რომ შეები. და მისკენ სვლაში, აღმოაჩენ, რომ ხელს ცოდვებზე მეტად გიშლიან ჩადენილი სიკეთეები..

ნუ გერიდება. გაიმეტე! ხელი გაუშვი. (აქედან სულ სხვა ქიმიური გზით აორთქლდები). შედი შენს გულში – ამ შემზარავ გამოქვაბულში, და გასასვლელი ამოქოლე ლოცვის ლოდებით.

ეს არის ზღვარი, საიდანაც ყოფნა იწყება, ხოლო იქამდე ყველაფერი არის მირაჟი. ახლა დილაა (დაიშლება სიტყვა რიცხვებად) და უამრავი სადამოა ასეთ დილაში.



**გიორგი თუშიშვილი**

**საქართველოს მზა**

ვერ დავიძინებ, ძალა არა მაქვს,  
ვერ მივეცემი მშვიდ ძილს, ასე რომ,  
თვალეებში მბჟუტავ ცინვის ქარავანს  
ცეცხლის ცრემლების ორთქლით დავსერავ.  
ვიცი, რთულია ცინვის მკლავებში  
გახლართო სითბო, სიტყვის ტიტანო  
და სიმეტრიულ სიელვარეში  
ცის ნახაზიდან ამოიტანო.  
მკვეთრი სინათლე და მინის ექო  
ზე კოსმიური ბირთვი, პლანეტა  
და მიაგებო აჩრდილებს შუქი  
ასტრალისებურ სინეტარეთა.  
მზე ააქაფო ზღვისფერი ალით,  
სისხლში დაღეჟილ წნევის სტიქიად,  
ხატის წინ მდგარი მშვენება ქალის  
მიუსამძიმრო მთელ საიქიოს.  
სიმზე გააბა ქარის არია  
და აყვე ყველა ნერვით, აორთით,  
როცა მიხვდები, ავე მარიას  
მხოლოდ ნოტებთან არ აქვს საერთო.  
უნდა დაუკრა წვიმის კლავიშზე  
და გაერიდო ქაოსს ქალაქის,  
ვიდრე ცხოვრება თავის სანიშნებს  
ლექსებში თავად არ ჩაალაგებს.  
ვიდრე ამ სუნთქვის მუქი სარტყელი  
ნესტიან ფილტვებს კრძალვით შემოსავს,  
ჩამომიჭეჭე თავთან ბარტყივით  
და დამანხე საქართველოს მზე.

ლექსი მედო რკინის დახლზე,  
არ ყიოდა მამალი,  
თენდებოდა, რძისფერ ნამსხვრევს  
ხვრეჰდა ქვეწარმავალი.  
ბედს ვტკიოდი, ნაცემი და  
მჩხვლეთდა მისი მორალი,  
როგორც ქრისტეს ჯვარმცემლისგან  
ლურსმნით ნაამბორალი.

**ქუჩის ბოლოდან**

მიდამოს პირზე ეკვრა წვიმა  
და გამოლანძლა მთელი ქალაქი.  
ქუჩის ბოლოდან ისმოდა წირვა,  
გულწრფელი ლოცვის მწირი მარაგი.  
სენტიმენტებად მოჰქონდათ ქარებს  
ნააბორტალი ფოთლების წყება.  
ასეთ დროს ხშირად მარტოსულ ქალებს  
გულის მაგივრად მუცელი წყდებოდა.  
და იყო წვიმა და იდგა ქარი,  
ფიქრს ვედავე და ფიქრიც მედავა,  
ამ ქვეყნად ყველა უშვილო ქალი  
ვერ დაბადებულ ღმერთის დედაა.

**ფიფქეხის სამზა**

ინცებს თოვას და ასე მგონია  
საშიშროებას მამცნობს უთუოდ,  
ეხება ფანტელს მელანქოლია  
და ფანჯრებს კვამლი ხმელი თუთუნის.  
აფხიზლებს ხმელეთს ფიფქების სამზა,  
ჰარმონიულად როცა ცვივიან;  
და თვლი, რომ ახლა თოვაში ჩაბმა  
შესანიშნავი ექსკლუზივია.  
თვლი და მიდიხარ განცდების გარსით,  
სადაც სითეთრის ლურჯი ბუდეა,  
ზებუნებრივი სიმშვიდით გავსებს,  
ამ სიმსუბუქის ზღვა პრელუდია.  
თოვს. ატმოსფეროს სევდის გარანტი,  
აფითრებს მინას მრავალსტროფიანს,  
სენსაციურად ჭარბი ვარატის  
სინჯი აქვს თოვის ფილოსოფიას.  
ქსოვენ განცდებიც მცირე ეტიუდს  
გადაულებელ ზამთრის ფაზებით,  
აღნება სივრცეს სენტიმენტთან  
ჰანორამებად ფიფქის პლაზმები.  
ცრის, ამ უცნაურ ემოციების  
ჰარმონიული ვარიაცია,  
თოვლის ფაფუკი ესენციების  
სურნელოვანი გრავიტაცია  
იზიდავს ირგვლივ მაგიურ სივრცეს  
და მხოლოდ თოვლი ხდება მკაფიო,  
მამის ნატარებ ჯვარივით ვიცავ  
ფიფქებით ნაქარგ ეპიტაფიას.

**თენდაბოდა**

თენდებოდა და თენების  
ტკივილს მივაყურადე,  
როგორც მამის გასვენებას  
თავისივე სურათმა.  
ვგრძნობდი რაღაც ზებუნებრივს  
და ვუმზერდი ასევე,  
იმ სურათის ერთგულებას  
მისივე საფლავზევე.



ნელი საგინაძე

### ღვთისმშობალი

ურღვევ კვართსა ქსოვს დედა ღვთისა საქართველოსთვის  
და ყოველ ღამით კვირისტავზე ლალის ძაფს ართავს,  
გაგიკვირდებათ რასაც ვხედავ, თამამდ ვიტყვი,  
რომ ამ სამყაროს, მაინც ჩუმი სიკვთე მართავს!

სიზმარ--ცხადივით გადაივლის ეს ბოროტება  
ამ ლალის ძაფით შემოსაზღვრავს ჩემს მთებს და ველებს  
და ქრისტესავით მკერდს მიიკრავს სამარადუფამოდ  
ძელს მოთაყვანე , ვერგაუტყხელ, ერთგულ ქართველებს!!!

### ბა

რა უცებ თენდება, რა მალე ღამდება  
ფიქრისთვის არც მრჩება დრო,  
აისის სხივები ვერც მომიწყენია  
დაისად ჩასულან რომ!

სამყაროც რაღაცას თითქოს ეშურება  
სადღაც მიიჩქარის დღეც,  
რომ ვიტყვი სხივები ჩემს დარდს უშველიან  
უკვე ჩასულია მზეც!

ფირუზის ფერებში, ლილისფერ სამოსში  
არსად ეჩქარება ცას,  
რა დარბაისლურად დამყურებს ზეციდან  
რაღაცა უნდა, რომ თქვას!

დაუსაბამოა, უსრულო, უსაზღვრო,  
ზღვისფერი, ცისთვალა მთლად,  
სიდინჯით მომიყვა ამ მარადიულმა  
სამყაროს ზღაპარი ვრცლად!

არ აგვიანდება, არსად ეჩქარება  
არავის არ უთვლის წამს,  
ხოდა ამ თვალეზით ვუყვები ჩემს ამბებს  
ამ მშვიდ და უძირო ცას!!!

### სულის სინათლე

სულის სიღრმემდე ჩამწვდა მზის სხივი,  
მადლი მომეცა მართლად, სწორად თქმის,  
ადამიანი მიყვარს ისეთი  
ვინც ცრუს--ცრუსა და და მართალს-- მართლად სთვლის!

მხოლოდ სინათლეს დავემოძღვრები,  
სიბნელის ფერებს არ გავიკარებ,  
მსურს სიყვარულის ვიყო მეხოტბე  
ტყვილს არ შევუხსნი არასდროს კარებს!

სიმართლის მოდით, მდიეთ მდევრებო,  
თქვენ თუ ვერ მძებნით, მე მყის გიპოვით,  
გადამიქოთეთ სახლი სულისა  
სინათლის მეტს აქ, ვერას იპოვით!!!



ღმერთო, დამილოცე საქართველო

ღმერთო, დამილოცე ჩემი საქართველო, თავის ერთა და ბერიო, ღმერთო, აგუგუნე მრავალჟამიერი ჩემი დალოცვილი ენითა!

დარიალში მუდამ მიექანებოდეს თერგი ხმაურიან მდინარით, კავკასიის ქედზე მინდა ჯაჭვს ინყვეტდეს უკვე მძლეთა-მძლე ამირანი!

ღმერთო, ქართველის მკლავს ყანა ათესინე ძველის ქართულ ჯიშის ხორბლითა, ჩემი მიწის მკვიდრნი სულით მიძლიერე ძმა ძმას ატანინე ძმობითა!

მთვარე მთვარობდეს და მზე კი სულ მზეობდეს ამ ჩემს საქართველოს ცაზედა, ლომ-ხარნი ხარობდნენ, არწივნი კი ფრენდნენ ბერი კავკასიის მთაზედა!

მტერი დაუმცრე და მოკეთე უმრავლე ფუძეც, პურიც, ღვინოც, მარანიც, ყანნით დამილოცე ქვეყნის ყველა კუთხე ლოცვა შეაწიე ალალი!

"აი ია"-თი და დედის იავნანით ქართველი მენახოს გაზრდილი, მიტოვებულ ადგილს ქისის, საფერავის ვაზი ყოფილიყოს ჩაყრილი!

ყველა ოჯახიდან ბუხრის დიდი კვამლი ზეცას ღრუბლად ეფინებოდეს, მრავალჟამიერით ყველა ქართველ ოჯახს მინდა გული ელხინებოდეს!

აღარ გამაგონოთ ამ ჩემს მინა-წყალზე ქართველ გლეხი კაცის ჩივილი, დილა გაუთენე ყოველ განთიადზე ყელწითელა მამლის ყივილით!

ყოველ გაზაფხულზე ვაზის ყვავილობის სუნი საქართველოს ეფინოს, მინდა ყველა ქართველს მამა-პაპის მინა ყველა საგანძურს, რომ ერჩიოს!

მუდამ მოისმოდეს მცხეთის სვეტიცხოვლის, გრემის და გელათის ზარის ხმა, შენს ნების გარეშე ღმერთო, არცერთ ქართველს არ ჩამოვარდნოდეს ღერი თმა!

ისევ დამიბადე აღმაშენებელი შოთა, ვაჟა , გალაქტიონი, ქართლის ისტორიას წყაროდ აღინებდეს დედა ენგური და რიონი!

სახლის ერთ კუთხეში ყველას უბრწყინავდეს უფლის სახე-ხატთა ადგილი, ლოცვას მიჰყვებოდეს ღმერთის საბრძანისში თაფლისფერი სანთლის აჩრდილი!

ღმერთო, დამიბადე კიდევ ქეთევანი, ბერი გაბრიელი, თამარი, ყველა ქართველს სულში ქრისტე ჩაუსახლე სულისთვის რაც არის მთავარი!

ღმერთო, მიდღეგრძელე ჩემი მინა-წყალი მართალ მარჯვენით და ადლითა, ღმერთო, განურჩევლად ყველა დამილოცე შენის ცხოველმყოფელ ძალითა!!!

ოქროს ფოთლეზო

მომიალერსეთ, თავს მებნიეთ ოქროს ფოთლებო, და შემოდგომის ზღაპრად მოდით ქარვის მგოსნებო, მომიალერსეთ, ხედავთ? !- თქვენსკენ გავშალე ხელი და ჩემთან მოდით, უამრავი , ლამაზი ფერით!

აღერსი მიყვარს მეც თქვენსავით, მომიალერსეთ თქვენ მარტოსულო, ხის ფოთლებო ოქროდ ამევსეთ, თქვენი ფერებით გვირგვინებად შემომენანით ჩემთან მოფრინდით, მოდით ტანზედ შემომეკარით!

ყვითელ, წითელ და ცეცხლისფერად რამდენი გხატეთ ჩემს ლამაზ კაბას ჰეპლებივით შემოფეხანტეთ, თქვენი ღიმილი, მეც მალიმებს ქარვის მგოსნებო, მომიალერსეთ, თავს მებნიეთ ოქროს ფოთლებო!!!

დიდოსტატი

ქალი

დაგელოცოს დიდოსტატო,  
კონსტანტინე მარჯვენა,  
გაუთქმელი საიდუმლო  
ამ მარჯვენამ მაჩვენა!

ლოდზე კვეთდი საჭრეთელით  
ქართულ ვაზის აკიდოს,  
დიდზე დიდმა ქრისტე ღმერთმა  
შენი სული ადიდოს!

ჟამთა ბრუნვა ვერას აკლებს  
დედა ტაძარს ქართველთა,  
აქ შორენა ღიმილს აბნევს  
თავთუხების თაველთა!

ფრთებით შეუბავებია  
ფერთა გამა ანგელოზს,  
და ფასკუნჯი სულსხვაგვარად  
ამეტყველებს ტაძრის ლოდს!

მარჯვენა მკლავს ხელთ უპყრია  
იარალი სამართლის,  
სიტყვა აქ არ გამრუდდება  
სიტყვა წრფელის და მართლის!

აქ ფრესკები უძველესი  
ისტორიას ჰყვებიან,  
აქ შეამჩნევთ შორენას და  
უტას თვალებს ვნებიანს!

ჟამთა მტვერი ვერას აკლებს  
სიყვარულს და სიმართლეს,  
ძელო სვეტიცხოვლისაო  
იდიდე და ინათე!

თუ რამ ხდება სამყაროში  
რა ვქნა ასე მგონია,  
ეს ადგილი დიდზე დიდი  
საიდუმლოს მქონეა!

დაფარულში დრომ რა ცხადად  
მომანიშნა , მაჩვენა,  
დაგელოცოს დიდოსტატო  
კონსტანტინე მარჯვენა!!!

ქალი, უფლისგან გამოძერწილი  
ქალი, სიცოცხლე და სანყისია,  
ქალს არ გაეჭიბროთ არაფერში  
რადგან სიყვარულის სანმისია!

მის ლამაზ გულისთვის უფალს ოდით  
ჩუმად ორი კარი შეუბია,  
ერთი სიხარულებს და იმედებს,  
მეორე კი დარდებს შეუღია!

სულში ვერ ტეული არ სათქმელი  
გარეთ თვალებს სულმთლად შეუცვლიათ,  
დარდის გამოტანა სხვის სანახად  
ქალებს სულ ღიღინით შეუძლიათ!

სიტყვას გულზე მოგცხობს, ვით მალამო,  
სულის ტკივილებსაც დაგიაშობს,  
სადღაც გაგიფანტავს შერჩენილ დარდს  
სულ მთლად მოგიშუშებს ძველ იარებს!

ქალის სულში ყოველ წუთს მზე არის  
უამინდო ამინდს უდარია,  
სხვისი ტკივილები გულზე ხვდება  
სიხარულები კი უხარია!

სიკეთის სხვის ქალი თავის ოჯახს  
ისე უშურველად უწილადებს,  
მთელი ცხოვრება ვერ მიხვდებიან  
მის თავდადებას და გულში ნადებს!

თუკი გაუჭირდა იმავ წუთში  
რკინის შემოიცივავს ქალამნებსაც,  
მის თვალმა თუ მტერი შეამჩნია  
აუშენებს ღობედ გალავნებსაც!

რატომ?!-მის ნაზ სხეულს და მის ნაზ სულს  
ტვირთი ასე მძიმე აბარია,  
აღბათ იმიტომ, რომ დღეს ქალობა  
ღმერთთან გამოცდაა და ვალია!

ვაბა სულ სინდისად უნდა ეცვას,  
სიმართლე ცხოვრების ფარ-ხმალია,  
მტერი უნდა ქსოვოს გულისყურით  
რომ არ ჩაურღვიოს მთლად თვალია!

ქალს, რადგან სამყაროს სიცოცხლე და  
მისი სინატიფე აბარია,  
რაკი ნეკნისაგან გამოძერწეს  
აღბათ იმ ძვალღვივით მაგარია!!!

შემოდგომა

უკვე გრილი ამინდები  
ხმატრიალა მარნის ზღუდე,  
სევდის თვალი შევაყოლე  
მიტოვებულ მერცხლის ბუდეს!

ხეებს შემოსძვლებიათ  
მოყვითალო კაბა ტანზედ,  
ფოთოლ- ფოთოლ ჩამოშლიათ  
ამოვარდნილ ძლიერ ქარზე!

უკვე მყარად შემოხსნილა  
ჭრელ ფერებში ეზოს კარი,  
იღიმება მონეული  
ხიდან ვაშლი, კომში , მსხალი!

წითელ მძივად გადმოშლილა  
გახეჩილი ბროწეული,  
ყვითელგულა გოგრები და  
ძახველების ძონეული!

ჭიგოს შეჰლიღინებია  
წითელი და ქარვისფერი,  
ვაზს დიდ მტევნებად შეზრდილი  
საფერავი, რქაწითელი.....

ყვითელკბილა სიმინდები  
თავს იწონებს ოქროს ქოჩრით,  
შემოსულა ვაკლის ბერტყვაც  
დიდზე დიდი ,გრძელი ჯოხით!

შემის ცეცხლზე შემოუდგამთ  
დიდი ქვაბი თათარისთვის,  
ნიგვზის, თხილის ჩურჩხელები  
დიდისთვის და პატარისთვის!

ორღობეში მეურმე და  
ენკენისთვის დიდი რთველი,

სუფთა ღვინით ავსებულა  
ღვინობისთვის მარნის ქვევრი!

სექტემბერში დიდებული  
შობა ჩვენი ღვთისმშობლისა,  
დაპურება უფლის მადლით  
ამდენ გლახაკ, ქვრივ, ობლისა!

ამავე თვეს უკვდავ სულებს  
თავის ძალით, დიდი ლოცვით,  
სასუფეველს დაუბრუნებს  
მიქელ მთავარანგელოზი!

შვიდმნათობი ქეთევანის  
შირაზის მზედ წამებულის,  
ალავერდელს ლოცვა მადლით  
აღუვსია მრევლის გული!

გიორგობას სადღეგრძელო  
გვისავს დიდი მფარველისა,  
მისი ფართი და მახვილით  
დაცვა ჩვენი მთა- ველისა!

ვატყობ სხივიც მზის ფერისა  
აღარ არის ისე მწველი,  
მოფენილა ფერთა მეფედ  
შემოდგომა ოქროსფერი!

ცოტა გრილი სურნელი და  
ანისლება ამინდების,  
კარადაში მოძებნილი  
უკვე მოთბო, ჭრელ წინდების!

ხალიჩებად დაფენილი,  
შეგროვილი ფოთლის გუნდა,  
ვხსენი, ვხსენი ვერ გავხსენი  
შემოდგომის დიდი გუდა!!!





ხათუნა ჩიტაძე

**აპრილი მოდის**

აპრილი მოდის  
 და მე სევდის შალს შემოვიხვევ...  
 იცით, აპრილი  
 სულ მაგონებს მოწყვეტილ ნარცისს!  
 თეთრი აპრილი,  
 როგორც გოლგოთა, დარდს შემოიხვევს,  
 ვერაფრით ვერ ვხსნი 9 აპრილს და  
 უსულო ნაციზმს!  
 აპრილი მოდის, –  
 ტკივილები შემოსალტვია  
 თბილისის მზეს და  
 საქართველოს გულდამწვარ წარსულს!  
 სისხლის ლაქები  
 ჩემი! შენი! ჩვენი დარდია!  
 ვაი! იგივეს მომლოდინებს! –  
 ვიცით მტერს რაც სურს!  
 აპრილი მოდის!  
 მაინც მოდის!  
 მიდის თავნება...  
 კვლავ გაიხსნება მწარე ჭრილობა-  
 გმირთა დედების!  
 მაგრამ, ამ სევდით  
 არაფერიც არ დამთავრდება!  
 აპრილი მოდის –  
 უკეთესი აწმყოს ვედრებით!  
 ... აპრილი მოდის...

2 მარტი. 2016 წ

\* \* \*

სადღაც უცელოდ მიგდებული ბავშვობის ლექსი,  
 – როგორც უგულოდ ჩაფერფლილი სიცოცხლის ფერი,  
 ამოუქექავს შვილს! –და ახლა მე უფრო მესმის,  
 ვიცი, არასდროს არ წახდება ქართული გენი.  
 არც კი მახსოვდა, თუ რამხელა ტანჯვა მწვევია, –  
 ოდეს, როდესაც მე ვიყავი ისე პატარა...  
 ლექსი 9 აპრილს და მის სევდას დაუწერია,  
 სევდა და ლექსი წლებში ქარმა დღემდე ატარა.  
 და ახლა შვილი მისვამს კითხვას, –თუ რა ლექსია?  
 მე მონდომებით შევეცადე, მეთქვა მთავარი!  
 რომ 9 აპრილი ისტორიის მძლავრი ფესვია,  
 და მათი სისხლით დღეს სამშობლო არის მართალი!  
 მერე იმედად შვილის თვალზე ცრემლის საწყისი...  
 კითხვას მრავალი ჩაბნევა კითხვის ნიშნები...  
 იქნებ ეს არის შეუცნობი ოქროს საწმისი  
 და სამომავლოდ ამოთლილი უფლის ნიშნები!  
 ლექსმა თავისი ტკივილები ჩემს შვილს გაანდო,  
 და ორთავ გულში 9 აპრილის სევდა აანთო.

3 მარტი. 2016 წ

**ფიქრი**

*მურად მთვარელიძეს.*

უნდათ ხელზე შეგასიონ ფიქრი!  
 ტყვია სიტყვებს ვეფარები ფარად  
 და თან სათქმელს ისევ ისე ვიტყვი,  
 თუნდაც მტერი მოვიმრავლო ჯარად!  
 როცა გული მეგობრობის ნათელს  
 იტევს! და თან სხვებს ურიგებს ჯილდოდ,-  
 ვუფროთხილდები ამ ერთადერთ სანთელს,  
 არ ჩამიქვრეს, ჩამეფეფროს ვინძლო!  
 ... მაინც, გზაზე ეს ამდენი მრუდე...  
 ერთად ბევრიც გაგვივლია, ვხედავ,  
 არ გაკმარეს ტკივილი და წუმპე!  
 კიდევ ერთხელ გასაოცრად ჩემდა!  
 გადაიწევეს ქართვეილთა ჩერო,  
 მერე ისევ გაზაფხული მოვა!  
 ახლა ვხვდები თურმე რატომ გჩემობ,  
 როგორ მიყვარს მაგ ლექსებით თოვა!  
 უნდათ, ხელზე შეგასიონ ფიქრი,  
 უნდათ წყარო ამოაშრონ თვითვე.  
 ფარად ვდგავარ, იმათ დღეებს ვითვლი!  
 რამდენი ვართ, მიდით ერთი, გვკითხეთ!

12 მარტი. 2016 წ

**ფურცელი**

ფრიალა ფურცლის ფარდულად  
 გულის წიაღში შემოსვლა.  
 მერე ოცნების მარულა –  
 ამ ფურცლის კალმით შემოსვლა.  
 წყალი ყოფილა არც წმინდა,  
 თუმცა არც შავი, არც მღვრიე...  
 რატომ აიდგი ფეხი და  
 სხვისა კარებთან რად მიეღ?...  
 ბგერები – ნათლის წყალია,  
 ზეცის წვიმებით ნაბანი,  
 თუ რამე არ მისწავლია,  
 გულთა, ერთგულთა ამბავი,-  
 ახლა მოვიდა, –მეც მივედი,  
 თავად ირთვება ყოველი,  
 გული გამთბარა ცის მიერ,  
 ზეცისგან – რას არ მოელო...  
 21 მაისი. 2016 წ

\*\*\*

ვერ მაშინებენ ტკივილები,  
 როცა ვჭვრეტდი,  
 როცა არჩევანს მთავაზობდა  
 საეჭვოს, ბედი,  
 უფლის წყალობით  
 გზა ჩნდებოდა  
 იმაზე მეტი!  
 იმაზე მეტი!!!  
 იმაზე მეტი...  
 -წყვდიაღში მშვიდი,  
 ვყოფილვარ კენტი!

მერე ნათელი, ფერხთით, ბევრჯერ შემომფენია  
 და შვილთა ძალით უთენები გამითენია!  
 მათი თვალების-ეს ყველაზე საკვირცელია...  
 უფალთან ერთად უთენები-გამითენია!

ვერ მაშინებენ ტკივილები!  
 მე ხომ დედა ვარ!

3 მარტი.2016წ.

**სიო-ქარი**

სიომკვერდზე სურვილს მაფენს,  
 თეთრი ფურცლის ფრთათფრიალებს,  
 გაბათხულო მაზიარე,  
 კიდევ ერთხელ ნაცნობ ფარჩებს!

ცაზე მთვარე საქსოვ ბურთს ჰგავს,  
 მე კი სურვილს იმ მთვარით ვქსოვ,  
 შორით ტრფობის ლანდი მოსჩანს  
 და მომავლს სულის ექო...

თმებში ქარი კოცნას მიზნევს,  
 ქარია თუ ქარიშხალი,  
 ვერასგზით ვერ ამოვხსენი  
 უხმო ფიქრით რაც მითხარი!

ვერ დავტეი საგულეში  
 ჩემი გულის ოცნებები!  
 აზრი გახდა კვლავ უხეში,-  
 არ გეგონოს გავოცდები!

თუკი გაბათხულო მეტრფის,  
 თუკი სიო კვალში დამდეგს,  
 ამის მეტი რაღა მეთქმის,-  
 ქარს გავატან მწუხარსა და დარდებს!

ლიმილით კი ჩემი არსი,  
 დაბადებიდან სავსეა,  
 იცით სადმე ჩემი მსგავსი? –  
 მე მოვძებნე!

კი,ასეა!  
 ეს ფრიალა გაბათხულო,  
 ჩემი ტყუპის ცალი არის,  
 აი, ჩემი სიყვარული,-  
 ჩემი ლურჯი სიო-ქარი!

15 აპრილი.2016 წ.





**ირინოლა ტყეშელაშვილი**

\*

უნდა ვეფინო  
მინდვრებს ზეფირად,  
ზეპირად არა გულზე გადასვლით,  
რა დათვლის სევდებს ასე ერთპირად,  
შემპირდი, რომ არ დაგავინწყდები,  
თავდავინწყებით ვგრძნობდი შენს სუნთქვას,  
გულქვას შეეძლო ეს რომ არ ეგრძნო,  
შევძლებ ვი?! ანი გზის გაგრძელებას...  
გამიძნელდება ვიცი გზამრუდი,  
დაბრუნდი, თორემ უკვე ავდრდება  
და ვით პეპელა, დამისველდები....

**შუალამის ლექსი**

ტკივილმა საშველი არ მომცა,  
(ახლა სამია შუალამის,  
ცრემლები კვლავ ლექსად წამომცდა,  
რომელშიც დარდების დამლა ზის...

ვინ მოვა და ნუგეშს ვინ მეტყვის,  
დამლაღეს უაზრო ბოდვებმა,  
მაცვივა სიტყვები ნასეტყვი,  
ნამსხვრევად ლოდების, ცოდვებად...

ვინა ვარ, საიდან მოველ აქ,  
რად მინდა სახელი, წოდება,  
ეს ჩემი საბრალო ლექსუკაც  
დრო მოვა, ჩემსავით მოკვდება...

**წახალ ისეთი სიზმარი ვნახე...**

მთვარის სხივებმა დამიგეს მახე,  
წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე,  
ზეცამ გაშალა ვარსკვლავთა ბადე,  
თითქოს ხელახლა მე დავიბადე...  
მოგქონდა ჩემთან სურნელი მძაფრი,  
თავბრუნდამხვევი, იასამანთა  
და მე კვლავ მოსულს, შენს გულის კართან,  
აღარაფერი მახსოვდა გარდა,  
შენ იყავ ჩემთან და ეს საღამო

**მამულო ჩემო!...**

თუ არ აყვავდა ვარდი მაისის,  
არ იჭეტილეს პურის ყანებმა,  
თუ სამერმისო ხმები არ ისმის,  
მაშ სული ლექსით რას დანაყრდება.

თუ არ აინთო ცისკრის ვარსკვლავი,  
დარუბანდიდან ნიკოფსიამდე,  
თუ ვერ გავშალეთ საძმო მხარმკლავი  
და კიდევ ერთხელ თუ დავაგვიანეთ...

მაშ ნუ ვიგლოვებთ უნიათობით  
გასხვისებულს და ქცეულს ვერანად,  
ვით გავიხსენოთ როგორ გვათბობდი  
ან თუ ოდესმე გედექით ფარად...

მამულო ჩემო, მე შენ იარებს,  
მინდა მოვეცხო სულის მალამოდ,  
ბოლომდე დავცლი შხამით ფიალებს,  
ოღონდ არ ვნახო დაგასაფლაონ...

თუ არ აყვავდა ვარდი მაისის,  
არ იჭეტილეს პურის ყანებმა,  
თუ სამერმისო ხმები არ ისმის,  
მაშ სული ლექსით რას დანაყრდება.

ზღაპარს ვი არა, ჯადოსნურს ჰგავდა,  
რთავდა ოცნება გულში იმედებს,  
რწყავდა თვალეები ამ ნუგეშს ცრემლით,  
გამოქცეული სიზმრის მიღეთებს,  
შენთან მოვედი ამ ლექსის წერით...  
და სულერთია დღეს რა მომივა,დცჰ  
ან ბედი როგორ დამიგებს მახეს,  
უბედნიერეს წუთებს მივინდე,  
წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე...

**ჩემი ცა მინდა...**

ერთ დროს ხასხასა მწვანე ფოთლები,  
ამ ოქტომბერმა ყვითლად შემოსა,  
არ მასვენებენ სულის შფოთვები,  
სევდიანს ვუცქერ გარეშემოსა.

წაიღებს ფიქრებს ცხრა მთას გადაღმა,  
ეს არეული ლევა ღრუბელი,  
ვდარდობ, ის ბალი ხომ არ გადახმა,  
თეთრად ყვაოდა სადაც კუნელი...

შემომათენდა, უცხო მინა მე  
ვერ ვისისხლხორცე ფეხთა სადგამად,  
იგი, რაც ერთხელ გულით ვინამე,  
იქაც თან მახლავს, სადაც ახლა ვარ...

ამ ფოთლებივით მეც შემცვლის მალე,  
ყოფიერების სიჭრელე დროთა,  
გულის კუნჭულში ღრმად გადავმალე,  
დედის და შვილის კავშირი, ორთა...

მიმიღე, ისევ შენს თბილ კალთაში,  
ვიდრე ვქცეულვარ დარდის მდინარედ,  
თავს მშვიდად ვერ ვგრძნობ უცხო ქალაქში,  
ჩემი ცა მინდა, შუქმომფინარე.

ერთ დროს ხასხასა მწვანე ფოთლები,  
ამ ოქტომბერმა ყვითლად შემოსა,  
არ მასვენებენ სულის შფოთვები,  
სევდიანს ვუცქერ გარეშემოსა.

**სამშობლო ჩემო...**

ნუ წამშლი, შენი ფესვის ნებიდან,  
ნუ ჩამშლი ფერფლად, ქარაფებიდან,  
ნუ ამშლი სევდით, ცამდე ფიქრებად,  
ვეღარც დავბრუნდე მერე, იქნება...

ამ წამში ისევ, ისე გინატრე,  
შენგან შორს ყოფნა ძლიერ ვიდარდე,  
სამშობლო ჩემო, შენი ჭრილობა,  
გულით დამაქვს ვით დედაშვილობა.

ვეღარ ავლიე აღმა სავალი,  
ისე მომისწრო დაღმა ჭენებამ,  
რადგან გავძელით წელი მრავალი,  
არ გვინერია გადაშენება...

მოვალ რომ მკერდზე თავი მოგადო  
და შენი ძარღვის ვიგრძნო შეხება,  
ჩემი სიცოცხლე შენ ერთს მოგანდო,  
ვიცი ამ გზაზე ჭვარცმა მერგება....

მანც არ დავთმობ ბილიკს არჩეულს,  
ოდესმე, მჯერა, შენთან მომიყვანს,  
თუ მივენდობი დარდებს არჩეულს  
ვიცი კენჭივით სადმე გამრიყავს...

ნუ წამშლი, შენი ფესვის ნებიდან,  
ნუ ჩამშლი ფერფლად, ქარაფებიდან,  
ნუ ამშლი სევდით, ცამდე ფიქრებად,  
ვეღარც დავბრუნდე მერე, იქნება...





**ეკატერინე ნადირაშვილი**

1/5

წლები მიფრინავს, როგორც მერანი,  
თმაც დაფიფქული მიმზერს სარკიდან,  
უკვე რამდენი გასულა წელი  
მშობლიურ ქვეყნის დატოვებიდან.

ოცნებად მექცა შინ დაბრუნება, –  
სულს მონატრების წყურვილი ახრჩობს...  
ოჰ. ოცნებებში დრო გაფრენილა,  
დამღამებია გზად მავალს მარტო...

წლები მიფრინავს როგორც მერანი, –  
ამ ბილიკს ბოლო არ უჩანს თითქოს...  
იმედის თვალით გავყურებ შორეთს...  
ვიცი, რომ ბოლო... კი უნდა იყოს!

\* \* \*

ისევ მომეძალა დარდი,  
ისევ მომერია სევდა,  
ჩემო მშობლიურო კერავ,  
აღარა მაქვს შენი ხედვა...

შენი მონატრება მტანჯავს,  
ჩემო მშობლიურო კერავ!  
როგორც სენით შეპყრობილი ვაცი  
ახლა უცხო მიწას დავალ...

გულით დაგატარებ ჩემო,  
ჩემო მშობლიურო კერავ,  
ისე მენატრება, ღმერთო!  
ლამის სიცოცხლესაც ვკარგავ...

სად ჩემი ქვეყნის ცა და ფირუზი...  
სად უცხო ქვეყნის დანისლული ცა?!.  
მინდა... ისმოდეს ჩემი ქართული...  
და ეს სურვილი ნატვრადაც იქცა...

სად უცხოური სიტყვების სმენა?!  
სად მშობლიური ენის ჰანგები!  
ნეტავი, როდის...ნეტავი, როდის?  
მე ჩემს ქვეყანას ჩავეხუტები?!

\* \* \*

ვერ გხედავ, სადა ხარ, – ვაცეცებ თვალებს და  
ცრემლები წვიმად მდის, მისველებს წამწამებს,  
და მაინც იმედით გავყურებ მე იმ გზას,  
ტირიფის ხესთან რომ პირველად დაგლანდე...

ფიქრები ერთმანეთს ოჰ, როგორ ებრძვიან,  
წარსული მიღწევას მე სულის დარაბებს, –  
ნახვის იმედი სულ გადამენურა,  
მაინც გელოდები იმ ხესთან ახლა მე...

იმედის მარცვალიც არ შერჩა ამ თავთავს,  
რა ვქნა? რა ვიფიქრო, – ნუთუ, სხვა მანაცვალე?  
გაქერი უკვალოდ, – სადა ხარ? სადა ხარ!  
იქნებ და... მართლაც და სულ სხვაში გამცვალე?!

და თუ ეს ასეა, სადა გაქვს ვაცობა?!  
რითაც მე მომხიბლე და სხვაც მოაჯადოვე?!.  
ცრემლები აღარ მდის და არც გზას გავცქერი, –  
უღირსი ყოფილხარ... ასეთად დაგტოვებ!

ფიქრები ერთმანეთს ოჰ, როგორ ებრძვიან,  
წარსული მიღწევას მე სულის დარაბებს, –  
ვაითუ, ვცდები და ეს მხოლოდ ეჭვია?!  
ეჭვია, რომელიც თან ახლავს ამ განცდებს?!

და მაინც მჯერა მე შენი ვაცობის!  
ცრემლები წვიმად მდის, მისველებს წამწამებს,  
და მაინც იმედით გავყურებ მე იმ გზას,  
ტირიფის ხესთან რომ პირველად დაგლანდე...

და მაინც მჯერა მე შენი ვაცობის!







გიგი თეთრაძე

**მე მოვალ**

მე მოვალ შენთან დღისით ან ღამით  
და შენს თვალებში სევდას გადავშლი,  
თავს მოგაბეზრებ ჩემ ფიქრთა ამბით  
მე უშენობის ყოველ წამს დავთვლი.

მეტყვი როგორ ხარ, შენ თვალებს დახრი,  
თბილი თითებით ჩემს თითებს დათვლი,  
დროს შეაჩერებს კედლის საათი,  
შენს გულის ცემას სიჩუმე ათვლის.

ასე გაიფრენს სანუთროს ჟამი,  
დროის საათებს ისრებს მოვპარავ,  
რადგან არ მინდა გაქრობა წამის,  
წამმა, რომელმაც სითბო მომგვარა.

შენ ზამთარი ხარ, მე შემოდგომა  
და ყვითელ ფოთლებს ფეხებთან გავშლი,  
ზამთრის ყინვები ვააქციოთ სითბოდ,  
თორემ ჩვენ სულში ყველაფერს წაშლის.

მე მოვალ შენთან, ფიქრებით დაღლილს,  
შემოგეხვევი თოვლის ფიფქივით,  
თავს მოგაბეზრებ ოცნებით, დარდით,  
ჩემში გაცხოვრებ, ჩემი ფიქრივით.

**ზღვა**

ზღვა არის ცისფერი თუ ცა არის ზღვისფერი,  
მზემ მორთო ნაპირი ოქროსფერ სხივებით,  
ცა ვარსკვლავებს უბიდან იფერთხამს,  
ამაღამ ზღვას მორთავს ფერადი მძივებით.  
ზღვა მიყვარს მშვიდი და ოდნავ მრისხანე,  
შენი თვალები ზღვასავით მშვიდია,  
მზის ჩასვლას ვუყუროთ ძვირფასო მე და შენ  
ჩვენ ერთად ყოფნის წუთები გვიცდიან.  
ვუყუროთ მზის ჩასვლით ზღვა როგორ ცეცხლდება,  
როგორ უნითლდება ლურჯი ლოყები,  
როგორ კოცნიან მორცხვად, ფარულად,  
ზღვას როგორ ეტყობა მზის ნაკოცნები.  
ზღვა არის ცისფერი თუ ცა არის ზღვისფერი,  
მზემ მორთო ნაპირი ოქროსფერ სხივებით,  
ცა ვარსკვლავებს უბიდან იფერთხამს,  
ამაღამ ზღვას მორთავს ფერადი მძივებით.

27.08.22

ნაცრისფერ წუთებს რომ აფერადებს  
და ყველა დარდის მკურნალი არი,  
იშვიათად თუ შეხვდება ვაცი,  
ბული ბავშვური, თბილი და ანცი.  
ღიმილს ამშვენებს ღვთიური მადლი  
და შენს თვალებში სუფევს უფალი,  
სამყარო თუნდაც სულაც გამქრალა,  
მე შენში ვრჩები მარად სტუმარი.  
დაინყებს თოვა, დაინყებს წვიმა,  
მომეკრობიან სევდის ჭიები,  
მე სიმარტოვის ერთგული ვიყავ,  
ისევ ხარობენ სულში იები.  
ნაცრისფერ წუთებს რომ აფერადებს,  
და ყველა დარდის მკურნალი არის,  
იშვიათად თუ შეხვდება ვაცი,  
ბული, რომელიც შენს მკერდში დადის.

18.08.22





ლალი სობახე

\*

პოეტი არ ვარ, მაგრამ ლექსი მიჩქეფს დაცლილ  
ძარღვებში,  
პოეტი არ ვარ, მაგრამ სული ლამობს სადღაც გაფრენას,  
მე ვთელავ საზღვარს, უსასრულობას, სულის სარკეში,  
და როცა ვხედავ უთანხმოების შეშლილ არენას,  
მე იცით რას ვგრძნობ? მზის სხივებთან, რომ ვითარეშე!  
რადგან ვერ შევძლებ, ანი ვიცხოვრო ლექსის გარეშე!

\*

თქვენი ტკივილი, მესმის ძალიან...  
სამშობლოს შველა უნდა, ვ ა ლ ი ა.  
ვალი გვაქვს ყველა ქართველს წინაპრის  
და მათი სისხლი მოაწყდა ნაპირს.

წმინდა მარიამ, შენ გვედრები,  
ვიცი, რომ ჩვენთვის ძეს ევედრები,  
მაგრამ მტერი თუ უფრო ძლიერად  
გვიტევს და გვაქცევს ჩვენ საწყალ ვრად

წმინდანო, მაშინ გვითხარ საშველი,  
ჩვენ თავს ვერ ვშველით, არ გვყავს მაშველი,  
მთელს დუნიაზედ მართო დარჩენილთ  
ეს დაგვრჩენია, სიკვდილსდა ველით?!

მაგრამ ქართული სული ბობოქრობს,  
მტერს თავს არასდროს აღარ დავუხრით,  
ის გვირჩევნია, მონობის ბოქლომს,  
გმირულად მოვკვდეთ სამშობლოს მწუხრით!

წმინდა მარიამ, შენ გვედრებით,  
მოგვეცი ძალა, მოგვეცი გონი,  
ჩვენ ხომ წინაპარს კვლავ შევედრებით,  
და მტერსაც უნდა მოვუგოთ ომი!

\*\*\*

წელი დაგვიდგა ახალი,  
ყველაფერს ერთად გილოცავთ,  
ხვავი , ბარაქა, სიკეთე  
ვეფხვს მოეტანოს მილოცვად.  
კორონა გვერდზე ვისროლოთ  
და კიდევ ბევრი ვირუსი,  
ძველ წელს ავკიდოთ პროცენტად  
კრედიტის ბევრი მინუსი.  
გისურვებთ ჯანმრთელობას და  
ხელფასის გაზრდას ამ წელში,  
ისე ემატოს თანხას, რომ  
ვეღარა ვტევდეთ ჩანთებში.  
მასწავლებლებო, წინსვლისთვის  
ცოდნით „გეტენოთ“ თავები,  
მოსწავლე არ გაგცეოდეთ,  
არ აგეკიდოთ ვალები.  
პენსიონერებს ვუსურვებ,  
პენსიას დოლარებშია,  
სპორტსმენის ჯანი ქონოდეთ,  
სიბერის მოლოდინშია.  
ქალებო, მინდა კარგ ბედში,  
მენახეთ გაფურჩქვნილები,  
ისე ლამაზნი იყავით,  
ვით ვარდი ყვავილნარებში.  
ვეფხვის წელია, ვეფხვისო,  
რომ უხარიათ ამ კაცებს,  
ნეტავ ვეფხვებად იქცნენ და  
აღარ დავეძებ არაფერს.  
ხელში აედოთ სადავე  
ამ ქვეყნის მმართველობისა,  
მამულის ბედზე ებრუნოთ,  
ჩვენც დაუდგებით გვერდითა,  
ემიგრანტების ფულები  
აღარ ეხარჯოთ ბეჭითად.  
მთავრობამ კიდევ ხალხისთვის,  
სულ კარგი საქმე აკეთოს,  
სახლ-კარი ყველას ქონოდეს,  
ბუხარში ცეცხლი აენთოთ.  
ჟურნალისტებმა იცოდნენ,  
უცილოდ თავის ალაგი,  
თავზე არავის დაესხნენ,  
სიტყვა გვანვდინონ მართალი.  
ვეფხვის წელია, ვეფხვისო,  
გილოცავთ, ყველას გელითო,  
დაგვბედებოდეს სიკეთე  
და სიძლიერე ვ ე ფ ხ ვ ი ს ო!

\*

სიბერემ ჩამაიარა და  
თვალი მკიდა სადღაცა,  
გულზე, მჭიდები დაიკრა,  
– ქალაუ, როგორ გამამრჩა?!

– სად იყო, ნეტავ ვიცოდე,  
– სიყვარულს უჭდა გუდაში,  
– თუ სიკეთესთან დაბავდა,  
და არის ასე, მუდამ შინ?

ასე ბობოქარ დაჰქროდა,  
აღმართში, მერე დაღმართში,  
რა მექნა, მენაც ვუთხარი,  
– შენ, ვერ გამიყვან „დამკაში“ .

უფრო გაბრაზდა, გაცეცხლდა,  
დამინყო თოლთა ბრიალი,  
– შენზე მაგრები დავჩაგრე,  
დავანყებინე ღრიალი...

რას მემართლები, რა გინდა?  
რაი დამიშავს შენზედა,  
ჩემთვის ვარ არარას ვერჩი,  
ვიცი, თოლი გაქვს ბევრზედა.  
მე, ვი, სიკეთეს ვაკეთებ  
და სიყვარულსაც ვაბეგრებ,  
თავს, თუ აღარა მანებებ,  
ს ი ბ ე რ ე ვ, შენ დ ა გ ა ბ ე რ ე ბ!

**შ ი შ ი**

რამდენი ნილაბი ერგება სახეზე,  
მინც სუნთქავს და არა აქვს პრობლემა,  
მაგრამ არ ფიქრობს, ვერ ფიქრობს მახეზე,  
რომელშიც თავადვე უცილოდ ებმება.

ნიღბების ცვლისა და მორგების პროცესი  
გაუხდა პირველი საქმეთა შორის,  
არავის არ ინდობს სიკვდილის ცელი,  
სიცოცხლის ნილაბი ვერ პოვა გონით!

სულის მიყიდვა ეშლება ეშმაკზე?  
უკვდავიც ჰგონია ალბათ მას თავი,  
ნიღბებს შეათანხმებს უთუოდ ღამესთან,  
სიკვდილის ნილაბი იქნება შავი.

სიყვარულს რად უნდა ნიღბებით თამაში,  
ან შიშს რად უნდა დაუდოს ბავი,  
დიდი აქვს თვალეხი დავრწმუნდი ამაში,  
შ ი შ ი ა ყველაფრის თავი და თავი.

\* \* \*

მეგობრებს  
ჩემი მეგობრები-  
ჩემი ბავშვობაა,  
განვლილი გზებია,  
ცუდი თუ კარგი.  
მათი თანადგომა  
ჩემთვის ძვირფასია  
და მათ სიყვარულს  
დიდი აქვს ფასი!  
ცხოვრების ბილიკები  
ერთად გვითელია,  
სიძნელეს შევჭიდულვართ  
ე რ თ ა დ,  
ჩვენი ბავშვობა, ხომ  
ლამაზი სიზმრებია,  
სადღაც გაფრენილი  
ნ ლ ე ბ ა დ!

\*

ტყვილა გივლია, აღმა-დაღმა  
არ ვიცი რისთვის  
და მარტოობა დღეს თუ არა,  
ხვალ მაინც შეგძრავს,  
თმებში ჭაღარა შეგპარვია  
შენც კარგად იცი,  
გამოგონებულ შენს სიყვარულს  
დაუნყებ ძებნას!  
შენ ვერაფერი გაგიგია  
თურმე, ამ ქვეყნად,  
სინმინდის ზღვრამდეც  
ვერ მისულხარ ამდენი წელი,  
გაგხუნებია სასთუმალთან  
სიზმრების წყება,  
წმინდა სიყვარულს ვერ უხამე  
ვერც ერთი ფერი!  
თუნდ ეკლესიას მიაშურო,  
შვებას ვერ ნახავ,  
თუ წმინდა გულით არ ისახე  
პირჭვარი მკერდზე,  
ვისი სახება აგებნევა  
თვალეხში ნეტავ?!  
როცა ხატებთან მუხლმოყრილი  
დააფრქვევ ცრემლებს!





ირაკლი ნადარეიშვილი

### როცა ქალი წერს სევდით...

(პოეტ ქალბატონებს)



ყველას თავისი სტკივა იარა,  
უკმაყოფილოს საკუთარ ბედით...  
სულ სხვაა, როცა ქალი ქსოვს სტრიქონს  
სულ სხვაა, როცა ქალი წერს სევდით...  
ქალი სათუთი, მსხვრევადი გრძნობით,  
და მარტოობა განრთხმული ფერხითით,  
სულ სხვაა ქალი, როდესაც რჩება  
ილუზიებში შექმნილი კერპით...  
სულ სხვაა, როცა სარკმელთან ქალის,  
ჩანს სილუეტი მოხურულ პლედით  
და მოლოდინში თმას უშლის სიო  
და მონატრების სტრიქონს წნავს სევდით.  
სულ სხვაა, როცა მუზას სვამს ნელ-თბილს,  
მკურნალად იწყობს თაბახებს გვერდით,  
სულ სხვაა, როცა ვერ ნათქვამ სათქმელს  
კალმით ამოთქვამს და ქარგავს სევდით ..  
აღბათ, სულ სხვაა ტკივილი ქალის...  
ვერ გამხელილი გრძნობების ელდით,  
ჰოდა, სულ სხვაა, როცა ქალს უყვარს  
და ამ სიყვრულს გადმოსცემს სევდით.

## პასუხის პასუხი



ეთერ ჭელიძე

### „რატომ წერს ქალი“?

„რატომ წერს ქალი“, „როცა წერს ქალი“?

– სიხარული სჭირს ან დიდი დარდი...

რა მოუკალმავს მონაბნეწარს მისას

მზის მცხუნვარება თუ მზე რომ ჩადის?..

რატომ წერს ქალი, რომელიც თუნდაც

ბედნიერების მუდამ ფლობს საწმისს

და მაინც იგი სათუთი, ნაზი,

წერს, როცა ირგვლივ ტკივილი დაძრწის...

რატომ წერს ქალი, რად იქნევს კალამს

ვით სარეველას მოსათიბ ნამგალს?

სტკივა თუ უჭირს... უყვარს თუ უღბინს...

ქალი ქართველი, არავის არ ჰგავს!

რას ფიქრობს ქალი სარკმელთან მდგარი,

ღამის ქარბუქებს მართო რომ კვალავს?

სადღაც ჩაუქრა იმედის კვარი

და სული მისი მიენდო კალამს...

და წერს ის ქალი, ქალი რომელიც

ოჯახისათვის სხვას უხდის ღალას,

საკუთარ კერას გარიდებული

მონატრებას და ღიმილს რომ მაღავს!

და წერს ის ქალი, მთვარის ლაბადით

რომ ეფიცხება ოქროსფერ წვიმას,

რადგან გული დევს ქალში ქალური,

შიგნით დუღს, მაგრამ თვალები ბრწყინავს!

მაშინ წერს ქალი, თუ გრძნობის სიმებს

შეაჯანჯლარებს მდუმარე ქარი

და პლედმოსხმული, დარდის სარკმელთან,

სტრიქონად ძერწავს იმედებს ხვალის...

და წერს ის ქალი, სევდაუთქმელი,

რომელსაც უყვარს, სტკივა და ეწვის...

ვისაც დროების უკუღმართობამ,

ან ბედისწერამ გამოჰკრა ეშვი...

და მაინც რატომ, რატომ წერს ქალი?

ცრემლით, სიცოცხლის სიყვარულს ქარგავს!

თუ მის ნაკალმევს დაჰკრავს ნაღველი,

ბედნიერია, რომ გაჩნდა ქალად?!



თენგიზ ფანცულავა

### პასუხის პასუხი

კითხვა დაისვა რთული,

რატომ წერს ლექსებს ქალი,

შეყვარებული, სატრფო,

ღარიბი ან მდიდარი.

ერთი მაშინ წერს ლექსებს,

ტკივილს რომ არ აქვს ზღვარი,

მდიდარი, მხოლოდ მაშინ,

როცა მოცლილი არი.

მიყვარს ქართველი ქალი,

მშვენიერი და წყნარი,

დიასახლისი თბილი,

გვერდში რომ უდგას ქმარი.

მიყვარს დედა და რძალი,

ვინც გაამრავლა გვარი,

ოჯახის დედაბოძი,

ნამუსის მცველი, ფარი.

ლექსებს ყველა წერს, გულით,

მეტად, ვინც რომ შორს არი,

შვილებისათვის დათმო,

მშობლიურ სახლის კარი.

ზოგს მშველად მოევლინა,

ლექსის კუპლეტი, ჰნკარი,

ლექსებს მიანდო. მისი,

ტკივილით ნაფიქრალი.

ამიტომ მიყვარს ქალი,

ფაქიზი, ნაზი, წყნარი,

უბრალოდ გული მტკივა,

სველი რომ დააქვს თვალი.

პ.ს.

მომეწონა ჩემო ეთერ,

ნაფიქრი და ნააზრვევი,

სიყვარული, სიხარული,

იყოს თქვენი თანამდევნი.





### ჩემ სულიერ დედას

*(ედღვნება ჯ. ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორს, ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს)*

ჩემ სულიერი დედისთვის,  
მადლობას ვწირავ ზენასა,  
გფარავდეთ უკუნისამდე,  
სულს ნუ მოაკლებს ლხენასა,  
თქვენს არსებობით ვიხარი,  
გულიც ეცემა ლხენასა,  
თქვენი შესამკვი სიტყვები  
ვერ ძალს აღმოსთქვას ენამა.  
თქვენიით მიხარის არსობა,  
ცად ვინცებ აღმაფრენასა,  
სკდებიან გრძნობის კვირტები  
მალლის ხმით ვინცებ მღერასა.  
თქვენ ირგვლივ სითბოს ასხივებთ,  
გულში ღრმად იკრავთ ყველასა,  
ამიტო თქვენ გინოდებენ,  
ყოველ სულდგმულის დედასა.  
მეამაყებით დედილო  
წმინდა სული გაქვთ ნამდვილი,  
თქვენებერ სიკეთეს იქმიან,  
სანუთროდ მხოლოდ მართლები  
დალოცვილ იყოს ეგ უბე  
მრავალი შვილის გამზრდელი,  
გფარავდეთ მაღალი ღმერთი,  
გიკურთხოთ თავზე მანდილი.

რომ ჩაგეხუტო ბავშვივით,  
ეს არის ჩემი წადილი,  
რითმებს გადმოვცემ გრძნობებით,  
მადლიერებით აღვსილი,  
გულები ძალზეა ახლოა,  
გვაშორებს მხოლოდ მანძილი,  
მიყვარხართ მეამაყებით,  
ჭემმარიტი ხართ ნამდვილი.  
როდის გიხილავთ მე იმდროს  
მოთმენით დაველოდები,  
მინდა რომ გულში ჩაგვეკრათ  
ჩამოგხსნათ, დარდის ლოდები,  
მინდა ბავშვივით მოგიყვეთ  
ჩემი ცხოვრების ავ კარგი,  
დედილო არ გაგშორდები,  
თქვენთან ვიქნები მარადის.  
თქვენ დედის სითბო მაჩუქეთ,  
თქვენში ვგრძნობ წმინდა სულია,  
თქვენს გაკეთებულ სიკეთეს  
არა აქვს დასასრულია,  
მინდა ხარობდეს მარადის  
ეგ თქვენი თბილი გულია,  
ჩვენი კავშირი მუდმივი,  
უკვდავი, სიყვარულია.

დიდი პატივისცემით





გივი სიხარულიძე

### არწივს

არწივო, ზეცას დაფრინავ  
გვიცქერ მედიდურ მზერითა,  
შენ რას დაგაკლებთ, მეფეო,  
მინას დავბობლავთ ქვევითა.  
ერთმანეთს ველაქუცებით  
მაცდურად კუდის ქნევითა,  
ლამის სამყარო შევრაცხოთ  
ჩვენი ასეთი ქვევითა.  
შაგცქერით, ენავენელიანობთ,  
თანაც ვტრაბახობთ შენითა,  
მინისკენ სულ არ დაეშვა  
მხოლოდ იფრინე ზევითა.  
ისეც გვეყოფა მინიერთ,  
რომ ვხარობთ შენი ცქერითა  
ჩვენთან რომ იყო მინაზე,  
მყის გაფრინდები ზევითა.  
აღბათ არასდროს ინატრებ,  
რომ ჩამოფრინდე ქვევითა.  
არწივთ ჭიდილი ზეცაში  
ნისკარტებით და ფრთებითა,  
მინახავს, განვცვიფრებულვარ,  
ვაჟკაცურ ყოფა-ქვევითა.  
აღბათ მიტომ ხარ არწივი,  
პატრონი მთის და ზეცისა,  
ის ვაჟკაცობა, რაც შენ გაქვს,  
ნეტავ ჩვენ რად არ გვეღირსა?!  
თუ ადრე ვამირანობდით,  
ავთანდილობდით გმირები,

დღევანდელ ყოფას დაგვცინის  
ლორი, ჯორი და ვირები.  
მისხალ არ დაგვრჩა კაცობის,  
ქვენარმავლებად ვიქცეით,  
მინის ქვეშ დავსრიალებთ და  
ვიქცევით როგორც ვირთხები.  
იმდენი გესლი ვანთხიეთ  
ლანძღვა-გინებით აწმყოსი  
ღმერთზე ჩვენ როგორ ვიფიქრებთ  
უკვე ჯოჯობეთს ნამყოფნი.  
მე ერთი რამით ვსულდგმულობ,  
მაინც ერთად ვართ ქვეყნადა,  
მიუხედავად იმისა,  
შენ რომ დაფრინავ ზეცადა.  
მაგრამ ერთი დღე იცოდე,  
გაქცევს მძორად და ლეშადა,  
და მინას შევუერთდებით  
მე ნაღდად ვიცი, ერთადა.  
კაცურად ვამბობ, ძაან მწყინს,  
რომ იწოდები ლეშადა,  
ჩემზედ რომ იყოს შევცვლიდი  
ქართულ სიტყვას და დედანსა,  
მაგ ვაჟკაცობის შემყურე,  
მე გინოდებდი ცხედარსა.  
აღარ ვვარგივართ, სამზერლად  
და სანახავად სხვისადა,  
გადავიქცეით მონებად  
და სავსე ფულის ქისადა!  
კაცს თუ აქვს დიდი ქონება,  
გინდ ქონდეს ჩლუნგი გონება,  
ინყება მისი ხობა და  
მონის კამათლის გორება.  
თუმცა იციან მოგვებმა,  
რასაც სჩადიან ბეჩაფნი,  
ფიქრობენ, მაინც მოვკვდებით  
ბარემ წავიდეთ მაძღარნი.  
ასეთ გამძღომას სჯობია,  
კაცი კვდებოდეს მშიერი,  
შემირცხვენია აქ ყოფნა  
თუ სულით არ ხარ ძლიერი.  
მინა ყველასთვის ერთია,  
მაგარია თუ ფხვიერი,  
და იგი ყველას მიიღებს,  
მაძღარია თუ მშიერი!



თინათინ ხაბურზანია



ოდა მეგრული

ვით შესანდობარს სუფრასთან, რომ ვსვამთ, შემორჩენია უმადურ დრო-ჟამს და ვინ იცის რაზე ოხრავს და მოთქვამს, ეს ერთი ფურცელი მეგრული ოდა.

ხავსმოკიდებულ სახლის აივანს ჩანს, რომ პატრონის ხელი აკლია. დრო გარდასული თითქოს კვამლია გამოპარული ოდის კარიდან.

ფეხდაუდგმელ და ცვრიან ბალახს იქ, სარეველა ყავს ჯიბრზე ჩამჭდარი. დანგრეულ ღობეს ჭიშკარ – თავამდი ბებერი თხმელა, შერჩა დარაჯი.

მარანში დარდით ქვევრი დაღლილა, შიგ ნანვიმარი წყალიც ასხია. კართან უტარო თოხი აგდია ყველაფერს დროის დაღი დასმია.

ხშირად ჩავეული ოდას ფიცრულას, მცნობს ჭირისუფლად თითქოს მიგულა. გრძნობს, რომ დედებად ჩემთვის რაც თქმულა მის ბებერ ჭიშკართან ჩამარხულა.

თუკი მეზობლად თავმოწონებით, დგანან სახლები ახალ მოდების, მაინც ეს გროვა ფერად ლოდების რას მოვა ემხთან ძველი ოდების.

თუმცა ვინ დარჩა მისი ერთგული, დიდგულობს სახლი ფეშენებლური. ვით ციხე თაღებჩამონგრეული, დროს ებრძვის ძველი ოდა მეგრული.

ჩვენი მეფეები

რომ არ აღგვილიყო პირისაგან მინის, ამ ღვთიური ქვეყნის ქორთა მთა-ველები. ზოგჯერ ქედმოხრილნი, მკერდში ცემით მჭიდის ურდოს მიდიოდნენ ჩვენი მეფეები.

შავი არ ჩაეცვათ ხშირად, რომ ჩვენს დედებს და ერს მოსწრებოდნენ გმირი ვაჟკაცები. ცხრა მთას იქით, მტერსაც ხელთ უგდებდნენ მძევლად თავის შვილებს ჩვენი მეფეები.

ბრძოლით სისხლგამოცლილ ქვეყანასაც ზოგჯერ ამოასუნთქებდნენ, თვით, სუნთქვაშეკრულები. და დამამცირებელ ხარკსაც სჭერდებოდნენ მხოლოდ მშვიდობისთვის ჩვენი მეფეები.

დროის მოგებისთვის, წუთით სიმშვიდისთვის, ქვეყნის უბედობით გულგატეხილები, დღეს, ნაბიჯს დგამდნენ უკან, ხვალ გამარჯვებისთვის შორსგამხედავი, ბრძენი ჩვენი მეფეები.

მერე ბედკრულ ისტორიას ამ პატარა ქვეყნის გულაჩვილებულნი დიდი მოფერებით წერდნენ ჩუმად ცრემლნარევი მელნით ქრისტეს ჯვარს გაცმული ჩვენი მეფეები.

მაგრამ, მერე როცა მოთმინების წიგნის დაიხურებოდა სულ ბოლო ფურცლებიც. ლომებად ქცეულნი, გმირული თავგანწირვით მტერს ეკვეთებოდნენ ჩვენი მეფეები.

უკან დასახევ გზას თვითონ ჩახერგავდნენ ზურგს არ უჩვენებდნენ მტერს მხრებგაშლილები. ცეცხლის მფრქვეველ ცის რაინდებს ჰგავდნენ და სიკვდილს მკერდს უშვერდნენ ჩვენი მეფეები.

ხან ცივი გონებით, ხან კი ცხელი გულით ბრძნული, ფრთხილი მუდამ სწორი ნაბიჯებით. ერს ღირსმსახურობდნენ, ღვთისგან ხელდასხმული, ნახმალევ, ნახანჯლევი, გმირი, ჩვენი მეფეები.



დედა-მინაზე

გულს ელდა მეცა, ვაი თუ მართლა სიცოცხლე  
 ქვეყნად უკვე დაბერდა  
 აბა რა ხდება? ამ დედა – მინაზე უკეთურება  
 როგორ გაბევიდა.  
 მზეც ავბედითად წკურავს დიდ თვალებს, თითქოს  
 სიცოცხლის ბოლო წუთს ითვლის  
 ჩვენ შემომჭადრნი ღრუბლის ფთილაზე  
 ამოვების დაღმართზე მივქრით.  
 გაუფერულდა ყველა ოცნება, კეთილი ზღაპარი,  
 ლამაზი მითი  
 ვარგა ხანია, ჩვენს ბედის ღილაკზე ვიდაცას  
 უკვე უჭირავს თითი.  
 ოქროს ვაშლებით ივსება თითქოს მკვიდრი  
 ბელელი სანუკვარ ბუდის

სამაგიეროდ შიგ სულში ჩავცხეს უხმასი კაყით  
 ნალესი შუბი.  
 შემოაცალეს ყველა ფურცელი სიყვარულის  
 დღემდე ნაფერებ ყვავილს  
 დამცირებული, თავს მანდილმოხდილი  
 სირცხვილისაგან ვეღარც კი ყვავის.  
 გაცვდა მიზანი, ნახდა სიმართლე, ჩუმად  
 ტირიან ფიქრები გულში  
 ჩვენ კი პასუხად კასრებით ვისხით ნაზავი  
 ქიშპის და ღვარძლის სულში.  
 ისევ ეს ელდა, ვაითუ მართლა  
 სიცოცხლე ქვეყნად უკვე დაბერდა,  
 მამ დილა, სიკეთის ბოროტზე ძღვევის,  
 ბოლოს და ბოლოს რით ვერ გათენდა

სიყვარული მოარული

ო! როგორ მიყვარს დილაადრიან  
 მთებს ნისლში წვეტი, რომ გაუყრიათ.  
 მზის მოთამაშე სხივებს ადრიანს,  
 ცვარ-ნამზე ფეხი, რომ დაუდგიათ.

დრო ჩამოკრავს ძნელბედობის, როცა ზარებს,  
 იქ ენგური მთებს დილეთს გადასძახებს.  
 მის საშველად უმაღ გახსნის კლდეთა კარებს  
 და არაგვიც ძმას აქედან ბანს მოსძახებს.

რომ გაიხსნება ზეცის ჭიშკარი  
 და ვეება მზე ამოგორდება.  
 კლდეთა გრილით, ტყეთა შრიალით,  
 საქართველო რომ აბობქრდება.

გულმოსული მთები დგანან მძიმედ ისე,  
 ლამისაა მტერი დადონ მარჯვედ ბეჭზე.  
 დაიბრუნონ, რაც გვეკუთვნის ჩვენვე ისევ  
 რაც ნაგვართვეს ძალითა თუ სხვის იმედზე.

მთის კალთებიდან, რომ გადმოდგები  
 და თითქოს ზეცას ხელით შესწვდები.  
 რასაც კი ლუკმად გარგუნებს ბედი,  
 მასზე მცირედსაც, რომ დასჯერდები.

ხალხიც ისე უდრევია ვით ეს მთები,  
 მინის მტკაველს სდარაჯობენ ხმლით და ხანჭლით.  
 სტუმარი ხარ? თავს დაგაკლავს ზედ ქართველი  
 თუ მტერი ხარ, გაუსწორდი აბა ხმალში.

ერთ გემოზე, რომ გაიზმორები,  
 ამოაყოლებ ოხვრას ხვაშიადს.  
 ნედლი ჰაერით, რომ გამოთვრები  
 და იმყოფინებ საგზლად, სადილად.

ზეცა არის გამჭვირვალე, როგორც ბროლი  
 არ მინახავს მსგავსი სადმე სილაჟვარდე,  
 მინა არის გამომცხვარი კვერი ობლის  
 ზედ ვერ იტევს ვაზის ზვრებს და იალაღებს.

მთით, რომ მოქრის გრილი ქარის მონაბერი,  
 მთაში ადის მცხუნვარე მზის ანარეკლი.  
 დადიხარ თუ ცაში ფრინავ, ვეღარ ვხვდები  
 ეს მხარეა არწივების გასახედნი.

ეს ქვეყანა ღვთიურ ხელით მოქარგული  
 გაჩენილა კაცის გულის გასახარად.  
 საქართველო – სიყვარული მოარული  
 კურთხეულა ღვთიმშობლისგან ოდით მარად.

ზღაპარია... როცა ნისლი ჩაუნვება ხეთა ჩქერებს  
 და ბურუსი სიზმარივით შეგიტყუებს.  
 სადღაც ახლოს კლდე ჩამოაქვთ მთის ჩანჩქერებს  
 და მერე კი ფეხს უკოცნის ქალწული ხეებს.

და პატარა საქართველო – ნიშა ღმერთის  
 დარჩა მტრისგან დღეს გარეშე ორთავ ფრთისა,  
 მაგრამ მტერო გემინოდეს მის ციდა მკერდში  
 ჯერ კიდევ ძგერს გული მეფე დავითისა.



ანა შანავა

\*\*\*

და... მაინც მოვა ზამთარი, დაუნდობელი, ფლიდი.  
ჩაგვისახლდება სხეულში გამყინავი და ცივი.  
ყელში მოგვწდება აფთარი, წურბელა ვით სისხლის მსმელი.  
ნულარ დაითვლი დღეებს, მაინც მთავრდება ბოლოს.  
სულ ყველაფერი წრეზე ტრიალებს და მეორდება თითქოს.  
თუ ლორთქო ბალახს გვალვა დააჭვნობს,  
წვიმა აცოცხლებს ისევ.  
დედის საშოდან ერთხელ შობილნი, მხოლოდ ერთხელ და მარტო.  
სიცოცხლის წყურვილს ვერ დაიოკებ, თუნდაც რომ იყო ასის.  
გული ხომ მაინც არ გვიბერდება, თითქოს მუდამ ვართ ოცის.  
საკუთარ თავთან, მარტონი ვრჩებით, ყველა სიცოცხლის ბოლოს.  
მაინც სამყაროს გასაღებს ვეძებთ, სანამ მკვრელში ძვერს გული.  
ჭინვით ბოთლში გამომწყვდეული, გვაფორიაქებს,  
ჩვენს სხეულებში, შეუცნობელი,  
დაუდგრომელი სული.  
და... მაინც მოვა ზამთარი, დაუკითხავად, ჩუმად...  
საკუთარ თავთან მარტონი, ვიქნებით სიცოცხლის ბოლოს.  
ამ სამყაროში წუთისოფელი,  
ვერვინ შეიცნო მაინც!

\*\*\*

„დავდივარ“ ლექსიდან –ლექსში,  
ვკითხულობ ყველას თუ არა, უმეტესს მაინც.  
რას არ ვიგონებთ, რა მეტაფორებს:  
მზე, მთვარე, ცა თუ ვარსკვლავი...  
ვერც კი ჩამოთვლი, მათ გამოსახვის გზებსა და ხერხებს...  
დადგა შემოდგომა და ფოთლებივით ცვივა ისევ ლექსები,  
აჭრელებული უამრავი, ლამაზი  
სტროფით...  
მაგრამ არსად სჩანს ადამიანი, — ის შრომაში დაღლილი გლეხი!  
რომელმაც შეწამლა ვაზი, თუ ხეხილი, რომ დამდგარიყო შემოდგომა სახსე,  
ასე ხვავით და ასე ბარაქით.  
და... მოვა შემდეგ ისევ ზამთარი,  
ახმაურდება საახალწლოდ, ისევ რითმები,  
ხან წვიმაზე, სიცივეზე, ყინვებზე...  
ხან სპეტაკ თოვლზე ყინვის წვირებით დაინერება ისევ ლექსები და ამღერდება ტკბილი  
ჰანგები...  
მერე კი ახალწელს, ჭახაჭუხი შუშუნა ღვინით შევსებული ბროლის ჭიქების...  
ატკაცუნდება მამაპაპურ ბუხარში ცეცხლი, მაგრამ არავის არ აგონდება  
თუ ვინ მოჭრა შეშა ტყეში... და არც ის, ვინც ჩაამენა სახლში ბუხარი.  
მიდის და ბრუნავს დროის განრიგი, მერე გვეწვევა გაზაფხული ისევ ლექსებში,  
ისევ ატმები... ისევ ტყემლები...  
ისევ იები ბუჩქის ძირას განაბულები...  
და გადახნული მინდორი, ველი, ახლადგასხლული ვაზის ქვითინი...  
მაგრამ არსად, არავის ახსოვს ხელდაშაშრული გლეხის წუხილი...  
და არც არავის ედარდება მისი ფიქრების...  
როცა ატამი მოისხამს კვირტებს  
და როცა ვაზი გაიფურჩინება,  
რომ სანაყოფე შერჩეს ყვავილი და მოსავალი მოიწიოს სალი და უხვი...  
ჰო, ფიქრობს გლეხი... ფიქრობს რა გზებით იყიდოს „ხსნარი“  
და შეინამლოს სოფლად ხეხილი,  
„ჭრაქმა“ და „ნაცარმა“ არ შეჭამოს ვაზის ფოთლები...  
და ისევ ისე ინერება ლექსი მრავალი, — ყველაზე, ყველაფერზე მაგრამ არავის ახსოვს გლეხის  
შრომა და არც საყანე „მინის ყვილის...“  
არც ვაზის ცრემლის, არც ამ შრომისთვის დაღვრილი ოფლის...  
თითქოსდა ზეციდან მოწყდა, ეს დაშაქრული ყურძნის მტევანი...

\*\*\*

ნაომარ ველებს ენატრებათ ახლა სიმშვიდე...  
 ხეებს არ შერჩათ ტანზე ტოტები.  
 გლოვობენ უკრაინის გადამწვარ ველებს,  
 აქა-იქ ტყვიებს რაც გადაურჩნენ მინდვრად ვარდები.  
 ვერც იაპრილეს...ვერც იმაისეს...  
 ვერც შემოდგომას შეაგებეს ფერთა გამები.  
 ცას არ შორდება შავი ღრუბლები  
 და მზის ნაცვლად, ავად სკდებიან  
 და ანათებენ, ტრამალებზე მძიმე ჭურვები...  
 რამდენჯერ სცადეს ხეთა ყლორტებმა  
 შემოსილიყვნენ ისევ კვირტებით...  
 იმდენჯერ ჯიბრზე სულ გაახვიეს ცეცხლის ალებში.  
 ისე და ისევ, სამაგიეროდ ხვნი და თესვისა,  
 მძიმე მუხლუხით, ტანკებს გააქვთ ახლაც „ხნულები."  
 მინდორ-საყანე ხორბლისა თუ მზესუმზირების,  
 გადავსებულან დამსკდარ ბომბების ტყვიის „მარცვლებით."  
 ჩონჩხად ქცეული, ჩამონგრეული სახლის კედლები,  
 ვერც კი მიმხვდარან რად დაუღუნეს ასე „ფერდები."  
 გზიდან გამქრალა მგზავრის ნასახი,  
 სულ ორმოებად გადაქცეულან და ისე არის გამზადებული,  
 თითქოს ამ ქვეყნის გადასაყლაპად, ლომის ხახაა პირდაღებული.  
 და უკრაინის შემზარავ სურათს, მისჩერებია მსოფლიოს მგერა:  
 შემინებული, უსუსური, ვით ანაკონდას მონუსხულ თვალებს...  
 და მავანნი, ყოვლისშემძლენი...  
 ვითომ „მოთქვამენ" და „აბნევენ" ნიანგის ცრემლებს!

\*\*\*

აქაც ხარობენ ჭადრები და უყვითლდებათ ფოთლები.  
 აქაც ქარები ამ ფოთლებს აფრიალებენ ნებაზე.  
 შემოდგომაა აქაც და ცაში ჩიტები წრეს კრავენ,  
 მე კი მათ ნავარდს ზეცაში სულგანაბული შევყურებ.  
 ცაზე ღრუბლები აყრილან, ხატავენ ათას სახეებს.  
 თვალი სულ ცისკენ გამირბის, მატკობს მე მისი სინაზე.  
 რა მიკვირს მე სხვისი ზეცა, ქართული ცის და მზის მნახველს,  
 ან შემოდგომის ფერები, ნეტავ რას გამოაცხებენ!  
 როდესაც ქართულ მიწაზე, ვაზის ქარვისფერ მტევნებში,  
 ჩაშაქრებული ფერები, მხატვრებსაც სახტად რომ ტოვებს.  
 სხვისი რა უნდა შემშურდეს ან მაკვირვებდეს ნეტავი,  
 ქართული მიწის პატრონსა — „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტის".  
 მე მონატრებამ დამღალა... მამულის ხილვის წყურვილმა...  
 სხვის ცის ქვეშ ვეტრფი სამშობლოს  
 და...მხოლოდ ჩემი გონება, მას სტუმრობს ღამე სიმბრებში.

\*\*\*

მინდა ფუნჯი,  
 საღებავი ლურჯი.  
 კიდევ, კიდევ — თეთრი,  
 შევურიო ერთად,  
 რომ მოვხატო ზეცა,  
 იყოს მტრედისფერი.  
 დაგვნათოდეს ლაღად,  
 არ იყოს ღრუბელი.  
 იყოს დილა მშვიდი,  
 რომ გალობდეს ჩიტი.  
 აივანზე მერცხლის,  
 ჭიკჭიკებდეს ბარტყი  
 და კალთაში დედის,  
 ნებივრობდეს ჩვილი.  
 გუთნისდედა გუთნით,  
 რომ ავლებდეს კვალს და  
 შიგ აბნევედეს მარცვალს,  
 სიცოცხლის და რწმენის.  
 რომ ყვაოდეს მადლი  
 და არ იყოს ჭმუნვა.  
 სიხარული უხვად  
 იბნეოდეს ირგვლივ.  
 დაგვაკინცდეს ცრემლი,  
 შური, ბოღმა, დარდი.  
 რომ მირონის ძალამ  
 გაგვინათოს გონი.  
 ობოლი და ქვრივი,  
 არ ითხოვდეს ლუკმას.  
 არ სტკიოდეს დედას,  
 უსასოო შვილი.  
 რომ არ გვექონდეს შიში,  
 უღმერთო და ბილწის.  
 ღმერთო ეს ქვეყანა,  
 შენი ხელით ქმნილი,  
 დაიფარე...აარიდე...  
 მზაკვარი და ფლიდი!





დალი ბანცაძე

### ი მ ე რ ე თ ს

გვირახს იქით სხვანაირი ჰაერია,  
აქ მზეც თვალებს სხვანაირად ახელს,  
ვზივარ ჩხერიმელას ჩხრიალს ყურს ვუგდებ და---  
აქ სამყაროს სიყვარულში ვამხელ!

გვირახს იქით სხვანაირად გამასპინძლობენ:--  
„მოდი ძმაო, ჩემთან შემოიარე,"  
ჭიქას ჭიქაზე განვდიან და გლოცავენ,  
გაცილებენ:---შინ მშვიდობით იარე!

გვირახს იქით სალოცავებიც ბევრია,  
ღმერთი გვლოცავს და ზემოდან დაგვყურებს---  
იმერეთი გულის ფიცარს აწერია,  
იმერეთი დღეებს მიგაზაფხულებს...

გვირახს იქით დარჩა ჩემი ბავშვობა და  
როცა მივალ მეგებება გზაში,  
წრეში ბურთი,კლასაობა,სახლობანა,  
გვირილებად ჩაწნულები თმაში.

გვირახს იქით სხვანაირი ჰაერია  
და ფილტვები მებერება სუნთქვით,  
თუკი რაიმე გამომრჩა,ვერ დავწერე,  
სცენას გითმობთ, გამოდით და  
თქვენ თქვით!..

### მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

მომენატრა ჩემი სოფლის  
სურნელება,მინის მტვერი  
და იატაკს დავარდნილი,  
მშობლების თმა ერთი ღერი!  
ნეტავ ისევ ბავშვი ვიყო,  
მათამაშა ვაკლის ძირში---  
და არ ვიყო დღენიადაგ,  
მონატრების მწარე ფიქრში.  
ნიკოლოზის ვაკლის ძირში,  
ვიჯდე ისევ არხინად,  
მშობლების იმედი მქონდეს  
როგორც მაშინ,ადრე,წინათ...  
დედა ისევ მეძახოდეს:---  
მოდი შვილო,არ მოგშივდა?  
მამაჩემი კი მტუქსავდეს,  
შედი სახლში,არ შეგცივდა?  
მიყვებოდე მამას ტყეში,  
სოკოების დასაკრეფათ,  
წინ მურია მიგვიძვოდეს  
მეგზურად და თან იმედათ...  
ისევ იყოს ძველებური  
ერთმანეთის თანადგომა,  
მეზობლისთვის მეზობლისა  
თავგანწირვა, გარჯა,შრომა.  
მატარებლის დაკვივლება ,  
მალვიძებდეს ყოველ დილით  
და მამას გზას გაცვქეროდე  
უდარდელად და ღიმილით!  
საღამოს კი ბიძაჩემი  
თავის ძმასთან მოდიოდეს,  
ტკბილად მუსაიფობდნენ და  
სიყვარული მოჰყოლდეს....  
მამიდა კი იჯდეს „ფეჩთან"  
ძმების ყურებით ტკბებოდეს,  
ნეტავ ის დრო იყოს მარად,  
არასოდეს არ ვვდებოდეს.  
მომენატრა ჩემი სოფლის  
ოღრო-ჩოღრო ბილიკები,  
დრო უდარდელი ბავშვობის,  
გართობა და ქილიკები!...

\* \* \*

ჩხერიმელას ხმა თუ არ გსმენიათ,  
არც გქონებიათ ბავშვობა,  
აქ სულ სხვა სიტობო და სიყვარული  
სულ სხვა სამყარო იშობა!!!

მის ქვა-ლორლიან სანაპიროზე,  
ფეხი თუ არსად აგიცდა,  
ჩათვალე შენი განვლილი წლები  
შენი ბავშვობა გაგიცდა!...

თითქოს ზღაპრიდან მოისმის ხმები,  
ჩუხჩუხებს ჩხერიმელა,  
იქვე შენს ახლოს, დიდი ხის ძირში,  
თვალეებს რომ კუსავს მელა....

ჩხერიმელაზე აგებულ წისქვილს,  
ვნატრობ და ველარ ვხედავ,  
იმ გარდასულ წლებს თითებზე ვითვლი,  
ხმამალლა ყვირილს ვხედავ!.

თოვლიან გზაზე, საფეხავით ხელში  
შებრძოლებიხართ ყინვას?  
ბურთი მომანვა უეცრად ყელში,  
ვინ დამიბრუნებს იმ წამს?!..

ეს განწყობაა ნოსტალგიური,  
ჩემი ბავშვობის თვეების,  
გასახსენებლად ყოველდღიური,  
იმ გარდასული დღეების!!!....

### მ ე მ ო ბ რ ო ბ ა ს

მეგობარი მეგობრისთვის  
უნდა იყოს სანთელი,  
გზას და სავალს გინათებდეს,  
როგორც სხივი ნათელი....  
შენი კარგი ახარებდეს  
და ტკივილი სტკიოდეს,  
როდესაც შენ გეტირება,  
მასაც ცრემლი სდიოდეს!..  
შენი სიხარულის გამო  
ფრთებმესხმული ლაღობდეს,  
მეგობარი მეგობრისა----  
სიხარულით ხარობდეს!  
როცა გტკივა სასთუმალთან  
გაგითოს ის ღამე,  
თქვით:--ამაზე ტკბილი გრძნობა,  
იარსებებს ან რამე?  
მეგობარი მეგობრისთვის,  
ხიდად უნდა გაიდოს---  
რომ ამ წმინდა გრძნობის ფასი,  
ქვეყნად ყველამ გაიგოს!...

### ვინა ვარ, რა ვარ

ვინა ვარ, რა ვარ, ვერ გამიგია  
რისთვის მოვედი ამ ქვეყანაზე,  
რამდენი რამე არ მითქვამს კიდევ  
და დამიხუჭავს თვალი წყენაზე...

ვინა ვარ, რა ვარ, მითხარით ვინმემ  
რას წარმოვადგენ, რისთვის ვშობილვარ----  
ამ წუთისოფლის ლაბირინთებში,  
სულ ერთი ციცქნა მტვერი ვყოფილვარ!

ვინა ვარ, რა ვარ, დარდებით დავალ,  
ბაგე მიღიმის, მხიარულს ვგავარ,  
გულში კი ცეცხლი გიზგიზებს თავად,  
ფარისეველი? არა და არ ვარ.

ვინავარ, რა ვარ, შენ გეკითხები  
ღმერთო, შენ იცი რად მომავლინე,  
აქ დედამინა თუ დავამძიმე---  
იმქვეყნად მაინც ლაღად მაფრინე....

ვინა ვარ, რა ვარ, გრძნობებით დავალ,  
ხანაც ვიმჩნევ და ხანაც კი ვმალავ,  
მაცოცხლე ღმერთო სიმშვიდით,  
წყნარად----  
სანამ ამ ქვეყნის სოფლიდან გავალ!..

\* \* \*

ერთი უბრალო გლეხის ქალი ვარ,  
გული გრძნობით მაქვს სავსე,  
არც არავისზე რამით მეტი ვარ,  
არც არვის ვისვამ თავზე....

უჩუმრად დამაქვს ფიქრების გუდა,  
ჩემს ტკივილს არვის ვახვევ,  
გინდ მიხაროდეს, მტკიოდეს თუნდაც,  
ქუჩაში ღიმილს ვაბნევ...

სიკეთისათვის სიკეთით მინდა---  
გადავიხადო ვალი,  
არაფერია იმაზე წმინდა,  
დატოვო სუფთა კვალი!

არ ვარ იმისთვის დაბადებული--  
რომ ბოროტება ვთესო,  
არც სიძულვილით დაბრმავებული,  
ვანდობ ყველაფერს ღმერთსო. □

ერთი უბრალო გლეხის ქალი ვარ,  
გული გრძნობით მაქვს სავსე,  
არც არავისზე რამით მეტი ვარ,  
არც არვის ვისვამ თავზე!...

\* \* \*

ოხ,რა სწრაფად გაირბინა  
 სიყმაწვილის წლებმა----  
 და რამდენი ტკბილ-მწარე დღე  
 დამაბერტყა ღმერთმა....  
 გზაზე ბევრი კარგი შემხვდა, ბევრიც  
 შემხვდა ცუდი,  
 ნაღდ გრძნობებს ვერ ვუღალატე,  
 ყალბს დავადე ხუნდი!  
 ადვილად ვერ გავარჩიე მოყვარე და  
 მტერი,  
 ამის გამო გზაზე შემხვდა,დაბრკოლება  
 ბევრი...  
 აღმართ-აღმართ მწვერვალამდე  
 ვედარ ავალნიე,  
 ნაგროვები სიყვარული გზა-გზა დავაბნიე...  
 გულის კარები გავაღე,ჩავახედე ყველა,  
 „კეთილს ბოროტმა დასძლია“,ვერას  
 გავხდი, ვერა.  
 ცხვრის ქურქშია გახვეული,ვხედავ,  
 მგელთა ხროვა,  
 სიმშვიდე და სიყვარული ნეტავ კიდევ  
 მოვა?  
 ოხ,რა სწრაფად გაირბინა სიყმაწვილის  
 წლებმა----  
 და რამდენი ტკბილ-მწარე დღე,  
 დამაბერტყა ღმერთმა!.

ტბეთი,ხანძთა, დოლისყანა,  
 საოცრება ამისთანა,  
 წაუღიათ თურქებს ურცხვად,  
 მიაჩნიათ რამეთ განა?  
 ჩვენს წინაპრებს შრომა ჭაფით,  
 ლოდი ლოდზე დაუღიათ,  
 ღმერთის ნებით ამ მინაზე--  
 გუმბათები აუგიათ!  
 გულში რაღაც ჩამწყდა თითქოს  
 ნანგრევების დანახვაზე,  
 კურცხალიც კი ჩამომგორდა,  
 უცაბედად ჩუმად თვალზე...  
 ოთხთა ვნახე საოცრება,  
 შეკიდული მაღალ მთაზე,  
 დამიბრუნეთ ჩემი მიწა,  
 აქ აღმომხდა მაღალ ხმაზე!  
 თუკი რამე სილამაზე  
 არსებობს ამ ქვეყანაზე,

\* \* \*

რა სწრაფად გარბიან დღეები,  
 თითქოს და ვერ ვასწრებთ ვერაფერს,  
 არაფერს წავიღებთ იმქვეყნად,  
 წავალთ და დავტოვებთ ყველაფერს!!  
 სიკეთე ვთესოთ და კარგი ვთქვათ,  
 ბოროტს ნუ მივუშვებთ ნებაზე,  
 სიტყვაც კი ჩავყლაპოთ ხანდახან,  
 თვალეები დავხუჭოთ წყენაზე...  
 სიმართლის ბილიკზე ვიაროთ,  
 ეს ხომ მთავარია ყველაზე,  
 არ არის საჭირო წარმოვთქვათ  
 რაც რომ მოგვადგება ენაზე!!...  
 ყველას ნუ გავიხდით მეგობრად,  
 ჭერ გულში ჩავხედოთ,რას ფიქრობს  
 და მხოლოდ ისეთი ვირჩიოთ,  
 ვინც სევდას გულიდან გაგვიქრობს...  
 ნუთია ეს ჩვენი სოფელი  
 და არ ღირს ცხოვრება სამწუხროდ,  
 გვიყვარდეს,გვიყვარდეს ყოველი,  
 თვალს ნუ მოვუხუჭავთ საწუთროს!...  
 რა მალე გარბიან დღეები,  
 თითქოსდა ვერ ვასწრებთ ვერაფერს,  
 უფალი არ გვკითხავს ჩვენ როდის---  
 წავალთ და დავტოვებთ ყველაფერს!!  
 ასეა მუხთალი ცხოვრება,  
 მიჰქერის და სულ არ თმობს არაფერს,  
 ნეტავ რას წავიღებთ იმქვეყნად???  
 წავალთ და----დავტოვებთ ყველაფერს!!

\* \* \*

იმხანს ვერას შევადარებ,  
 ლამაზია ის ყველაზე.  
 იქეთ კიდევ,ამ გზის ბოლოს  
 პარხალს გაუშლია მხრები,  
 ღმერთო შენ სახელს დიდება,  
 ამ ნანახით მართლაც ვტკბები.  
 ოშკი ვნახე სილამაზით  
 განთქმული და საამაყო,  
 მინდა მწამდეს და მჭეროდეს  
 რომ ჩემია ეს სამყარო...  
 ემოცია დიდი იყო  
 როცა ბანას გზას გავხედე,  
 ჩემი მიწის დაბრუნება  
 უფალს აქაც კი შევბედე...  
 ხახულის ღვთისმშობელი კი  
 მონყენილი დამყურებდა ,  
 ღმერთო ქართველებს აღირსე,  
 ამ მიწაზე დაბრუნება!...

\* \* \*

თუკი ცხოვრება გესასტიკება--  
შენც შეებრძოლე არ შეუშინდე,  
ფარ-ხმალს ნუ დაყრი, იარე წინ და  
ბრძოლა მოიგო, ამას ეცადე!

შხამს მოგანვდიან? ძირს გადაღვარე,  
შენ აიღე და ასვი შარბათი,  
ეს დაიხსომე რომ უგუნურთან  
არ ღირს არასდროს სჯა და კამათი.

სახე ცრემლებმა თუ დაგინამა,  
სხვას არ აჩვენო, წამს შეიმშრალე,  
თუ უკუნია, ბნელია ღამე---  
გქონდეს იმედი, ამოვა მთვარე!

და თუ მოჟამულ ცასაც გახედავ,  
არ შეგვიშინდეს, გაიმზიანებს,  
ცივი დღეებიც გაივლის მალე,  
არც გაზაფხული დაიგვიანებს....

თუკი ბილიკზე მიმავალს სადღაც  
ფეხი დაგიცდა და ჩაიმუხლე---  
არ გეგონოს რომ დასასრულია,  
ღმერთი აღიდე, შენთან მოიხმე!

ჯვარცმას ყოველთვის მოსდევს აღდგომა,  
ზამთრის შემდეგ კი გაზაფხულდება,  
წუთისოფლისგან მიიღე ტკბობა,  
წარსული იცი? აღარ ბრუნდება!...

\* \* \*

შენს კარებთან მოვედი დღეს უფალო,  
სათხოვარი დამიგროვდა ბევრი---  
მთავარი, რაც ძლიერ მინდა შეგთხოვო,  
ამიყვავე სამშობლო და ერი!..

ისიც ვიცი რომ უღირსად ვიქცევით,  
ნაკუნ-ნაკუნ იყიდება მინა,  
ღვთისმშობლისა წილხვედრის გასხვისების---  
მავანთ ნეტა უფლება ვინ მისცა?!.

ამ მინაზე ჩვენი მამა-პაპების,  
ნიაღვრებად მოდიოდა სისხლი,  
ახლა მათ თავგანწირვას ვილა ჩივის,  
ნამუსიც კი აღარ შერჩათ მისხლის.

როგორ მტკივა, როგორ გული უფალო,  
ჩემს სამშობლოს ნაწილ-ნაწილ გლეჯენ---  
მავანნი კი ყურსაც არ იბერტყავენ,  
თბილად ქურქში გახვეულნი თვლემენ...

სათქმელი ხომ კიდევ ბევრი რამე მაქვს  
მაგრამ ვიცი შეგანყინე თავი,  
შემინახე ჩემი ფესვი ძირძველი---  
მიღღეგრძელე წინაპართა კვალი...

დაგვიბრუნე ძველისძველი დიდება,  
საქართველო დავითის და თამარის----  
შეგვენიე, მეოხ გვეყავ მფარველად  
ჩემი მიწის, ჩემი დიდი სახლ-კარის!...

### მ მ ნ ა თ რ ე ბ ა

მამი შენი დანთებული  
შეშის „ფეჩი“ მენატრება  
და ის წლები გაფრენილი  
ოი, როგორ მენანება...  
დედი, შენი გამომცხვარი,  
თონის პური მენატრება,  
ჩემო, შენი ფეხის კვალი,  
ბოსტნის ბოლოს მეგულება!  
მამი შენი ჩახუტება,  
შენი სითბო მენატრება,  
რაც დრო გადის ჩემო მამა,  
დარდი უფრო მმატება.  
დედი შენი გულის ძგერა,  
შენი სუნთქვა მენატრება,

დრომ ტკივილებს ვერ უშველა,  
თვალს ცრემლები ეპარება!  
შენი ხელით დაკრეფილი,  
მწვანილიც კი მენატრება,  
ოჰ, რა წლები გაფრენილა  
საოცნებო, ნეტარება.  
დრო ტკივილებს ვერ აშუშებს,  
გული კვნესის, მეტირება,  
თვალზე კურცხალეა ცრემლი,  
უკითხავად მეკიდება..  
თქვენ ხართ ჩემი მზე და მთვარე  
და ვარსკვლავთა შესადარი,  
თქვენი ფასი ამ ქვეყანად,  
არსად არავინ არ არის!...





**მარი უდენტი**

**შუალამის სტუმარი**

ნამოიშლება დევების ჯგრო მახლობელ ტყეში, ქუსლებთან მოჰყვით ჟინაშლილი ამ ღამის ქარი, მე მიკაკუნებს ჩქარი სუნთქვით, აჩრდილი მრეში... – გამიღე კარი – სამზვოსი – გამიღე კარი!

შეყრებულა ღამის ხილვა ფულურო ხეში, ქარი რქენს ფანჯრებს გავეშებით, ისე, ვით ხარი, შენ ჩემი ხელი სხვათაშორის გიჭირავს ხელში... და მე ვერ ვამბობ – თუმც მსურს გითხრა – რამე მითხარი!

რამე მითხარი, რომ დუმილმა ჩაიცვას კაბა, თორემ ვერ ვუძლებ მოხტუნავე სისხლში შიშის შვლებს, გული საგულეს უბაგუნებს განგაშის ნაბათს და სურს გაექცეს მდუმარების უძრავ სიშიშვლეს.

სამყაროს ხმა კი დამწყვდეულა ამ კარის გარეთ, ტყუპისცალანი უშენობის დღეების ქარის, ასე მგონია, გულის კუნთში მიხვევ სიგარეტს... ღმერთი იწამე, მობრუნდი და... რამე მითხარი!

ნამმა გამყინა, მგონი, დევნიც მომადგნენ კარად და იხაზება სველ მინაზე წვიმის კითხვარი... გათენებაა! ხომ არ წახვალ? მითხარი – არა! თუ აღარ მდარდობ: ერთი ტყვიაც – არა მითხარი!

შობა შორსაა, მაგრამ მესმის „კირიალესა“, მისტერიებიც მიწყდნენ, მხოლოდ მინაა სველი, გულის პერანგი შემოაკვდა თითებში სრესას, სავარძლის ბურგმეც გაიცრიცა ნაცნობი ხელი...

სად მიგაქვს, ჩემი მენამული გულის სერანგი\*? მის ხავერდებზე მზე კვლავ ველარ იდარიელებს... ღამით მაშინებს განა, დევი? ქარი ვერაგი? მაჟრჟოლებს მხოლოდ... შენი სკამის სიცარიელე!

სერანგი\* – სახატის ხავერდის გადასაფარებელი

**პერსონაჟები**

აბა, რა ვიცით, ამ სამყაროს ვხედავთ რა კუთხით, იქნებ ჩვენი დღე ვინმეს „პრივატ-ფოტობლოგია“... და ყოველივე ღიმიც... ცრემლიც... წმინდა საკურთხიც... გახლავთ მირიად კინოლენტის – ანალოგია!

როგორც მასწავლეს: ვილაც საზღვრავს რა უნდა ვნახოთ... და იქნებ, კინე...მატო...გრაფიც... იყო კარნახი? ჰო, უეჭველად ნიღბის თარგსაც ვილაც გვკარნახობს, მაშ, სულ მახინჯებს რად ხატავდა ლუკას კრანახი?

მიღმიერს უნდა გავიაზროთ, ჩვენს თავს რა ხდება?! რატომ გვგონია ცისქვეშეთი ჩვენთვის ალმასობს? სანამ „მზა დისკი“ თარიღ-ბეჭდით დაირახტება, სჯობია, გრიმი – ცოტაოდენ – გავილამაზოთ!

ვფიქრობ, ამის თქმას ეპირება ოთხი მხედარი, აპოკალიფსის... სცენად ქმნილი ვაცთა ცხოვრება, რაც უნდა იყოს! ვეტყვი იმათ, ვინც ჯერ მხნედ არი: წესიერება პერსონაჟსაც მოეთხოვება!

**იქნაბ და... ვინმას!**

მზადა მაქვს სული! – იქნებ, ვინმეს გჭირდებათ ჭრაქი?! მზადა მაქვს ხელი – ჩამორთმევა ისურვეთ რაკი. მზადა მაქვს ფიქრი – იქნებ, ვინმე ჩემზედაც ფიქრობთ? მზადა მაქვს ცრემლი – თუ არავინ არ გჭირისუფლობთ. მზადა მაქვს სისხლი – იქნებ, ვინმეს ყელი გიშრებათ?! აჰა, გიღიმით, თუკი სევდა გცვივათ „გიშრებად“!

გულის პერანგი ხელთ მიჭირავს, – მისი ბუნებაც – იქნებ, მოყვასის სიყვარული გესალბუნებათ?!

იქნებ და იქნებ... ამ „იქნებ“-ში თავად ვმცირდები?

მე მაინც მზად ვარ, თუ ჩემს უფალს თქვენთვის ვჭირდები!







ლია შენგელიძე

**აქ საქართველო!..**

განვალეს, განამეს,  
დაგტანჯეს, დაგსაჯეს,  
და, მაინც სუნთქავ და,  
და მაინც არსებობ,  
ღვთისმშობლის კალთის ქვეშ,  
კურთხეულ მინაზე,  
უფლისთვის ჯვარცმულო,  
ჩემო საქართველო!  
ათას ქართველში  
ბრძოლაგამოვლილო,  
ათას მომხედურთაგან  
დაჭრილ– დაჩეხილო,

შვილებდაკარგულო,  
დედებცრემლიანო,  
ჟამთა სიავისგან,  
ვაზო აჩეხილო.  
მკათათვის ჭირნახულო,  
მაცხოვრის სხეულო,  
ჩვენო დედას პურო,  
არსობავ გრძნეულო,  
ბევრჯერ გაგთელეს და  
მარცვლებად დაგაბნიეს,  
არხილოს გაგლენეს და  
ულვთოდ დაგარბიეს.

მარიამ ღვთისმშობლის,  
მაცხოვრის შეწევნით,  
აგრძელებ სიცოცხლეს  
და ჭაპანს ეწევი.  
ღვთის სიტყვა ახსოვდეს  
შენზედ მლოცველ ქართველს,  
სულით ამაყსა და  
ყოვლით ჯანმრთელს.  
ქალაი ქალობდეს,  
კაცი კი ვაცობდეს,  
აქ საქართველოა,  
მტერსაც რომ ახსოვდეს!.

**მოგონებათა კვლავ ჩემი ნუგეში**

მახილვებს ძველ ქუჩას დილის მზის სხივები,  
ცა– ლურჯად ნაქარგი ფირუზის მძივებით,  
ზურმუხტისფერება ნაძვთა ხეივანი,  
ობლად დარჩენილი შენი აივანი.

წლებს ვითვლი ტკივილით, რამდენი გასულა,  
რამდენ წყალს ჩაუვლია იმედის კვალდაკვალ,  
აქა ვარ, შენს ქუჩას გავცქერი თვალდათვალ,  
დაგეძებ, გეძახი: სადა ხარ?! სადა ხარ?!

თვალი შორს გამიბრბის... ტკბილად მაგონდება  
ის სკამი, რომელიც საღამოს გველოდა,  
გრძნობადი მუსიკა, ლამაზი ჰანგები,  
ჯადართან– მოხუცი, ბედზე რომ მღეროდა.

შესცივდათ ბელურებს, მზეც გადაიწურა,  
უნდობლად ჩაიწყო სხივები უბეში.  
დამღალა ლოდინმა, გული მიიწურა,  
მოგონებებია კვლავ ჩემი ნუგეში.

**სიყვარულისთვის დავრჩეთ მინაზე!**

ზეცამ მინაზე ფეხი დაადგა,  
სააქაოში შერცხვა სტუმრობა,  
ნახა, ძე ვაცის ისე გააბდლდა,  
დავინყებია თურმე პურობაც...  
სიყვარულისთვის გადაურაზავს  
გულის კარი და სულის საწყისი,  
როგორც იაზონს კოლხა ულაშქრავს,  
აურთმეგვია ოქროს საწმისი.  
აღარც ატანა, აღარც გატანა,  
სიძულვილისთვის ღიაა ვარი.  
თავად ამბობენ, გვიპყრობს სატანა,  
ცოცხლებს გვჯობია ყოველი მკვდარი.

ამას გრძნობენ და ამას ხედავენ,  
ერთურთის დაჭმით ვერა ძლებიან,  
სიტყვით და საქმით რას არ ბედავენ,  
მოყვარეს ურცხვად ექადნებიან.  
არადა, განა კურთხეულ მინას  
მოვძულდით, როგორც ვერაგი მტერი,  
თავის სადგომში არ მოგვეცეს ბინა,  
ჩვენზე აიღოს მზრუნველის ხელი?  
მინას ვერსაით ვერ გავექცევით  
და ვერც ზეცის თაღს დავიმობთ თავზე,  
მოდით, ბოლომდე ნუ დავეცემით,  
სიყვარულისთვის დავრჩეთ მინაზე!



ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე

### ჰერეთის კარი

შემორჩენია ჟამთა სვლას აბრა  
„ჰერეთის კარი“,  
მაგრამ სადღაა ნეტა ჰერეთი?!  
მიტაცებული მუსლიმთა მიერ,  
მინა იბერთა, გაპოხებული  
წინაპართ ძვლებით,  
ირგვლივ - ოაზის  
თვალწარმტაც მთებით!  
კაკლის ხეივანს მიყვები უბრად,  
არ არის სიტყვა უფრო ქართული,  
რა ვუთხრა იმას, რა ვუთხრა იმას,  
ვინაც არა ჰქმნა საქმე ვაცური  
და, დაუტოვა შთამომავლობას,  
ინგილოები ამოშანთული!  
მამულიშვილნი ცრემლშეუშრობნი,  
საქართველოსთვის ნაცემ-ნაგვემნი,  
რომელი მცნებით შესცოდეს უფალს,  
რად გაინირნენ ნაღდი ქართველნი?!  
...„არსაიდან ხმა, არსით ძახილი,  
მშობელი შობილს არრას ეტყოდა,  
ნეტავ სად არის უნეტარესი,  
ან ქართლის დედა  
მტერს რომ ებრძოდა?!  
თავჩაჩეჩვილი ვნახე ქურმუხი,  
ალაზნის ველი ბორგავს მდუმარედ,  
თავს წამომდგარი ვეება ლოდი,  
გაშტერებული, მდგომი მწუხარედ!

...დგას მოლოდინში დიდი ტაძარი,  
გასცქერის მომსვლელს:  
მტერს და მოყვარეს,  
ვინ რუდუნებით აუნთებს სანთელს,  
ვინ ამოჩიქნის კედლებს და კანდელებს!  
გაუფატრიათ, ამოუცლიათ  
თუ სასიცოცხლო  
რაც რამ ებადა,  
ამას ცხოველიც არ ჩაიდენდა,  
ადამიანმა როგორ იკადრა?!  
ვუვლით გარშემო,  
ვავედრებთ ჩვენს სულს,  
ვგრძნობთ ანგელოზთა დასი გრიალებს,  
რამდენს გაუძლო წმინდა გიორგიმ,  
რამდენ ქართველს, შტორმს და გრიგალებს!  
კვლავ ვანთებთ სანთელს,  
უძველეს ქვაზე,  
ჩვენს წინაპართა კვალი ატყვია,  
ვტოვებ სალოცავს უსიერ ტყეში,  
ტაძრის გუმბათზე მერცხლის ბარტყია!  
გვიმზერს ტაძარი, გული მიკვდება,  
ვტოვებ მრევლის და მამის გარეშე,  
მივიხედე და ოო საოცრებავ, მთა მოეფარა  
დროა დავეშვე!  
...ჩვენ ყველას ვუღებთ გულს და უბის კარს,  
რამდენი რჯული შეგვიფარია,  
შენ დაიფარე საინგილოში,  
ყველა ქართველი - მზეო მარიამ!

მლათა

შემომეფეთა ალპებში,  
 ულამაზესი ასული,  
 იქით ლომისა მოსჩანდა,  
 გადაგვეშალა წარსული!  
 ზღვა იყო - უკიდევანო,  
 ჰყვავდა ირგვლივ ყოილი,  
 ხევის შვილების მომრთველი,  
 ბარის არ იყო დობილი!  
 ვეროდეს წარმოვიდგენდი,  
 გავშირი, გავშეშდი წამიერ,  
 „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,“  
 მის დამწერს, მრავალჟამიერ!  
 სალი კლდეები მეფურად,  
 დგანან არწივის ბუდედა,  
 იქით გერგეტი მფარველობს,  
 ვერვინ გახედავს მრუდედა!  
 აქეთ, ლომისის სალოცავს,  
 აუუ, რა მაღლი ჰქონია,  
 ამგვარი ძალის მოცემა,  
 მე არსად გამიგონია!  
 ...გოგო ვიხილე წერნეტი,  
 ვისერზე ჯაჭვი ეხვია,  
 ღვარად გადმოსდის ცრემლები,  
 თავადის ქალის სეხნია!  
 ზოგისთვის მძიმე საოცრად,  
 ზოგსაც გიშერი ებნია,

ინონებაო ცოდვები,  
 აქ არა სჭრიდა ხერხია!  
 რკინის ქალამნებს შევეხე,  
 ნეტავ რა ხელმა აკეთა,  
 დრომ ვერაფერი დააკლო,  
 დარჩა წარსულის სარკეთა!  
 ...გახსენი პირი მიწისა,  
 იქ წვანან გმირი მამები,  
 ბორგავენ, ვერ ისვენებენ,  
 იქაც გვერდით აქვთ აბჭრები!  
 მათ გულზე ხარობს გვირილა,  
 ულამაზესი, სპეტაკი,  
 ვინაც ღალატი გაივლოს,  
 ეხუროს ქალის ლეჩაქი!  
 წმინდა მამები დღედაღამ,  
 დარიანში თუ ავდარში,  
 ახლოს არიან უფალთან,  
 ათენ - აღამებს საყდარში!  
 აი, რამ გადაგვარჩინა,  
 ვინ მოგვიყვანა აქამდის,  
 ხევის შვილები მტერს ხმალით,  
 ფეხით მისდევდა სახლამდის!  
 ... ისმის გალობა მთის წვერზე,  
 ხან წვიმს, ხან მზე და ნისლია,  
 ამ საოცრების მხილველი,  
 გაგვხადოს ღმერთმა ღირსია!

ჩემი საქართველო

უჰ, დილა იდგა საოცრად წყნარი,  
 ეზოდ გამოველ ქართველი ქალი,  
 ნამით მოკირნლულ ხასხასა ველზე  
 მიმოვატარე - დაღლილი თვალი!  
 ოთხი დღე-ღამე არ დავიძინე  
 მინდოდა ხილვით გამეძლო თვალი,  
 მეხილა ირგვლივ - წალკოტი მწვანე,  
 თვალუნვდენელი კლდეები სალი!  
 აქ ყველაფერი ქართული არის,  
 დაურქმევიათ სახელი მდარი?!  
 ერთდროს მართავდა ტაოს და კლარჯეთს,  
 ბაგრატიონთა ქართული გვარი!  
 იყო სიკეთე, იყო შენება,  
 იყო ომები, ზმანება ავი,  
 აქ იზრდებოდნენ ქართულ წიაღში

დავითი, ნინო, გიორგი, ანი!  
 ...ახლა საბაჟო გადმოვიარეთ  
 დათვლილი დღე და დათვლილი ღამე,  
 აქ დაგვხვდა ჩვენი სალოცავები,  
 უტყვო კედლებო გვითხარით რამე?!  
 საუკუნეებს როგორ გაუძელოთ,  
 ყველას ხომ თქვენზე ეჭირა თვალი,  
 საქრისტიანო როგორ გადიხდის,  
 განუზომელი, დიდია ვალი!...  
 მთელი სიცოცხლე რომ ვწერო ლექსად,  
 რომ ვწერო, ვწერო დღითა და ღამით,  
 მაინც ვერ გეტყვით, ვერ დაგანახვებთ,  
 სანამ არ ნახავთ საკუთარ თვალთ!

ტაო-კლარჯეთი

ჩვენს მინას უცხოვს ვენვიეთ,  
 თვალი ვერ აღწერს რაც ვნახეთ,  
 ირგვლივ ნალკოტი ჰყვოდა,  
 ყველაფერშია ღვთის სახე,  
 დასრიალებდა ვალმახი,  
 წკრიალა მდინარეშია,  
 დილით ისმოდა კივილი,  
 არ სძინავთ მინარეთშია,  
 თვალუნვდენელი კლდეები  
 ქიმზე - ოშკი და ხახული,  
 პარხალი, ბანა, ოპიზა,  
 გადაგვეშალა წარსული.  
 ..ხანძთას ენძელა ხარობდა,  
 წყარო დიოდა ველადა,  
 აი, გაცოცხლდა წარსული,  
 ლამის დავეშვი მღერადა!  
 წირავს მამაო „ოთხთაში,“  
 მახარებლები ხარობენ,  
 დამენწყრილია ტაძარი,  
 დაყრილი ქვები დარობენ!  
 აგეტირება კი არა,  
 გინდა იბღავლო დილამდის,  
 რჩება ტაძარი უმრევლოდ,  
 კიდევ როდისღა წირვამდის?!  
 ტებეთი დანგრეულია,  
 ოპიზა გაგლეჯილია,  
 შატბერდი უგუმბათოა  
 ვედლები მარტოსულია!...  
 ჩვენ მივეყვებით აღმართებს,  
 კლდეებს ძლივს უჩანს წვერები,  
 გულდამდუღრულნი მივდივართ,  
 იქ არ დაგვხვდება ბერები!  
 დაგვაძრობინეს ფაჩუჩი,  
 მოლამ გაგვიღო კარები,

მიმოვატარეთ წამიერ  
 ცრემლებით სავსე თვალები!  
 ძაძით მოსილი იშხანი,  
 მიმოფანტული ქვები,  
 არ გააჩერეს საფლავში  
 დედა - შვილი თუ ძმები!  
 ოქროს ეძებდა მტარვალი,  
 გადააბრუნეს მთები,  
 იქ მეფეები სახლობდნენ  
 ეგულებოდათ თვლები!  
 ვიხილე გროვად დაყრილი  
 დაუმარხავი ძვლები,  
 კლდეებზე ირმის ჯოგია  
 არ შეგვხვედრია მგლები!...  
 თურმე, რა დიდი ყოფილა  
 ჩვენი ქვეყანა ოდით,  
 ღმერთო, ჰქმენ სასწაული და,  
 შემოგვატარე ჩოქვით!  
 მართლაც ღვთისმშობლის სადარი,  
 აყვავებული მთა-ბარი  
 ტაო, კლარჯეთი, შავშეთი,  
 გასხვისებული ჰერეთი,  
 ჩასაფრებული ოსმალთ,  
 არაბეთი თუ სპარსეთი,  
 გვძლიეს ურიცხვი ამალით  
 გადმოიტანეს საზღვარი!  
 ...საინგილოში მერცხლები  
 დაგვტრიალებდნენ თავზე,  
 ტაო-კლარჯეთში მტრედები  
 ჩამომსხდარიყვნენ ქვაზე,  
 ჩვენ წამოვედით ისინი  
 ისრიალებენ ცაზე,  
 ჩვენზე ერთგულნი ყოფილან  
 არ გაუცვლიათ სხვაზე!

ჩვენი საქართველო

ჰერეთს ვიყავი სტუმრად,  
 ტაოს - დავადგი ფეხი,  
 ლორეს და ტაშირს ვნახე?!...  
 ციდან ჩამომყავს ღმერთი!  
 ყველგან ჩვენია მიწა,  
 ყველგან ძვლებია ქართველის,  
 ფოთოლიც ისე კრთება,  
 როგორც სჩვევია - ამ მთის!  
 ჰერეთს მერცხლების გუნდი,  
 გუმბათით სახლობს „ქურმუხს“,

ტაოს, მტრედები „პარხალს“,  
 დაგოგმანებდნენ - ზურმუხტს!  
 წირვა დაყენდა დიდი,  
 მამა ღმერთს ესმის ზევით,  
 ლორე-ტაშირის მინას,  
 დიდგვაროვანნი - ქვევით!...  
 რა ძალგვიძს, სანთელს ვანთებთ,  
 იწვის კვნესით და ტანჯვით,  
 კვლავ გაიფლავებს ღმერთით,  
 ბაგრატიონნი ცხრა ძმით!

**ტკივილი დიდი**

დღეს საიდუმლო  
 გაცხადდა ტაოს,  
 უჩვეულოა  
 წირვა „ოთხთაში,“  
 ჩვენთვის დაიკლა  
 თვითონ იესო,  
 ჯვარს ეცვა ჩვენთვის  
 მალლა ოთხ მთაში!  
 იქ, გოლგოთაზე  
 ყველას სამზერად  
 ზეცას აფრინა  
 სული დიადი,  
 ეს რატომ მოხდა  
 კიდევ ვერ მივხვდით,  
 მან გაანათა  
 ჩვენთვის წყვდიადი!  
 მის სისხლს და ხორცს  
 ვჭამთ, ვვზიარებთ  
 მაინც არ ვინდობთ  
 ერთურთს არცერთი,  
 არ გვაპატიებს, მეტისმეტია,  
 წარღვნას მოგვივლენს  
 კვლავ მამა-ღმერთი!  
 რით ვერ გავძეხით,  
 რით ვერ აივსო  
 გაუმადლარი  
 სტომაქი ჩვენი,  
 სასახლეები  
 დარჩება ოხრად,  
 ჩამოინგრევა  
 ეს ცათამბჯენი!  
 თუ არ დავდექით  
 გვერდიგვერდ მყარად,  
 არ ავაყენეთ  
 მოყვასი ჩვენი,  
 გთხოვთ, დავივიწყოთ  
 შური და წყენა  
 არ გავახართ  
 ბოროტი მტერი!

**მოედინება ტაოდან მტკვარი**

ჩვენ გვასწავლიდნენ  
 უწინდელ დროში  
 მტკვარის სათავე  
 თურქეთში არის!  
 მადლობა უფალს  
 ჩვენ მოვილოცეთ  
 ტაო-კლარჯეთი  
 მოჭრილი მკლავი!  
 ისტორიულად  
 ის ხომ ჩვენია  
 იქ არის ბანა,  
 ხახული, ოშკი,  
 პარხალი, ხანძთა,  
 იშხანი, ტბეთი,  
 წინაპართა ძვლებს  
 ზევით ამოყრილს  
 მფარველობს ტაოს  
 მაღალი ღმერთი!  
 რა შეიცვალა?!  
 უფლისთვის - არა...  
 მოედინება ტაოდან  
 მტკვარი,  
 „ბუტბუტებს თვისთვის  
 მრავლის მონამე“  
 ჩვენ გავიგონოთ  
 ვახილოთ თვალი!  
 საქართველოა  
 იბერთ ქვეყანა,  
 არის კავშირი  
 კავშირი მყარი,  
 არის რაღაცა  
 რასაც ვერ შეცვლი,  
 მოედინება  
 ტაოდან მტკვარი!





**დავით ძნელაძე**

\* \* \*

ამ გულს, კარგო, რას გაუგებ,  
ხან წვიმს, ხანაც დარია,  
უნაპირო მოლოდინმა  
მოკლა გული, დალია.

შენ ჩემამდე როგორ მოხვალ,  
საცალფეხო ხიდია,  
სიჭაბუკის დღეები კი  
ო, რა სწრაფად მიდიან.

### **სიმღერა**

მე თვალები მიყვარს შენი,  
დალ ეგ შენი ლალთვალეები,  
მომანათე ქალო შუქი,  
მომანატრე მანანები.

რუსთაველზე წაიმღერე,  
მოაფრქვიე დალ ლალები,  
ჩანჩქერით ჩამოღვარე  
ეგ მზისფერი დალალეები.

მასროლინე ბადე წყალში,  
მინდა გამოვცადო ბედი...  
იქნებ გაჰყვას ამ მზის ბილიკს  
თვალაჟუჟუნა თეთრი გედი.

მაგრამ თუკი თვალთა სითბო,  
ვეღარ ვნახო, გამქრალიყოს,...  
მაშინ ჩუმად ჩაგჩურჩულებ  
ყველაფერი ზღაპარიყო.

### **გადარჩენის გზა**

ქარიშხალს ვძლიოთ, დრო არაფრად არ მივიჩნით,  
დავდგეთ ცერებზე, დაჭიმული გვექონდეს მყესები.  
არ დავივიწყოთ არასოდეს ვისი გორის ვართ  
და სად საზრდოობს ჩვენი მოდგმის მძლავრი ფესვები.

ენა, მამული, რწმენა იყოს ჩვენთვის მთავარი,  
დავგმოთ სიმბდალე, სიმბდალე ხომ ქვეყნის მტერია.  
ვისწავლოთ ბევრი, არ ჩავაქროთ ცოდნის ღაღარი,  
ვპოვოთ ღირსება, ქაოსში რომ გზა აერია.

ვეცადოთ თავი დავაღწიოთ მონობის უღელს  
და როგორც ძველად სულელივით წყალი არ ვნაყოთ,  
პატარა ნავმა ნაპირ-ნაპირ უნდა იცუროს,  
რომ ნავსადგურში მისი წილი ადგილი ნახოს.

ცეკვა-სიმღერით არ შევცვალოთ დროის დინება,  
მშიშარა გულით არ ავუყვებთ მდინარეს აღმა...  
ტყვეობის თალხით სანამ სული შეგვესუდრება  
დავატრიალოთ შევეცადოთ ბორბალი წალმა.

აღარ ვუმღეროთ გიგანტების კადნიერებას,  
უმაქნისების არ დავიწყოთ გაპიარება.  
მოდით ვადიდოთ ყოველივე მყარი, ნათელი,  
გადავარჩინოთ დაბნეული ბევრი ქართველი.

წინ გავიხედოთ, იმ ბნელ წარსულს ზურგი ვაქციოთ,  
ფუჭი ოცნებით აღარ ვქექოთ ძველი დარდები  
და არ შევხედოთ ფერმკრთალ ფრესკას რაც არ ანათებს,  
ჩვენს მიწა-წყალზე არ ვახაროთ სხვისი ვარდები.

გადარჩენის გზა ცოდნაშია, ყველა დავრწმუნდეთ,  
ჭეშმარიტებას ერთსახოვანს, მხარში დავუდგეთ,  
დიად მიზნისთვის ბრძოლა არის ახლა საჭირო,  
მოლაღალტეებს მთელი ერი განზე განვუდგეთ.

მიზანს მივალწევთ, რადგან უკვე დიდხანს ვენამეთ  
და გავიხარებთ ქვეყანაში სადაც ვშობილვართ.  
გამარჯვებამდე თუ კი ისევ ერთად ვიარეთ,  
აღარ გავქრებით, ჩვენ სიცოცხლის ღირსი ვყოფილვართ.

აბსურდული ლაზალი

სარკმელთან იჭდა ლამაზი ლედი,  
დილს აკვრებდა ვილაცის ფრაკზე...  
ვინ არის ნეტავ ის ბედნიერი,  
ვისაც სამოსი არგია ტანზე.

... ეროტიზმს მაშინ გამოვექეცი,  
როცა არავინ იცავდა წესებს.  
მარტო იმ ლედის დაველოდები,  
როგორც ეგვესი ელოდა თესვეს.

რუბენსი ისევ თავის ცოლს ხატავს,  
სიშიშვლე მხოლოდ ფურმინს უხდება,  
სილამაზესაც დანახვა უნდა,  
საბოლოოდ ხომ ისიც ხუნდება.

მე დავინახე, მისკენ მივილტვი,  
მერე ფრეგატი ჩავუშვი ზღვაში,  
მაგრამ სად იყო და სად არ იყო,  
კრეისერები მომრავლდნენ წყალში.

ჩემი აფექტი დამღუპავს ვიცი,  
რადგანაც სხვისთვის ის მენანება.  
ლედი, სარკმელი, უდილო ფრაკი,  
ლამით სიზმარშიც კი მელანდება.

**შემაჯავლი**

ხელოვნების ლამაზ ნიმუშს როგორ შექმნის  
უღირსი და უდარდელი ფანტაზია,  
თუ დიდ მიზნებს არ უმღერის შემოქმედი  
ის უბრალოდ ან ლიპაა, ან ფარსია.

ვისაც ჰქონდა სილამაზის განცდის ნიჭი  
ცხოვრებისგან არ ითხოვდა იგი შველას,  
ხელოვნება მთელი ერის სიმდიდრეა  
ჭეშმარიტი შემოქმედი უყვარს ყველას.

**ნათვრის ახდენა**

ერუდიცია მაძლევს უფლებას,  
რომ შენ გეტრფოდე –  
წილნაყარს ღმერთთან.  
აგერ გიტარა და აგერ დოლი,  
მინდა ბოლერო ვიცეკვო შენთან.

... ზოდიაქური სინათლის შუქზე,  
(ისე ლამაზად ათოვდა ნუშებს).  
ქვემოთ შენ მყავდი, ზემოთ ვესპერი,  
მახსოვს ის ღამე, სხვა არაფერი.

ირეალური სამყაროს შვილი,  
ვდგავარ განზე და გულს ვაიმედებ.  
თუ კი ოდესმე რევანში შევძელ,  
იცოდეს ყველამ, რომ გავიმეტებ...

იმ „პაკლონიკებს“, იმ ფუტლიარებს,  
ღვინის ყანწები რომ ადგათ რქებად.  
კაცი ლამაზი, – არ გამიგია,  
კაცი კაცური – რამდენიც გნებავთ.

ცალმხრივმა გრძნობამ, ხელფასზე ჯდომამ,  
კანი ამადრო ზურგზე ცხრა პირი.  
ბოლოს ის ლედიც სადღაც გამიქრა,  
მეც უბრძოლველად დავთმე ნაპირი.

ჩემს ბავშვობაზე შეყვარებული,  
კვლავ დგას ეზოში მთრთოლავი ვერხვი,  
ის არის მნათე ჩემი რწმენისა  
და სიყვარულის, რაც ადრე ვერ ვთქვი.

ლარნაკში ყვავის იაჟუჟუნა,  
სამფეროვანი ტოტი მცენარის,  
პოეზიაში ვარ ბედნიერი,  
ჩემი მისტიკაც სწორედ ეს არის.

... სარკმელთან იჭდა ლამაზი ლედი.

\* \* \*

**(ვუძღვნი გულს)**

- ს – აქსაფონზე უკრავს ვილაც ვირტუოზი,
- ა – ზარფეშა სავსე არის პირამდე.
- ყ – ვავილივით განაბული მელოდები,
- ვ – აკანსიის იმედი გაქვს დილამდე.
- ა – იშლება ცისარტყელა კამარაზე,
- რ – ოკვა ბალახს ააოქროცურვილებს,
- ე – ვგენიკა დაგვაპურებს გადაკარგულთ,
- ლ – აჟვარდოვან სივრცე მოწყურებულებს.

- თ – უთინამე გისახსოვრო მინდა ჩემო,
- ა – მანათი მოგიტანო ბინაზე.
- მ – ხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გამიღიმე,
- რ – ომ ვინამო შენი სულის სინაზე.
- ი – სევ უკრავს საქსაფონზე ვირტუოზი,
- კ – ავალკანტი ისევ სიყვარულზე წერს,
- ო – ჩოკოჩომ იქორწინა ტყაშმაფაზე,
- ს – ურვილების ასრულების სიო ბერს.

**თეთრი გვირილეზი**

იცინიან თეთრი გვირილეზი,  
ქვის საყდართან მღერის იფნის ტოტი,  
შენ გფარავდეს სიყვარულის ღმერთი,  
მე კი ხატთან დავიღლები ლოცვით.

მოფრინდება ბედაური ლურჯი,  
სავსე გულმკერდს გადაუშლის ქარებს  
და ღიღინი სიყვარულზე ლოცვის,  
მორიდებით შემოგიღებს კარებს.

\* \* \*

შენ, რომ არ მითხრა,  
როგორ ფიქრობ,  
არ გაგცემენ შენი თვალები?  
დავბორიალობთ შემოდგომის ღვინიან ქარში  
იჭვით მთვრალეები.

- სევდიანია, მწუხარეა,  
ჭორაობენ ჩემზე ქალები.  
ამ უთავბოლო მოლოდინში დავლუღლავარ  
გადაუხდელი მრჩება ვალები.

მეყოფა კარგად ჩავძირულვარ მღვრიე მორევში  
და ჩუმად მინდა გავიხურო ცოდვის კარები.

**ღირსება**

თუ შენი ანმყო ომად აქციე,  
ცუდად იქნება მომავლის ბედი...  
ჭკუა-გონება გამოიყენე,  
განკითხვამდე კი ტაძარში შედი.

დიდ მსოფლიოში პატარა ქვეყნის  
გადარჩენაა ყველაზე ძნელი...  
შეინარჩუნე, ერო, ღირსება  
და გაანათე სამყარო ბნელი.

\* \* \*

მე შენ მასწავლე მოთმინება,  
დიდი ლოდინი,  
მაგრამ გულზედაც დამანეჭი  
მძიმე ლოდივით.

შენ ჩამახედე სევდის ფერმკრთალ,  
მღვრიე თვალებში,  
მევალესავით გამაჩერე ღია კარებში.

ჩემი შემყურე სიცილისგან კვდება ყაყაჩო,  
ამ უთავბოლო მოლოდინში უნდა დამახრჩო.

**ვიყო პოეტი**

ეს სტრიქონები სიყვარულით უნდა დაიწყოს,  
არ შეიძლება სიძულვილთან ბარძიმი იდოს...  
საქართველოა გენაცვალე მერე რა იყო,  
აქ მხოლოდ გიჟი შეიძლება პოეტი იყოს.

პეგასის ნაცვლად ჩემთან მოდის ზოგჯერ კენტავრი,  
რომელიც ცდილობს ჩამიკეტოს ოცნების კარი.  
მე ხომ ვერასდროს ვერ ვაკადრე მუზებს ღალატი,  
არ გავასხვისე, ისევ აქ მაქვს სავსე კალათი.

მათ თანაგრძნობას ჩემთვის თვალი აუხელია,  
ჯერ სიყვარული ასე არვის გაუმხელია.

\* \* \*

პოეტს ვერ მავნებს სიავე,  
კრიტიკის ნისლით შებურვა...  
რა კაი ვაციც ვიყავი,  
იგი ვარ უწინდებურად.

ეს სიხარული დაფარული თან უთქმელია,  
იდუმალეების გარდასახვა აუხსნელია.

მუზაა ლექსის სამკაული მხოლოდ მას ვმონებ,  
მრავლად რომ ახდენს სასწაულებს მე ასე ვგონებ...  
მაგრამ თუ მუზა არ ინახა ლექსი გაქრება  
და მეც მოვკვდები სასწაული აღარ ახდება.

ვიყო პოეტი და ამაყი ვაცის იერით  
ჩემს სულსა და გულს შენ გიბოძებ ქვეყნიერებავ,  
პატივი დამდეთ აამაღლეთ ეგ პედესტალი  
სულით ხორცამდე რომ შევიგრძნო მშვენიერება.







ირმა იმერელი

უ ს ა თ ი ა უ რ ო

\* იდგა საღამო...ბინდისფერი, მრუმე საღამო...  
ნისლი ებურა ცას...არ ქროდა სიო, საამო...

ირგვლივ ყველაფერს, დაუნდობლად, წენავდა ქარი  
რალაც ავსულად...ქუჩის ბოლოს კი იდგა ქალი...

იდგა თავდახრით, გაშეშებით...ებრძოდა დარდებს...  
და სიგარეტის კვამლში ჰკლავდა საკუთარ განცდებს...

საკუთარ განცდებს-დაჩეხილს და უსაზღვრო ტკივილს...  
საშინელ ტკივილს- ცხოვრებისას და ბედთან ჩივილს...

იდგა ქუჩაში მარტო... კენტად...თავისი ფიქრით...  
მაღალი ქუსლით, ტუჩზე-საცხით, თვალეზზე-გრიმით...

იდგა ჩუმად და...მორიგ „გამვლელს“ ელოდა ქალი...  
სულ ერთი იყო მისთვის-სუფთა, გონჯი თუ მთვრალი...

ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა...ან ჰქონდა აზრი?...  
იდგა უძრავად-სახე ჰქონდა ყინულის მსგავსი...

ქალი გონებით არ ფიქრობდა მძიმე დამეზე...  
მხოლოდ თავისთვის ოცნებობდა ის ერთ რამეზე-

როგორმე...იქნებ...დღეს წამებით ეშოვა ფული...  
რომ ხვალ პატარა შვილისათვის ეყიდა პური...

მოხუც დედისთვის მიეტანა წამალი, იქნებ...  
ამაზე მეტი საზრუნავი არ ჰქონდა ფიქრებს...

დუმდა და...ჰქონდა სახე-ცივი, თვალეზში-ბინდი...  
სტკიოდა სული...შინაგანად ვერ იყო მშვიდი...

ის იყო ქვეყნად წუთისოფლის უმზეო მგზავრი...  
იდგა ქუჩაში...მორიგ „გამვლელს“ ელოდა ქალი...

იყო საღამო-მრუმე, მძიმე...წვიმა კი ცრიდა...  
ქალი, ბეჩავი, თავის სხეულს გროშებად ჰყიდდა...

.....

მე მაპატიეთ, შენდობას გთხოვთ ერთი წამისთვის,  
რომ გავიარე, დაგაკვირდით-სწორედ ამისთვის...\*

წამო, ერთად გავიპაროთ, ჩემო

\* წამო, ერთად გავიპაროთ, ჩემო...  
მთის მწვერვალზე ავიშენოთ ქოხი...  
სადაც მზეა, სინმინდუა ზემოთ,  
და ღრუბლებიც არ იქნება შორი...

წამო, ერთად გავევიდოთ ქარებს...  
გავეცალოთ მინის მტვერს და ქაოსს...  
სიყვარულზე ვესაუბროთ მთვარეს,  
ღამით ცაზე ვარსკვლავები ვთვალოთ...

წამო, ერთად დავიჭიროთ სხივი...  
რომ გაგვათბოს, სულში სითბოდ ენთოს...  
ცისარტყელას მოვიხვიოთ მძივი...  
ვიმღეროთ და მთებმა გვითხრან ექო...

წამო, ერთად გადავსახლდეთ მთაში...  
გვექონდეს ქოხი, შინ ბუხარი ენთოს...  
სიყვარულმა რომ იფრინოს ცაში  
და ლეგენდად გადაიქცეს ერთ ღროს...

წამო, ერთად გავიპაროთ, ჩემო...\*





მაგული კორძია

**ნუთუ ასე ძნელია...**

ფიქრიც არ დგვიტოვებს,  
სამშობლოზე ნუგეზად,  
ერთმანეთის სიძულვილს,  
ყველამ როგორ უგემა...  
ნუთუ "შადიმანობა," საუკუნო სენია?!  
რომ იწვოდე ქართულად,  
ნუთუ ასე ძნელია!  
უღვთო განსაცდელებით,  
დრო და ჟამის მტვირთველო,  
ჩაფერფლილო დალატში,  
მაინც ცოცხლობ, ძირძველობ!  
ფიქრის ძაფებს ვლამბავ და  
დუღს ძარღვებში წარსული,  
ღმერთო გადაურჩინე,  
ქართველს ძე და ასული!!!

**გონიერი  
გონი და ური...**

გონიც და ერიც  
წაგვართვან ლამის,  
გონიერებას შიში აქვს რამის?!...  
დღემდე ვორჭოფობთ  
სემი x თუ ქამი x,  
თან ყველა სიტყვას ვაყოლებთ,  
"ამინ!"  
ყველა ორღობეს მიდებ-მოდება,  
სარეველაზე  
მეტად მოგვინდა,  
წაგვლევა ყრუ  
და  
ყალბმა გოდებამ,  
ყელში მიჭერს  
და მექცა გოგირდად....  
ხან გაქცევა მსურს ამ სამყაროდან,  
უსუსურობით ადამის, ვინვი,  
ამორძალივით ხმალშემართულმა,  
ლამის ავკუნო,  
სიცოცხლე,  
"ხინვი"...  
უცნაურია,  
დღისით ბრმები ვართ,  
მზე დაგვნათის და სხივი დაკარგა,  
ამ უცნაური,  
სიბნელის შიშით,  
ცა ვარსკვლავებით, ღამემ დაქარგა..

მართლა ვერაფერს ვერ ვამჩნევთ  
ირგვლივ?!...  
არც ზეცა გვხიბლავს  
აღარც ქვეყანა,  
ცოტაც და ალბათ გაგვიკვირდება,  
დედას რომ ჩვილი ხელში ეკავა.....  
გახლეჩილია გონიც  
და  
ერიც,  
ყრუ ნაპრალები  
უხმოდ კვნესიან,  
მერე ვდგებით  
და მუხლმოდრევილი,  
გახსენებულზე,  
ვუხმობთ მესიას!....  
თითქოს ხსნას ვეძებ სტრიქონთა შორის,  
უგონო ფიქრი  
თავს დამესია,  
უფალმა ათას საცერში გაცრა,  
რაც წუთისოფლის დანანესია...  
ჰოდა,  
მოვუხმობთ გონიერებას,  
გზა გაგვინათოს  
მარჯვნივ თუ მარცხნივ,  
რადგან სხვაგვარად  
გარდუვალია,  
გონო და ერო უდავო მარცხი!!!

\*  
სემი და ქამი ბიბლიური პერსონაჟები  
\*\*

05.10.226



არც ისე მშვიდი ვარ მარწუხებს,  
 ასე რომ მანუხებს, გავუძლო,  
 ღვთისგან მაქვს წყალობა,  
 ლალათით ზურგში ნასროლ ტყვიას გავუსწრო.  
 მოჭარდა განცდები, გრძნობები,  
 ცივ-ცივილურების სახელით,  
 ქუჩაში ბრმასავით დავდივარ,  
 შიში მაქვს თვალების გახელის,  
 და მერე ჩემს თავთან გამხელის,  
 სისუსტის  
 სიმბდალის  
 "სიქველის",  
 ცხოვრებამ დამლად რომ დაგვატყო,  
 ყველაფრის, უდავოდ რაც გველის...  
 ამდენი როკვა და თამაშით  
 ჰაერსაც არ ჰყოფნის ჰაერი,  
 ცხოვრება მუხთალი სულ იყო,  
 სულ გვყავდა  
 აბელი,  
 კაენი!...  
 კაფგს მართლა  
 რად უნდა შემჩნევა,

სიკვთემ სიჩუმით იაროს,  
 ცუდს უნდა ჩახედო თვალებში,  
 თავი რომ არ გაიტილოს!  
 ისე გვჭირს თავბრუ და თავსრეტი,  
 "თვალბრუ" და  
 "გულბრუც" სურს, გაგვხადოს,  
 გონს მოდი, გონს მოდი მოყვასო,  
 ყინვამ რომ სკალპი არ აგხადოს!  
 ცოტა და სმასაც ვინ გვეტყვის,  
 შენსავით მეც ყინვა დამაზრობს,  
 შენსავით მეც ხოხვას დავინწყებ,  
 ვის არგებს, სიქა რომ გაგვკადროს?!...  
 ჩემში თუ სიკვთეს ვერ ამჩნევ,  
 შენს თვალებს ჩახედე, ყინულებს,  
 მზემტრადმოკიდებულ ყოფაში, ჟამი დგას  
 სულ გაგვატყიურებს!...  
 არც ისე ძლიერი არა ვართ,  
 მარტოვამ მარწუხებს გავუძლოთ,  
 გინს მოდი,  
 გონს მოდი მოყვასო,  
 თორემ დრომ ჩვენს გრძნობებს გაუსწრო!

**ზოოპარკის "ბინადარი", ზოგჯერ ადამიანი...**  
 (სატირა და იუმორი)

ზოოპარკის "ბინადარო,"  
 რა მარტივი ლოგიკაა,  
 მგონი მართლა ვეთხოვებით,  
 უკანასკნელ მოჰიკანს...  
 მგლისმუხლა და ლომგულები,  
 ავაზებად ვიქეცით,  
 ისე ციმციმ ავითვისეთ,  
 მელაკუდას ქიცები...  
 ბაჭიების შიშით ვცხოვრობთ,  
 ბუს თვალებით ვაკვსებთ,  
 ნიანგებად ვიმდურებით,  
 ფაშის ვითვლით ნაკვეცებს...  
 მტრედს მშვიდობას ვესესხებით,  
 ზოგჯერ გვტკივა ფესვებიც,  
 ხან გამოგვდის შვლისნუკრობა,  
 სულს მალამოდ ვეცხებით.  
 ბუღბუღივით როცა ვუსტვენთ,  
 -ყრანტალებო, ყვავივით,  
 ხომ თევზივით დაგამუნჯებს,  
 გენში ტურის ხავილი...  
 ნექტარი რომ არ მოგაკლდეს,  
 ფუტკარიც ხარ ყვავილიც,

მოვიხდინეთ თხაკიკინი,  
 და ცხვარივით ბღავილი...  
 ..  
 ზურგის ფხანა კატას უყვარს,  
 ქეცმა იცის ქავილი..  
 ვიფხოვრებით, როცა ვჩაგრავთ,  
 ბელურას და ნიბლიას,  
 ვილაცას რომ ვუკაკუნებთ,  
 კოდალობაც ხიბლია..  
 .  
 ზოოპარკის "ბინადარო,"  
 ხან არნივშიც ვეშლებით,  
 საძებარი თუ გვაქვს რამე,  
 ძალღად დავიგეშებით.  
 ხან გველივით დავსრიალებთ,  
 სხვას ვუღრმავეთ იარებს,  
 ხან ასპიტიც ჩვენს ჰანგებზე,  
 ციბრუტივით ტრიალებს...  
 ხან ქორბუდა ირმები ვართ,  
 ჭიუხვის და ქარაფის,  
 ხან უსისხლო წურბელები,  
 ამ შეშლილი ქალაქის...  
 ხან გედივით ვყელყელობთ,  
 ხან ბატივით ვსისინებთ,

ღორობაც კი მოვიხდინეთ,  
 -მოდი, ნუ გაიცინებ.  
 მოგვწონს კატათაგვობანა,  
 თავს თუ ვინმეს დავესხით,,  
 ხანაც მაიმუნს ვემსგავსებით,  
 ნამუსისგან გარეცხილს.  
 .  
 ხან კრუხივით დავტრიალებთ,  
 ვეფერებით წინილებს,  
 მხოლოდ მაშინ არად ვაგდებთ,  
 მელაკუდას ქიცინებს.  
 ხან, ვჭიკჭიკებთ, მერცხალივით,  
 ბარტყებს ბუდეს ვუშენებთ,  
 ხან ადამის მოდგმა გვქვია,  
 ღმერთო, ყველას უშველე!  
 კარგად ვირგებთ ყველა ნილაბს,  
 არ გვჭირდება გრიმასი,  
 ყველგან ვხეთქეთ ჭებირები,  
 ქოთქოთით და გნისით,  
 ხომ მარტივი ლოგიკაა,  
 იწილო და ბიწილო,  
 როცა სახეს დავიბრუნებთ,  
 ვიტყვით თან ვიცინოთ!





**მალვინა ჭელიძე**

**გულო ჩემო**

ნუ აყვები გულო ჩემო  
შემოდგომის განცდებს,  
ბევრი რამე მიუტევე,  
ბევრი რამე დათმე...

**ოღონდ!..**

თითქოს შემოდგომის ფერებს შეგადარე,  
ზაფხულის ედემში დაგაბრუნე,  
ზამთრის სუსხს ველარ გაგაკარებ,  
გულში ჩაგიკრავ და დაგაპურებ.  
გაზაფხულს იებად აგიყვავებ,  
დარდებს სიყვარულით გაგიქარვებ,  
დღეებს შემორაგულს სევდის თალხით,  
შევებრძოლებით და გაგიქარწყლებ.  
თუკი დამეკარგე სევდის ქარში,  
ისევ ხელმეორედ აღმოგაჩენ,  
ფერხთით ფიანდაზად დაგეგები,  
ჩემი სიყვარული გადაგარჩენს.  
დარდებს დაგივარცხნი ფაფარაშლილს,  
ლოცვად დაგადნები ბევრის დამთმენს,  
თუკი დამეკარგე სადმე გზაში  
ისევ ხელმეორედ აღმოგაჩენ...  
ჩრდილში, მზის სხივებსაც მოგანათებ,  
გულში ჩაგიხუტებ როგორც ბავშვი,  
ზამთრის ნასუსხარსაც შეგიფარებ  
თოვლის მაგიდაზე სუფრას გავშლი!  
ფიქრებს სიყვარულით დაგიბთილებ,  
ფერხთით გადაგიფენ წითელ ვარდებს,  
ოღონდ მთელი გულით შეგიყვარდე.  
სევდებს, ნაგრიგალებს გავაუჩებთ!..

**ის დროა...**

ის დროა ახლა, სიკვთემ რომ დაკარგა ფასი,  
წვეთავს, იცლება უიმედოდ აქ, რწმენის თასი.  
ის დროა ახლა ბოროტებას უნდა გავექცეთ.  
სული დაღლილი ბორიალობს,  
ნდობას დაეძებს...  
ის დროა ახლა კეთილი რომ მიჰყვება დაღმართს,  
ავყიალი და ბოროტი კი მიინვეს აღმა.  
ის დროა ახლა, სიცრუემ რომ შთანთქა დიდება  
კაცი ორპირი 30 ვერცხლში კვლავ იყიდება.  
ის დროა ახლა, როცა ნდობამ დაკარგა ფასი  
და მისალმებაც უგულოა, ყალბი და ფარსი...  
და სამწუხაროდ გულქვავობა ყველა ზღვარს გასცდა,  
ისევ ჩვენზევე ქმედებებმა ლამის ჯვარს გვაცვას.  
ის დროა ახლა მოიხვიო ნდობის თავშალი ,  
ღმერთის რწმენაში შემოსილმა ლაღად იარო,  
რადგან სიკვთე ფესვს გაიდგამს უფლის ტაძარში,  
იქ არასოდეს, არასოდეს დაავიანო!

**მონათრება**

*ქეთო ჭელიძეს*

გულით, რომ მუდამ დაგატარებ და,  
ცხოვრება ისევ თქვენით მიხარის,  
შენი ბავშობის ლამაზი წლები,  
ჩემთვის ხომ არის დაუვინწყარი.  
გულით დამყავდი, წვიმაშიც, დარშიც...  
გინანილებდით სიყვარულს უხვად,  
რომ ბედნიერი ყოფილიყავით,  
ვევედრებოდი მუხლმოყრით უფალს.  
ღამე სიზმრებში გეფერებოდი  
და ჩემი ლოცვა ყველგან გიცავდა!  
გულში გიკრადი ვით თოთო ბავშვი,  
მე, ყველაფერი შენში მიყვარდა.  
ვებრძოლე დღეებს ცრემლით დანამულს,  
შენ კარგად იცი, მე ვინ ვიყავი,  
ბევრის დათმენა მიხდება დღესაც,  
ცხოვრება იყო თითქოს იგავი....  
პატარა გოგოვ, გიფიცებ დღესაც,  
ყოველი დილა შენით მიხარის!  
შენზე ფიქრები დამყვება ყველგან,  
დღეს, ბედნიერი ხომ ხარ მითხარი!  
ჩემო სიცოცხლევ და ანგელოზო,  
შორიდან გეტრფი, კოცნას გიგზავნი,  
ბედნიერებამ ჩაგჭიდოს ხელი,  
და გმფარველობდეთ მუდამ უფალი!!!

მონოლოგი

*ძალმა რომელმაც პატრონი მატარებლამდე  
მიაცილა.  
პატრონი, რომელიც უამრავ მგზავრთან ერთად  
სამწუხაროდ მატარებლით დაიღუპა.  
ძალე, რომელიც მართო დარჩა მატარებლის  
ლიანდაგებთან პატრონის მოლოდინში, ბევრი  
ლოდინის შემდეგ იქვე დალია სული...*

რამდენმა  
სევდიანმა მატარებელმა უხმოდ ჩაიქროლა,  
ვინ მოთვლის...  
რამდენი ბედნიერი,  
და სევდიანი  
მგზავრი გაიყოლა...  
ისე უდიერად გაჰკიოდა გზაზე მიმავალი,  
სივრცეს მიაპობდა,  
როგორც ფრინველთა ურჩი  
ქარავანი,  
არც კი უკითხია  
ვინ იყო მისი მგზავრი,  
ვინ სად მიდიოდა...  
არც იყო ეს კითხვა მთავარი;  
ვინ ახალგაზრდა იყო,  
ვინ ასაკში,  
ვინ კიდევ ბავშვი!  
ვინ ახლოს ჩამოვიდა,  
ვინ ბოლომდე გაჰყვა,  
ვინ შუა გზაში...  
მწუხრი ამედევნა,  
დარდისგან ლამის  
გული გამიჩერდა,  
ხედვა გამიჭირდა,  
დღის სინათლე  
რამდენჯერ ჩამოხნულდა,

დედაღვთისმშობელი რამდენჯერ  
ავიხირდა,  
რამდენჯერ აგვიტირდა...  
სად მიემგზავრება  
ამდენი ერთად?  
- ლიანდაგებიდან  
ძალმა დაიყვია,  
პატრონს აედევნა,  
სადღაც დაეძებდა,  
მის გზას გაევიდა,  
იმედდაკარგულს  
გონება დაებინდა...  
ელოდა მატარებელს  
და მის გამოჩენას,  
დავრდომილს და დაღლილს  
იქვე ჩაეძინა.  
პატრონის ლოდინში სული განუტევა.  
მგზავრებით სავსე მატარებელმა,  
უხმოდ ჩაიქროლა...  
ცრემლებით ლიანდაგი ბევრჯერ დაიტბორა,  
სინანულმა გული უმაღ დაიმონა...  
ვინ მოთვლის  
რამდენი ბედნიერი,  
ან ბედისგან დანიხლული  
ადამიანი უმისამართოდ გაიყოლა?!..





მავა ახოზაძე

**მხოლოდ მნამხარ ერთი...**

დღეს, უზუსტოდ და რა ცივმა ქარმა დაჰკრა,  
ამირია სული ღამე ნათენები,  
წამი გამიბევრა ეულ სიმართოვემ,  
შიშმა შემიპყრო, რომ მალე დავბერდები...

ახლა ჩემს გულში რომ ხშირი სევდა ბუდობს,  
ტირის თვალზე წრფელი ცრემლის ნაღვენთები,  
სული ტკივილს ებრძვის, მედგრად ეომება,  
ჩემში დარჩენილი გრძნობის ნათელეთები...

დრომ თუ ჩუმად, მხოლოდ სევდა მოიტანა,  
სადღაც გაქრა ჩემი სანთლის ნაღვენთები,  
იმედს მოვუხმობ და ზეცას კვლავ შევხედავ,  
თუ საჭირო გახდა სანთლად ავენთები...

მე, დღეს ღმერთს მოვუხმობ საშველ-სავედრებლად,  
მხოლოდ უფალია ჩემი საფიცარი,  
ძალას მმატებს მისი სრული აღმაფრენა,  
მხოლოდ მან ითვისა ჩემი საფიქრალი...

რა დროს სევდააო ციდან მედავება,  
მისი მფარველობა თითქოს სხვას მიქადის.  
მაპატიე ღმერთო, უსუსური რომ ვარ,  
ზრახვა უფერული სულში არ მინადის.

მე, შენს ძალებს ვუხმობ ჩემი სისადავით,  
მადლმოსილი დილა ისევ შენით მერგო.  
ჩემი გრძნობით, რწმენით, ლოცვით, სიყვარულით,  
შენკენ იმედებით მოველ ჩემო ღმერთო.

ისე გაანათა შენმა სისპეტაკემ,  
ახლა ჩემს სულში ხარ, ჩემში იშვა ღმერთი,  
რაც რომ დავიბადე, იმ დროს და მარადჟამს  
ღმერთო, მე შენ მნამხარ, მხოლოდ მნამხარ ერთი...

**წვიმიან ღამეში**

წვიმიან ღამეში შემოვრჩით დიდ ქალაქს,  
ცა უხვად მორეცხავს ღრუბლე-  
ბის სითეთრეს...

ხელი ხელს, გული გულს, ფეხი  
ფეხს მიჰყვება,  
მივაპობთ შხაპუნით წყლის გუ-  
ბის სიმრთელეს.

არ მოგვეპოვება ამ წუთის  
სადარი,  
სადაც ვართ, თუნდ ვიყოთ ზე-  
ცის ქვეშ შიშველი,  
მეგზურად გირჩიე, მომავლის  
იმედად...  
ჩემთან ხარ, ვიცი, რომ მიცავ  
და მიშველი...

**ჯადნიერი სიყვარული**

მთელი დღეა დაგეძებდი,  
მოვაგენი შენს სასახლეს.  
საფეხურებს ავუყვები,  
შენს სამყოფელს და  
ასასვლელს...

მელამაზა სიმყუდროვე,  
გულმა მიგრძნო აქ იყავი,  
შვებით ამოვისუნთქე და  
ეს ჰაერი გაგიყავი...

თითქოს იგრძნო ვედლებმაც კი,  
ღამის ჩრდილიც შემეგება,  
კარს შევადებ, ზღურბლის მიღმა  
შენი მზერაც შემეხება.

შენი ძილის მკრთალ ბურუსებს  
ღიმილი რომ შეჰჟვერვია,  
მე ვარ ახლა ის ღიმილი  
შენს ბაგეს რომ შესჩვევია...

ამოვირბენ საფეხურებს,  
არ მჩვევია დაფიქრება.  
მომიყვები რა გრძნობებმა,  
რა სათქმელმა გაგიელვა...

ჩქარა, ჩქარა, მალლა ვინევ.  
სუნთქვა მესმის შენი გულის,  
ქვეყანაზე არ ყოფილა  
ასე ტკბილი დასასრული...





**დავით სხირტლაძე**

\*\*\*

რას მიქადის მე ეს დილა,  
დილა ოქროცურვილი?!  
მზის სხივებთან შეერთების  
მომერია სურვილი...

რას მიქადი ლურჯო ცაო  
საოცნებლად მზირალო?  
მინდა წრფელი ოცნებები,  
შენს სივრცეში ვისწავლო...

აღარ მინდა დედამინავ  
შენი ბნელი ფერები,  
აღარც მათათა მწვერვალები  
და არც მწვანე ველები!

ვეძებ რაღაც უფრო წმინდას,  
სხვისთვის ჯერ ხელდაუდებს;  
ვნებას ზეცით გადმომავალს,  
იდუმალს და აუხსნელს...

აღარ მინდა დედამინავ  
შენი ბნელი ფერები,  
მინდა მზეს რომ შევეხო  
და შემოვხვიო ხელები!

\*\*\*

წავიდა დედა, ნაჯათარი წავიდა დედა,  
წავიდა უხმოდ, თუმცა ჰქონდა კიდეც სათქმელი,  
მისი სამზეო დაილია ისე უმწეოდ,  
როგორც პატარა ბავშვის ხელზე თოვლის ფანტელი.  
არ იშორებდა სათნო ღიმილს ბედის მორჩილი,  
სევდიან თვალებს, დამჩნეოდა გაყრის სიძნელე,  
წავიდა დედა, გადაღლილი წავიდა დედა,  
წავიდა უხმოდ და დატოვა სიცარიელე...

**ლაგოდეს!**

სული სიამით ოცნებას სცდება,  
მშობლიურ მინას დავადგა ფეხი,  
კავკასიონის მთების უბეში  
შუქდაფრქვეული ჩანს ლაგოდესი...

მსურს მოგეფერო, მაგრამ სიტყვები  
დამისხლტებიან ვით კალმახები,  
გამათელინე მე კიდეც ერთხელ  
ნამით ნაბანი მზის სანახები!

მოვედი შენთან ბავშვური რიდით;  
ვინ უწყის ჩემი ფიქრი ფარული...  
მომავლის გზებში დაკარგულ მაშვრალს  
უნინდებური მწვავს სიყვარული.

მოვედი შენთან შორეულ გზებით,  
რომ შემოგისხნა გულის კარები;  
მეფური მზერით მაღიდგულეებენ  
მცველებად მდგომი მათათა ჯარები!

დამათენდება რამდენჯერ ისევ  
ნაოცნებარი ღამის ხილვებში...  
ჩაიკარგება წარსულის ნისლი  
თვალუნვდენელი ზვრების სივრცეში.

მინის სურნელით რულმორეული,  
გავილურსები ოქროს ყანებში;  
თითქოს რაც ქვეყნად იბნევა სხივი  
დაუნჯებულა ვაზის მარცვლებში.

დაუოკებელ ხევთა ქუხილში,  
მომესმის ექოდ ნაცნობი ხმები...  
და ცადაწვდენილ ალვების ჩრდილში  
გაცოხლდებიან ბავშვობის წლები...

დაუსაბმო ფიქრთა საუნჯევ,  
გვირგინად გადგას სამოთხის კარი;  
ხიბლით დაგცქერის შუბლდაღარული  
კავკასიონი ამაყად მდგარი!





ლეილა ვადაჭკორია

**სიკეთე აღიზიანებს**

მახე არვისთვის  
დამიგია,  
ჭირში ყველასთვის  
გამიგია,  
კერპადაც არავინ  
გამიხდია,  
არც სულში ჩაფურთხების  
ღირსი.  
ჰოდა, ვერაფრით ამიხსნია  
მიზეზი სიძულვილის,  
რისხვის,

.....  
სიკეთე აღიზიანებსო,  
თურმე ამას ვერ  
მივხვდი

\* \* \*

შენ ნარცისი იყავი,  
მე ზღვა ოქროცურვილი,  
„დაილია კოვზით ზღვა“  
გაილია სურვილი.

გაქრა ყველა ოცნება,  
გაქრა ყველა ზმანება,  
აიტაცეს ფოთლები,  
შლეგიანმა ქარებმა.

**ღირსება**

შენს ქილიკს არად დაგიდევეს  
იგი ღირსებით სავსეა,  
შენ რაც გაოცებს, გაკვირვებს,  
მისთვის შაურის ფასი აქვს.

იგი სულ სხვაა, შენ სულ სხვა,  
ღმერთი მართალ კაცს უშველის,  
შენ შეიმოსე ძვირფასად,  
მას სულიც ყოფნის შიშველი.

**ბებოს საქსოვი**

ზის ბებო ჩემად  
საქსოვით ხელში,  
სიყვარულს აქსოვს  
სითბოს აქსოვს,  
ჩხირებით თვლებში.  
ლამაზ ოცნებებს  
აქსოვს ბებო  
ყვავილთა ფერში,  
ქარტეხილი კი,  
უკან დარჩა  
დეკემბრის თვეში.  
მომავლის რწმენაც,  
ჩაატეხოს  
უნდა საქსოვში,  
რომ მიწვდეს მერმისს  
რომ არ დარჩეს  
მარტო ანმყოში.

\* \* \*

ვზარდე გულში ნუგეში,  
და მომავლის იმედი.  
ქვეყნის ორომტრიალში,  
სიბერემდე მივედი.  
ახლა გზაგასაყარზე  
ვდგავარ,  
გული მეღევა,  
მიჭირს თქვენი დათმობა,  
რა ვქნა?  
მიჭირს შეღევა

**აუხდენელი**

გასულ წლებს როცა ვიხსენებ  
ძუაზე აცმულ მძივებს.  
მქონია მრავალწერტილი,  
წერტილიცა და მძიმეც.

თურმე ნუ იტყვი წარსულში,  
მქონია ბევრი ტირე,  
ხავსს დაუფარავს რამდენი,  
თიხა უაზროდ ვზილე.

ვეცადე, ვერ დავამგვანე  
ჩემს საოცნებო სურას,  
თურმე მომხდური ყოფილა  
მე რომ ვეძახდი სტუმარს.

ვერ ამოვავსე წარსული,  
შენც ნუ ამირევ თავგზას,  
იქნება აუხდენელი  
გადავაბარო აზვაცს.



## სინანული მკურნალია

ქარ ქრის და ქარი ხეებს  
და ხეივანს არხევს,  
ადრე რომ არ შემეშველე  
გულზე ტვირთად განევს.

იმედი რომ დამეკარგა,  
ჯავრი ფრთებს რომ შლიდა,  
მიკვირს რომ არ მომისმინე  
როგორ იყავ მშვიდად?

ახლა ნანობ, ვერ ისვენებ,  
არ იფიქრო მძულდე,  
სინანული მკურნალია,  
ტვირთს რომ მოგხსნის გულზე.

## სიყვარულს ვძერწავ

ლხინი სულ გადამავინყდა  
მომსწრეს ამდენი სიავის,  
მამულო, ღია ქრილობით,  
მოუშუშებელ იარით.

ვართ მოლოდინით ყოფაში,  
რომ სამართალი დადგება,  
არც ცეცხლი და არც მახვილი,  
მშვიდობიანად ლამდება.

მშვიდად ბიბინებს ჯეჯილი,  
ვაზი ყვავილობს ჯვარისა,  
სიკეთე აღარ მიკვირს და  
სიყვარულს ვძერწავ ჯავრისგან.

## იმრავლეთ ქვეყნად

მიდიან ნლები, იცვლება ყოფა,  
წარსულის ლანდი სულ თქვენ გფარავდეთ,  
ჩვენი მომავლის სუნთქვავ და შვებავ  
მზეს უყვებოდეთ ლამაზ არაკებს.

გეფინებოდეთ ღიმილი თბილი,  
მშვიდობა ომის ღმერთებს ზარავდეს,  
და ენთოთ როგორც ცისკრის ვარსკვლავი,  
ცის კაბადონზე გამოანათებს.

როს დედამინა ასე ბორგავდა,  
თუ ვერ შევნიშნეთ სადმე სინათლე,  
თქვენ უფრო მაღალ კვარცხლბეკზე დგახართ  
თქვენ გაუსწორეთ თვალი სიმართლეს.

იმრავლეთ ქვეყნად, დე თქვენს სიცოცხლეს  
ვერ შეხებოდეს ჟამთა სიავე,  
სულ სიყვარულის კელაპტრად ენთეთ  
სულ გამარჯვების გზაზე იარეთ.





თამარ ფიცხელაური

\* \* \*

...არ მიკვირს, რადგან ყველაფერი საკვირველია...  
არც არაფერი არ ყოფილა ოდესმე უცხო...  
გაუთავებლად ვიმეორებ, „რა მოხდა მერე?“  
და უხერხულად დროს არეულ ნაბიჯებს ვუნყოფ...  
არც მეჩემება, აღარც უკვე მეუცხოვება,  
ღალატი, რისხვა, შურისგება, ლანძღვა თუ სისხლი,  
ყოველდღე დროის შესაფერის სამოსელს ვიცვამ,  
დღეყოველ დროის უფერებელ სამოსელს ვიხდი...  
...და ვიცი, თითქოს, როგორ მშვენის ეს სამოსელი...  
ძალა აღმართს ხნავს, დაღმართს მისი ნებით მიჰყვება,  
და უნებურად შარას მცდარი გზებით მივყვები,  
და სულ არ მინდა თავის დასჯა და გაბრიყვება,  
რომ უნებურად, ის ჩავიცვი დროის ხიზანმა,  
რომ დამეფარა სიშიშვლე და ხორხოცი ხორცის,  
რაც არასოდეს არა მსურდა, არც გულს ეწადა,  
ახლა კი უკვე დროც არ მყოფნის გვემის და ლოცვის,  
რომ დროის გიჟურ სრბოლას, იქნებ, ფეხი ავუნყო,  
ჩემი ცა მქონდეს, ჩემი მინის მქონდეს სურნელი,  
ისე მიყვარდეს, ჩემნაირებს რომ ეკადრებათ  
და მჭირდე ისევ, უსასრულოდ განუკურნელი...  
...ეგებ, შემთხვევით მაპოვნინო ჩემი ნირვანა...  
და მაპოვნინო შენით სავსე ოაზისები...  
მობარბაცებდა ჩემსკენ ნისლის უდარდელობა,  
შენ უდრტვინველად, ფეხაკრეფით მოაბიჯებდი...  
...რა ახლოს იყო, ჩვენთან ახლოს, მზე შემოდგომის...  
მთვარე უჩვენოდ ირეკლავდა სურვილს თავიდან...  
ცამ ერთხელ კიდევ უსუსურად ამოიკვნესა,  
და ჩვენს გარემო, ნირვანაში, მართო წავიდა!..

/21.10.2022წ./

...უნდა დაგასწრო...

უნდა დაგასწრო... მოგაბრუნო დროის მიღმადან,  
შემოვაბრუნო შორს წასული ზეოცნებები!...  
თითქოს აღარ ვარ დარჩენილი დროის ამარა,  
და მაინც ...დროის მიღმა ისევ მეოცნებები!..  
ან არყოფილი რატომ იყავ?... ზმანება იყო?..  
ჩვენი ფერმკრთალი ნაცნობობა და იმედები?..  
ყველა სურვილი ამისრულდა, შენ რად მალეღვებ?..  
და უდრო–უდროდ მაინც რატომ მეიმედები?  
...დამიღამდი და უნებურად შემომათენდი,  
შემომეპარე ჩემ ბაღნარში, როგორც იელი...  
უშენობა თუ არ ყოფილა ბედის დაცინვა,  
რად მეჩვენება, თითქოს ამით ვარ ბედნიერი?!.  
...ეს ისე, ჩემთვის...მე საშენოს ვერაფერს გეტყვი!..  
ბევრჯერ სიტყვები უძღურია, როგორც ფიქრები...  
და მაინც...ისევ, რომ შემეძლოს თავიდან ფიქრი,  
დაუფიქრებლად, ისევე შენ ჩაგიფიქრებდი!..  
...არ იქნებოდი არც ქიმერა და არც იმედი...  
აღბათ შევძლებდი, ამ ზღვარს იქეთ, სადღაც მენახე  
სულ ერთი წამით...როგორც ცოდვა ან როგორც მადლი...  
ანდა – ორივე ერთად...მერე... შემომენახე!

\* \* \*

საკუთარ თავის ანაბარა შევრჩი საწუთროს...  
ვმარტობ ბევრში...სინაკლულე სიბევრეს გასცდა...  
დასაბამიდან აუხდენელ სურვილებს ვევენე  
იმ სწორი გზების, ლაბირინთს რომ ვერაფრით ასცდა...  
მელაციცება უთქმელობის ნაცნობი შიში...  
ან რა აზრი აქვს ნათქვამსა და სწორი გზით სავალს?..  
და დღემდე ვეძებ გოლიათებს იმ ზღაპრებიდან,  
რომ ვეძებდი და ვერ მივაგენ ვერც გამოსავალს!..  
ლაბირინთებში ვბორიალობ... მხოლოდ ჩვენ ვიცით...  
და არყოფილის უხილავი ცეცხლით ვინთები...  
შენი მიზანი – მე და ... შენი სწორი გზა-შარა...  
ჩემი ოცნება –შენ და...ჩემი ლაბირინთები!





ლია კუჭატაძე

**წუთიან ვითვლი**

ახლა უშენობის წუთებს ვითვლი,  
დარდმა ამ ფიქრებით თავგზა ამირია  
ახლა შეხვედრისთვის ნაბიჯებს ვთვლი,  
დრო კი სულ ფიქრებში მიიღია.

ისევ შემოდგომის მზეს ვაგროვებ,  
გულის დამემართა არითმია...  
მოვალ თუნდაც ერთხელ თვალს შეგავლევ,  
გეტყვი მიყვარხართქო რადგან არ მითქვია.

გრძნობამ მომამწყვდია ფიქრის მარწუხებში...  
როცა უშენობა ჩუმად განმიცდია,  
იქნებ ჩაგისახლო სითბო გულში,  
შენთან სიყვარული როგორ არ მიცდია.

მსურს რომ გაბათხული მე გახარო,  
გულში აგიყვავო ვარდი, ია...  
ახლა ნაბიჯებს ვითლი ყურში ჩაგჩურჩულო,  
გითხრა მიყვარხართქო რადგან არ მითქვია!

დღეს კი იმ განვლილ წლებს სულ ფუჭად ვთვლი,  
გზები ქარიშხალმა ურცხვად რომ არია,  
და მე სიმარტოვის ბილიკებზე  
წლები ჯოჯოხეთად გამივლია.

უკვე ნაბიჯებს ვდგამ შენსკენ მოსასვლელად,  
ისევ ქარიშხალმა თუ არ ამირია...  
და ამ სიყვარულის ბილიკებზე,  
გულის კვლავ დამეწყო არითმია.

**მე ასე ვხსნი**

ერთი სიტყვით როგორ ავხსნა,  
სიყვარული, არ იცით?  
მის შესახებ ლეგენდები  
ბევრი დადის, რა ვიცი.

ერთი სიტყვით თუკი ახსნით,  
სიყვარულზე რა იცით?  
ეს ისეთი გრძნობა არის  
მგონი ვერვინ ამიხსნით.

ალბათ ზოგი მის სიყვარულს  
ჩუმად გულში განიცდის,  
ზოგისთვის კი სიყვარული  
შექმნილია ღამისთვის.

სიყვარული აუხსნელი  
დიდი ძალის მქონეა,  
ზოგისათვის სიყვარული  
სულ არაფრის მცოდნეა.

მე არ ვიცი ვინ რას ფიქრობს,  
ვის გულში რა ტრიალებს,  
ბევრჯერ ასეც გამიგია  
კლავს და... გაგატილებს.

სიყვარულზე ლეგენდები,  
ქუჩა- ქუჩა დადიან...  
ზოგი გრძნობებს ემალება,  
მისგან შორსაც გარბიან.

სიყვარული ვირუსივით  
მოურჩენელ სენია...  
და რომ გზები გაიყრება...  
დამნაშავე? ბედია!

ვერ ვიჯერებ არ მნამს რა ვქნა,  
ეს პრობლემა ჩემშია,  
როცა გიყვარს, რა გამოდის,  
დამნაშავე ბედია?

მე ასე ვხსნი: სიყვარული?  
მგონი ყველამ არ იცის...  
და ამ გრძნობას ერთნაირად  
ვერავინ ვერ განიცდის!

**თანახმა ვარ**

თანახმა ხარ? რომ გამომყვე ცოლად...  
 და იქნები სამუდამოდ ჩემი,  
 თანახმა ხარ? რომ სულ ვიყოთ ერთად...  
 და გავცუროთ ოკვანე გემით.

თანახმა ხარ? რომ შენ გახდე დედა...  
 და შვილები გამიჩინო ბევრი,  
 ყოველი დღე თენდებოდეს თბილად...  
 და ყველა დღე იწყებოდეს შენით.

თანახმა ხარ? დავინეროთ ჭვარი,  
 ფიცი მივცეთ ერთურთს ტაძრად წმინდა,  
 ჩვენს სიყვარულს შეჰნატროდეს ყველა,  
 მაშინ ვიტყვი ეს ცხოვრება ღირდა.

თანახმა ხარ? რომ გაუძლო ჩემს გულს,  
 რომ ჭირშიაც მხარში მედგე მედგრად,  
 ცოტა რთული ხასიათის მქონეს,  
 შეგიძლია? გამიქარვო სევდა.

თანახმა ხარ? რატომ სდუმხარ!  
 მითხარ ასე მითხარ,  
 შენთან ერთად მსურს სიცოცხლე  
 დიდხანს, დიდხანს, დიდხანს.

რათქმაუნდა თანახმა ვარ  
 სხვა რა უნდა გითხრა,  
 დუმილიც ხომ სიმბოლოა  
 სიყვარულის ნიშნად.

**მადლობა უფალს**

არ ვარ ილია, არ ვარ აკაკი,  
 არა ვარ ვაჟა, ფშავში ნაზარდი.  
 ერთი უბრალო პოეტი მქვია...  
 არ გავირჩევი სხვისგან არაფრით.

ვატარებ სევდას, ჩემს სავალ გზაზე,  
 მუშით ვარ მუდამ ყოველთვის სავსე,  
 ზოგჯერ რას ვამბობ, განა ვარ აზრზე?  
 ეპატიება პოეტს თუმც ასე.

ძიძისეულში ვსტუმრობდი ოდას,  
 სწორედ იქ მექცა კალამი მუზად,  
 ვწერდი და ჩემი უბრალოებით,  
 ხშირად ვკუჭავდი ნაწერსაც ჩუმად.

მე პოეტების სამშობლოდან ვარ...  
 სულ სიყვარულზე ვდიდინებ ამბებს,  
 გალაკტიონიც უსიყვარულოდ...  
 განა ეტრფოდა მერისა თვალებს.

და თუ მეც ფიქრებს ავხადე ფარდა,  
 პოეტის ძალა სულში ვი ჩამრჩა,  
 მადლობა უფალს ამ ყველაფრისთვის,  
 უბრალო პოეტს ლექსი რომ დამრჩა.

**რთულია**

რთულია ალბათ პოეტს გაუგო  
 გაიგო მისი გულის ფიქრები,  
 რას გრძნობს, რას ამბობს, ან რას განიცდის,  
 ან კიდევ რა აქვს ჩანაფიქრები.

რთულია ალბათ პოეტს მიუხვდე,  
 სად იტყუება, სად არს მართალი.  
 გამოგონილი ამბითაც ბევრჯერ  
 ვერ უპოვია მას სამართალი.

რთულია მესმის პოეტს მიუხვდე  
 გაიგო რას ნუხს, ჩივის კალამით.  
 ზოგჯერ დაფრინავს ფრთებ გამოსხმული,  
 ქუჩაში დადის კრძალვით, სალამით.

რთულია მართლაც გხვდეს წილად ხვედრი,  
 პოეტის გერგოს ბედი სავალი,  
 უკვდავება ვი ასე იპოვო  
 ერთი ფურცლით და ერთი კალამით.

**არ გამაგონოთ**

ქალი ვარ ჰო და სისუსტე არ მსურს,  
 არ მინდა რომ თქვან სუსტია სუსტი,  
 ვერ გაუძლებსო ცხოვრებას სასტიკს  
 და დამარცხდებას იგემებს ნუთში.

ქალი ვარ ჰო და...სინაზეც მშვენიის  
 თუმცა ვი ვდგევარ უტეხი გრძნობით,  
 არ გამაგონოთ ქალზე თქვათ ვინმემ  
 სუსტია, სუსტი, ვით ფიფქი თოვლის.

ქალი ვარ მაგრამ სისუსტე არ მსურს,  
 მინდა რომ ვიყო ძლიერი ყოვლის,  
 რადგან სისუსტე დამარცხებაა...  
 ვით შემოდგომით დაცვენა ფოთლის.

ქალი ვარ მაგრამ შემწვეს ის ძალა  
 ვიბრძოლო უნდა მოვიგო ომი...  
 ფარხმალს არ დავყრი ვერ შემაშინებს  
 ყინვა, სიცივე, ქარბუქი, თოვლი.

ქალი ვარ თუმცა უნდა ვიბრძოლო  
 უნდა მოვუგო ცხოვრებას ომი.  
 არ გამაგონოთ წამოგცდეთ ვინმეს  
 ქალი სუსტია, ვით ფიფქი თოვლის.





მარეხი რიკაძე

### გეზრძვი ხედო

როგორც ბღვაში უიალქნო გემი,  
მინდობია აზვირთებულ ტალდას,  
ისე მარხევს ბედისწერა ჩემი  
და არ ვიცი როდის გავალ გაღმა!

ბედისწერას კალამი აქვს მარჯვე,  
ჭიუხებში ვის რას მოუხაზავს,  
ზოგს ჩააცმევს შავებსა და ძაძებს,  
ზოგს-კი კოხტად თეთრ რაშს მოუკაზმავს.

მე კი,ვდგავარ და ხის ფოთლებს დავსდევ,  
გული სადღაც გამპარვია მთებში,  
ფიქრის გორას მივაშურე ფიქრით,  
მაგრამ ისიც ჩამდნობია ხელში,

შენ კი ბედო! ნუ გგონია გენდე!  
თუ კი ვდუმვარ,ნუ გგონივარ მკვდარი,  
ახლა მიდი,იბობოქრე,გაცდი,  
მერე ჩემთვის კვლავ დადგება დარი,

მზე დაეშვა,ტახტრევანი დასთმო,  
მთვარე დაჭდა,ყელი მოიღერა,  
ვისთვის უკვე მერამდენე არის,  
ვისთვის როგორც გედის ბოლო მღერა...

\*\*\*\*\*

ისევ ჩამოღვენთა ფიქრმა დარაბები,  
ისევ აილენა ღამის სერაფინა,  
მთვარემ გადანია მწუხრის შავი ფარდა,  
მერე ვარსკვლავები ზეცას შეაფინა,

მგონი აღარ უჩანს ახლა ცუდი პირი,  
ღამის სისასტიკე მგონი ჩაილულა,  
მთებზეც აღარ მოსჩანს ღამის აჩრდილები,  
თუმცა ჭიუხები ისევ ჩანისლულა,

მაგრამ არარსებობს,ბოროტს რომ თამაში,  
ტახტი და გვირგვინი ბოლომდე შერჩება,  
უფრო დიდი ძალით იფეთქებს გაზაფხული,  
ნატირალ თვალეებზე ცრემლები შეშრება,

ისევ აინწვა მზე ფეხის წვერებზე,  
ისევ აყივლდება ერდოზე მამალი,  
ისევ იშხაპუნებს მაისის წვიმა და  
გადამწვანდება მძინარე ტრამალი,

ისევ გაისმება ღამაში სიტყვები,  
ახლა რომ გამხდარა ძვირფასი წამალი,  
ისევ მხიარულად ვივლით ორღობეში,  
ერთ დროს რომ იყო საშიში სავალი,

სამყარო ხომ უფლის ხელთ ქმნილი ტახტია,  
ახლა რომ თავისი ჰგონია სატანას,  
ერთხელაც დაიქნევს კვერთხს მაცხოვარი,  
აღარ დააპირებს პარპაშის ატანას..

### ეს მე-4

ჩემი მოგონება

ჩემი მოგონება ჩემთანაა,  
სულში ბობოქრები სახლობენ,  
ჩემში უსმრავი ამბებია,  
მუდამ ბავშვობას რომ ნატრობენ.

თვალნი სევდიანად ნათენები,  
მუდამ რალაცაზე დარდობენ,  
მერე გზა-კვალი რომ აერევათ,  
მაგრამ ამასაც არ ნანობენ,

მოდო წამომყევი ბავშვობაში,  
ჭისკარს შევაბიჯოთ ფიცრიანს,  
აჰა,დარდიანი დედის სახლი!  
ნეტავ,რომ მოვედი იციან?!

ღმერთო, ნუთით მაინც დამაბრუნე,  
ბავშვობის მენატრება სურნელი,  
ნუთები მენატრება გარდასული,  
რომელსაც სულ ნატრობ და სულ ელი!..

\*\*\*\*\*

იცირას ნიშნავს როცა დილით თვალებს გაახელ?  
როცა შეიგრძნობ ცოცხალი ხარ, გითენდა დილა?  
იცირამდენმა ვერ იკვლია ღამის უკუნი  
და იმიერის სიზმარეთში დაიღო ბინა?

და არ გაბედო, ოდესმე თქვა:ბედი არმაქო,  
არ იწუნუნო რა გაცვია,ან გახურია,  
გადაიღალე,აღარ გინდა მეტის ატანა,  
ვერსად მუშაობ,ვერ იშოვნიე სამსახურია!

იცირამ წუთში რამდენმა ვერ ამოისუნთქა?  
იცირამ წუთში რამდენს უნდა ამქვეყნად გაქრეს?  
შენ კი გადარდებს ფული არ გაქვს,  
უბედური ხარ, სხვაზე რას ფიქრობ,  
ანდა კიდევ, მათ შენზე რა თქვს!

მოდრიცხოვრე და იყავი სულ ბედნიერი,  
ყველა კარგად გყავს?  
გაიხარე,მეტი რა გინდა?  
თორემ დადგება ის წუთები,  
როცა მიხვდები,  
მატერიაზე,მინიერზე ფიქრი არ ღირდა!!!

ღმერთო! შენთან საუბარი მინდა,  
დარდის გაქარვება ღმერთო!  
მინდა ჩემს გულშიდაც სანთლად,  
მუდამ იმედები ენთოს!

გთხოვ,რომ შემაშველო ხელი,  
დარდით დაღლილია სული,  
ასეთ ძნელბედობის უამსაც  
როგორ გავიმაგრო გული?

დრო კი უსწრაფესად გადის,  
ტანჯვა ჩაგვრჩენია სულში,  
დღეს კი სანატრელი გახდა,  
უკვე ის რაც იყო გუშინ,

შენი იმედი მაქვს ღმერთო!  
ცოდვებს გვაპატიებ ჩვენსას,  
ისე ნუ გაგვწირავ ღმერთო,  
სახლებს ნასახლარი ერქვას!..

\*\*\*\*\*

მთის ჭიუხებში ნამქერი  
ჩამონოლილა ზვავადა,  
სიღრმეში მოსჩანს ირემი,  
დაეხეტება ცალადა..

შეჩერდი ხარო ირემო!  
თოვლი მოგფენთხო მხარადა  
და გადატანილ ამბავზე  
დამანწერინე ბალადა,

შენი მითხარი,მეც ჩემსას  
გიაბობ ჭირსა,ვარამსა,  
შეჩერდი,შეგჭამს ოხერი,  
კბილს ვერა მოუგვალავსა,

მოდრიქნება ჩემსავით,  
შენც დაიბადე ეული,  
ჩემსავით სულში ყინული  
გაქვს ჩაფსკვნილ ჩამოხვეული,

ირემმა:შენც მოგცლიაო!  
თითქოს თქვა,მოსწყდა ადგილზე,  
ამბავი რაც მოგიყვით  
შესადარია ნამდვილზე,

თუ ქვეყნად ისე იცოცხლე,  
როგორც მოხვედი ეული,  
ისე გაგთელავს საწუთრო,  
როგორც წესი აქვს ჩვეული...





ნათია ასათიანი

დაბადებული ქალაქ თბილისში.

არის ათასზე მეტი ლექსის ავტორი. წერს ლექსებს, პოემებს, პროზას.

აქვს რამდენიმე პროფესია: ჟურნალისტი, მწერალი, ფოტოგრაფი, მხატვარი.

**დედას  
(ქეთი ასათიანს)**

მე შემძლია ამ წუთებში მხოლოდ თქმა ერთის  
დრო ამ სიტყვებთან არის როგორც ასანთი- ქარში,  
ოთხმოცი წლისაც ახლაგაზრდა იქნები ჩემთვის,  
როგორც მე შენთვის ორმოცი წლის ასაკშიც ბავშვი.

მე ხომ ვსუნთავდი შენში ცხრა თვე და შენ იყავი  
ჩემი საყდარი, საუკუნო გრძნობა პირველი,  
თავისუფლებად სულში შენი სახე მიყვავის  
გამოშვებული გეგონება ვიყო ფრინველი,

ვნელავ მომენტებს ჩახუტების და რომ ვაპირებ  
გამოვინიო, ვეხუტები უფრო საშინლად,  
რომ ქმედებების მე გადავცდე მარტივ ნაპირებს,  
რომ სიამაყით გავიფიქრო, დიდი ბავშვი ვარ.

სხივები ისევ შებრანავენ ჯერ კიდევ უმ ცას,  
თქვენ კი ეცადეთ სიყვარული ბრუნვით არ შეშრეს,  
დე, ვაცმა რომ თქვას ვიცოცხლებდი უშენოდ, თუმცა,  
აბა სიცოცხლე როგორია სულის გარეშე?

მე შემძლია ამ წუთებში მხოლოდ თქმა ერთის  
დრო ამ სიტყვებთან არის როგორც ასანთი- ქარში,  
ოთხმოცი წლისაც ახლაგაზრდა იქნები ჩემთვის.  
როგორც მე შენთვის ორმოცი წლის ასაკშიც ბავშვი.

\* \* \*

ყველაფერი – სამყაროში ცვლადია,  
მე ვუყურებ ვარდს, რომელიც მაჩუქეს,  
ის კი ახლა ჩამომტყვნარი ვარდია,  
სამუდამოს არც მოველი საჩუქრებს.

იდგეს დრო და ჩემი ტანიც გალიოს  
როგორც ყველა წართმეული ბილივი,  
ჩაოს ნაცვლად გპასუხობდე: ადიოს,  
დიმილამდე გაქცეული მიმიკით.

თუ არ გესმის, ასე გეტყვი: მშვიდობით,  
თუ არც ეს გსურს რომ გაიგო: რევეარ,  
მხოლოდ ფიქრში გახსენებით მინდოდი,  
სხვა რა სახელს მოუძებნი ჩემ უარს.

ტანი, ტანი, სახე ნაოჭგამთბარი,  
ტანიც ასე მოხუცდება ვარდივით,  
წადი, წადი...

უკვე ნანობს ზამთარი,  
რომ ვერ იგრძნო გაზაფხული ნამდვილი.

ყველაფერი სამყაროში თვლადია,  
ცვლადიც,  
კიდევ, მე თუ მკითხავ უთვლადიც,  
მე კი ახლაც შენი მოსვლა მწადია,  
ბრაზიანი სახით წიგნს რომ ვფურცლავდი.

\* \* \*

ჩვენ, ვარსკვლავებად  
ამ ცაზე ვჩნდებით,  
წევს ცის საცერზე  
წვიმა სულისთვის,  
ჩვენ, სიცოცხლეში  
ათასჯერ ვკვდებით,  
როცა, არც ერთხელ,  
სიყვარულისთვის.

ერთგულება კი  
დღეს არის ნიჭი,  
რომელიც ზოგში  
ხმასავით ჩაწყდა  
და ფოთოლცვენა  
ხესავით გვიჭირს,  
რომ გზას ეს ტანი  
არსაით გასცდა.

მიდის და მოდის  
ათასი ტანი,  
ათასი სახე,  
ათასი სული,  
მე ვიმახსოვრებ  
რაც დავინახე,  
ჩემი გულია-  
ცა, დანისლული.

რამდენ სიმღერად  
არ დავიკვრებით,  
დაშლილს,  
სულმნათი გზა  
სახლს სულ ისმენს  
და ჩვენ  
ხანდახან  
ზამთარში ვკვდებით  
როცა  
ვსუნთქავდით  
გაზაფხულისთვის.



მეუღლეს

მიყვარხარ,  
რადგან ამ სიყვარულს  
აქვს ყველაფერი  
რაც მე ყოველთვის მჭირდებოდა  
და მუდამ მსურდა,  
გპირდები  
გულში რომ არასდროს დამეკარგები,  
ჩვენ არასოდეს შეგვეხება  
რაც სულ დასრულდა.

ვერ გპოულობდი,  
რადგან ალბათ წინ არ ვიდექი.

და ჩვენ ერთ დღესაც  
გავემართეთ ერთმანეთისკენ,  
მიყვარხარ, რადგან მოხვედი და  
ღმერთად გინამე,  
თუმცა ჩემ სევდას  
სულ სხვა მხარეს მე გავეკიდე  
მაინც მიპოვე ღმერთისხელა დედამინამდე.

მიყვარხარ, რადგან  
შენს ხმაშია ჩემი სიმშვიდე  
და შენს მკლავებში  
ყველა ჩემი სინათლის სხივი,  
ჩვენ შეიძლება ამ სიყვარულს ბევრიც  
გვიშლიდეს,  
მაგრამ ვერავინ გაიმარჯვებს,  
გზიდან გიციდიდი...

მიყვარხარ, რადგან სიყვარულს აქვს შენი თვალები  
და მე შენს თვალებს ხან ქუჩაში ვეძებდი გზებით  
და რა ვიცოდი,  
რომ იმ ფრთებქვეშ შემითარებდი,  
რომელსაც თავად ვაშენებ და მე ვეხიზნები.

გზიდან, რომელზეც მე ვიდექი  
მრავალი წელი,  
რომელზეც ჩანდა არაფერი  
და მაინც ვგრძნობდი,  
რომ გიპოვიდი ჩემნაირ გიჟს  
და გამიძლებდი,  
თუმცა, მეპოვე რანაირად, აღარ ვიცოდი.

მიყვარხარ,  
გიხსნი მე სიყვარულს შენ დღეს პირველად,  
ლექსი 14 მარტს დაგინერე, ორის ათ წუთზე  
და ვგრძნობ თავს ახლა თავისუფალ გზებზე ფრინველად,  
ბედნიერი ვარ, დავესხენი მგონი მარწუხებს.

შენ რომ იცოდე  
მე რამდენჯერ წარმოგიდგინე,  
შენ რომ იცოდე,  
მე რამდენჯერ გინატრე გვერდით,  
შენ ყველა ცრემლი დამიამე  
და მომიჩინე,

მიყვარხარ, რადგან თავად მთელი ხარ სიყვარული,  
შენი ტუჩების სინაზგა ჩემი სამოთხე,  
თუმცა დავღალე უშენობის გზა სიარულით,  
ახლა უშენოდ ვერ ვიცოცხლებ ვეღარც სამ-ოთხ დღეს.

შენ ხარ ყოველი ჩანაფიქრი, თუ მოფიქრება,  
ის ვინც ჩემს სულად,  
ჩემს სხეულად გამოიძებნა,  
ჩვენ ვართ ის გრძნობა ერთმანეთის – სულ რომ იქნება  
და ერთმანეთში გულის ფეთქვის გამოღვიძება..

რადან შეიხვალა

ფარდა, სპექტაკლი, ხალხი..  
და მერე ისევ ფარდა,  
სადღაც გეძახის სახლი,  
რომელიც სიზმრებს ჰგავდა.

შენ ყველა ფეთქვის პასკალს  
უსმენ ბალიშის ფერხითი  
და ნულით ერთი – განსკვავს,  
უზენაესი ღმერთი

ცხოვრება არსებითად  
კრებით შენაკადს ჰგავდა.

ასი ათასი ფანდი, ათი ათასი ვნება,  
მაგრამ არავინ – განდი,  
მაგრამ არავინ – დეგა.

რომელიც ასე გიყვარს,  
ისევ სცენა და ფარდა,

წერენ, ხატავენ, გამას-  
განცდებით იმოსავენ,  
მაგრამ არავინ- გალა,  
არც ერთი ფიროსმანი.



ნინო როსტიაშვილი

ცამეტი წელი

11.08.2008წ

თალხი ემოსა გორისთავს,  
შინდისი წნავდა დიდებას,  
იხვრიტებოდა ავხელით,  
ცხელი გულების ზმანება.

თავდახრით იდგნენ ვერხვები,  
ცაზე ზიგზაგი ელავდა,  
ყველა ნარჩვევი ბიჭების,  
ვარკვლავი ერთად წყდებოდა.

გლოვის მაგვრად ისმოდა,  
მონად, უფლისა გალობა,  
საგალობელი ცას მისწვდა,  
ინვოდა, ქართლის ხეობა.

არ დაგიყრიათ იმელი,  
ეძინებოდა ლიმფები,  
სულ პირტიტველა ბიჭების,  
რა დედამ გშობათ, ვერ ვხვდები?!

თქვენს სახელს, სანთელს უნთებენ,  
დღესაც ქართველი დედები,  
ღმერთო, ტკივილი გვაკმარე,  
ცისმარეს სწვდება კივილი...

ყოველ ჟამს იბადებოდნენ,  
გულანთებული შვილები,  
ღმერთო ვაჟები გვიმრავლე,  
ხსოვნად, გვაკმარე გმირები!!!

11.08.2021წ

აქ თბილისს ისევ ეჯერებინან...

მიყვარს თბილისის დღეცა და ღამეც,  
ყოველი კენჭი მიყვარს თბილისის,  
როგორ გავცვალო თეთრ ღამეებში,  
ბუმბერაზი მთის "მთანმინდის მთვარე".  
მიყვარს თბილისის შემოღამება,  
მეტეხზე მდგარი გორგასალი და  
ლამპიონების მკრთალი ნათება,  
მტკვარზე რომ ტოვებს თავის ანარეკლს.  
მე ამ ქალაქის ღრუბელიც მიყვარს,  
ნისლებით მთვრალს, რომ ცრემლი სდის ღანვზე,  
ვით ტოლიბაში ყანწს ისე დაცლის,  
გადმოაწვიმებს თბილისის თავზე.  
თბილისს რომ აწვიმს ის წვიმა მიყვარს,  
მინდა შევიგრძნო ღრუბლის სიმთვრალე,  
თავსხმა წვიმაში თავშალს მოვიხდი,  
მირონივით რომ მდიოდეს თავზე!  
მე, ამ ქუჩების მტვერიც კი მიყვარს,  
ფოთოლსაც ვეტრფი ქარის მოტანილს,  
ამხედრებული მუზა ზის თიქოს,  
მხედრის ჭენებით ყველა ფოთოლში.  
მე მეგზოვეც მიყვარს თბილისის,  
დილის საარზე არაგვთან, რომ გვის,  
გულმოსული და დოინჯ-შემოყრით:  
"ვგვიო და მაინც წერენ არაგვი!"  
მიყვარს თბილისის შემოთენება,  
ხეტიალში რომ ცა გათეთრდება,  
მტკვართან მომისწრებს ცისკრის ზარები,  
ამ სილამაზეს ვეზიარები.  
სიონის გავლით ვერცხლის ქუჩაზე,  
ოდნავ ნაღველი შემომანვება,  
ველარ შეხვდებით აქ ყარაჩოხლებს,  
ჩოხები ღვინის ბოთლებს აცვიათ,  
ძველი თბილისის სავაჭრო დახლზე,  
ქამარ-ხანჯლებიც მუშტარს ელიან,  
ტურისტის უფრო ფასობს თბილისში,  
ძველი თბილისის ევროპულია...  
(ვერცხლის ქუჩაზე, ოქროს ბიჭები აღარ დადიან).  
მარცხნივ ავყვები მაჩაბლის ქუჩას,  
სადაც მგოსნების სულები სახლობს,  
ზოგი ეტრფოდა "თბილისის ჰავას"  
ზოგი ნატრობდა თბილისში "რონინს" .  
კრძალვით შევადებ დამტვერილ კარებს,  
აქ განვიქარვებ თბილისის ნაღველს,  
აქ თბილისის ისევ ლექსებს უძღვნიან,  
აქ თბილისის ისევ ეფერებიან!!!

13.09.2022წ

არა,  
ქართველნო?!

ანი, თბილისო და  
ჰოე, საქართველო,  
სულ მინდა გეფერო,  
შენ ჩემო, ბებერო,  
ახლა სიზმარში ვარ,  
ტივით მივსეირნობ,  
მტკვრის ნაპირით მივუყვები,  
საქართველოს.

მესხეთიდან ვინყებ ფიქრში შენით ტკობას,  
რა გზით მოდიოდა ნეტავ, ნინო წმინდა?!  
ცაა მოლუშული და ბუნდოვნად მოსჩანს,  
ეხ, გრიგოლ,  
ტაო  
უღმერთოდ ჩამოშლილა.

ჯავახეთს  
ციხე მზეობს, მძლეობს რაბათი,  
ბორჯომს,  
პეტრე-ჰავლე;  
მდგარი ათინათი.  
ცხისის მოფენილან, ბაბუაწვერები,  
გორთან უკვეთიათ კლდეში უფლისციხე.  
(მურმან, აყვავდნენ ყაყაჩოები)

კვლავ მოსდებია სარკინეთს გვირილები,  
სამთვეს უთელია უღვთოდ , ავგიორგის.  
ბაგრატ, მოგვაყარე ჭიდან ორაგული,  
კვლავაც გააკვირვე მტერი  
აღყად მდგარი.

(აქ მამის ნაამბობი მახსენდება)...  
ძეგვი დაუცლიათ ოდესღაც მტარვალებს,  
როცა ჩაუვლიათ შუკვებში ჯალათებს,

მეთაურს უკითხავს:  
რა შრიალიაო?  
ჯარისკაცს უთქვია:  
ძე გვისო, ალაგებს.

მცხეთას მოკვეთილი მკლავი ამტკივდება,  
იარებს მიაძებს კვლავ სვეტიცხოველი,  
აქ, ჯვრით შემოსულა ოდეს, წმინდა ნინო,  
მადლი უფრქვევია შენთვის, საქართველო.

თბილისს მოვადექი  
ძილში დაცვარული,  
ჩემი ოცნებების ტივით შენაცური,  
რიყეს მეგებება:  
მეტეხი, სიონი,  
ირიჟრაჟა კიდევ, დამთავრდა სიზმარი.

პ.ს  
რა წარმტაცი არის ჩემი საქართველო,  
მაგრამ ვარდობის თვეს უფრო წარმტაცდები,  
ყველა კუთხე მიყვარს ჩემო საფიცარო,  
წამლად მეფინები  
გულზე, საქართველო!

სიტყვა ვერ ვიპოვე შენი შესადარი,  
მიხარია დარი, მტკივა მე ავდარი,  
ღმერთმა არა ჰქნასო კიდევ ავდარიო,  
შენთვის თავს გავწირავთ,  
ქუღზე ქართველნიო!

02.05.2022 წელი





**თამრო სვანი-ნიჟარაძე**

**ქალი ნაზია**

ქალი სუსტიაო ამბობენ,  
მაგრამ დედაა ძლიერი,  
ეს დრო უღმერთოთ დაბომბეს,  
დრო გახდა უკვე ხნიერი.

შვილები უნდა დავიცვათ,  
მაგრამ არ ვიცი ვისგან,  
რკინის ქალამანს ჩავიცვავე,  
ალბათ ისევე ღვთისას.

მგლის ტყავში გახვეულია,  
მხეცი და კბილებს ლესავს,  
პირი სულ ახვეული აქვს,  
ხმითაც ო, ძლიერ კვესავს.

ღმერთო, ეს რა დრო დაგვიდგა,  
სატაანებია ბევრი,  
დროც რომ გამხდარა ბარიგად,  
შვილებს ვერაფრით ვშველი.

დედებო ერთად შევერთდეთ,  
ხმა ამოიღეთ ხალხო,  
აქ ვყვირი ოცდამეერთედ,  
აქაც დარდები სახლობს!

არც თვითონ იცის საითკენ მიდის,  
საქართველოდან მიდის ქართველი.  
ჩამონოლილა მთებინდან ბინდი,  
წლებს აღარ გასდევს ნათელი.  
მიდის ქართველი ცრემლების წმენდით,  
არ იცის თვითონ ან ვისთან მივა,  
ან რად ერგუნა ასეთი ბედი,  
დარდიანია და გული ტკივა.

**უძილო ღამეაზი**

უძილო ღამეებს ვერ ვითვლი,  
მონატრებასაც თქვენსას,  
შორსა ვარ, სიყვარულს გითვლით,  
თქვენ დაგენამლოთ დედა.

ლექსის წერასაც რომ ვბედავ,  
ან რა ვთქვა ემიგრანტმა,  
გაძლებს აქ თქვენი დედა,  
თუ არ მომსუსხა მარტმა.



**მიდის ქართველი**

ტკივილით სავსე კრთის ჩემოდანი,  
თვალცრემლიანი დგას ემიგრანტი,  
ვიღაცის სახლში დულს ჩაიდანი,  
ვიღაცასათვის დგება რვა მარტი.  
დგას ემიგრანტი საით წავიდეს,  
იმედიც არ აქვს ოდნავი მწირი,  
მისთვის მზის სხივი ლამის ჩავიდეს,  
დგას ემიგრანტი და ჩუმად ტირის.

ცხოვრება

ყოველთვის ჩვენ ვერ ვწყვიტავთ ყცელაფერს,  
ცხოვრება გვიჩვენებს ბილიკებს,  
ლექსებსაც თუ დავწერთ შესაფერს,  
ვერაზინ გაგვაქიკიკებს.

აი, მეც ყვე ვბერდები,  
უკვე თმებშიაც დამთოვა,  
ჰოდა, უფალს ვთხოვ ვედრებით,  
ნუ გამხდის მიწის მათხოვარს.

არ გამიყიდნონ მიწები,  
დაიცვან სისხლის წვეთამდე,  
მიყვარხართ თავდავინწყებით,  
ფიქრს ვანანილებ მლეთამდე.

წამოვდექი და დავეცი,  
რა ტანჯვა გამოვიარე,  
ხმა მომანვდინეთ გამეცით,  
ხმითაც მოვირჩენ იარებს!

მაპატიე



საქართველოვ მაპატიე,  
სხვის ჰაერს რომ ვსუნთქავ ახლა,  
ეს დრო ბევრჯერ დავიტირე,  
ამ წუთშიაც ცრემლი მახლავს.

სხვის კარზე ვარ ატუბული,  
შვილებისთვის ვგზავნი ლუკმას,  
ჩიტივით ვარ მობუზული,  
და დავდივარ შუკა-შუკა.

გეფიცები სულ მახსოვხარ,  
ძილში სულ შენ მესიზმრები,  
ჩემში ზიხარ, სულ ახლოს ხარ,  
გულს მიზიხარ მთით და ზვრებით.

### ჩემი გზები

სხვის გაკვალულ გზებზე მე არ მივლია,  
არც კუდი მაქვს გავლილი გზა ნავშალო,  
ჩემი ფიქრი სულ უბრალო მწირია,  
მიკვირს ქარი ჩემზე რატომ აშარობს.



### ნამო წავიდეთ

ძალიან შორს მინდა წავიდეთ,  
სამყაროს დასასრულამდე  
ვიართო, სანამ მზე არ ჩავიდეს,  
აქ დედამინა ტრიალებს.

გული მხოლოდ შენთვის ფეთქავს,  
გულს შენ ახსოვხარ მხოლოდ,  
მე ეს უნდა მეთქვა,  
დარდს არ გადამაყილო!

**გულნაზ ხარაიშვილს**

როგორ მინდა მეც თქვენსავით,  
სიყვარულს, რომ ვაფრქვევდე,  
დედასავით საყვარელო,  
შვილს შენს სახელს ვარქმევდე.

მზის სხივივით გულს უთბობდე,  
ჩემს ჯიშსა და გენიას,  
მტერსაც ზოგჯერ გზას უთმობდე,  
ვანსხვავებდე ჩვემიანს.

შენი სიტბო მოფერება,  
გულს მალამოდ მედება,  
ვნერ და კიდევ მენერება,  
გული არა ბერდება.

თქვენ ერთი ხართ ქვეყანაზე,  
ყველას სიტბოს მფრქვეველი,  
არ გაკლია თუმც სინაზე,  
არ გყავს უღლის მწვეველი.

ჟანგბადი ხარ ჩემი ერის,  
კეთილი და მრჩეველი  
შვილები გყავს ბევრზე- ბევრი,  
თუკი უჭირთ მშველელი!

**კალამს მივანდე**

ჩემი დარდები კალამს მივანდე,  
ფურცელმაც დაინყო კვნესა,  
შუბლი დედიკოს აჩრდის მივანდე,  
მომესმა დედის კვნესა,  
შვილოვო თამარ, რა გიჭირს,  
ჩემო ბროლივით გოგო,  
რად არ მიყვები გასაჭირს,  
როგორ მადარდებ გოგო.  
გავჩუდი თავი ჩავლუნე,  
ცრემლები მოვიწმინდე,  
ბედო ეს რატომ მარგუნე,  
დედა არ შემეშინდეს.  
გავძლებ დედიკო, ნუ დარდობ,  
ახლა მტკივა და მცივა,  
აქ ვარ დედიკო იმიტომ  
შვილებს არ მომიშივა.



**სიზმარი**

ნუხელი დედა დამესიზმრა,  
ჩამეხუტა და მითხრა,  
შვილოვო რა გაქვსო მიზნად,  
დედის გადაღლა ვინ თქვა.  
დედას აუტირდი ვუთხარი ტკივილი,  
მომეფერა და მითხრა  
დედებს უხდებათ ღიმილი  
მიღიმის არა მკიცხავს.

**მე დედა ვარ**

შვილების დედა ვარ, მადლობა უფალო,  
ღერთო, მადლობა ამისთვის.  
დარდები გავდენე, არ ვჭირისუფალობ,  
ვზრუნავ დღეცა და ხვალისთვის.  
სამშობლოვ ერთგული მიგულე ყოველთვის,  
დაგჭირდე? მომიხმე, მოვდივარ,  
ღმერთო, ფიქრს ცრემლები დაერთვის,  
მადლობთ რომ დედად ვშობილვარ.





იზა შუბითიძე

\*

მთვარემ იმეფა ცის კამარაზე,  
შემოიკრიბა ვარსკვლავთა ჯარი.  
გზად მიმოფანტულ ფერმკრთალ მზის სხივებს,  
მადლით აკმევდა გუმბათზე ჯვარი!

და სიყვარული ლექსად ნაფეთქი,  
დამწვარ ფურცლებთან მდუმარედ მჯდარი,  
ამბავს გიამბობ და მერე წავალ;  
წავალ, წამიღებს ქვიშა და ქარი. –

შავ – თეთრ სანუთროს ფერებით ვრთავდი,  
როცა რეკავდა სიცოცხლის ზარი.  
ზოგს სიყვარულის ალი ვაწვიმე,  
ზოგმაც თვით მასვა ნაჟური მწარი.

ბოლოს კი დადგა ვერცხლის ზეობა,  
და ამარიდა მოყვასმა თვალი.  
კაცთა ლაჩრობამ ღმერთიც გაყიდა,  
ჟანგმა შეჭამა ფარი და ხმალი.

დედის გულიდან ნანინაც გაჰქრა  
და დედაც გახდა უბრალოდ ქალი.  
საკუთარ დედის ნამუსს ლანძღავენ:  
ვაჰ, ღმერთო ჩვენო, ვაჰ, ჩვენი ბრალი!..

ცხოვრების ჩონგურს ვუმართავ სიმებს,  
გულში სიმღერად მეხვევა ჯავრი.  
ამ დაუნდობელ ქვეყნის ქარიშხალს  
ნეტავ როდისღა მოჰყვება დარი?!.

*(მშობლებს)*

\*

ძილი მორევია წყლის პირს ავაციას,  
წასულან წლები და ბევრ წყალსაც ჩაუვლია,  
სიჩუმეს კვლავ არღვევს საათის ფეთქვა :  
სიცოცხლე, მაინც დღესასწაულია.

სიზმრიდან გამოსვლა უჭირდა ღამეს,  
ხსოვნა კი ჩურჩულით მომყვება კვალში,  
ღიმილი შერჩენია სურათში სახეს,  
ეს დედა იღიმის ცარიელ სახლში.

აქ რომ თონე იდგა, აბრიალებული,  
ჩირით რომ საესე იყო სხვენი და ერდო,  
მგზავრსაც ცხელ შოთისპურს მიანვდიდა,  
ჩემი თმაჭაღარა ბებო.

დამჭკნარი ხელებით წინდებს დაგვიქსოვდა,  
არავის დარჩებოდა ვალში,  
ყველაზე ტკბილი იყო წითლად დაფერილი,  
კალთიდან გამოწვდილი ვაშლი.

ცვარი რომ ეკვროდა მძივებად ბალახებს,  
რიჟრაჟს დაასწრებდა მამა,  
თვალს მოავლებდა მშობლიურ სანახებს,  
სადაც ვცხოვრობდით და გვწამდა.

სამზეოს დაკლებიან და სულეთს გადასულან,  
აღარც ყანაა და არც გზები დასაფარი,  
დედის ღიმილიან სურათთან ფრიალებს,  
ფერებარეული ბებოს თავსაფარი.

ძილი მორევია გზისპირს ავაციას,  
წასულან წლები და ბევრ წყალსაც ჩაუვლია,  
სიჩუმეს კვლავ არღვევს საათის ფეთქვა:  
სიცოცხლე მაინც დღესასწაულია.

\* \* \*

წვიმით და ფიქრით დამძიმებული  
ცას შეჰფენია ფარა ღრუბლების,  
ნეტავ გენახათ თოთო ყვავილი  
თქვენი დარგული ბროწეულების.  
ფოთოლცვენამაც გადაიარა,  
დატენილია თოვლით დამბაჩა,  
აღარც ზამთარი არ მოუხდება  
იმ ეზოს, სადაც ბავშვობა დამრჩა.  
ფიქრი ხომ ჩემი ბედისწერაა,  
შვებას არა მგვრის ძიება ახლის,  
და არ მასვენებს მკაცრი ბრალდება,  
მიტოვებული მშობლების სახლის.



\* \* \*

ჩემი ბავშვობის სახლი,  
 ალუჩები და ღელე,  
 თხილთან მიდგმული სკამი,  
 გაზაფხული და მერყე.....  
 მერყე იების გროვა,  
 ატმის ხეები ბაღში,...  
 დროს რომ მიჰქონდა დრო....  
 არ მალეღვებდა მაშინ.  
 შორეული დღის ეშხი,  
 ჩარჩა იმ წლების მიღმა,  
 ის მხიარული ეზო  
 მენატრება და მინდა...  
 სახლის სევდიან სიმშვიდეს,  
 არღვევს გალობა შაშვის,  
 აქ გაზაფხული დავტოვე,  
 დამრჩა ღიმილი ბავშვის  
 დაჰკიდებია ცრემლად  
 სახლებს ობობის ქსელი,  
 აღარც ვაზია სადმე,  
 აღარც მინაა სველი.  
 ხელს მიქნევს ჩემი ბავშვობა,  
 იმ სიყვარულის ნიშნად,  
 და დგას ის ორი სახლი,  
 ჩემი ბავშვობის ნიშად.....

\* \* \*

აღარც ძველი ორღობე,  
 აღარც გზა და ტალახი...  
 როგორ მტკივა კიბეზე  
 ამოსული ბალახი

\* \* \*

რა ვქნა , რომ სიშორეს ვერ ვუძლებ,  
 ეს გულიც სულ აღარ ხალისობს,  
 მარტი ისევ მიმღვრევს ოცნებებს,  
 და აღარც მაისი მაისობს.

ისე უფეროა სამყარო,  
 როგორც ნაზამთრალი ყვავილი,  
 მესმის მიმწუხრის ჟამს ფხოვიდან,  
 ირმის განწირული ბღავილი.

ვითმენ გაზაფხულის ფორიაქს,  
 და გული ტკივილს თუ გაუძლებს,  
 ისევ შევხვდები და სულს გზაზე  
 იის ღერებივით დავუფენ.....

\*

ადამის მოდგმავ გეყო ქილიკი,  
 გულსა და ბაგეს შხამად ნუ ხმარობ.  
 სისხლად ღვენთვაა კაცის ბილიკი,  
 ნუ გამშორდები ჩემო უფალო!!!  
 სიბრძნე არ სუფევს ძვირფას სამოსში,  
 არც სიდიადე ფასობს უკვალო..  
 ამ უღმერთობის მდიდრულ ქაოსში,  
 შენ დამიფარე ჩემო უფალო!!!  
 ბევრჯერ გვინახავს ნასროლი ტყვია,  
 და დაფლეთილი გული უბრალო,  
 იმ ჭოჭოხეთის კარები ღია,  
 შენ რომ გვარიდებ ჩვენო უფალო!!!

### ანი, ჩემო მერცხლისთვალება

(ვუძღვნი ჩემი მისწავლის, ანი მუმლაძის სსოვნას)



\*\*\*\*\*

ისე მენატრები და ეს მონატრება,  
 გაუსაძლისია, მძიმე სატკივარი,  
 როცა მოგონება გულში მოვარდება,  
 გულში გამეყრება , როგორც სატევარი.  
 ისე მენატრები და ეს მონატრება,  
 მტევნად იწურება ქვეყნის საწნახელში,  
 როგორ მენატრება მაგ თმის სურნელება  
 და ჩემი ხელები შენს პანია ხელში.  
 ნატვრით ანანთებარ ვუცქერ ჩამქრალ სათლებს  
 შემოდგომაა და ჩვენი ამინდია,  
 ახლა შორი გზაა შენთვის დასაწყისი,  
 მე კი ჩემი გზები ღვთისთვის გამინდია.  
 წვიმად დამელვრები ზეცის ფანჯრებიდან,  
 ჩემში სიყვარული ისევ ცოცხლობს ვიდრე,  
 ჰოდა, არ ვიტყვებ, არ ვიტყვებ, რადგან  
 ისე ვიცხოვრებ, რომ უნდა შეგხვდე კიდევ..

.....

რა ფიქრები გვქონდა და რა სიყვარული  
 და რა ოცნებები თავნება...  
 ჩემო ხუჭუჭა და ჩემო ანგელოზო  
 ანი, ჩემო მერცხლისთვალება...





მაია ხარაიშვილი

\*

ამ ღამენათევ ჩვეულ ალიონს,  
 გადმოეფინა ღვთიური ფერი,  
 ღვთიურ თვალებში ცოცხლდება  
 მუზა,  
 შენი ლექსებით საუბრობს ღმერთი.  
 ყველა მრუდე გზა დარჩება უკან,  
 ყველა ტკივილი განიბანება,  
 დარჩება მხოლოდ გადარჩენის გზა,  
 რომელიც უღმრთოდ არ ისწავლება.  
 ქვეყნად მობნეულ მარგალიტებში,  
 მიყვარს შენი მზის კვლავ გამოჩენა,  
 ღამენათევი შენი სტრიქონი,  
 ყოველთვის არის ღვთის აღმოჩენა.  
 ჩამოიმარცვლა ეს ალიონი,  
 შენი რითმების დიდების შუქზე,  
 შენი ღიმილი არის სონეტი,  
 დიდ სიყვარულზე გადაკარგულზე.  
 ხან ნამთვრალევი ცოცხლდება  
 რითმა,  
 ხან თავს მოიკლავს მუხების მუზა,  
 შენი სიცოცხლე პოეზიაა  
 და ბოროტება ვერაფერს უზამს.



შენი დაწნული გვირგვინი,  
 სულში ჩამაწნავს გვირილებს,  
 შენს გვერდით გადავივინყებ,  
 ყველა დარდსა და ტკივილებს.

შემოდგომისფრად მორთული,  
 დაგემალეები ფოთლებში,  
 სულმოუთქმელად მოგძებნი,  
 სადღაც მიკარგულ სოფელში.

შეციებული საღამო,  
 ხელებს გამითბობს ფერებით,  
 მოგეპარები მძინარეს,  
 ამ შემოდგომის ფერებით.

გაგვიცინებენ ისევე,  
 შეციებული ვარდები,  
 და ამ სამყაროს ტრიალში,  
 სულ მეტად შემიყვარდები.

04.11.2022 მაია ხარაიშვილი

სამყარო ბრუნავს, სამყარო იწვის,  
 ქორონიკონის ტალღები ბრუნავს,  
 დაფერფლილიდან ისევ რომ  
 აღდგეს,  
 გადარჩენაზეც სამყარო ზრუნავს.  
 ისევე იშვა, ჟამმა გაუძლო,  
 ასწლეულების ვულკანურ მასას,  
 თვით სიკვდილიდან იშვა სიცოცხლე,  
 გადაურჩინა მარცვალი რასას.  
 ლოდად დადებულ ჩამქრალ  
 სიცოცხლეს,  
 შავი ჰომპეი ინახავს განძად,  
 ტურისტულ ზონას მუდამ დარჩება,  
 ვებუვის ცეცხლი ძრწოლვად და  
 დარდად.  
 დანახშირებულ სამყაროს გულში,  
 გუდრონის ფერი ხეებზე აჩნდა,  
 ჩამკვდარ სამყაროს ის სიყვარული,  
 ისტორიაში ჰომპეის დარჩა.  
 სამყარო ბრუნავს, სამყარო იწვის,  
 ქორონიკონის ტალღები ბრუნავს,  
 დაფერფლილიდან ისევ რომ  
 აღდგეს,  
 გადარჩენაზეც სამყარო ზრუნავს.

კავკასიონი დაჰყურებს ლაღად,  
 ლაგოდებს მაინც სულ სხვა ხიბლი  
 აქვს,  
 შენი ნაკრძალი, შენი ჩანჩქერი,  
 დაუნერელი არის ბიბლია.  
 „რანის“ სტადიონს დაეცა სხივი,  
 მზისგან გამთბარი მალალ მთებიდან,  
 მეამაყება უცხო მიწაზეც,  
 შენი შვილი ვარ ლაგოდებიდან.  
 აქ ჩვენი დილაც ისე იწყება,  
 როგორც იქ, ჩვენსკენ, ნაკრძალის  
 მხარეს,  
 მიყვარხარ ჩემო ლაგოდებო და  
 მთელი სამყარო მუდამ იხარე.  
 გაიცინებენ მოგონებები,  
 ჩვენთან ზღვის პირზე  
 ლაგოდებურად,  
 სამყაროს მაინც შენ მირჩევნიხარ,  
 დროს მიფერადებ მუდამ მეფურად.  
 კავკასიონი დაჰყურებს ლაღად,  
 ლაგოდებს მაინც სულ სხვა ხიბლი  
 აქვს,  
 შენი ნაკრძალი, შენი ჩანჩქერი,  
 დაუნერელი არის ბიბლია.

\*  
 ჩემო სამშობლოვ, სულ იდიადე,  
 მეტის არა ვარ რამის მთხოვნელი,  
 მარჯვენა მოჭრილ  
 ხუროთმოძღვარის,  
 ლოცვად ანთია სვეტიცხოველი.  
 მემატეანე გალობს სულებზე,  
 ია-ვარდებად მოფენილებზე,  
 მორიელისგან დაკბენილ მოძღვრის  
 სული ანთია ქვაფენილებზე.  
 უფლის ნაბოძებ სვეტს მირონი სდის,  
 მარგალიტების მძივებად ნაკრებს,  
 ჟამთა მიმოსვლა ვერაფრით  
 შეცვლის  
 და დროის ბრუნვა ვერაფერს  
 აკლებს.  
 სულ იბრწყინვალე სვეტიცხოველო,  
 დიდ ხუროთმოძღვარს ედგას  
 ნათელი,  
 ჩემს საქართველოს ნატანჯს,  
 ნაოხარს,  
 შენთან სულ ენთოს ერთი სანთელი.



ჩამოუქროლა ნაკრძალს სიცივემ,  
 მთებს ეხეთქება ნაღველით  
 მთვრალი,  
 თვალს ვერ ვაშორებ ჩაფიქრებული,  
 მთლად განკუმპლულა პატარა ქალი.

კვლავ ვეფერები განკუმპლულ  
 ქუჩებს,  
 კვლავ მენატრება ბუტია ქალი,  
 და გაიცრიცა ეს მონატრება,  
 სკვერთან სულ ახლოს, კიბესთან  
 მდგარი.

ზეცას ისევე მოწყდა ცრემლები,  
 ლაგოდებს ისევ ნაღველით გასცრა,  
 და მონატრება ჩვენი შეხვედრის,  
 იმ გზაჯვარედინს ისევე ასცდა.

მაია ხარაიშვილი





ზაზა მედულაშვილი

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს...

სიყვარულია სნეულება ჩვენ ვაცთა მოდგმის,  
თვით სიყვარული წამალია ბევრთა სნეულთა.  
სიყვარულია უკვდავება გულის და სულის,  
სიყვარულია განუყოფელი ორთა სხეულთა.

სიყვარულია წარსულისკენ უკან მოხედვა,  
სიყვარულია მომავალი აწმყოთ სავალი.  
სიყვარულია ჩვენი სიცოცხლის უწყვეტი ძაფი,  
მთელი ცხოვრება ია ვარდის გზებით მავალი...

საქართველოს კუთხეებს

ვენაცვალე ქართლელებსა,  
აზროვნებით ნათელებსა.  
ვენაცვალე ვახელებსა,  
მრავალ ჭირის მნახველებსა.  
ვენაცვალე იმერლებსა,  
ხვალინდელ დღის იმედებსა.  
ვენაცვალე რაჭველებსა,  
გულში გრძნობით ნაჭდევებსა.  
ვენაცვალე მეგრელებსა,  
თვალითა და გულით მგლებსა.  
ვენაცვალე გურულებსა,  
ვაჟკაცობით დიდგულებსა.  
ვენაცვალე სამცხელებსა,  
მიანვდენენ ცას ხელებსა.

ვენაცვალე ჩემს სვანებსა,  
ციხე კოშკით კლდე სალებსა.  
ვენაცვალე აჭარლებსა,  
ზღვა რომ ხმელეთს აჭარბებსა.  
ვენაცვალე ფშავ-ხევსურებს,  
მთების შვილთა ამაყ სულებს.  
ვენაცვალე აფხაზეთსა,  
მოხატული ტილო ზეთსა.  
ვენაცვალე სამაჩაბლოს,  
არავინ არ დამიჩაგროს.  
ვენაცვალე ყველა ქართველს,  
სულითა და გულით ნამთევს.  
ვენაცვალე ჩემს სამშობლოს,  
ღმერთმა ცუდი სულ ამოროს...

გ უ ლ ი ს თ ე მ ა.

ლამაზად ვძერწე სიტყვა,  
ვაშალაშინე რითმა.  
ერთი პატარა ლექსი,  
მსურდა რომ გამერიტმა.  
მოვიდა მუზა ჩემთან,  
ყურში რაღაცა მითხრა.  
ქვეცნობიერმა კრძალვით,  
რა უნდოდაო მკითხა.  
ფეხზე ვიდექი მყარად,  
გულში კი ჭია მღრღნიდა.  
ვის მოუვიდა აზრად,  
რომ ეს სიცოცხლე მღლიდა.

პაპის ნაჭამი ოდეს,  
შვილიშვილს ვბილსა სჭრიდა.  
მაგრამ ამგვარი რაღაც,  
მე არასოდეს მჭირდა.  
ცხოვრების მრუდე გზებზე,  
ბედი დროდადრო მსჭიდა.  
რა ვქნა ვერ ვიტან ბოროტს,  
მუდამ სიკეთე მრჭიდა.  
ხან მიხაროდა რაღაც,  
მაგრამ ხანდახან მწყინდა.

ვფიქრობ რა არის ცოდვა,  
ან თუ რა არის წმინდა.  
პოეტის მსგავსად სიტყვა,  
სასიყვარულოდ ვინ თქვა.  
გრძნობა ვაფრქვით ირგვლივ,  
სათქმელიც უკვე ითქვა.  
ოდესღაც უფლის ძალა,  
ლამაზ სამყაროს ქმნიდა.  
ღმერთო გვამრავლე, ამინ,  
სხვა არაფერი მინდა...

ს ო ზ ე ლ ო...

შენ ჩემო თვალის სინათლევ,  
წუთისოფელო ტიალო.  
ცოტა ხანს კიდევ მაცადე,  
ქართულ მიწაზე ვიარო.

დეკემბრის მწარე ყინვებო,  
თებერვლის ქარის გრიალო.  
მინდვრის ყვავილთა სურნელო,  
ტყეში ნადირთა ღრიალო.

ზაფხულის ცხელო თვეებო,  
დღეებო ცხარე მზიანო.  
ვფიცავარ გულით მიყვარხარ,  
ჩემო ქვეყანავ სვიანო.

დილით ბალახის ცვარნამო,  
საღამოს გრილო ნიავო.  
სოფელო ჩემო სიცოცხლევ,  
სულის და გულის ზიარო.

გაზაფხულს მწვანე ჯეჯილო,  
შენ მარტო თოვლჭყაპიანო.  
მაისო სიყვარულის თვევ,  
ხანდახან გულშხამიანო.

ეს სიყვარული ფურცელზე,  
მინდა რომ გავაზიარო.  
სოფელო ჩემო სიცოცხლევ,  
სულის და გულის ზიარო...

ღამით ვარსკვლავთა სიმრავლევ,  
მთვარევ შენ მკრთალ-შუქიანო.  
ხანდახან თქვენი შემყურე,  
თვალთაგან ცრემლი მდიანო.

შენ შემოდგომავე დამტკბარო,  
ბარაქით ხილშაქრიანო.  
ბარში შაშვები გალობენ,  
მთაში არწივნი ქრიანო.

რ ა ნ ი ვ ი ყ ა ვ ი თ...

მეამაყება მამა-პაპათა ქართული სისხლი,  
ეამაყებათ ჩემს მშობლებსაც ჩემი შვილობა.  
სამშობლოს თუ არ შესწირე რაც გაგაჩნია,  
არაფერს გარგებს თუნდაც კარგი გვარიშვილობა.

მეამაყება კარგად აღზრდილი ჩემი შვილები,  
აღბათ შვილებიც იამაყებენ თავის მშობლებით.  
ისე მომავლის ბილიკვებზე ვერასდროს გავალთ,  
თუ წინაპრების და წარსულის კვალს დავშორდებით.

უზენაესმა თუ ცოტახანს კიდევ მაცოცხლა,  
არ დამაყვედრა ცხელი სისხლის ძარღვებში დენა.  
ცოტა ხანს კიდევ შემოვრჩები ცოდვილ მიწაზე,  
გამიხარდება შვილიშვილების ქართული ენა.

შვილთაშვილებს კი ზუსტად ვიცი ვერ მოვესწრები,  
მაგრამ მჯერა რომ წინაპრების გენით ივლიან.  
და თუ ხანდახან დამინთებენ სანთელს საფლაავზე,  
მაშინ ვიტყვი რომ იმ ქვეყანადაც კარგად მივლიან.

ყველა ჩვენგანი მეტნაკლებად ადრე თუ გვიან,  
მარადისობის გზას გავუყვებით თვით ღმერთის ნებით.  
ამიტომ სანამ ცოცხლები ვართ მუდამ გვახსოვდეს,  
რანი ვიყავით,რანი ვართ და რანი ვიქნებით...





მარინა იმნაიშვილი

**როცა გულიდან გადმოვიღვრები**

პოეტი არ ვარ, არ ვარ მწერალი,  
რად მენერება, რატომ?- არ ვიცი,  
არ ვარ მოლექსე, არც – მომღერალი,  
ლექსის კოცონზე რატომ დავინვი.

რატომ მაღელვებს სიტყვა კაზმული,  
ხმამალაღი და უტყვი რითმებიც,  
თითქოს თამაშობს ალადასტური,  
როცა გულიდან გადმოვიღვრები.

რატომ ვთრთოლდები, როცა სტროფების  
ტალღა წამიღებს უკიდევანო,  
ზეცისკენ მიჰქრის ფიქრი....ერთბაშად  
თავზე მექცევა მთელი სამყარო.

რატომ იღლება ატმის რტო, რატომ?  
მე ეს სინაზე მაოცებს ღმერთის.  
ო, ამას ჰქვია გარდაცვალება და  
მერე ისევ აღდგომა მკვდრეთით.

**ზღვარი**

როცა დიდხანს, ძალიან დიდხანს გგონია,  
რომ მწვერვალებს გადაუფრენ,  
მთებს გადადგამ, მდინარეებს აამღერებ,  
ზღვებს დააცხრობ, ოკვანეებს დაამშვიდებ,  
დადგები მიკროფონით ხელში რომელიმე პოლუსზე  
და მთელ პლანეტას მოუყვები ისეთ ამბავს,  
გაოგნებული ვაცობრიობა რომ შვებით ამოისუნთქებს,  
როდის დგება მომენტი,  
როდესაც ზღვართან დგები და ითავისებ,  
რომ შენი, ერთი ჩვეულებრივი მოკვდავის მისია,  
მისი უმაღლესი და უზენაესი საქმე  
მხოლოდ სიყვარულია – მხოლოდ სიყვარული.  
ეს არის შენი შვებაც და ლხენაც,  
ეს არის შენი ომიც და მშვიდობაც,  
ეს არის შენი მწვერვალიც და ოკვანეც,  
შენი ამბავიც და შენი ლექსიც,  
შენი ცოდვაც და შენი შენდობაც,  
შენი თმენაც და შენი რწმენაც,  
შვილიც,  
მეგობარიც და  
სტუმარიც.



**ჩემს საქართველოს**

მე ქართველობა დამაწერა უფალმა ბედად,  
თუმცა უკეთესს რას ვინატრებ ო,ღმერთო ჩემო,  
მე გალაკტიონს ვეჩურჩულე ჩემს სიყვარულზე  
და ახლა ლექსებს,ჩვენს თბილისსაც ყველაფერს ვჩემობ.

მე დავულოცავ ქართლის დედას ამ სიდიადეს  
და ქართულ მანდილს შევინახავ გულში ძვირფასად  
ო,ღმერთო ჩემო,ომში შვილებს გზას ულოცავენ  
მე ამ გმირობას ისტორიას შემოვუნახავ,

და აქ თამარის ნატერფალზე გამებნა რითმა,  
ბოლომდე იცის ერთგულება ქართველმა ქალმა  
და ჩვენს სიმღერებს,აქ პირდაპირ ზეციდან დაღვრილს  
ვერ შემოხედა, აარიდა თვალები ქარმა.

მე ქართველობა დამაბედა მაღალმა ღმერთმა  
და რას ვინატრებ ამაზე ვარგს და ამაზე ძვირფასს  
ახლა ლექსებად მოგიყვებით ჩვენს ისტორიას,  
ქართველი ომებს წააგებსო, არ ვიცი, ვინ თქვა.

\* \* \*

წვიმს და საფლავებს დაუნდობლად ეცემა დარდი  
წვიმს და საფლავებს დაუნდობლად ეცემა დარდი,  
დარდი,რომელსაც ჯერ ისედაც სიკვდილი ჰქვია,  
წვიმს და დუმილით მიმავალნი ჭირისუფლები  
ისედაც ცრემლად ჩამომდნარი, დარდებში ჰქრიან.

დღეს აქ დუმილი დაიბუდებს სამარადჟამოდ  
და ეს მთებიც კი არ იტყვიან არასდროს სათქმელს  
წვიმს და ტკივილი ჯერ ისედაც გახსნილ ჭრილობებს  
როგორც მარილი ფენა-ფენა ედება მათზე

და სადღაც დუმილს კვლავ დაარღვევს უპირო ქარი,  
ჩამოიქროლებს,საფლავებთან წაიღებს იმედს,  
წვიმს და ტკივილით შემოსილნი შავ თავსაფრებში  
სამარადისოდ დატოვებენ მიწასთან იმედს.

და მაინც,წვიმას კვლავ მოჰყვება მზიანი დილა,  
ტკივილი არა,იარები დაიწყებს შეკვრას და  
მთის ძირიდან წამოშვებულ ღრუბლიან ფიქრებს,  
უფლის იმედი გადააქცევს მომავლის მტრედად

მტრედად, რომელიც უკვდავების არის ნიშანი  
და ეს წვიმებიც დაასველებს დარდებს, ცრემლიანს  
წვიმს და შავებში შემოსილნი ჭირისუფლები  
ახლადგადახსნილ,სისხლმდინარე ტკივილს ებრძვიან.



**ნანა ჭანკვეტაძე**





ნინო უჩილაური

\* \* \*

შიში სიცოცხლის,  
შიში სიკვდილის,  
შიში დაკარგვის რწმენის,  
ვინრო ბილიკზე,  
ვინრო სავალზე,  
გონებით ფიქრი მელის...  
თმენა ტკივილის,  
თმენა სიყალბის,  
ვალდებულება თმენის,  
ღმერთო მაღალო  
ღმერთო ძლიერო  
გამაძლებინე ბევრის.

**შვილის თვალუბი**

მეტი რა უნდა ვინატრო,  
გაცისკროვნებულ თვალეებით,  
შვილს ვხედავ, პირმშოს შეჭხარის  
ბაგეს უმშვენებს ლალები.

ლალობს სიცოცხლე სიმრავლით,  
მზე ცეკვავს ფერად სხივებით,  
ღმერთო ნუ მოშლი ნურასდროს,  
დედა ტკბებოდეს შვილებით.

ხარობდეს შთამომავლობით,  
ალგეთს დაზარდოს ლეკვები,  
ქრისტეს მცნებათა წამლობით,  
სულს მოაცილოს ეკლები.

მეტი რა უნდა ვინატრო,  
მართო ეს დამრჩა სათქმელი,  
დედაშვილობის სახელით,  
სულ გვენთოს წმინდა სანთელი.

**ო... რა ჭრელი ხარ**

ო, რა ჭრელი ხარ დედამინავ,  
შეუცნობელი...  
ხან გვირილებით იმოსები,  
ხანაც ცის ნამით,  
ზოგჯერ გვაპურებ,  
ზოგჯერ გვართმევ ლუკმას უსუსურს,  
უცნაურო და იდუმალო – დღისით თუ ღამით.

შენში ბინადრობს გიგანტიც  
და ბინადრობს მცირეც,  
გულს გითუხთუხებს საშიში და სათნო მზანება,  
ო, რა ჭრელი ხარ დედამინავ,  
მე კი კვლავ გიმზერ,  
რომ გამოვიცნო,  
ძლივს შობილი სიცოცხლის ვნება.

მაგ ჭრელზე ჭრელი,  
მორგებული წელზე ქათიბით,  
ვარ დაბნეული,  
დაბინდული,  
თითქოს დაცლილი,  
სადაც ბენვის ხიდს შემაგებებ... იქვე ნათიბი,  
ძირს დამიფინე სიყვარული,  
ლექსში დათვლილი.

**უხსო მინაზა**

ასე მგონია იქ ვდგავარ სადაც,  
ჩემი რწმენის და სულის კარია,  
უფალი ზეცით მიხმობს გალობად  
გულსაც ამიტომ გაუხარია.

ციდან სიცოცხლის დაეცა სხივი,  
უცხო მინაზე დღეს სხვა დარია,  
ქართული სული, ქართული გენი,  
მარადიული და უკვდავია.

17.06.2022

კაბადოკია 🍷🍷

\* \* \* \* \*

ვარგად მენახე...  
ჩემში ზამთარმა შემოაღწია,  
უკვე დავცილდით ახლა მე და შენ.  
მთვარემ ღრუბელი სხივით გასწია,  
საათი ითვლის ათის ნახევარს...  
დროც იპარება,  
თან წია-წია.



**დროში სიყვარული**

შენი თვალები,  
დღის მნათობი მზის სხივებია,  
სამყაროს ხიბლი მაგ ტუჩებში ღიმილად კრთება,  
თბილი ალერსი ტრფობის ცეცხლად გადამდებია  
და ამ სიყვარულს სამყაროც კი სხვაგვარად ხვდება.

იმედის სხივო,  
სიყვარულის ტკბილო სასმისო,  
მომხვიე ხელი, ვიდრე ძალა შესწევს სიცოცხლეს,  
თორემ ფიალა მოთმინებით თუ გადაივსო,  
ეს სიყვარული დროში შენთან ველარ იცოცხლებს.

**მერა ნახვალ და...**

მერე ნახვალ და... იტყვი ვუყვარდი ნინოს,  
სევდისფერ ღრუბლებს ცრემლს გამოატან ბევრს,  
თავად დაისხამ ტრფობით დაფერილ ღვინოს  
და გაიხსენებ წარსულს, ბედნიერ წლებს.

მე კი ნავალ და... დავწერ ვერნატჟამ სტრიქონს,  
დავუცდი დროს და ჩემად გასავლელ გზებს,  
მერე სიმშვიდით გავყვები ბილიკს იქ ... შორს,  
სადაც არავინ აღარ დამითვლის წლებს.

**ბერმუხა**

(სახალხო მწერალს,  
რუსთაველის პრემიის  
ლაურეატს, რევამ მიმველაძეს)

ტკივილით სავსე ბერმუხა,  
ტკივილიანი წარსული,  
ტოტებით სიბრძნის შრიალი,  
შიგ ჩამალული ღრმა სული.

მრავლის მნახველი, ამაყი,  
სამშობლოს მტკიცე ფესვები,  
რომ ავდარს გადაურჩინოს  
ყლორტები ... ადათ-წესები.

დიდრონ ტოტებით მწველ სხივებს,  
ჩრდილის სიამედ ატარებს,  
სამყაროს დიდხანს სჭირდება,  
რადგან, სამყაროს ამყარებს.

ტკივილით სავსე ბერმუხა,  
ამრავლებს ნაყოფს სიკეთის,  
დედაბუნებავ მიეცი,  
ჟამი სიცოცხლის ... ვით ერთის.

**გული მეძახის**

გული მეძახის შენსკენ,  
მტანჯავს სიყვარულის შეგრძნება,  
როგორ მიყვარხარ მე შენ,  
ხარ შეუძლებლის შეძლება.

ვცდილობ დავივინყო სახე,  
ფიქრი ოცნებებს ეწვევა,  
მითხარ, რად დამიგე მახე,  
შეხედე, მთვარესთან მზე წვება.

\* \* \* \* \*

ამოუყვები მახათას,  
ამოუყვები აღმართს,  
მე მაპატიე ცრემლები,  
რომ გისველებენ მაგ თვალს.  
ჩუმად რომ ვწევარ დაღლილი.  
ლექს რომ არ უძღვნი ამ მთას,  
დღეს გავაჩერე სამყარო,  
საყვედური რომ არ თქვას.

**მივდივარ ისე**

მივდივარ ისე,  
არ გაჩვენებ წარსულს დარდიანს,  
არც მოგონებებს დაგიტოვებ,  
რომ არ დაგტანჯოს,  
ღრუბლებს მიყვები,  
მივაშურებ ზეცას მადლიანს,  
დამლალა სევდამ,  
ფერებში რომ ურცხვად თამაშობს.

გავინავარდებ,  
უსასრულო სილაჟვარდეში,  
შევუერთდები,  
საოცნებო სხივთა პალიტრას,  
სადაც სიცოცხლეს,  
არ ახვევენ ჟამთა ბადეში,  
სადაც სიყვარულს, უსულგულოს,  
ვვრვინ აიტანს.





მარი კუბლაშვილი

**მე და შენ, ღმერთო**

რაღაც გამომრჩა, არა, უფრო მე გამომტოვეს,  
ჰოდა, პირველად დავიძინე მშვიდად წუხელის,  
ჰოდა, პირველად არ მესმოდა ვინმეს წუხილი,  
ვინ დაგვტოვებდა აბა ღმერთო, ჩვენ აქ მარტოებს...

დამტვერილია ყველა კუთხე. თითქოს და მოცლილ,  
ბრმა თვალთ მეძებს სავსე სივრცე, სადმე დამტიოს,  
რომ მერე, იქნებ ეს ქაოსი თავად ვამტვერიო,  
ან სულაც, ამ ჩემს მოთმინებას მაინც გამოვცდი.

რა გვაკავშირებს ასე მძაფრი, ასე ნაცნობი,  
მრწამსივით, ანდაც ლალატივით, როგორც იტყვიან...  
კლავს ყალბი სიტყვა! რის დუმილი, ანდა რის ტყვია...  
სიტყვა, რომელიც ისმინება ცრუთა განვრცობით.

რაღაც გამომრჩა, მაგრამ ვიცი, გამახსენდება,  
არ არის რამე დაფარული, რაც არ ამხილონ,  
არც ცხოვრებაა ამ მინაზე მხოლოდ სალხინო,  
რადგან უწვიმრად, სხვისი მძიმე ცრემლით ვსველდებით.

არაფერს ვითხოვ, არც კი ვიცი, რა მსურს საერთოდ,  
ხომ შეიძლება ის, რაც შემრჩა, აღარ წამართვან,  
ხომ შეიძლება დაცემულის წელში გამართვა  
და სულაც, იქნებ ჩვენც გვაქვს ღმერთო, რამე საერთო.

არავის ვმარა სიცოცხლისთვის ერთი მანტია,  
დადიან გარეთ ფიტულები, ანდა ცვილები  
და არ იციან რომ არიან გარდაცვლილები,  
რადგან სუნთქავენ- ესეც ჰყოფნით მათ გარანტიად.

მერე, ნელ-ნელა ადამიანს კეთრი ერევა,  
როცა სიკვდილის აჩრდილები უთვალთვალევენ,  
ჰოდა, იქნება მაპოვნინო სუფთა თვალევი  
და ამ თვალეებში დატეული ბედნიერება.

**ამოძახილი**

ცამდე ატანილ  
მძიმე ლამეებს  
და ამ ცხოვრების  
ყველა გაკვეთილს,  
ვერ ჩაატევენ  
ვერც ერთ სტრიქონში  
და უნაპირო  
სივრცეს გაკვეთენ.

გატრინდებიან  
მსგავსად ჩიტების,  
სიტყვები შორს და  
როგორც მარხილი,  
ცხრა მთის გადაღმა  
გადაიქროლებს,  
სიცოცხლის ერთი  
ამოძახილი.

გათენებამდე  
ჭერაც ადრეა,  
ჭერაც ადრეა  
თოვა ნუშების.  
მე საუკუნოდ  
დავთმობ სიცოცხლეს,  
თუ ეს მცირედით  
მაინც უშველის

ცარიელ დღეებს,  
გულეებს ცარიელს,  
გვალვისგან უღმრთოდ  
დამჭკნარ შროშანებს...  
აღარ დაღადებს  
სიტყვაში ღმერთი  
და უღმერთობით  
რას არ როშავენ...

დაუშვებს ფარდებს  
ლამე პირქუში,  
შენ წახვალ, მეც და  
მძიმე საფიქრალს  
ჩვენს ნაცვლად უკვე  
სხვა გააბევრებს,  
სხვა იტყვის იმას,  
რაც ჩვენ არ გვითქვამს...

**ლექსამდე**

ლექსივით ვერაფერი შევიყვარე,  
ლექსივით ვერაფერმა ვერ მიშველა,  
საათი, მოლოდინი, უცხო მხარე  
და ისევ ნერვიული, მძიმე ხველა...

ლექსამდე არაფერი არ ვიყავი,  
ვიყავი ჰაერი და ღია სივრცე,  
იმდენჯერ ნაწილებად გავიყავი,  
რომ მზად ვარ, ჩემი გულიც ვინმეს მივცე.

გამიქრა ძილისფერი ღამეები,  
სიზმრებმა უსულგულოდ მიმატოვეს,  
დღესაც ხომ ნამალივით არ ვერგები,  
ლექსები შემომრჩა და სიმართლევ.

ასეა, რაც შენია, შეგერგება,  
რაც არა, უკვე ჭირსაც ნაულია,  
ლექსია, ვისაც ჩემი გაეგება,  
სხვა ყველა სიყალბე და აუგია.

ლექსამდე არაფერი არ ვიყავი,  
ლექსივით ვერც ვერავინ ვერ მიშველა,  
ამიტომ მთელს სამყაროს გავეყავი  
და ახლა ერთი ვარ და მე ვარ ყველა.

**ქველი კადრები**

აღარ ხმაურობს მატარებლის ძველი სადგური,  
მოგონებები კადრებივით სწრაფად გარბიან,  
აღარც ის სახლი, ნაშენები სულ მთლად აგურით,  
აღარ არსებობს, დანგრეულა, ჩემო გაბრიელ.

იერშეცვლილი ქუჩები და ხის აივნები...  
(აღბათ სარეცხსაც აღარ ფენენ თეთრს და ლილიანს),  
აგერ ჭიხური, დაჟანგებულ კარზე წარწერით-  
„არ გაიცემა ნისიად“ და „დაკეტილია“.

ასე მგონია ქუჩის ბოლოს სხვებიც გვიცდიან,  
(გზა ღორღიანი), მოდიანო, შემოგვძახებენ,  
ამ სიჩუმეში გაღიმებაც არ შემიძლია,  
რომ იქნებ ვინმემ ამომიცნოს ჩემი სახებით.

აღარ ხმაურობს მატარებლის ძველი სადგური,  
მოგონებები კადრებივით სწრაფად გარბიან,  
ჩვენ აღარ გვახსოვს სად გზა დაგვრჩა, სად მზე, სად გული,  
შავ-თეთრ ფირს მიღმა მოვიტოვეთ წლები, გაბრიელ!

**IL TEMPO PASSA**

ნერვებს რას ვერჩი, უფრო სწორად ნერვები მერჩის,  
არ შემიძლია უცხო ქალაქს დიდხანს ვუსმინო,  
ვით თანდაყოლილ შიშებისგან ჭკუიდან შეშლილს,  
გაქცევა უფრო მეხერხება, მოსვლას თუ ვცდილობ.

გადავიხადე ყველა ხარკი, რაც კი მემართა,  
დაგვიანების, ტკივილების, ლექსის, იმედის  
და მაინც, ვერა შევასმინე უქმად მდევართა,  
გრძელი გზა იყო და ბოლომდე ერთად მივედი.

მერე დღეები ჩამოლაგდნენ, უხმო, უმზეო,  
რადგან უკვალოდ დაიკარგა დროის მესაჭე,  
IL TEMPO PASSA! - მე კი ჩემს თავს ისე ვუმზერ ,რომ  
ასე მგონია, ყველას დარდი მე მომისაჯეს.

ნერვებს რას ვერჩი ?!

\*  
ვინმემ გადამისხით წვეთი სიმამაცე,  
ყელში მობჯენილ ბრაზს გზა რომ ავურიო,  
თორემ მე და მთვარე ისე მივბარბაცებთ,  
თითქოს ჩვენ ვაჩუმებთ ქუჩას, ხმაურიანს.

მთვრალი პოეტივით ლექსი მემღერება,  
(არა, თქვენ არ იცით ჩემი გაგიჟება...)  
დროა... მომიხდება უკვე შეღერება,  
სანამ სიყმანვილე ძვირად დამიჭდება.

იქნებ, სხვა სამყაროს სხვა გზა მიმასწავლოთ,  
ახლა დარებია, გზები საადვილო,  
ნულარ გამომინერთ ამ უაზრო წამლებს,  
მინდა ჩემი ყოფნის აზრი დავადგინო.

ვინმემ გადამისხით წვეთი სიმამაცე,  
ანდა მითხარით, რომ რაღაც ამერია...  
თორემ მე და მთვარე, ისე მივბარბაცებთ,  
ვშიშობ, იქით წავალ, სადაც არ მელიან.

### ჯარ არდანერილ ლექსეზე ვდარდოზ

თვალეზს ვახელ და ყველა კუთხე-კუნჭულს ვამონმებ,  
ოთახი თითქმის დაუფარავს მტვერს და ცარიელ  
ფურცლებს, რომლებიც უნესრიგო, ძალაგამომცლელ,  
ჯერ არდანერილ ჩემს ლექსებთან უბრად არიან.

აქ არაფერი აღარ დარჩა ხელშეუხები,  
ახლა ყველაფერს უშენობის კვალი ატყვია,  
და განაჩენის აღსრულებას ვერ შევუდგები,  
როგორმე უნდა ავიცილო ბედის ბრმა ტყვია.

ჰო, არ მოგესმა, არდანერილ ლექსებზე ვდარდობ,  
სასიქადულო ამბებივით გულში ვინახავ,  
და როგორ ფიქრობ, მე როგორ ვარ ან რას ვგრძნობ ამ დროს,  
როცა დღის შუქი შენი თვალით არ დამინახავს.

გრძნობებს ვიტკივებ, აღარ ვეძებ ჩემთვის დასტაქარს,  
სადაც- შენ, იქაც -მე და მოდი, ასე დასრულდეს,  
მე თანახმა ვარ, თუ სიჩუმე დიდხანს გასტანს და  
თუ ძველ ტკივილებს დამე ქურქად შემომახურებს.

თვალეზს რომ ვახელ, ვხედავ მხოლოდ მტვრიან მაგიდას,  
ჰო, ამ აბსურდში უშენობამ სივრცე გადახრა,  
ინერებიან აუხსნელი ჩემი ლექსები,  
მაგრამ შენ ამ დროს არსად არ ხარ...არსად არა ხარ!

### მე მაინც მივდივარ

არ შევინის ამ ღამეს ეს წვიმა. ღიაა სარკმელი.  
ბორკილებს იხსნიან ფიქრები, ქარივით მშფოთვარე,  
ადიდდა ერთბაშად გულში და გაბევირდა სათქმელი,  
უფლება რომ მივცე, წამწამებს ცრემლებით მორთავენ.

მემგონი, მისამართს შეიცვლის ეს ლექსიც ამაღამ,  
(ვინ იცის, რამდენი იარა... იარა უკვალოდ),  
ამ სულის სამყოფელს საძირკველს უთხრიდა ვინ აღარ...  
და მაინც, ასეთად დავტოვე, სუფთა და უბრალო.

გამოგვრჩა ბევრი დრო, დღეს გახსნებაც კი არ მიყვარს,  
(არც შენ და ცოცხალი თავით რომ არაფრით არ ამხელ...)  
მე მაინც მივდივარ, საითაც ჩემი გზა წამიყვანს,  
მაგ ღიმილმისტილი იერის მონმე რომ არ გავხდე.

## შემომესახლე

შემომესახლე, როგორც სევდა, სევდა არ ყოფნის,  
ისე მარტივად, ისე უხმოდ და უნებართვოდ...  
რომ აღარ მიკვირს ეს სამყარო რატომ არ მყოფნის,  
ან რატომ მინდა ცხრა სიცოცხლე შენი მემართოს.

მკვდარი ფოთლების სეზონია, მაგრამ დამარცხდნენ,  
ახლა მარტია, მე კი მზეზე მშვიდად ჩაის ვსვამ,  
შენ ალაგ-ალაგ თავს ახსენებ ამინდს და აცდენ  
მიზანს, რომელიც მზის სხივივით შთანთქა დაისმა.

შემომესახლე...ეს შენა ხარ ჩემში დღეს მეტი,  
ვიდრე სევდა და ვიდრე ყოფის აუტანლობა,  
იყოს ავდარი, იყოს მუდამ სიგიჟე მარტის,  
მაგრამ შენ რომ ხარ, ამისთვისაც დიდი მადლობა!

## პროექცია

ისევ მოირგებს თეთრი ღამე ზოლიან პერანგს  
და ისაუბრებს სხვა ენაზე გული იქამდის,  
სანამ ხელახლა არ დაახრჩობს სიცოცხლეს ვერაგს,  
სანამ მეორედ დაბადებას არ დაიქადნის.

არის უბრალოდ პროექცია, აბების მსგავსი-  
მოდის ვიღაცა შენნაირი და უხმოდ გისმენს,  
დაგავინწყდება ავად ქმნილი შენივე ნავსი  
და შენი ფერის ტანისამოსს ჩააცმევ ვინმეს.

მას, რასაც სხვისი აზროვნება ვერასდროს სწვდება,  
უთქმელად დგები, თეთრი ფერის აფარებ ფარდას,  
და უბილეთოდ იმ სპექტაკლზე ითხოვ დასწრებას,  
რომელიც არვის არ უნახავს ამ ღამის გარდა.





მაგდა გორგიძე

ნატიფი ხელოვნება

მინტერესებს, კარგია თუ არაა კარგი, რომ სწავლა სიბერემდეა. (ვისთვის სიკვდილამდე.) იმდენი მითოვებული ფიქრი დამიგროვდა, აღარ ვიცი საიდან დავიწყო.. ჩემს სახლში ცოტა ნივთია და მეტი ცარიელი სივრცე. ეს იმიტომ რომ, როდესაც წყევლასავით ამეკიდა— ვიფიქრო ყველაფერზე... ნივთებზეც კი. ჰოდა ავდექი და გადავმალე : —მოვერცხლილი დანა—ჩანგალი ჩემი მზითვიდან. — მალტებური ფერადი მინის დოქი. — ჰოლანდიური ხის ქოშები—"ცოკარა". — "გუერნიკას" რეპროდუქცია. — და წყვილი ყანნი. (სუვენირად რომ ვიყიდე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.) სხვაც ბევრი რამ. რადგან, ყველა მათგანი განსაკუთრებულ ფიქრს აღმიძრავდა. დავჯექი ახლა და უნდა შევისწავლო ორი ნატიფი ხელოვნება: შუა გზაზე მითოვებული ფიქრების გაქრობისა და "მთების გადადგმის" ნატიფი ხელოვნება.

მე შენთვის მთებსაც გადავდგამ, როდესმე!

ჟესა

(ავანგარდული)

ის, რაც არ ჩავნერვ სტრიქონთა წყებაში და მრავალწერტილში მოვაქციე, ის, რაც ჩაქვიტკირდა ჩემს მბორგავ ნებაში, განყალდა ახლა და მერეხად ჩამოვაქციე. ასჯერ ვთქვი და ათასჯერ აღიარე ჩემი არსებობის უსასრულობა. სწორი სწორთაგანი ვარ პირველქმნილის და ფერი ფერთაგანი. რადგან, ადამიანი არის ის რასაც ფიქრობს, მე ასე ჩამოვძერწე ჩემი ფიქრი: "შემიძლია დავამარცხო ყველა უსახურობა." მერე რა, რომ მთვარის კალენდრის ყველა თვეში სისხლს ვკარგავ?! მერე რა, რომ ვიფერებ სისუსტეს, სინაზეს, სინატიფს?! მერე რა, რომ ცრემლს ადვილად ვაძლევ გზას?! შენ იცი ჩემი ძალა! აღმართზე მშვიდი სუნთქვით აგიყვანს. ზღვას გადასცურავ და ცეცხლის მდინარეს. ქვესკნელს არ შეუშინდები, არც ქარაფებს... ყველა ომში ბოლომდე იბრძოლებ და დამისიზმრებ შენს მკლავზე მძინარეს. მე შეუქურა ვარ. შენ ოკეანეში მცურავი გემი. არაფერს გეტყვის ჩემი სახე და სხეული არც წინხედით, არც პროფილით. ვერ გამომიცნობ, რაც არ უნდა ახლოს მოგიშვა. სხვა შთაგონება გჭირდება, სხვა ხედვა – მრავალწანაგოვანი.. ავანგარდული! მე გამოვიცანი – ჩემმა შემქმნელმა კლასიკურიდან – ავანგარდისტულამდე ყველა მეთოდი გამოიყენა ჩემს შესაქმნელად! ჯერი შენზეა – მიხილე!

**შემოდგომა**

ხელისგულებში ჩავინურე შემოდგომის ცა.

შლეგი სითხე ზღაზღვით მეღვრება თითთაშორის სიცარიელეში.

თვალ – მარგალიტად ციაგობს ზუალი.

ნეტავი რაღას უცდიან სხვა პლანეტები და ცდომილები?!

დრომ მოატანა – ნაპერწკლები უდა შვან.

ასე იწყება ვარსკვლავთცვენა შემოდგომის შემთვრალ ღამეში.

მე კი ვდგავარ და მთელი ძალით ვაერთებ თითებს,

რომ არ დავკარგო წვეთი სითხეც თითთაშორის რჩენილ ღარებში.

ათასწლეულებს ითვლის ჩემი სხეულის

დრტვინვა.

ეს ბედნიერების დროს დაწერილი ლექსია.

თვალდახუჭული ვრანდავ

სტრიქონებს,

თვალი რომ გავახილო, ვაითუ ვერ დავინახო ის,რასაც ვგრძნობ.

ყურებში მიდგას მაჭრის დულილის ხმა.

აი,სოფელი...

როგოებს ხდიან ბებერ ქვევრებს და ჭვარდაკრული გრძელი ხის ჭოხებით ურევენ მაჭარს.

აბუყბუყდება შლეგი სითხე.

შხეფებს ვარსკვლავებად დაჰყრის შემოდგომის ცაზე.

ამ ცას ვინურავ ხელისგულებში...

ახლა კი არა,ათასწლეულებია უკვე!

**ზენა დაისაკუთრეს გარდაცვლილთა თვალეზა**

ვერ ვივინყებ იმ თვალებს...

თვალებს,რომელთაც სანამ მნახავდნენ ვუყვარდი. როცა პირველად დამინახეს ღმერთი ჩასახლდა მათში.

თვალებს,რომელთაც არც დაახამხამებედი ისე გაიღებდი ჩემთვის.

შენი თვალების სინათლედ მაღიარე,სინამდვილეში კი მე მინათებდა ყველა ბნელ და ვინრო გზას შენი თვალების შუქი.

ახლა ზუსტად ვიცი, რამდენჯერ მოვგვარე სიხარულის და რამდენჯერ ტკივილის ცრემლი მაგ თვალებს.

ო,რა სიამეს ვგრძნობდი როცა მიყურებდი, ქვეყანა ჩემი კი არ მეგონა, ჩემი იყო !

თადაჯერებულობას, რწმენას, სიმშვიდეს მმატებდა როცა თვალს თვალში გამიყრდი.

შენ,მხოლოდ შენ შეგეძლო ჩემს არსებაში მზერით შეღწევა.

შენ,მხოლოდ შენ ხედავდი რა ხდებოდა ჩემში.

ყველა ძარღვი, უწვრილესი ვაპილარები, ყველა უჭრედი, ყველა ჰორმონი ჩემში წარმოქმნილი ემორჩილებოდა შენს მზერას.

ერთხელ დამალვა ვცადე.

გატკინე და მეშინოდა შენი მზერის.

არა იმიტომ,რომ გამინყრებოდი..

იმიტომ, რომ ტკივილის დანახვა არ მინდოდა შენს თვალებში.

ტკივილის რომელიც მე მოგაყენე.

მაგრამ სად დაემალება ადამიანი დედის თვალებს?!

მიჰოვა შენმა მზერამ და მაშინ მივხვდი,რომ არ არსებობს ტკივილი,რომელსაც დედა არ დაითმენს შვილისთვის.

ვიცი ახლაც მი-მზე-რ.

შენ ბევრი მზე გქონდა თვალებში.

ვერ ჩააქრობდა იმ მზეს საფლავის მიწა.

მიხარია,რომ შენი თვალების ჭრილი და ფერი გამომყვა.ზუსტი ასლია.

ძალა და სიღრმე არ ვიცი....

ჩემი შვილი იტყვის როდესმე.

როცა მენატრება და მჭირდება შენი თვალები ცაში ვიყურები.

ვიცი,ჩემნაირი ბევრია დედამიწაზე.

შვილები ,დედის თვალებს რომ ცაში ეძებენ.

ამიტომ ვთქვი:

"ზეცა დაისაკუთრეს გარდაცვლილთა თვალეზმა."

"... ცა ჩამომეცევა უშენოდ....

ალარ ვიარსებებ."

ნაწყვეტი ერთი წერილიდან.

\*\*\*\*

არ დაუჯერო წინასწარმეტყველს

არც ძველს, არც ახალს.

ეს ცა არასდროს დამთავრება,

არც ზღვა დაშრება.

მე გაგიმეტე სიმორისთვის.

შემოგადამდი...

თუმც, შენი კვალი მაინც დარჩება,

ჩემი სხეულის ყველა ნაკვთზე ,

ყველა კუნჭულზე.

რადგან მე ვიცი, როგორია მთები მთვარეზე.

მზე როგორ იწვის ცეცხლის კუნძულზე.

შენ, ხელის გულზე საგოგმანო

ჩემო ტკივილო

"სიზმარ –სიკვდილებს" თუ გადავრჩი მღვრიე

ქალაქში

შენი სახელი თუ წამომცდა ერთხელ,

მძინარეს,

თუ არ ჩავტოვე მოცახცახე სული ქარაფში.

ქარაფში ,სადაც მთათა ექო მომძახის

დვრინით:

არ დაუჯერო! რაც არ უნდა გითხრას მავანმა!

ჰოდა, მეც გეტყვი:

წინასწარმეტყველს არ დაუჯერო

არც ცრუს, არც მართალს.

რადგან, ცა კი არ დაიქცევა,

ან ზღვა დაშრება...

მე გაგიმეტე სიმშვიდისთვის.

შემოგათენდი!!

\* \* \*

მე უნდა გითხრათ

ქალად ყოფნის ცისფერ დღეებზე.

როცა ისეთი მსუბუქია ჩვენი სხეული,

რომ უხილავი ანგელოზებით

ნემსის წვერზეც კარგად თავსდება.

და ნემსის ყუნწშიც

რამდენჯერც გვინდა გავძვრებით.

ყველა გვირგვინი უსახურია

და ყველა დაფნა– მცირე ჭილდო.

არის დღეები და ღამეები

როცა ისეთი აუხსნელია,

ისეთი ლურჯი, ისე ზღვისფერი,

ისე მართალი –ქალად ყოფნა.

\* \* \*

ჩემო სულისავ!!

მდინარეო ჩემო, ენგურო!

ჩემი ძარღვების დაჭიმულობავ!

არა სიმშვიდის,

აშლილობის ჩემის ებგურო.

ან რაღას ვაქნევ მე სიმშვიდეს ?!

ამბოხს ვ–ერთგულობ.

შენ მეტყვი ახლა:

ლექსი ასე არ იწერება!

სხვა ხმები მოგწონს,

სხვა რითმების

დამარცვალება.

მე გიპასუხებ:

სიკვდილამდე უნდა მოვასწრო

ყველა ამბოხი და

დავუტკბე გარდაცვალებას.

მე გეტყვი:

ვიცი კალაპოტებს არ სცნობ,

ჩემსავით.

არც ჯებირები მიგაჩნია

დაუძლეველად.

შენ მიპასუხებ:

მდინარეთა წესია ასე–

რახან შევტოპეთ ვერ გამოვალთ

დაუსველებლად.

ჩემო სულისავ!

მდინარეო ჩემო ენგურო!

გაჩენის დღიდან აქ დაღვრილი

სისხლის ერთგულო.

დამასველებდე,

ძვლამდე ჩამყვეს შენი სიგრილე.

მოდი! ჩამიდექე ძარღვებში და

შვილად მიშვილე!



ამბონისა

შიშის ფორმა აქვთ ჩემს ნატერფალებს.  
ნერწყვს შიშის გემო.  
(ეს მერამდენედ ვიქორწინე მოკლულ  
გრძნობაზე.)  
სად გაგიშვებდი?  
ჩემს ძუძუ-მკერდს ისეთი ელდა წაუკიდა შენმა თვალებმა,  
რომ მახსენდები  
რალაც სითხე ჯანყდება ჩემში.  
ახლა გარედან რომ შემეძლოს  
ჩემი დანახვა,  
გასხლულ ვაზის ტანს ვგავარ ალბათ  
და  
ვდგავარ ქარში, თოვამიც, დარშიც  
შენსკენ მომზირალ თევზის თვალებით.  
თუ ეცდები და გამოარღვევ დროსა და სივრცეს.  
თუ აღერდებში ჩარჩენილი სურნელი გიხმობს ,ჩემი სურნელი,  
თუ გაიხსენებ ათას წლის წინ ვინ გენვა მკლავზე,  
მაშინ...ეგებ და შევუცვალო ფორმა  
ნატერფალს.  
მაშინ,ეგებ და შენი გემო მიიღოს ნერწყვმა.  
ეგებ, მზეც აღარ მომეჩვენოს მკვდარად მზერალი და  
მთვარის ფაზების შევუთანხმო სისხლის ჩქერალი.





მადონა კისკვიძე-ქორიძე

**დამისხით!**

უთქმელად მინდა რომ დავლიო,  
ერთ წამში გადავკრა დავცალო ფიალა,  
მიმიშვით! ვიმღერო, მუსიკამ დაახშოს  
წარსულმა რაც გულში დატოვა იარა.  
დამისხით! რომ ღვინომ გრადუსით დამათროს,  
იქნებ და ავცევკვდე დავფარო ტკივილი,  
ო ღმერთო ჩემო მგონი შევიშალე  
აქ უფრო მეტად ამიტყდა ტირილი.  
არაფერს არ ძალუძს მოგვაროს შვება და  
არც აქ არ არის შენი ადგილი,  
ნიღაბი მოირგო თითქოს და არ გტკივა..  
არ არის გესმით? ეს ასე ადვილი!  
სჯობს რომ განვაგრძო ჩემი ცხოვრება,  
ისევ იმ ტკივილით, ისევ იმ ფიქრებით,  
მოვა დრო იმ ჩემს ნატრულ შვილებთან  
მეც ბედნიერი ოდეს ვიქნები!

**წლებს არ ვწაბუჯი**

წლებს არ ვწაბუჯი თუნდაც დამძრახეთ,  
არ ვუშინდები ცხოვრების ქარ ცეცხლს,  
წლები მჩაგრავენ, თორემ სიბერე??  
ნამდვილად ვიცი ვერას დამაკლებს..  
შევებრძოლები არ დავწაბუჯი,  
კვლავაც ჩავიცვამ რკინის ქალამნებს,  
ვიდრე შემომრჩა ძალა მუხლებში,  
ვიდრე ასაკი მე არ წამაქცევს..  
ბევრი ნატვრა მაქვს აუხდენელი,  
და მის გარეშე მიჭირს ცხოვრება,  
და მის ლოდინში და ოცნებებში,  
გული ნამდვილად არ დაბერდება..  
მანამ ვიქნები ვიდრე ცხოვრებას,  
აზრი და ფიქრი ცოტა შემორჩა,  
ვიდრე მიყვარხართ, ვიდრე თვალს მიჭრის,  
ვიდრე ხალისი კვლავაც შემომრჩა!!!



გლეხის ქალო!  
მართლა ხომ არ დამიბერდი,  
თმაში ხომ არ შეგერია ჭალარა,  
იქნებ ცოტა ხასიათიც დაგიმძიმდა  
და ცხოვრებამ შენი გულიც დაღარა?

გლეხის ქალო!  
არ შეშინდე! არ დანებდე!  
სული მაინც შეინახე მშვიდი,  
ილოცე რომ კარგად გყავდეს მუდამ,  
მოკეთე და შვილი-შვილიშვილ.

გლეხის ქალო!  
თავმდაბლობა არ დაკარგო,  
არას გარგებს ქედმაღლობა "ბზიკვა"  
რაც ხარ იყავ! და ნუ შეიცვლები,  
არ გაბრაზდე ვინც რა უნდა ის სთქვას!

იყავ მშვიდი, ნაზი, თბილი, მტერთანაც კი,  
კაცთმოყვარე დანმდობი და უშიშარი,  
მხოლოდ ერთი გაფრთხილება ყურად იღე!  
ნურასოდეს ნუ იქნები უტიფარი!

გლეხის ქალო!  
გიყვარს შენი გლეხ-ქალობა..  
უბრალო და სადა შვილი გვარის,  
არაფერი არ გინდოდეს სხვა სიმდიდრე,  
მუდამ გქონდეს შარმი ნაზი ქალის!

გლეხის ქალო!  
არ დაკარგო ქალურობა,  
არ დაკარგო იმედი და რწმენა,  
მერე რა თუ ზოგჯერ გულიც გატკინეს,  
ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.

შენ ქალი ხარ! ძლიერიც და ზოგჯერ სუსტიც,  
არ დანებდე სიყვარულით იარე,  
დრო მოვა და თავად გაგიკვირდება ,  
ეს დრო როგორ მოგიშუშებს იარებს! ☺

15. 01. 22



მინც სულ სხვაა გაზაფხულზე ოცნებაც, ფიქრიც,  
როცა სულს ასე საოცნებო ფერები დაჰკრავს,  
როცა გიზიდავს ვარდიც, იაც, იასამანიც,  
ვერ აუდიხარ ამ გაზაფხულზე კვირტების ათვლას.  
თვალი შეავლეთ ხის ტოტებზე ფერად ყვავილებს?  
ასხმულ მძივივით როგორ უხდება ფერები დილას,  
ირგვლივ ისეთი სურნელება ტრიალებს ჩემო,  
გაბრუებული დამატარებს შარაზე ტიალს.  
ცას გავყურებ და მოხატული ლურჯი კამარა,  
თითქოს ჩემს სულში ჩახედვასაც ისიც კი ლამობს,  
მზე საოცარი იშვიათი ღიმილით მიცქერს,  
ასე მგონია ბესიკივით მიძღვნის ტატანოს.  
დავდივარ ასე უმისამართოდ, ისევ ეული,  
და გაზაფხულის ფერებივით დავეძებ სითბოს,  
გაზაფხულია, თბილა მაგრამ ..ასე მგონია,  
სხეული ზამთრის ცინვასავედ ცივი მაქვს თითქოს.  
სითბოს დავეძებ, მინდა სულში რომ ჩამედვაროს,  
შემომახვიოს ამ გაზაფხულმა თბილი ხელები,  
ჩემ სულს შეეხოს დამიამოს ეს სიმარტოვე,  
გული გამითბოს ალერსით და ჩუმი ფერებით..



როგორ გიხდება ყველაფერი, როგორ გიხდება..  
დღეც ლამაზო და ღამის შუქზედაც მუდამ ლამაზო,  
შენ საქართველოს გული ხარ და მუდამ მზიანი,  
შენ ჩემი ერის შეუცვლელი დედა ქალაქო !  
ვერ წაგაქციეს, ვერ მოგერიეს, ვერ დაგაჩოქეს,  
და ვერც მოგკვეთეს გასაფრენად გაშლილი ფრთები,  
მწამს გაიშლები კვლავინდებურად და სიამაყით,  
და საქართველოს ტიტულს ატარებ გულადი მხრებით.  
დადგება დრო და წვალებით მაგრამ მინც იცოდეთ,  
ქართველი ერი გონს მოეგება და შესწყვეტს ბრძოლას,  
ერთიანი და გულადი ერი კვლავ იძლიერებს,  
სიყვარულისთვის, საქართველოსთვის,  
დაინწყებს ლტოლვას.  
ვეცადოდ კვლავაც მოვიკრიბოთ გონიერება,  
ვეცადოთ ერი გადავარჩინოთ განადგურებას,  
და დაველოდოთ, როდის იტყვიან,  
დაბრუნდით ხალხნო,  
გადავარჩინოთ საქართველო გაცამტვერებას..  
და თუ ყველანი დაუბრუნდება თავიანთ ვერას,  
და შეივსება საქართველო ქართველი ერით,  
უცხო ტომები ვერას გახდება, ვერას დაგვაკლებს,  
ეს გადაარჩინს ჩვენს ქვეყანას, სხვა არაფერი!!!!



მინც სულ სხვაა გაზაფხულზე ოცნებაც, ფიქრიც,  
როცა სულს ასე საოცნებო ფერები დაჰკრავს,  
როცა გიზიდავს ვარდიც, იაც, იასამანიც,  
ვერ აუდიხარ ამ გაზაფხულზე კვირტების ათვლას.  
თვალი შეავლეთ ხის ტოტებზე ფერად ყვავილებს?  
ასხმულ მძივივით როგორ უხდება ფერები დილას,  
ირგვლივ ისეთი სურნელება ტრიალებს ჩემო,  
გაბრუებული დამატარებს შარაზე ტიალს.  
ცას გავყურებ და მოხატული ლურჯი კამარა,  
თითქოს ჩემს სულში ჩახედვასაც ისიც კი ლამობს,  
მზე საოცარი იშვიათი ღიმილით მიცქერს,  
ასე მგონია ბესიკივით მიძღვნის ტატანოს.  
დავდივარ ასე უმისამართოდ, ისევ ეული,  
და გაზაფხულის ფერებივით დავეძებ სითბოს,  
გაზაფხულია, თბილა მაგრამ ..ასე მგონია,  
სხეული ზამთრის ცინვასავედ ცივი მაქვს თითქოს.  
სითბოს დავეძებ, მინდა სულში რომ ჩამედვაროს,  
შემომახვიოს ამ გაზაფხულმა თბილი ხელები,  
ჩემ სულს შეეხოს დამიამოს ეს სიმარტოვე,  
გული გამითბოს ალერსით და ჩუმი ფერებით..



მინდა დავხატო ჩემი პორტრეტი,  
და ამ პორტრეტში ჟამი ავსახო,  
ჟამი ცხოვრების, იმ თვალის ჩრდილში,  
თვალს რომ ატყვია, ის აისახოს.  
სევდა ვერაფრით, მოვარგე პორტრეტს,  
ამის სურვილი არც მომივიდა,  
ვხატავ და ფერში და ამ გუაშში,  
ღიმილი კარგად გამომივიდა.  
ვწვალობ და მინდა, როგორმე ჩავწვდე,  
სულის სიდრმესაც მინდა შევეხო,  
ამ ჩემს პორტრეტში ხასიათს ჩემსას,  
მკაფიოდ მინდა, კარგად შევხედო.  
ოხ ღმერთო ჩემო, ეს რა ყოფილა,  
მხტვრის ხელი და მხატვრის სურვილი,  
როგორ გამოსდით ამ დალოცვილებს,  
ღიმილიც, სევდაც ცოტა ნუხილიც.  
მე ვერ დავხატე, ვერაფრით შევძელე,  
რომ მომეტანა თქვენამდე გრძნობა,  
ვერაფრით შევძელე რომ დამეხატა,  
სიყვარული და სურვილი, ტრფობა.  
არ გამოვიდა, მე ვერ შევძელი,  
რთულია ყველა წვრილმანი ხატო,  
ამიტომ დავრჩით, კვლავ მოწყენილი,  
ჩემი ფუნჯი და კალამი მარტო ♥♥



ქუთაისი ...სულის, გულის,  
 სიყვარულის ქალაქი,  
 აქ იყო და აქ იქნება,  
 ჩახუტების ალაგი.  
 ვაცურ ვაცის მეგობრობის,  
 უტყუარი სალამი,  
 ასეთია ჩემი ტკბილი,  
 გემრიელი ქალაქი.  
 იქ გახედეთ გორის ბორცვზე?  
 დგას ამაყად ბაგრატი,  
 ქალაქს როგორ დასცქერის,  
 დიდებული ამაყი.  
 გელათი და მონამეთა,  
 სათაფლიის ნაკრძალი,  
 უკეთესი, უძველესი,  
 სად გინახავთ ქალაქი?  
 მწვანეყვავილის პანთეონს  
 თვალი ნაზად შევაკლევ,  
 უძველესი კომპურა  
 ჩუმად გულში შევაქე.  
 განისვენებს ამ მზის გულში  
 სანაქებო ერია,  
 ვისაც თქვენ არ ახსოვხართ  
 საქართველოს მტერია.  
 საღორიის ულამაზეს

ტყეებსა და ველში,  
 რა ლამაზად სეირნობს  
 ირემი და შველი.  
 სუფრა? არ თქვათ უკეთესი,  
 არც კი ვიცი სად ვეძებო,  
 ხუმრობით და ლამაზად  
 ლექსად თქმული  
 სადღეგრძელო.  
 თეთრი ხიდი ხმაურით  
 უერთდება წითელს,  
 უზიარებს ერთმანეთს  
 ქუთაისურ ფიქრებს.  
 იქ თოიძე, მიზანდარი,  
 იქ აკაკი, ტაბიძე,  
 ხელოვნების მწერლების  
 ვერ ვივინცებთ ნაბიჯებს.  
 სადაც ამაყად და მედგრად  
 გემრიელი კალამით  
 ლექსი იწერებოდა და  
 ირწეოდა აკვანი.  
 იშხნელების ჰანგებზე  
 გამოზრდილო იმერელო,  
 მინდა დიდხანს გიცქირო  
 შენ ჩემო იმერეთო.  
 ბაღის გულში, ჭადრის ძირში

მუდამ იყო თავყრილობა,  
 შეიძლება კოლორიტი  
 წასულების დავიწყება?  
 მესხიშვილის ფუძის ძირო  
 დავითის და თამარის,  
 ჩემს უძველესს ქალაქს მინდა  
 შევუთვალო სალამი.  
 ცრემლით ვწერე  
 სტრიქონები,  
 მონატრებულ ქალაქზე  
 ოი როგორ ავღელდი  
 ჭავრი ვიყარ კალამზე.  
 სულ მინდა, რომ შენზე ვწერო  
 არასოდეს დავნებდე,  
 ცხადშიაც და სიზმარშიც  
 სულ შენს ქუჩებს დავეძებ.  
 აქ შევწყვიტავ წერას თორემ  
 შემშლის შენზე ფიქრები,  
 მუდამ შენი ერთგული  
 ქუთათური ვიქნები.  
 დღესვე დავთმობ  
 ყველაფერს  
 ოღონდ შენთან მამყოფა,  
 ათენიდან გეფერება  
 კოლორიტი მადონა ♥



დასრლდა სცენა.. უამრავი ვარდი მომართვი,  
 გაოცებული, გარინდული ვიდექ სცენაზე,  
 აპლოდისმენტი არ წყდებოდა, ცრემლი მდიოდა,  
 დავიბენი და ვერ მოვახერხე მოსვლა შენამდე..

ისე ამაყად, თავ აწეული, იჯექ ლოჯიაში,  
 თვალს ვერ გწყვეტდი და გამუდმებით შენსკენ ვინევდი,  
 მიხვდი რაც მსურდა, მომიახლოვდი, ხელი ჩამჭიდე,  
 და დიდ სცენაზე სიხარულით ისევ მიწვევდი.

ვერც კი შევნიშნე შუქი შეპარვით როგორ აინთო,  
 ტაშიც შეწყვიტა მოულოდნელად დარბაზში ხალხმა,  
 მარტო ვიდექით ჩვენ ორნი მარტო იმ დიდ სცენაზე,  
 ჩვენს წინ დაეშვა უზარმაზარი თეატრის ფარდა. ♥

იმ ფარდის უკან დავრჩით მხოლოდ მარტონი ორნი,  
 გესმოდა ალბათ თუ რა საოცრდ მიცემდა გული,  
 ამ ჩემს ფორიაქს, ფიქრთან ჭიდილს და ფიქრთან დავას,  
 არღვევდა ირგვლივ ვაშკაშა ჭადის ლამპევი ჩუმი..



ჩემს ასაკში? ინტერესი არის კვლავაც,  
შინდისფერი..ნითელს ფერი დაეკარგა,  
სახეზე კი ჩემს ასაკში გაჩნდა კვალი..  
და ამ სახეს.. ნაოჭებიც დაემატა  
ჩემს ასაკში ? ღიმილები ენატრებათ,  
სუფთა სულის გულიანი ღიმილები,  
რომ გააქროს ამ ღიმილმა ჩემი გულის,  
დარდიანი, სევდიანი ტკივილები..  
ჩემს ასაკში ოცნებასაც კი ბედავენ,  
ჩემს ასაკში? ბავშვობასაც კი ნატრობენ,  
გონებაში სულ წარსული ტივტივებს და  
და ამ კადრებს გონებიდან ვერ აქრობენ..  
ჩემს ასაკში სიყვარულსაც კი ნატრობენ,  
ნამდვილს, წრფელს და,  
უტყუარს და, უღალატოს,  
ჩემს ასაკში ჭირვეულიც ხდები ზოგჯერ,  
რომ ვერ იტან მეგობარსაც უავკარგოს.  
ჩემს ასაკში? მოთმინებაც გმართებს ბევრი,  
გენყინება? თითქოს არა გაგიგია,  
მოითმინე! ყველაფერი მოითმინე,  
მოთმინებით არავის არ წაუგია.  
ბევრს მოითხოვ! ხასიათიც ხისტი ხდება,  
შენს ასაკში სული ნელა მძიმდება!  
თავს შესძახე ! მართლა ხომ არ დამიბერდი?  
გაიღიმე! შენ ღიმილი გიხდება!!!!  
ჩემს ასაკში? მთავარია გული ჩემი...  
ის ტკივილებს იოლად არ ნებდება,  
ისევ ისე ახალგაზრდათ კვლუცობს და,  
მხიარულობს, არასდროს დაბერდება!!!!



გულით და სულით ბავშვი ვარ ისევ,  
ღიახ ნამდვილად! თუნდაც გიკვირდეთ,  
დღემდე თმებში ვიბნევ მინდორში დაკრეფილ,  
თეთრად მობიბინე მზის გულა გვირილებს.  
სარკის წინ ვბუტბუტებ ბავშვივით ხანდახან,  
ცხოვრებას ვინ იცის როგორ ვეურჩები,  
ხან მწარეს ვესვრი სარკის წინ სილუეტს,  
ხან კი უსაფუძვლოდაც ძლიერ ვებუტები ☺  
ზოგჯერ კაბასაც ნითელს ვიცმევ,  
ხანდახან ყვითელსაც მზისგულა, მზენვიას,  
მწვანე ხომ სიცოცხლეს მიხალისებს და  
მიკვირს სიბერე ჯერ რომ არ მენვია ☐  
ოხ შენ ასაკო რად მეურჩები?  
დღესაც რად მგონია, რომ ბავშვივით ვირბენ?  
ვმორცხვობ და როგორც ადრეულ ასაკში,  
დღეს უფრო მეტს და უამრავს ვითმენ.  
ზოგჯერ ვჭირვეულობ, ცრემლები მცვივა,  
თუ კი რამ ოდნავ სულ მცირე ამტკივდა,  
ჯერაც ვცუღლუტობ პატარა ბავშვივით,  
ამიტომ სიბერე ნამდვილად არ მინდა.  
ამ წლებს რა ვუყო, რა ვუყო თორემ,  
ასე რომ მეცლება თვალსა და ხელს შუა,  
თორემ ხასიათი? ის ცელქი თავნება,  
ბავშვივით ანცობს და ისევ ჩემშია.  
ფეხი თუ რამეს ოდნავად წავკარ  
მაშინაც ბავშვივით  
დედიკოს ვუხმობ,  
იმ წამსვე ვმშვიდდები პატარა ბავშვივით და  
არცა ვწუნუნებ და არცა ვურჩობ.  
გული არ ბერდებაო ჩემზეა ნათქვამი,  
გული სულ ბავშვივით დღემდე ხალისობს,  
მტკივა? ვივინყებ! სიცოცხლე მიყვარს და  
რომ არ დავბერდე ამისთვის " ვჩალიჩობ " ☐





ეკა ქვრივიშვილი

\* \* \*

მოქარგა ისევ შემოდგომამ ჩემი ქალაქი,  
შემოეტმასნა ბრწყინვალემა უძველეს ქუჩებს...

თავის საქმეში გართულიყო მშვიდად დალაქი,  
შორს მოტრფიალე წყვილი ვნებით ათბობდა ტუჩებს...

შემოსა დილა, მორაკრაკე ბაგემ ტილოთი,  
მოხატა სირმით, შემოჭედა ოქროს გალია...

სიმღერა ისე ბაასობდა ლალი კილოთი,  
აჭრელეებულმა სამყარომაც სული დალია...

არწევდა აკვანს, მოლივლივე წყალთა ნაკადში,  
სამოსის შრიალს ყურს უგდებდა ვარსკვლავთა ფენა...

ხელიდან ხელში სრიალებდა როგორც კაბაში,  
ატეხილ ფიქრებს მოუთმენლად ეწადათ ფრენა...

მოვნწყვიტე ჩრდილში ამოსული  
მოღლილი ღერო,  
გრძნობამიხდილი მივესვენე სარეცელს ღამის...  
ზამბარასავით ჩახვეული ტიროდა ჩელო  
და სულს ღაფავდა შეგროვილი ცრემლები ღამის...

იხიზნებოდა ცოდნა შორს და გმინავდა ერი,  
ააფართატა სიყვარული ჩირაღდნის ალმა...  
მეზმანებოდა რულში გვემად მოსული მტერი  
და ცისარტყელა გამოკიდა ცაზე უფალმა...

დაიდო ზავი, ვინრო ღარში მოჩანდა მკერდი,  
ამოჭრეთილი მარგალიტი ემოსა კაბას...  
შუბით განგმირულს მიუგავდა სინითლით ფერდი,  
მისჩერებოდა იგავებით ქვეყანა საბას...

გაფრენილ რაშებს აედევნა ტატოს მერანიც,  
ქალის საყურე მობრიალე ალში ელაგდა...  
შემოეცალა დამშვენებულ ხეებს მერქანიც,  
იხიზნებოდა სიხარული, ბრბო კი ღელავდა...

დაისადგურა განსაცდელმა მაინც წიაღში,  
დაღარულ ყბებზე წამოსული წვეთი დაგორდა...  
ცოდვილი ფიქრი მოცურავდა სევდით ლიახვში  
და უნიჭობის ზეიმი და ტალღა აგორდა...

აკანკალებულს ვაცილებდი სიმშვენეს მზისას,  
მოსრიალებდა ნაღველივით მწარე ენები...  
მოლურჯო ნისლში მივყვებოდი ბილიკებს სხვისას,  
წუხბდა შრეებად დანყობილი ნიჭის გენები...

\* \* \*

საქორწილო კაბით  
ვითხოვ გამასვენოთ...  
სცენას მაზიაროთ,  
წუთით დამასვენოთ...  
ცეკვით მომატაროთ  
ქუჩა მოკირწყლული,  
ცრემლი შეიმშრალოთ,  
მოიშუშოთ წყლული...  
თეთრში არ არიოთ  
შავი სამოსელი,  
მოსპეთ ორატორი,  
სიტყვით გამომსვლელი...  
სუფთად შემინახეთ  
ერთი კარგი ღვინო,  
იქნებ მოვახერხო  
ძილში ვილიდინო...  
აღარც ფიქრი მოვა  
შეკაზმული აზრით...  
გაჩერდება გული  
გაცრეცილი ფრაზით...  
ბაგე დადუმდება  
გადაღლილი ენით...  
სადღაც იციხებენ,  
ამიკლებენ სტვენით...  
საქორწილო კაბით  
ვითხოვ გამასვენოთ...  
სცენას მაზიაროთ,  
წუთით დამასვენოთ...

\* \* \*

გათელილ ბილიკს მიჰყვება ლანდი,  
აცეტებული აზრები თრთიან...

წლები, სიცვლქით ჩაკვრებული,  
შლის ფურცელს ოხვრით, აცრემლებს მთებსაც...

ნავარდობს სიო, გამქრალა დარდი,  
და ტირიფები ქროლვაზე კრთიან...

რა იყო წინათ, რას ხედავს თვალი,  
ახლა, ანმყოში რად ვერ ვლაგდებით?!..

დახაზულ გზებზე მივაპობ ტალღას,  
გამაყრუებელს ხალხის ხმაურით...

მოგონებებით უკვე შემთვრალი,  
განწირულ ფრაზებს ვისვრი აგდებით...

გაძარცვულ სხეულს ვერ ვამჩნევ დაღლას,  
ჩოჩქოლით, მწვავე აურზაურით...

დაინყო წვიმა თამაშ-თამაშით  
და აღრენილი ღრუბლებიც მინვა...

ქაქანებს გული, დაბერებული  
ახალგაზრდობა ეძახის სხვებსაც...

ტიროდა ღამე, სურდა თამაში,  
წარსულში ისევ ბავშვობა იწვა...

\* \* \*

მალე ავფრინდები, თან შორს გავფრინდები,  
ღრუბლებს შევერევი წვიმებად წამოვალ...  
დამაჭრების მერე ისე დავღვინდები,  
როგორც შადრევანი ჭურიდან გადმოვალ...

შიშველი ხელებით მხრებს შემოგვევლები,  
ბაგეს დაგაკვდები როგორც ალუბლები...  
და ჩქარი შრიალით, ურცხვი, სამოსელში,  
შენს წინ დავიჩოქებ თუ მოიღრუბლები...

ვუხმობ ცისარტყელას, ვალსის ნელი სვლებით,  
სტრიქონს დაედვრება ცრემლი მომლოდინე...  
საკინძე შეხსნილი ღამეს გავეშლები,  
ჩუმად ჩავჩურჩულებ როგორ მალოდინე...

გარშემო ქაოსი, ბინდი და შურია,  
ვიფორიები დამღლის, გამაციებს...  
რაკრაკა ნაკადულს ალერსი სწყურია,  
მომეპარება და კოცნით გამაცინებს...

ტრამალს გადავსერავ, ირმის ნახტომებით  
ვხედავ სიკაშკაშე სხეულს დააკლდება...  
შეგხვდები სიზმრებში შეშლილი, ტომებით,  
ბოლოს სიყვარულიც ხელში ჩამაკვდება...





შორენა ჩხიკვიშვილი

ლექსი ეძღვნება გენიალურ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელსაც თავდავინყებით შეუყვარდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესი ასული – ეკატერინე, რომელმაც თავისი ბედი სამეგრელოს მთავრს – დავით დადიანს დაუკავშირა. ბარათაშვილი მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე სევდიანი ლექსებით ეტრფოდა ეკატერინეს ენით აუნერღ მშვენიერებას. 27 წლის ასაკში ტრაგიკულად დასრულდა მისი სიცოცხლე. წავიდა ამ ქვეყნიდან ეს დიდებული პოეტი, სიყვარულით გაუხარებული და გულდანყვეტილი. წავიდა და საფლავში ჩაიტანა უდიდესი პოეტური ნიჭი და უიმედო სიყვარული.

### მიუნდომელი ქალი

როცა შეგხვდები, გაგიმხელ გრძნობას,  
შენ უარს მეტყვი და გაბრუნდები,  
გამანადგურებს მე ეს უარი,  
მაგრამ შენ მაინც არ შემძულდები.

ვიცი, შენ ჩემი რომ არ გახდები,  
მე მარტო მყოფი, სულ სხვას მოვიყვან,  
შენსავით სხვა ქალს ვერ შევიყვარებ,  
ბედნიერებას ვერვინ მომიტანს.

სხვა არ იქნება შენსავით ნაზი,  
სათნო, ლამაზი და ეშხიანი,  
ვიცი, მექნება ტანჯვის დღეები,  
გზა უსასრულო და ეკლიანი.

ვიცი, ვერასდროს რომ ვერ შევიგძნობ,  
მე სურნელებას შენი ტანისას,  
არ მეღირსება შენი ალერსი  
და გათენება ბნელი ღამისა.

სხვასთან ვიქნები და შენ გინატრებ,  
მომაგონდება შენი თვალები,  
შენ გაგიხსენებ, როცა ვიქნები  
ვნებააშლილი და ნამთვრალევი.

ნუთუ არ ვიყავ მე შენი ღირსი,  
რომ დამტოვე და სხვასთან წახვედი,  
რად გამიმეტა განგებამ ასე  
და რად მარგუნა ამგვარი ბედი.

ნეტავ ვიცოდე, ამგვარ სიყვარულს,  
ძვირფასო, ვინმე თუ გაგრძნობინებს,  
რად გაიმეტე დიდი პოეტი,  
დიდი თავადი რად ამჯობინე.

მეც გატარებდი დედოფალივით  
და მოგიძღვნიდი მგზნებარე ლექსებს,  
არ დაგაკლებდი ამ დიდ სიყვარულს,  
რომლის გარეშეც ეს გული ვერ ძლებს.

შენ ხომ ისედაც დედოფალი ხარ,  
ამას რად უნდა აღიარება.  
დღეს საქართველოს დიდი პოეტი  
გულდანყვეტილი დაიარება.

მინდა, რომ გითხრა: დატოვე ქმარი!  
წამოდი ჩემთან და ვიყოთ ერთად!  
მაგრამ ვიცი, რომ არ დამთანხმდები  
და მეტყვი: ასე ინება ღმერთმა!



რად აირჩიე ეს გზა ამგვარი,  
რად არ მალირსე ბედნიერება,  
ნუთუ არ იცი, ამ ჩემს სიყვარულს  
რომ ვერაფერი ვერ შეედრება.

რომ ფაქიზია გრძნობა პოეტის  
და უფრო წმინდა, ვიდრე თავადის,  
ასე ჩემსავით გულანთებული  
ამქვეყანაზე არვინ არ დადის.

ბედმა გარგუნა მის გვერდით ყოფნა,  
ეს შენი ბრალი სულაც არ არის,  
შენსავით იდეალური ქალი,  
ნეტავ ვიცოდე, სხვაგან სად არის.

რამდენი ქალი მინახავს ქვეყნად,  
მაგრამ, მე მხოლოდ შენ შემიყვარდი,  
შენ ხარ ყველასგან გამორჩეული,  
ვითარცა ყვავილებიდან ვარდი.

შენ ხომ სხვისი ხარ, მაინც მიყვარხარ!  
მე შენს სიცოცხლეს ღმერთს ვევედრები,  
როდესაც წავალ კარგო, იმქვეყნად,  
ვნატრობ, რომ გამყვეს შენი ცრემლები.

თვალწინ მიდგახარ, როგორც ხატება,  
შენს სახეს ვხედავ, შენ მენატრები,  
ხარ მშვენიერი, როგორც ედემი  
შენ სილამაზით მზეს ედარები.

ნეტავი სადმე ჩემ ახლოს იყო,  
ხანდახან მაინც რომ დაგინახო,

შენი დანახვა მე სულს მინათებს,  
აბა, სხვა მეტი რალა ვინატრო?!

ნეტავ, სადა ხარ, ჩემო ოცნებავ,  
ვერ გპოულობ და ვერც გეკარები,  
მინდა, ჩავახშო გულში ვარამი,  
ღვინოსაც ამიტომ ვეძალები.

შენმა მშვენივრებამ ისე მომხიბლა,  
ვეღარ მამშვიდებს ვერც ღვინის თასი,  
მე როგორ შევიყვარო სხვა ქალი,  
ან სად ვეძებო მე შენი მსგავსი.

დავდივარ ყველგან და შენ დაგეძებ,  
რომ თვალი მოგკრა სადმე, შემთხვევით,  
მოვალ, ჩაგხედავ ლამაზ თვალებში  
და ნაზ თითებზე კრძალვით გემთხვევი.

მიუწვდომელი ქალი ხარ ჩემთვის  
და ამიტომაც ვერ გეძალები,  
როცა მოვკვდები, ჩემო სიცოცხლე,  
ნეტავ, მაშინ თუ შეგებრალები.

უშენოდ მიდის დღეები, წლები  
დრო გადის, მაგრამ არ მავიწყდები,  
სულ თვალწინ მიდგას შენი ღიმილი,  
მე შენ მიყვარხარ თავდავინწყებით!

იცოდე, მუდამ ეტრფის შენს სახელს,  
აღელვებული, დარდით აღვსილი  
და შენი ეშხით დაბრმავებული,  
დიდი პოეტი ბარათაშვილი.

27.03.2011





მზია გომართელი

\* \* \*

ვიტყუებით, მერე ვიფიცებით..  
 არ გვრცხვენია თანაც ვიღიმებით..  
 ფარისევლებს ძლიერ ვემსგავსებით..  
 თავი მოგვაქვს ანგელოზად ღმერთის!...  
 ყოველ წუთას, ეკლის გვირგვინს ვადგავთ,  
 სხვების თვალში გმირად მოგვაქვს თავი...  
 ვინყევლებით, ვდარდობთ, ხანაც მოვთქვავთ..  
 მერე თითქოს არ გვაქვს ღმერთის ვალი!...  
 ჩვენ ცოდვებს ხომ არ აქვს სათვალავი..  
 ლამის არის ჩავიძირით ბლანტში..  
 სხვის თვალში ხომ მაგრები ვართ ღმერთო ..  
 ვცდილობთ ერთ- ურთს მოვანონოთ თავი!...  
 სიხარბეს მომხვეჭველობას ვჭორავთ,  
 ენაზე კი გვაკვრია ფული...  
 თითქოს გროში არ ვყიდიდეთ ერთ-ურთს,  
 ამ სიყალბეს ვედარ უძლებს გული!...  
 სიმართლის მთქმელს  
 თავს ვესხმით და ვქოლავთ!..  
 არ ვიკარებთ, თითქოს იყვეს კეთრი!...  
 ვაიძულებთ..ჩუმად ყოფნას...  
 "ვტროლავთ"..აურიეთ, ავზილეთ შავ-თეთრი !...  
 სიყვარულმა.. მიგვატოვა გაქრა...  
 არა ვკვებეთ..თავის-თავად დაშრა...  
 მის ადგილზე..ცივი ქვა რომ დაგვხვდა,  
 მერე მიხვდით, ღმერთი ..შორს რომ დადგა!...  
 დაგვიძიმდა ცხოვრება და ყოფა  
 აღარ გვინდა..ცალ- ცალკე გაყოფა...  
 დაგვიბრუნე...სიყვარულის არსი..  
 ღმერთო კვლავაც ვინავარდოთ ცაში!!...

22 იანვარი 2022 წ.

\* \* \* \* \*

ძირით ქართლელი გახლავართ,  
 მთიულებში ვარ გაზრდილი...  
 გონებით თავისუფალი სიმართლისთვის..  
 თავდახრილი!...  
 ბუნებით ევროპელი ვართ..  
 რომ გავიხსენოთ წარსული...  
 ევროპა-ამერიკაში  
 ფესვებიცა გვაქვს გადგმული!...  
 ერთ- ურთ უცხო არ გახლავართ...  
 მრავალ ეროვნულ შაზრდილნი...  
 კუთხურ და ტრადიციებით...  
 პატივისცემით შაკრულნი!....  
 იმთავიდანვე...გერმანელ...  
 ღვთის ნებით გამოგზავნილნი...  
 მომჭირნობით და კიდევ.  
 შრომა- კულტურით განთქმულნი!....  
 თუმცა კულტურა არ გვაკლდა...  
 ოდითგანვე აქ თქმული.....  
 შულავერ- შომუთეფეს და..მტკვარ- არაქსისა  
 წარსულით!...  
 სამოთხისეულ ქალაქად.....  
 რომ გაამშვენეს ბოლნისი...  
 არ აკლდა: მადლი- კურთხევა...  
 სიონ მოჰმადლა ორგზისი!....  
 თვით ქვემო ქართლის საკინძე..  
 ბადახშად თავს მოხვეული..  
 ღვთისა მადლითა ნაკურთხი..ნაშენებ  
 გამორჩეული!...  
 თუმც მტერი გარს გვეხვეოდა..ბევრჯერაც  
 იავარქმნილი..  
 დაცლილ-ნაძარცვი სოფლები..  
 დოვლათით კვლავაც აღვსილნი..  
 მტერ-მოყვასისა მცნობელნი..  
 გაუტეხლობით გაზრდილნი..  
 ესაა ქართველთ ბუნება..  
 საჩუქარია ნამდვილი!...  
 არ ნახდეთ..ნირი არ სცვალოთ.  
 არაკ არ შეჰქმნათ, არ თქმულნი!...

29 მაისი 2022 წ.

\* \* \* \* \*

ამბობენ ჯერეთ, სხეული ასწრებს,  
 სული კი ბოლოს.. გვიან რომ მიდის!..  
 ასეა მართლაც სხეულს არ უსწრებს,  
 შეუცნობელზე..ცახცახებს და კრთის!...  
 ეს შენი ყველა შეცდომებია,  
 შემალვითა და ფარულად გიზის..  
 და როცა სულ არ მოელი იმ დროს..  
 კარგადაც ლაღობს და კიდევ რომ გსჯის!...  
 არა გშორდება თავსაც გახსენებს..  
 მუდმივ ტონუსში გაყენებს კინწკვრით!...  
 მაგრამ იქვეა ის ანგელოზი, ღვთისგან  
 რომ მუდმივ დამცველად გიზის!..  
 დაგაიმედებს..არ გაგიმეტებს..  
 მერე კი შენგან, ისევ შორს მიდის!...  
 ამბობენ შენი ცხოვრება წიგნს ჰგავს,  
 შეუცვლელსა და უკვე დანერგულს!...  
 არ დაიჯერო ბედის მწერალი  
 .მოვა დაგინერს..აზრს აღარ იცვლის!...  
 შენა ხარ შენი ბედის დამწერი....  
 ლანგრით არავინ მოგართმევს  
 იცი?!..ეგ ეშმაკია აზრში შემოდის....  
 ცდილობს გაცდუნოს, აზრებსაც გიცვლის!...  
 მაინც გგონია შენს ცხოვრებაში..  
 ვილაც ერევა და ის ხელს გიშლის...  
 საჭე შენა გაქვს, ხელი აუკარ,  
 შენი ბორბალი.. მომართე ისრით!...  
 დაგვიანება ღალატს მიაგავს..  
 დრო აღარ ითმენს და სწრაფად მირბის...  
 მეთასეჭერ შემოაბრუნე..  
 ათასმეერთედ დაჯექი იჯრით!..  
 მერწმუნე ზემოთ სხივს დაინახავ..  
 თავზე რომ გადგას სინათლის ჭილით  
 და სულში გიდგას გაბრწყინებული  
 ათინათივით.. სიმართლე დიდი!!!...

2022 წ.28 ივლისი

\* \* \* \* \*

ზოგს რომ მიეცა ცხოვრება..სალხინოდ  
 უბრძოლველადა...  
 რა არის მათი საფასო,  
 გამომჟღავნდება რთველადა!...  
 გამოგონილი სამყარო  
 არ ჩამოგვეშვანათ ხელადა!...  
 დავრდომილს ეხმარებოდეთ...  
 შეწეოდეთ შველადა!...  
 უფალო შეგთხოვ მოგვმადლე..  
 ნუ მიგვატოვებ კენტადა...  
 აბობოქრებულ ტაღლებში..  
 რომ მოგვევლინო მხსნელადა!...  
 მიმოფანტვიდე ღრუბლებსა..  
 მზე ასხივებდეს მწველადა..  
 თვალ-მარგალიტსაც აბნევდე...  
 მოსაკაზმავად ყელასა!  
 სამშვენიისი და სხეული  
 სულსაც აძლევდეს შველასა...  
 მორგებულ ნიღაბ- ღიმილში..  
 გამოვიცნობდეთ მტერასა!...  
 საბედისწერო წრე- რკალში..  
 არ შევუშინდეთ მგელასა..  
 მღევარი უკან გარბოდეს..  
 უფრთხილდებოდეს მწევარსა..  
 მიხვდეს ბოროტი ზრახვები..  
 რომ აზარალებს ყველასა!..  
 მუდმივ რომ თავდაცვაში ვართ  
 რა ვუყოთ ბედის მწერალსა..  
 დაცვა გვერჩინის თავდასხმას..  
 უარეს უქადს მტერასა!  
 სამყარო სიკეთისაკენ,  
 შეიცვლებოდეს ხელადა..  
 კარგი ჭარბობდეს მუდმივად..  
 ბოროტ ძვრებოდეს ხვრელადა!...  
 ყველას თავ-თავის სიკეთე მიეცემოდეს  
 წესადა..გეციდან მადლი-კურთხევა  
 ეფინებოდეს ველადა!..  
 ღმერთო მშვიდობა მოგვეცი....  
 ინერებოდეს "ბალადა"!...  
 2022 წ. 24 აგვისტო



შორენა დამბაშიძე



ჩემო მეგობრებო, რა უცნაური და დაუნდობელია ბედისწერა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში მიწვეული რომ ვიყავი, ქალბატონი გულნაზი გავიცანი, საოცრად თბილი და მოსიყვარულე ქალბატონი, რომ დამინახა უამრავი კომპლიმენტი მითხრა და შემამკო, არ ვიცი ასე რით მოვხიბლე, მაგრამ მის თვალეებში სითბოსა და სიყვარულთან ერთად უდიდესი ტკივილიც დავინახე...

აი რა ყოფილა თურმე, მაპატიეთ ქ.გულნაზი.შვილიიიი.....

შვილი უფლის ყველაზე დიდი საჩუქარი, შვილი სითბოს, სიყვარულის და იმედის სხივი.....

გუშინ კი როცა მისი დაწერილი წერილი წავიკითხე გული გადამიტრიალდა, როგორ.... ეს როგორ შეიძლება დაუშვას განგებამ, რომ დედაშვილობა გაყოს. მწერალთა სახლში ვიყავი და იქ ჩემი რაიონის მკვიდრი, ქ.იზოლდა გავიცანი ახლოდან, ჩავხუტე და ვერ ვანუგეშე, ტკივილს ვერ ვუმკურნალე, ვერ მოვუშუშე, ეს შეუძლებელზე შეუძლებელია და მაპატიეთ.

ქ.მარინას ახლოდან არ ვიცნობ, მაგრამ მის სიცოცხლით სავსე შვილის სურათს რომ დავხედე გული ამიფორიაქდა.

დედებო.....ყველაზე ძვირფასებო, ყველაზე საიმედო დასაყრდენო სიყვარულისა, იმედისა, ერთგულებისა და სილამაზისა შვილებისათვის, აპატიეთ შვილებს, ბედისწერის გზაზე კიბის ჩატეხა, აპატიეთ უდიდესი ტკივილის მოყენება....გულის გაბზარვა და არმოუშუშებელი ჭრილობის მოყენება.

მე ძალიან მეძნელებოდა ამის დაწერა, მივწერე ქ.გულნაზის და მივუსამძიმრე მისი ტკივილი, ლექსიც დამწერა მეთქი შევბედე თქმა, არ მინდა დავდო მერიდება ჭრილობა ხელმეორედ არ გაგიხსნათ მეთქი, არა შვილოო მომწერა, ამაზე მეტად არც გაიხსნება და არც ხორცდებოო მიპასუხა. დადგო, მე ეს უფრო გამეხარდება თუ ვინმემ ჩემი ტკივილი გაიზიარაო.

ვაიმე გავიზიარე და თან როგორ, მეტკინა და მეტკივა, ყველა იმ დედის რომელიც ამ წერილს წაიკითხავთ.



მარინა მანუგალაძე-თამაზაშვილი



დავუგლებს შენკაინ  
დავამგზავოკეი

იზოლდა შიაშვილი

ბავშვობიდან მახსოვს მე ეს ტკივილი, კარის მეზობელს სოფელში შვილი გარდაეცვალა, პატარა ვიყავი, არ დამავინწყდება გამწარებული დედის კივილი, ხარივით აღრიალებული მამის ბლავილი შვილო "ნოდარ"! ჩემი მშობლების უანგარო გვერდით დგომა და ჩემი დიდრონი

თვალეების გაკვირვებული ცქერა, იმ უდიდეს სურათზე რომელიც მეორე სართულის აივანზე მთელი წელი ეკიდა და შვეცქეროდი გაოცებული.

შავი არშიაშემოვლებილი წარწერა.

." ვემშვიდობები საყვარელ ოჯახს". სულგანაბული სახლში ჯდომა, არა ტელევიზორი, არა რადიო, არა სიცილი. მხოლოდ გლოვა და მწუხრი სუფევდა ირგვლივ. ასე ვაფასებდით, ასე ვცემდით ოჯახს პატივს, ვიზიარებდით ნამდვილი ზიარებით და გულით.

მაპატიეთ, მაპატიეთ კიდევ ერთხელ დედებო..... მე თქვენ ყველაზე მეტად მიყვარხართ. □□□

\* \* \*

თუ მოგენატრე ისე რომ ვერ დაივინყე ჩემი თვალეები,  
თუ მონატრებამ დედი, სულში შემოიხედა,  
ნუ შეშინდები, მე შენთან ვარ აქვე იცოდე,  
ვერ დამინახავ მაგრამ მე კი შენ დაგინახავ.  
ყველა დღე ჩემი სახის ცქერით გაგითელია,  
დღე არ გასულა სურათისთვის არ შეგეხედა,  
ღამით კი მთვარეს შენს სარკმელთან უდარაჯია,  
შენი სახისთვის ბევრჯერ მალვით რომ დაეხედა.  
მე კი იმ მთვარეს შემოვყვები დედი სხივებად,  
ჩაგეხუტები ძველებურად სხეულს გაგითობ,  
ნუ შეშინდები თუ ვერ მხედავ და მონატრებამ  
არ შეგაშინოს, ის ანცობაც არ დაივინყო.  
როგორ მიყვარდი ამ ჩემს გულში როგორ მეფობდი,  
ამ სოფლის იქით სხვა სოფელი კიდევ ყოფილა,  
გაღმა სოფლიდან მომღიმარი ეხლა გიყურებ,  
სანთლებს რომ მინთებ, სულს მიმშვდებ დედი ლოცვისას.

♥ ♥ ♥ დუმილი ♥ ♥ ♥

დუმილი, ფიქრთა დაუნდობელი,  
დუმილი, დღეთა დაურღვეველი,  
გულზე ლოდივით დაგორებული,  
სიტყვა არ თქმული დაურწვეველი.  
დარდი და სევდა გულში ჩამდნარი,  
სიტყვა ფიქრებად ლოცვად აღქმული,  
ლოცვა უთქმელად გულში ნაღვენთი,  
ჩურჩულით ბაგეს აღმოდებული.

დღეთა უტყვობას შეგუებული,  
უტყვ სიყვარულით შეგუებული,  
არნახული და აფეთქებული,  
დენთივით გულზე აღმოდებული.  
მიჯნურთ სიშორეს დამონებული,  
დუმილი, ფიქრთან შეყვარებული,  
ნამდვილ სიყვარულს დუმილიც შვენის,  
დუმილი ყველა კითხვის პასუხი.

14.10.2022.წ





ნანა დარჩიაშვილი

გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი  
კულტურის ამბადარი  
ოქროს ოერდენის მფლობელი საბავშვო პოეზიაში  
პოეტი ნანა დარჩიაშვილი

მოდით  
ლაქსაზით  
ვიპურმარილოთ!

მოდით, ლექსებით ვიპურმარილოთ!  
ლექსით ავასოთ ტრფობის ფიალა.  
ლექსია ჩემი ბადაგი, ღვინო -  
ამამღერა  
და  
ამახმინა!

### გკითხველისადმი

ვნერ უბრალოდ, არ ვედრები  
გოგლასა და გალაკტიონს.  
ვის სულშიაც ვერ ჩავწვდები  
ყველასა ვთხოვ მაპატიოს.  
სათქმელს მაინც ლექსად ვიტყვი,  
გინდ არ მქონდეს სიტყვა ბრძნული,  
რა ვქნა მიყვარს პოეზია,  
მის გულში ვარ ჩამარხული...

### ქალი საოცრება

„ქალი ვაცობრიობის საუკეთესო ნახევარია“  
ჰემინგუეი

მოვლენაა, როცა იბადება ქალი!  
მომავალი დედა - საოცრება არი!  
ქალი, მის მშვენიერას აღწერს კაცის ენა?  
ქალი დედაბოძი, ქალი დედაენა!  
ქალი ერის ბურჯი, ერის გადარჩენა!  
ქალი აგიზგიზებს სიყვარულის ლამპარს!  
ქალზე უკეთესი, სამყაროში სხვა გყავას?  
ოო! რა ლამაზია, როცა უზის აკვანს,  
მის ტკბილ იავნანას პირმშო ღმერთთან აჰყავს.  
ქალი საოცრება, ქალი განძი ერის,  
ჰანგის ყველა ბგერა, მის დიდებას მღერის.  
მოვლენაა, როცა იბადება ქალი,  
ქალი ერის გული, ქალი ერის თვალი!

### აფრენილი ტუსაღაზი

ვჩევე და ვჩევე ლექსის ბარტყები,  
ავაჟღურტულე, ავახმინანე  
ველოლიავე, ფერებ-ფერებით  
გამოვზარდე და დავაფრთიანე.  
ახლა ნუში რომ აყვავილდება,  
შეიფოთლება ხევში იფნები,  
როგორც პეპლები ფერად ყვავილებს  
მოეფინება ჩემი ფიქრები.  
ჰო, ჩემი ფიქრი, ტკბილი თუ მწარე,  
ჩემი განცდა და ჩემი ოცნება,  
მაგნოლიებში, ვარდში, ტიტებში,  
ჩასახლდება და დაილოცება.  
... და მე ვფიქრობ რომ საუფლოში  
მამაზიციერს ხმა მივანვდინე,  
დატყვევებული ლექსის ბარტყები  
დავაფრთიანე და ავაფრინე.  
ჩემი ლექსები, ჩემი ბარტყები,  
ოცნება, ნატვრა და აღმაფრენა,  
ტყვევებად მყავდნენ გულის ბუდეში,  
ვერ ვიმეტებდი გადასაფრენად.

## ჩემი მამული

თეთრად ქათქათებს ტოტები ტყემლის,  
აყვავდა ნუში, ამშვენებს არეს.  
ხევში ჩარბიან ნაკადულები,  
რა შეედრება ჩემს ტურფა მხარეს?!  
შაშვი მიგალობს, ლუღუნებს მტრედი.  
გულგასახარად უსტვენს ბუღბუღი.  
გალობს ფრინველი, დგას გაზაფხული,  
ნაზად ჩამესმის ფოთოლთ ჩურჩული.

...  
მე ძუძუ ვწოვე ქართლის დედისა...  
მეფე ერეკლემ მხრებით მატარა...  
ასე გამზარდა წიგნმა ერისამ  
და ამამღერა ტურფა ბაღნარმა.

## ლაქსის ნაკადულები

მონანწკარებს როგორც მთიდან  
ნაკადულთა რიგი,  
ჩემი ფიქრთა ნაკადები  
კრძალვითა და რიდით.  
ვუაღერებ ცას და მიწას,  
გეფერებით ყველას.  
ლექსებს ვატან მე თქვენამდე  
ჩემი გულის ძგერას.

## ყელსაბამი

უცვებ გული შემითოკდა,  
უცნაური ფეთქვით.  
როცა ერთხელ ყელსაბამი  
შემაბნიე თეთრი.

ოჰ, ნეტავი გაცოდინა  
გამახარე როგორ,  
უცაბედად თითქოს გავხდი  
თექვსმეტი წლის გოგო.

თეთრ ქათქათა მარგალიტებს  
ვეფერები დღესაც,  
მათგან მესმის შორითმყოფელს  
შენი გულის ფეთქვა.

ისევ გელი ძველებურად  
ფიქრი მაკრთობს მწველი,  
ყელს მიკოცნის ყელსაბამი  
ნაჩუქარი შენი.

## მონანიება

უფალო ღმერთო, გთხოვ მომიტეო,  
ცოდვილს ცოდვანი ამქვეყნიური,  
მე, მონას ღვთისას მომეცი შვება,  
ხმა გამაგონე შენი ღვთიური.  
მონანიების დამიდგა ჟამი,  
შენ თუ მიშველი, შენ ერთადერთო,  
სინანულს ვეღარ დავუდე ზღვარი,  
შემინდე ღმერთო, შემინდე ღმერთო!  
შენ ხარ მფარველი, შენ ხარ იმედი,  
შენშია ძალა, შვება ყოველი,  
მუხლმოდრეკილი ვლოცულობ ხატთან,  
ჩემს ხმას მოგაწვდენს სვეტიცხოველი.  
შენა ხარ ჩემი გამჩენი ღმერთი,  
ხარ გულისფეთქვა, ხარ თვალთახედვა,  
ცოდვილმა ცოდვა მოვინანიო  
მომეც წყალობა, დიდება შენდა!

## ლაქსის ბაღე

ხედავ? ბაღე მოგიქსოვე ლექსით.  
ლექსი გიყვარს? გენაცვალე სულში.  
მინდა ყველას მოგეფეროთ ერთად,  
ნეტავ, ყველა ჩაგიტიოთ გულში.  
მე ულექსოდ ერთი წამიც არ მწამს,  
ლექსით ვკოცნი ჩემს ცასა და მიწას,  
როცა ლექსი იბადება - ვხარობ,  
უცნაური სიხარული მიტანს!





ნანა გიგუაშვილი



**დედის განცლივა**

როგორ დავრჩი უპასუხოდ მარტო,  
შენი თბილი მოფერების მიღმა,  
ისე ძლიერ მენატრები კარგო,  
განშორების გახსენება მინდა.....

მინდა ისევ დაგყურებდე თავზე,  
არ მჯეროდეს გამოხედვა მკაცრი,  
შენს ჭაღარას ვუაღერსო ისევ  
სიცოცხლეში ნაფერების განცდით.

როგორ ძლიერ მენატრები დედა,  
შენს სურათებს მოფერებით ვათბობ.  
ცოტაც მინდა დამაცადოს ღმერთმა,  
ხოლო მერე სუყველაფერს დავთმობ.

უფლის ნებით შემოგიღებ კარებს,  
ჩვენს შეხვედრას დაგვილოცავს ღმერთი.  
საიქოს ერთი მოვალე შენთან,  
სააქოს დავალებები ერთი.

17.07.2007.ხაშური, ალი

**ადამიანო**

*ცოტაში ნათქვამი ბევრი....*

წამმზომი ჩართულია,წამია ცხოვრებაც,  
დოლაბი ტრიალებს, ნაფქვავი ბევრდება...  
მალე სამყაროდან დადგება გასვლის დრო,  
შენი არსებობა შემოგაბერდება.

მაშ რისთვის მოხვედი, თუ არ იღვიძილე,  
შენი ნამცეცობა მთებად თუ არ ქმენი,  
ისე იცხოვრე რომ ღმერთმა შეგიყვაროს,  
ყველგან სიკეთე და ყველგან მაღლი ქენი!

28.10.2022. იტალია

**დედის ხსოვნას**

წლები ქრება, როგორც  
სივრცის საარაკო ფერები,  
სადმე ახლოს მაინც მყავდე,  
მოვალ, მოგეფერები.

ტკივილები მიყურდა  
და მაინც მტკივა იარა,  
დრომ თავისი გაიყოლა,  
სევდამ გადაიარა...

მაგრამ შენმა მონატრებამ  
ფესვი ფესვში გაიდგა...  
დედის სულმა საუფლოში  
სასთუმალი დაიდგა.

ვიცი არსად გამექცევა  
შენი ტკბილი ლანდები,  
დავიძინებ, ისევ განახავ,  
ისევ დავიბადები.

წლები ქრება, როგორც  
სივრცის საარაკო ფერები,  
შენს საფლავთან ისევ მოვალ,  
ისევ მოგეფერები.

**დასასრული**

თოვლის ფიფქები ხელის გულზე ნაზად დაეშვა და სწრაფად მოკვდა....  
რა ხანმოკლეა მისთვის ჩემი ხელის შეხება, დღე შეუმოკლდა,  
თუმცა ფიფქები ეფინება მინას მაღლიანს და ფარავს მინას,  
მე კი ამ ხელებს ყინულისგან სიცივე მინვავს.

დადგება დრო და უფლისაგან დადგენილ ჟამზე მიმინვევს მინა.

16.04. 1999.ქ. ახალციხე



**მაგულო**

**ხსოვნა**

შენი კვნესა და შენი ტკივილი  
ამ გულში მჭიდრად ჩავირტყი გუშინ,  
აფხაზეთი და სამაჩაბლოა,  
ტყვია რომელიც გესროლეს გულში.  
ვიცი გვანუხებს ჭრილობა ძველი,  
განახლებული გტკივა იარა,  
შენს ნატყვიარზე ასე გულგრილად  
და უსინდისოდ ვინც გაიარა.  
ვისაც უნდოდა შენი დაცემა,  
ვინც არ შეგიშრო ოფლი ნუხილის-  
მას ეშინოდეს უფლის მოსვლისას  
დიდი ნგრევის და დიდი ქუხილის!  
შენ კი მამულო ისევ აღდგები,  
წამოქცეული იფეთქებს ნუში,  
დაკარგულ მიწებს ტკივილთან ერთად  
ისევ ჩაიკრავ დასერილ გულში!

წინ მომავალია სიცოცხლით აღსავსე  
და უკან ცხოვრების შტრიხები მუქდება,  
ჩუმდება ყოველი წუთის აღწერილი,  
ძვირფასი დღეები ხსოვნაში ჩუქდება.

დრო მიდის უცნაურ მწუხარე ხალისით  
და ჩემში ამ დროის სიმღერა ღაღადებს,  
სულის სიღრმეში ის, რაც მიხარია,  
რისი გულისთვისაც მივყვები აღმართებს.

წინ მომავალია სიცოცხლით აღსავსე  
და უკან ცხოვრების შტრიხები მუქდება....  
ჩუმდება ყოველი წუთის აღწერილი,  
ყოველი სიკეთე ხსოვნაში ჩუქდება.

08.03.1985.

**გაიღვიძეთ ქართველებო**

ირევება შიშის ზარი,საყვირები ბანობენ,  
განაჩენის ჟამი დგება, მოვლენაა, ხარობენ!  
იყო სიტყვა- უფლის სიტყვა, ცნობიერში სამობენ,  
ექვს დღეშივე ჩაეტია, მეშვიდეში ვანობენ.

ანგელოზთა დასთა დასი დასაცავად მზაობენ,  
არ შერჩება მტერს, რომელიც ჩვენს მიწაზე ზვაობენ,  
მოსულია უფლის სიტყვა, დროში ისევ ზავობენ,  
ერის ხსნას და სამყაროსთვის გადარჩენას ზარობენ.

გაიღვიძეთ ქართველებო მტერი რომ არ კარობდეს,  
დუშმანი და გამყიდველი,ჩვენში რომ არ ხანობდეს,  
თორემ უკვე ახლოსაა, საცეცხლურზე ალობდეს,  
სად გინახავთ სარეველა კვკლუც ვარდად ხარობდეს....

გახუხული სტრიქონებით ჩვენს სიმღერას გალობენ,  
თვალებს ნაცრით გვილესავენ, დაპირებით გვართობენ,  
არწივს ბუდე შეუცვალეს, წინილები მართვობენ,  
მოპარული ისტორიით რწმენის ღადარს ანთობენ.

ვინ იგმირა, ვინ ეკვეთა, ვის საფლავებს ამკობენ...  
კაცის სახეს ლაფში სვრიან, გვი- მობენ, ფართობენ,  
ფარისევლად ჩვენი მიწის სადღეგრძელოს ამბობენ,  
ქართველობას იჩემებენ, ქართველობას ახმობენ.

ის დრო დგება ემიგრანტი დაბრუნებას ჩქარობდეს  
და ჩვენამდე მოტანილი უფლის სიტყვა ჯვარობდეს,  
ჩვენი სისხლი სიყვარულით ერთობაში ჩქამობდეს,  
სამყაროში ყველა ერი ქართველობას ნატრობდეს!

12.11.2022. იტალია

რთულია სამშობლოდან შორს ყოფნა....  
მენატრება....

**შეშორება მანძილში**

ტუჩგახსნილი ბროწეული საკოცნელად მიწვევს,  
გულიც შეფერადებულა, სხვანაირად მიცემს,  
დანისლული თვალებიდან მონატრება ცვივა,  
მზე აცხუნებს შემოდგომის, მაგრამ სულში მცვივა.

მენატრება ჩემი ქვეყნის მთა-ბარი და მდელო,  
ბავშვობიდან აქამომდე გატანილი ლელო,  
მენატრება ჩემი სახლის სურნელი და ფერი,  
ის დრო მიყვარს, როცა მქონდა სული ვარდის ფერი.

გამიხუნდა მოფერება გადაღეულ დღეთა,  
მომენატრა ჩემს ტაძარში კელაპტარის ღვინთა...  
სული მენვის მონატრებით, მესერება გული,  
ისე შორს ვარ მონატრებაც გახდა უკვე რთული.

შემოვიხსნი რკინის ფიქრებს, შემოვიმტვრევ ხელში,  
წამოვდგები ფეხზე მყარად, გავსწორდები წელში,  
მე უფალი არ დამტოვებს, დამადგება შველა  
და ბავშვივით შემოვირბენ მამულს ფეხშიშველა.

კიდევ მოვა შემოდგომა მზის სხივების ფერი,  
განათდება სიყვარული, ახლა ნაცრისფერი,  
კვლავ შევადებ სიხარულით ჩემი სახლის კარებს,  
დარეკავენ მონატრების და შეხვედრის ზარებს.

ტუჩს გაიხსნის ბროწეული, მომანათებს ღიმილს,  
მზის ნამწვევი ფოთლებიდან გაზაფხული ღვივის...  
ანთებული თვალებიდან მონატრება ცვივა,  
იმედებით შევიმოსე, სულში აღარ მცვივა.

18.10.2021. ( იტალია)

**უფალმა სიყვარულით შექმნა სამყარო**

აქ ავტირდები...ცას ავტკივდები,  
ჰაერი სუნთქვას ხვნეშით დაინწყებს,  
სიტყვად მოვალ და გამოვვლინდები,  
მუხების რაში საბელს აინყვეტს.

მოვალ სიმღერად, წვიმად ზაფხულის  
გამოვაცოცხლებ ნამით ბალახებს,  
გადავიკითხავ ლექსად დაწერილ  
სიტყვას, რომელიც წამით მალაღებს.

მთლად მივწვდები მაღალ შემოქმედს,  
შემოვინახავ მუხებს კიოდად...  
მე ის ლექსი ვარ, რაშიც უფალმა  
გამომამწყვდია, რაც კი მტკიოდა.

ჩვენი ცხოვრება ცეცხლის ალია,  
თანაცხოვრება ცეცხლის ღადარი,  
თუ სიყვარულად აქ არ მოსულხარ  
მაშ არსებობის აზრი სად არი?

19.10.2022.



**სულის შენება**

ზოგი აშენებს სასახლეს,  
მე კი ვიშენებ სულს,  
კედლები ამოვიყვანე,  
ჭერქვეშ მოქცევა მსურს,  
რკინის კარები შევკიდე,  
ნდობით გავუღე გულს,  
ვემეგობრები წყენას და  
ვედიდგულები შურს.

დასამშვიდებლად სულისა  
ვიკრებ მზისგან სხივს,  
არა ვარ მონა ფულისა,  
არასდროს არ მსურს სხვის...  
შიგნით მაქვს ჩემი დარდები,  
ფანჯრიდან ვატან ქარს,  
ვლოცულობ წმინდა ხატებთან,  
ვეამბორები ჭვარს.

წუხილს ღიმილით გამოვცვლი,  
რწმენით ავავსებ თასს,  
სიკეთის ხურჯინს მოვიგდებ,  
აღმა შევყვები გზას.  
უფლის იმედად ვიქნები,  
კედლებს შევავლებ თვალს,  
ტაძარში დავდებ საკმეველს,  
სხვათა სითბოსთვის კვარს.

ზოგი იშენებს სასახლეს,  
მე კი ვიშენებ სულს,  
კედლები ამოვიყვანე,  
ჭერქვეშ მოქცევა მსურს.  
თვალედახრილი მორჩილად  
საძირკველს ვუმზერ ძველს,  
თუ სწორად ამოვაშენე  
ღმერთი დამადგამს ჭერს.

23.11.2020.

ნახევარი საუკუნე საკმარისია შეათვასო ბევრი რამ.

**ფასი**

მე ვიცი თითქმის ყველაფრის ფასი...  
ფასი ტკივილის, ფასი ბრალდების,  
ფასი შხამისგან ავსილი თასის,  
ფასი ვალების გადავადების.

ვიცი რამდენის ტოლია სევდა,  
დარდი უთქმელი, არგამხელილი,  
თვალის დახუჭვის ფასიც ვიცი და  
ოცნების ფასიც არახდენილის..

ბევრი სათქმელი უთქმელი დამრჩა,  
ყველაფრის ფასი ერთად ძვირია,  
თუ სიყვარულით ყველას ვიყიდი,  
მაშინ ყველაფრის გადახდილია.

16.04.2017.

*ემიგრანტი ვარ და სამწუხაროდ მოგვიანებით შევიტყვე  
ჩემი უსაყვარლესი პედაგოგის იზოლდა ნოზაძის  
გარდაცვალების ამბავი.  
ცრემლებით მევსება თვალები.....  
თაობების აღზრდას ათეულობით წლები შეაღია, მან  
გააღვიძა ჩემში პოეზიისადმი სიყვარული და უდიდესი  
წვლილი მიუძღვის ჩემს პიროვნულ განვითარებასა და  
ჩამოყალიბებაში. ვფიქრობ ცათა სასუფეველი მან  
სიცოცხლეშივე მოიპოვა იმ დიდი სიყვარულით, რომელიც  
ჩვენში უანგაროდ გაანანილა. ჩემი უკანასკნელი საჩუქარი  
და ნათელი მის სულს.*

მთელი სამყარო ხარ მუჭში ჩატეული,  
ზღვა სიყვარული და ღამე გათეული,  
მასწავლებელი ხარ წლები ათეული,  
დედის ჭალარა ხარ, მამის კვალეული.

ჩემი ბავშვობა ხარ საგზლად აკიდული,  
ლამაზ ვარსკვლავებად ცაზე გაკიდული,  
ტკბილი მოგონება ლექსად გართმული,  
დიდი მონატრება გულში გარინდული.

ახლა ზეციური ცოდნის მესვეტე ხარ,  
ჩემი მონატრება ელდადაცემული,  
უფალს ვევედრები ცაში დაგიმკვიდროს  
შენი სამყოფელი ჩვენში გაცემული.

1.10.2020.

იტალია.

**რაბათი**

*ვეფერები ჩემს მონატრებულ  
ახალციხეს.*

მესხეთის მინავ შენი მეკვლე ვარ,  
მესხეთის ცაო, შენი მლოცველი,  
პატარა გოჭიც არ დამრჩენია  
დასაკოცნი და დასალოცველი.

დგას ქვაფენილზე შედგმული ციხე,  
ხავსმოდებული ძველი ალაგი,  
ჩვენი წარსულის მემბტიანე  
და წინაპრების ძვალშესალაგი.

ასვეტებულა ცაში ქონგური,  
ამღერებულა ხმაში ფანდურად  
და სიმაღლიდან ციხე-კოშკები  
იყურებიან დარდიმანდულად.

გაბრწყინებულა ძველი სიცოცხლე,  
მოუხურია თექის ნაბადი,  
დგას მეციხოვნედ ისევ ამაყად  
განახლებული ჩემი რაბათი.

წყაროს ჩუხჩუხით ერთობა მოლი,  
ხეივანის ჩრდილში სხედან წყვილები,  
ღმერთო გვიმრავლე საქართველოში,  
გასაჩენი და დასანყვილები!

ციხის კიდზე დროშა ფრიალებს,  
გუმბათით ბრწყინავს ძველი მეჩეთი.  
ლექსით მოვედი ჩემო ლამაზო,  
სამლოცველოსთან კრძალვით შევჩერდი:

ღმერთო დალოცე ქართული მიწა,  
შეგვინარჩუნე ზნე და ადათი,  
რომ სამუდამოდ, საისტორიოდ,  
ისევ ბრწყინავდეს ძველი რაბათი!

09, 08 ,2012 წ.

ქ. ახალციხეში





ლიანა ალადაშვილი

ვლოცავ ბუნებას და  
მის შემოქმედს!  
უფალო! შენს წინ  
დავიჩოქები!  
შემინყალე მე,  
შენზედ მლოცველი!  
სხვა გზა არ მინდა,  
არც მიძებნია,  
არც მდომებია  
ოქრო და ვერცხლი!  
მოგვმადლე ნიჭი,  
მადლიერების,  
სიკეთე გვქონდეს  
ჩვენივე მოძმის,  
მოვინანიოთ,  
მოვინანიოთ,  
ძლიერ გვიყვარდეს  
ჩვენ, ერთმანეთი.  
ვეტრფი მე ჩემს ერს!,  
ჩემს სისხლსა და ხორცს,  
მათზე ფიქრები  
სულს რომ.მიამებს,  
მე, ვენაცვალე,  
ჩვენს ლურჯსა ზეცას,  
ასე,რომ მხიბლავს  
და გულს მიხარებს!

დიდება უფალს. ამინ!!!

ქარსაც ეშინია ზოგჯერ,  
ზამთრის სუსხის,  
ვინმე თუ მეტყვის  
სად უნდა დავემალო,  
იქნებ, ძალა ვპოვო,  
ფრთები მოვისხა და  
სულ სხვა სამყაროში  
უფლის ნებით, დავივანო.  
ო, რა იოლად გეგონა,  
გამრიყავდი,  
ოცნებით,ყოველთვის  
სხვასთან რად იყავი!  
სუსტი გეგონე და ამიშარდი,  
ფიქრობდი ლექსებს  
ველარ გავრითმავდი!  
მზის სხივი,ზეციდან  
ველარ დაიბრუნე,  
გული,უსაშველოდ  
ნისლით დაიბურე,  
როგორ იფიქრე,  
სამყაროს  
მოვწყდებოდი,  
და ღამე მთვარეს  
ველარ შევხვდებოდი!

\* \* \*

ყველა თავის გზაზე მიდის,  
ყველას სადღაც ეჩქარება,  
სიჩქარეში დრო,რომ გარბის,  
გასული დღე მენანება.  
წლების უკან, შავ თვალ-წარბა,  
შავთმიანი იყო ქალი,  
დღეს კი, დათოვლილი თმებით,  
იარება დარდიანი.  
წლები, გაფრინდა, ბავშვობის,  
მზეც აღარა მწვავს თავარა,  
სული შემომრჩა ისევე,  
წყაროს წყალივით ანკარა!

**საქართველოს პოეზიას**

დიდება უფალს!  
 მადლობა უფალს!  
 ვიხილე ლამაზი,  
 სამყარო, ვარდების!  
 ერთად, თაიგულად,  
 ლამაზი ფერები,  
 წამს გადავყარე  
 დარდები.  
 იყო სითბო და  
 სიტყვა დიადი,  
 მომავლის რწმენის  
 და სიყვარულის  
 სულის ჩამდგმელნო,  
 ამოდიადლით!  
 გულს აღარ შეხვდეს  
 ღამის წყვილი.  
 ნაზი ფერებით,  
 გაბრწყინებულნი,  
 თავზე დაიდგით  
 შარავანდედი  
 და მზედ ამოდიადლით!  
 ამოდიადლით!  
 დროს გაუძელით,  
 და ასე ერთად...  
 ერთად და ბარდად

**ღალატი დაუნდოხელი!**

ნაღალატევ გულს  
 ვუხვევ იარებს,  
 დრო მჭირდებოდა,  
 სული, კვლავ,  
 ცოცხლობს!  
 დალოცო-სღმერთმა,  
 ეს სამყარო და  
 სიცოცხლე ჩვენი,  
 სამარადისოდ!  
 ღალატი, დაუდობელი,  
 არის, გულ-სისხლის  
 მწოველი!  
 არაფრით არ ინკურნება,  
 შველას უფლისგან მოველით!  
 პირადს მე არას  
 ვჩივივარ,  
 უფალთან ვიყო  
 მართალი,  
 პატარა არა დიდი ვარ,  
 რადგან გრძნობებით  
 ვარ მთვრალი!

\* \* \*

ერთია ჩვენი სამშობლო,  
 მლაპარი, სამოთხის ვარი,  
 აქ, ხორნაბუჯის ციხეც დგას,  
 ქვითა ნაშენი, მაგარი!  
 ხელისგულივით ატყვია,  
 ენამთას, ნასახლარები,  
 იდუმალეებით მოცული,  
 წარსული ამბის მთხრობელი.  
 ია-ვარდებით მორთული,  
 მთა-ბარი, აენივთ საფერი  
 მზე ,ანეული ღრუბლებში,  
 ზღვა, სიყვარულით დამტკბარი.  
 ღვთუსმშობლის  
 ლოცვა-კურთხევით,  
 ცამდე ასული მარადის.  
 აქ ყველა გალობს  
 ღვთის სახელს,  
 იმედის რწმენით გამთბარი  
 ერთია, ჩვენი სამშობლო!  
 სამშობლო,

\* \* \*

ვარდებს უეკლოდ  
 ვერავინ მოჰკრეფს,  
 არადა ნაზი, სათუთებია,  
 ზოგჯერ ეკლები,  
 მთელს სხეულს მოჰკვეთს,  
 მაინც სიკეთე,გადამდებია.  
 სულის ალერსი, მაინც მწყურია.  
 გულის ყვავილი,  
 მზისკენ იხრება,  
 ნეტავ ღრუბლები,  
 სადაურია  
 სევდის ლექსები,  
 ღრუბლით იქმნება.  
 ყვავილი მინდვრის,  
 მუდამ ნაზია,სუფთაა  
 მისი ღერო და ფერი,  
 საქართველო ხომ  
 ყურძნის ვაზია,  
 დარდიანი ვარ  
 და მაინც ვმღერი!

\* \* \*

უფრო ლამაზი  
გავხადოთ სამყარო,  
ნათელი დღეო,  
ნუ დაბინდდები,  
იის სურნელი  
თუ მოწვდა სულსაც,  
მაშინ მზის სხივებს,  
ისევ მინებდით.  
ცად ვარსკვლავები,  
მრავლად კიაფობს,  
მთელი ცხოვრება  
ჯერ კვლავ წინ არის,  
მამულისათვის,  
თავდადებულნი!  
არ შეგეშინდეთ,  
გულის მყინვარის!

### მზე და ვარდები

მზე და ვარდები,  
წყურვილს მიკლავენ,  
ეს სამყაროა,  
სულის ნათების,  
ვარდებს, გადაშლილს,  
მზის გულზე მბრწყინავთ,  
რა საოცარი სურნელ ასდით  
ერთი სიცოცხლეც აღარ მეყოფა ,  
და სამუდამოდ  
დავრჩები მათში!



\* \* \*

ხან ემსგავსები ქარიშხალს,  
ხანაც არაგვში ბანაობ,  
მზეც გამოვიდა ღრუბლიდან  
მთვარე გელოდა ამოდ.  
მე კი, კლდის პირად მისული,  
უკან მაბრუნა ქარმაო,  
უშენოდ, ჩემი სიცოცხლე,  
უდაბნოს დაემგვანაო.  
ამოფარვიხარ ქარაფსა,  
ცისნამმა პირი გბანაო,  
ნუ მამკლავ, უშენობითა,  
გული მთკად გამებზარაო.  
ცოდვას ნუ ჩამადენინებ,  
ჩემს თავს რად ატან ზღვასაო?!  
ჩამოჰყევ, სწრაფსა მდინარეს,  
ვიცი, გიყვარვარ ქალაო!

\* \* \*

ვის არ უმუხთლა ცხოვრებამ!  
მეც მასვა სიმწრის ფიალა,  
განუზომელი ტკივილი,  
დააჩნდა გულსა იარად,  
ავად მომზირალი თვალემა,  
დამგესლა, დამაზიანა,  
ავდექ და ლოცვა დავიწყე,  
გული განათდა მთლიანად!

\* \* \*

შვილს, ვალერის!  
ო, რაოდენი სიხარულია,  
როდესაც გხედავ,  
არ მომანატრო ეგ ღიმილი  
ჯადოსნურ ძალის,  
ჩემი გულისა ტკივილებს ხომ ლამაზად ფერავ,  
შენი გრძნობები ელვარე და სათუთი არის!

### შვილი-შვილებს!

გულზედ მფენიხართ  
მზის სხივად,  
გაშლილო, ველად ყვავილნო,  
ოცნებას ფრთები შეასხით,  
მიხარიხართ და ვმისობ,  
უფალმა გზა დაგილიცოთ!  
წმინდამა, მარიამიმო!

\* \* \*

განუზომელი ტკივილით,  
სრულიად გარდავისახე,  
არა აქვს აზრი, ლანდად სიარულს,  
ვაგლახ მივხვდი, რომ გარდავიცვალე.  
სიტყვა, რომელიც, ვერ დაგამშვიდებს,  
თუნდაც კეთილი სიტყვით ნათქვამი,  
ერთხელ თუ ზამთრის სუსხი იგემე,  
გაზაფხულებო, უკვე ნახვამდის  
ვის ვეურჩები?!  
იქნებ დემონებს,  
არ ძალუძთ ჩემი  
კვლავ ფეხზე დგომა,  
იქნებ, შიშისთვის განწირული ვარ,  
და ღვთისაგანაც განდგომილი ვარ!  
არა და არა, სეგთხოვ, უფალო!  
ხის ნორჩი ყლორტი არ ამიკაფო,  
შენ დააპურერე,  
მისი ფესვები,  
მოვალ შენთან და  
დავიჩოქები!



### დედას!

დედა ესტუმრა  
უფაღს ზეცაში!  
გული დამითბო  
მის თვალთა მზერამ,  
ბრძნული სიტყვებით,  
შეგონებებით,  
შენ ნაძლუერებ,  
ძვირფასო დედა!  
შენ, ერთად-ერთო,  
სამყაროვ ჩემო,  
გიკოცნი ხელებს,  
სულში მინთიხარ,  
ახლოს ხარ ღმერთთან,  
აღავლენ ლოცვას,  
და უფლის ნებით,  
მის წინ მუხლ-მოყრით,  
მამულს და ქართველთ  
ყოველდღე ლოცავს!





იზა ჭიკაიძე

### სამშოქლოსა და შვილს

გადაიარა ზამთრის ვნებებმა,  
ქრისტეს ჭვარცმამაც გადაიარა,  
და სინანულის ვერცხლის ცრემლებმა,  
არ დამიტოვა გულზე იარა...

არ დაილექა გაცრეცილ ზამთრის,  
სიცივეებმა გულის კუნჭულში,  
გამიფერადდა გამშრალი სისხლი,  
პულსის რუზრუზსა და ფაციფუცში!

ეჰა, აღდგომის ცეცხლის სვეტებო,  
მიმტევებელო ცოდვის ხელების,  
ეჰა, ოცნებავ, სამომავლუჟამო,  
უფლის წყალობით რომ არ ბერდები!

ეჰა, მამულო, თავგადაკლულო,  
მოუვლელობით თითქოს შეხრილო,  
ცოტაც დაიცა ბევრის მომთმენო,  
ღმერთის მოსვლამდე არა გეტკინოს.

აყვავილდება მაისის ვარდი,  
ეზო-კარებში გამოიდარებს,  
ქართველი ერის ბედნიერებით,  
ეშმაკი თვალებს გამოუღამებს.

მოვა უფალი, მოიტანს ნუგეშს,  
საოსოება და სიმხნე ჩადგება,  
ენა ქართული, შვილი და ძირი,  
არასდიდებით გადაგვარდება.

გადაიარა ზამთრის ნუხილმა,  
გულზე დარდები გამომელია,  
ჩემი სამშობლოს და შვილის მსგავსი,  
აბა, მითხარით სხვა რომელია?!

### მეხნიერი ღამე

ღამე ამკობდა თბილისის მიწას,  
და მოუთხრობდა დიდებას ღვთისას,  
ერთი ვარსკვლავი ეკიდა სადღაც,  
ისიც სიბნელის მორევმა შთანთქა...

ღამე გაფხიზლდა, ფარნებმა მალე,  
გააჩახჩახა ვარსკვლავთა არე,  
ფრთები დაკვეცა იღუმალეებამ,  
მთვარე გაბრწყინდა ოთხსავე მხარეს!

დრო დაეფანტა კალთაში ზეცას,  
უძილო ღამის სიზმრებში ვხედავ,  
როგორ მძარცვავენ ფიქრებში მავალს,  
არარაობის მირჩევენ წამალს.

არაფრისა და ყველაფრისათვის,  
მახდევინებენ უცნაურ ღალას,  
ცოდვის ჟამებით მამათრახებენ,  
წარსულ-მომავლის ტკივილი მძალავს.

და ღამის ჩრდილში ანგელოზების,  
საამო ხმები ისე მიფრინავს,  
არც ცემა მახსოვს, არცა მათრახი,  
რადგანაც გული შევახე მთავარს.

უბრალოებით და სიყვარულით,  
გადავეჭაჭვე მესა და მავანს,  
მადლიერებით ანგელოზები,  
მცველად დამსდევდნენ ღმერთისკენ მავალს.

დიდებას ვუძღვნი ღამეს მეცნიერს,  
რომ მაზიარა მამაზეციერს!  
ღამე ამკობდა თბილისის მიწას,  
ერთად ვიკვლევით დიდებას ღვთისას!





**ყველაფერს თავისი დრო აქვს**

გადაითოვლა თებერვლის დილა,  
გამთბარ მინაზე აწყობს ვერაფერს,  
სინანულს აფრქვევს წვიმადქცეული...  
თავისი დრო აქვს თურმე ყველაფერს.

რა გაუჭირდა თოვლს ამ სისხამზე,  
უგზო- უკლობით უდროდ რომ დარბის,  
სანახევრო და ნელთბილი საქმე,  
დაჭიანებულ ჩირადაც არ ღირს!

მტკვარსაც, არაგვსაც გავებუტები,  
კეთილი მიზნით თუ არ იღინებს,  
თოვლიც არ მინდა სასიხარულო,  
თუ ფეხს ვერსაით ვერ მოიკიდებს.

თუ მოხვალ კიდევ უნდა დაატყო,  
შენი გამჩენის ძალა და მადლი,  
თუ დროს ჩამორჩა, ღმერთს თუ გამორჩა,  
დედამინაზე მოსვლადაც არ ღირს.

ხანჭლის გრძელ წვერებს ვხედავ მზის შუქით,  
და ჩემი დარდით სამარეს ვითხრი,  
რადგანაც ყველას თავისი დრო აქვს,  
მეც ჩემს მომავალს თითებზე ვითვლი!

**ნეტამცა ჩიტად მაქცია**

ნეტამცა ჩიტად მაქცია,  
შაგიმღერებდი დილასა,  
მოვფრინდებოდი ადრიან,  
შენი სარკმელის პირასა.

დაგიჭდებოდი ქვეშავთან,  
დაგიკოცნიდი ბაგესა,  
დაგიყენებდი დარაჯად,  
ხან მზესა, ხანაც მთვარესა.

ანამცა არწივ მაქცია,  
გაგიტაცებდი მთაშია,  
ფრინველთ დედოფლად გაგცევიდი,  
არ გაგიშვებდი სახლშია.

ანამცა წყაროდ მაქცია,  
გაგიგრილებდი მკერდსაო,  
უშენოდ მონატრებასა,  
დააბრალებდი ბედსაო.

მამენდობოდი გულიან,  
მეც გულს განდობდი ერთსაო,  
შენს ბედს უძღვნიდი მადლსა და  
მე კი - მადლიან ღმერთსაო...





**მზია ელიაძე**

**პოეზიას**

(გეფერებით სიყვარულით)  
29.10.22წ.

მინდორ-ტყე-ველ-მდელო-ჭალად  
კლდე-ღრე, მთათ წვერთ-კორდ-ჭიუხში  
დავალთ, ვეძებთ ცად და მიწად  
ყველგან ვეძებთ,არ ვიღლებით!..

ვერ ვისვენებთ,ვერ ვმშვიდდებით  
ვხატავთ, ვლამბავთ ღვთის ნათებად.  
ვერ ვიძინებთ,არც ვნებდებით  
"თეთრ ხნულს" ვამკობთ აღმასებად!..

მოქარგული, მოხატული  
ვარსკვლავ-მთვარედ, ღრუბლის ქულად.  
ლურჯ ლაჟვარდში მოკაზმული  
შვიდფერა ნაზ ცისარტყელად!..

მზის მხურვალე ნაწნავებში  
ჩამალულ-ჩაგვირისტებულთ  
ყვავილთ გულში ნარ-ნარ, ნებით  
დაუთვრია ჯერ თქვენი და

მერე ჩვენი-მგოსანთ გული;  
სული, თვალი, ყური, გონი  
და სხეულიც მთელი გრძნობით...  
ლექსთა წყობით,ლექსთა ტრფობით!..

სადაც ჩანჩქერს, ცვრად მონამღერს  
უხარია, მოდის გეტრფის.  
ღვთიურ ცვარ-ნამს, უძვირფასესს  
ლექსით და პოემით გეტყვის!..

უხვად გვამცვრევს ლექს-ბნკარ-რიტმებს  
საოცნებოს, სანაქებოს...  
პოემის დიდ სამყაროს  
გვაზიარებს და გვამგზავრებს!..

გაუხსნია ჩვენთვის თვალი  
უხილავი, ხედვის თვალი.  
სმენის ყური, გულის გონი  
ცვრად ნაფენი რითმათ ჯოგით

შეხებულებს, გაფხიზლებულთ  
მოფრენილი ცით, განგების,  
ბგერა-რიტმა-ლექს-ბნკარებით  
შეგვიქმნია ღვთით,შედევრი!..

ფრაზა,თუ შტრიხ-მარცვალ-რიტმად,  
ლექს-პოემად, თუ ტკბილ სიტყვად...  
არც დღე იცის და არც ღამე,  
არ გვასვენებს და არც გვანყენს!..

უფრო მეტიც,შემოჯდება  
სასთუმალთან, გვიჟღურტულებს,  
გვიჩურჩულებს და გვიყვება  
უფლის ნაფიქრს,ღვთის საუნჯეს!..

ჰოდა,ვიღებთ, ჰოდა ვინერთ  
ფურცელზე,თუ გულ-ხელ-გონში  
და ვადიდებთ,და ვათასებთ  
ძვირფას,დიდ განძს შემომქმედის!..

ვაფერადებთ ღვთის განგებით  
კვლავ შემქმნელის სადიდებლად!  
სათნოს, მადლისა მფრქვეველის  
სიბრძნეს, მისთვის საამებლად!..

მინდორ-ტყე-ველ-მდელო-ჭალად  
კლდე-ღრე, მთათ წვერთ-კორდ-ჭიუხში  
დავალთ, ვეძებთ თითო ცალად  
ყველგან ღვთის განძით ვივსებით!..

პოეტებს  
(გეფერებით სიყვარულით)  
29.10.22წ.





ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ლექსებს ვუძღვნი დარბაისელ ქალბატონ ელზა კუპატაძეს. ნიჭიერ, ვეფხისტყაოსნის ზეპირად მცოდნე ქალბატონ ნანა გურული-ფოფხაძეს, ბელიაშვილის ორმოცდასამში მღებარე „აგროვიტას“ დირექტორს ბატონ გურამ ონიანს და უსაყვარლეს ქალბატონ ლია კობალაძეს.

### თვალეზი

სურათიდან მიცქერიან თვალეზი,  
ნიკა, გიგა, აკია თუ ანდრია,  
გეგონება სიყვარულით მთვრალეზი  
ასეთები უამრავნი არიან.  
პოზირებენ ოთახიდან, ეზოდან  
ამ ცქერაში თუმცა ანდა რა ყრია,  
რადგან თვალეზს ოთხი ფიცრის ზემოდან  
საუკუნოდ ადლი მინა აყრია.  
ფოტოებზე შერჩენილი თვალეზი  
სხვის თვალეზზე მინას თავადაც ყრიდნენ,  
ნაცნობნი თუ უცნობები ერთ დროში  
ერთმანეთს რომ თვალს თვალეზში უყრიდნენ.  
ეს თვალეზი თითქოს რამეს განიშნებს,  
დაგძაბავს და თავად არ ჰგაქვს დარდიანს,

მთელ ქვეყანას ერთ დროს თვალეზით ჭამდნენ,  
ახლა კი რომ უმწეონი არიან.  
მოხვალ ქვეყნად, ბოლოს მინას გაყრიან  
არ მოხვალ და ან ამაში რა ყრია,  
ისეთები დღეს შენს გვერდით არიან  
თვალეზზე რომ მინას შენც დაგაყრიან.  
თვალეზს ყველას ერთი ბედი ჰქონია,  
დალტონიკიც არჩევს ზოგჯერ ყველა ფერს,  
მე რატომღაც მაინც ასე მგონია,  
მინიდანაც დავინახავ ყველაფერს.  
ქვეყანაზე პოეტიც და მეყასბეც  
სამარადოდ აქ არავინ არ რჩება,  
ეს თვალეზი თუმცა ახლა ლექსსა წერს  
საბოლოოდ ფოტოზელა დარჩება.

### სურათი

მრავალს უყვარს გადაღება სურათის  
ლელას, გელას, თამაზის თუ მარიამს,  
სურათი რომ გადაიღონ ლამაზი,  
თითქმის ყველა ყოველ წუთს მზად არიან.  
უხარიათ... ჩასცქერიან თავის თავს  
რომ არიან შორტებით თუ, შარვლებით,  
სურათები სუყველა ლამაზია  
წითელ კაბით, ყვითელით თუ შავებით.  
საშიშია, მესიური სურათი  
სად წაუხვალ ცოცხლის და მკვდრის ამ ჩვევებს,  
იდუმალად ქვაზე ამოსატვიფრად  
ჩვენ არ ვიცით რომელს ამოარჩევენ.





გულნაზ ხანაიშვილი (ცისკარელი)

### სუსტი მე არ მეგულება

სხვამ თუ გინდა იცურავოს,  
 ვნების ცეცლში გამოიწვას,  
 გავიმეტებ სიტყვას „ბრავოს“  
 ჩემი მათთან არ დაინვას.  
 სული წმინდა ქართველ ქალებს,  
 გაკრული აქვთ გულის ფიცარს,  
 ვაქვებ ამ ჩემს ამორძალებს,  
 და ვამაყობ სინდისს ვფიცავ.  
 წინაპრებიც კარგი მყავდნენ,  
 ახლაც არის ბევრი გმირი,  
 ხოცავდნენ და მათ სისხლს სვამდნენ,  
 ვიხსენებ და ახლაც ვტირი.  
 ზოგი მამულს ეწირება,  
 ისე როგორც ქეთევანი,  
 რომ დაკეპონ ნაწილებათ,  
 რომ აჩუქონ ტახტრევანი...  
 მათ სისხლში აქვს ერთგულება,  
 ასეთია ქართველის ქალი,  
 სუსტი არსად მეგულება,  
 ქართველების ამორძალი!

### მეც რომ დავსახლდე

დაველოდები გათენებას ... დაველოდები,  
 გაჟინიანდა, გაკაპასდა, ღამის წყვდიადი,  
 ფიქრები დარბის წინ და უკან როგორც მოდელი,  
 ამორიჟრაჟდი სამშობლოს მზევ, ამოზვიადდი.  
 უიმედობავ, გათენების დღის მაყარიხარ,  
 მზით მსურს აშენდეს, მოპირვეთდეს, გონის სასახლე,  
 მინავ ქართველისავ, ღვთისმშობელის წილნაყარიხარ,  
 მწირი ადგილი შემახვედრე მეც რომ დავსახლდე!

### რა ქნას კრავებმა

ღმერთს ვევედრები საქართველოს მადლად მაქციოს,  
 მოვსპო, დავჩეჩქვო, ბოროტება გავაცამტვერო,  
 ქარიშხალები ნიავად რომ გადავაქციო,  
 რა ქნას კრავებმა, ლომები რომ გადაემტერნონ!

### ირუსთაველონ

ძნელბედობის ჟამს გიხმობ დედაო  
 და თავდახრილი შეგთხოვ სათხოვარს,  
 ულუკმაპუროდ ხალხი კვდება და ...  
 გვერდს ვედარ ვუვლი ამდენ მათხოვარს.  
 სულის შიმშილსაც ბევრი განიცდის  
 გათითოვაცდა უკვე სამყარო,  
 მე დარდის დიდ მთებს მიტომ გავცილდი,  
 იქნებ იმედებს გადავეყარო.  
 დედაშვილობის რწმენით ვძლიერობ,  
 თუმცა ჭეჭილი აღარ მთაველობს,  
 ერის შვილებმა იბედნიერონ,  
 ითამარონ და ირუსთაველონ!

### ლაქსი ათო, ზან თვითონ ხარ

ლექსის აკვანს კი არ წევხარ,  
 გაზრდილი ხარ ზეცამდე,  
 ლექსი ეთო თვითონ ზენ ხარ,  
 ლექსით გამომეცხადე.  
 დაბადების დღეს გილოცავ,  
 ჩემი სულის ნაწილო,  
 ჩემი გულის ღიმილო და  
 პოეზიის არწივო!

### სულის ტაძარი

დინჯი სიტყვებით მოსაუბრენი,  
 მიყვარან ისე ვით ჩემი შვილი,  
 თუგინდაც იყვნონ გარეუბნელი,  
 თუ სამშობლოსთვის გაიღეს წვლილი.

მიყვარს ერთგული ქმარი და ცოლი,  
 აცაბაცა რომ არ დარბის სხვაგან...  
 მათ რომ იციან დიდიც, და ტოლიც,  
 უფროთხილდებიან ჭიშსა და ნაგრამს.

მიყვარს ოჯახში მშვიდი გარემო,  
 და თუნდაც იყვნონ მიუსათარნი,  
 მათთან მსურს ღვინო დავაგემოვნო,  
 სადაც მეგულის სულის ტაძარი!

### ფერიაჲ

ნაზო და ლამაზო გოგონავ,  
 მთებს იქით გაზრდილო ფერიაჲ,  
 გულიდან ტკივილიც მოჟონავს,  
 ჩემები საით მღერიან.  
 სხვაგან ხარ ამას არ ვამაყობ,  
 დრო არის ისევ ჯვარცმული,  
 სხვა ჯიშზე სული არ დაამენო,  
 არ დაგავინყდეს ქართული...  
 ხაშურის კოკორი ვარდი ხარ,  
 ქართლშია შენი ფესვები,  
 შენ ხვალის მომავალი ხარ,  
 გლოლოცავ და გეაღერებ!



ელენე ლოლუაშვილი ♥

### ყველას უყვარხარ

მინდა ბავშვივით ხელით მიმყავდე,  
 და სიფაფუკით გულს დაგატიე,  
 ყველას უყვარხარ მე არ მიყვარდე  
 ამას თვით ღმერთიც არ მაპატიებს...

### უნმინდესო

ხორცი ლპობადია ამბობს უფალი და...  
 სული უკვდავია ვითარც დედამინა,  
 უძღურს ჩამომცვივდა ცრემლის კურცხალი და...  
 შენმა მოფერებამ დარდი დამავინყა.  
 ჩემი იმედი ხარ ტკბილო უნმინდესო,  
 შენით იფურჩქნება კვირტი გამოსული,  
 შენს მზეს ვევედრები ჯერ არ ჩავიდესო,  
 100 წელს გაგიტენდეს, წლების გაზაფხული!

### რომ შემიქლოს დავხატავდი

( გოჩა და მაიკო ჯელიძეებს )

ისეთ სიტბოს მზეს რომ გავდეს,  
 ამ დაძმანში ვხედავ,  
 ძმა დას ეტყვის გულში ნადებს,  
 მასში ხედავს დედას.  
 მკაფიოდ სჩანს ამ დაძმანში,  
 სიყვარული ღვთისგან,  
 მშვიდად სძინავს, მათს“ მაშინ,  
 კარგს რომ ისმენს ძმისგან.  
 ამ სურათს ვი რომ შემეძლოს  
 დავხატავდი ფუნჯით,  
 ათას წლეულს რომ გაეძლოს,  
 გულში ცა აქვთ ლურჯი.  
 დათამაშებს ნათლის სვეტი,  
 ძმას ლამაზს და ჯკვიანს,  
 დას თუ ტკივა ძმას არ ეტყვის,  
 და თუ ეტყვის გვიან.

### ჩემი ქაშისო ♥



### დარდო

დარდო ნეტავი იყო მცენარე,  
 ბაბუნჯერას მინდა რომ გავდე,  
 ერთხელ მეც ვიყო პირმომცინარე,  
 მომავლისათვის საღ ნერგებს ვრგავდე.  
 ნეტავ ქრებოდე, სულის შებერვით,  
 შორს ცის სივრცეში იფანტებოდე,  
 რად მინდა ლექსი თუნდაც შედეგრი,  
 ჩემი მკითხველი იტანჯებოდეს.  
 ან რა გული გაქვს ცდილობ დამტანჯო,  
 არ გინდა ტკბილად მითენდებოდეს,  
 რაზე სულსწრაფობ ქვაზე დამხატო,  
 რად ცდილობ შენით მე რომ ვკვდებოდე!

ერთად და საქართველოსთვის

თათრი გავი



იცოცხლეთ სამარადისოდ,  
 იარეთ წინ და აკეთეთ...  
 გულით შვილებო, ვარდისფრობით,  
 მტერსაც კი გამოაკეთებთ.  
 რაა სიცოცხლე თუ სულში,  
 მზის სხივმა არ დაივანა,  
 იმრავლეთ ამ ჩვენს მამულში,  
 ააცისკარეთ ქვეყანა.  
 ვულოცვავ თენგოს ამჯერად,  
 დაბადების დღეს შვილის ტოლს,  
 სიტყვას არ დაუნერ ვერაფრადს,  
 არ ვითამაშებ დედის როლს.  
 დედა ვარ სულის სალბუნად,  
 განძი ეს ჩემთვის ლოცვაა,  
 ღმერთმა სიმდირედ მარგუნა,  
 რწმენა განა ეს ცოტაა.  
 წარმავალ წუთისოფელში,  
 ერთად იარეთ შვილებო,  
 არ გამარჩიოთ მშობელში,  
 მართლაც შვილივით ტკბილებო.  
 გახსოვდეთ მუდამ ერთი რამ,  
 ვინა ხართ რისთვის მოხვედით,  
 მე თუ მზის კონას ერთად ვკრავ,  
 თქვენა ხართ ხვალის მორბედი.  
 აბა, ერთად და მარადის,  
 საქმით და საქართველოსთვის,  
 მტერს სდიეთ სახლის კარამდის,  
 გამარჯვებით და ბოლომდის!



ატმის რტოსავით გშვენის სინაზე  
 მზის ღიმილის მოჰგავს შენი ღიმილი,  
 დილის ნამივით ამ დღის დილაზე,  
 დედის ფიქრებში, ამოლილინდი.  
 შენი ხმის ტემბრი ბუღბუღლის ხმას ჰგავს,  
 და შენი ცეკვა თეთრ გედს მაგონებს,  
 სხვებშიც დავეძებ მე შენებრ მსგავს და...  
 ჩემი ფიქრების გამონაგონებს.  
 მადლობა უფალს, რომ შენი სახით,  
 შექმნა მზის ფერი სახის ნათება,  
 მხრებს მოგაფინა სინწმინდის შარფი,  
 მთვარე კი გრძობით ღამეს ათევდა!

პოეტიკა

სულით ფაქიზია პოეტები,  
 სულით ძლიერნი და ალაღები,  
 მათთვის ლექსებია მონეტები,  
 მათთვის ლექსებია მანანები.  
 ქალი პოეტები მეგობრები,  
 ზოგიც ბებია და დედებია,  
 ქალი ბრძოლის ველზე მეომრები,  
 ქალი გამძლეობის კედელია.

**სანამ დროა**

მოდი გენაცვალე... მომახარე,  
რომ შენ გააბრწყინებ ხოდაბუნებს.  
შენით ახალ ვაზებს გავახარებ,  
იქნებ ერი სულ არ განადგურდეს.

მოდი პანანინავ ჩემს უბეში,  
წვიმს და გულში უნდა გადაგმალო,  
ციცქნავ, საქართველოს ხარ ნუგეში,  
იქნებ მიწები შენ ჩაგაბარო.

მოდი მოგეფერო, ჩაგეხუტო,  
ღამით ზღაპრებსაც კი მოგიყვები,  
ოღონდ შენ მაინც არ გამებუტო,  
ღარიბს, ნურასოდეს გამეყრები.

მოდი, სანამ დროა, სანამ მზეა,  
თორემ ანგელოზო, განვიმდება,  
მოდი, სანამ გხედავ, სანამ დღეა,  
შენით საქართველო გაბრწყინდება!



**ვის ვესაუბრო**



რამდენი რამე ვისაუბრე შენთან ძირულა,  
რამდენი რამე გავიხსენე ჩემი წარსულის,  
ჩემი ბავშობა ამ ტალღებში მიძირულა და...  
რამდენი მზეა უბედობით ადრე ჩასული.  
ვდგავარ იმ ხიდზე სადაც იყო ჟივილ-ხივილი,  
ვდგავარ მარტოვსა სად წავიდნენ ის ვინც მიყვარდნენ,  
სად არის ლევი, რომ შვენოდა სახეს ღიმილი,  
ძმადნაფიცები მისნაირად როგორ მიყვარდეს.  
სად არის თამაზ, იუზა და ჩემი ბეჟანი,  
ან ამირანი პატარა რომ ხელით დამყავდა,  
დათამ დავგხოცა ეს კი იყო სულის ჟეჟვა და...  
იმ ბედისწერას, მზეჭაბუკი რატომ მიყავდა.  
ვის ვესაუბრო ტირიფებსაც ცრემლი ჩამოსდის,  
დუმს არემარე, უხმაუროდ გლოვობს გარდაცვლილთ,  
ტყუესაც კვირტები ძველებურად აღარ გამოსდის,  
სად ხართ ბიჭებო, მთის კლდეებიც ყვირის დამარცვლით.  
ცელქს და ონავარს ჩემს ბავშობას ისევ შევაძახე,  
ხითხით- ხითხითით, რომ მივდევი ტალღის დინებას,  
შენ ბედ- მსაჯულო, სიცოცხლე რომ ამიძანძახე,  
რომც გარდვიცვალო, არასოდეს მოვალ წვიმებად.

**ქარელში წყარო**

(დავით ალელიშვილს)

მამისეული წყარო ატირდა,  
გარდაცვალების ნისლი ჩამოწვა,  
დავთის სული აქ თუ მოფრინდა,  
ბავშობის ჰამავს წყარო გამოწნავს.  
აქ დარბის მისი უმანკო წლები,  
საქართველო ხომ მისი სახლია,  
მამისეული წყაროს წყლის ხმები,  
ღარდით ერთმანეთს თავებს ახლიან.  
დაო იზოლდა, მოგისამძიმრებ,  
მეც ეგ სიმწარე მომდევს მზითებად,  
წუხს იმერეთიც მიწას ამძიმებს,  
გადავიქეცი ღარდის ზვირთებათ.

გულს დამემატა შენი ტკივილი,  
შენთან შეხვედრას, ველოდებოდი,  
სამძიმარიც კი დარბის კვილით,  
თუმც სულთა კავშირს არ დავშორდებით.  
ირწმუნე დაო, შენი დავითი,  
ისრაელსა და ქარელს დალოცავს,  
მამის სახელის წყაროც განიცდის,  
მის სულს ავედრებს ყველა სალოცავს.  
კვლავ გაგრძელდება ყოფნის ცხოვრება,  
შენ დაბადებას მოგილოცავენ,  
სული კეთილი განმეორდება,  
მერიდიანის ბილიკს მორთავენ!

ყ ე მ მ ე რ ი

ნინო წმინდაო შენ დამიფარე,  
მომეც იმდენი სულს არ მომივდეს,  
რამდენი დარდი გადავიტანე,  
ქარბორბალათი რომ არ შევშინდე.  
შენი იმედი სულ მაქვს წმინდანო,  
მე რწმენის მეტი რა გამაჩნია,  
ვაზსაც სულ მარტო გდავნიდნავო,  
ბედმა ბოროტი თუ გაარჩია.

ქ ა ლ ი



ქალი ტკვიილები მალამოა,  
ქალი სიმშვიდეა სულის,  
ქალი დილაა და საღამოა,  
ქალი ცხოვრებაა სრული.  
ქალი დიდი გრძნობის საუფლოა,  
ქალი სამყაროა დღეთა,  
ქალი მე მგონია ცა უფროა,  
ქალია ღვთისმშობელი დედა.  
ქალი სურნელია, სიმშვიდეა,  
ქალი სიცოხლეა შენი,  
ქალი ოჯახია, სიმდიდრეა,  
ქალი ცას და მიწას შვენის.  
ქალი ვარდია და ყვავილია.  
ქალი ბროწეულის ხეა,  
ქალი დედამიწის ყამირია,  
ქალი დილის ცისკრის მზეა.  
ქალი ამტანია, გამტანია,  
ქალი ერთგულია გრძნობის,  
ქალი რკინაა და მეტალია,  
ქალი გელოდებათ წლობით.  
ქალი ჩვილ ბავშვების აკვანია  
ქალი დედაა და მული,  
ქალი ლიდერია, წამყვანია,  
ქალი ცას და მიწას უვლის.  
ქალი ია არის, ვარდებია,  
ქალი სათუთია, ნაზი,  
ქალი სასიცოცხლო ვადრებია,  
ქალი სიბრძნეა და აზრი!



კვლავ დავლოცავ

ბედისწერის დიდ აღმართებს,  
არა ერთხელ შევერკინე,  
ბედით რასაც გულს დავმართე,  
სჯობდა ძაღლებს დავეკვინე.

ძაღლის სისხლი მექნებოდა,  
დავძიძგინდი კბილით მავანს,  
ძაღლი მაინც მერქმეოდა,  
ახლა ვინ ვარ, ანდა რა ვარ.

შეფენილან ტურა-მგლები,  
მგელი ყველგან დარდიმანდობს,  
მე სიკეთით მიმდის წლები,  
რა ვქნა მე ვერ ვშადიმანობ.

კვლავ დავლოცავ წრფელი გულით,  
ასეთებით გავფხიზლდები,  
ვარ მეორედ გადარგული...  
ხელმეორედ გავიზრდები.

ისევ უფალს ვევედრები,  
კვლავ სიკეთის სხივი მენტოს,  
თუკი წლებით დავბერდები,  
მთავარია ჩემს გულს ვენდო.

ჩემი გულის ყველა ძაფი,  
თრთის სიკეთის მაღლის ფიქრით,  
გავაგრძელებ შრომას ჯაფით,  
მერე წავალ ფრენით იქით!



**შემსვან ვით ტკბილი ბადაგი**

მთმენის გზები ჩავრაზე,  
გულში დავმარხე ცრემლები,  
სიკეთით წლები დავრამზე,  
ტკივილით მონაცრემლები.

ჩამოთოვს ...ნომებერია...  
ფიფქებს მოყვება ყინვები,  
ტკივილი ისეც ბევრია,  
გახშირდა სულის წვიმები.

ვაზი არ უნდა მოყინოს,  
თოვლი არ გახდეს მიზეზად,  
ვითმენ, არავის ეტკინოს,  
არ ამატროს სიმბრებმა.

ყველგან იავარდს ვაგზავნი,  
თუმცა მწყინს არ გავბრაზებდი,  
სიკეთის ქმნაა მიზანი,  
მიყვარან ახალგაზრდები.

მთბინების ძაფს არ ვწყვიტავ,  
ვსანთლა ძაფს ბამბის კანაფებს,  
ვითანდი, ისევ ავითან  
მშვიდობის სანთელს დავანთებ .

ჩემთვის დღეც უკვე ბნელია,  
მაინც სიკეთის მთა დავდგი,  
თუმცა ეს ძალზე ძნელია,  
შემსვან ვით ტკბილი ბადაგი!

**დაგლოცავთ**

ვიცი რომ ძალა აქვს ჩემს ლოცვას  
ისე ვით ენგურის ტალღები,  
გიმღერებთ შოპენს და მოცარტსაც,  
გადამსკდეს დარდების ძარღვები.

დაგლოცავთ მოხუცს და მომავალს,  
ჩიტების გული აქვთ პატარებს,  
ცივ ფიფქებს გავათობო რომ მოვა,  
სიკეთის ნერგებს ვახარებ.

დამკანრეს გული და მტკიოდა,  
თევზივით ვდუმდი და ვითმენდი,  
ბედისგან თუმც გული ტიროდა,  
ტუჩებით დავკნიტე თითები.

დაგლოცავთ, მწვერვალზე იარეთ,  
აგცილდეთ დარდი და ვარაში,  
მოგიჩინეთ ლოცვებით იარებს,  
სიკეთით აგივსეთ მარანი!



**დინჯი პედაგოგი**

სულ საუბრობს ნანა დინჯად  
გისხნის იმას რაც არ იცი,  
წიგნებს ისეც შეემიჯნა,  
ჩემი გულის დასაფიცი.

კერავს, ქარგავს, პედაგოგი,  
წიგნებიც კი მომიქარგა,  
ფულსაც ხარჯავს გამოზოგვით  
ბევრჯერ საკითხზე მიქადაგა.

აცხობს, ქადას, ხაჭაპურსაც,  
ოქროს ხელი აქვს ჩემს გოგოს,  
ბებო ბევრჯერ დააპურა,  
მეფერება თანაც როგორ.

თუ რამ მტკივა წამალს მაძლევს,  
ვით ექიმი მიხსნის ისე,  
ასი წელი ალბათ გავძლებ,  
ფულს არ მოგთხოვს თუ არ მისცემ.

**გულის სიხარულიან მივსაჯ**



სიყვარულს გაუშლია ფრთები,  
ჩურჩულობს ორი გული,  
მხრებზე დაგფენია თმები,  
სახე გაქვს მოსარკული.

შენა ხარ პირველი თაკო,  
ბებოს გაბაფხულის ია,  
მიყვარხარ უნდა გაქო,  
შენი სიყვარული მშია.

გამრავლდი გაფუფუნდი,  
შენი ნიკოლოზის სახლში,  
შვილები ვით მერცხლის გუნდი,  
გყავდეს და ქალი ხარ მაშინ.

მამიკო ციდან გლოცავს,  
დედა თავს გვევლებათ შვილებს,  
მოსავალს ჭირდება მოცდა,  
დაგლოცავთ შვილიშვილებს.

მეუღლეს უხდები ისე,  
ვით დილას დილის სხივი,  
გულის სიყვარულს მივსებ,  
ბებიკოს გულის მძივი!

**ცაში ასეთს მიმელიან...**

გულს არ დავდლი სიბოროტიო  
სიძულვილი მტრის არ ვიცი,  
არ გავხდები გულბოროტი,  
ჩხუბ-კამათით განაფიცხი.

გულს თავისი ისეც ყოფნის,  
უძლურია გული ბედთან,  
ბედი მეც და სხვასაც ჭობნის,  
ან რას იზამს გული ყბედთან.

ახლა გული ჩემს ხელშია,  
გულს შურს როგორ მივაკარებ,  
ზოგი გრძნობის ქარცეცხლშია,  
ზოგსაც ქმარი დაკანკალებს.

გაიხარონ ...მიხარია,  
იზეიმოს მათმა ფუძემ,  
ჩემები კი ცად არიან,  
ბევრი ფიქრობს როგორ ვუძლებ.

მადლის თესვამ მომცა შვება,  
მართლაც ვიცი რას ვაკეთებ  
სანამ ფიქრი გაავდება...  
სანამ ქარი დამაფეთებს.

ვუფრთხილდები სინდისს- ნამუსს,  
ზეცას წავალ ვალმოხდილი,  
როს აქ მინა იწყებს ხრამუნს,  
ვაზი რჩება ტანმოხრილი.

გული ისეც მიილია,  
უბოროტო ნაზ- ფაფუკა,  
ცაში ასეთს მიმელიან...  
მადლი მიმდევს გულს პადრუქათ.

მივუტევე კაცთ მოძულეს,  
არ ავყევი გავეცალე,  
ლოცვას ვგზავნი ყველგან ულევს,  
მიყვარხართ და გენავალეთ!

**გაზაფხულის ფერი**

სული ლაბირინთებს დასთამაშებს,  
სული... ნაზია და ქორფა,  
მთვარე ერთგულებით დაგკაშკაშებს,  
ქალს, ლამაზსა და კოხტას.  
დედავ, ბებიავ და გულით წრფელო,  
ლექსი რომ გწვევია უფლით,  
გლოცავ სიყვარულით რომ დათესო,  
სიტყვა, სამშვენიისი სუფრის.

გელას დაგილოცავ შენს მეუღლეს,  
იცის ხელოვნების ფასი,  
ვაჟკაცს, ძლიერსა და ღვთით მოუღლეღს,  
არის თბილიცა და მკაცრიც.  
გლოცავ, ქალბატონო გაიხარე,  
ზარდე თაობები ბევრი,  
ამ ლექსს სიყვარული დავაბარე,  
თბილი, გაზაფხულის ფერი!

\* \* \*

„ჩემი წილი საქართველო გარეჯშია,  
უდაბნოში გულმხურვალედ გვლოცავს ბერი,  
სამყაროში ყველა ძალა ღვთის ხელშია,  
ნეოფიტეს დაულოცე ღმერთო ერი!

**დავით გარეჯში**

მარადისობის უმანკო სული,  
ლუცი ფერები ჩანდა კანდელში,  
მიმოვდიოდი ადრე წარსულში,  
სიმშვიდე ვპოვე დავით გარეჯში.

უდაბნო თითქოს ზღვას მივამგვანე,  
იშლება სივრცე და იკარგები,  
სიმშვიდე სადაც არავინ გავნებს,  
კლდეებს ეკვრვრები და ექარგები.

სასწაულები ვიხილე თვალით,  
სინამდვილეა, არა ოცნება,

გადავიხადე ტკივილის ვალი,  
ნაიარები ვგრძნობ მიხორცდება.

მისვლას ვჩქარობდი, მიმიხაროდა  
და თთქოს ვფრენდი არ ვიცი რატომ,  
მთას კლდე ეკიდა ხე არ ხარობდა,  
წამოვფედი და კვლავ მისვლას ვნატრობ.

უდაბნო სადაც მხოლოდ ქარია,  
სამლოცველოა კლდეში ნაგები,  
ყურს ჩამესმოდა სულის არია,  
მე შევიგრძენი ძალა განგების!

**სივრციდან გავხედავ**



წყალობა გამომყვა მამაო გარეჯის,  
ვიგრძენი ხელს ვართმევ ცას როგორც მეგობარს,  
თითქოსდა ზეცაში ფეხითაც ავედი,  
სივრციდან გავხედე გარეჯის ხეობას.

მადლობა მინდოდა რომ მეტყვა უფლისთვის,  
რომ გაჩნდი ასეთი მლოცველი მამაო,  
მადლობა იმ წამის თუნდ ამოსუნთქვისთვის,  
დაღამდა ლოცვაში ნოემბრის საღამო.

დამთავრდა წირვა და შემდეგ კი ტრაპეზზე,  
დღე ჰგავდა მზის სხივებს ლამაზ და ბრწყინვალეს,  
ყვებოდი წარსულზე ჩვენს მამაპაზე,  
ლოცავდი ბარსა და მთის ლამაზ მყინვარებს!

**დავით გარეჯი**

მე ეს კედლები მირჩევნია ყველა სიმდიდრეს,  
დავით გარეჯის კლდის კარშია სულის სინძინდე,  
საძირკველიდან სიყვარული ამობიბინდეს,  
სულის შიმშილი გახშირდა და ხელს არ ვინვდიდეთ.

დამშეული ვართ გთხოვ უფალო, მოგვეც საკვები,  
თუ რამ გაგვანდა სხვებს მივეცი დავრჩით მშიერი,  
ბევრიც არ გვინდა, ერთი ლუკმა, თუნდაც საკენკი,  
არ შეიცვალოს საქართველომ სახის იერი.

აი, მოვედი აღსარება ვთქვი და დავდუმდი,  
ნაკლი ვეძებე ჩემს ერში და აღმოვაჩინე,  
წინილებივით დაფანტულებს მტერი დაგვბუნდის,  
გათითოვაცდა საქართველო, გადამირჩინე!

**მხოლოდ ერთი ხე იდგა**

ერთი ხე იდგა მხოლოდ იმედად,  
იდგა გარეჯში ნაზი ტოტებით  
ფოთლის შრიალმა დამამედა,  
სულიერების ნატურმოტებით.  
და მაინც მიწა დარდით კვნესოდა,  
სიცარიელე დაბატონობდა,  
სხვების არ ვიცი მე კი მესმოდა,  
გარეჯს თვით ღწერთი რომ პატრონობდა.  
გმადლობ უფალო ვნახე ბერები,  
ნეოფიტე და მამა ფილიპე,  
იქ სხვანაირად მოსჩანს ფერები,  
იქ სხვანაირად ათბობს დილის მზე.  
უცხო მგზავრით არ ვიქცეოდი,  
საუკუნის წინ მეც იქ ვცხოვრობდი,  
ასე მეჭერა, არა ვცდებოდი,  
როცა ვრძოლობდნენ მტერთან ვომობდი.  
არ მეთმობოდა რომ მოვდიოდი,  
ვნახე გარეჯში რაღაც სართო  
მეც წარსულიდან ამოვდიოდი,  
ასე იოლად როგორ დამეთმო!

**სულის ქორონიკონი**

გარეჯი

*მამა ნეოფიტეს*

ღირსი გამხადე ლექსის მოძღვრისა,  
ლოცვით გარეჯს რომ გულით პატრონობ,  
მადლობა უფალს ეს რომ მეღირსა,  
მეც გეფერებით მამავ ბატონო,  
ნათლის სვეტივით, გულს რომ მიშუქებ,  
ულამაზესი ათინათებით,  
კურთხევა მომეც შევაჩუქურთმო  
მოგართვა ლექსის ამანათები,  
დიდი მადლია, ნატყვიარ გარეჯს,  
დილა- საღამოს მიწა აკურთხო,  
ქართულ სულს იცავ შინა და გარეთ,  
ეშმაკი, რომ არ დაესაკუთროს.  
ვინვალე, სიტყვა ფიქრში გავფილტრე,  
ვწუხ, ეს კალამი რას ჭირვეულობს ,  
მსურს მოგეფერო, შენ ნეოფიტე,  
უფლის თვალივით გამორჩეულო.  
მიიღე ლექსი გულში ნაძერწი,  
სულ მთლად უბრალო, მცირე სტრიქონი,  
ლექსიც არაა რაღაც ნაწერი,  
მიიღე სულის ქორონიკონი!

მოქმედი ნება


(ეთო და მარი)

გადავითვერი, შევიგრძენი სიცოცხლის ფასი,  
ეთოვ და მარი, საქართველოს სურნელი აგლით,  
თქვენ შემოგველეთ, სიყვარულის სასმისი მასვით,  
დღე გამითენეთ... წმინდა ნინოს ღთიური მადლით.

გამოიღარა, წვიმის შემდეგ დღე ამზიანდა,  
ათინათებით გადაბრწყინდა კვლავაც საწუთრო,  
შემომეშველეთ, თორემ ისეც დამაგვიანდა...  
მომეცით ნება სამუდამოთ მიგისაკუთროთ!



ფიქსაც




მე შენით ვცოცხლობ ცამეტი წელი,  
გელერსები როგორც შვილს ისე,  
ეს სიყვარული ისეა წრფელი,  
როგორც ზეცაში უფალი ქრისტე .  
„ათინათს“ შენი მადლი მფარველობს,  
და შენი ძალა გონს და ნიჭს იცავს,  
ნინონმინდაო, გულის მთაველო,  
შენს ხატს არ შევცვლი ალაღად გფიცავ.  
ბევრჯერ მანვიმდა და თოვდა კიდევ,  
ბევრჯერ თვალიდან ცრემლებიც წამსკდა,  
გზად შევეყარე უვიცს და ფლიდებს,  
გაუძელი და გული არ გასკდა.  
ხალხს ვემსახურო ვარ მზადყოფნაში,  
რწმენა ყოველთვის მომადლიერებს,  
როს მახვდრებენ დარდს და შფოთვაში,  
ისეც სიკეთე მაბედნიერებს!

ცელი ვერხვები

ხან შელამდება ავდრით საწუთრო,  
ხან ენძელებით ასურნელდება,  
რწმენით გული რომ დაისაკუთროთ,  
ქარი არასდროს გასულელდება.  
ყველგან სიმშვიდის ხმები ისმოდეს,  
წუთისოფელში რაა საუბრო,  
ბოდბელ ანასგან ბოდბეს იცოდნენ,  
პოეტები, რომ ღმერთთან ვსაუბრობთ.  
მოსწავლებთან ჟღურტულ-ჟღურტულით,  
დროს ატარბდა ცელი ვერხვები,  
დარდი გაბრუნდა ბურდლუნ- ბურდლუნით,  
დაჭიჭიკობდნენ ჩვენს წინ მერცხლები!



## არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი  
(მირიან იორამაშვილი)

### დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა

*უწმინდესს*

ღვთივკურთხეული სიციოცხლის ენა  
და სხივკამკამა მარგალტები...  
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,  
იყავით მცველად ჭეშმარიტების.  
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,  
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...  
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,  
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...  
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,  
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელეებით  
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ  
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.


2001წ. 1 აპრილი

\*\*\*

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,  
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,  
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ  
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –  
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით  
საკვირველნი და ელვიანები...  
და უცნაური მაინც ის არი,  
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,  
ამ წამის ყოფა წუთისოფელში  
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...  
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე  
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

### სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის  
ლამაზ თვალებს ახელს,  
ბეცის წიგნი სიციოცხლის  
ჩაწერს უკვდავ სახელს.  
იგი მარადისია,  
ბეცის წიგნი ტკბილია,  
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,  
უწმიდესო ილია.  
უწმიდესო ილია,  
ცით ნაკურთხო მეუფევე!...  
ლოცვა აღვლენილია,  
მამულს მადლი შეუქე...  
ქართველს შვილად მოსულხართ,  
იმის სინდის-ნამუსად,  
ხატებრ ეალერსებით,  
ენასაც და მამულსაც...  
შუქი ოქროფენილი, –  
მამულის მთებს აანთებს,  
თქვენი სიბრძნის წერილი  
მომავლის გზებს ანათებს.  
წუთისოფლის სიმძიმე,  
თქვენი ღვაწლით ძლეულა,  
დაგიბრუნებთ უფალი  
ნაღვაწს ათასეულად...  
... ხამდა ქება ციერთა,  
არა ცოდვილ ენითა,  
ჟამი განათლიერდა,  
თქვენი დიდი რწმენითა.



ბეჟან ხარაიშვილი



\*\*\*

ისევ გინატრე ყვავილობისას,  
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემლო...  
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,  
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!  
და შორეული მგზავრით დაღლილ  
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –  
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან  
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...  
ჩემი გულივით გელის და ღელავს,  
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი  
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,  
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.  
მე იანვარში დავბადებულვარ  
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბალი ვნახე და სიზმარი ერთად  
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,  
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,  
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!  
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად  
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...  
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი  
მინდურის ოხშივარს ეტანებოდა!  
– გონს მოლით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,  
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,  
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდელან

ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.  
– არაყს მოველით;  
ცის ნამს ვილა სვამს,  
გოიმებად და შტერებად გთვლიან,  
– მეც მოდას მივდეგ! მოდი, მაკოცე –  
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!  
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,  
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.  
შევეხე ვარდს და...  
ბოლო კი დარჩა –  
...ეს შენ იყავი...

\*\*\*

ცა რომ მტრედისფერობს,  
ტყე რომ ფერი-ფერობს,  
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,  
ბუჩქთან ჩამოვწვები  
სადმე ცვარიანში  
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!  
უბეს გამიქექავს  
ქარი თიბათვისა,  
გულში ჩამეტკობა პირველყოვლის,  
რითმებს გამოაკრთობს  
წვეთთა სინაზეში  
და მზით გადაფერავს  
მწვანე მოლი,  
წყარო სისხლს გადუსხამს  
ღელის ცისფერ ვენებს

და ძმას ჩაეხვევა  
ძმადნაფიცი,  
ამ მთებს ვენაცვალე,  
ამ ტყეს ვენაცვალე,  
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!  
ერთი გაიხედე ქარი რა ღღეშია,  
როგორ გადალოკა არე-მარე,  
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები  
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!  
რტომან შინდებისამ იყვავილა  
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,  
გული სამარეშიც იმზიანებს,  
გული სამარეშიც ამღერდება –  
ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა,  
ჩვენში ასე იცის გათენება!





ავთანდილ შალვაშვილი

\*\*\*\*

იმდენად კარგად  
 გიცნობდით  
 წლებს შვეაბერდით  
 მგონია,  
 კაცურად, სუფთად  
 ვიცხოვრეთ,  
 როგორც მინამდე  
 თოვლია.  
 ვდავობდით, უმსგავსობებზე  
 ბევრჯერ ვართ  
 "ანაცრელები"  
 ნახვედი გული  
 გვატკინე,  
 ღვარად გვადინე  
 ცრემლები.  
 იქაც კაცები  
 გელიან  
 იქაც გვყავს ჩვენ  
 ძმაბიჭები,  
 მიხვალ და გიმასპინძლებენ  
 სავსე ექნებათ  
 ჭიქები.  
 ვიმღერებთ სანამ  
 აქა ვართ  
 შენ აქ ბანს ვეღარ  
 აგვიწევ,  
 მოვალთ და მოგვეფერები,  
 მასპინძლობასაც გაგვიწევ.




მერაბ მელუა

**ქსაროშტი**

მეგობარს  
 სადღაც შორს ვაცი მარტოობის,  
 ბურანში თვლემს და  
 დარდებს აყოლებს უცხო  
 ქარებს მოსულს სარკმელთან,  
 ასე მგონია მეგობრებსაც გვესაუბრება,  
 გვიყვარდა, მაგრად ვჭეიფობდით  
 ღამით სანთლებთან.  
 ჩვენ ხომ მთელი გზა ცხოვრებისა  
 ერთად ვიარეთ,  
 რამდენი ლხინი გაჭირვება  
 ერთად გავლიეთ,  
 რამდენი ტკბილი მოგონების  
 და ჩვენი ძმობის,  
 ქართულ სუფრასთან სადღეგრძელო  
 ერთად დავლიეთ.  
 მერე ხომ ერთად გავატარეთ  
 რამდენი წელი,  
 და გვახსოვს როგორ ვსაუბრობდით  
 ყველა ტკივილზე,  
 ღამეს ვათევდით ვსაუბრობდით  
 მაინც გვიჭირდა,  
 განშორება და დაშორება მამლის ყვილზე.  
 ვალდებულებებს არასოდეს შენ არ ღალატობ,  
 ნაღდი ქართველი გულიანი ვაცი საჩვენო,  
 რა ვუყოთ მერე ეხლა გტკივა უნდა გაუძლო,  
 მაგ შენ ტკივილსაც მაგალითი უნდა აჩვენო.


**მომენატრა**

ახლა ნეტავ ისე ვიყო,  
 ნეტავ ახლა ის დრო  
 იყოს,  
 კარგად იყოს ის ძმაკაცი,  
 ის ძმაკაცი "ბორიალა"  
 ნეტავ მეც კარგად ვიყო  
 და  
 ისევ ისე ძველებურად  
 ვსვამდეთ გამთენიამდე  
 და  
 ისევ ისე სიყვარულით  
 წარსულში გვაბოდილა.



გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

## ყვითელი ფურცლები



ცაში წასულის უკვდავება მისი გახსენებაა. სული არაფერს არ ითხოვს, დანატოვარის ვალია გაიხსენოს ისე როგორც შეუძლია. ათასნაირი ფორმები არსებობს გახსენების. კალმით ან სიკეთის და მადლის გაცემით. ხაშურის რაიონი სოფელი წაღვლი, ჩემი სოფლის პარალელური სოფელია. ამ სოფელში ძალიან ბევრი ჩემი საყვარელი ნათესავები ცხოვრობენ. კილაძეები ხომ ჩემი დაიკო ანერის შვილებია. მათი წინაპრის ფესვებია. კილაძე ხომ ჩემი უძვირფასესი სიძე იყო, ანერის მეუღლე გუჯა კილაძე. როცა ფეისბუქზე, რამე ახალ ლექსს ან პატარა ცხოვრებისეულ ეპიზოდს დავდებდი, ქალბატონი თამრიკო ჩემს მიმართ თბილ და განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა და ეს ახლაც ასე მეორდება. მესენჯერში შევხვებოდი. მითხრა, რომ რუსთაველი ცხოვრობს და წაღვლიდან ყოფილა წამოსული. საუბარს შევყვებით. მიყვარს პოეზია ამბობს თამარი და მის სიტყვებში წაღვლის განცდა შევნიშნე. მამაჩემი ცნობილ პოეტებთან მეგობრობდა. გალაქტიონ ტაბიძე, ირაკლი აბეშაძე და სხვები, მის პოეზიას პატივს ცემდნენ. ვთხოვე, რომ ლექსები გადმოეგზავნა. დაფიქრდა ...


მერე კვლავ განაგრძო, სამწუხაროდ ხელიდან ხელში გადატანა-გადმოტანით გაიფანტა. რაღაცა კი არის ყვითელ ფურცლებზე შემორჩენილი. ლექსები სურათების სახით გადმომიგზავნა. გამიჭირდა ტვითელ ფურცლებიდან ლექსებისთვის სრულყოფილი სახე მიმეცა და პოეტის სული, რომ არ ამეწრიალებინა, ასე ჩავთვალე საჭიროდ. იყოს ეს ყვითელი ფურცლები ჟურნალ „ათინათში“ ამჟამად კი ფეიბუქზე ვდებ. ვინც იცნობდით იასონ კილაძეს შეეხმინეთ მის სულს. ქალბატონმა თამარიმ ისიც მითხრა, რომ ვარპე მუმლაძესთან გაზეთში იბეჭდებოდაო. ამ ყვითელ ფურცლებს არ შევხე, რადგან ავტორისია და იქნებ ისე ვერ ამომევიტოხა, როგორც ავტორს ჰქონდა ესა თუ ის სტროფი და ასე ვამჯობინე. პოეტი ცოცხალიც ზეცაში ცხოვრობს, ფანტაზიით და რეალიზმით. ახლა პლატონის სული ჟურნალ „ათინათში“ გადმოინაცვლებს და საქართველოს ახალი წლის შემობრძანებას მიულოცავს.







Լեւոնգիւր հիշի ~~հիշի~~ թիւ  
ընթացքը ըստ Զ-ձևիքը ստանճեցար.  
52/-1263370-50 ~~...~~ 2022



Ընդ. Եղեր Գրուր Ընթացքը  
Սեւճոտ Ժնն Կըճստ  
Կսս սեւճոտ 3 ո մս 1000-ոտ Ժնն 357ԺՍԵ  
Ժճոտը Դն Դեւեո Զսեթճեւե. Գոյի սճո  
Յճ Եսեր 357Ժ3 ~~...~~ Եսերի Դճոյի

Եւրոյս Եղերի Զրչի Եոճո  
Ես ուեյեո Զսիչի Զոճո  
Դեւ Ես Զոեւեղ ուրսեւ  
Գեւ Ես Զրչի Զեւեւ Եեւեւ  
Սոճեւեւ Զեւեւ Եսերեւ  
Սի Զսիւեւեւ Զեւ Ժճեւեւ  
Դսսեւեւ Զեւեւ Զեւեւ Եսերեւ





ჰაატა მახარაძე ლიტერატურული ფსევდონიმით "ბართოლომეო" დაიბადა 1971 წლის 13 თებერვალს სოფ. ნატანებში. დედა - მუსიკოსი ეთერი კვერდელიძე, მამა- ინჟინერი რომან მახარაძე.

პროფესიით იურისტი, პოლიციის პოლკოვნიკი ჰაატა მახარაძე, მთელი თავისი ცხოვრება შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, ბოლოს საექსპერტო კრიმინალურ დეპარტამენტში განყოფილების უფროსად. ბართოლომეოს ჰყავს მეუღლე - ნინო ქაჯაია, ორი ვაჟი- გიორგი და ლუკა მახარაძეები, და-ყველასთვის ნაცნობი მევიოლინე ბელა მახარაძეა.

არის 3 წიგნის ავტორი: 2006 წელს მისი პირველი "ლექსები" ს კრებული" დაიბეჭდა.

2009-ში "გარიგება სიკვდილთან" და პოეტის გარდაცვალების შემდეგ, 2022 წელს გამოიცა პოეტის შემოქმედებითი კრებული "ხილვა",

ჰაატა მახარაძე (ბართოლომეო) 2021 წლის 6 სექტემბერს ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა.

## ბართოლომეო

### უ ფ ა ლ ო

ყველაფერი, რაც კი შემეჩმნია

- შენთან უფალო,

ყველა მარცხი, რაც კი განმიცდია

- ეშმაკსაც ნაუღია,

ყოველი სიკეთე, რაც კი გამიცია

- შენთვის უფალო, საქმე ცუდ-მრუში, რაც კი მიქმნია

- ბოროტს აუღია,

სიბრძნის აზრფორმა, რომელიც ნათელია - შენგან მიმიღია,

ხარბი გულისთქმა, რომელიც ბნელია

- ჯოჯოხეთს გაუღია,

თესლნი უბინონი, რომელიც წმინდაა

- სამოთხეს მიუღია,

ხახა უმეცართა, რომელიც ბოღმაა

- ბნელეთს დაუღია,

მადლი სათნოთა, რომელიც დიდებაა

- შენია უფალო,

ღვარძლი უჟმურთა, რომელიც ცოფია

- სენია უალო.

### ლ ო მ ე ა

უფალო ძალა მომეცი სამყარო შევკრა ერთობად,

შენი ნებით და განგებით ვახორციელო ერთხმობა,

განვაფიქრო არსებით უსიცოცხლო თუ ცხოველი,

გეგმით ვაშენო სისტემა და აღვამაღლო ყოველი;

უფალო, სიბრძნით აღმავსე, რომ სიყვარული ვაფრქვიო,

სილამაზე და მშვენება შემოქმედებათ ვაქციო,

ავალორძინო სიკეთე და ჰარმონიით შევამკო,

შენი სახელი ვადიდო, იერარქიით შეგაქო;

უფალო ცოდნით გამჭვალე და განმანათლე თვისებით,

ჭეშმარიტება მომმადლე სულისა წმინდის ღირსებით,

მასწავლე შენი კანონნი, სჯული და მეცნიერება,

რომ განვაფრცო... და ირგვლივ მყოფთ მოვფინო ბედნიერება.

### ი მ ა ვ ი

ღმერთმა თუ მოგცა ტალანტი,

რად ხარ უნიჭო მელაო,

რად ართმევ, ან რად იპარავ?!

ისეც შენია ყველაო.

ნუ გეშინია მოყვასის,

მიეცი მისი კვერაო,

მოგიბრუნდება მეტს მოგცემს,

არ დაგჭირდება კბენაო.

სიკეთეს თუკი დათესავ,

სიკეთით მოიმკებაო,

სხვისი ნდობა და გულება,

არასდროს მოიკლებაო.

გაიგე, ყველა ღვთისაა,

განწმიდღე ხარბი გონება,

გული მიეცი სიყვარულს,

ნუ გინდა სხვისი მონება.

შეიცან! ნუ შეგეშლება,

ცხვრისტყავმოსილი მგელია,

მხეცია, ვერას დააკლებს,

ტურა ან თეთრი მელია.

**მ ს ა ჯ უ ლ ი**

მე ღმერთს შევპირდი და ალბათ შენაც,  
რომ დავანგრევი ყველა დოგმატიზმს,  
თავისუფლებას მომცემდა სცენაც,  
შევაჩერებდი ბედის დრამატიზმს...

ვერ ვიტან როცა მზლუდავენ რამით,  
მაღიზიანებს შიშის ნიღბები,  
ჭეშმარიტებას ვღებულობ ღამით  
და რეალობის მომდის ხილვები.

არასდროს არვის ვუძვრები სულში,  
არ ვიხედები ვინმეს რვეულში,  
არ ვძირავ, - გავცემ, და - ვესვრი გულში,  
მარილს არ ვუყრი დაჭრილს რღვეულში.

სულ არ ვკითხულობ ვის და სად უყვარს,  
არ ვაკრიტიკებ ვინმეს ცხოვრებას,  
თუ კი დაცემულს ზეცა არ უხარს,  
არ დავუპირებ არსის ცხონებას.

მორალს ვერ ვხედავ-გავტეხო სქემა  
და ვითათურო ხელით გრძნობებში,  
ჩემთვის სინშიმდე არის ის თემა,  
რასაც ვერასდროს ვნახავ ცნობებში.

თავისუფლება ასე თუ მიჩანს,  
სხვის პირადულსაც მივაგებ პატივს;  
და თუ სამყარო მიცავს და მიტანს,  
შენ რატომ უნდა მღვენიდე პასივს?!

**რა გვჭირდება ხსონებისთვის?**

ვისაც, სადაც, რაც კი უნდა,  
ის აკეთოს, ოღონდ გულით,  
აბსოლუტურ გონებასთან,  
ნებითებრი უსაზღვრულით;

სულიერი ჰარმონიით,  
სინშინდით და სათნოებით,  
სიყვარულის აღზევებით,  
სიბრძნიერი სასოებით;

სიკეთით და ერთგულებით,  
უანგარო მონყალებით,  
მოფერებით, მიტევებით,  
მტერ-მოყვასის შეწყნარებით;

შემოქმედის თვისებებით,  
მარადისის აქსიომით,  
სინთეზით და ნეტარებით,  
მშვიდობით და არა ომით;

- მგონია, რომ სულ ეს არის,  
რაც გვჭირდება ცხონებისთვის,  
სამოთხეში მკვიდრობისთვის,  
მადლმოსილი ცხოვრებისთვის.

**გირჩევთ მოეგოთ გონებას!**

ეშმაკის მოციქულებო,  
აპოკალიფსის მსხვერპლნო,  
ქვეყნიერების მმართველნო,  
ამბიციების კერპნო;

სიმდიდრის მომხვეჭელებო,  
სიამეების მძებნო,  
გულქვათა მქადაგებელნო,  
დაბრმავებულთა მწყემსნო;

მფლირდთა და ქურდთა მფარველნო,  
პატიოსანთა მკვლელნო,  
გარყვნილთა მამებელნო  
და უბინოთა მღვენნო;

- გირჩევთ: მოეგოთ გონებას,  
გააკონტროლოთ ვნება,  
მოუსაღბუნოთ ცხოვრებას,  
ცხრა ნეტარების მცნება;

გულით აკეთოთ სიკეთე,  
სულით ადიდოთ ღმერთი,  
რწმენით განკურნოთ სიკეთრე,  
ცად აღადგინოთ მკვდრეთი;

განვითარების პროცესში,  
ფუძედ დაიდოთ სიბრძნე  
და სათნოების პროგრესში  
განავრცოთ დრო და სივრცე.

**ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი**

მე შენს სულს ვეტრფი ჩემო ნათელო,  
მე შენს სამშვინველს ვეალერსები,  
ფიზიკურად რომ ვერ მოგეფერე,  
სწორედ მაგიტომ ვწერე ლექსები.

როგორ მინდოდა შენც რომ გაგვეო  
მარადისობის უკვდავმყოფობა,  
რომ დრო ქვეყანას სივრცით აკნინებს  
და მასში ზეობს ავადმყოფობა.

მხოლოდ სიყვარულს შესწევს უნარი,  
მოკვდეს-იცოცხლოს მარადიულად,  
გასცეს ყოველი რაც გააჩნია  
არ მიითვისოს პარაზიტულად.

მხოლოდ სიყვარულს ძალუძს ყოველთვის  
აღმატებული იყოს ბუნებით,  
იხაროს სხვისი კეთილდღეობით,  
ყველა აღავსოს გულის კურნებით.

მხოლოდ სიყვარულს უნდა ერთობა  
დედამინათა ყველა არსების,  
მზის სისტემათა, გალაქტიკათა,  
მთელი სამყაროს შრეთა გარსების.

2019 წ.

# პროზა



რევაზ მიშველაძე

## წამება

რომანი

(გაგრძელება,

დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28, 29, 30, 31, 32, 45-ში)

\*\*\*

ხუანმა იცოდა, რომ მისი წინაპრები საპრასიიდან დაახლოებით სამიათასწვიდასი წლის წინათ ჩამოსახლებულიყვნენ ესპანეთში. გადმოცემით ისიც ჩასწვდენოდა ყურში, რომ ჯორჯონელთა გვარი ერთ დროს საპრასიის სამეფო გვარი იყო. ეს იყო და ეს. ხუანი საპრასიაში არასოდეს ყოფილა. იქაურს არავის იცნობდა. კარგად არც ის იცოდა, სად მდებარეობდა საპრასია, საპრასიულ ენაზე ერთ სიტყვასაც ვერ გეტყოდათ და, საერთოდ, პირველად ხედავდა ცოცხალ საპრასიელს, ისიც ერთს კი არა – სამს.

ხუან ჯორჯონელმა ველოსიპედის თვალი დაატრიალა. მერე ჩვრით ხელები შეინმინდა. იქვე, ეზოში, ძველთაძველი დაშლილი მანქანის სავარძლისკენ მიუთითა სტუმრებს. როცა ოთხივენი ესპანური ცაცხვის ქვეშ ჩამწკრივდნენ, „მალბორო“ დაადრო, სამივეს მიანოდა, სანთებელა გაატკაცუნა და პირველსა და მეორე ნაფაზს შორის დინჯად ჰკითხა საპრასიელებს:

– რამ შეგანუხათ, ბატონებო?

საუბარი, რასაკვირველია, ესპანურ ენაზე მიმდინარეობდა. კარგი მოესპანურესთვისაც კი ძნელად გასაგები, მიმიკაჟესტნახმარებული,

ტვინსამტვრევი და ენის გასატეხი ესპანური სამიდან ერთმა ღვთისავარ ვერონელმა იცოდა.

– ჩვენ ისა... არ გაგიკვირდეთ. გაიგონებდით, საპრასია გათავისუფლდა. მეფობა უნდა გთხოვოთ.

– რისი მეფობა? – წარბები უფრო ზემოთ აუხტა ხუანს, ვიდრე მოულოდნელობისგან გაკვირვებულ ადამიანებს მოსდით ხოლმე.

– საპრასიის. თქვენ ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ხართ. უარს ნუ გვეტყვიით.

– კი მაგრამ... მე ხომ საპრასიაში არასოდეს ვყოფილვარ... თანაც მე აქ ჩემი ბიზნესი მაქვს, ორას ველოსიპედს ვაქირავებ.

– თქვენ ოღონდ თანხმობა მოგვეცით და ეს ყველაფერი მოგვარდება. საპრასიის მეფე უზრუნველყოფილი, უფრო სწორად, ხელმომართული იქნება. საპრასია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანაა.

– მეფობა მეფობად, მაგრამ მე სხვის ხარჯზე არასოდეს მიცხოვრია. მე... ერთი პატიოსანი ესპანელი ვარ. ველოსიპედების გამქირავებელი პუნქტის გახსნა აქ იოლი არ არის... თანაც მე აქ... როგორც ხედავთ, სახლი მაქვს... იქ... საპრასიაში, სად უნდა ვიცხოვრო... ცოლი მყავს და ქალიშვილი – ხუანიტა.

– თქვენ მეფე იქნებით. ერთმპყრობელი. სასახლეში იცხოვრებთ მეფურად... თქვენი მეუღლე დედოფალი იქნება. თქვენი ქალიშვილი პრინცესა... ესეც არ იყოს, თქვენ სამშობლო გიხმობთ... ტახტი გელოდებათ... სხვა არა იყოს რა, ეს თქვენი პატრიოტული ვალიც არის.

ბოლო სიტყვებმა მაგიურად იმოქმედა, ხუანი დათანხმდა. უხერხულია უარის თქმა, ხალხი ერთსულოვნად მელოდება. ბოლოს და ბოლოს, გამოვცდი, ერთი, რა ბედენაა მეფობაო.

მეორე დღეს ველოსიპედების გამქირავებელი პუნქტი ახალ მენეჯერს ჩააბარა მოგების ოცდაათი პროცენტის უფლებით. სახლი თავის ცოლისძმას დაუტოვა და დარბაისელთა სამეულს საპრასიაში გაჰყვა.

აღარ შევუდგები იმ აღფრთოვანების გადმოცემას, რაც საპრასიელებმა გამოხატეს, ორმოცსმიღწეული, შავუღვაშა კობცაღამართული მეფე თვითმფრინავის ტრაპიდან რომ დაეშვა.

არც მეფედკურთხევის ცერემონიალის აღწერით გადავლელი თქვენს ყურადღებას.

დავინყებ იმით, რითაც ხუან ჯორჯანელმა დაინყო, როცა ეიფორიამ გაიარა და კუნძულის მეფის უზარმაზარ კაბინეტში სამეფო საქმიანობას შეუდგა.

მეფეს დილიდანვე მისთვის სრულიად გაუგებარ, საპრასიულ ენაზე შედგენილ ქალაქებზე ხელს აწერინებდნენ. ქალაქები ბალათერ გარეკილს შემოჰქონდა მტკიცე ნაბიჯით და მედიდური ღიმილით.

რა არის, რა ქალაქებია, რაზე ვანერ ხელსო, თარჯიმანს ახედავდა მეფე. თარჯიმანი ბალათერს შეავლებდა მზერას, ბალათერი მშვიდად პასუხობდა: არაფერი, მიმდინარე საქმეებია, დანიშვნები და რუსეთის დაბომბვის საწინააღმდეგო ნოტებიო.

ველოსიპედს როგორ უყურებენ საპრასიაშიო, თუ იციან, საერთოდ, ამ კეთილშობილი, უსანვავო ტრანსპორტის არსებობის შესახებო, ჰკითხა თავის „მარჯვენა ხელს“ (ქალაქებზე ხელმონერების დარგში) ბალათერ გარეკილს მეფემ, როცა ორასოთხმოცდამეშვიდე დანიშვნას ხელი მოაწერა.

არა მარტო იციან, ჩვენთან ველოსიპედი გასული საუკუნის (ე. ი. XX საუკუნის) ათიან წლებში პირდაპირ ჩინეთიდან შემოვიდა. იმ დროს, რასაკვირველია, იგი ნოდებანართმეული, მაგრამ ჯერ კიდევ პენშერჩინილი (ოქტომბრის რევოლუციამდე) ერთი მუჭა თავადაზნაურობისათვის იყო ხელმისაწვდომი. გლესს ველოსიპედს ვინ აღირსებდა. ჩვენი თავისთვის

ვერ გვიპატიებია, რომ დიდ პოეტს ვაჟაფშაველას ქართველმა ერმა ერთი ველოსიპედის ფული ვერ შეუგროვა, რათა „გველისმჭამელის“ ავტორი ჩარგლის მთებიდან „ივერიის“ რედაქციამდე ველოსიპედით დაშვებულიყო. მერე რევოლუციამ სისხლისმწოველი მდიდრები, მოგეხსენებათ, ველოსიპედიდან ჩამოსვა და ცნობილი რევოლუციონერი კამო სწორედ ბურჟუაზიისგან წართმეული ველოსიპედით დაიღუპაო. ახლა მთელ (აფხაზეთსა და სამაჩაბლოს თუ გამოვაკლებთ) საქართველოში ველოსიპედი დიდ პატივშია. განსაკუთრებით ქალაქ სამტრედიასა და მის შემოგარენში სარგებლობენ მისი სიკეთით. სამტრედიაში უველოსიპედო კაცს კაცად არ თვლიან და ცოლის შერთვაზეც უარს ეუბნებიან, რაც შეეხება დედაქალაქს, შესანიშნავი ველოტრეკი გვაქვს, სადაც საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებებიც კი იმართებაო.

სახეგაბადრული ისმენდა მეფე ერთგული ვეზირის ამ სიტყვებს. ქალაქებზე ესპანურად რამდენიმე ადგილზე ჩაინიშნა „სამტრედია“. ადგა, კარადა გამოალო, ჯერ სამეფო გვირგვინი დაიხურა, მაგრამ სწრაფადვე მოიხსნა და კარადაში მარჯვნივ, ღრმად შესწია, მერე ესპანეთიდან ჩამოყოლილი, გრძელკეპიანი ჯინსის ქუდი მოიგდო თავზე და ბალათერს სთხოვა: თუ კაცი ხარ, ველოტრეკზე მიმიყვანეო.

მეორე დღეს ჩარჩოხელშეკრულების შესათანხმებლად ჩამოსულ სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მთელი დღე ხუან ჯორჯონელი საპრასიელი ხალხის მაღალ საველოსიპედო კულტურაზე ელაპარაკებოდა. მართალია, მოუვლელია, ალაგალაგ ფიცარნაგი აყრილია და სასწრაფო რემონტს საჭიროებს, მაგრამ ზომიპარამეტრებით საერთაშორისო სტანდარტებს მისადაგებული ასეთი ველოტრეკი, ჩვენ რომ გვაქვს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანას არ მოეძევაო.

სპარსელს ველოსიპედის პრობლემები, ეტყობოდა, ნაკლებად აღელვებდა, მაგრამ იგი აღმოსავლური დიპლომატიის მომარჯვებით, ღიმილგაუხრელად უქნევდა თავს ველოსიპედისტ მეფეს და შიგადაშიგ ჩარჩოხელშეკრულებას შეახსენებდა, თუმცა მინისტრმა მეფე, ხელშეკრულების საკამათო პუნქტებისკენ ვერა და ვერ მიახედა.

მიუხედავად ამისა, საღამოს რვა საათზე ოპერატიულობით და სიზუსტით გამორჩეულმა პირველმა სატელევიზიო არხმა საპრასიას (და ვინ იცის, იქნებ მთელ მსოფლიოსაც) აცნობა, რომ სპარსეთთან ჩარჩოხელშეკრულების შესახებ გამართული მოლაპარაკებების მეცხრამეტე

რაუნდი ფრიად შედეგიანი აღმოჩნდა.

მეფემ სხვა მრავალთან ერთად საპრასიელი ხალხის ერთი თვისება არ იცოდა – თანამდებობისადმი საპრასიელთა ცეცხლოვანი დამოკიდებულება. დანიშვნებს რომ ხელს აწერდა, იგი ფიქრობდა: სულერთია, მე აქ არავის ვიცნობ, ჩემ ჩამომყვან დარბაისელთა პატიოსნებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა არ დაიქცევა, თუ ერთმა უცნობმა მინისტრმა ვერ გაამართლა, მოვხსნი და მეორე უცნობ მინისტრს დავნიშნავო.

დანიშვნათა გამოქვეყნების მეორე დღეს ტრადიციების ერთგული სამეულიდან ერთმა – შანშე შირაზელმა ითხოვა აუდიენცია.

ასე როგორ შეიძლებაო, კარებშივე ალაპარაკდა შანშე შირაზელი, თქვენ შეცდომაში შეგიყვანესო. ჩვენ ისედაც უფსკრულის პირას ვიდექით და ახლა, ამ წამიდან შიგ უფსკრულ-წკვარამში მივექანებითო. სამონადირეო ველების მინისტრად ჩქვამელის დანიშვნა როგორ შეიძლებაოდა, სახლში

ავსტრალიური ავაზა ჰყავს, რომელმაც ამ ექვსი თვის წინათ მისი ბავშვის მათემატიკის მასწავლებელს თითი წააკვნიტაო, რკინაკავეულის დეპარტამენტის უფროსად ჯგენია ვინ ოჯახდაქცეულმა შემოგთავაზათ, შარშანწინ მაგ ვაჟბატონის საქმეს სახელმწიფო სესხის დაუბრუნებლობის თაობაზე საგანგებო კომისია იძიებდაო. რუნაკადულთა სამინისტრო რომ შეუბღებელს ჩააბარეთ, შარშან მეორე ცოლს გამოირდა და საყვარელთან გაუფორმებელ ბინაში ისე ცხოვრობს, რომ ის საყვარელი ქმარს არ გაყრია, როგორც წესი და რიგიაო. შალბამბეულის სამინისტროს გირჩიანი როგორ მოუფელის, მაგ საცოდავს კუდუსუნში თმა აქვს ჩაზრდილი და წელიწადში საშუალოდ ასოცდაცხრაჯერ მაინც პროქტოლოგის წინ დგას ოთხზეო...

რომ აღარ გავაგრძელო, სამსაათნახევარი ილაპარაკა შანშე შირაზელმა და მეფე ხუან მეთოთხმეტე ჯორჯონელის საკადრო გამწესებებიდან ქვაქვაზე არ დატოვა.

უსმენდა მეფე გაცხარებულ საპრასიელს და თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა, მეფობაზე რომ დათანხმდა, მაგრამ ახლა უკანდახვევის და წუნუნის დრო არ იყო.

ხუანმა იმდენი კი იცოდა, რომ სიმართლე არ უნდა ეთქვა და „საკადრო მშვენიერებანი“ მისი ნამდვილი ავტორისათვის ბალათერ გარეკილისათვის არ უნდა გადაებრალეზინა.

– ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან, ბატონო

შანშე, – მეფემ ქალაღდების გროვა განზე გასწია, – თუ იცით, რომელი ველოსიპედი უფრო ადრე შექმნეს – ერთბორბლიანი, ორბორბლიანი თუ სამბორბლიანი?

შანშემ ოფლი მოინმინდა. მეფეს განამებული მზერა შეავლო და კაბინეტი უხმოდ დატოვა.

\*\*\*

ამ ნოველის ავტორმა კარგად იცის, რომ წიგნს დღეს მკითხველის ის კატეგორია იღებს ხელში, ვისაც სტრიქონებს შორის ამოკითხვის უნარიც აქვს და ფანტაზია იმდენად განვითარებული, რომ ბოლომდე დანვრილებით მოყოლას არა და არ საჭიროებს.

ამიტომაც, გავკადნიერდები და ვთხოვ ჩემს სულგრძელ მკითხველს, თავად წარმოიდგინოს, რა დღე დაადგებოდა საპრასიის მეფეს, სანამ მეფობის მესამე წელს მიხვდებოდა და მთხოვნელთა მიღებაზე საბოლოოდ იტყოდა უარს.

...და ეს მაინც არ არის ნოველის ფინალი.

აი, ფინალიც:

2002 წლის 5 სექტემბერს მსოფლიოს გაზეთების და ტელევიზიის მიერ სენსაციური ცნობა გავრცელდა:

„საპრასიის მეფემ ხუან მეთოთხმეტე ჯორჯონელმა დღეს, თერთმეტ საათზე სტარტი აიღო, რათა ველოსიპედით დედამიწას შემოუაროს.

დედამიწის გარშემო ამჟამად ველოსიპედით ოცდაცხრა პერსონა მოგზაურობს, მაგრამ მათ შორის მეფე მხოლოდ ხუან მეთოთხმეტე ჯორჯონელია.

საპრასიამ გულთბილი გაცილება მოუწყო ველოსიპედისტ მეფეს“.

\*\*\*

საპრასია ისე პატარა სახელმწიფოა, რომ ერთ მდინარესაც ვერ წვდება. ასე განსაჯეთ, საპრასიის ერთადერთი, მსოფლიო რუკაზე დასატანი მდინარე – მტკვარი სხვა სახელმწიფოში იღებს სათავეს, საპრასიას გაივლის და სხვა სახელმწიფოში უერთდება ზღვისხელა ტბას. თანაც, სადაც იწყება, იმ ქვეყანაში მტკვარს სხვა სახელი ჰქვია, სადაც მთავრდება იმ სახელმწიფოშიც სხვა სახელს ეძახიან და მსოფლიოს მეგლობუსე მეცნიერები თავს იმტვრევენ, ბოლოს და ბოლოს, რა სახელი უწოდონ საპრასიის დედამდინარეს.

რაიც შეეხება საპრასიის სხვა მდინარეებს, ანტიკური საბერძნეთის ისტორიკოსებთან ბოდიშის მოხდით უნდა ვთქვა, რომ ჩემი დაკვირვებით, ნაოსნობისთვის არც ერთი მათგანი არ გამოდგება, კამკამა, ლურჯწყლიანი, გიჟმაჟი



მდინარეებია.

მთებიდან დაშვებისას ისეთ სიჩქარეს იღებენ, იაზონის გამოცდილ მენიჩბებს კია არა, მოტორიან ნავებსაც უჭირთ ალმა ცურვა.

ჰა და ჰა, საპრასიის მდინარეები ფათერაკების მოყვარულ წყალჯომარდებს თუ გამოადგებათ სწრაფდაშვებისათვის. ისიც თუ სიფრთხილეს გაიასკეცებენ და სიცოცხლის დაზღვევის საბუთს ადვილად მოსაძებნ ადგილას დაუტოვებენ ოჯახის ნევრებს... ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

მე რომ მივაფუჩჩო, ისტორიკოსებს რას გამოაპარებ, საპრასია პონტოს ზღვასავით მღელვარე და ნახევრად მძინარე ვულკანივით მარად მბოლავი სახელმწიფოა.

საპრასია მშვიდ, დანიურ ცხოვრებას ვერ იტანს (თუმცა, როგორც შექსპირი ბრძანებს, დანიაშიც კი დროდადრო რალაც ლპება და ხალხს აფორიაქებს).

საპრასიელები თავიანთი ისტორიის ბოლო ათი ათასი წლის მანძილზე („ათი ათასს“ იმიტომ ვამბობ, რომ საპრასიის არსებობის ეს პერიოდი, საპრასიელებმა კარგად იციან, თუმცა არც წინა ათათასწლეულებშიც უნდა ჰქონოდათ მაინცდამაინც დალაგებული და დაწყნარებული ცხოვრება) ძირითადად იმით არიან დაკავებული, რომ ლექსის წერის და ცერცვის თესვასთან ერთად, მპყრობელთაგან თავის გასათავისუფლებლად იბრძვიან.

თუ მოხდა ისე, რომ დამპყრობელი არ ჩანს (რაც იშვიათზე იშვიათად ხდება საპრასიის მოძიგძიგე ისტორიაში), საპრასიელები ცოტა ხანს მოიწყენენ ხოლმე და რაკი ბრძოლამღელვარების გარეშე გაძლება არ შეუძლიათ, ბრძოლას იწყებენ თავიანთივე თავის ანუ საპრასიელების ტერიტორიაზე მითაჟამიდან არსებულ პატარა კუთხეების წინააღმდეგ ამოჩემებული ყოჩის გასამეფებლად.

როგორ ფიქრობთ, რატომ უნდათ მთელს საპრასიაზე მაინცდამაინც ერთი რაინდყოჩის გამეფება? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სული მოითქვან და მალე ისიც ჩამოაგდონ, გააძევიონ, ან გასრისონ და გადაუარონ. საპრასიას ბოლო ათასი წელი ბაგლომთა დინასტია მართავდა.

მართალია, არც ბაგლომებისთვის იყო უცხო ხილი ტახტის შენარჩუნების საბაბით საკუთარი ძმისთვის თვალების დათხრა, ურჩ ფეოდალებთან ანგარიშის გასწორების მიზნით რჯულის გამოცვლა და გამზრდელი ბიძისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემა, მაგრამ ბაგლომები ძირითადად ბრძენ მეფეთა სახელით შევიდნენ ისტორიაში.

როცა საპრასია ურუსებმა დაიპყრეს, მეფობა გააუქმეს და ბაგლომთა დინასტია შემოდგომის ჭივჭავებივით დაიფრინეს.

თუმცა ჟამთააღმწერლის სინდისი მკარნახობს ალენიშნო, რომ საპრასია, როგორც სახელმწიფო, ურუსების შემოსვლამდეც დაშლილი იყო და აი, რატომ:

საპრასიის უკანასკნელ მამაც მეფეს თვრამეტი შვილი ჰყავდა და მამაც მეფეს რომ გარდასვლის ასაკმა უნია, თვრამეტივემ მოინდომა გამეფება, თუმცა მეფეს ტახტის ღირსად თვრამეტიდან არც ერთი არ მიაჩნდა.

ბოლოს მეფობა თვრამეტიდან ყველაზე სუსტსა და უგერგილოს, წყალმანკიან „ზაქიჭამიას“ ერგო.

ზაქიჭამიამ ისედაც დაქანებულ საპრასიას მთლად მოუთავა ხელი.

ქვეყანას ისე მართავდა, რომ დედაქალაქიდან არ გასულა. ინდაურები რომ ჩამოუყვანეს, იკითხა:

ეს რა ჭყრიალებს ეზოშიო?

ინდოეთის ქათმებიო, უპასუხეს.

იჭმევო? იკითხა.

რასაკვირველიაო, აუხსნეს.

აბა, ერთი დამანახვეთო.

წვალეზავაინაჩრობით ფანჯარასთან მიიყვანეს.

გული აერია ინდაურების წითლად ჩამობერილი ჩიჩაყვებიბილოების დანახვაზე და ინდოეთის მამლების ფხორვამედიდურ მიხვრამოხვრაზე.

აბა, უყურე, რასა ჰგვანან, ჩემდა თავად, მაგათი ხორცის შემჭმელს ექცა შავად და ბნელადო, დაიქაღნა და შეასრულა კიდეც.

\* \* \*

საპრასიის დაპყრობიდან ორას წელიწადში ურუსთა იმპერიაც კიდეც ერთხელ, მგონი ისტორიული მახსოვრობისთვის მეთხუთმეტედ დაინგრა.

საპრასიელებს ოკეანისგალმელმა სტუმრებმა ურჩიეს, ახლა მოდაში საპრეზიდენტო რესპუბლიკაო და თავისუფალი საპრასიის მოქალაქეებმაც 97 პროცენტით და ასპროცენტისანი ტაშისკვრით პირველი პრეზიდენტი აირჩიეს.

მე შენ გეტყვი, საპრეზიდენტო კანდიდატურის მოძებნა გაუჭირდებოდათ, ყოველი მესამე საპრასიელი (სქესის განურჩევლად) გამოდგებოდა პრეზიდენტად.

მღელვარე საპრასიელებს ერთ წელიწადში მოწყინდათ პირველი პრეზიდენტი და ჩამოაგდეს.

ცოტა ხანში საპრასიელებმა ამომრჩეველთა ხმების 95 პროცენტით სულ ურავაშას ძახი-

ლით აირჩიეს მეორე პრეზიდენტი.

მალე მეორე პრეზიდენტიც მოწყინდათ და ჩამოაგდეს.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ საპრასიის სათავეში მსოფლიოს დიპლომატიათვის ცნობილი მახინაცებიტ მესამე პრეზიდენტი მოექცა.

ინერციის ძალას რა შეაკავებს და მალე საპრასიელებს მესამე პრეზიდენტიც მოწყინდათ.

მოწყინდათ და ჩამოგდება დაუპირეს.

მესამე პრეზიდენტი, მკითხველს ჩემზე უკეთ მოეხსენება, ვერ სოლომონბრძენობდა.

საპრასიელებმა ამ ბოლო პრეზიდენტს „ცეტი მიშა“ შეარქვეს.

„ცეტი მიშას“ დამხობა არცთუ იოლი აღმოჩნდა.

პრეზიდენტმა ოპოზიციაშივე მოძებნა თავისი ნახევრად მომხრეები და უკმაყოფილო მასის გამოსვლის წინა ღამით ოპოზიციის ბელადთან, ხალხის რისხვის განეიტრალების მიზნით, საიდუმლო სერობა გამართა.

განვდით პრეზიდენტსა და „ოპოზიციის ლიდერს“ შორის გამართული ერთერთი საიდუმლო შეხვედრის ჩანაწერს; ვისაც აინტერესებს წაიკითხოს, ვისაც არა – გამოტოვოს.

– დაჯექი, როგორა ხარ?

– რალა როგორა ვარ, მიშა, მტერი გეყოლა ასე.

– შენ და ნუნუნნი?

– ვერ ვაკავებ ხალხს, ამათი უკვე მე თვითონ მეშინია.

– შენი ბრალია, ძალიან შეტოპეთ. რა ამბავია ეს ხუთასი გალია. გალიაა თუ საკანი, რა ჯანდაბას ეძახით.

– შენ არ მითხარი, საკნები დადგით და ხალხი დაშოშინდებო?

– მე გითხარი, რამდენიმე საკანი დადგით, საჩვენებლადმეთქი. თქვენ მთელი ქალაქი გაავსეთ, რაა ბოლოს და ბოლოს, კაბინეტში და რეზიდენციაში ვერ შევდივარ.

– მიშა, რატომ არ გესმის, მე მარტო არა ვარ. ჯერ ერთი, ჩვენი, ე.წ. ლიდერების, მართვა გახდა ძნელი და მეორე, შენ ეს ამდენი ხალხი ცხვარი ხომ არ გგონია? მერე უკვე იღრინებიან, უკვე ჩვენც აღარ გვიჯერებენ.

– გუბაზი და კახა ძალიან უბერავენ?

– ეგენი თავისთავად. შენ გგონია ეკა და ნინო მაგათ ჩამორჩებიან? ნინოს მაინც რა დაემართა? რით გააბრაზე ასე, რომ თავზე ხელი აქვს აღებული.

– ეგ, მე ვიცი რამ გააბრაზა, მაგრამ ნინო მაინც არ არის საშიში. შენ სხვები გაანეიტრა-

ლე და ნინოს და ბადრის მე მივხედავ.

– ხალხი? ხალხი, მიშა? დღე და ღამ თავს ვიმტვრევ, მერამდენეჯერ გაუშვა ასი ათასი კაცი სახლებში. შენაო, შეკრული ხარო, პირში მეუბნებიან.

– აბა, რა ვქნათთქო, უთხარი, იერიშზე გადავიდეთთქო? (იცინის) ხომ იცით, მიშა სულელია, გესვრითთქო.

– ვიძახი, სულელია, არაადეკვატურიმეთქი, მაგრამ მით უმეტესო, მეუბნებიან (იცინის).

– შენ ეს ლიდერები დააბნიე, მაგათ შორის შუღლი ჩამოაგდე და ხალხის ამბავი მე კარგად ვიცი, როცა დარწმუნდებიან „ბელადთა“ უსუსურობაში, თვითონვე გაიფანტებიან“.

აქ დიალოგი ნყდება ჩანაწერის უხარისხობის გამო.

საპრასია შიშმა და ურვამ შეიპყრო.

ურვამ იმის გამო, რომ მესამე პრეზიდენტის ჩამოგდება გაჭიანურდა, ხოლო შიშმა იმის გამო, რომ ვაითუ მეოთხე პრეზიდენტი, რომელსაც მესამე გაყალბებული არჩევნებით აირჩევდნენ, წინა სამზე უარესი აღმოჩენილიყო.

ჩამოგდებით საპრასიელები არც მეოთხე პრეზიდენტის ჩამოგდებაზე დაიხევენ უკან, მაგრამ ერთი რამ აწუხებთ, მსოფლიოს თვალში არასერიოზული ხალხის სახელი არ დავიმკვიდროთო.

შედარებით გონიერ საპრასიელთა ერთმა ჯგუფმა გამოსავალს მაინც მიაგნო; მოდი, ხელისუფლების სათავეში მეფე დავსვათ და ყველაფერი დალაგდებო.

დაუნყეს ძებნა ბაგლომთა სამეფო დინასტიის მსოფლიოში მიმოფანტულ წარმომადგენლებს, მაგრამ მეფის გამოძებნა არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა: ერთი ყალბი ფულის ბეჭდვისთვის მესოპოტამიაში შრომაგასწორების კოლონიაში იხდიდა სასჯელს, ერთს ესპანეთში ველოსიპედთა სარემონტო საამქრო გაეხსნა და ცოლად კაბალეროთა მსახურის ქალიშვილი მოეყვანა, ერთი ურუგვაველ მემანვნეს გაჰყოლოდა ცოლად და მდაბიო გვარის შვიდ შვილს ზრდიდა, ერთს კბილის პროტეზისტობა ესწავლა და სიცილიაში კერძო პრაქტიკას მისდევდა, ერთი პეტერბურგში რესტორან „რუსკი დომში“ შევიცრად მუშაობდა, ერთს ბიოდენით მკურნალობა დაენყო და გამოძიებას ემალებოდა, რადგანაც ექსპერტის დასკვნით მკურნალობისთვის საკმარისი ბიოდენი არ აღმოაჩნდა, ერთი ალექსანდროვის ბაღში იჯდა და მაკლერობდა...

გამოსავალი მხოლოდ ერთი ვითარებიდან არ არსებობს და რაკილა ის ერთი ვითარება ამ საქმიდან შორს იყო, გამოსავალი აქაც მოიძებ-

ნა; აღმოაჩინეს ბაგლომთა დინასტიის შედარებით უცხოტომგვარშეურვეელი ორი პიროვნება; ახალგაზრდა მომხიბვლელი ქალი და რაინდული მიხვრამოხვრის მქონე ვაჟი.

საინიციატივო ჯგუფი ცალცალკე ესაუბრა თითოეულ მათგანს. აუხსნა, რომ ამ ისტორიულ მომენტამდე მათს მცირემასშტაბიან საქმიანობას და ადამიანურ ჭირვეულობებს ერთბაშად უნდა გამოთხოვებოდნენ, ორივეს დამაჯერებლად აუწყეს ამოცანის მთელი სერიოზულობა იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა იყო გადასარჩენი და ბაგლომთა დინასტიის გასაცოცხლებლად სწორედ მათი შეუღლება იყო საჭირო, რათა სულ რაღაც თექვსმეტი წლის შემდეგ (ცხრა თვეს მუცელში იქნებოდა, ხოლო 15 წლისას უფლისწულს მეფედ აკურთხებდნენ) მსოფლიოსთვის ეცნობებინათ, რომ საპრასიას კვლავ ბაგლომი მეფენი მართავენ.

დინასტიის გადამრჩენლებს სიტუაციაში ბოლომდე გარკვევისთვის დროც აღარ დარჩათ.

სიხარულით ათრთოლებულმა საპრასიელებმა ჯვარი უფსკვნეს წყვილს, რომელთაც ერთმანეთის ხეირიანი გაცნობაც კი ვერ მოესწროთ და დიდი, მამაპაპური, თითქმის სამეფო ქორწილიც გადაუხადეს.

„მაღე მეფე გვეყოლება და ერთხელ და სამუდამოდ გვეშველება“. – ელვასავით გავრცელდა საპრასიაში.

ქვეყანაში იმედი დაბრუნდა

ცხოვრებას აზრი და ხალისი მიეცა.

საპრასიელები კრძალვით და მოწინებით ჩაივლიდნენ იმ ჯერჯერობით მოკრძალებული (სამი ოთახი მიშენებული ლოჯიით) სახლის წინ, რომელშიც ახალდაქორწინებულნი იყვნენ დაბინავებულნი და სამეფო დინასტიის აღორძინების ფრიად კეთილმოზილურ საქმეს ეწეოდნენ.

ქორწინებიდან მესამე თვეს, ნოემბრის ერთ სუსხიან საღამოს ცოლქმარს შორის ასეთი საუბარი გაიბა:

– ვის ელაპარაკებოდი?

– ბიცოლაჩემმა დარეკა, წნევა ისევ მიწევსო.

– აუწევს, აბა, რა იქნება. რასაც ეგ ლაპარაკობს.

– ლაპარაკზე გამახსენდა; ტელეფონის ფულის გადახდა არ დაგავინწყდეს, თორემ გაგვითიშავენ.

– ღმერთო ჩემო, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი.

– რა ყველაფერი?

– ტელეფონის ფულის შეტანა, გაზის ქვითრების ძებნა, პოლიკლინიკაში სიარული, ჩოგ-

ბურთის რიგში დგომა...

– და რა დაინყება, როგორ ფიქრობ?

– სხვა ცხოვრება.

– რომელი სხვა ცხოვრება. რა იოლად იჯერებთ ქალები ზღაპრებს.

– თექვსმეტი წლის შემდეგ ჩვენი შვილი მეფე იქნება. ჩვენ კი – მეფის მშობლები.

– რა კარგია... ჯერ ერთი, ყველაფერი ღვთის ნებაა და, ხომ შეიძლება, გოგო დაიბადოს, ან სულაც არ გვეყოლოს შვილი. შენ წარმოგიდგინია ჩვენსკენ მოპყრობილი უამრავი თვალის იმედჩამქრალი, გაცუდებული მზერა?

– რაღა უარესზე ლაპარაკობ.

– ხომ შეიძლება მეთქი... და თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, რას ფიქრობ იმაზე, რომ მე და შენ ჩვენი პირმშო წინასწარ გავწირეთ?

– რას ჰქვია გავწირეთ?

– დიალაც რომ გავწირეთ დაულაგებელი სახელმწიფოს მეფობისთვის, ხელმწიფის კარის შეთქმულებებისთვის, ინტრიგისთვის... ეს ყველაფერი თანა სდევს მეფეს და საპრასიაში მით უმეტეს. რატომ გავინყდება, რომ ეს დაუცხრომელი, აღუვსებელი, მარად მღელვარე საპრასიაა.

– შენ არ ამბობდი, ჩვენი შვილი ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადებაო?

– ვამბობდი... ერთი წუთით წარმოიდგინე ბიჭი, რომელიც კაფეში ვერ შევა და თავისუფლად ნაყინს ვერ შეჭამს, შეყვარებულ გოგოს ვერ აკოცებს ვაკის პარკში, კუს ტბაზე ვერ იბანავებს და მზესუმზირას ვერ იყიდის ორმოცდაათ თეთრად.

– შენ დღეს რაღაც ამღვრეული ხარ.

– რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? არ მოგბეზრდა ჟურნალისტების გაუთავებელი მიღებაგასტუმრება? „კეთილისმსურველთა“ მუდმივი თვალთვალი? ლამის საწოლშიც კი გვათვალთვლებენ. ნაბიჯს გვითვლიან. ყველანი რაღაცნაირი იდუმალი მოლოდინით შემოგვეყურებენ, შენი არ ვიცი და მე ველარ ვუძლებ ამ მომაბეზრებელ, გამხელილ თუ გაუმხელილ, განზოგადებულ ცხოვრებას, ლამის ღრიალი დავინყო... მოსვენება დავკარგე... გესმის შენ, რას ნიშნავს მოსვენების დაკარგვა?

...ამ საუბრიდან ერთი კვირისთავზე საპრასიაში ხმა დაირხა, ახალი სამეფო ოჯახი დაინგრაო, ნეფედედოფალი ერთმანეთს დაშორდნენო.

ხასიათებით ვერ შევეწყვეთო, უხსნიდნენ ჟურნალისტებს განქორწინებულნი, მაგრამ არა მგონია, მათი დაშორების მიზეზი ასეთი გაცვეთილი და მდაბიოთა ამოჩემებული გარემოება ყოფილიყო.

\*\*\*

საპრასიის ცა ისე იყო მოტყვიისფერებული, ისე შეევსოთ ღრუბლებს, რომ თითის დადება ადგილიც არ ჩანდა, არც ეტყობოდა იმ დღეს ცას, თუ ოდესღაც ლურჯი იყო და მზე ანათებდა.

**ბატონო სტუდენტებო**

**გაინტერესებთ, რა დამართეს თანამედროვეს გაუთავებელი ტვინის გამორეცხვებით შესახებ იმისა, რომ „მაინც არაფერი გამოვა“, „აუტკივარ თავს ნუ ავიტკივებთ!“**

**წარმოიდგინეთ, ასე რომ ეფიქრათ ჩვენს სწორუპოვარ გმირ მეფეებს, წარმოგიდგენიათ შემკრთალი და შეშინებული გიორგი სააკაძე?**

**მართალია, გმირობას ყველას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ცვედნობა და ნიადაგ მეჩრდილობა მაინც არ გეკადრება, ქართველო: \* \* \***

ყველაფერი უკულმა, კაცო, ყველაფერი? ერთი საქმე ძალაუნებურად გამოერევა კაცს სანმოხონო და სანაღმართო. ამათ ის ერთიც არ გამოერიათ.

ხანდახან მინდა ვთქვა; მართალია, ეს, ეს და ეს ჩაუფლავდათ, არ გამოუვიდათ, მაგრამ მთლად უმადურებიც ნუ ვიქნებით, სამაგიეროდ, ეს ხომ სწორად გააკეთესმეთქი.

ეტყობა, „ხელის წასვლა“ პოლიტიკაშიც არის.

ერთხელ რომ წაიუკულმავეს, მიყვება და მიყვება, არ გამოდის, მორჩა და გათავდა. მაგრამ ერთი საქმე კაცო?

დედაბერი რომ უღელს გადაადგებს და კურდღელს მოკლავს, ისე, ერთი შემთხვევით გამოსული მაინც გამორეოდეთ რამე ფიცში ჩასაყოლებლად.

იმ ერთს დავიხვევდი ხელზე და ქვეყანას მოვდებდი, არც ისეა საქმე, თქვენ რომ ფიქრობდითმეთქი. გაგიგონია?

ყველაფერი უკულმა აკეთეს. ვერაფერს თავი ვერ დაადგეს.

სანამ ოპოზიციონერია, მშვენივრად იცის სახელმწიფო საქმეების ხლართგვირისტი. ასე კი არა, ასე უნდაო, ბრძენმოძღვრობს.

მოირგებს ბეჭებზე ხელისუფლების ხალათს და იმ საათიდან, არც მეტი არც ნაკლები, საქართველოს მტერი ხდება. გინახავს ასეთი რამ, კაცო?

შესცქერი და ფიქრობ, სად გაქრა ამის ჭკუანიჭი და ქვეყნის შველის წყურვილი.

ნუთუ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო და ხალხისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად გამიზნული?

ექვს ამათი მარცხუილბლობა როდი იწვევს. რა ვუყოთ, იცის ასეთი რამეები ისტორიამ.

საბრალოა დევებში მოყოლილი ქონდრისკაცი.

იგი მი და მო აწყდება, ემანდ ფეხი რომ არ დაადგან და არ გაჭყლიტონ.

მისი არც ბრძნული ღალადისი ესმით დევებს და არც სანყალობელი ბლავილი.

იმ ქონდრისკაცების დღეშია დღეს საქართველო და რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არაა.

მე ამათგან ყველაზე უფრო ის მაოცებს, ისტიბარს რომ არ იტყვენ და დაბეჩავებულ ქვეყანას მარცხს გამარჯვებად შეასაღებენ.

აღარ გათავდა, აღარ დაეფუშათ ტყუილების გუდა, აღარ გაუცვდათ ამას ლოკვის იმედითი.

იმაში მაინც დამარწმუნე, შე კაი კაცო, რომ ცდილობ, მაგრამ არ გამოგდის. რატომ მაფიქრებინებ, შემოგზავნილი ხომ არ არის ეს ჯგუფპარტია ჩემს დასალუპავადმეთქი.

აბა, რა ვიფიქრო, როცა მსოფლიოს სავალუტო ფონდის მელაკუდა მრჩეველი უტიფრად მარიგებს – ნუ ააშენებ, მოეშვი ჩარხტრი-ალს და კერვაქსოვას, ნუ დათესავ და ნუ მოიმიკი, შენ მხოლოდ სხვისი შემოტანილი გაასალე და კარგი დახლი დაგიდგებაო.

ამ დროს შენ იქვე დგახარ და ყვავივით დამჩხავი; დაუფერეთ ვალავს, თორემ დავილუპებითო.

მთელი საქართველო ჯიხურეთად აქციე, ხალხი გააქორვაჭრე და უცხოურ კაპიტალს დაუმონე, დაუთვალმათხოვრე.

თითს თითზე არ აკარებ, ხელი რომ გამოვილო და კიდევ გიკვირს, რატომ არ მჯერა შენი?

მასწავლებელი გაამათხოვრე და სკოლის რეფორმა დაარქვი სკოლის დაქცევას, ოთხმოცდაცხრამეტი წლით ბაზალეთის წმინდა მიწა ისტორიულ მტერს გაუფარდაგაუდარბაზე, რუსისგან ნანათხოვარი ტანკებით ყოველ კვირაში ცხვირწინ ალღუმს მიტარებ და მე მაშინებ, გლახა არაფერი გაივლო გულშიო.

ჩემი უფრო გეშინია, ვიდრე პირსისხლიანი პუტინის, რომელსაც ღამღამობით ტელეფონითაც ესაუბრები, ეს იმედი მქონდა შენი?

ერთხელ მაინც შენს ბობოქარ ცხოვრებაში მოითავმდაბლე და კაცურად მითხარი – ვცდილობ, ჩემო იმანო, მაგრამ არ გამომდის არაფერი, გამიგე კაცურადთქო.

მოგიკვდეს, ვინც არ გითანაგრძნოს და არ შევიდეს შენს მდგომარეობაში.

ნუ მატყუებ, თუ ღმერთი გნამს, შენი მოსატყუებელი კბილი, კარგა ხანია მოვიცვალე. მოსკოვის ყოველ ახალ აფიორაგაცურებაზე ხბოს აღტაცებით რომ გამოიმიცხადებ,

– აფხაზეთის დაბრუნების გზაზე დიდი ნაბიჯი გადავდგით წინო, რატომ გგონივარ ასე უტყუარუ და ჭკუასიპი, ვერ გამიგია.

შენმა პოლიტიკურმა სალტომორტალემ და შიშსახრობამ თუ შიმშილელდამ ხალხი ისე დააგლახავდაამლიერა რომ თავის ამწევი და ხმის ამომღები არავინ დარჩა. თავჩაქინდრულნი, დადედლებულნი, ნაზამთრალი და მგელდაცემული ხბორებივით მივდევთ ერთმანეთს კვალში და ერთმანეთის უკანალში ცხვირნაყოფილნი ოდენ ხვნეშაურვით ვიოხებთ დანყლულებულ გულს.

სკოლის რეფორმამ, გითხარით მისი არ იყოს, სკოლა ნაგვეგვარა, სამედიცინო რეფორმამ – ექიმი და წამალი, პურპროდუქტების რეფორმამ – პური, ახლა ჰაერწყლის რეფორმას ველოდებით და საბოლოოდ მოგვემართება ხელი.

არა გიშავს რა, ქართველო, როგორც ჩანს, ჯერ არ აგვესებია მოთმინების ფიალა, რაკილა ასე გულდაჯერებით ბაირამნავარდობენ შენს ქედკისერზე.

ჯერ კიდევ ვერ მორევიხარ ბოლმისბორკილს და შენს მუხლებში ავად გამდგარ შიშისქარს.

ხალხის დადედლებადაცვედნების მანქანის ოთხწლიან ბრუნვასისინს რა შედეგიც მოჰყოლია, ახლავე შეიტყობ.

ამასწინათ ერთ წვეულებაზე მოვხვდი. რა არ იღონა თამადამ, პოლიტიკასარიდებული ტრაპეზი გაემართა, მაგრამ არ გამოუვიდა.

მოხუცმა ნოტარიუსმა ბახვა სულაკაძემ ოცდაჩვიდმეტზე ჩამოაგდო სიტყვა. ძმა ძმას ვერ ენდობოდაო, თქვა და ასეთი ანეკდოტი გვიამბო: „მეყავრე ამბობს – რა კარგად მუშაობდა ოცდაჩვიდმეტში კაგებე. რა იციო, ეკითხებიან. როგორ არ ვიცი. მე და ჩემი ძმა ვთიბავდით ოცდაჩვიდმეტში მთის ფერდობზე. ირგვლივ ათ კილომეტრში კაციშვილი არ იყო. ჩემმა ძმამ ყურში მიჩურჩულა: რას ამბობს, თუ იცი, ამერიკა, როდის ეტირებათ კომუნისტებს ყოფაო, იმ სალამოსვე დაიჭირეს“.

ნოტარიუსის ამ ანეკდოტზე ყველას არ გაცინებია. ჩანს, ზოგი ვერ მიხვდა, რომ ორ ძმას შორის ერთერთი გამცემი იყო.

შემჩნეული მაქვს, ანეკდოტის ახსნას რომ დაინწყებ, სიცილი ჩავლილია და იუმორი კი ისე ფაქიზი რამეა, რომ განმარტებას ვერ იტანს.

ასე იყო თუ ისე, ამ ანეკდოტიდან ჩვენს უბედურ ყოფამდე ერთი ნაბიჯი რჩებოდა და

ის ერთი ნაბიჯიც მალე გადაიდგა.

სუფრის წევრებმა ენაპირი მოილაღჯირითეს და თავიანთ სატკივარს თუ ხელისუფლების უნიათობას აზრის პატრუქი შეაშუქეს.

მძიმე სურათი დაიხატა. შეჭირვებული ქართველნი ისე გულიანად მსჯელობდნენ, რომ გავიფიქრე, ამ ხვნეშაპროტესტს სადინარი რომ მიეცეს, მყინვარს წალეკავსმეთქი.

თვალდგამი ეშმაკმა გამინათა და უბის წიგნაკი ამოვიღე:

– ამ ცხოვრებაზე ყველანი ერთი აზრისა რომ ვართ, ნათელია. მეტის მოთმენა მართლაც არ შეიძლება – მოდით, არსებული ხელისუფლების დასამხობად იატაკქვეშა ორგანიზაცია „ერის ხსნა“ ჩამოვაყალიბოთმეთქი.

ოლონდაც! ოლონდაც. ჩინებული აზრია. დღეს ჩვენს ქვეყანას მხოლოდ „ერის ხსნით“ თუ ვუშველითო, სახეანთებულნი დათანხმდნენ ჩემს წინადადებას.

ჩემმა უწყინარმა ხუმრობამ მევე შემაკრთო, მაგრამ ცოტას შევყვებიმეთქი და უკან არ დავიხიე.

– ვისაც სურვილი გაქვთ, ბატონებო, განწერიანდით „ერის ხსნაში“. ანუ, მოკლედ რომ გითხრათ, გვარსახელი და ტელეფონი ჩამანერინეთ.

კეთილშობილ ქალწულთა კოლეჯის მისიონერი ქალები განზე გადგნენ – სროლა არ ვიციოთო, ვეტერან მოკრივეთა ნაკრების მწვრთნელმა სოსო ბუხაიძემ თავი შეიკავა, რომ რამე მოხდეს, ადვილად გამომტეხავენ, ვიცი ჩემი თავის ამბავი, უნებისყოფო კაცი ვარ და თქვენთვისვე აჯობებს გარეთ დავრჩეო. ყოფილმა პარლამენტარმა განუგრავამ, მადლობელი ვარ ნდობისათვის, მაგრამ უკვე ვარ განწერიანებული სამ საიდუმლო პარტიაში და ერთ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაშიო.

სანამ სუფრას მცირე ფოქსტროტშესვენების შემდეგ ხელმეორედ მივუსხდებოდიო, ჩემი უბის წიგნაკი ახალი იატაკქვეშა ორგანიზაცია „ერის ხსნის“ ხუთი მოქმედი წევრით გამდიდრდა: მე, ნოტარიუსი ბახვა სულაკაძე, სენაკის ომის ინვალიდი ტოტო მაქაცარია, კომერციულ უნივერსიტეტ „ქვემო ჭაჭაანის“ რექტორი, სატყეო ტექნიკუმის კურსდამთავრებული (დაუსწრებლად) ჯანიკო ნასყიდაშვილი და ფირმა „თურთუოლლის“ ნდობით აღჭურვილი პირი, დამწყები მენეჯერი ვიტალი სირბილაძე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გარი ჩაფიძე



სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ  
ჟურნალ „ათინათის“ №№28-44-ში  
და ანთოლოგიის 10-11 ნომრებში)

\* \* \*

აი, თქვენ რა თბილი ბრძანდებით და ამასთანავე ერთად ყინულივით ცივი, თითქოს ინდიელის სისხლი გიჩქეფთ ძარღვებში. უფრო სწორად თქვენში მე რალაც სიველურეს ვხედავ, მაგრამ თქვენ როგორც არ უნდა იყოთ, იმდენ ხანს იცოცხლებთ, რამდენ ხანსაც თქვენი ტოლები, უფრო სწორად კი არ იცხოვრებთ, არამედ იარსებებთ, თვითონაც ხომ მარმარილოსაგან ხართ შექმნილი, ქვასავით ცივი და სასტიკი. დიახ! მე თქვენში ბროტმოქმედს მივჩერებივარ, მაგრამ სავალალოდ უფლება არა მაქვს მართლმსაჯულებას გადავცეთ, რამეთუ თქვენი დანაშაული სასჯელს არ ითვალისწინებს.

ზვიადაურს შუბლი ოფლის წვეთებმა დაუცვარა, ეტყობოდა სულიერად განიცადა ქალზედ მიყენებული შეურაცხყოფა, მაგრამ ეს არაფრად ჩააგდო, რადგან ჩქარობდა ქალთან უყუათო საუბარი დაესრულებინა. ქალს კი სრულებითაც არ სწყენია გამომძიებლის პირდაპირი საუბარი, იმის ლამაზ სახეზე ერთი ნაკვეთიც არ შეტოკებულა, პირიქით გაელიმა კიდეც და პასუხი მოუფიქრებლად გასცა გამომძიებელს.

– თქვენ შეცდით ბატონო გამომძიებლო, როდესაც თქვით თითქოს ადამიანის ბუნების ამოხსნა—ამოცნობა შეგეძლოთ. მე ვიცოდი, რომ ჩემი ჭეშმარიტული საუბრით თქვენს რისხვას დავიმსახურებდი, მაგრამ მაღლობა ღმერთს, რომ მე არა ვარ ის ადამიანი, რომელიც თქვენ ჩემში შეიცანით არც ისეთი ბოროტი ვარ, როგორც თქვენ გგონიათ და არც ისეთი კეთილი, როგორც ჩემს „გოშიას“. მე თუ ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის თავდაცვა გადამინყვეტია, ეს დანაშაული, სიცივე და გულცივობა როდია. საკუთარი თავდაცვის მეტი აბა რალა დამრჩენია, რომელმაც დავკარგე მშობლები, ახლობლები, სამშობლო, სიყვარული და ყოველგვარი სიკეთე, რომელიც გამაჩნდა. ყოველივე ეს ძვირფასეულობა ბრჭყვიალა მეტალზე გაიცვალა, საიდანაც იმხელა სიცივე გამოიყოფა ძვალსა და რბილში

მატანს და ეს სიცივე თქვენ ჩემი „ქვის“ ორგანიზმიდან გამოყოფილი გგონიათ.

მართალია, მე დავკარგე და აღარ გამაჩნია, მაგრამ სიყვარული არც ისე ხელნამოსაკრავია, როგორც ჩვენ ვახსენეთ. გასალანძლი არ არის ადამიანი, როცა ის არ უყვართ ან თვითონ არ შეუძლია სიყვარულის მოპოვება, საშინელება ის არის, როდესაც ადამიანს სიყვარულის უნარი არ გააჩნია. ამასვე მეტყველებს საღვთო წერილი: – „მარტო სატანას არ შეუძლია სიყვარული“ – თქვენ როგორც მოგესურვოთ ისე მიმიღეთ, გინდ ქვის უსულო ქანდაკებად, გინდ სატანად, ღირსიც ვარ სიყვარულის უარმყოფელი.

ზვიადაურს კისერი მხრებში ჩაემალა, ქალს სახეში შესცქეროდა, აკვირვებდა იმისი ორპირობა და გულში ფიქრობდა: „ამქვეყნად ადამიანზე უფრო საზიზღარი ცხოველი არ მოიპოვება, მაგალითისათვის ეს სათნო ქალბატონიც კმარა. მერედა, რა საპატივცემულო ვინმეა“. ამას ხოლოდ ფიქრობდა ხმამალლა თქმა ვერ გაეხედა, რადგან ქალი თავისებურ ახსნას უპოვნიდა ნათქვამს, მაგრამ ქალი თითქოს ფიქრს მიუხვდაო, თუ ვინ იცის, იქნებ მართლა ამოიკითხა იმისი ოფლით დაცვარულ შუბლზე ნაფიქრალი და საუბარი ისევ თვითონ განაგრძო:

– მარტო ჩემზედ არ ითქმის, ხშირად მითქვამს ყველა ადამიანის მიმართ, რომ ამ ქვეყანაზე ადამიანისთანა უკეთური და წამხდარი არსება არ დაიარება, მით უმეტეს წესიერიადამიანისთანა.

– ნეტავი რა დაგიშვა ადამიანმა? – შეეკითხა ფიქრებიდან თავდაღწეული გამომძიებელი.

– სულაც არ არის აუცილებელი ადამიანმა დაგიშავოს რაიმე და ამიტომ გძულდეს. საკმარისია იგი შეიძულო თუ შენზედ ძლიერია, ან სუსტი, უბრალოდ გაიფიქრო რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს, ან რა შეეძლო დაეშავებინა მას. მაგრამ არ იფიქროთ მე თქვენზე ან სხვაზედ მეტად მძულდეს ადამიანი, ჩემთვის საკმარისია, რომ ადამიანი – ადამიანია და სიძულვილთან ერთად გარკვეული ფორმით მიყვარდეს იგი.

ქრისტემ, ჩვენმა მაცხოვარმა, დაიბარა მისთვის „კეთილი“ არ ეწოდებინათ, რამეთუ კეთი-

ლი მარტო ერთი უზენაესი არისო, თუმცა ქრისტიანებს შორის ბევრი ისეთი არაკაცია მოიძებნება, ვინც უსირცხვილოდ აცხადებს კეთილი და პატიოსანი ვარო.

– ო, თქვენ ალბათ იმისი თქმა გინდა, რომ ადამიანმა შეიძლება თვითონ აღიაროს თავისი უგვანობა, მაგრამ ის კი არ უნდა იფიქროს სხვაზე უკეთესი ვარო.

– სრული ჭეშმარიტებაა, და სწორედ ასეთივე ქადაგებით არის ღირსშესანიშნავი მღვდლებისაგან გამოგონილი აღსარების საიდუმლოება.

– ღირსშესანიშნავი კი არა ჩეულებრივ ტყუილებზე აგებული ველურობაა.

– რატომ ველურობა? პირიქით, მეტისმეტად ბრძნული გამოგონებაა, აღსარება საშუალებას გვაძლევს გულდამშვიდებით შევცოდოთ, რამეთუ ვიცით, ვინც ცოდავს იმან წინასწარ იცის ჩადენილი ცოდვა მიეტყვება, მაგრამ ადამიანმა როდესაც ეს იცის არ დაგიდევს ახალ—ახალ შეცოდებებს, რადგან ჰგონია ისევ მოინანიებს და მონანიების შემდეგ ემზადება ახალი შეცოდებისათვის. ღმერთის დიდსულოვნება კი იმაში გამოიხატება, რომ არავის არავითარ შეცოდებას არ აქარწყლებს.

– ნუ მიწყენთ და შენი ფილოსოფია აქსიომა კი არა, გაფუყული განზოგადოებული ფუჭი სიტყვაა, ზოგიერთი ლეგენდის სამოსელშია გახვეული და სისულელედ მევლინება.

– მაშინ თვით ფილოსოფია რაღაა?

– ფილოსოფია საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა, რომლის მიზანია სიბრძნის სიყვარული, მეცნიერული მსოფლმხედველობის შექმნა და აზროვნების უზოგადესი კანონები...

– და ეს კანონები ერთმანეთის ტყავის გაძრობას გულისხმობს? – შორენამ საუბარი შეწყვეტინა გამომძიებელს, რომელსაც უნდოდა ძირფესვიანად ჩამოეყალიბებინა ფილოსოფიის საკითხები და პრინციპები: მაგრამ მიხვდა რა, ქალსაც არანაკლებ ესმოდა ფილოსოფიის ძირითადი კანონები, თვითონაც ფილოსოფიის გზიდან გადაუხვია და ქალის გასაგულისებლად თქვა:

– ზუსტად ასეა. ერთმანეთის ტყავისგაძრობას გულისხმობს. ამაზე კარგად თქვენისთანა ადამიანზედ არაფერი მოქმედებს, თქვენ ხომ შინაგანად გაძარცვული ბრძანდებით, ტყავის გაძრომის შემდეგ დავინახავთ ვინა ხარ შენ შინაგანად! – გახუმრება სცადა გამომძიებელმა, მაგრამ ქალი ვერც ამჟამად გამოიყვანა წონასწორობიდან.

– ვინ რა ვართ შინაგანად, ამაზე ნურაფერს ვიტყვით – მიუგო ქალმა. – მე უბრალოდ ჩემი ქვეყნის მოქალაქე ვარ, პროფესიით ბიბლიოთე-

კარი და სრულებითაც არ მაინტერესებს რა აქვს ადამიანს შიგნით, რომლის განჭვრეტა მე არ მესაჭიროება, რადგან ყველას სახეზე ანერია და ვკითხულობ რაც შიგნით არის.

– სწორი ბრძანებაა, ცხადია შენთვის ადამიანი მხოლოდ წიგნია და მეტი არაფერი.

– მერედა შენ ეს გეცოტავება? წიგნით თუ ადამიანის სულს ჩანვდები, საკუთარ თავსაც კარგად მოუსმენ და შეისწავლა, ეს კი ცოტა როდია, მაგრამ შენთვის რაღაა ადამიანი? ადამიანი და ციხე, ადამიანი და ციხე, ციხე და ადამიანი კი ფიქრადაც არ მოგსვლია ალბათ არასდროს. ხომ მიმიხვდი, რომ კარგად ნავიკითხე ჩემი წიგნით თქვენს სახეზე წარწერა, თქვენი ზრუნვაა ადამიანი გაგზავნოთ ციხისაკენ და არასოდეს არ გიფიქრიათ დაიცვათ ქრისტეს ერთ—ერთი მცნება „მიხედვა პატიმართა“ და ციხიდან გამოიყვანოთ ადამიანი.

– შენი ადგილი მართლაც რომ ციხეშია, რამეთუ ხარ ეშმაკის კერძი, რადგან არც შენ ამართლებ ქრისტეს მცნებას: „პატივი—ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა“.

– ვიცი ეგ მცნება და მე უშენოდაც მივიღებ სასჯელს მაგ მცნების უარყოფისათვის, რომელსაც ღმერთი არ მაპატიებს და ვერც ერთი მღვდელი ვერ მომიხსნის ამ შეცოდებას. ასეთი ბოროტების წინააღმდეგ ერთადერთი გზა არსებობს და ეს გზა არის სიკვდილი, რომელიც ალბათ ჩემთან ერთად დაიბადა ჩემს მოსაკვდინებლად. მხოლოდ დაუფიქრებელი ნაბიჯის შემდეგ ვიგრძენი მათი განშორება, მათი სისხლი ცოდვათა გამოსაყიდი სისხლია, აი ვისი სისხლი გადამრჩენს, თუ გადამარჩენს, მხოლოდ მათმა წმინდა სისხლმა აშეიძლება შეძლოს ჩემი განწმენდა.

ჩემთვის მხოლოდ ინტიმური ცხოვრება იყო მარადიული ნათება, დანარჩენი არსებობა კი მისი მკრთალი ანარეკლი. დღეს ჩავხვდი ყოველივეს, დავბრძენდი კიდეც, მაგრამ გვიანია. ჩემ მიერ დაკარგული ადამიანები სისხლს აღარ გაიღებენ ჩემი ცოდვების შესამსუბუქებლად. არა მგონია ჩემზე უკეთ ვინმემ იცოდეს მშობლის და შვილის სულიერი შფოთვა, რადგან ერთად ყოფნის დროს ამას ვერც ერთი ვერ ამჩნევს, სამუდამოდ, ხორციელად განშორების შემდეგ კი ვგებულობთ ერთი—მეორის ფასს. მე სწორედ ახლა ჩავხვდი ჩემი მშობლების სულის ბორცვას, ვიდრე საკუთარ თავს და ჩავხვდი მეტი სინმინდით, ვიდრე ოდესმე ვიფიქრებდი, რამეთუ საკუთარ ორგანიზმში რომ ვიხედებოდი, მხოლოდ უწმინდურობას ვამჩნევდი, რისგანაც ვიყავი შექმნილი. დღეს მშობლების სულში ყოველივეს ძვირფასსა

და საუკეთესოს მიგრებებზე, რაც აქამდის ჩემს არსებაში მიჩქმალული იყო. მათი დიდება მხოლოდ ფიქრითა და მოგონებით დღესაც ძალასა და ნუგეშს მაძლევს, როდესაც სარკეში მათ ორეულს ვხედავ, ეს ორეული ისევე მინდა მეკუთვნოდეს მე, როგორც მის შემქმნელს, მაგრამ ხომ შეიძლება კარგმა ხელოვანმაც დახიოს ტილო, თუ ის უხეირო გამოუვიდა? გული არავისზედ მწყდება. მე ჩემი ბედი თუ უბედობა თვითონ შევექმენი და მისივე ახირების მსხვერპლი ვარ. მშობლები კი ცეცხლოვანი სულის მემბოხენი არიან და ღმერთის არ იყოს შეცოდებას არასოდეს მაპატიებენ.

გამომძიებელმა საათს დახედა და ზეზე წამოდგომა დააპირა, რათა ქალისათვის ეგრძობინებინა – კმარა, საუბარი დამთავრებულიაო – მაგრამ მისივე გადაიფიქრა, აინტერესებდა თუ რას იტყოდა ქალი ღმერთის სიძულვილზე, გველისა და პრომეთეს სიყვარულზე, ამიტომ ოდნავი გაზარული ხმით შეეკითხა:

– ჩვენ საუბრის თემას გადავუხვიეთ, მაინტერესებს რას იტყვით ღმერთის სიძულვილზე, გველისა და პრომეთეს სიყვარულზე?

– აი ხომ ხედავთ, თქვენ როგორ შეგძლებიათ სიტყვის გადაბრუნება – უთხრა ოდნავ განანწყუნებულმა ქალმა – მე არ მითქვამს ღმერთი მძულს მეთქი, სიყვარული ერთი მცნებაა, სიძულვილი კი მეორე. ვთქვი არ მიყვარს—მეთქი, მაგრამ როდი მძულს. განა თქვენ სუყველა არსება ერთნაირი სიძლიერით გიყვართ, ვინც გიყვართ? მე აღარ მიყვარს შმაგი, მაგრამ როდი მძულს, არც ღმერთი არ მძულს, რადგან ყოველგვარი სიკეთე რაც ადამიენს გააჩნია ღმერთის ნაბოძვარია, ამასთანავე ერთად ბოროტებაც მანვე გვასწავლა და ჩაგვიწერა. ღმერთისაგან მოდის მექრთამეობა, წუნიაობა, მკვლელობა, გახრწნილება და სხვა ყოველი უკეთურობა, რომელიც ადამიანს გააჩნია. აი სწორედ ამიტომ არ მიყვარს ღმერთი, რამეთუ მას კაცობრიობისათვის მარტო სიკეთე არ ჩაუწერავს.

– ო, შენ ძლიერ გაუტიე. ნეტავი რომელი დამამტკიცებელი საბუთი გაგაჩნიათ ყოველივე ზემოთქმული სიტყვის დასამტკიცებლად? ღმერთი როდესაც სიკეთეს ნერგავდა, მაშინ ეშმაკი რაღას აკეთებდა?

– არ არსებობს ეშმაკი და ოჩოპინტრე, ეს ყველაფერი ხალხის მოგონილია ღმერთის სიკეთის გამოსავლინებლად და ბოროტების მისაჩქმალავად. ეშმაკი თვითონ ადამიანია ღმერთისაგან ბოროტ სული ჩასახლებული.

– იმიტომაც ხართ ბოროტი ღმერთი რომ არა გნამთ! – მიმართა გამომძიებელმა.

– მერე, და ღმერთის ურწმუნობა ბოროტებაა?  
– მიჭირს ამის თქმა, მაგრამ თქვენი გაბოროტებული ვნების სათავე სწორედ ღმერთის ურწმუნობაა.

– თუ ასეა და ჩემში ბოროტს მისჩერებხართ, სწორედ ამიტომ არა მწამს ღმერთი, რომ მან შემქმნა ასეთი ბოროტი.

– მანვე მოგანიჭათ სიცოცხლე და სალი აზროვნება.

– სიცოცხლე ბოროტებისათვის?

– და კიდევ სიკეთისათვისაც!

– ერთ ორგანიზმში სიკეთე და ბოროტება არ მოთავსდება, ასეთი ღმერთია მხოლოდ.

კაბინეტში შავი ღრუბელივით ჩამონვა სინყნარე, მხოლოდ სარქისის ღრმა ფშვინვა ისმოდა, ქალი გამომძიებლის პასუხს ელოდა, გამომძიებელი კი ხაფანგში გაბმული მელასავით გატრუნულიყო, რომელიც თავს იმძინარებს და ფიქრობს: – „იქნებ ჩემი ხაფანგში გაბმა სიზმარი იყოსო“. შავ ღრუბელს წვიმა არ მოჰყოლია. დუმის შემდეგ ისევ ქალმა დაარღვია მყუდროება და გამომძიებელმა შვებით ამოისუნთქა.

მოდის იურიდიული თვალთ შევხედოთ ღმერთის დანამაულს, რამეთუ შეგვიძლია განვსაჯოთ ღმერთის ავღმერთობაც, რადგან ჩვენს დიდ წინაპარს ნაჭამი აქვს – „ცნობისა კეთილისა და ბოროტისა“ ხის ნაყოფი, რომელიც ჩვენზედაც კიდევ მეტი სიძლიერით გადმოდის.

ვამბობ ღმერთმა გვასწავლა მექრთამეობა და წუნიაობა. რით დავამტკიცოთ ეს? – „ბიბლიიდან ვიცით“, რომ ადამს ორი ვაჟი ჰყავდა კაინი და აბელი – „ხოლო ადამ იცნა ევათ ცოლი თვისი და მიდგომილმან შვა კაინ და. თქუა: მოვიგეთ კაცის ღვთისა მიერ და შესძინა შობად ძმაი მისი აბელ. და იქმნა იგი მწყეს ცხოვართა: ხოლო კაინ – მშრომელ ქვეყანისა და იყო შემდგომად დღეთა მოართუა კაინ ნაყოფთაგან ქვეყანისათა და მსხვერპლი უფალს. და აბელ მოართუა მანცა პირმშოთაგან ცხოვართა მისთასა და ცრემლთაგან. და მოიხილა ღმერთმან აბელსა ზედა და ძლუნთა მისთა ზედა. ხოლო კაინს ზედა და მსხვერპლთა მისთა ზედა არ მოიხილა“...

ბრწყინვალედ გვესმის, რომ ღმერთმა მიიღო აბელისაგან მირთმეული ქრთამი ძღვენის სახით, რათა მფარველობა გაენია მისთვის, მაგრამ ღმერთმა დაინუნა კაინის მირთმეული ძღვენი, ჩემის აზრით სწორედ აქ დაიბადა მექრთამეობა და წუნიაობა, რომელიც ადამიანთა ორგანიზმში გადმოსახლდა.

– ეს ხომ პირველი ადამიანები იყვნენ, – თხრობა შეანწყვეტინა ქალს გამომძიებელმა, – ნუთუ დღემდე კაცობრიობას ველარ დაუვიწყ-



ბია აბელისაგან მირთმეული კრავი.

– კაცობრიობამ თუ „ცნობისა კეთილისა და ბოროტისა“ ხის ნაყოფის შეჭმა ვერ დაივინყა და დღესაც თავი მოგვაქვს სიკეთით, რატომ ქრთამის მიცემა უნდა დაევიწყებინა?

– ყოველშემთხვევაში ეს ქრთამი არ იყო. ეს იყო ღმერთისადმი შესანიერი!

– ამ ქმედებას შენ რაც გინდა ის დაარქვი, მაგრამ რას დაარქმევდით თქვენთვის ბოროტმოქმედს რომ ჯიბეები ფულით დაეჩურთა სასჯელის შესამსუბუქებლად“. რა თქმა უნდა, შენ იტყობდი ეს უბრალო მოსაკითხია, ან ურთიერთ პატივისცემა, მაგრამ სინამდვილეში კი ქრთამია, რომელიც იმდროინდელი სახემეცვლილი ფორმაა და დღეს არც თუ სასიამოვნოდ ჟღერს. თქვენ თუ თქვენს უფროს პროკურორს დაბადების დღეზე ოქროს სათუთუნეს უბოძებთ, ამას რა ერქმევა? მაგრამ თქვენმა კოლეგამ რომ ოქროს სანთებელა აჩუქა, დაიწუნა და ამას რა ვუწოდოთ?

შენ მეტად მფარველობის ქვეშ აღმოჩნდით პროკურორთან, თქვენი კოლეგა კი... ამას რა დავარქვავთ? შენი კოლეგა დაკნინდა უყურადღებობის გამო და ყოველ დღე ელოდება სამსახურიდან დათხოვნას. შენ კი გაიბღინძე დიდი კაცის მფარველობის ქვეშ და ერთჯერაც არ დაგცდენიათ თქვენს კოლეგასაც მფარველობის თვალთ შეხედოს პროკურორმა. შენს საქციელს რა ეწოდება?

თქვენს შორის ძალაუნებურად ჩამოვარდა შუღლი, რადგან თქვენმა უფროსმა შეიძულა თქვენი კოლეგა, თქვენც შეიძულეთ. უკვე თქვენს შორის გაჩნდა კონფლიქტი, ამას შენცა გრძნობ და შენი კოლეგაც, ხელსაყრელი მომენტის ნახვის შემთხვევაში ან ის მოკვდება ან შენ. ამას კი შუღლი ეწოდება და ვინ არის აქ დამნაშავე? ცოტა თუ ბევრად თქვენი უფროსი ხომ არა?“ ასე მოხდა აბელის მკვლელობა კაინის ხელით და თქუა კაინ აბელის მიმართ, ძმის თვისისა: „განვიდგედი ზოგად ველად და იყოს ყოფასა მათსა ველს, აღდგა კაინ აბელის ზედა ძმისა თვისისა და მოკლა იგი“...

– მერე ასე რატომ მოხდა? რატომ გადმოხედა მონონების თვალთ უფალმა აბელის მსხვერპლს? შეეკითხა ქალს ბიბლიაში ჩაუხედავი გამომძიებელი.

– შეიძლება იმიტომ, რომ უფალმა ამოიცნო კაენში მომავალი მკვლელი და მოშურნე.

– ისე გამოდის თვითონ მან შექმნა იგი მოშურნედ, მანვე შეასვა ეს შხამი და სამსალა.

– პირველი მკვლელადაც მოგვივლინა, მაგრამ ესაჭიროებოდა თუ არა ღმერთს შესანიერი ანუ

ქრთამი? იცოდა თუ არა პირველი მკვლელობის შესახებ, რომელიც შთამმოავლობით გადმოეცა კაცობრიობას?

– ასე გამოდის, კაენს რომ არ მოეკლა აბელი, სავსებით მოსალოდნელი იყო, აბელს მოეკლა თავისი ძმა.

– სრული ჭეშმარიტებაა, როდესაც უფალს აბელის კრავები ეამებოდა, ცხვართა მწყემს მონყალე თვალთაც გადმოხედავდა უზენაესი, ხოლო კაინის მიწის მუშის, მიწის ნაყოფისაგან მირთმეული ძღვენი არ ესიამოვნებოდა და კაენმაც დაკარგა უფლის ნყალობის იმედი. აბელი იყო უფალი ღმერთისაგან გალაღებული და განებივრებული... კაინი კი მისგან მოძულებული.

ახლა ცხოვრებაში გადავხედოთ მსგავს მაგალითს: თქვენც დამიჯერებთ, რომ ბედის ნებიერთ, გალაღებულთ და ნაფერებთ ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამინა ქალამნად. ესეც ხომ დანაშაულია, რომ ამ უპირატესობას და დაუმსახურებელ წარმატებას არ მალავენ. თუმცა ამის ხმამალა გამოცხადება ესირცხვებათ, მაგრამ ზედ შუბლზე აწერიან თავისივე ქედმაღლობა. ზოგიერთები ამ სირცხვილსაც არ დაგიდევენ და ამით თავიც მოაქვთ, ქვეყანას ამცნობენ ასეთ და ასეთ პატივში ვარო. მე პირადად ეჭვიც არ მეპარება, რომ აბელი თვალშიც კი ერხირებოდა კაინს, რადგან აბელი თავს იწონებდა კაინის წინაშე, უფალი მწყალობსო და აღიზიანებდა ხოლმე თავისი კოცონებით, როცა მსხვერპლს სწირავდა უფალს. ისინი, ვინც თავიანთ თავს სათნოებისა და სამართლიანობის ნიმუშად ასაღებენ, სინამდვილეში ქედმაღლები არიან ხოლმე და თავისი მოჩვენებითი სათნოებითა თუ სამართლიანობით სხვებს თვალებს უხვევენ და არცხვენენ კიდევ. ბრძენს უთქვამს:

– „ეგრეთ წოდებულ საპატივცემულო კაცზე უფრო დიდი მამაძალი ამ ქვეყანაზე არ მეგულეზაო!“

– შენ რა იცი, – ჰკითხა ამ საუბრის სერიოზულობით გატაცებულმა გამომძიებელმა ქალს, – რომ აბელი თავისი უპირატესობით თავს იწონებდა?

– ეჭვიც არ მეპარება, რომ სულ პატარა პატივისცემაც კი არ გამოუმჟღავნებია საკუთარი ძმის მიმართ და არც უფლისათვის უთხოვია, მასზედაც მიელო მონყალეობა, უფრო მეტიც, სწორედ მისი მითითებით გამოიგონა უფალმა ჯოჯოხეთი უყურადღებო კაენებისათვის, რათა მის დიდებას ფასი დასდებოდა. ცხოვრებაშიდაც ხომ ასეა, აღზევებულ კაცთა ნამდვილი სიხარული სხვათა ტანჯვის ჭვრეტაში იხადება.

– განცვიფრებული ვარ თქვენი მსჯელობით, –

წამოიძახა გამომძიებელმა, – მგონი „ბილიას“ თქვენ მის შემდგენელზედ უკეთ გადმოსცემთ.

– რა გასაკვირია, თუ კი სხვა წიგნებიც დაგვებმარება სრულებითაც არ არის ძნელი „ოქროს თაროზე“ დიდებული წიგნი გავშიფროთ, პლატონმაც ხომ უკეთესად, დადებულად და ღირსშესანიშნავად გადმოგვცა სოკრატეს მოძღვრებანი?

– და მაინც არ გეშინია ღვთისმოსავო, რომ შენი მსჯელობით ჯოჯოხეთისაკენ იკვლევ გზას?

– ღმერთს სიმართლე არ ეწყინება და თუ მაინც ჯოჯოხეთში მოვხვდები, ჩემი მსმენელებიც ჩემს უკან წამოჩანჩალდებიან ისე, როგორც დანტეს აედევნენ ისინი, ვინც ის ჯოჯოხეთში დაასახლა.

– ისევ „ბილიაზე“ მელაპარაკეთ, აი თუ გინდ გველის სიყვარულზედ, – მიუგო გამომძიებელმა.

– არა, ჯერ ღმერთის „დიდება“ არ დამიმთავრებია. მინდა შევეხო ღმერთის მიერ დადგენილ არაკანონიერ წყვილთა შეუღლებას: როგორც უკვე აღვნიშნეთ ღმერთმა შექმნა ადამი და ევა თავისი სახის ხატებად. დამიჯერეთ და სამოთხის ბალის მშვენიერად, მაგრამ მათ შეცოდეს, რისთვისაც გამოძევებული იქნენ სამოთხიდან. ადამს და ევას ოთხი შვილი შეეძინათ: კაენი, აბელი. ადა და სელა. კაენმა თავისი დაი ადა ცოლად შეირთო, ხოლო აბელმა სელა. ღმერთს შეეძლო თუ არა შეექმნა მეორე ოჯახი, დავუშვათ რეზო და ნათია, რათა შეუღლებულიყო ადამისა და რეზოს ოჯახი სშვილები, სისხლის ამღვრევა არ მომხდარიყო და დღეს მათი შთამომავალს პატიოსნებაზე გველუპარაკა?“ დღეს ცხოვრებაში რომ მოხდეს დასა და ძმას შორის შეუღლება, ადამიანები და მითუმეტეს მართლმსაჯულება სხვაგვარი თვალთ შეხედავს გარყვნილ სქესობრივ კავშირს.

– ღმერთმა დაგვიფაროს! – წამოიძახა თვალებგაფართოებულმა გამომძიებელმა.

– ჩვენ ასე თუ ისე კი გვიფარავს ღმერთი ამდაგვარი შეცდომებისაგან, მაგრამ სავალალოდ არ დაიფარა ადამის ოჯახი.

– ალბათ არც ასე იოლი იყო ყოველივე, როგორც ჩვენ გვეჩვენება, – დაიწყო ღმერთთან ბრალდების გაქარწყლება გამომძიებელმა – ღმერთმა თუ შექმნა ადამიანი თავის ხატებად და სამოთხის სილამაზედ, კიდევ უნდა ყოფილიყო ღმერთის დამჯერე და თაყვანისმცემელი. თუ უფალმა აუკრძალა ადამს და ევას ნაყოფის ხისა „ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“, ამით მათ ჩაუნერგა ქვეშარიტი რწმენა, მორჩილება და მარხვა. მაცხოვარიც ჩვენი ამასვე გვაუწყებს: „ნათესავი ესე არარაით გახდეს, გარნა ლოცვი-

თა და მარხვითა“. მაგრამ მათ დაარღვიეს უფლისაგან ნაბრძანები და შესცოდეს, რისთვისაც გამოდევნილნი იქნენ სამოთხიდან არა იმიტომ, რომ მათ შესცოდეს, არამედ მომავალ თაობას აჩვენეს უფლის ძლიერება, შეცოდების მიუტევლობა და ღვთისადმი სიყვარული.უ ფალი ლოცვასა და შესანიშნავ ღებულობდა და დღესაც ღებულობს ადამის შთამომავლისაგან, მხოლოდ კეთილი გულით მიძღვნილს და არა ძალდატანებულს, რამეთუ ღმერთს სრულებითაც არ ესაჭიროება ჩვენ მიერ მირთმეული კრავი, სანთელი თუ ხორაგი. მხოლოდ ამას აკეთებს იმიტომ, რომ დაგინყებას არ მიეცეს ქვეყნის შემოქმედი, ისე როგორც შვილმა არ შეძლოს მშობლის დაგინყება.

უფალმა მიიღო ალალი გულით მირთმეული კრავი აბელისაგან, რომელიც ლოცვითა და კოცონით გაანათა, ხოლო კაენის მიერ მიტანილი, ღვთის გაჩენილ მინაზე მონეული ხორაგი არ მიიღო, რადგან არც ულოცია და ყოველთვის ღმერთის საყვედურში იყო გაჩენისათვის. – ილოცე! – ეუბნებოდა მამა ადამი კაენს, – რისთვის ან ვისთვის ვილოცო? – პასუხობს კაენი.

– ღმერთზე თქვენ, შვილო ჩემო, მადლობელი არა ხართ?

– არა!

– ცოცხალი რომ ხართ?

– იმიტომ რომ მოვკვდე? რად გინდოდა შენ, რომ შეჭამე ხილი – „ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ და რად არ შეჭამე ხილი ხისა „მარადიული სიცოცხლისა“, – საყვედურობს კაენი მამას. ამის შემდეგ მას ღმერთთან მიაქვს შესანიშნავი, როგორც ავადმყოფ ძალღმერთს ლუკმა პური, ღმერთი არ ღებულობს კაენის მირთმეულ შესანიშნავს და ეუბნება:

– „და რქუა უფალმა ღმერთმან კაენს: რათა სად შეიჭყვიან პირი შენი, არცა მართლიოდ შემონირე, ხოლო მართლიოდ არა განჰყავ, სცოდე დაყუდენ, შენდამი მიქცევაი მისი და შენ ჰმთავრობდი მას“...

კაენის სახით ღმერთმა კაცობრიობას უჩვენა ბოროტი სულის ზემოქმედება კეთილ არსებაზე. შეიძლება კიდევ იცოდა უფალმა, რომ კაენი მოჰკლავდა თავის ძმას, მაგრამ ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან კაცობრიობისათვის ეჩვენებინა ბოროტის ზეგავლენა კეთილზედ, რათა მსგავსი არ განმეორებულიყო ადამიანთა ცხოვრებაში.

– რომ მეორდება? – შეესიტყვა ქალი.

– მეორდება, მაგრამ შეუმჩნეველი რაოდენობით, მეორდება, რადგან ჯერ კიდევ არ მომწიფებულა ნაყოფი ხისა „ცნობადისა კეთილისა და

ბოროტისა”, – როდესაც ეს ხილი ყველა ადამიანის ორგანიზმში მომნიჭდება, ჩვენ, მართლმსაჯულების დამცველნი საჭირო აღარ ვიქნებით, რათა თვით აღიკვეთება ყოველგვარი ბოროტება.

რაც შეეხება კაენისაგან ადას ცოლად შერთვას, ეს „გახრწნილება” როდია, როგორც თქვენ უნოდეთ. ეს ღმერთის მიერ ნაფიქრალმა აუცილებლობამ განაპირობა, რადგან თავის შექმნილი მინა თავისივე შექმნილ ადამის შთამომავლობით მოშენებულიყო და ქვეყანა იმ სამოთხის ბაღს დამსგავსებოდა, საიდანაც პირველი ადამიანი გამოაძევა შეცოდებისათვის. მეორე ოჯახი სშექმნა კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა, რადგან ღმერთმა ევას შესაქმნელადაც კი ადამის ნეკნი გამოიყენა. აქედან გამომდინარე, ადამიანის შექმნას რალაც სპეციალური ესაჭიროებოდა, რომელიც დიდ სიძნელესთან იქნებოდა დაკავშირებული.

თქვენ კმაყოფილი ხართ ჩემი პასუხით? ახლა კი მე თქვენს მიერ გველის სიყვარული მინდა მოვისმინო და შემდეგ ვეცდები მასაც იურიდიული გამართლება მოვუძებნო.

შორენა თვითგანათლებულ დამჯერლობაში განაფული, არ მოელოდა გამომძიებლისაგან ასეთი ამომწურავი პასუხის გაცემას თავისი ქადაგების ირგვლივ, როდესაც თავი გამარჯვებული ეგონა სახტადაც კი დარჩა, მაგრამ არ შეიმჩნია და „გველის სიყვარლის“ ახსნა დაიწყო:

– გველი ედემის ბაღში, ეშმაკისაგან კი არა, თვით ღვთის მოვლენილად მეჩვენება, რამეთუ მან ერთადერთმა შეიბრალა ადამიანი და გადაწყვიტა ადამიანისათვის თვალების ახელა, რათა სცოდნოდა კეთილი და ბოროტი, ამიტომ უქადაგა შეეჭამა აკრძალული ნაყოფი და მიზანსაც მიაღწია. რა არის აქ ცუდი, მან ხომ კეთილი განიზრახა ადამიანისათვის, მაშინ როდესაც ადამიანი ბრმა იყო და თავის სიშიშვლესაც ვერ ხედავდა?

– ღმერთმა ყოველი სულდგმული და მათ შორის გველიც თავის მორჩილად გააჩინა – თქვა ოდნავ ჩაფიქრების შემდეგ გამომძიებელმა – რა უფლება ჰქონდა გველს ღვთის ნების გარეშე კეთილი ან ბოროტება ექადაგა ადამიანისათვის, ხე „ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა” ჯერ არ იყო მნიფე, ე. ი. ჯერ არ იყო ადამიანი ამისათ-

ვის მზად მომნიჭებული, რომ იმისი ნაყოფი გარკვეულ დრომდე შეეჭამა, ამის დროს თვითონ ღმერთი მიუთითებდა ადამიანს, როდესაც მის მორჩილებაში და ღვთის ძლიერებაში დარწმუნდებოდა. გველმა ე. ი. ეშმაკმა კი იჩქარა, ღმერთი არად ჩააგდო და ადამიანს სამსალა შეაჭამა. იმის ნაცვლად, რომ ჩვენ გველი ღვთისაგან დანყველილ ეშმაკის კერძად მიგვაჩნდეს, შენ სიყვარულს უცხადებ მას.

მაგრამ პრომეთეზე რას გვეტყვი? ისიც ხომ შენი სიყვარულია?

– კი მიყვარს პრომეთე – დაიწყო დნავ დაბნეულმა შორენამ – პრომეთე იაფეტის—ძე, ატილანტის ძმა, დევკალიონის მამა უდრეკი და ძლიერი ბუნების, ადამიანთა მფრველი და მათთვის ნამებული გმირია.

პრომეთემ ოლიმპიიდან ლერწმის ჯოხით ცეცხლი მოსტაცა ღმერთებს და ადამიანებს მისცა, უფალი განრისხებულა და ადამიანებისათვის უბედურება მოუვლენია პანდროდეს სახით, ხოლო პრომეთე კავკასიის მთებზე მიუჯაჭვავს და არწივი მიუჩენია იმისი ღვიძლის საძიძგნად. პრომეთემ ცეცხლის მოტანით არა მარტო სითბო მოუტანა ადამიანებს, არამედ კულტურა და ცხოვრებისეული ყველა სიკეთე. ღვთის ნებით წარმოგზავნილი პანდროდეს სახით კაცობრიობას წილად ერგო უდიდესი უბედურება – სიკვდილი, – რადგანაც გამრავლების უნართან ერთად პიროვნებას დაეკარგა – უკვდავება.

ახლა გეკითხებით: – რატომ არ მიყვარდეს ეს კაცობრიობისათვის თავდადებული გმირი, რომელმაც ხალხს მოუტანა ცეცხლი, სითბო, კულტურა, სიკეთე და სიყვარული?

– გველის არ იყოს, პრომეთემაც იჩქარა. არ დაჰყვა უფლის ნებას და თუ გავშიფრავთ, მან სიკეთე კი არა ხალხს სატანჯველი მოუტანა, სწორედ იმის მოტანილ ცეცხლზე გაიჭედა მილიონობით ბორკილი ხალხის დასახუნდებლად, მილიარდობით ხმალი ღვთის მორწმუნეთა თავის წასაცლელად, მის მოტანილ ცეცხლზე დაიწვა ჯორდანო ბრუნო და მილიონობით ადამიანი ინკვიზიციის ხელით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ირაკლი ნადარეიშვილი



ფარისეველი

ზარმა ჩამოვრა, ფეხს აუჩქარა ფარისეველმა. არ უნდა დაავიანდეს, არა. ყველამ უნდა დაინახოს, როგორ შევა ტაძრის ეზოში, თუ როგორ გულუხვად დაარიგებს მონყალებას. ჰო, დიახაც, უნდა დაანახვოს ყველას, აბა რა. აბა, ისე რა აზრი აქვს... ოფლი გადასდის შუბლზე, ოჰ, როგორ ცხელა ამ დილაადრიან, როგორ აცხუნებს ეს დანყევლილი - წამოსცდა ხმამაღლა. არადა, წუხანდელ წამრუშალ-ნაბახუსევს სიკვდილი ერჩივნა ახლა ლოგინიდან წამოდგომას და აქ მოსვლას, მაგრამ ასეა საჭირო...მისთვისაა საჭირო და მიტომ. სამი ქისა მიაქვს

ფარისეველს ხელის კანკალით. ვერცხლით პირამდე სავსე სამი ქისა. ერთს ტაძარს შესწირავს, ერთს მოძღვარს მიართმევს, ერთსაც მათხოვრებს დაურიგებს. ჰო, უნდა გასცეს დღეს... იცის თავისი საქმის...დიახ, ასეა საჭირო მისთვის და მიტომ. დამეხმარე! - მოესმა უკნიდან. ჩამოძონძილი სილუეტი აედევნა, აბა რას ვიზამ, ძმობილო! წამო, ცოტა ტაძართან მივინით, უპასუხა ფარისეველმა და წელა დაიწყო ქისის გახსნა. ჭიშკართან უკვე მოგროვილიყო ათამდე გლახაკი და ყველა შემსვლელს მონყალებას სთხოვდა. შეჩერდა, თვალებით დაუნყო მათხოვართა ყოჩს ძებნა. აქა ხარ, ზინა ბებო? გაუღიმა შორიდან. მოდი, ზინაჩკა, ყველანი მოდით, ყველას დაგეხმარებით - უკვე ომახიანად გასძახა ტაძრისკენ მიმავალ სივრცეს. სამ-სამი მონეტა ამოიღო ქისიდან ფარისეველმა. სამ-სამი ვერცხლი დაურიგა მათხოვრებს. თვალი გააპარა შეგროვილი ხალხისკენ, უყურებდნენ - ამოისუნთქა. მცირეოდენი ვერცხლიდა დარჩა ქისაში, 30 ვერცხლი დაერიგებინა უკვე. აბა, ვინმე ხომ არ გამომრჩა? მოდით! ნუ გერიდებათ! - კიდევ ერთხელ გასძახა ტაძრისკენ სივრცეს. თითქოს ენიშნაო - ამირან, შენ გაიხარე, ჩვენო გულუხვო და განმკითხველო - დაიწყო ზინა ბებომ. ღმერთმა ასჯერ მეტი მოგცეს მონყალებო, ჯანმრთელობა და უფლის მაღლი არ მოგკლებოდეს - აზუზუნდნენ დანარჩენებიც. ამინ, თქვენს პირს შაქარი, შეგისმინოთ უფალმა - ჰმ, ისევ ხმამაღლა წამოსცდა. დალახვროს ეშმაკმა ეს ნაბახუსევი. ამ ბოლო დროს რაღაც ხმამაღლა ფიქრი დასჩემდა. ესეც ასევე... წელში გაიმართა ფარისეველი და, თვითკმაყოფილი სახით, უკვე ღინჯი ნაბიჯით გაემართა ტაძრის შესასვლელისკენ. გააპო ხალხი და ის იყო ფეხი უნდა აედგა კიბეზე, რომ კალთებაკვეცილი ანაფორით გამოეგება წინამძღვარი. ვააა, ამას ვის ვხედავ, ამირანი მოსულა, ჩვენი ამირანი! - გასძახა მნათეს და გადაეხვია. ეს თქვენ, მამაო, ესეც ტაძაარს - გაუნოდა ქისები მოძღვარს ფარისეველმა და კიდევ ერთხელ გააპარა თვალი შეკრებილი მრევლისკენ. კვლავ უყურებდნენ. კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა საულვაშზე. მოდი, ამირან, დაიკავე შენი ადგილი, ახლავე შეგმოსავთ - უთხრა მოძღვარმა და გასძახა მორჩილს - სტიქარი მოუტანეთ ამირანს! თავისი სტიქარი! საკუთარი ხელით გადააცვა სტიქარი, მოიკითხა და კიდევ რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ უკვე აღარ ესმოდა არაფერი ფარისეველს - ფიქრებს წაეღო. დავინროვებულა ეს ოხერი, რაღაც ღიშზე მიჭერს, მხუთავს, არ შემომერღვეს აქ და არ მომეჭრას თავი. უფფფ, ისე, რა ვარგი სუფრა იყო წუხელ და სუფრაზე უკეთესი ის მანდილოსანი ...რაო, რა ერქვაო, რა მითხრა მერაბმა? ჰოოოო, თამარი - ძლივს მოაგონდა. რა თამარი? ფიქრები გაუფანტა წინამძღვარმა ...არაფერი, მამაო, აი ...აი... თამარის ხატი... ხატებზე ვფიქრობდი და... გაქვთ ახალი ხატები ტაძარში გასაყიდი? კი, ამირან, მიდი მნათესთან და აგარჩევინებს, როგორიც გინდა. ვარგი, მამაო, შევიძინ ბარემ ერთს - მიუგო ამირანმა და დახლისკენ გაეშურა. სულაც არ აპირებდა დღეს ხატის ყიდვას, მაგრამ დასწყევლოს ეშმაკმა ეს ნაბახუსევი. სხვადასხვა ზომის ხატი ესვენა თაროებზე, ყველაზე დიდს დაადგა თვალი ...უკაცრავად! რა ღირს აი, ის?. რომელი? - ჰკითხა მნათემ. აი, ის, დიდი...მაღლა რომ დევს ... იესო. ეეს? - ჰო, ეგ, რა ღირს, უფალი? - ამოილულღუდა ნაბახუსევმა. გაშრა მნათე, უფალიიიი, უფალიი ...უფალ.... 30 ბატონო, თქვენთვის. წინამძღვარს ვეტყვი და კიდევ დაგიკლებთ - გამოერკვა მნათე. არა, იყოს, რაც ღირს იმას გადავიხდი, ხომ იცით, მე არ მენანება- გაუღიმა მნათეს. 30 ვერცხლი აწკარუნდა დახლზე, ესეც ასევე... უფალიც იყიდააა, ჰო, იცის თავისი საქმის...დიახ, ასეა საჭირო მისთვის და მიტომ. კიდევ ერთხელ

გადაურბინა თვითკმაყოფილების ღიმილმა ოფლით დანამულ საულვაშებზე. დაინყო წირვა, გაივსო ტაძარი მრევლით, ჩამოცხა. რამდენი გამბდარან, დასწყევლოს ეშმაკმა, გაიფიქრა ფარისეველმა და ფუი, შენი ... კვლავ ხმამაღლა მოუვიდა. რაო, ბატონო? რა თქვით? მიაჩერდა გამჭოლი თვალებით გვერდით მდგომი ბერიკაცი. არაფერი, ბატონო, ვლოცულობდი და მაცალეთ ლოცვა...თავიდან მოიშორა აბეზარი მოხუცი. ესლა მაკლდა ახლა ...არადა, რა ქალი იყოლო? რაო, რას იძახდა მერაბი თამარზე, გათხოვილიაო, არა? გათხოვილი, თორე ეგაც არ იყოს ახლა ალაშუთის აუღებელი ციხესიმაგრე რა. მოსვენება კი დამიკარგა და....არა რა, რა ფეხები მოუჩანდა იმ მოკლე კაბიდან, უფთფფ...მთელი სუფრის მანძილზე ვერ მოსწყვიტა თვალი, მისჩერებოდა ბარკლებში და თვალებით ჭამდა...ჰო, ჭამაზე გაახსენდა, ეჭამა რა ის ასატრინა და ხბოს ჩაშუშული, რას გამოიღო თავი ამ აზიზობით...აუუუფ, რა ჩაქაფულზე თქვა უარიიიი. ფუი, ჩემი დებილი დედა მოვტ.... რა სალათები აგიტყდა ...აი, მაგიტომაც გისკდება თავი, ამირან - გაიფიქრა ფარისეველმა. არა, რა ქალი იყო მაინც აააა! შენი უნდა გახდეს, შენი! გესმის, ამირან! - შეუძახა თავს. შენ აუცილებლად იპოვი გზას მისი გულისკენ, შემდეგ კი იმ ფითქინა ჩათქვირული ფეხებისკენ, აბა რაააა, ამირან, მაგრამ ძლიერი ხასიათის ჩანს, პრეტენზიულიც.... რა მაგრამ, დაიკიდე რა, ამირან... ხომ იცი, ეგეთ ქალებს როგორ უნდა მიუდგე? ჯერ თავი უნდა შეაცოდო, ნდობაში შეხვიდე და დაუმეგობრდე. ჰო, ჰო, შეაცოდო, ეგეთ ქალებს სუსტი ვაცები მოსწონთ, ამირან ჩემო, სუუუსტიიი. აი, რაღაც შენნაირი, ამირან, მაგრამ არა ასეთი ჭკვიანი შენ რომ ხარ. მათ მოსწონთ, როცა ბრუნავენ და გიცავენ, როცა ჰკონიათ, რომ გმართავენ ... ჰოდა, მხოლოდ ფულითა და ვაჟკაცობის თამაშით მაგას ვერ იყიდი, ვერა. ვერ იყიდი და არც გამოგდის ეს ვაჟკაცობის თამაში. ისევ სისუსტეს უნდა მიანვე ამირან, ჩემო... ჰოდა, შენდამი ჯერ სიბრალულის უნარი უნდა გაუღვივო, მერე თანაგრძნობის, მერე შენი დაცვის ინსტინქტიც გაუჩნდება, ბოლოს შეუყვარდება და ეგააააა, დამკაში ხარ ამირან, დააამკააააში. საკუთარი სტრატეგიით კმაყოფილმა, ღიმილით ახედა ტაძრის გუმბათს და თვალები მოჭუტა - შენი იმედიც მაქვს, უფალო, ჩემი უნდა გახდეს, ჩემიიი. კვლავ ხმამაღლა გამოუვიდა ნაფიქრი. რაო, ბატონო? რა თქვენი უნდა გახდეს? - ისევ მიაჩერდა ის აბეზარი ბერიკაცი თავისი მომნუსხველი მზერით. ბიძაჩემო, რას შემომიჩნდით? რას მომჩერებისხართ პირში? მოძღვარს უსმინეთ, მოძღვარს და მაცალეთ ლოცვა, რას გადამეკიდეთ? ვერ ხედავთ, ღმერთს ვესაუბრები, ჩემთვის - თავი ვეღარ შეიკავა ფარისეველმა. ისევ ფიქრებმა წაიღო - არა, სახლში მიცილებამეც როგორ უთხრა უარი, ჰააა? რა დაუნუნა: გარეგნობა, სიტყვა-პაუხი, კანის ფერი თუ რა?... „პადუმაემ“, გათხოვილი. არადა, სულ არ აპირებდა ნუხელ მეძავთან წასვლასა და ჟინის დაკმაყოფილებას...ჰოდა, ეგ ცოდვაც შენზე იყოს, თამარ, შენზე, აბა ჩემზე ხო არ იქნება ...უიიიი, მე ამირანი არ ვიყო, შენ თუ საკუთარ თავზე მეტად არ შეგაყვარო თავი და ჩემზე ფიქრებში არ გატეხინო ღამეები, აი შენ თუ იქით არ გაგიხადო სადევნი, სახვენნი და საეჭვიანო მაგასაც ნახავ. მდაა... არა, რაღაც სერიოზული მინდა ფინალისთვის, ისე ვერ გავტეხავ, ვერა, მაგნაირ ტიპაჟს ჩემნაირი ვაი „მაჩო“ ვერ ააპლაკვინებს ფეხებს, პირდაპირ საყვარლობასა და სექსზე მაგას ვერავინ დაითანხმებს, ამირან ... ჰოდა, როგორც ანკას, მაგასაც ცოლობას შეპირდი, ამირან ჩემო, რატომ იგონებ ხელახლა ველოსიპედს? ჰოდა, ძალიანაც კარგი, სწორი ტაქტიკა აირჩიე, ამირან ჩემო, ყველა მდედრობითი ციხესიმაგრის ასაღებად სწორი სტრატეგიაა მთავარი. ჰოდა, ეგრეც ვეტყვი, რომ მის გარეშე სიცოცხლეც არ მინდა, რომ უმისოდ ვერ ვძლებ, რომ ის არის ჩემი წინილა და შევარდენი, ჩემი ბაჭიაც და ვეფხვიც და ამგვარ ბანალურ რაღაცებს... მხოლოდ ვეტყვი კი არა ნელ-ნელა, ყოველდღიურად წვეთ-წვეთ მივაჩვევინებ ყურსა და თვალს. ქვეცნობიერად ჩემზე დამოკიდებულს გავხდი და შაბამ, ამირან- შაბამ. ეგ არის, დამკაში ხარ, დამკაში. ჰოდა, რა, არ დაიჭერებს თუ რა? ცოლი მე არ მყავს და შვილი, ჰოდა, უნდა დაებას, წესით. აი მერე კი ...მერე შენ იცი და შენმა მოხერხებულობამ, ჩემო ამირან. მოიცა, შენა და ისე, რომ შეუყვარდე, მართლა, რომ მოინდომოს შენი ცოლობა, მერე? მერე რას იბამ ამირან? .... ჰოლო, რას ვიზამ და ... რას და ...ჰა, მოიფიქრე რამე, მიდი, თორემ გაყავი თავი უღელში ამირან და დაგკიდეს ეჟენები სადაცაა. რას ვიზამ და... ვერიკა! რას და აგერ არაა დედაჩემი, ჩემი დედიკონა-დედა აგერ არ მყავს? ჰოდა, აი მაშინ ვეტყვი ზუსტად სიმართლეს, სიმართლევ ხომ უნდა გამოიყენოს ვაცმა, ისაც საჭიროა ხანდახან, ჩემო ამირან. ჰოდა, ვეტყვი - დედა ვერ გადაიტანს განათხოვარი და შვილებიანი რძლის შესვლას ოჯახში-თქო, ერთ ჭერქვეშ

ასეთ ქალთან ვერ იცხოვრებს-მეთქი. ვეტყვი – სანათესაოც წინააღმდეგია-მეთქი. ვეტყვი – დედა რომც დავითანხმო, მარტოს ვერ დავტოვებ, ასაკშია და მოვლა-პატრონობა სჭირდება-მეთქი. ვეტყვი- ჰოდა, ამიტომ ცალკე ვერ ვიცხოვრებთ-მეთქი. იმასაც ვეტყვი ცალკე რომც გავიდეთ ცხოვრება გაგვიმწარდება -მეთქი, ვეტყვი. ჰოდა, ვეტყვი – დავრჩეთ ასე მიჯნურებად სიცოცხლის ბოლომდე-მეთქი, მთავარია გვიყვარდეს ერთმანეთი-მეთქი, ვეტყვი. აჰა რაააა, ამირან, ჯერ შენი გაინაღდე და თავის დაძვრენას რა უნდა მერე შენ მაგარო, შენა. გენიოსი ხარ, ამირან, ჩემო, გენიოსი. დაილოცოს რძალ-დედამთილობის მომგონი, ცნება და მისი არსი ამ ქვეყანაზე. აი, ასე, ამირან, აი, ზუსტად ასე ეტყვი. იტირებს, ინერვიულებს, იდეპრესიებს, დაგაყვადრებს, წამოგაძახებს რაღაცეებს, მაგრამ თავადვე იტყვის მერე უარს ზედმეტ ვალდებულებებზე ქალბატონი... მთავარია შენი გახდეს და მერე სად გაიქცევა, ამაზეც დაგყავლდება, აბა რა ჯანდაბას იზამს. ჰოდა, თუ არც დაგყავლდება და ეშმაკს წაუღია მაგის თავი და ტანი, შენ ეგ აღარ იჯავრო მერე. გენიოსი ტაქტიკოსი ხარ ამირან ჩემო, გენიოსი. ვაიიიი მას, ვინც შენი ფასი არ იცის. ისე ცოდვა ვია ის საბრალო, ხო იცი შენ და ცოდვაში იგდებ თავს ამირან ჩემო...ჰო, მაგრამ... აუუუუ, რა ფეხები ჰქონდა ... ვაი რა, ცოდვა არა კვახი, წაიმარხულებ, დაანახებ, რომ მოინანიე და შეგინდობს მოძღვარი, აბა რას იზამს, სხვა რა მოხელე-ნაჩაღნიკია, სხვა რა ევალეება, ეგეთები შეუნდია თუ რა? შენ არც პირველი და არც უკანასკნელი არ იქნები, ამირან. ასეა სამყარო მონყობილი, ძმობილო. ჰოდა მიდი, შეუტიე, აილე, დაიპყარი ალაშუთი, ჩემო სტრატეგო...კართაგენი უნდა დაინგრეს, ის შენი უნდა გახდეს, შენიიიი! და მორჩა, გადანყვეტილია, წერტილი. უფფფ, ხვალ დილით ისევ სამსახური ... ისევ ის, ვითომ მოვაჟკაცო ტიპაჟები და მათი უკბილო ირონიული ხუმრობები უნდა აიტანო, არა ? ფუ, როგორ მეზიზღება მთელი სამსახური.... არა უშავს, მანდაც მოვა ჩემი დრო, მოვა და მატლებივით გავსრეს ყველას....ყოველთვის მოდის ჩემისთანების დრო, ყოველთვის. მთავარია მოვითმინო, არა, უფალო? ჰო, როგორ მასწავლიდი? მარცხენაში რომ გაგარტყამენ, მარჯვენა მიუშვირო, არა? თუ როგორც არის...ჰოდა მივუშვერ, მოვითმენ, უფალო და აი ჩემი დრო რომ მოვა, სულ ძმრად ვადენ ყველას ყველაფერს. აი, მერე ვანახებ ვინ ვარ და როგორი - შენ შემადლებინე ყოველივე, უფალო, შენი სახელის ჭირიმე. აუფ, რა გულზე გასკდებიან თამარს რომ დაინახავენ ჩემ გვერდით! აუუუფ, წარმომიდგენია, თავდახრილები რომ მომმართავენ – გისმენთ, ბოსს!... რას ინებებთ, ბატონო ამირან?!... როგორც გვიბრძანებთ, ბატონო ამირან!... მართალი ხართ, ბატონო ამირან! ....ჰოდა გახეთქე, ამირან, ჩემო, დახეთქე შურით და დაითრიე ჯერ თამარი, მერე უფროსობა და დამკაში ხარ ამირან, დამკაშიიიი - ისევ ხმამაღლა მოუვიდა ფიქრი. ყმანვილო რა დამკა, რის შამათი, რას რომავთ?!- უკვე შეუღრინა ბერიკაცმა და ანთებული სანთელი მიუტანა სახესთან. ისე მიაჩერდა, თითქოს სურდა სულში შესძრომოდა. სანთელი განიე, მოხუცო, არ დამწვა. სწორი ყოფილა რა, ბავშვს და მოხუცს ასანთს რომ უმაღლავენ - თქვენს საქმეს მიხედვით, გეთაყვა, საცაა მოგაკითხავთ უფალი, მე რას მომჩერებხართ. რამე სთხოვეთ, მოინანიეთ. ვერ გავიგე, ეგ სანთელი მას დაუნთეთ, თუ მე?. გასწიეთ იქით.... დედა, ვის გადავეყარე ეს ჰაააა-განიწმატდა ფარისეველი. ამასობაში წირვაც დასრულებულიყო და ზეთისცხება იწყებოდა. ჯერ კაცები გამოატარეთ! კაცები! - გაისმა ხმა ტაძარში. ყველა მიიწ-მოიწია და კორიდორიკ გამოჩნდა მასაში. მობრძანდით, ამირან! მობრძანდით! გამოსძახა მოძღვარმა. გამოსძახა და დაიძრა ფარისეველი, წელში მოხრილ-მოდრევილმა გაიარა მრევლს შორის. ნეტარების ცრემლი სდიოდა ამღვრეული თვალებიდან და ნაბახუსევის ოფლსა და დუჟს უერთდებოდა ნიკაპთან ყულფად. კარგად მაცხეთ, მამაო, კარგად - თვალდახრილმა ხარბად შესთხოვა მოძღვარს. არც წინამძღვარს დანანებია ზეთი და ბარაქიანად გაუსვა ფარისეველს გაოფლილ, ნახევრადშემელოტებულ შუბლზე.

ჩამოკრა ზარმა, დინჯი ნაბიჯით ტაძრიდან ბრუნდებოდა ფარისეველი. გულში ჩახუტებული მოჰქონდა ნაყიდი უფალი. აქეთ – იქით ატრიალებდა ნეტარებისგან აპრიალებულ შუბლს და მდაბალი, მაგრამ ხმამაღალი სალმით ესალმებოდა გამვლელ-გამომვლელს. კარგი კაცია, სუფთა, სპეტაკი, პატოსანი, გულმონყალე. შეხედეთ, რა სათნო სახე აქვს, ბედნიერი მაგისი ცოლი ვინც გახდება, ნეტავ, შენს დედას, შვილო.... - ნაყიდი განწყობა მოჰყვებოდა მრევლში ჩურჩულით. უფალმა დაგლოცოს, ამირან და ბარაქა მოგცეს, წარმატებები, ამირან, ყველა შენს საქმესა და ჩანაფიქრში! უფალმა გაგაძლიეროს, ამირან! - ნაყიდი დალოცვა ჩაესმოდა ყურებში

ფარისეველს. ამინ, ამინ, ამინ... ღმერთმა შეგისმინოთ - პირლიმილიანი პასუხობდა გულსა და გონებაში ყველას. იდგა დღე ნეტარებისა ფარისევლისათვის. საბოლოოდ, მიაღწია მას, რაც სურდა - შეიქმნა იმიჯი, შექმნა ილუზია ... ხალხი რას იტყვისო, არა? ჰოდა, აგერ ბატონო, რასაც ამბობს ხალხი. ხმა ღვთისა ხმა ერისაო, არა?...ჰოდა, აგერ, ბატონო ....თუ როგორც არის. ჰოდა, რაღა დაგრჩა მისალწვევი, ჩემო ამირან? თამარი და კარიერა? ჰოდა მიაღწევ, უსათუოდ მიაღწევ, რადგან ორივე მიღწევადია შენნაირებისთვის, მთავარია არ აჩქარდე, მთავარია, მარცხენაში რომ გაარტყამენ, მარჯვენა მიუშვირო, როგორც უფალი გასწავლის, მთავარია, ნდობაში შეხვიდე და მერე... მერე შენ იცი და შენმა მოხერხებულობამ, როგორ დაიდგამ თავზე შარავანდედს. უცვბ შეჩერდა, რაღაც იგრძნო, რაღაც ვერ იყო მთლად ისე, რაღაც ზურგს სწვავდა, რაღაც ხელს უშლიდა სრული ნეტარებისათვის. შეჩერდა, მაგრამ ვერ გაბედა ტაძრისკენ შემობრუნება. მერე ერთბაშად მოსწყდა ადგილიდან, ფეხს აუჩქარა, დაღმართზე დაეშვა, რაღაც სჩხვლევტა ზურგში. მიდიოდა ფარისეველი, მიდიოდა და თან მიჰყვებოდა ბერიკაცის გამჭოლი მზერა, აი, ის მზერა... აი, ის დაჟინებული და გაუსაძლისი მზერა. მიდიოდა ფარისეველი ნაყიდი უფალით, ნაყიდი დალოცვით, ნაყიდი იმიჯით, შექმნილი ილუზიით და მხოლოდ ეს მზერა უჭერდა ზეთნაცხებ, ალაპლაპებულ და გაოფლილ შუბლზე ეკლის გვირგვინით...

10.09.2019 წ.

## წერილები საიქიოდან

დღე - 1

ჩავედი, ძვირფასო. გზა იმაზე ცუდი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. გვარიანად მაჭანჭლარა. წესით, დალლას უნდა ვგრძნობდე, მაგრამ უფრო გაბრუნებული ვარ, ვიდრე დალლილი. აი, ისე, თითქოს დრამინა დამელიოს მგზავრობისას. ვიღაც ხმელ-ხმელი აყლაყუდა დახვდა ჩვენს ჯგუფს (ხუთასამდე ვიქნებით და ყველა საქართველოდან). პირველ ეტაპზე მე ვიქნები თქვენი გამცილებელიო. გიდივით იქცევა, მაგრამ ხმა და ტონი ისეთი აქვს, სამხედრო წვევამდელებს რომ ხვდებიან ხოლმე სტაჟიანი სერჟანტები. ცოტა მბრძანებლური და იქედნური. ხომ იცი, როგორ ვერ ვიტან ასეთ ტიპებს. ძლივს შევიკავე თავი, რომ პირველივე დღეს კონფლიქტი არ მომსვლოდა, თუმცა, ვფიქრობ, ეს გარდაუვალია... თუ დროულად არ შეცვალეს. როგორც კი ამის შესაძლებლობა მექნება, მოგწერ.

დღე - 2

წუხელ ყველანი რაღაც ბარაკის მაგვარში მიგვიყვანეს. გარკვეული დროით აქ მოგინვთ ყოფნა და მერე ეტაპობრივად გაგანაწილებთო. ყველას ისე ექცევა ის ხმელ-ხმელი, თითქოს ვალი გვქონდეს მისი. ჩემი ამბავი ხომ იცი, უთუოდ მოვუფიქრებ რამე მეტსახელს. ისეთი მოშტერება აქვს, რომ ხანდახან სიცილს ვერ ვიკავებ. ჰო, მართლა, ორი-სამი ნორმალური კაცი გავიცანი. აქაც შესაძლებელი ყოფილა მეგობრების პოვნა. გიორგი, გურამა და მუსტაფა - ვარგი ბიჭები ჩანან, იუმორიც აქვთ და ავენყვით, რაღაცნაირად. ალისაც არაუშავს რა, მაგრამ ჯერ ვაკვირდებით. ჯერჯერობით ნაცნობთაგან არავინ მინახავს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ლტოლვილთა ბანაკში ვიყო. აი, ისეთში, „წითელი ჯვარი“ რომ აშენებს ხოლმე ომიანობისას. კინაღამ დამავიწყდა ჩვენს „გეტოში“ (ასე შეარქვა გიორგიმ) მხოლოდ კაცები ვართ, ქალები სხვაგან გადაიყვანეს პირველივე დღეს. ასე რომ, არ იეჭვიანო, ძვირფასო, გკოცნით ბევრს შენ და ჩემს მონაგარს.

დღე - 3

სალამი, ძვირფასო, მე კარგად ვარ, არ ინერვიულო. თქვენი ამბებიც ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ აქ, ძირითადად, სულ მოჟამული ამინდია. სულ ჟინჟულავს. გუმინ მოინმინდა და დაგინახეთ, თითქოს მონიტორზე გიყურებდით. რა ხდება-მეთქი, ვიკითხე და იმ ხმელ-ხმელმა

ვილაცას გაუმართლა და სასუფევლის კარი გაიხსნაო. როგორც ჩანს, იშვიათად ხსნიან, თორემ ასეთი ობისა და სირისტის სუნი არ იქნებოდა. აი, როგორი სუნია, იცი?! სოფლის გაუნიავებელ სახლს რომ ჰქონდა ხოლმე პირველ დღეს, სანამ გავამზეურებდით. ჰო, მართლა, ლამის დამავინცდა - თავი ხელში აიყვანე და მორჩი ზღუეყუნს. არაფერი ისეთი არ მომხდარა, რაც სხვას არ მოსვლია და კიდევ, გაუფრთხილდით და ნუ ეჭაჭლანებით ყველაფერზე ერთმანეთს, აქედან სასაცილოდ ჩანს ეგ ყველაფერი... ნუ, მანდაც ასე მეჩვენებოდა, მაგრამ მაინც.

დღე - 4

დღეს „ექსკურსიაზე“ ვყავდით უხეიროს, გავისეირნეთ ცოტა. ეს სახელი დავარქვი ხმელ-ხმელს. იმ ზღაპრის პერსონაჟს არაფრით ჰგავს, მაგრამ შინაარსობრივად, როგორც იტყვიან, „დააკვდა“ ზედ. მოკლედ, გამანაწილებელთან მიგვიყვანა და მალე აქ გამოგიძახებენო, ისეთი ტონით გვამცნო, თითქოს ვალი მოიხადა ქვეყნისა და ღმერთის წინაშე. ბიჭებო, მგონი დასაქმების პროგრამით ვართ საზღვარგარეთ ჩამოსული-თქო, გავიღლიცინე გამანაწილებელზე და ეს „უხეირო“ ისე დაფრთხა, ხვეწნა დამიწყო, მეტი აღარ გაიმეორაო. მდაა... აშკარად, რაღაც იმაზე მეტი იცის, ვიდრე გვიყვება. ვუყურებ და ტიპიური, სტანდარტული ჩინოვნიკია, დაყენებული მანერებით, მანდაც რომ არასოდეს მესიმპატიურებოდნენ, ზუსტად ისეთი. მოკლედ, ყველგან ბიუროკრატია ყოფილა, ძვირფასო. უკანა გზაზე მთელი ლექცია წაგვიკითხა აქაურ წესებზე და კანონებზე. ცდილობდა, შთამბეჭდავი ყოფილიყო და ორატორობდა. ლამის გავიგუდე სიცილით. მუსტათა მაჩუმიება: გაჩერდი, თორემ „ჩაგვიშვებსო“ - ამაზე სულ გადავბჟირდი, ვისთან-მეთქი. ეჰ... არ ვიშლი ჩემსას, რა. მუსტათა კარგი ბიჭია, ვეძისელია. მუსლიმია, მაგრამ ყველა ერთად ვართ აქ... ხომ ვამბობდი, მთავარია ადამიანი იყო და სხვას არაფერს მნიშვნელობა არ აქვს-მეთქი. ხოდა, აგერ, ბატონო... ხომ ვყოფილვარ მართალი. ნუ, გამანაწილებლამდე ჯერჯერობით ასე ვართ, ერთად და მერე ვნახოთ.

დღე - 8

მაპატიე, ძვირფასო, აქამდე ვერ მოგწერე. გაგიკვირდება და დასჭილი ვიყავი. მართალი აღმოჩნდა მუსტათა. მე და გიორგი ჩაგვიშვა უხეირომ. ნუ, ჩაგვიშვა რა... ანგარიში წარადგინა, ასეთი ვალდებულება აკისრია. ერთი სიტყვით, ღლიცინებენო და სამი დღით სამართლო ბარაკებში გადაგვიყვანეს. დიდად არაფრით გასხვავდებოდა ძველი სადგომისგან, უბრალოდ, კიდევ გამოუდარებია ჩემს იქ არყოფნაში და აქედან კიდევ ეს ვერ აღვიქვით. გული იმაზე დამწყდა, რომ თქვენი კიდევ ერთხელ დანახვის შანსი გავუშვი. ისეთ ხასიათზე ვარ, ძვალსა და რბილს გავუერთიანებდი დიდი სიამოვნებით. მოკლედ, ბიჭებმა გადავწყვიტეთ მისი თანდასწრებით აღარ ვიხუმროთ. ცოტა სახსრებმა შემანუხა... მტკივა-მეთქი, ვერ ვიტყვი. აქ ეგეთი შეგრძნებები არ გვაქვს, უბრალოდ, რაღაც აქამდე უცნობი აღქმა დამეუფლა. თითქოს, მიბჟუს მუხლი. ის ძველი ტრავმა აქაც მახსენებს თავს... მაგრამ ძალიან კოჭლობით არ მოკვდებო, ხომ გაგიგია... ჰა, ჰა, ჰა... მგონი, ამ გამონათქვამმა, ცოტა არ იყოს, აზრი დაკარგა აქ, მაგრამ... ნუ, როგორც არის, რა...

დღე - 9

მომენატრეთ... აქამდე არ მქონდა ეს შეგრძნება. ისე აღვიქვამდი აქაურობას, თითქოს მივლინებით ვყოფილიყავი სადღაც მოშორებით წამოსული. მთავარია, კარგად იყო, ჯანმრთელად, ერთმანეთის მხარში დგომით და ჯანდაბას ჩემი მონატრება... თანახმა ვარ, უსასრულოდ გაგრძელდეს. მუდმივი სირისტისა და ჟინჟღვლა-ნისლის გამო, აქაურობას გურამამ ნისლიანი ალბიონი შეარქვა. მომსპარი ენა აქვს, ჰოდა, ფაქტობრივად, თითქმის ინგლისიდან გვხმინანები. დღეს უხეირო გამოიძახეს გამანაწილებელში. ცოტა ხანში უკან დაბრუნდა. ისეთი



გამომეტყველება ჰქონდა, შემეცოდა. ვერ გაუნანილებიათ და შემდეგ გამოძახებამდე ვვლავ აქ „გაჭედელი“ გააგრძელებს თავის მსახურებას. ახლა მესმის, რატომ იქცევა ასე. ყველაზე ძნელი ხომ ლოდინი და გაუგებრობაში ყოფნაა. არ გვიკითხავს, მაგრამ ყველანი მივხვდით, რომ ეს მისი პირველი გამოძახება არ იყო. აქაც ყოფილა რაღაც უიმედობისმაგვარი სიტუაცია. უფრო სწორად - იმედგაცრუების. ახალი ეტაპი მივიღეთ დღეს და ცოტა სივინროვია. ყოველ დღე ვღებულობდით ახლებს, მაგრამ დღეს, რატომღაც, დიდი ნაკადი შემოვიდა. უხეირომ გამანანილებელი ვერ აუღის „მუშაობასო“. თავი ვერ შევიკავე და ვვლავ ვიხუმრე, - რა იქნება ერთი გამშვები პუნქტი რომ დაამატონ, კადრები არ ყოფნით, თუ სახსრები-მეთქი. ჰოდა, ენაზე ვიკბინე იმწამს, მაგრამ, რომ შევხედე, ჩუმად იღიმოდა. ეჰ, არც ეგ ყოფილა მთლად გადაგვარებულ-გადაშენებული. არ ვიცი, რას იზამს, თუმცა რატომღაც მგონია, რომ ამ ხუმრობას თავის „ანგარიში“ არ მოახვედრებს. აბა, მშვიდობით მენახეთ, გვოცნით.

დღე -10

სალამი, ძვირფასო. ძალიან ცხელა. აგვისტოს გვალვასავით ოხშივარი ასდის აქაურობას. წესით, ხვითქი უნდა გაგვდიოდეს, მაგრამ ოფლის ნიშან-წყალი არ გვეტყობა არავის. ეტყობა, მყისიერად ორთქლდება. ცხვირჩამოშვებული დალაყუნობს დილიდან უხეირო. კითხვაც არ უნდა, უკვე ვხვდებით, როდის - რომელი „კარიბჭეა“ გაღებული. ჩემი ამბავი ხომ იცი, ყველაფერში პოზიტივს ვეძებ. დაფეთებულები იყვნენ ბიჭები და გასამხნეველად სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე - კარგია, ცოტა, სინესტე გამოშრება- მეთქი, გავიღლიცინე. ატყდა ხორხოცი. ალიზე რომ გიყვებოდი, გამართლდა ეჭვი. ცოტა უცნაური კაცი იყო და დღეს გაიქცა უხეიროსთან - „პატაკით“, ისევ ღლიცინებენო. მოკლედ, დამიძახა ცალკე და მთხოვა, საჭაროდ მაინც შემეკავებინა თავი ამგვარი ხუმრობებისაგან. ამას რომ მეუბნებოდა, თავადაც გაეცინა - შენ სამარეც ვერ გაგასწორებსო, მითხრა. ჰოდა, ორივეს აგვიტყდა ხორხოცი. აქაურ ბიუროკრატებსაც შენაძლებათ სიცილი. შენ საბოლოოდ დამღუპავ მეო... ე, ბიჭო, შენ რო გადასარჩენი ყოფილიყავი, აქ კი არ ივლიდი აქნობამდე წინ და უკან, დეპოში გაჭედელი მატარებელივით-მეთქი... მოკლედ, გვარიანად ვიცინეთ. ბოლოს ისევ გამიმეორა თხოვნა. ჰოდა, მგონი, მიპოვა სუსტი წერტილი. რეგვენთა იქედნურ მბრძანებლობას ვერ ვიტანდი ვერასდროს, თორემ თხოვნას მოსისხლესაც შევუსრულებ, ხომ იცი. მოკლედ, დავლაგდი, მგონი, უხეიროსთან.

დღე - 11

დღეს ცოტა შეუძლოდ ვარ. დილით 6 წლის ბეჭა და 2 წლის საბა მოიყვანეს. ისეთები არიან, ანგელოზებს ჰგვანან. მთელი ჩვენი „გეტო“ შეძრწუნებულია. ძალიან იმოქმედა ჩემზე. ტირილი გვინდა და ვერ ვტირით. ვართობთ, ვისაც როგორ შეგვიძლია. ბეჭა ცოტა გავამხიარულეთ და საბას ვერ მოვუხერხეთ ვერაფერი. სულ დედას კითხულობს. უხეირომ თქვა, ავარიამ შეინირაო. მოკლედ, ბევრი წერის თავი არ მაქვს და გეხვეწებით, მეტი ყურადღებით იყავით საჭესთან. გვოცნით და ძალიან მიყვარხართ.

დღე -12

გუშინ რომ მოგწერე ბეჭაზე და საბაზე, ორივე წაიყვანეს დილიდან. აქ ასეთი წესი ყოფილა - ბავშვებს ერთ დღეში ანანილებენ ურიგოდ. ჰოდა, დილიდან დარია „გეტოში“. ყველამ შვებით ამოისუნთქა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. აქ მაინც ხომ უნდა ყოფილიყო სამართლიანობა, მაქაურობისგან განსხვავებით. ჰოდა, ისევ დაგინახეთ, დილიდან გადევნებთ თვალს. დაანებე ამ საკურთხის კეთებას და ვაი-ვიშს თავი. ასე უფრო მთრგუნავ. გაიღიმე და თუ მანდამაინც უნდა მახსენო, ჩვენი ხუმრობები გაიხსენე ხოლმე. ის დღეები, როცა ბედნიერები ვიყავით და აქეთ-იქით

დავწანალებდით. მე ასე ვაკეთებ და სულ გაღიმებული დავდივარ. ზოგს აქ სულელი ვგონივარ... მუსტაფამ მითხრა, ჭორაობენ შენზე... მაგას, ეტყობა, გარანტირებული აქვს რაღაცები და მითომ აქვს პირი გადღღებილი. ეჰ, ყველას რომ დავემსგავსო, რა მერე ამით. დე, იფიქრონ, რაც უნდათ, არ მანაღვლებს. საკუთარი თავის გარდა, არავის იმედი არ მქონია მანდ არასოდეს და არც აქ მაქვს. ასე რომ... რაც იქნება, იქნება. დაიხსომე, ძვირფასო, ამიერიდან ერთადერთი გული, რომელიც ბოლომდე და მხოლოდ შენთვის იფეთქებს, შენი გულია. ერთადერთი მხარი, რომელზეც დაყრდნობა შეგეძლება - შენი საკუთარია. ერთადერთი ხელი, რომელსაც წამოსაყენებლად გამოგიწვდიან, შენი საკუთარი იქნება. ერთადერთი თვალი, რომელსაც გულწრფელი თანაგრძნობითა და სიხარულით ცქერა შეგეძლება, შენი თვალია. ჰოდა, თავს გაუფრთხილდით, თავს და ერთმანეთს... ნურავის იმედად ნუ იქნები. ნურც შინაურის და ნურც გარეულის. ჩემსავით ხშირად გაიღიმეთ და ეგ ღიმილი შეგიმსუბუქებთ და წაგეშველებათ ყველაფერში. ჰო, მართლა, მავინყდებოდა... თმები შეიღებე და მოკოპნიავდი ცოტა. ნუ დამინყებ ახლა „ხალხი რას იტყვის“ და ამგვარები... ჰმ, ხალხი... მე რას ვიტყვოდი, ეგება ამაზე დაფიქრდე. გკოცნით „ნისლიანი ალბიონიდან“ და ღიმილი, ღიმილი დამანახეთ...

დღე - 20.

მაპატიე, ძვირფასო, აქამდე ვერ გწერდი. ისეთი სიცხეებია ეს ერთი კვირაა, ძლივს დავლასლასებთ. გურამამ: მგონი, ის დასაწვავი „კარიბჭე“ დარჩათ ღიაო...არ იშლის ღლიცინს. ხუმრობა იქით იყოს და მართლა ძალიან გაგრძელდა აქაური „გვალვები“ .ამას ისევ ის ნესტი და ჟინჟღვლა ჯობდა. ამ დღეების ნაკადს რამდენიმე პოლიტიკოსი გამოჰყვა. მამალ ბუმს რომ არ იქნენდნენ თავზე, ეგეთები. მაგათთვის არც აქ შეცვლილა არაფერი. ისე ჭამენ ერთმანეთს, როგორც მანდ. უხეირომ სამი დღე უტარა აღმზრდელობითი ლექციები, მაგრამ რად გინდა, აქაც ოპოზიცია-პოპოციას თამაშობენ, ლანძღავენ და თათხავენ ერთმანეთს. ბიჭები ვიცინით - ერთად მაინც გამოიძახებდნენ ამათ გამანაწილებელში, თორემ, ყოველდღე ცალ-ცალკე თუ დაიბარეს ... იმფერი სიცხეები გველოდება, ჯოჯოხეთს აქაც წინასწარ მოგვინყობენო. უხეირო ჩვენ ჯგუფს ერიდება...იშვიათად გვეხმიანება, რამდენჯერაც მოვიდა, იმდენი ვემასხრეთ, რომ სიცლით გაბრუნდა უკან და გვერიდება...ნუ, სამსახური აქვს ასეთი და რა ქნას. ეჰ, წავედი, წამოვწვე თორემ ვყანყალე სიცხისგან. მშვიდობით მენახეთ.

დღე - 25

დღეს აგრილდა ცოტა. ისევ ჟინჟღვლავს. გვალვის შემდეგ ისევ ნესტმა დაისადგურა. ეტყობა, გაიჭედა ვიღაც განსაწმენდელში. როგორც ჩანს, ვერ მიიღეს გადანყვეტილებაო. ან საბჭოს ელოდებიან, ან თავად „პირველმა“ უნდა გადანყვეტოსო, მანამდე ვი ვიქნებით ამ ნესტში და ბურუსშიო, - ასე გვითხრა უხეირომ. შენ რამდენჯერ იყავი გამანაწილებელში-მეთქი, ვკითხე და ლამის ცუდად გახდა კაცი. ბევრჯერო, - მომიჭრა. მერე, იმ პირველს თუ შეხვედრილხარ-მეთქი... არაო. ბოლო დაძახებებზე საბჭოზე გავდივარ, მაგრამ ისევ აქ მაბრუნებენ, ვერ ჯერდებიანო. „პირველი“ განსაკუთრებულ შემთხვევებში ერევა, როცა ძალზედ დიდხანს ვერ ხერხდება გადანყვეტილების მიღება, ან კაცი იმდენად სუფთაა, რომ ავტომატურად მასთან ხვდება, გამანაწილებლის გვერდის ავლითო. მოკლედ, ჩემო კარგო, როგორც ჩანს, „პირველთან“ მოხვედრა ნამეტნავად ძნელია აქაც და მანდაც. „პირველი“ ყველგან პირველია, რა... ახლოვდება ჩვენი ჯგუფის ჯერი. ვინც აქ დაგხვდა, ცოტავდებიან ნელ-ნელა. ახლა მივხვდი, რისთვის ყოფილა საჭირო ის ორმოცი დღე. აქაც ყველაფერს თავისი რიგი და წესი აქვს, ჰოდა, ველოდები მეც ჩემს რიგს. რომ გითხრა არ მადარდებს-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ ყველაფერს შეგუებული ვარ და ეს მშველის. პანიკორი არასოდეს ვყოფილვარ და არც აქ შეგარცხვენო. გკოცნით.

დღე - 30

ეს დღეები ისეთი ნისლია და ისე წვრილად ცრის, რომ ლამის დატბორა აქაურობა. იმ სპეციფიკურ სუნს შმორის სუნიც დაემატა... რას წააგავს, იცი? აი, წყალი რომ ჩაშრება და ენდრო და კვერხი მიგენვება ღებვისას, დაახლოებით იმას. ძალიან ბევრი ახალგაზრდა მივიღეთ ბოლო ნაკადებში, სანამ გავერკვეოდით, დავიზაფრეთ, ომი ხომ არ დაიწყო მანდ-მეთქი... ეჰ, არანაკლები აღმოჩნდა. უმეტესობა ნარკოტიკის ტრფიალს შეუწირავს, ომი არაა... აბა, რა ჯანდაბაა ეს? მაგის მომგონს და პირველად შემომტანს წავანყდებოდე ნეტა აქ, სადმე და ისეთს ვუბამ, ეგება ტარტაროზებს სიბრაღულის ცრემლები ნასკდეთ. ყველა ერთი-მეორეზე შეხედული და წარმოსადეგი. ყველა, ლამის, პირტიტველა ბიჭები, - საჭიშვედ რომ ვიტყვით ხოლმე, ზუსტად ისეთები არიან. დამეწვა გულ-მუცელი. ზიან, ასე, ბარაკის კუთხეში, თავჩაქინდრულები და მეორე დღეა თავი არ აუნევიათ ზემოთ. თვალეში არ შეუხედავთ არავისთვის. რატომ? რისთვის? განა, ამაღ ღირდა ეგ ყველაფერი? ვუყურებ და თან ბრაზი მახრჩობს, თან სიბრაღული. ესენი ჯერ აქ „გამოდარებას“ არ შესწრებიან... მაგრამ, ნეტა, აქედან რა სინდისით გადმოხედავენ თავიანთ დედებს, შეყვარებულებს, შვილებს ან ცოლებს... ან რა ჭკუაზე დადგებიან მათი შემხედვარე...

დღე - 35

ამდენი ხნის განმავლობაში, დღეს ძლივს გამოიდარა. გაუმართლა ვიღაცას და ვხეირობთ ჩვენც. კიდევ ერთხელ მომეცა თქვენი დანახვის შანსი. როგორც ჩანს, არ გეყურება ჩემი, არც ხმა გესმის და არც წერილები აღწევს შენამდე. რამდენჯერ უნდა გთხოვოთ, გაიღიმეთ-მეთქი. სიმართლე გითხრა, ძალიან გაბრაზებული ვარ. თითქოს, ჩემი არ მყოფნიდეს, თქვენი ყოფა დამიმატეთ ახლა კიდევ აქ სადარდებლად. არ მჭირდება ბატონო მაგ გადიდებული პორტრეტის გამოჭიმვა არაფერში და არც ღამღამობით დანთებული სანთლის შუქი აღწევს კიდევ აქამდე. ჩაგეძინება, დაგრჩება ერთხელაც იქნება მაგ „უკან მოდევნებული ლამპარი“ და ქეც ააგიზგიზებ მაქაურობას. რო დაგიჩემებია, კოლიო უყვარდაო, მაგი მე სიცოცხლეში მიყვარდა, თორე ახლა ხორბალს მოხარშავ, თუ ლობიოს, - ჩემთვის სულერთია. მასე თევზაობა-ნადირობაც ქე მიყვარდა, მაგრამ რაცხა ვერ გხედავთ მხარზე თოფგადებულსა და ფალია გადაკიდებულს. აკი, გითხარით, მიხედეთ თავს, მონესრიგდით და მოკოპნიავდით ცოტა-მეთქი, მაგრამ, გეყურებათ? ჩემი პატივისცემა თუ გინდათ, მანდ როცა ვიყავი და თქვენი დანახვა როგორებისაც გამეხარდებოდა, ისე გააგრძელეთ ცხოვრება. რამდენიმე დღე დამრჩა დაძახებამდე და თუ კიდევ გამოიდარა, ღიმილიანები და მონკვილ-მოკოხტავებულები მსურს დაგინახოთ. წუხელი გურამას ვუყვებოდი ჩვენს ამბავს... ის ბალი გამახსენდა, საიდანაც დაიწყო ყველაფერი და... ეჰ, კარგი, წავედი, მგონი, გიორგის ეძახიან გამანანილებელში და უნდა გავაცილო. გკოცნი და შეისმინე, რასაც გეუბნები.

დღე - 38

სალამი, ჩემებო. დღეს ისევ დაცხა. დილით უხეიროს დაუძახეს, საბოლოო გადანყვეტილება უნდა გამცნოთო. ყველას ღიმილით დაგვემშვიდობა, თითქოს თვალეებით გვეუბნებოდა მშვიდად ვარ და რაც არ უნდა მითხრან, ყველაფრისთვის მზადო. ბედნიერი ჩანდა... საოცრად უხდებოდა ღიმილი. ყველაზე ძნელი და მტანჯველი ხომ ლოდინი და გაურკვევლობაა, ძვირფასო. ჰოდა, დაცხა, გესმის? დაცხა ...ხო ხვდები, რასაც ნიშნავს. რისთვის ალოდინეს და რისთვის დატანჯეს ამდენ ხანს, თუ მაინც ის გაგვალული ვარი უნდა გაეღოთ მისთვის. ეჰ, აქ იმედით ყოფნას ისევ უიმედოდ ყოფნა სჭობს. ისე წავიდა, სახელიც არ უთქვამს თავისი... ან და რისთვის? იყო კი საჭირო გვცოდნოდა? აქ სახელს, წოდებას, ქონებას, წლოვანებას, ჯანმრთელობას აზრი აქვს დაკარგული. აქ ყველა ერთნი ვართ და ყველას „გასანანილებლები“ გვქვია. ჰო, ერთნი ვართ, თანაბარნი. მეც, გიორგიც, გურამაც, მუსტაფაც, აშოტაც, მოშეც... და კიდევ ვინ მოთვლის

რამდენი. ზოგს მარცხნივ გაგვიშვებენ, ზოგს მარჯვნივ და იცი, ვინ არიან ყველაზე საბარალონი? აი, სწორედ, „უხეირონი“, რომელთაც ცოდვა-მადლი თანაბრად ადევთ. რომლებსაც ჯერ მანდ ტანჯავს გამჩენი საკუთარი მერყეობისათვის, ჩამოუყალიბებლობისა და გაურკვევლობისთვის და მერე აქ მათ მიმართ გადანყვეტილების გაჭიანურებითა და ამით იმედის ნაპერწკალის გაჩენით. ასეთებს „გაჭედებებს“ ვეძახით და, როგორც ვატყობ, ყველაზე მეტად მათ რიგებში მოხვედრა არ მინდა. ხომ იცი, როგორ ვერ ვიტან ლოდინს და მძაგს გაურკვევლობა. თუმცა, რა ვიცი... ამაშიც არის ერთი პოზიტივი, რამეთუ კიდევ შემეძლება თქვენი დანახვა გარკვეულ დრომდე. ნუ, მოკლედ, არ ვიცი, არ ვიცი...

დღე - 39

სალამი, ძვირფასო! გურამა და მუსტაფა წაიყვანეს. ჟინჟულავს. მიხვდი, ჰო? ეჰ, გაიჭედნენ ბიჭები. ფაქტობრივად, მარტო დავრჩი. არა, აქ ბევრნი ვართ, მაგრამ მე ვარ მხოლოდ მარტო. ნაცნობი სურათია, არა? ისევ უაზროდ მედიმება. ჰმ... მანდაც ასე არ ვიყავი, ყოველთვის მარტო? ჰო, თქვენ არ ითვლებით, თქვენ ჩემები იყავით და არა ჩემიანები. არა, არ გეგონოს ვნუნუნებდე... მე ხომ მიჩვეული ვარ ამას. ხვალ ჩემი ჯერია გამანაწილებელში „სტუმრობის“. მეშინია? არაა, რა აზრი აქვს, თორემ, კიდევ ჰო. დუმბადის „თეთრი ბაირალები“ მიტრიალებს სულ გონებაში... აი, გაიღება ხვალ კარი და დაიძახებენ - „მოშიაშვილი ს ვეშამი!“ და მეცინება ასე, უაზროდ. ერთმა „ახალწვეულმა“ შემომბედა: ბიძია, რა გაცინებსო? მიხარია-მეთქი. სულ გადმოსცვივდა თვალები, რა გიხარია, ხვალე დაგიძახებენო. მიხარია, ბოლო-ბოლო შევხვდები და ჩემი თვალით ვნახავ როგორია-მეთქი. თანაც, იმდენი კითხვები მაქვს დაგროვილი, თქვენთვის კარგა ხანს ვერ მოიცილის-მეთქი. ისეთი სახით გაბრუნდა, ნაღდად ჭკუასუსტი ვგონივარ. ეჰ, იქნებ ჯობდა, რომ მართლა ვყოფილიყავი. თუმცა, არაა, გატყუებ... მაინც მეშინია, ოღონდ იმის, რომ მას, „პირველს“ ვერ ვნახავ და ვილაც აქაური, საშუალო რგოლის შავ-თეთრებში გამონყობილი ბიუროკრატი მიიღებს გადანყვეტილებას. აი, ისეთი, მანდ რომ კაცის კაცს ვეძახდით და სალამის სათქმელად გაზულუქებული კისრის მოტრიალება რომ ეზარებოდათ. თავისი სტატუსის გარდა, არასოდეს არაფერს რომ არ წარმოადგენდნენ და ხელებითა და ფეხებით იყვნენ ჩაფრენილები ამ სტატუსს. აი, ვინმე ასეთი არ შემხვდებოდეს, ამის მეშინია, რადგან, ვაითუ, ნერვებმა მიმტყუნოს ისევე, როგორც მანდ მრავალგზის და... მოკლედ, ბევრს აღარ გავაგრძელებ, უნდა გამოვიძინო... რა ვიცი, კიდევ შევძლებ თუ არა ოდესმე ასე მხართეძობზე წამოთხლემილი ყოფნას. გკოცნით, მშვიდობით მენახეთ.

დღე - 40

სალამი, ძვირფასო! დამიძახეს. მშვიდობით. ხშირად გაილიმეთ. მიყვარხართ... P.S ადრესატი მიუწვდომელია...

22.06.2021 წ.

## წყალკამკამოზა

კვირა დღე იყო. წირვა ახლად გასრულებულიყო და ჯერ კიდევ ირეოდა ხალხი ტაძრის ეზოში. რამდენიმე ჯეელი გალავანს გარეთ გამოსულიყო და ორსაათიანი დათმენის შემდეგ მთელი მონღოლებით ქაჩავდა სიგარეტს.

- სალამი, გიგო ჰაჰა! - მოკრძალებით, თითქმის ყველა ერთხმად მიესალმა ვენახიდან მომავალ ბერიკაცს.

- თქვენი გამარჯვებისა იყოს, შვილებო, გენაცვალოთ გიგო ჰაჰა, - ტკბილადვე მიუგო მოხუცმა.

- აგრე უჟმურად რად ჩამომსხდარხართ, შვილებო? რაო, გამოგრეკათ ტაძრიდან მოძღვარმა?

- არა, გიგო პაპა, მსახურება დასრულდა და, თანაც, აბა გალავანს შიგნით ხომ არ მოვწვევდით...

- ჰმ, - ჩაეცინა გიგოს, - რათა, გალავანს შიგნით ნუხდება უფალი და გალავანს გამოდმა ველარა გხედამთ, არაა?! რა სახედალრეჭილობა დაგმართნიათ, ტრაპეზობისთვინ რათ არ ემზადებით?

გაკვირვებული სახით გადახედეს ახალგაზრდებმა ერთმანეთს. ბოლოს ერთმა გაბედა: - რა დღეა დღესა, რო?

- როგორა, ვაცო, მაშ მოძღვარს არაფერი უთქვამს? ვაჩნაძიანთო, მოდი ერთი ჩემი „კობტა“ ჩრდილში მიაბი, - სახედრის საბელი გაუნოდა ტატოს და გვერდით მიუჭდა ბიჭებს, - შვილებო, დღესა არა, ქრისტე ღმერთის ქადაგებიდან მოყოლებული, მთავარი დღესასწაულია შობა-აღდგომის შემდეგა, მაშა. ჰოდა, მეკიდენა მარტოკინა ამ დღეობასა ვერ გავწვდები, აღარც ჯანი მომდევს უწინდებური და აღარც მარიფათი. ერთ შტოფ ნარაფსა და ორ ცივად მოხარშულ დედალსა მე ჩამოვდივარ, დედას პურებიც დილით ამოყარა თონიდანა ჩემმა დედაცაცმა. ჰოდა, თქვენც მიდექ-მოდექით, მოძღვარსაც უხმეთ და აგრე ორ საათში ჩემთან ავყრიაშულდეთ, ვაკლის ძირში, გენაცვალოთ გიგო პაპა.

თვალეები გაუბრწყინდა ბაბილაანთ სოსოს, ისედაც უშნოდ ღირღიტებდა დილიდან.

- ჯანი გავარდეს, სამ კილო უშბეურს მე დავამატებ ჩემს ნისიას მიხა ყასაბთან, - აჰყვნენ სხვებიც. ერთმა, მჟავეს მოვიტანო, მეორემ - შაშხსო, მესამემ - გუდის ყველსო და ატყდა ფორიაქი.

- გიგო პაპა, მაინც რა დღესასწაულია დღესა, აღარ იტყვი? - კითხვა მიანია უკვე სახლისკენ მიმავალ ბერიკაცს ტატომ.

- დღესა? დღესა წყალკამკამობაა, შვილებო, წყალკამკამობა, - არც მობრუნებულა, ეგრე გამოსძახა გიგომ.

გიგო პაპა! ბათურა მიაბი, რა... პურმარილი მოვიტანეთ. ე, მანდ კბილი არ გაგვკრას მაგ ქოფაქმა.

- მოდით, შვილებო, მოდით! დღეს არ იკბინება ეგა, სამშაბათსა და ხუთშაბათს ერიდეთ ხოლმე, - ხუმრობით გამოსძახა გიგომ.

ატყდა ერთი ფუსფუსი, ხალისობა და ჟრიაშელობა გიგოს კერაზე. ცოტა ხანში მამა შიოც მიადგათ, გეგა სტიქაროსანთან ერთად, რომელსაც სანჩოსაც ეძახდნენ სოფელში. ჯერ ერთი, როგორც დონ კიხოტს ეგრე დაჰყვებოდა მოძღვარს ყველგან და მეორე, მისი ტანის მოყვანილობაც ზედ აკვდებოდა ამ „საპატიო“ თიკუნს.

- აქა მშვიდობა, - დაიბუბუნა შიომ, - გიგო პაპა! ვაცოლო... სანამ მოვიდოდი, მთელი საეკლესიო დღესასწაულები გადავქექე და ეგეთს ვერაფერს წავანყდი და ერთი მითხარი, თუ ღმერთი გნამს, სად და რომელ წყაროში ამოიკითხე ეს წყალკამკამობა, პაპა?

- ეგა? ჰოო, ეგა ქრისტე ღმერთმა ბრძანა... აი, დავსხდეთ და მერე „გიქადაგებთ“, - ჩაიციანა გიგომ.

ცოტა ხანში მწვადიც შეინვა და ხაშლამაც გადმოდგეს ცეცხლიდან. სუფრა აკურთხა მოძღვარმა, უფლის სადიდებელიცა თქვეს და მერე ყველა ერთად მიაშტერდა გიგოს.

- ჰოო... - დაიწყო გიგომ: - დღესა, შვილებო არა, უფლის სწავლებიდან ერთ-ერთი მთავარი სწავლების დღეა, რომელიცა არა, დავინყვებს ეძლევა. ინდე, იზრდება თქვენი თაობა და მიდიან ძველები. ჰოდა, ეს ცოდნა კიდენა ვისთვინ გვინდა, თქვენ თუ არ გადმოგვცით და არ გააგრძელეთ... წელსა, ეს დღესასწაული დღევანდელ დღეს მოუწია, ისე კიდენა, მცოცავია, როგორც ბევრი სხვა, ესაც რამდენიმეჯერ იზეიმება...

- გიგო პაპა! - შეანყვეტინა მოძღვარმა, - გაგვიწვრილდა გული. აღარ იტყვი, ვაცო, რა არის ეს წყალკამკამობა? თავიდან წელის კურთხევასა და ნათლისღებას დავუკავშირე, მაგრამ ვერ მოვარგე, მამკლა ინტერესმა, დაგვაყენე საშველი, შე დალოცვილო.

- ჰოო... - ისეც ჩაიცინა გიგომ, უღვაშზე გადაისვა ხელი და მოძღვარს მიაშტერდა.

- რაო, ქრისტე ღმერთმა? ხომ დაგვიბარა, „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო“, ჰაა? დაგვიბარა. რუსთაველმაც ხომ დაგვიბარა, „სიყვარული აგვამაღლებსო“, ჰაა? დაგვიბარა. ჰოდა, დღესა ვენახიდან მოვდივიოდი, როცა უფლის სახლთან დავლანდე ეს ჭეღეღები. გადავხედე, მომესიყვარულენ, მივესიყვარულე და გამახსენდა, რომა ეს სიყვარული ერთ-ერთი უპირველესი დღესასწაულია კაცთა შორის, რითაც უნდა ვხარობდეთ და ვზვიამობდეთ. წყალკამკამობა კი მიზეზია უმიზეზო სიყვარულისა. ჰოდა, გენაცვალოთ გიგო ჰაპა, ამ ფიალითა არა? ჩვენ წყალკამკამობას გაუმარჯოს... სახედარეჭილებს ერთმანეთის დანახვა რომ გაგვადიმებს, მოგვაკითხინებს და ერთად პურის გატეხვის სურვილს გაგვიღვიძებს. ამაზე დიდი დღესასწაული რაღა უნდა იყოს მოკვდავთა შორის?! განა, აგრე არ არის, მოძღვარო?

- ერთი წუთი დუმილი ჩამოვარდა სუფრაზე, ყველა გარინდებული მისჩერებოდა გიგოს. მერე ყველას ერთხმად მოსწყდა სიცილი და ახორხოცდა მთელი სუფრა. ყველაზე ხმამაღლა შიო იცინოდა და ანაფორას მკლავით იწმენდა ცრემლებს. ეგ რა გვიყო, კაცოო! ოხ, გიგო ჰაპა, კაი ოხერი ხარ შენცა... წყალკამკამობაო, კაცოო... მცოცავიაო, კაცო! ეს რაღამ მოაფიქრა, ჰაა?

-ჰოდა, ამ სიხარულისა და ჟრიაშისა იყოს. ჩვენს წყალკამკამობას გაუმარჯოს, - აიტაცეს სადღეგრძელო. მხოლოდ „სანჩოს“ ჰქონდა თავი ჩაყოფილი ხაშლამის ჯაშში და ორივე ყბით იღმურძლებოდა. სიცილისა რა გითხრათ და ეგრე ჰქონდა ორივე ყბა ხორციტ გამოტენილი, რომ მხოლოდ ღიმილისთვისღა ყოფნიდა კანი ლოყებზე.

- გიგო ჰაპა! სიყვარულზე გამახსენდა... წონიანი კაცი ხარ და ეგება შენ შეასმინო ტატოსა... მაშო ძალოს შორენა ჰყამს გულში ჩავარდნილი, არ არის ეგ გოგო ტატოს შესაფერი და ვერაფერი გავაგებინეთ ამ გაქირსა. მთელი რაიონის გოგოებს ტატოზე აბოდებთ და ეს კიდენა, ყანაში გამაძლარი ვირივით შეყროყინებს შავ შორენასა.

- ე, ვერან, შენ ეხლა დაუკრეფავში ნუ გადახვალ, თორემ ამ წყალკამკამობას ძმარღვინობად გადაგიქცევ, გაიგე შენა?! - შეუღრინა ტატომ უნდილაანთ მიშოს.

- აბა, ახლა აქ ეგეთები არ იყოს, - დაიბუბუნა შიომ. წესიერი გოგოა, აღსარებაც ჩამიბარებია და მისი ავანჩავანიც წვრილად ვიცი.

- ტატო, შვილო, სიფიცხე დაიოკე, გენაცვალოს გიგო ჰაპამ. მიშო, შენა კიდე ვიცი, რომ ტატო შენი ძმადნაფიცია და მჯერა, მისთვის საუკეთესო გინდა, მაგრამა... სიყვარულში განა როდის გადაუნყვიტმს შავ-თეთრობას ოჯახის ბედი. მთავარია, სილამაზის დანახვა და აღქმა შეგეძლოს, თორემა, ერთი შეხედვით, ციკინათელაც ხოჭოა და მყინვარიც კლდე და ყინული. შავი და თეთრი ვაზი, ორივე ვაზია. თუ მოუვლი, ორივე გაიფურჩქნება, გალალდება, დამშვენდება, დამწიფდება და ეგრეთ ღვინოს დაიყენებს, უკეთესს ვერაფერს იგემებ. ზოგს შავი საფერავი ურჩევნია და ზოგსაც თეთრი რქაწითელი. ეგა, ბაღლებო, გემოვნების ამბავია, მაგრამა, ან ერთი და ან მეორე რამით დაიწუნება?! ჰოდა, ეგრეა ქალიცა, გენაცვალოთ გიგო ჰაპა. თქვენში კიდენა, აბა, გულის მოსვლა და წყენა რა საკადრისია, შვილებო. ჩემ ჭეღეღობაში ასეთი წესი გვქონდა მეგობრობაში: თუ რამე მოგვხვდებოდა ერთმანეთისგანა გულზე, ალაბანზე ჩავდიოდით, კოჭებამდე შევიდოდით ხოლმე წყალში და ჭოხით ლამზე ვწერდით ამ წყენასა. მერმე, იქვე ჩამოვჯდებოდით და შორიახლოდან ვუცქერდით, თუ როგორ შლიდა ამ ჩვენს ჯავრსა მადლიანი ალაბანი. ჰოდა, მოყვასზე წყენა ქვიშასა და ლამზე წერეთ შვილებო, თორემა, თუ ქვაზე ამოკვეთავთ, ეგ ქვა მთელი ცხოვრება ლოდად დაგანვებათ გულზე და ძნელად თუ გადააგდებთ. რომც გადააგდოთ, მაგ ლოდის სიმძიმით დასრესილ-დაბეჭილი და დატკეპნილი გული ისე ვედარასდროს იფეთქებს ერთმანეთისთვისა, ვიდრე ადრე ძგერდა. აი, აგრე, აი, აგრე უნდა ქნათ, შვილებო, გენაცვალოთ გიგო ჰაპა. ჩემო ჯიგრის ნაწყვეტებო და ჩემო ვაზის მტევენებო, თქვენ გაგიმარჯოთ. ყურძნის მარცვალში მზე რომ ჩავარდება, შეფაკლავს და იქიდან ქარვისფრად ბრწყინავს, აი, ეგ ბრწყინვალეა არ მოგშლოდეთ თვალებში, შვილებო. ერთმანეთის დანახვაზე თვალებში გამობრწყინებული მზე და პირზე ღიმილი არ მოგიშალოთ შვილებო ღმერთმა, შამოგვევლეთ თქვენა. აბა, ალავერდი მოძღვართანა ვარ. მადლის ქმნასა და მადლიერებას გაუმარჯოს, მადლიერებაში კიდენა - სიკეთესა.

- ავი, მთავარია მადლის კეთება და მადლიერებას ნუ დაელოდებითო? მადლი ქენი, ქვაზე დადეთ... ეგ როგორღა არის, გიგო პაპა?

- ჰმ, ეგრეა, როგორც მაგ ანდაზის გაგრძელებაში, „გაიარე, წინ დაგხვდებაო“ - პაპამ გენაცვალოს. მადლიერებას და მის გამოვლინებას უფალიც გვიქადაგებს, მიშო, შვილო და რათა, თუ იცი?! იმათა, რომა, მართალია, მადლიერება უფრო ლამაზს, უფრო ჭანმრთელსა და მდიდარს ვერ გაგხდის, მაგრამა სიკეთის კეთების სურვილის გაორმაგება ნამდვილად შეუძლია. ხოლო ის, რაც სიკეთეს აორმაგებს, თავადაც სიკეთე გამოდის, შვილო. სხვის სიკეთეზე შენი სიკეთეა მადლიერება. ჰოდა, მადლიერება თუ სიკეთეა - უმადურება, ანდა მადლიერების არგამოხატვა, გინდა-არ გინდა - ბოროტება გამოდის, გენაცვალეთ გიგო პაპა. ამიტომ ვუხდით უფალს მადლობას ყოველი დღისათვის და ამიტომაც არის მადლიერება კაცის ვალი. მადლიერი კაცი ბოროტი და მოღალატე ვერ იქნება მადლის გამღების მიმართ.

- კარგი, რა, გიგო პაპა! აგერა, ჩვენს სოფელში, შორს რომ არ წავიდეთ, რამდენია უმადურიცა და მოღალატეც...

- დამიგდე ყური, შვილო! მაგისტანებმა მადლის კეთებაზე ხელი თუ აგაღებინეს, შენც მათი ნაწილი გახდები ბოლოს. თუ გიღალატეს, ეს იმის უმადურებისა და ორგულობის ბრალი კი არ არის მხოლოდ, ვინც გიღალატა, არამედ შენი ბრალიცაა. ეს სამყაროს გარდაუვალი კანონზომიერების პასუხია საკუთარ შეცდომაზე, წინდაუხედაობაზე, ადამიანის ვერშეცნობასა და მიაშიტობაზე. ანდაც, სულაც, შეიძლება უფლისგან მოვლენილი განსაცდელი და გამოცდაც იყოს...

- გიგო პაპა! უფალსაც ხომ უღალატეს? გამოდის, რომ ისიც წინდაუხედავი და მიაშიტი ყოფილა, ვერ შეიცნო და მანაც შეცდომა დაუშვა, თუ როგორ არის ეგ ამბავი, პაპა?

- შენა, ბიჭო, დაფეთებული ხომ არა ხარ, გვაცალე რა პურის ჭამა, - ისევ წამოიქოჩრა ტატო.

- არა, გენაცვალეთ პაპამ. ქრისტე ღმერთმა იცოდა, რომ უღალატებდნენ და განგებ დაუშვა ეგა, ადამიანს კი წინასწარ ამის განჭვრეტის უნარი არა აქვს, მიხვედრილობა აქვს, ინტუიცია აქვს, მაგრამა გადაჭრით, წინასწარ ამის მტკიცება არ შეუძლია. რომც ჰქონდეს კიდენა განჭვრეტის უნარი, უფლისგან განსხვავებით, ის არასდროს დაუშვებდა ამას.

- მაინც ვერა გავიგე, რა, - ჩაიბურღლუნა მიშომ.

- მაგაზე მე და შენ ტაძარში ვისაუბროთ, - ჩაერთო შიო, - ასე, ერთ სუფრაზე გასარჩევი საკითხი არ არის ეგ, ჩემო მიშო. შენი ათასი „რატომ“, იმდენივე „იმიტომს“ დაბადებს და ვინ იცის, დღეის სწორამდე გაგვიგრძელებს ეს წყალკამკამობა, - იხუმრა მოძღვარმა.

- ამ ფიალითა, ბალდებო, ჩვენს ალაზანს გაუმარჯოს, ჩვენი ბარაქის დედასა და შემწესა, ჩვენი ვენახის იმედსა და ჩვენი წყენების ჩამომბანსა...

კიდევ არაერთი სადღეგრძელო შეისვა იმ დღით გიგო პაპას კერაზე, კიდევ დიდხანს ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს მოხუცები და ჯელები. ყველა დიდი სიხარულით ზეიმობდა „წყალკამკამობის ბრწინვალე დღესასწაულის შემოცოცებას“.

14.01.2022 წ.



მკა დიდებულიძე

სიყვარულია თავად უფალი“



„ღვთის ვაცის ნაკვალევზე“ – ერთობლივი პროექტია, რომელიც ხორციელდება შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარის დავით ახლოურის და საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების შიდა ქართლის მეთაურის იასონ დევანოსიძის ინიციატივით. წლების მანძილზე ერისკაცის ნაკვალევს მიჰყვებიან პროექტის მონაწილენი.. ოქტომბრის თვეში, კი ერთ მზიან დილას ისინი ხაშურს ესტუმრნენ . მათთან ერთად თბილისიდან გენვივნენ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი, ცნობილი მწერალი და გიორგი სააკაძის მეისტორიე, მხატვარი, პროფესორი ნიკო ხერკველაძე.

ქალაქის შუაგულში მზით განათებული "მომავლის სახლია", სახლი, სადაც მუდამ სითბო და სიყვარულია და მზებავშვები გვეგულეებიან. მივედით და მოზარდები სიხარულით ჩავიკარით გულში. მისვლისთანავე ულამაზესი გარემო დაგვხვდა – ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მოზარდები, რომლებმაც საკუთარი ხელით შექმნილი ნივთები დაგვათვალისწინებინეს– სათუთად, დიდი ოსტატობით რომ ქმნიან აღმზრდელების დახმარებით. "მომავლის სახლის " ხელმძღვანელი, ქალბატონი ია აბაიძე დიდი სიყვარულით, პროფესიონალიზმით და თანადგომით, აღმზრდელებთან და მშობლებთან ერთად საოცარ გარემოს ქმნის პატარებისათვის – ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებზე, ურთიერთსიყვარულსა და თანადგომას ასწვლიან მოზარდებს, ზრუნავენ მათ ჯანმრთელობაზე და განვითარებაზე, რისი ნათელი მაგალითი იყო ის დღესასწაული, რომელიც ბავშვებმა მოგვიჩვენეს. სულ რამდენიმე წუთში უკვე საზეიმო ატმოსფერო სუფევდა – ერთნამეთს ენცვლებოდა ლექსი და სიმღერა, ცეკვა და ურთიერთსიყვარულით ანთებული გულები ხარობდნენ საოცარი ბავშვების შემოქმედებით. ამ დღეს "მომავლის სახლის" ყველა აღსაზრდელი საქართველოს პატრიარქის ჩოხოსანთა რიგებში განვევრიანდა. ჩოხოსანთა საზოგადოების შიდა ქართლის მეთაურმა ბატონმა იასონ დევანოსიძემ მათ სამახსოვრო საჩუქარი და მონშობა გადასცა, და გააცნო ბავშვებს და მშობლებს ის პროგრამები, რასაც ახორციელებს ჩოხოსანთა საზოგადოება მოზარდების სულიერებისათვის, ჩვენი მზებავშვები გახდებიან ამ პროექტის მონაწილეები და უფლის წყალობით, ჩვენი მეგობრობა უკიდევანოდ ბედნიერი იქნება.

სტუმრები სიხარულს და აღფრთოვანებას გამოხატავდნენ, გულში იხუტებდნენ პატარებს და ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ასეთი სახლის არსებობა უნმიშვნელოვანესია ბავშვების სრულფასოვნად აღზრდისათვის. საზოგადოება მზად უნდა იყოს, თანადგომა და სიყვარული აჩუქოს ღვთისშვილებს, რომლებთან სიახლოვე, უფალთან გაახლოვებს თვიათოფულ ჩვენგანს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ადამიანის შესაძლებლობები შეუძლებელია! საპატრიარქოს



ჩოხასანთა საზოგადოების გორის სადროშოს ნორჩი –ჩოხოსნების ხელმძღვანელმა მარიამ მელაძემ, პატარებს ცეკვის გაკვეთილის და მასტერ-კლასის ჩატარება შესთავაზა.

დავემშვიდობეთ პატარებს მომავალში შეხვედრის იმედით და ქვიშხეთში გავემგზავერთ, ღვთის კაცის – წმინდანის, დიმიტრი ყიფიანის ნაკვალევზე. დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმში ქვიშხეთის სკოლის მოსწავლე – ახალგაზრდები და პედაგოგები გველოდნენ.

ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა საზოგადოებას გააცნო მონვეული სტუმრები და სიტყვა გააგრძელა ბატონმა ნიკო ხერკილაძემ, რომელიც გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უამბობდა ახალგაზრდებს. ტაშისკარის ბრძოლის მნიშვნელობაზე ცნობები კი განსაკუთრებით საინტერესო იყო ახალგაზრდებისათვის. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. ბატონმა დავით ახლოურმა კი წმინდანის ცხოვრებაზე და მის უდიდეს ღვაწლზე ესაუბრა სტუმრებს, რაც ძალიან საინტერესო იყო დამსწრე საზოგადოებისათვის. შეხვედრაზე ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა აკადემიის წევრის მონაწილეობა და ნამდვილი წევრის დიპლომი გადასცა მუზეუმის ამაგდარ ქალბატონს, ჩვენს უსაყვარლეს კლარა გელაშვილს, რაც ძალიან სასიხარულოა. ვულოცავთ „მომავის სახლის“ აღსაზრდელებს და პედაგოგებს ჩოხოსანთა საზოგადოების დიდ ოჯახში შემოსვლას, და ასევე ჩვენს ძვირფას კლარას, ამ საპატიო ჯილდოს.

ასეთი თანადგომით და ურთიერთსიყვარულით გამთბარი დღეები ღმერთმა გვიმრავლოს.

დავით ახლოური იასონ დევანოსიძე Klara Gelashvili ია გასიშვილი მომავლის სახლი გულნაზ ხარაიშვილი სოფიო დევანოიძე



გივი სიხარულიძე

მწერალი და მსახიობი



დამრახსხაზული სიძულვილი

ტელევიზორთან ვზივარ, ფილმს ვუყურებ. მთავარ როლს ანჯელინა ჯოლი თამაშობს. კარგად არ ვიცი, ქვესკნელის დედოფალია თუ ალქაჯი, უბედურებას განასახიერებს, ძლევამოსილია, ებრძვის უფალს, ყველას და ყველაფერს. და აი, მეფე შეუყვარდება, რომელიც მალევე უღალატებს, სხვა ცოლს შეირთავს, ანგელოზებით გოგო გაუჩნდება. ალქაჯს ერთი უღამაზესი ბიჭი ჰყავს, რომელსაც ხან ყვავად გადააქცევს, ხან ისევ ბიჭად. ერთ დღესაც სწორედ ამ ბიჭმა მოუტანა ამბავი, მეფე გახარებულია, პატარა ანგელოზი, პრინცესა შეეძინა, მთელი სახელმწიფო

ზეიმობსო. ანჯელინა რაღაც უსახურ არსებად გადაიქცა, მივიდა მეფესთან და უთხრა: – მომილოცავს ბავშვის შეძენა, მაგრამ ერთი რამ იცოდეთ, ეს გოგონა დასჯილი იქნებაო. მეფე ცუდ დღეში აღმოჩნდა, იცის რა მისი ძალა, სთხოვს, არ დასწყევლოს, მაგრამ ალქაჯი თავისას შვრება: - 16 წლამდე ეს ბავშვი ჩვეულებრივად გაიზრდება, 16 წლიდან კი სამარადისოდ დაიძინებსო. მეფე კვლავ შენდობას სთხოვს. კარგი შევცვლიო, უთხრა! - 16 წლიდან კი დაიძინებს, მაგრამ თუ ვინმე ისეთი გამოჩნდება, ვინც გოგონას სიგიჟემდე შეიყვარებს და აკოცებს, ის აუცილებლად გაიღვიძებსო. რა ექნა მეფეს, სხვა გზა არ იყო, დათანმხდა.

მეფე ბავშვის გადამალვას ეცადა, მაგრამ დედოფალს წინ რა დაუდგებოდა? იპოვა და თავისთან, ქვესკნელში წაიყვანა. გოგონა შესახედავად მზეს ჰგავდა, უაღრესად თბილი და მოსიყვარულე იყო. ეშმაკებს კოცნიდა, ეფერებოდა, ეფერებოდა ალქაჯსაც, ფეხებზე ეხვეოდა, ეაღერებოდა, მისგან კი აგრესიას იღებდა, - მომშორდი, ბავშვები მეზიზღებაო! დედოფალი უყურებს გოგონას და ფიქრობს, როგორ არ ეშინია ამ ეშმაკების, საშინელებების, ჩემი რქების და სიმახინჯის? ყველას გვეფერება, ესენიც თბილად არიან განწყობილნი მის მიმართ. არა და, ნელ-ნელა 16 წლის ასაკს უახლოვდება, წყევლის აღსრულების დრო დგება...

ერთხელ, გოგონა ტყეში წავიდა. უეცრად გზააბნეულ პრინცს შეეჩხა, კეთილად გაუღიმა, გზა ასწავლა და ის იყო, სამშვიდობოს უნდა გაეყვანა, რომ ქვესკნელის დედოფალი გამოჩნდა. ვაჟს გრძნობას მიუხვდა და წყვილი სასწრაფოდ ერთმანეთს დააშორა. პრინცი ისე გაუშვა სამფლობელოდან, რომ გოგონასთან კავშირი აუკრძალა.

დრო გადის. რამდენიმე თვეც და გოგონას 16 წელი შეუსრულდება. ქვესკნელის დედოფალი ფორიაქობს, გულის სიღრმეში ბავშვი შეუყვარდა, ღმერთებს ევედრება, რომ წყევლა უკან გაითხოვონ, მაგრამ ამოდ, ეს სამარადჟამოდ დაწყევლილიაო, უთხრეს. მაშინ ხერხს მიმართა, მხლებლებს ის გზააბნეული პრინცი მოაძებნინა და გოგონასთან ზუსტად იმ დროს მიიყვანა, როცა მას ჩაეძინა. ბიჭს უთხრა, აკოცეო. ბიჭი ტუჩებზე ეამბორება, მაგრამ არა, გოგონა ძილიდან ვერ გამოერკვა. ეს საშინელი ქალი ტირის, ნანობს თავის საქციელს. გამოსამშვიდობებლად მივიდა, შუბლზე აკოცა, უცბად ხმა ჩაესმა ... გოგონამ თვალი გაახილა ... ამ ღვთისნიერმა არსებამ თავის სულგრძელობით იმდენი შეძლო, რომ ალქაჯით ქალს გული გაუღლო და თავი რეალურად შეაყვარა.

ფილმი დასრულდა, მაგრამ ფინალის არსს ჯერ კიდევ მაშინ ჩაწვდი, როცა გოგონამ ეშმაკებისა და ალქაჯის მოფერება დაიწყო. შემდეგ ფიქრით რომეო და ჯულიეტაზე წავფიქრე, ჯულიეტას რომეოსთვის რომ ეკოცნა, იქნებ გადარჩებოდა-მეთქი, მაგრამ თავი მოიკლა და ორივე გარდაიცვალა. ამ ორის მკოცნელი კი, ვისაც ისინი გულმხურვალედ ეყვარებოდა. არავინ დარჩა. ვიფიქრე ჰამლეტზეც და ათას ვინმეზე..

მიხვდით, ერთ რამეს... ადამიანებმა ძალიან კარგად იციან, რომ ვაცობრიობას სიყვარული გადაარჩენს, მაგრამ რატომღაც სამყაროს სიძულვილით დაღუპვა ურჩევნიათ, ჩვენ ეს მაგნეზიზმი ოდითგან, დაბადებიდან მოგვდგამს. ამასთან, აფრიკაში არის უდაბნო, სადაც სიცოცხლე არასდროს ყოფილა. მაგრამ წელიწადის ერთ დღეს, სულ ცოტა ხნით წვიმა მოდის და ეს უდაბნო ოაზისად იქცევა. ვერავინ მიხვდა, ამ ხანმოკლე წვიმას როგორ შეუძლია აქაურობის გამოცოცხლება, მკვდრად ქცეულ გარემოს მაცოცხლებელი წვიმის წვეთი მკურნალად ევლინება. რა თქმა უნდა, ჩემი ფიქრი ამ აზრის ირგვლივ აქ არ დამთავრდა... ყოველი დღილი სიყვარულით უნდა იწყებოდეს და დღე სიყვარულით დამდებოდეს. ჩემს შვილს, ბექა სიხარულიძეს, აქვს ასეთი ფილმი, „სიცოცხლიდან სიცოცხლემდე“. სცენარი მისი დანერგულია, რეჟისორიც თავად არის, მე მხოლოდ სახელი დავარქვი, „სიცოცხლიდან სიცოცხლემდე“, სადაც სიკვდილი გამოვტოვე. იგივე შემოიძლია ვუნოდო ამ მოვლენას, ფაქტს – „სიყვარულიდან სიყვარულამდე“!

ერთ-ერთ ჩემს მოთხრობაში მგლებზე ვსაუბრობ, ძე მგელს მენყვილე თუ მოუკვდა, სხვასთან აღარ მიდის. მგელი საოცარი ცხოველია, მას მთვარე უყვარს, მთვარეს კი - მგელი. სანადიროდ წასვლისას იგი მთვარის ამოსვლას ელის და სავალს უნათებს.

სიასამურს ნადირობისას არ ესვრიან, რადგან თუ მისი ბენვი სისხლით დაისვარა, ის აღარ ვარგა, მონადირეებმა ეს ყველაფერი იციან, ძაღლებით გარშემორტყმული ჭაობთან მიჰყავთ, იქ ტალახია, ის კი, იმდენად პატივს სცემს თავის ბენვს, ურჩევნია, ტყვედ ჩავარდეს. შემდეგ კი მას უსისხლოდ კლავენ. აი, ასე იღუპება სიასამური და ბენვს არაფრით ნაბილწავს.

რასაც ახლა ვწერ და ვფიქრობ, ყველაფერს ჩემი სამშობლოს ბედს ვუკავშირებ. ჩემმა ქვეყანამ დიდხანს იცოცხლა სიასამურივით, უფრო ხილდებოდა თავის ბენვს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ კარგა ხანს ინახა სინდისი, ნამუსი, ვაჟკაცობა, ქალის კდემამოსილება, მაგრამ ვნახე, რომ თურმე, ჩვენ სიასამურს არ ვვავართ, ირგვლივ ყველაფერი დავსვარეთ, გავაუბედურეთ, მოვსპეთ. მგელი რომ მგელია, ისიც გვკობნის, რადგან მან მეტი ერთგულება იცის! ვხედავ, ჩვენს ტელე ეკრანებზე როგორ იწონებენ თავს ოჯახების დანგრევით, ვინ რამდენი ცოლი გამოიყვალა, ვის რამდენი ბავშვი ჰყავს სხვადასხვა ცოლთან, როგორ იტყლარტყებიან ეს როსკიპი ქალები... რა ხდება... თუ მწედაცემული, ამორალური ხარ, შენთვის ყველა ტელევიზიის კარი ღიაა. თუ ქალი კდემამოსილებით სავსეა, ან კაცი ვაჟკაცური თვისებებითაა დამშვენებული, ახლოს არ გაგაკარებენ ეკრანს. ყველაფერმა აზრი დაკარგა ამ ქვეყნად. ნაღდი და სუფთა აღარაფერი დარჩა.

აი, ამ დასკვნამდე მიმიყვანა ყველაფერმა იმან, რაც ჩემ ირგვლივ ხდება. მაგრამ, საბედნიეროდ, რამდენჯერმე ისეთ ხალხს გადავანყდი, რომ ჩემ თავს ვუთხარი, - გივი, ნუ გეშინია, მთლად ეგრე არ არის, რადგან ერთი ბრილიანტის თვალი რომ თუნუქის ფირფიტებში ჩააგდო, მისი ბრწყინვალეობა ყველაფერს დაჩრდილავს. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებაში შევხვდი ისეთ ხალხს, რომელთაც გამოაცხეს სინდისით, ნამუსით, ვაცობით. ვიფიქრე, ისინი ის ბრილიანტის თვლები არიან, რომლებიც ჩემს ქვეყანას გადაარჩენენ-მეთქი. დღეს საქართველო უფსკრულის პირასაა, დასაღუპად მიეჩანება, თუ აქამდე მოვდით და ვიძახდით, რომ ეს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ამას დაღუპვა არ უნერია-მეთქი, დღეს, სამწუხაროდ, ამ აზრს ვეღარ ვიზიარებ, რადგან ფაქტები სხვა რამეს მეტყველებს...

და მაინც, ღმერთო, გადაარჩინე ჩემი ქვეყანა!



კლარა გელაშვილი

**"ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!..."**



ქვიშხეთიდან საჩხერისკენ მიმავალთ მთელი გზა ეს ტექსტი "გვანუხებდა". ვსაუბრობდით ორ დიდ მოღვაწეზე, რომელთა გზებიც არაერთხელ გადაიკვეთა და ჩვენი ცხოვრებაც, ასე თუ ისე, მათ გარშემო ტრიალებს...

არაერთხელ ეწვია დიდი მგოსანი დიმიტრი ყიფიანს ქვიშხეთში; გადასახლების წინაც კი ჩამოკითხა ნუგეშის სათქმელად...

სხვიტორში ჩვენი სტუმრობის მიზეზი კი, შემდეგში მდგომარეობდა:

აკაკის მკვლევარმა, დიმიტრი ყიფიანის კარმიდამოში გაზრდილმა და, ან უკვე ქვიშხეთის მოაგარაკე პროფესორმა, მაია არველაძემ, აკაკის ეზოში, როსტომ წერეთლის მიერ დარგული ვაკლის ხის უკანასკნელი ნაყოფი, რომელიც შემთხვევით დაეცა მის წინ, ფრთხილად აიღო; თითქოს რაღაც ენიშნა და, ქვიშხეთში ჩამოტანილი ქოთანში მოათავსა; (ეს იყო ექვსი წლის წინ). ვაკალმა ამოიყარა, იგრძნო, ისტორიის ნაწილი უნდა გამხდარიყო და დიმიტრი ყიფიანის მამულის მიწით ნაკვებმა და "ძიძის" ყურადღებით განებივრებულმა მხრები გაშალა!.. ზამთარს სად გაეე-

ცვოდნენ და მიზანდასახულმა ქ-ნ-მა ვაკესაც გააცნო შვილობილი...

მერე ისევ ქვიშხეთი... ამასობაში პანდემიაც გვესტუმრა და "ჩვილიც" ყურადღებით ისმენდა სამყაროს ქოთქოტს... ასე რომ, ვერა და ვერ ჩააღწია ყლორტმა "დედამდე", რომელიც სიცოცხლეს ეთხოვებოდა...

ერთ საღამოსაც, როცა ვაკლის ნერგს სამშობლო მოენატრა და ცრემლები ჩამოუგორდა, ოჯახმა მის მწუხარე თვალებს ველარ გაუძლო და გადანყვიტა, ნერგი, რომელსაც ძიძა აღარ ეჭირვებოდა, უკან, სხვიტორში დაებრუნებიათ.

და, ეს მოხდა დღეს, ჩემი თანდასწრებით და უმნიშვნელო მონაწილეობით...

სველი დაგვხვდა სხვიტორი და, ამას ეს ახსნა მოვუძებნეთ: მონატრებულ შვილს ცრემლით ეგებებაო, აკაკის სამშობლო...

წვიმა როგორ შეაშინებდა გიორგი თევდორაძეს!-ჩვილის მამობილს, ან- აკაკის ხსოვნის მცველთ - ჩვენს არაჩვეულებრივ მასპინძლებს!-ზურმუხტ მინას ციმციმ მიაბარეს ნალოლიავები ნერგი და გაზრდა-გახარება უსურვეს...

წვიმის გამო არა, სიხარულით თრთოდნენ ნერგის ფოთლები...

მაშ, ასე! - როცა სხვიტორს ეწვევით, დიდი მაგიდის მარჯვენა მხრიდან რომ ფოთლების შრიალს მოისმენთ, იცოდეთ, ეს ის ხეა და, ლოცულობს... გამჩენს და გამზრდელს ასე უხდის მადლობას...

ახალი სიხოსხლე  
ექსპრომტი

ქვიშხეთში გაძიძავებულს  
ნანას უმღერდა ნიავი,  
მაგრამ სამშობლო უხმობდა  
უკვდავებისა შრიალით!

ქართლში, დიმიტრის მინაზე,  
ფესვმაც იზარდა, ფოთოლმაც;  
ისევ ფირუზი ცა დახვდეს,  
ხმელეთ, –ზურმუხტი, ოღონდაც!

თუ ჩანგი ტკბილად კვლავ არ ფლერს,  
გულიც ვერ იწყებს ძგერასა,

ეს ერთი თესლი ხომ მაინც,  
არ გავატანეთ ძერასა!

თუკი სულიკოს სამგან აქვს  
ბინა, ნუგეზად მგოსნისა,  
გახდა საჩხერეც, ქვიშხეთიც,  
ორი სამშობლო, ყლორტისა!

გარდაცვალება აუხდა,-  
უკვდავების გზა იპოვეს  
და, დაუბრუნდა ამ ეზოს,  
ვითარც, ახალი სიცოცხლე!

ქვიშხეთი; 19,10.2022



## ფ ა ნ ჯ ა რ ა

როგორც იქნა მოვიდა გაზაფხული. ცივი და მკაცრი ზამთარი უკან დარჩა. ფანჯარასთან დგას ჩემი აკაკი და გაფართოებული ცისფერი თვალებით გაჰყურებს ხედებს. სახეზე ღიმილი დასთამაშებს. ბედნიერი, კმაყოფილი სახით მეუბნება: „დეე, რა ლამაზია აქედან თბილისი. ერთ მხარეს გაიხედავ მთელი ქალაქია გადაჭიმული, მეორე მხარეს კი მთა და გვცქერის ზემოდან“. მივუახლოვდი ფანჯარას და აკაკის მზერას გავაყოლე თვალი. საოცარმა ჟრუანტელმა დამიარა. ჩემს პატარას მხარზე ხელი დავადე და მეც მისი თვალებით ხარბად დავიწყე ცქერა ფანჯრიდან... აკაკიმ ამომხედა და მითხრა: „დეე, რა კარგია, რომ აქ გადმოვვდიოთ საცხოვრებლად. ჩვენი ეზოც რა ლამაზია, მთაც რა ახლოსაა ჩვენთან“. ვიხედები მთისკენ, რომელსაც ნისლი საბანივით დაჰფენია და მართლაც ისეთი გრძნობა მეზადება, რომ მთანმინდა ხელს მართმევს... ყველაფერ ამას ჩვენს ეზოში აყვავებული თუთის ხეების და თეთრი ვარდების სილამაზეც ერწყმის. ჩიტებით სავსეა გარემო. ყოველი დილა მათი ჭიკჭიკით და სასიამოვნო ხმებით იწყება.



ოთახში თენგო შემოდის. მოგვიახლოვდა და მანაც ჩვენთან ერთად ფანჯრიდან გახედა სამყაროს. „მოგწონთ?“ — გვკითხა მე და აკაკის. ჩვენც თანხმობის ნიშნად უხმოდ თავს ვუქნევთ. „მალლობია და არ გვინდა, რომ მსაყვედურობდით, ახლა ხომ მიხვდით, რომ მართალი ვიყავი, აქ ცხოვრება როდესაც გადავწყვიტე?!..“ თავს ვუქნევ და ვეუბნები: „ღიას, მართალი იყავი. მალლობია, მაგრამ აქ ცხოვრება მართლაც სიამოვნებაა“... აკაკიმ თენგოს ახედა და გაღიმებულმა ჰკითხა: „მაა, აქედან კუს ტბაზეც ხომ შეიძლება ფეხით გადასვლა?..“ თენგო თმებზე ეფერება ბიჭს და ისე ჰასუხობს: „რა თქმა უნდა, შეიძლება. ცოტათი რომ დათბება, ხშირად ვივლით და ვივარჯიშებთ!..“ აკაკი ბედნიერი სახით შეხედავს მამას და ხმამაღლა შესძახებს, „მაგარია!..“ თენგო ფანჯარას მოშორდება და თან აკაკის მიაძახებს: „წავედით, დროა, მოემზადე! სკოლაში არ დავაგვიანდეს! თეატრშიც ადრე უნდა მივიდე. დღეს რეპეტიციაც მაქვს და სპექტაკლიც. კარებში აკაკისთან ერთად მიმავალ თენგოს მივამხებ: „დღეს ორივე შენს სპექტაკლს აუცილებლად დავესწრებით!..“ თენგომ შუბლშეკრულმა გამომხედა და უხმოდ მიხურა კარი.

ღამეა. აკაკი ისევ ფანჯარასთან დგას და ქალაქს გასცქერის. სადღაც ახლო-მახლო შაშხანებს ისვრიან და ფერადი სხივებით თითქოს ცა განათდაო. ბავშვი ჩემსკენ იხედება და გვეძახის: „დეე, მაა, მოდი, ნახეთ ღამეც რა ლამაზია აქედან!..“ მე და თენგო ერთად მივვარდით ფანჯარას და შუაში მოქცეულ აკაკისთან ერთად ხარბად ვუყურებდით განათებულ და შაშხანებით გაბრწყინებულ ღამის თბილისს. აკაკი უცებ მოსცილდა ფანჯრის რაფას, იქვე ტახტზე ჩამოჯდა და თენგოს მიაშტერდა: „მაა, რატომ არ გინდოდა მე და დედა სპექტაკლზე მოვსულიყავით?“ მეც არ დავაყოვნე და ბავშვს შევუერთდი: „მართალს გეუბნება, რატომ გვიკრძალავდი სპექტაკლზე მოსვლას?..“ თენგომ უხმოდ შემოგვხედა და დაფიქრებულმა გვკითხა: „მოგწონათ?..“ აკაკიმ ხმის ამოდება არ დამაცადა: „მაგარი იყო!.. შენც მაგარი იყავი, მამა!..“ თენგოს სახეზე ღიმილი აუთამაშდა და მე შემომხედა: „მართლა?!“ მეც თავი დავუქნიე: „მართლა კარგი იყავით, მესტრო!.. ყველა სცენა ტაშით მთავრდებოდა... სცენაზე შენი გამოსვლის დროს, ჩემს უკან მჭდომი, ვიღაც ასაკოვანი ქალი, ხმამაღლა გაჰყვიროდა—ბრავო, მესტრო!..“

მართლაც მაგარი იყავი, კარგად მოირგე მესტროს როლი!..“ აკაკი მამასთან მივიდა და მედიდურად ჩამოართვა ხელი: „გილოცავ, მამა, ძალიან მომეწონე! ძალიან კარგი სპექტაკლია! ყველა მსახიობი მაგარია!.. მე კიდევ უნდა ვნახო „მოხუცი ჯამბაზები“. დეე, შენ არ გინდა სპექტაკლის კიდევ ნახვა?..“ თენგომ ინტერესით შემომხედა რას ვიტყოდი. მეც გულწრფელად ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, რამდენჯერაც არ უნდა ვნახო, არ მომგებრდება.. ბრავო რეჟისორს!.. გარს იმდენი ადამიანი ეხვეოდა, ვერც კი მივულოცე!..“

ზაფხული დადგა. საერთო ეზოში, ორ დიდ ხის სკამზე მეზობლები ჩამომსხდარიყვნენ. ხანში შესული, თმაჭაღარა მეზობლის ქალი, იზოლდა, ძალიან ბრაზობდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა: „გენაცვალეთ, რა ხდება, რას დიდგულობენ, ქვეყანას ზემოდან დაჰყურებენ, არც სინდისი აქვთ, არც თავმოყვარეობა. დიდ მეფეს, დავით აღმაშენებელს არ ექნებოდა ისეთი წარმოდგენა თავის თავზე, როგორიც ამ თავზეხელაღებულ მშენებლებს აქვთ... ამ სიმაღლეზე, ასეთ ვიწრო გზაზე როგორ შეიძლება კორპუსის აშენება!.. ესენი ვინ არიან?..“ იქვე გვერდით მჭდომმა ქალბატონმა მაიამ არც კი აცადა სიტყვის დამთავრება, ისე მიახალა: „კორპუსის კი არა, კორპუსების, ჩემო კარგო! ერთი კორპუსის აშენებას ვინ გაკმარებს. ჩვენს წინაც და ჩვენს გვერდითაც პროექტი ისე დაუმტკიცებიათ, ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს!.. არც არაფრად ჩავუგდივართ!.. არადა, სახლი აქ იმიტომ ვიყიდე, რომ სუფთა ჰაერი და ლამაზი ხედები მქონოდა!.. ჩემი ქმარი უცხოეთში მუშაობით თავს იკლავს და მისი ნაშრომი რაში დავხარჯე, რა ვიყიდე?! როდესაც დაბრუნდება, ხედების ნაცვლად რომ ბეტონის კედლები შერჩება, რას მეტყვის?..“

ეზოში გამოვედი. ბაღში აყვავებულ ვარდებს შევხედე. აღარ მინდოდა მეზობლებისთვის მესმინა. ვარდებს ვუყურებ და ჩემს გულში ვიმეორებ: „ულამაზესი ყვავილია. ნამდვილად ყვავილთა შორის პირველი ყვავილი. მართალია, წითელი არ არის, თეთრია, მაგრამ მაინც ამაყია და დედოფლობასაც იმსახურებს“. ბრაზმორეულმა იზოლდამ თითქოს იგრძნო, რას ვფიქრობდი და შორიდან მომადახა: „სულ მალე აქ აღარც ყვავილი გაიხარებს და აღარც ხე. ბეტონის და ცემენტის მტვრით აივსება და დაიფარება აქაურობა. აღარც სახლამდე მოსასვლელი გზა გვექნება და აღარც სასუნთქი ჰაერი!..“

აკაკი დაბრუნდა სკოლიდან... განერვიულებული სამზარეულოში წინ და უკან დავდივარ. თავადაც არ ვიცი, რას ვაკეთებ. არ მინდა, ბავშვმა ნერვიულობა შემამჩნიოს, მაგრამ შენიღბვასაც ვერ ვახერხებ... „რა მოხდა, დედა? რატომ გაქვს ასეთი სახე? რატომ დადიხარ ასე წინ და უკან?“ — მეკითხება აკაკი. ველარ დავმალე, ყველაფერი ვუთხარი, მასთან დავიცალე გული. ბიჭს ხმა არ ამოუღია, ჩუმად თავის სამეცადინო ოთახში გავიდა და კარი მიიხურა. ამასობაში თენგო დაბრუნდა თეატრიდან, გახარებული ჩანდა. მე რომ შემომხედდა, შეცბა, მომიახლოვდა, ფრთხილად შემეკითხა: „რატომ ხარ ასეთი მონყენილი? რა მოხდა? ბავშვი სად არის?“ უხმოდ, თვალებით ვანიშნე, რომ მის ოთახში იყო. თენგომ აკაკის ოთახის კარი შეაღო. ბიჭმაც უსიტყვოდ, სევდიანი ცისფერი თვალები შეაგება მამას. თენგომ თავი ველარ შეიკავა და ხმას აუნია: „რა ხდება, რატომ ხმას არ იღებთ, ქვეყანა იქცევა?“ ჩემდაუნებურად გამეღიმა და ხმადაბლა ვუპასუხე: „ქვეყანა კი არ იქცევა, პირიქით, შენდება, მავსტრო, შენდება!..“ აკაკი მიუხლოვდა თენგოს და ჩურჩულით უთხრა: „მამა, ჩვენი სახლის პირდაპირ და გვერდითაც, ჩვენს ფანჯრებთან კორპუსებს აშენებენ!.. აღარც ხედები გვექნება და აღარც ჰაერი...“ თენგომ გაოგნებულმა შემომხედდა და მკითხა: „აქ მაღალსართულიანი კორპუსების აშენება როგორ შეიძლება? ვინ გითხრათ? საიდან მოიტანეთ?..“ აკაკიმ ისევ ხმადაბლა უპასუხა: „იზოლდას უთქვამს. დღეს ჩვენს ეზოში დიდი ამბავი ჰქონიათ მეზობლებს!..“ თენგო ტახტზე ჩამოჯდა, ცოტა ხნით დადუმდა. შემდეგ გაღიმებულმა გვითხრა: „კარგით, ნუ ნერვიულობთ, შეიძლება ჭორია, რა იცის იზოლდამ?!.. დანყნარდით!..“ უცებ ბავშვსაც შუბლი გაეხსნა და ხმამაღლა წამოიყვირა: „დიახაც, ჭორი იქნება! ჯერ ხომ არავინ მოსულა?! ჯერ ხომ მშენებლობა არ დაუნყიათ?! დეე, არ ინერვიულო რაა!.. გეხვეწები!..“ აკაკიმ წელიანი, ცისფერი თვალები ისე შემომანათა, რომ რა უფლება მქონდა არ დავთანხმებოდი. ჩემდაუნებურად თავი დავუქნიე და გავუღიმიე. თენგომ ორივეს შემოგვხედა და გულდანყვეტილმა გვითხრა: „მინდოდა გამეხარებინეთ, მაგრამ ჩემთვის არც კი შემოგიხედავთ...“ მე და აკაკიმ ერთმანეთს აღარ ვაცადეთ, ისე შევძახეთ: „გვითხარი, რა ხდება?“ თენგომ თავზე ხელი გადაისვა, თითქოსდა სცენაზე დგას და როლს ირგებსო, ისე მედიდურად მოგვახსენა: „იმპრესარიო იყო თეატრში, ნახა ჩვენი „ჯამბაზები“, ძალიან მოეწონა!.. გადამყვეტილია, ამერიკაში გვინწვევენ!..“ აკაკიმ ტამი შემოჰკრა და შეჰყვირა: „მართლა, მამა?! უჰ, რა მაგარია!.. უჰ, როგორ ასწორებს!“ სამივე ფანჯარასთან მივედით და ლამის თბილისს გავყურებდით, მაგრამ ჩვენში უკვე იყო ჩაბუდებული შიშის გრძობა, რომ სულ მალე შეიძლება ამ სილამაზის ნახვა აღარ შეგვძლებოდა!.. სულ მალე შეიძლებოდა ლამაზი ქალაქის ნაცვლად ფანჯრიდან ბეტონის ცივი, უსახური კედელი შემოგვეფეთებოდა!..

ავვისტოს ცხელი საღამოა. აკაკი ზაფხულის არდადეგებზე იმერეთში, მამიდებთან არის წასული.

სახლში მხოლოდ მე და თენგო ვართ. სამზარეულოში ვსხედვართ და ვსაუბრობთ. უცებ კარზე საშინელი ბრახუნის ხმა გაისმა. ვიღაცა ისე ურტყამდა კარს, რომ შიშისგან გული გამიჩერდა. თენგო სწრაფად წამოდგა და კარი გააღო. ოთახში ვიღაც უცნობი მამაკაცები შემოვიდნენ. ოთხნი იყვნენ. თენგოს ლაპარაკი დაუწყეს... მე სამზარეულო დავტოვე და ოთახში მათთან გავვიდი. ერთ-ერთმა მათგანმა, მელოტმა და წერილთვალემა საშუალო ასაკის მამაკაცმა ხელი ჩამომართვა და ცბიერი ღიმილით მომახსენა: „ჩვენ მერიის თანამშრომლები ვართ, ქალბატონო!..“ შემატყო, რომ გამიკვირდა მათი სტუმრობა და ისევ განაგრძო: „მე ამბროსი ვარ, ქალბატონო, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელი, ესენი კი ჩემი თანამშრომლები არიან!.. ჩვენ თქვენი შემწუხებელი ასი წელი არ ვიყავით, ქალბატონო, მაგრამ საჩივარია შემოსული და ამიტომაც გესტუმრეთ!“ თენგომ გაოცებულმა შემომხედა. ამბროსი თავისას აგრძელებდა: „თუ შეიძლება, გვაჩვენეთ საბუთები, როგორ შეიძინეთ ეს სახლი?..“ დავიბენი, ვერ მივხვდი რას მთხოვდა. ამბროსიმ თვალეები მოჭუტა და ისევ გაიმეორა: „ეს სახლი კანონიერად გაქვთ შეძენილი, ქალბატონო?..“ თენგომ ვეღარ მოითმინდა და ხმამაღლა მკაცრად უპასუხა: „აბა, ისე, უკანონოდ, სხვის სახლში, ვინ მოგვცემდა შემოსვლის და ცხოვრების უფლებას?! რა სისულელეს გვეკითხებით?!“ ამბროსის გვერდით მდგომმა ახალგაზრდა მამაკაცმა მკაცრი სახით შემოგვხედა და მოგვახსენა: „მე დავითი ვარ, ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე. გვაჩვენეთ საბუთი, რომ ეს სახლი მართლაც თქვენ გეკუთვნით“. მე სასწრაფოდ მოვძებნე საბუთი და ხელში შევაჩეჩე: „ინებეთ, რეესტრის ამონაწერი, ამაზე მეტი რა მტკიცებულება გინდათ?!“ დავითმა საბუთი გამომართვა და ისევ მკაცრი ტონით მომმართა: „საკადასტრო ნახაზიც მჭირდება, ქალბატონო!..“ საკადასტრო ნახაზიც სასწრაფოდ შევაჩეჩე ხელში „ზედამხედველს“...მან აღმაცერად დახედა საბუთს, შემდეგ შუბლშეკრულმა ჩვენ შემოგვხედა და კბილებში სისინით გამოსცრა: „საკადასტრო ნახაზზე ფანჯრები რატომ არა ჩანს?..“ თენგომ მოკლედ მიუგო: „ეს თავად რეესტრს მოჰკითხეთ. ჩვენ სახლი როგორ მდგომარეობაშიც ვიყიდეთ, ისეთ მდგომარეობაშია დღესაც, არათფერი შეგვიცვლია!..“ სიტყვით, წინა ხაზზე, კვლავ ამბროსი გამოვიდა: „თქვენ რაღაც ნაწილი უკანონოდ გაქვთ მიშენებული, თავის ფანჯრებიანად! ეს მონაცემები ჩვენ 30 წლისწინანდელი ტექ.ბიუროს არქივიდან ამოვიღეთ!..“ თავი ვეღარ შევიკავე და მკვახედ მივახალე: „რაღა დროს 30 წლისწინანდელი ტექ.ბიუროს არქივი?! ჩვენ დღევანდელი დღით, რა მდგომარეობაშიც არის ნაყიდი სახლი, იმ საბუთებს გაჩვენებთ. ამ საბუთებით, ჩვენი სახლი მთლიანად არის დაკანონებული და ისე გვაქვს შეძენილი!.. დღეს აღარც ტექ.ბიურო არსებობს და აღარც მაშინდელი საბუთებია კანონიერ ძალაში!..“ დავითმა წარბები შეკრა და ისე გვიპასუხა: „საჯარო რეესტრის ამონაწერს რა აზრი აქვს. საჯარო რეესტრს რასაც მიუტანენ, ისე მიხაზ-მოხაზავს ყველაფერს! მთავარია, ტექ.ბიუროს არქივში რა ინახება!..“ ვგრძნობდი, რომ ცეცხლი მეკიდებოდა. ამბროსიმ საქალაქიდან თაბახის ფურცელი ამოიღო და თენგოს ხელში შეაჩეჩა. თან მოჭუტული თვალეებით, ვითომდა თბილად დაუყვავა: „ნაიკითხეთ, ჩემო ბატონო, მშენებლობის დირექტორი, გიორგი სურმავა გიჩივით. მან შეიძინა თქვენს მემობლად არსებული სახლი და მინა და ინყებს ცხრა სართულიანი კორპუსის მშენებლობას. მას არ სურს, რომ მის მხარეს თქვენი ფანჯრები იყურებოდეს... მას ყველაფერი გათვლილი აქვს... სამ მილიონნახევრიანი პროექტია, ხუმრობა არ გეგონოთ!.. თავად სურმავა გიჩივით, თორემ ისე კი არ მოგადგებოდი!.. თენგომ თავი ვეღარ შეიკავა და წამოენთო: „როგორ, როდესაც საჯარო რეესტრი შენობა-ნაგებობას აკანონებს, უფანჯრო და უკარებო სახლს აკანონებს?! სად გინახავთ სახლი ვარ-ფანჯრების და კარების გარეშე?! ჩვენ სახლი ვიყიდეთ და არა კასრი, რას გვასულელებთ?!.. რას კადრულობთ?!“ თენგოს ემოციებზე თვალეებმოჭუტული ამბროსი და მისი მეგზურები დაიბნენ და დათბნენ. ერთმანეთს აღარ აცდიდნენ საუბარს და მონაცვლეობით გვარწმუნებდნენ: „ჩვენ თქვენს მხარეს ვართ, გვინდა გამოსავალი შემოგთავაზოთ!.. ჩვენ გვინდა გირჩიოთ, რომ დროებით ამოაშენოთ ფანჯრები და მერე ჩვენთან და გიორგი სურმავასთან შეთანხმებით თავიდან მიიღებთ ფანჯრების ამოჭრის ნებართვას... უბრალოდ, ადამიანურად მოვრიგდეთ!..“ ლამის თავის ქალა ამეხადა. ვერ ვხვდებოდი, სად ვიყავი, რა ხდებოდა ჩემს თავს, ვინ იყვნენ ეს გიორგი სურმავა თუ „ჯოჯოხეთის მოციქულები“ და უცებ ხმამაღლა შევყვირე: „რას გვთავაზობთ, რას გვატყუებთ! საიდან მოხვედით! ვინ ხართ! ვინ არის გიორგი სურმავა?!“ თენგო ჩემს დანყნარებას შეეცადა. შემდეგ ოთხეულს მიუბრუნდა და უთხრა: „მის აღმატებულებას, დიდ მშენებელს, გიორგი სურმავას, სამ მილიონნახევრიანი კორპუსის აშენება



სურს, ჩვენ ფანჯრები უნდა ამოგვიქოლოთ და მზის შუქიც არ უნდა შემოგვივიდეს სახლში?.. ჩვენ დავას სამართლებრივად, სასამართლოში გავაგრძელებთ!..“ თენგოს სიტყვებზე შუბლშეკრული დავითი შეცბა და დაბნეულმა გვითხრა: „სასამართლოს ვინ ეკითხება!.. ეს მხოლოდ ჩვენ, ზედამხედველებს გვეხება! იძულებული ვართ, საქმის წარმოება დავინწყოთ, როგორც გატყობთ, ჩვენი ადამიანური შემოთავაზება თქვენთვის მიუღებელია“!.. ოთხმა მკაცრად შუბლშეკრულმა „ზედამხედველმა“ ჩვენი სახლი, აგვისტოს ცხელ ღამეში, აგრესიულად დატოვა...

შემოდგომაა. სექტემბრის მზიანი დღეა. სახლში მხოლოდ მე და აკაკი ვართ. მობილურზე უცხო ნომრით მირეკავენ. როდესაც ვუპასუხე, ცივი, გესლიანი ხმა ჩამესმა: „ზედამხედველობის სამსახურიდან ამბროსი გირეკავთ. რა ჰქვინთ, ქალბატონო, არ ამოაშენეთ ფანჯრები?..“ სიბრაზისგან აღარ მახსოვს რა ვუპასუხე, მახსოვს მხოლოდ მისი მუქარა: „თქვენს მიმართ საქმის წარმოებას დავინწყებთ!.. ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ გამოვიჩხრიკოთ თქვენს სახლზე, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ფანჯრებით შემოვიფარგლებით!.. უბრალოდ ადამიანურად!..“ ამბროსი ჩემს პასუხს აღარ დაელოდა და ტელეფონი თვითონვე გამითიშა. ხუთი წუთი არ იყო გასული ჩვენი „ქარიშხლიანი“ დიალოგიდან, რომ უცებ მეხის გავარდნასავით ხმა გაისმა. ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. ხმა არ ჩერდებოდა. დაყრუვდა არემარე. თითქოსდა ცა ჩამოიქცა. აკაკი შეშინებული მომვარდა. „დედა, რა ხდება?..“ ფანჯარასთან მივვარდი. გვერდით ეზოში გიორგი სურმავას ტანკით რაღაც ჰყავდა მოყვანილი, რომელიც გვერდით კლდეს ანგრევდა და კლდესთან ერთად მე და ჩემს შვილს ჩვენი სახლიანად გვაზანზარებდა. ასე გრძელდებოდა დაზამთრებამდე, სახლში გვიან ვბრუნდებოდით, რომ საშინელ, არაადამიანურ ხმაურში გონება არ გაგვითიშოდა...

ახალი წლის ღამეა. სამივე ფანჯარასთან ვდგავართ და გავცქერით ქალაქს. შუშხუნებმა, ფეიერვერკებმა ცა დაფარეს. საოცრად ლამაზი სანახაობა იყო!.. თენგომ სევდიანად წარმოთქვა: „სამწუხაროდ, ასეთი სიამოვნება მომავალში აღარ გვექნება!.. ფანჯრიდან გავიხედავთ და ცივ, რუხი ფერის ბეტონის კედლებს შევფეფეთებით!..“ აკაკიმ არც კი დააცადა ლაპარაკი: „მამა, ხედებს დავეძებთ?! სასამართლოში რომ არ გვეჩივლა, ფანჯრებსაც გვიქოლავდნენ!.. სიბნელეში უნდა გვეცხოვრა დღეც და ღამეც!..“ სამივე მაგიდას შემოვუსხედით. თენგომ შამპანური გახსნა, ცოტ-ცოტა მე და აკაკისაც დაგვისხა და დაგვლოცა: „ბედნიერი ახალი წელი გვქონებოდეს!“ ჩვენც შევუერთდით მის მილოცვას და დილაამდე ვიძიხარულეთ...

ისევ დადგა გაზაფხული. ფანჯარასთან დგას ჩემი აკაკი და ბეტონის ცივ, ყრუ კედელს მიშტერებია. მოწყენილი მეუბნება: „დეე, რას დაემსგავსა აქაურობა, აღარც მთა ჩანს, აღარც ქალაქი“. მივუახლოვდი მას და თავზე ხელი გადავუსვი. თენგო შემოვიდა ოთახში, ჩვენს გვერდით ფანჯარასთან დადგა და გამჭოლი მზერა ესროლა ბეტონის ყრუ კედელს... „მართლები იყავით, აქ არ უნდა გადმოვსულიყავით საცხოვრებლად, თანაც ამხელა აღმართია... კუს ტბაზე გამავალი გზაც გადაკეტეს, იქაც ახალი მშენებლობა დაუწყიათ!..“ აკაკი ჩემსკენ მობრუნდა და მთხოვა: „დე, ქართულში რთული თემა მაქვს დასაწერი, დამეხმარები?..“ გაღიმებულმა შევხედე ჩემ შვილს და შევეკითხე: „მაინც რა თემაა ასეთი რთული?..“ აკაკიმ ცისფერი თვალები შემომანათა და მითხრა: „ილიას „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!..“ არის თუ არა აქტუალური დღეს?..“ თენგომ ორივეს შემოგვხედა: ცოტა ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ აკაკის მიუბრუნდა და ჰკითხა: „შენ როგორ ფიქრობ, არის კი აქტუალური დღეს ილიას „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“ აკაკი არც კი დაფიქრებულა, სწრაფად უპასუხა: „არის რომელია, მამა!.. არის, აბა, არ არის?!“ შემდეგ ისევ მე მომიბრუნდა და მკითხა: „დეე, რას იზამ, დამეხმარები?..“ მე უხმოდ დავთანხმდი. სამივე სიამოვნებით მოვშორდით ბეტონის ფანჯარას. თენგო იქვე ტახტზე წამოკადა. ახალი ჰიესა აიღო და როლის კითხვა დაიწყო. მე აკაკის გავყევი თავის სამეცადინო ოთახში. მაგიდას შემოვუსხედით და ილიას „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“ არის თუ არა აქტუალური დღეს“ — თემის წერას და მომზადებას შევუდექით...

გარეთ კი ჩვენი ეზო ბეტონის და ცემენტის მტვრით დაფარულიყო. ვეღარც აყვავებულ თუთის ხეებს ვამჩნევდი და ვეღარც თეთრი ვარდების სილამაზეს და სურნელს ვგრძნობდი. აღარც ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა. ხანდახან ყვავის ყრანტალს თუ გავიგებდით, რომელიც ახალ ამენებული კორპუსის სახურავზე შემომტდარიყო და ამაყად გაჰყურებდა არემარეს...

დოკუმენტური პროზა

# გიორგობის თვე გარეჯში

*მე უფალმა შემიკვებლა გარეჯას,  
მე აქ ჩემს წილ საქართველოს ვდარაჯობ!  
ბერდიაკონი ნეოფიტე  
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი*

გიორგობის თვე. გვიანი შემოდგომა... მშვიდი, თბილი, მზიანი დილა გათენდა. დილიდანვე სასიამოვნო განცდა დამეუფლა. ვღელავ კიდევ, მაგრამ ეს ღელვაც სიამოვნებას მანიჭებს, რადგანაც ვიცი, რომ დღეს გარეჯში, სულიერ ნავსაყუდელში, ჩემს ნათლისმცემლის მონასტერში მივდივარ. დღეს განსაკუთრებული დღეა, დღეს საზეიმო წირვა გვაქვს, დღეს ხომ მამა ნეოფიტეს დაბადების დღეა!..



მიკროავტობუსით უდაბნოსკენ მიმავალ გზაზე მივდივართ ოღროჩოღრო გზით. ირწევა მიკროავტობუსი, ვირწევით ჩვენც მასთან ერთად და ეს ყველაფერი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მრევლს გვიყვარს და გვსიამოვნებს, რადგანაც ვიცი, რომ ამ გზას ჩვენს ტაძართან, ჩვენს მონასტერთან მიყვავართ. მიყვარს უდაბნოს ფერადი მთების ყურება, მისი სიდიადე, იდუმალეა, სიღრმე, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარსულიდან მოდის და დღესაც მედგრად და იმედიანად წამომართულან. ისეთი შეგრძნება მაქვს, ეს იდუმალი, ტალღოვანი მთები, უსასრულოდ გადაჭიმული ველ-მინდვრები, ჩემი ერის, ქართველობის, ღირსების შენარჩუნების სიმბოლოა... ეს ტალღოვანი, უდაბნოს საიდუმლოებით მოცული მთები, უხილავი ძაფებით გასდევს ჩემი ქვეყნის წარსულს, აწმყოს, მომავალს... იგი რაღაც უფრო მეტად ღირებულება, ვიდრე ჩვეულებრივი მთები, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება... და ვინც ამ მთებს, ამ გადაჭიმულ მინდვრებს, ამ იდუმალ, ერის სულიერ საგანძურს დალატობს, იგი ქართველობასაც დალატობს, თავად უფალსაც დალატობს!.. ეს მთები, ეს ველები, ჩვენს ერსა და ქვეყანასთან ერთად, ჩვენს ქრისტიანობასთან ასოცირდება. გონებაში ამომიტივტივდა უახლოეს წარსულში,

სოციალურ ქსელში და არა მხოლოდ სოციალურ ქსელში გავრცელებული საგანგებო ინფორმაცია: „დავით გარეჯს ყიდიან?!.. უკანონოდ ხდებოდა დავით გარეჯის მიწების გაყიდვა... ახალ-ახალი მოღალატეთა თარეში აღარ დამთავრდა ქვეყანაში!.. ნუთუ ეს ყველაფერი ასე დარჩება?.. რატომღაც ყველაფერი ეს მოდის და მოდის წარსულიდან, უსასრულოდ გრძელდება და აღარ და აღარ მთავრდება ანწყობი!.. ვინ იცის, რა იქნება მომავალში?..“ ჩვენი მიკროავტობუსი ვი მიდის და მიდის... როდესაც კლდეში ჩაჭედილი მონასტერი გამოჩნდა, ფეხზე წამოვდექი, პირჯვარი გადავინწერე და წინა სალონში, მძღოლის გვერდით მსხდომ ქალბატონებს, გულნაზის და ეთერის ფრთხილად მივუახლოვდი და ჩუმიად ვუთხარი:



- აი, ჩვენი მონასტერი გამოჩნდა!

- მართლა?!.. - შეძახილით მითხრა ქალბატონმა გულნაზიმ.

- დიახ, მოსჩანს, რა საოცრებაა! - აღფრთოვანება ვერ დამალა ქალბატონმა ეთერიმ...

ისინი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში პირველად მოდიოდნენ.

ნელი ნაბიჯებით მივუყვებოდით მრევლი ნათლისმცემლის მონასტრისკენ მიმავალ აღმართს. გზადაგზა ვჩერდებოდით. ქალბატონები გულნაზი და ეთერი დაწინაურდნენ და პირველები დაადგნენ მონასტრისკენ მიმავალ გზას. გაფართოებული თვალებით, საოცარი მზერით აკვირდებოდნენ გარეჯის იდუმალი მთების სიდიადეს და უკიდვანო მუქ ლურჯ ცასაც ბედნიერი შესცქეროდნენ...

როგორც იქნა, ავიარეთ აღმართი და მივადექით მონასტრის ლამაზ, თაღოვან ეზოს, რომლის ვარიბჭესთანაც შავებში შემოსილი ბერი, ნათლისმცემლის მონასტრის ბურჯი და მასპინძელი, მამა ნეოფიტე შემოგვგვება, რომელსაც ერთ ხელში კლდეზე დაკრეფილი

ყვავილები ეჭირა, მეორე ხელში გაშლილი თეთრი ქალაღდი, რომელზედაც ეწერა: „გულნაზ ხარაიშვილი, დღეს 5 მაისია, გილოცავ დაბადების დღეს!..“



- მართალია, დღეს 5 მაისი არ არის, 10 ნოემბერია, მაგრამ მე მინდა, რომ დღეს არა მხოლოდ ჩემი, თქვენი დაბადების დღეც, თუნდაც მოგვიანებით, მაგრამ მაინც ერთად აღვნიშნოთ, ქალბატონო გულნაზ ხარაიშვილო! - ხმამაღლა მიაგება მამა ნეოფიტემ ქალბატონ გულნაზს... მამა ნეოფიტემ მისთვის უცნობი ქალბატონი, გულნაზი, გულში ჩაიხუტა. დარბაისელმა ქალბატონმა ხელის კანკალით გამოართვა მშვენიერი, მოკრძალებული სილამაზის, კლდის თაიგული მამა ნეოფიტეს, რომელსაც თეთრი, საგანგებო წარწერიანი ქალაღდი ჰქონდა შემოხვეული... თაიგული გულთან მიიღო და ხმამაღლა წარმოსთქვა:

- ეს რა მშვენიერი საჩუქარი გამიკეთეთ, მამაო, ამ თაიგულს ჩემს ხატებთან მივუჩენ მყუდრო ბინას! რა ლამაზია! რა მშვენიერია!

ქალბატონი ეთერი, შავებში შემოსილი დედა მართა, მრევლის წევრები - ქალბატონი ანთუსა, პირმცინარი სოფო, მრევლის დანარჩენი წარმომადგენლები და მე, ბედნიერი სახით შევყურებდით ამ მშვენიერ სანახაობას, გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის ეზოს კარიბჭესთან.

- ყველაზე მშვენიერი ყვავილები კლდეზე იზრდება, - ხმადაბლა, თითქმის ყურში ვუჩურჩულე ქალბატონ გულნაზს და სიყვარულის ნიშნად მხარზე ხელი ფრთხილად შევახე.

- ვიცი, ვიცი, ამის მტკიცებულება ხელში მიჭირავს, - მიპასუხა ქალბატონმა გულნაზიმ და კლდის ყვითელი ფერის თაიგული ფრთხილად დაყნოსა.

გიორგობის თვე. გვიანი შემოდგომა. გარეჯი. ნათლისმცემლის მამათა მონასტერი... ყველა-ნი ტაძარში ვართ, სადაც საოცარი, იდუმალი ძალა მთელი არსებით გიჟყრობს. სულ რაღაც 12 კმ-ში ცივილიზაცია, XXI საუკუნეა, აქ კი VI-VII საუკუნის ტაძარში, გინდა თუ არა, შენი ქვეყნის, სარწმუნოების, ისტორიის, წარსული სიდიადის ძალას, რაღაც უხილავი ჭაჭვებით ეჭიდები და რაღაც საოცარ, ბიბლიურ წარსულში იძირები. ტაძარი, რომელიც კლდეშია ჩაჭედილი, თითქმის ანალოგია იმ ბიბლიური ადგილისა, სადაც თავად მაცხოვარი იშვა. ვინ იცის რა ძალაა, რა სიდიადეა ამ ქვებით მოფენილ იატაკსა და კლდე-ქვიშიან მონასტრის ჭერსა და კედლებში.

წირვა მამა ფილიპემ აღავლინა. მრევლმა აღსარება ჩავაბარეთ. აღსარება ჩააბარეს მონასტერში პირველად მოსულმა ქალბატონებმაც. ზიარებისათვის ვემზადებით. ყველანი

ადგილზე ვართ. უცბად, შევამჩნიე, რომ ქალბატონი ეთერი არსად ჩანს. ავფორიაქდი, თვალით დავინყე ძებნა. ქალბატონ გულნაზის ყურში ჩუმად ვუთხარი:

- სად არის ქალბატონი ეთერი?

ქალბატონი გულნაზი ავფორიაქდა, დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა, სადაცაა ზიარება უნდა დანყებულიყო, ჩვენი ეთერი კი არსად არა ჩანს... ის იყო ყველაფრის დატოვებას და გარეთ გასვლას ვაპირებდი, რომ ქალბატონი ეთერი კარის ზღურბლზე დაბნეული, გაოგნებული სახით გამოჩნდა. ხელში ოთხი ანთებული სანთელი ეჭირა და გაფითრებული სახით გვიყურებდა.

- რა მოხდა, ეთერ, სად იყავი, ძალიან შეგვეშინდა, ზიარების წინ სად გაუჩინარდი? - შეეკითხა ქალბატონი გულნაზი.

ზიარება უკვე დანყებული იყო, ქალბატონმა ეთერიმ ჩუმად უპასუხა:

- გეტყვი, მხოლოდ ზიარების შემდეგ!

უფლის ნებით ყველანი ვეზიარეთ. წირვის დამთავრების შემდეგ მეფეთა სატრაპეზოში მოვიყარეთ თავი...

2022 წლის 10 ნოემბერს აქ, ამ სატრაპეზოში, ლამაზად გაშლილ სუფრას მამა ფილიპე უძღვება... დღევანდელ დღეს ხომ მამა ნეოფიტეს დაბადების დღეა!.. მხიარული განწყობა სუფევდა სატრაპეზო სუფრასთან. ყურადღების ცენტრში კი მინც იუბილარი მამა ნეოფიტე და პოეტური სულის სტუმარი ქალბატონები, გულნაზი და ეთერი გახლდნენ. ქალბატონმა გულნაზმა საზეიმო სუფრაზე ლამაზი ლურჯი ფერის აურნალი „ათინათი“, რომლის გარე ყდას წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის ხატების ლამაზი გამოსახულება ამშვენებდა, საჩუქრად მიართვა მამა ნეოფიტეს... აურნალში მამა ნეოფიტეს ლექსი იყო დაბეჭდილი. მრევლის თხოვნით ლექსი აურნალის მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა გულნაზიმ წაიკითხა:

„მეც შენსავით ლალ სტრიქონებს ვქარგავ,  
რა შეგარქვა ენძელა თუ ია?  
რასაც ფიქრში ვპოულობ და ვქარგავ  
შენს ენაზე ათინათი ჰქვია...“

ჰატარა ხარ, არცერთ ყვავილს ჰგავხარ  
და სიმართლე გწყურია და გშია,  
ჯორჯოს სკამზე თუ დადგები სჩანხარ  
ყველა ია - ხარაიშვილია!..“

„ათინათის“ რედაქტორმა მამა ნეოფიტისადმი მიძღვნილი ლექსიც თავადვე წაიკითხა:

„წყალობა გამომყვა,  
მამაო, გარეჯის,  
ვიგრძენი ხელს ვართმევ,  
ცას, როგორც მეგობარს,  
თითქოსდა ზეცაში ფეხითაც ავედი,  
სივრციდან გავხედე გარეჯის ხეობას.  
მადლობა მინდოდა,  
რომ მეთქვა უფლისთვის,  
რომ გაჩნდი ასეთი  
მლოცველი, მამაო,  
მადლობა იმ წამის თუნდ  
ამოსუნთქვისთვის,  
დადამდა ლოცვაში  
ნოემბრის საღამო.  
დამთავრდა წირვა  
და შემდეგ კი ტრაპეზზე,  
დღე ჰგავდა მზის სხივებს ლამაზს  
და ბრწყინვალეს,  
ჰყვებოდი წარსულზე,  
ჩვენს მამა-პაპაზე,



ლოცავდი ბარსა  
და მთის ლამაზ მწვერვალებს!“

შემდეგ ქალბატონმა გულნაზიმ ლექსის ალავერდი ქალბატონ ეთერ ისაკაძეს გადაულოცა, რომელმაც საოცრად გულში ჩამწვდომი და მგზნებარე ხმით წაიკითხა ლექსი:

„მე არ მოგახვევთ ტკივილებს,  
გულს არ განახვევთ დარდიანს,  
გავამზიანებ სიხარულს  
ღიმილიანს და ვარდიანს!  
კარგი დღეები ჭარბობენ,  
საყვედურ არა დამცდება,  
არ განვრისხდები არვისზე,  
თორემ რისხვა არ ამცდება!“

არა, ღირს ქვეყნად სიცოცხლე,  
სამყაროს ხილვა თვალითა,  
გაგაძლიეროთ უფალმა,  
დედა ღვთისმშობლის ძალითა!  
უფლის რწმენით და იმედით,  
აგვესოთ გული მარადის,  
მიყვარდით, ახლაც მიყვარხართ  
არ დაგთმობთ სიკვდილთ კარამდის!“



როდესაც ქალბატონმა ეთერიმ ლექსის კითხვა დაამთავრა, მე გადმომხედა, მადლიერი თვალებით შემომხედა და მითხრა:

- მადლობა, რომ დღეს აქ მიმასპინძლე, ამ საოცარ ტაძარში, სადაც უფლის სასწაული ჩემი თვალით ვიხილე, - შემდეგ მამა ფილიპეს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- მამაო, მცირე ეკლესიაში ქვის კიბეებით ავედი და... რა საოცრებაა, რა საოცარი გარემოა...

- სანამ ეთერი რამეს იტყოდა, მამა ფილიპემ განაგრძო საუბარი:

- დიახ, საოცარი, დიდი ძალის მქონე ტაძარია, გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მამათა მონასტერი. კარგად ვიცი, რომ ეს მონასტერი წარმოადგენს კლდეში გამოკვეთილ ერთიან კომპლექსს. მისი დამაარსებელია წმინდა დავით გარეჯელის მოწაფე ლუკიანე, მონასტერი დაახლოებით VI-VII საუკუნეებში, ზღვიური წარმოშობის ქვიშა-ქვებისგან შედგენილ კლდეშია აგებული. ერთიან ნაგებობებთან გამორჩეულია, უჩვეულოდ მაღალი და ვრცელი მთავარი ეკლესია, ჩრდილოეთის მხრიდან მცირე სათავისი ესაზღვრება, რომელიც მთავარ დარბაზს ორი გამოკვეთილი თაღების მეშვეობით ერწყმის. სამხრეთით კი, მთავარ ეკლესიას მცირე ეკლესია უერთდება, რომელშიც ასვლა კლდეში გამოკვეთილი კიბითაა შესაძლებელი. მთავარი ეკლესიის შესასვლელში კოშკია აღმართული... და იქვე ჭიმქარზეა დაშენებული სამრევლო. მინდა გითხრათ, რომ საკურთხევლის წინ მე-18 საუკუნის მე-2 ნახევრის კანდელია... დავით გარეჯა ააოხრა შაჰ-აბაზმა XVII საუკუნეში და ამოწყვიტა 6 000-მდე ბერი, შემდეგ ისევ განაახლეს უდაბნო...

მრევლი ყურადღებით ვუსმენდით მამა ფილიპეს. შემდეგ ისევ ქალბატონმა ეთერ ისაკაძემ განაგრძო საუბარი:

- მამაო, ძალიან მინდა იმ ხილული სასწაულის შესახებ გითხრათ, რომელიც დღეს ჩემი თვალით, იმ პატარა ტაძარში ვნახე, სადაც კლდეში გამოკვეთილი კიბით ავედი, სადაც დიმიტრი თესალონიკელის ხატია დაბრძანებული... - ქალბატონმა ეთერიმ ღრმად ამოისუნთქა და კვლავ განაგრძო საუბარი:

- ხელში ოთხი სანთელი, გაშლილად, ცალ-ცალკე მეჭირა. ხატს რომ მივუახლოვდი, უცებ ოთხივე სანთელი ჩემს ხელში თავისით აინთო. ეს მაშინ მოხდა, როცა წმინდა დიმიტრის ხატს, იმ სოფლად, იმ ქვეყნად, ჩემი გარდაცვლილი შვილის, დიმიტრის მფარველობას ვთხოვდი... არ ვიცი, ძალიან დაბნეული და გაოცებული ვარ!.. - საუბარი ქალბატონმა გულნაზიმ განაგრძო:

- ჩვენ ორთავე შვილმკვდარი დედები ვართ, რომელთათვისაც ასეთ ტაძარში მოსვლა და ყოფნა დიდი შვებაა! მადლობა უფალს დღევანდელი დღისათვის!.. - ამის შემდეგ მამა ნეოფიტემ მრევლს შემოგვძახა:

- გარეჯელებო, ხომ ხედავთ, უფალი თავად მიგვანიშნებს მის არსებობაზე, ჩვენს გვერდით ყოფნაზე და არცერთი წამით არ გვეტოვებს, არც ამ ქვეყნად და არც იმ ქვეყნად!.. სატრაპეზო სუფრა, გიორგობის თვეში, ნათლისმცემლის მამათა მონასტერში, საოცარი გრძნობების და ღვთიური პოეზიის ნავსაყუდელად იქცა...



ტრაპეზის შემდეგ საღამო ხანს, მონასტრის ეზოში გამოსული მრევლი სამახსოვრო სურათების გადაღებით დაკავდით. ყოველთვის ასე ხდება, გარეჯში ჩვენი ყოფნის ყოველი დღე, აუცილებლად ფოტოზე უნდა აისახოს, რადგან მათი ნახვისას კვლავ გვიცოცხლდება მონასტერში, უფალთან ახლოს ყოფნის სურვილი და მოლოდინი იმისა, თუ როდის დადგება დღე, გარეჯში, ნათლისმცემლის მონასტერში, კვლავ ჩვენი დაბრუნებისა...

გიორგობის თვეში, გვიანი შემოდგომის, უფლისგან საგანგებოდ ბოძებული თბილი, მზიანი, ლამაზი დღის ბოლოს, როდესაც მონასტერს გავხედე, როგორც ყოველთვის გონებაში გამიელვა სიტყვებმა - „ბრძანებითავე, მამისა დავითისითა აღეშენა უდაბნოი მრავალმთისაი სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“...

მონასტრიდან წამოსულები დაღმართზე ნელი ნაბიჯებით ჩამოვდიოდით. ერთმანეთს ლამაზი დღის შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით. ქვემოდან კიდევ ერთხელ ავხედე ნათლისმცემლის მონასტერს და პირჯვარი გადავინერე... გარეჯში გიორგობის თვის ლამაზი და მშვიდი საღამო იდგა.



ციცი გურიელი



მათთვის, ვისაც უყვარს ჩემი შემოქმედების კითხვა!

## ს ა ა ვ თ ვ ა ლ ე ა ვ გ ა რ ო ზ ი

/ციცი გურიელი.თბილისი.2020 წ.6 ოქტომბერი,  
წიგნიდან „მწარე თაფლი“/  
შემოდგომაა.

ქუჩებში ნეკერჩხლის ფოთლებზე დაწერილი სურვილები ყრია...  
უხდება ქვეყანას შემოდგომის ნარინჯისფერი ღიმილ-სითბოთი  
აფაკლული ლოყები. გული მიმიწევს დიდი ხნის უნახავი სოფლისკენ,  
რთველია და არის ერთი ამბავი!

ერთი სული მაქვს გათენდეს და გავიდე ავტოსადგურში...

სძინავს ქალაქს.

ფიქრებთან ერთად მარადიულობის ტერციებს შორის, ღამე შავი ქარიზმით მიკითხავს ამბებს  
ცნობიერებაზე...

სადღაც ზევით პლანეტები კოსმიური გამებით ცახცახებენ ასტროლოგიურ ინტერვალებში ...

რა ტკბილია ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დარდისგან სისხლი გიშრება  
ძარღვებში... ნეტავ იმ დროს, როცა დიუმა წერდა –„ქართველებს საქართველოს გარდა ვერსად  
შეხვდებითო!“

-ახლაა?.. მანახა დედამინაზე ერთი ადგილი მაინც სადაც ქართველები არ არიან...

სევდა დამიდის სულში...

მომბეზრდა კიდეც ქალაქის ბოჰემურ თავშესაფრებად ქცეულ კაფეებში ამონრუპული  
სითხეებით თრობა...

სივრცე და სილალე მომენატრა, თეთრი ვარდების თოვასავით სუფთა და სადა...

ღამეა. ზეცაში აკრული მზერა და უსიყვარულობით დაღლილი თვალები მწყემსავენ ფიქრებს.  
მერე ეს სიზმრის ღამეები ნაკვერჩხალზე წვავენ ჭკუიდან შემშლელ ფიქრებს..

თენდება და მივდივარ. შემოდგომური ფორიაქით დამხვდა კახეთი. ეშურებიან ჭირნახულის  
დაბინავებას, მიხარია, რომ ახმაურებულან მარტოობით გადაყრუებული სახლები, ზოგი ჭირი  
მარგებელიაო და კორონას გამოქცეული ხალხი დაუბრუნებია სოფელს.

აქ ერთი გოგო მიყვარდა. მასაც ვუყვარდი. ერთმანეთისთვის არ გვითქვამს, ისე ვიცოდით  
ორივემ ეს ამბავი.... ნეტავ თუ ვიცნობ, ან თვითონ თუ მიცნობს?

აი, ჩემი ჰაჰისეული ძველი სახლიც!

ვალეხ ანჭამებდაჟანგულ ჭრიალა კარებს და თავისუფლების კივილი მესმის შიგნიდან.

რა უსინდისო ვარ!..სირცხვილით თვალებში ვერ ვუყურებ სახლს, რომელსაც უხარია კლიტე  
რომ ავხსენი...

აქ ბედნიერებაა!

სულის ტერფებიდან მონვეთავს ქალაქური დოგმებით მობეზრებული მონობა...სადგურზე  
ერთმა ბოშამ ხელისგულზე დამხედა და მითხრა:– ბედის ხაზები აგხლართვია, ლაბირინთში ხარ,



დაიკარგებიო!-ახლაც მახსოვს რა გულიანად გადავიხარხარე!, ისე კი მართლა მოხდა რაღაც-რარაცებები, მართო ბულბულებთან რომანტიკული საუბრები ვერ უშველიდა საქმეს, ვერც ცისკრის ვარსკვლავებთან ოცნებიანი ჰაემანები, კაცი ვიყავი უფლისგან გაჩენილი და დრო იყო ვაცურად დამეწყო ცხოვრება...

ემოში სანთლებივით ანთია ყვითლად მობრიალუ ხეები. ყურებით ვერ ვძღვები, ისე ლამაზი და მშობლიურია ყველაფერი, უბედნიერესი ვარ იმ განცდით, რომ ჩემია აქაურობა!

სახლმა კარგად მიმიღო!

მივგავ-მოვგავე. სათონეში ვინ იცის როდინდელი ფიჩხი მოვიძიე და ბუხარი ავაგუზგუზე.

კარზე ვაკუნია. გულში რაღაცნაირი სითბო ჩამედვარა-ბუხრიდან ამოსული ბოლი დაინახეს და მომაკითხეს-გავუღიმე გულში რაღაცნაირად ჩაღვრილ სითბოს და პატარა ბიჭივით მივფრინდი კარებთან...

- შვილო, ლევან! როგორ დაკაცებულხარ, გენაცვალე, როგორ გაგვახარე ჩამოსვლითო!- გულში ჩაკრულს მლოცავდა მემობელი და ცხონებული ბებოს მეგობარი ანო ბებო!

ანოსაც ბებიას სუნი უდიოდა – ქინძის, ნიორის, სანელებლების და რაღაც ისეთის- ძალიან საყვარელ და ძვირფას, შენიან ადამიანებს რომ უდით!

მერე მტაცა ხელი და გადამიყვანა თავისთან, ჩამოსვლოდა იმასაც შვილ-რძალ-შვილიშვილი სართვლოდ და მის ბედნიერებას საზღვარი არ ქონდა!

გაშლილ სუფრაზე თაფლის სანთელი დაანთო ანომ. ჭვარი გადასახა სუფრას და ხელადით ძველი ღვინო შემოდგა.

სიყვარულით დანაყრებული გამოვედი იქიდან.. კომოდის უჯრაში ბებიასეული საავთვალე ავგარობი მოვძებნე, გულში ჩავიხუტე, ღვინით კი არა ბედნიერებით შეჟუჟუნებული შევწეწი ლოგინში, თან დედასდროინდელი წიგნების თაროდან რაღაცას მოვკიდე ხელი და წავიყოლიე...

გამეცინა, ეს რაღაც აღმოჩნდა გერმანიის უძველესი ისტორიისა და წინაპართა მემკვიდრეობის შემსწავლელი გერმანული საზოგადოება „ანანერბე“-ს კვლევები, ისინი თურმე წმინდა გრაალს ეძებდნენ ვაკვასიის მთებში...

მენიშნა და გამეღიმა.

ჩემი ღიმილიანი ნაფიქრის დასტურად თითქოს ვაკუნისმაგვარი გავიგე კარზე. ძილ-ღვიძილს ვეღარ გავართვი თავი. წამებში ჩაძინებული მარადმწვანე ველური ციტრუსის, ტრიფოლიატის სქელკედლება ეკლიან ლაბირინთში მივდიოდი, გამოსასვლელს ვეძებდი და მკანრავდნენ თეთრად მოყვავილე ეკლები, ნაკანრიდან სისხლი მდიოდა და მინაზე წვეთებით კვალს ვტოვებდი...

თავისუფლების წადილი – ადამიანის სამშვინველის ცნობიერი, კოსმიური წრე მკარნახობდა გასასვლელისკენ გზას... ველური ფორთოხლის ეკლები ფეხისგულებში მესობოდნენ და გულის წასვლამდე მტკიოდა სიზმარი...

როგორც იქნა გათენებამ მიხსნა ამ ტანჯვისგან. კართან წერილი დამხვდა. ფურცელზე ვილაცხას ქვა დაედო. ავიღე და ვკითხულობ;-..ლევან! მოვედი...გავიგე და მოვედი! ალბათ გეძინა, მენატრები! ასე მგონია ბავშვობა დაბრუნდა! შენი თუთია!.."

ჩემი თუთია! გავენთე ჭიშკრიდან ჯერ ისევ მძინარე სოფელს. სასონარკვეთილი ლამანჩელის მზერით მინდოდა ჩემი დულსინეა მომეძებნა.

ბედნიერებისგან აცეტებული ამრები მიხტოდნენ თავში და რატომღაც ძალიან მინდოდა ცამეტკაციანი „ცისფერყანწელები“-ს მეთოთხმეტე წვერი ვყოფილიყავი, რომ მეც მიმეძღვნა თუთიასთვის, დამეწერა რაღაც ძალიან ამადლებული და ლამაზი!

უფალო გმადლობ!

ჩემი წილი მფარველი ანგელოზებით რომ მომიყვანე სულის ულამაზეს სანაპიროსთან.... გულზე ვეფერები საავთვალე ავგაროზს და თან უფალს ვესაუბრები;-როთულია შენთან ახლოს ყოფნის სურვილი, შენ მასწავლე შენდობა და სიყვარული, შენი და მოყვასის სიყვარული, უფალო!

მახრჩობდა მწარედ ჩასაყლაპი, გაუსაძლისი უსიყვარულობის გემო, ახლა ცასა და დედამიწას ერთად ჩავეხუტო მინდა... სიყვარულით ცეცხლწაკიდებულ ღამეებს მთვარის უნაზესი ტერციები გაანაზებენ... ოცნება კრთება სულში მონატრებად, მეშინია ღვინით გაღებულობის შლეგმა სურვილმა არ მომინადიროს, ვენახში ჯერ დასაკრეფია რქანითელი, დასანურ-დასამაჭრებელ-დასადვინებელია ის მადლიანი სითხე – შენი სადიდებელი რომ უნდა შევსვათ უფალო!

რა მდიდარი ვყოფილვარ და სად დავხოხავდიი? რა მსუბუქი ყოფილხარ ბედნიერებავ! კართან მოფრენილა ანგელოზი, სულ მეშინოდა უმისამართო მისამართების-ანუ, რომ იცი და არც იცი – „იქ“ მოგელიან თუ აღარც ახსოვხარ!..

გავყურებ ჰორიზონტს. ხილვა მაქვს – მუხლმოკანკალე ჩემი სიბერე ჩამომჯდარა სულის გაღაჟანთან შვილ-მონაგარით ავსილი...

– თუთი! მე ვიქნები შენი ციხე-სიმაგრე და დასაყრდენი, ჯავაჰირ-სპეკალ-ქვა მნათობებად მოგანვდი ძვირფასი ქვების თვალეების ციალს, შენს ფეხთით იბრწყინებენ ქვათა შთამომავლები...

ბედნიერი ვარ! გავყურებ უადამიანო, რიჟრაჟით ამოვსებულ სივრცეს, ხელს ვუქნევ და ვუღიმი... როგორ გამახარებდა, ადამიანებს რომ დავენახე ასე

გულბედნიერი!

მოღრუბლული ციდან წვიმის წვეთი დამეცა. საავთვალე ავგაროზი მეფერება გულზე. წვეთს ფერი აქვს ცრემლის, გულის ტკივილის, სევდის და ფიქრის...

წაღმა უკულმა ვიკითხები-აქედან იქით, იქიდან აქეთ და ორივეგან ვხედავ სიყვარულით ცეცხლწაკიდებულ ღამეებს როგორ გაანაზებენ მთვარის უნაზესი ტერციები...

– გმადლობ, ბებიასეულო საავთვალე ავგაროზო! სხვენიდან ჩემეული აკვანიც უნდა ჩამოვიღო-მე ხომ ქორწილი მექნება მალე!./ციცი გურიელი.თბილისი.2020 წ.6 ოქტომბერი/



## აუცილებლად ნასაკითხი



დაიბადა – სინგაპურში, ცხოვრობდა ჩიკაგოსა და შვეიცარიაში...ამჟამად ცხოვრობს ჰოლანდიაში. ის ახლა 18 წლისაა, უკვე სტუდენტი, თუმცა ჯერ კიდევ 12 წლისამ დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ საქართველოს როგორ დახმარებოდა...მაშ ასე, უკეთ გავიცნოთ ჩემი ფავორიტი ბიჭი: დედით ქართველის – თიკა სვანიძის Tika Svanidze Vancko და მამით ამერიკელის – რობერტ ვენკოს უფროსი ვაჟი – გიორგი ვენკო. „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“ – ტყუილად არ უთქვამს დიად ვაჟას და თამამად შემიძლია ვთქვა, ეს ულამაზესი ოჯახი ამ ფრაზებს ჭეშმარიტად იმსახურებს, რადგან სწორედ დედა იყო შვილის ინსპირაცია, რომ ქველმოქმედება წამოეწყო. ისინი სამ ვაჟკაცს ზრდიან – გიორგის, ლევანსა და თემურს. სამივეს საქართველოში გავრცელებული სახელები ჰქვია და არა, ვთქვათ ჯონი, ჯეიმსი ან ვენტორტი...ამჯერად გიორგიზე გიამბობთ. 14 წლისამ ვახეთში, კერძოდ, ბრონლიანში არსებული „სათნოების სახლის“ დახმარება გადაწყვიტა, რისთვისაც მან წარმოუდგენელი რამ შეძლო. დააარსა საქველმოქმედო ფონდი „დავეხმაროთ საქართველოს“ და კეთილი ადამიანების დახმარებით შეაგროვა – 40 000 ევრო. უნდა აღვნიშნო, რომ ამ მაღლიან საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა ორმა ქართველმა მომღერალმა – ნინო ჩხეიძემ და დათუნა მგელაძემ, რომლებიც ამსტერდამში გამართულ საქველმოქმედო ღონისძებაში მონაწილეობდნენ და შემოსული თანხა – 12 000 ევრო ფონდში გადარიცხეს. გიორგიმ სერიოზული ძალისხმევა განა იმისთვის, რომ ჰოლანდიაში საზოგადოება დაერწმუნებინა საქართველოს დახმარების აუცილებლობაში. მან ჯერ სკოლას გააცნო გეგმა, ჩაატარა პრეზენტაციები. დამსწრე საზოგადოებას აცნობდა ჩვენს ქვეყანას, მის ისტორიას და ამგვარად გაუჩინა ყველას დახმარების სურვილი. ბრონლიანის „სათნოების სახლს“ 20 000 ევროდ გამოუცვალეს სახურავი, 10 000 ევროდ გაკეთდა ჭაბურღილი, რითაც იმ სახლის ბინადართ საბოლოოდ მოეხსნათ წყლის პრობლემა, უყიდა ახალი სარეცხი მანქანა და მოუგვარა ათასი ყოფილი წვრილმანი პრობლემა. გასულ ზაფხულს ჰოლანდიის მთავრობამ გიორგი დააჭილდოვა, როგორც „ყველაზე პატარა ქველმოქმედი ემიგრანტი“...ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე – დაელაპარაკა თუ არა ის საქართველოში ვინმეს ამ ქველმოქმედებაზე, რათა თავიანთი წვლილით დახმარებოდნენ, მან ასე უპასუხა – მამა ამბობს, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა, ხალხს დაბალი ხელფასი აქვს და შესაბამისად, არ აქვთ ასეთი სახის დახმარების საშუალება, რადგან ისინი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ისედაც ეხმარებიან თავიანთი მცირედი შემოსავლით...და შემდგომ გიორგი აგრძელებს – მართალია, საქართველოშიც გვყავს მდიდარი ადამიანებიც, მაგრამ ისინი ხომ ყველას დახმარებას ვერ

შეძლებენ...აქ,პირადად, მძიმედ ამოვიოხრე და ახლა მე ვაგრძელებ ჩემთვის – გენაცვალე, გიორგი, რა ლამაზად მონმინდე ნამუსი ჩვენს მდიდრებს. აბა, რა, თითოს ას-ასი ლარი რომ გაემეტებინა, დარდისგან თავადაც ხომ გახდებოდნენ „სათნოების სახლის“ ბინადარნი და მერე რა შეინახავდა ამდენ „გაჭირვებულს“?!

მოკლედ, ამ პროექტის დასრულების შემდგომ გიორგი აგრძელებს ქველმოქმედებას და აპირებს სხვა სათნოების სახლების დახმარებასაც. როგორც შვეიცევე, კახეთში, ბრონლიანის გარდა, კიდევ შვიდი „სათნოების სახლი“ ყოფილა და სწორედ მათ დახმარებას ეპირება ჩვენი საამაყო ბიჭი. ეგებ ჩვენც გავიღოთ მცირედი წვლილი მაინც ამ ფონდისათვის... გიორგი უსაზღვროდაა შეყვარებული დედის სამშობლოზე. იგი ყოველთვის ჩამოდის შემოდგომით რთველზე, ხოლო ზამთარში სასრიალოდ მიემგზავრება ხოლმე გუდაურში. მას და და მის ძმებს დედამ შესწავლა ქართულად წერა-კითხვა და საუბარი. აღსანიშნავია, რომ დედასთან მხოლოდ ქართულ ენაზე საუბრობენ. ასევე კარგად ესმის ქართული



მამასაც. გიორგი სკოლაში ეუფლება ჰოლანდიურსა და ჩინურ ენებს. მამამაც კარგად იცის ჩინური ენა, მაგრამ ის ამბობს, რომ ქართული გრამატიკა ჩინურზე ბევრად რთულია..აქ ჩავეჭრები და..ზოგიერთ ქართველს რომ ჰკითხო, ახლა რა დიდი ცოდნა და შესწავლა ქართულ გრამატიკას უნდა...ჰოდა, ამ ყოველივეს შემდგომ, რა გასაკვირია, რომ თიკას და რობერტს ასეთი საოცარი შვილები ჰყავთ. როგორი მაღალმწიფობრივი წყვილიცაა, არანაკლებ შვილებსაც ზრდიან. დიახ, ისინი – გიორგი, ლევანი და თემური ჯერ 18-ის,16-ისა და 15-ის არიან, მაგრამ მათ უკვე თქვეს თავიანთი ვაცური სიტყვა. ლევანი და თემურიც სხვადასხვა მოხუცთა თუ სათნოების სახლებს ჰპატრონობენ, მათ შორისაა წნორის მოხუცთა სახლი „ბეთელი“...დაბოლოს, ალბათ თავის დროზე ბრძენი დიოგენე ლამპრით ხელში, დღის შუქზე, სწორედ ასეთ ადამიანებს ეძებდა...



მზია ელიაძე



ბზარათ კორინაგალში  
(გაგრძელება)

### დაუზრუნდით დედულეთს, დედაფუქას...

დიდმარხვაა... დიდხუთშაბათობა... დუმს დიდრონი დედა დედამინა. დილიდანვე დუმს დედაბუნებაც... დილაც დაეძებს დღეს დარდ-დუმილიან-დასევდიანებულს...

- დედა, დედიკო, დედავ დედილო, დედამინავ! - დუდუნებს დიდ-პატარა...

- დამასვენეთ, დავსუსტ-დავბერდ-დავჩაჩანაკვ-დავუძღურ-დი; დავამთავრე დედობა: - დედასამყაროს, დედაბუნების,

დედაენის, დედაშვილობისადმი... დავასრულე დედობა!..

- დავაცადოთ დავაცადოთ! დამშვიდდეს!-დუდუნებენ დაფნთან:დიცი,დანდური და დიდფოთლიანი დუმფარა... ..და დახეთ, დუმილი დაირღვა! დიდბანჭგვლიანი, დუდღუნა დათვი დუდუნით დადანდალებს... დილაადრიან დაძრნის დავგუილი და დაეძებს დასანაყრებელს... დაბერებულა, დაჩაჩანაკებულა დიდრონი დათვი. დედასამყაროსადმი, დედაბუნებისადმი დავისრებული დათვური დედა-შვილობა დაუსრულეზია...

- დედა, დედიკო, დედავ, დედამინავ! დავლაღეთ, დავცალეთ, დავასუსტეთ!.. დავიღუ-პებით, დავგვებმარე: დედაბუნებას, დედასამყაროს, დედასამშობლოს, დედაენას... დედა, დედა დავგებმარება - დედაღვთისა, დიდებული დედოფალი! დავიცავს და დარაჯად დავიდგება, დავამ-წყალობნებს!.. დიდია და დიადია დაუსრულეზილად!..

- დიდებულია, დიდებული: დედაბუნება, დედაენა, დედაბოძი, დედასამყარო, დედასამშობ-ლო... დამეხმარეთ, დამამუშავეთ, დათესეთ, დაბარეთ, დამარწყულეთ... დაიბრუნეთ დავარგული დრო... დამშვიდდით, დალაგდით, დაფასდით დოვლათ-ბარაქით!.. დაუბრინდით დედულეთს, დედაფუქეს, დედაკერიას... დოვლათ-ბარაქით, დოვლათ-ჭირნახულით დშვენდით, დაფასდით და დატკბით!.. დაფუძნდით დიდრონ დედაზე,დედა-დედამინაზე... დიდხანს, დოდხანს დალოცვი-ლი, დამშვიდებული დიოდეთ დედაღვთისმშობლის დახმარებით!..

### ერის ეპისკოპოსი

ერთდროს, ერისკაცობაში ერეკლე ერქვა.

ეხლა ეპისკოპოსია, ერს ეკლესიაში ელის... ეფერება, ესიყვარულება, ესათუთება, ეხვენება: - ერო, ერთობით, ერთიანობით ეკლესიურობას ეზიარებითო... (ეზიარეთო).

ერთმორწმუნეობა, ენა, ერთობა ენაცვლება ერთმანეთს...

ერთად, ერთობით, ერთობლივად ებრძვიან ეშმაკს...

ეპისკოპოსი ეთაყვანება ექვთიმეს-ერისკაცს: ერის ერთგულს, ერშენირულს...

ერთდროს, ერში ერეკლე-ერისთვის ერთგული ეპისკოპოსია...

ეპისკოპოსი ერს ეკუთვნის... ეპისკოპოსს ერი ეამაყება... ერსაც ეამაყება ერთგული ეპისკო-პოსი... ერიც ეფერება, ეთაყვანება ეპისკოპოსს, ერის ერთობა-ერთობლიობას... ეპისკოპოსიც ერის ერთგულია...

ესაა ერთობა, ერის ერთსულოვნება, ერის ერთსულ-ერთხორცობა!..



მარინა იმნაიშვილი



დაგვიბრუნე

ძალიან ლამაზი იყო ქალაქი.

ქალაქში ბედნიერი ხალხი ცხოვრობდა.

სიყვარული და სიხარული დასეირნობდა ქალაქის ფართო ქუჩებში, შადრევნებს ამღერებდა და ფერად-ფერად ფოთლებს დაათვარფატებდა კოპნია სკვერებში, ზღაპრულად

მორთულ პარკებში, ბავშვების ბედნიერი სიცილ-კისკით იყო სახსე ჰაერი ცამდე და ცისარტყელებამდე, მოოქროვილგუმბათიანი ტაძრების სიმაღლემდე და სიქათქათემდე...

ძალიან ლამაზი იყო ქალაქი.

ქალაქში ბედნიერი ადამიანები ვერ ხვდებოდნენ, რომ ბედნიერები იყვნენ, წუნუნებდნენ, კინკლაობდნენ, კამათობდნენ პოლიტიკაზე, ათასგვარ წვრილმან თუ მსხვილმან თემებზე, ჩხუბობდნენ, რიგდებოდნენ, ქორწინდებოდნენ, მერე ერთმანეთს ეყრებოდნენ, სამსახურში დადიოდნენ ან არ დადიოდნენ, დარდებს იქარვებდნენ ან ვერ იქარვებდნენ, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რომ ბედნიერები იყვნენ.

ძალიან ლამაზი იყო ქალაქი.

მერე ერთ დღესაც დაიგრუხუნა, ცა გადაიხსნა და წამოვიდა თქეში და წარღვნა, ჭურვები პირდაპირ ქალაქის ცენტრში დაეცა, ქალაქის ყველა შენობის მიწამ მსხვრევა დაიწყო, მერე ყველა შენობა ნელ-ნელა ნანგრევებად დაიშალა.

ამ ქალაქის გვერდითაც იყო ასეთივე ქალაქი, ლამაზი და ბედნიერი, კიდევ სხვა ქალაქიც და კიდევ სხვა და კიდევ სხვა...

ღმერთო, ნუთუ ამხელა ქალაქებს, შენობებს, ქუჩებს, მოედნებს, ყველას დომინოს პრინციპი აერთიანებს და დღემდე ყველაფერი იმსხვრევა და ნადგურდება, წელეგადმოყრილ ან გამოშინგულ სხეულებს დაემსგავსა ყოველი, სადღაა ბედნიერი ადამიანური ჩხუბი და კამათი, ქალაქის ქუჩებში უდარდელი ხეტიალი თუ საქმიანი სირბილი. სიკვდილი და უბედურება დასეირნობს ახლა ქალაქში, შეძრწუნებული ადამიანების ოხვრა და გმინვა ისმის ცამდე და შორეულ გალაქტიკებსაც სწვდება ალბათ ეს ხმა და ძახილი...

შავი აჩრდილი დადის ქალაქიდან ქალაქში, შავი აჩრდილი თავისი შავი ხელით შლის დედამიწიდან სილამაზეს და ბედნიერებას.

ყოვლისშემძლე ღმერთო, გამოხსენი ცის კარი და დაგვანახე შენი რისხვა, ღვთის რისხვა დაატეხე თავზე ადამიანების ტყავში შემოპარულ სატანებს, დაეხმარე და დაუბრუნე თავის კუპრსა და ჯოჯოხეთს, ჩვენ კი ჩვენი ქალაქები დაგვიბრუნე, დაგვიბრუნე სრულიად დედამიწა, დაგვიბრუნე ჩვეულებრივი ადამიანური ყოფა, ერთმანეთის სიყვარული, ადამიანური სითბო და მშვენიერება.

ძალიან ლამაზი იყო ქალაქი...

ქალაქში ბედნიერი ხალხი ცხოვრობდა....



ირმა ტყემალაძე



არ ვიცი ვისთვის როგორი ხარ, როგორი მეგობარი, როგორი ნათესავი, როგორი მეზობელი მაგრამ 17 წელია ვხედავ როგორი დედამთილი ხარ, აი ასე საჯაროდ მომინდა მეთქვა მთელი გულით რომ საუკეთესო ხარ და მომეხადა უღრმესი მადლობა ყველაფრისთვის, რაზეც კი მიოცნებია, რისი სურვილიც გამჩენია რომ მქონოდა ყველაფერი მქონია თავი არ დაგიზოგია, მიუხედავად იმისა რომ 20 წლიდან სულ ვმუშაობ არცერთხელ მიგრძვინა ფინანსურად ოჯახზე ვალდებულებები, არასოდეს გადამიხდია გადასახადი, არასოდეს დავკლებივარ

არსად წასვლა წამოსვლას, არასოდეს დამიმარაგებია პროდუქტი შენსავით და არც ბავშვების არანაირ გადასახადში მიმიღია მონაწილეობა. მეტი ადამიანმა რა უნდა გაგიკეთოს? სულ რომ დამნაშავე ვყოფილიყავი არასოდეს გაგიმართლებია შენი შვილი და უფრო მეტიც მახსოვს ერთხელ უთხარი დარწმუნებული იყავი შენ უფრო გაგიმეტებ ვიდრე ირმასო, არაფერი აწყენინო არ დაგზოგავო. ყოფილა შემთხვევა რალაც არ მოგწონებია მაგრამ იმდენად დედაშვილურად აგიხსნია და მომფერებოდა ვერც კი ვიკადრებდი გულში წყენა ჩამედო, საუკეთესო დედამთილი ხარ აი ისეთი მთელი გულით რომ ვინატრებდი ლიბისთვის შენნაირ დედამთილს. ვერც კი წარმოიდგენ რამხელა იმედი ხარ ჩვენი, მომენატრე, ხშირად ვერ გწერ, ვერ გირეკავ მაგრამ მინდა იცოდე რომ უსაზღვროდ მაბედნიერებ რომ მყავხარ, მინდა აღარ გერქვას ემიგრანტი, შენი მონატრებით და სიშორით დაღლილი თვალები გულს მიმძიმებს უკვე, ♡მ♡ი♡ყ♡ვ♡ა♡რ♡ხ♡ა♡რ♡



ნელი საგინაძე



სახლის კურთხევა

ნოველა

თითქოს უცაბედად შემოპარულიყო მაშინ მაისი.

ყვავილების ბაღში ათასნაირი ფერის ვარდები დაკოკრილიყვნენ და ულამაზეს ფერებად გადაშლილიყვნენ. ტიტებს, მონითალო ჭუჭა ტიტებსაც აებდღვრიალებინათ გული დილის მზის სხივზე. ჭოხს დაყრდნობილი მოხუცი ბებო ბაღში შესულიყო, სათითაოდ უსვავდა თავზე ხელს ახლად გამოშლილ ყვავილებს და ხელითა და სიტყვით

თბილად ეფერებოდათ. ყველაზე მეტად პირისფერი, ცალფოთოლა ვარდი გადაშლილიყო. უზომოდ ლამაზი იყო. რაც არ უნდა შორს ყოფილიყავი, მისი ფერის სილამაზე, მაინც თვალს მოგტაცებდა და თავისთან ახლოს მიგიტყუებდა. ხოდა, იდგა ჭოხზე დაყრდნობილი ბებო ვარდებში, წინიდან თავისსავე ხელით შეკვრილი შავი დიდჭიბიანი წინსათარი აეფარებინა და საკუთარი შვილებივით ესაუბრებოდა ამ მრავალფერებად, გაზაფხულზე ამონთებულ ათასმაგვარ ყვავილებს, ახალგაზრდობაში დარგულ ვარდის უამრავ ლამაზ ძირებსა და უკვე კოკრიდან თვალში ლამაზად გადაშლილებსა. არავის არ ანებებდა მათ მოვლასაც მოხუცი ქალი.

- თქვენ არა იცით რა ამათი!
- არ გაათუჯოთ შვილო, ცოდონი არიანო!

- აბა ნახეთ რამდენსა ვწვალობ ამათ მოვლაზედა. თუ საჭირო არ იყოს ტყუილაბრალოზე ნუ მოსწყვეთავთ და ნაადრევად ნუ მოუკლავთ სიცოცხლესა.

- გაუშვით, რა გინდათ, იხარონ და იყვავილონ ამათაცა!

დილით, მზის ამოსვლამდე ყველას სათითაოდ ჩამოუვლიდა. ზოგს ბალახს შეაცლიდა, ზოგს ძირს მოუმარგლავდა, ზოგს ძირს დადებულ კოკორ თავს მალლა მზისკენ აუნწვდა. ხშირად იმის თქმა უყვარდა ბავშვებისათვის

- არ მოსწყვიტოთ შვილო, ან ფეხით არ გადაუაროთ ზემოდანა!
- იცით, ამათაც თქვენნაირი სათუთი გული ააქვთო!
- შორიდან უყურეთ ამ სილამაზესა და სული დაიტკბეთო.

ბებოს ეზო, თავად გრძელი იყო და ვარდები ორივე მხარეს ლამაზად, ერთ რიგში ჩაემწკრივებინა. მის ეზოში შემსვლელო-- გამსვლელო ყველა ტკბებოდა ვარდის სურნელითა და ფერებითა. ყველაზე მეტად დედამთილისეული დიდი ვარდისფერი, ხუჭუჭა-თეფშილხელა ყვავილიანი, სურნელოვანი ვარდი უყვარდა და ყველაზე მეტად მას უფრთხილდებოდა ოჯახის რელიქვიასავითა. ეზოში შემოსულთ ისე არ გაუშვებდა, რომ რამდენიმეჯერ არ გაემეორებინა - აი, ჩემო ვარგო, ეს ჩემი დედამთილისეული ყველაზე სურნელოვანი ვარდიაო. წყალთან ახლოს დავრგე, რომ არ მოეწყინოს უწყლობითა და არ გამიხმესო.

გაღიმებული სახით ეტყოდა ხოლმე მოხუცი დიდსა თუ პატარას და გულში და თვალში, რაც კი სითბო ჰქონდა ყველას უკან დაადევნებდა თანა.

შვილთაშვილებს, თუ ვინიცოდა იყო და ბურთი დაგაუვარდებოდათ ყვავილებისაკენ ბურთის გამოსატანად მისულ ბავშვს შორიდანვე ეძახდა. - ფრთხილად ბებო, ყვავილებს არა ატკინოთ რაო!

თუ რომელიმე მათგანი კი უჩუმრად ყვავილს თავს მოაწყვეტავდა, ფოთლებს დააცლიდა და უგულოდ მიაგდებდა, თავისთან მიიხმობდა და ალერსიანად უხსნიდა, რომ შემდეგში ასე აღარ მოქცეულიყო და მაშინვე დარიგებას უწყებდა.

- მასე აღარასოდეს გააკეთო ბებო, აღარა!
- შეხედე, ამ ყვავიებსაც როგორ უხარიათ სიცოცხლე!
- სიცოცხლესაც მოვლა და დაფასება უნდა!-ხომ გაიგეთ და დაიხსომეთ..

ერთ დღეს დილაადრიან ბაღში შესულ მოხუცს, მისი შვილი გამოელაპარაკა



– რას აკეთებ ამ დილაუთენია დედი აქა?!

აი შვილო, მიმალულ კოკრებს ვუსწორებ ვარდებსა, რომ მზე დაინახონ და ლამაზად გადაიშალონო! მოხუცი აინია, ცოტა წელში გასწორდა და შვილს ხმამაღლა დაელაპარაკა.

– ისე შვილო, იმ დღეს, რომ გითხარი რა ჰქენი იმ საქმეზედა?

– რაზე მეუბნები დედი?! – გაკვირვებული სახით შეხედა მერაბიმ დედასა.

– რაზე შვილო და ეს სახლი, რომ უნდა ვაკურთხოთ იმაზედა!

--- ხოო, აი ნამდვილად, ახლა შენ გამახსენე ისევ, თორემ განაღა მახსოვდა--გულაღად უთხრა შვილმა დედასა.

– აბა, მაგის არმახსოვრობა შეიძლება ვაცო?

– კი, ვიცი, შენც ათასი საქმე გაქვს, მაგრამ ეგ არ უნდა დაგავინწყდეს, არა!

– კი, კი, არაფრით აღარ გადავდებ და აუცილებლად გავაკეთებ მაგ საქმესა – დაჰპირდა მერაბი დედასა

– უნდა ყველაფერი თავის დროზე გააკეთო ,თავის დროზე თორემ, საქმესა დაგვიანება არ უხდება იცოდე!

– აგერ შვილო ჩამოიყვანე თელავიდანა ვინმე ეკლესიის მსახური და უფლის თვალშიც კარგ საქმეს გააკეთებთ და ოჯახობისთვისაცა – უთხრა მოხუცმა დედამ შვილსა და თავისი საქმე გააგრძელა.

იმ კვირაში, ოჯახმა სახლის კურთხევისათვის დაიწყო შემზადება.

თელავიდან მერაბიმ და თავის სიძემ, მანქანით გენადი მღვდელი მიიყვანეს სახლის საკურთხებლად.

ძალიან მოეწონათ მამა გენადი. უდავოდ ალალი, ხუმარა, მოყვასისა და ღვთის მოყვარული სჩანდა.

მისვლისთანავე, ისე გაუშინაურდათ ოჯახის წევრებს, რომ ყოველგვარი დაძაბულობა გულიდან და თავიდან მოაშორათ და კაი ხნის ახლობელ-ნათესავით მშვიდად შეუდგა ამ ოჯახის კურთხევის წესს.

დიდმა და პატარამ ხელში სანთლები მოიმარჯვა. ყველა, მამა გენადისთან ერთად დადიოდნენ ხელში სანთლებანთებულები. მამაო ლოცავდა სახლის ეზო-კარს, ფუძე-ჭერს, მარან-ბედელს. ლოცვების ჩასრულების შემდეგ, წესისამებრ სახლის ოთახებში, აღმოსავლეთის კედლებზე ლამაზად, პატარა ნაკურთხი ჭვრებიც მიაკრეს.

გენადი მღვდელმა გულიანად ჩამოლოცა ფუძე-ჭერი, სახლეულობა. ხვაი, ბარაქა და სიმრავლე უსურვათ ყველას და ზრდილობიანად დაემშვიდობა დიდსა და პატარას. საღამო ხნისთვის, დატრიალდნენ ოჯახის წევრები და სახლის კურთხევის აღსანიშნავად, ლამაზი სუფრა გააწყვეს დიდ ოთახში, აი იმ, დიდ ოთახში კახელები “ზალას“, რომ ეძახიან. არც არავის დაუბარია ამ ლამაზად, სულითა და გულით საქეითოდ გაშლილ სუფრაზე მოსვლა. იმდენი ახლობელ-ნათესავები და მეზობლები მობრძანებულიყვნენ, რომ კინაღამ სუფრასთან დასაჯდომი ადგილიც აღარ დარჩენილიყო.

სუფრის დაწყებიდან, სულ რაღაც თხუთმეტ-ოც წუთში, მოულოდნელად ოთახის ღია, დიდი კარებიდან ერთი, ლამაზი მერცხალი შემოფრინდა. ოთახის თავზე, დიდ სივრცეში შემოიფრინა, ფანჯრის ზემოთ, ფარდების საკიდზე შემოსკუპდა და იქ მყოფ ხალხს, ყელმოღერებული დასცქეროდათ ზემოდან. სტუმრები გაოცებულნი მისჩერებოდნენ ამ მოღუღუნე ლამაზ მერცხალს.

ბებოც სუფრის ბოლოში ახლობლის გვერდით ჩამომჯდარიყო და სიხარულნარევი ხმით ამბობდა

– მერცხალი სუფთა და ადამიანებისმოყვარული ფრინველია – ყველამ თვალები მოხუცი ბებოსაკენ შეატრიალა

– მერცხალს სითბო და თბილი ხალხი უყვარს.

– ამიტომაა, რომ პირველად ყოველთვის საქართველოში მოფრინავენ მერცხლები, რადგანაც აქ, სწორედ აქ ეგულებათ, თბილი და კეთილი სულის ხალხი. ამხელა ხნისა მოვიყარე და ასეთი რამ ,რაც აქ ვნახე, არსად არაფერი მინახია რა!

– სახლი იკურთხა და მერცხალი მოფრინდა!

შემდეგ მიუბრუნდა თავის შვილს და ხმამაღლა უთხრა

– აი, მერაბი შვილო, ხომ ხედავ რა კარგი საქმე გააკეთე!

– მადლობელი ვარ, ძალიან მადლობელი ამ დღისა!

ისე დამთავრდა სუფრა, რომ მერცხალი ადგილიდან არც კი განძრეულა.

დილით გათენებულზე ბავშვები ინტერესით, ნახევრადჩაცმულები შესულიყვნენ მერცხლის სანახავად ოთახში და იქ, რომ ვეღარ ნახეს ფრინველი, ბაღში მოფუსფუსე ბებოს ხმამაღლა გასძახეს აივნიდან.

– ბებო, ბებო, მერცხალი ხომ არდაგინახია?!

– რომელ მერცხალზე მეკითხებით ბებო?

– აი, გუშინ ჩვენთან ოთახში, რომ შემოფრინდა – ისევ ხმამაღლა ეძახდნენ ბავშვები დიდ ბებოს.

– არა შვილო, ის მერცხალი არ დამინახია, მაგრამ აი ამ დილით ჩემს მერცხლებს კი გხედავთ!

– თქვენ დაუმრავლდით ბებოსა თქვენა, თქვე ბებოს ჭიკჭიკებო!

მოეფერა მოხუცი ბებო შვილთა შვილებს, ჯოხი იქვე გვერდით ყვავილების ღობეზე მიაყუდა, წინსაფრის კალთა შეისწორა და იმ წვიმებზე, ცოტა მეტად ბალახმორეულ ყვავილების ბაღს შეუყვავა გასამარგვლადა.

დაიხარა ბებო და გულში, რომ ვეღარ იტევდა გუშინდელ სიხარულს თავისთვის, ცოტა ხმამაღლაც კი ამბობდა

– ღვთის საქმე აკეთეთ შვილებო, ღვთის საქმე კეთილადა და მშვიდადა!

უფალი დიდია და ყოვლისმხედველი!

– დაინახავს თქვენს კეთილ საქმესა და ისიც მონყალების თვალთ გადმოგხედავთ ყველასა!

– ამბაზედ კარგი და ღვთისნიერი საქმე რა უნდა აკეთოს ვაცმა, რომ ღმერთი ახსოვდეს გულშია.

ამ სიტყვებს იმეორებდა მოხუცი ცოტა, ოდნავ ხმამაღლაც თავისთვისა და ვარდის ძირებს მორეულ ბალახს აცლიდა უკვე ძალიან გამხდარი, საქმეში გაღეული, შემჭკნარი ხელებითა!!!





გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარული)

### ვერ სიბართლეს

მოგნონთ? ჩემი რეალობიდან გამომდინარე ლექსები? მაშინ ცოტა ხნით ჩემს კალამთან ჩამოისვენეთ.

ოცდაათი წელიწადი ვიყავი ქარელის რაიონის სოფელ კოდის ბიბლიოთეკის გამგე.



ადგილობრივი დეპუტატი კი თითქმის შეუცვლელი. ეს ყველაზე რთული იყო ჩემთვის. იმ პეროდში ასე იყო. ახლა რა ხდება არ ვიცი. ორ წელიწადში ერთხელ ხდებოდა გადარჩევა. კანონით ეს უნდა მომხდარიყო და ასეც ხდებოდა. იმდენად დიდი იყო ნდობის ფაქტორი ჩემსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის, რომ თუ სადმე ოჯახური კომპლიკტი ან მინის განაწილების საზღვრების უთანხმოებით გამოწვეული დავა იყო, ხშირად მიწევდა ამა თუ იმ მოღვაწეების საკითხების გარჩევა – მორიგება. არასოდეს არც ერთი ოჯახის შიგა სამზარეულოს უთანხმოება გარეთ არ გამომქონდა. თუ თვითონ რამეს გამოამზიურებდნენ ეს ჩემი გასაკითხი არ იყო. არ არსებობდა ქარელის რაიონში თეორიული კომფერენცია ჩატარებულიყო, რომ ბატონ ომარ გელაშვილს არ ეთხოვა, და მეც ვასრულებდი ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს. ათასნაირი ადგილობრივი თუ

საკავშირო ჯილდოები მაქვს მიღებული. ამას იმიტომ ვწერ, რომ ოცდაათი წელიწადი წიგნებში ვტრიალობდი და ერთი ლექსის ავტორი არ ვიყავი. ისე კი ნებისმიერი თემის ირგვლივ მსჯელობდი, იწნებოდა ეს სოფლის მეურნეობა, კულტურა თუ განათლება. გამოვდიოდი სიტყვით და ეს ყველაფერი იბეჭდებოდა გაზეთებში. ეს ხდებოდა წლების წინ. დაიწყო ომი. ომის პერიოდის აღწერა შორს წამიყვანს და თავს შევიკავებ. მოხდა ბიბლიოთეკების ლიკვიდაცია. ეს არ იყო ადგილობრივი მთავრობის ბრალი. ეს ზევიდან გატარებული კანონის მიხედვით მოხდა. ეს ედვარდ შევარდნაძის პერიოდი იყო. ომი მძვინვარობდა. რამოდენიმე წლების შემდეგ ისევ დალაგდა სიტუაცია, სოფელში პოლიცია შემოვიდა. ამ მხრივ ცოტა ამოვისუნთქეთ, რომ პოლიციით კონტროლილებადი გახდა ტერიტორიები. თუმცა შემოსავლის გარეშე დარჩენილმა მოსახლეობის ნაწილმა გადაინაცვალა სხვადასხვა რაიონებში თავის გადასარჩენად. ასე მოვხვდი რუსთავში. ოც ლარად რამდენჯერ დამიგვია სკოლით დავადებული სკოლა ინტერნატი, იმდენი სიხარული ჩემს ოჯახს. მაშინ დირექტორი იყო, აწ გარდაცვლილი ბატონი ნოდარ ვარდოსანიძე. ინტერნატის ახლოს ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს ჩემი მაზლი თამაზ სხირტლაძე. ჩემი მეგობრის სამსახური, რომ დამიმთავრდა, მაზლის ცოლთან გავიარე. დებივით

გვიყვარდა ერთმანეთი და ახლაც ასეა. ჩემი ულამაზესი მაზლიშვილი მაიკო სხირტლაძე ამბობს. იცი ბიკოლა, მამა გაბრიელის საფლაზე ვიყავი, რაც ვთხოვე შემისრულდაო. მაიკოს ნათქვამმა რწმენის ჟრუანტელით დაიარა სხეულში და გული სამუდამოდ დაისაკუთრა. ეს ამბავი ვთქვი ოჯახში და რამოდენიმე დღის შემდეგ მცხეთაში ჩავედი რძალთან და შვილიშვილებთან ერთად. ლევანი და ნანიკო მაშინ პატარები იყვნენ. მამა გაბრიელი მცხეთაში იმ პერიოდში გარეთ ესვენა. დავიჩეყე და ვებუტბუტებიდი მამა გაბრიელს. სიმშვიდე დაებრუნებინა ხალხისთვის, მშვიდობა ყოფილიყო. აღარ გამეგონა შიშით აკვივლებული ბავშვების სიტყვები, გავიქცეთ სროლებია. კარგად მყოლებოდა შვილიშვილები. თამარი, ლევანი, თეონა და ნანიკო. ჩემი პატარა ვახო, იმ პერიოდში დაბადებული არ იყო. მცხეთიდან წამოვედი იმ რწმენით, რომ რაღაცა კარგი უნდა მომხდარიყო. ჩემი ცხოვრება რადიკალურად უნდა შეცვლილიყო უკეთესობისაკენ. მეორე დღეს ჩვეულებრივად ავდექი ხუთ საათზე. ასე ადრე იმითომ ვდგებოდი, რომ სკოლა ინტერნატს დიდი ეზო ქონდა. ეზოს ახალი იატაკის ცოცხით ვგვიდი, ისე მოვანიკნკვებდი ხოლმე, რომ მზე როცა გადააფენდა სხივებს, ათინათები ჩემს წინ ცეკვავდნენ. ერთი პატარა ოთახი მქონდა, ეზოს როცა მოუვლიდი, მერე დაცვის როლის შესრულება მიწევდა. უნდა გამეკონტროლებინა, ვინ შევიდოდა, სკოლის ტერიტორიაზე და რომელი ბავშვი არ უნდა გასულიყო გარეთ. გაკვეთილები დაიწყო. მონესრიგებულ ოთახში პედაგოგებს უყვარდათ ჩემთან შემოსვლა. დაგვიანებულ ბავშვებს კითხულობდნენ. ისე ყველა მოსწავლე იქ რჩებოდა ღამე და დღე მათ ღამის აღმზრდელი პედაგოგები აკონტროლებდნენ. იყო გამონაკლისებიც, რომლებიც სახლში მიდიოდა. ხშირად კლარა მალიზონია მაკითხავდა. განსაკუთრებით ვუყვარდი და მათასებდა. კლარა მასწავლებელი ისე ამოიკვნესებდა გულს ამოაყოლებდა ხოლმე. რამდენჯერ დავაყენე შენი საკითხი ეგებ აღმზრდელი პედაგოგობა მაინც მოგცონო. ბავშვებს რამდენი ყურადღება სჭირდებათ და შენ უნდა ჩავგვსვათ შტატშიო. მე კი ბედს შეგუებული ვიყავი ჩემს ფიქრებში პატარა ბავშვივით გატრუნული.

ვზივარ ოთახში, მონყენილი. კედლის კუთხეში ჩიტის ბუდე აილანდა. ჩიტად ჩემი პიროვნება აღვიქვი.

ჩიტის ბუდე ისევ იქ არის და დედა ჩიტმა ჩიტები თრთებში შეფარებული წამოვიყვანე.

ლექსების წერა დავიწყე.

აღარ მახსოვს, იმ დღეს რამდენი ლექსი დავწერე. იმერეთის ლექსი ისე ჩაჯდა გულში, ძილშიც რომ ვინმე შემეკითხოს ალბათ არ შემეშლება.

ვოცნებობდი ლექსის წერა მესურვილა,  
 ნოსტალგიამ აატირა დარდის გული,  
 ჰე, საჩხერე, ჩემი ხვანის სატაცურა,  
 იმერეთი უფლის ხელით მოხატული.  
 იქ, აკაკის ნატერფალი მეგებება,  
 ვხედავ მგოსანს, სიყვარულით ღამე ნათევს,  
 სტუმრისათვის ჭიქა ღვინის შეგებება,  
 ჩვენია და ამას აბა, ვინ წაგვართმევს.  
 წლები მიჰქრის დამათოვა ჩუმად თმაში,  
 სიბერე კი დაჭიხვინობს დაზაფრული,  
 თამადა ვარ სიყვარულის ამოხსნაში,  
 იმერეთში? სხვა ფერია გაზაფხული!

ეს ლექსი პირველი კრებულშიც შევიტანე, წიგნის სახელწოდებაა, „ფიქრები“. დღეს მამა გაბრიელის დაბადების დღეა. მამა გაბრიელის მადლით კი მე მეორედ მოვედი. პოეტად დავიბადე. ერთ თვეში თბილისში მოვხვდი, კულტურის ცენტრის დირექტორად. არა ერთი სტუდენტისთვის ვყოფილვარ გზა მკვლევრი. აღარ გავაგრძელებ ვინ ვარ. თუ ვინმეს თვალში რამეს წარმოვადგენ აქ უფლის ხელი ურევია. ეს მამა გაბრიელის მადლით მოხდა. ვწერ ამ

რელურად მონხდარ ამბავს, ისევ თქვენთვის შვილებო. სიმდაბლიდან სიმალეო, ხომ გაგიგონიათ. ჰოდა ახლა დღეს ყველაზე მეტად საჭიროა რწმენა და უფალთან მიახლოება. ლექსი უფლის გზავნილია. ლექსი არ ისწავლება. მხოლოდ შინაარასიან ლექსის შექმნას აუცილებლად ცოდნა სჭირდება. ცოდნას კი წიგნით მიიღებთ მხოლოდ წიგნით. ახლა როცა ინტერნეტ სივრცეა გაბატონებული მსოფლიოში, ჩემი პრაქტიკული გამოცდილებიდან გირჩევთ. გქონდეთ რწმენა და უფლის სიყვარული, ხოლო წიგნი

ეს, „შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს ტყვიით სავსე ყუმბარა“ (მაშაშვილი).  
წიგნებზე ზურგშექცეული ახალგაზრდებისთვის დავწერე ასეთი ლექსი.

=====

მკითხველო გავხდი თობას სატრფო,  
ნესტში ვარ, გელი ვერაფრით გავშირი,  
თვალით დაგეძებ ყოველდღე გნატრობ,  
ვტირივარ ისე ვით თოთო ბავშვი.  
მე ვარ ილია, მე ვარ აკაკი,  
იაკობი და ვაჟა თშაველა,  
მე ვარ ზღაპარი, მე ვარ არაკი,  
მე? წიგნი მქვია ერთი მტკაველა.  
ე, მაშინ ალბათ აღარ მოვკვდები,  
მკითხველო, ჩემთვის თუ მოიცალე,  
წამიკითხე და გამოვცოცხლდები,  
თორემ საცაა გარდავიცვალე  
=====.

ეს თქვენთვის, მომავალ თაობავ. ახლა კი ჩემს მამა გაბრიელს მივეფერები. დღეს მისი დღეა.

მადლი მათრქვიე ლექსებად ვიშვი,  
არ მოველოდი მეორედ მოსვლას,  
მამავ, მტკივა და გულს გადაგიშლი,  
და როცა გეტყვი საშველად მოხვალ.  
იმ უხულავი ლაჟვარდებიდან  
ერწყმის „ათინათს“ სიმშვიდის ქნარი,  
ლექსს ვქმნი მეორედ დაბადებიდან,  
სამშობლოს გრძნობით გულგადამთვრალი!

დიდება უფალო შენდა! ითხოვეთ და მოგეცემათ, ირწმუნეთ და კარგად გახდებით. თუ ვინმეს ჩემი კალამი გამშვიდებთ ეს, რწმენით მოსული მამა გაბრიელის მადლის სასწაულია. დღეს თორმეტი წიგნის ავტორი ვარ. დღეს საზოგადო მოღვაწე ვარ. ეს მამა გაბრიელის მადლითაა ყველაფერი.

### ილოხათი ჩაგვა

უკრაინიდან მესენჯერში შეტყობილება მომივიდა. ჩემო თბილო მეგობარო ქალბატონო გულნაზი გაკოცეთ ბევრი. თქვენი თბილი კომენტარი წამეშალა, კიდევ დამინერეთ, მატყობინებდა ლამაზი ფერია ქალბატონი. კომენტარს სად ვიპოვნიდი და სასწრაოდ დავუწერე ასეთი სიტყვები. საყვარელო, იმრავალუამიერე და ახალ წელს შეხვდი, ბედნიერების მწერვალეებით. გავიდა რამოდენიმე წუთი და კვლავ მესენჯერის წვაპანკუპი. ისევ ლამაზი გოგონას შეტყობინება.

გეხუტებით, აქ ომია, დანერე რამე და გამომიგზავნე საქართველოს სიტბო. იმ წამში რაც მოვიფიქრე ასეთი ლექსის მაგვარი სტრიქინები გაუვუგზავნე.

=====

როგორ მინდა მოგიჩინო გული,  
როგორ მინდა გაგიქარვო სევდა,  
მინდა რწმენით გაგიქარწლო წყლული,  
გეფერები როგორც შენი დედა.  
არ იდარდო სევდიანი დღეა,  
ღვდთისმშობელი დაგიფარავს ქართველს,  
მტკივა შვილო, ყუმბარებს რომ ყრიან,  
როგორ მინდა რომ გნახავდე ჯამრთელს.



ამ სიტყვების შემდეგ კვლავ ჩემს საქმეს მივუტრიალდი. ანთოლოგიის მასალებს ვგზავნიდი და ტელეფონით მიხდებოდა მუშაობა.

კვლავ მომივიდა ამ პატარა გოგონას სმაილი და ცრემლის მომგვრელი სიტყვები – „ილოცოთ ჩემზე“. გლოცავ შვილო, საჯაროდ და სახალხოდ. ვინც ჩემს პოსტს წაიკითხავს, გჯეროდეს, რომ ყველა დაგლოცავს. ჩემს ირგვლივ მოტრიალე ბატონები და ქალბატონები, ყველა კეთილებია. მათთან უფალია. გჯეროდეს და გწამდეს ყველა დაგლოცავს. მე კი შენზე ფიქრში მომიწევს ღამის გათენება.

### მამიდას სიხარული



შენ ის ლაშა ხარ მამიდა, რომ გატყუებდა თუ კარგად ისწავლი შენი მამიკო გაცოცხლდებოდათქო. შენ ის ლაშა ხარ, რომ ამიტირდი, მამიდა მუხრანის და მირზას, რომ ყავს მამიკო, მეც მინდაო. ახლა მამიდა აღარც ერთ ჩემს ძმიშვილებს აღარ ყავთ მამები. მთასავით ბუმბერაზი ძმები ცაში გაიკრიფნენ. გენაცვალოს მამიდამ ფეისბუქზე ვნახე შენი სურათი და გადმოვიზიარე. ხუთი წლის ობოლი გაგზარდა დედამ. ახლა კი სამი ლამაზი შვილის მამა ხარ. ბედნიერი იყავი შენს ლამაზ ცოლშვილთან ერთად. მიყვარხართ მ ა მ ი.

### ფრთხილადამსხვრეული დედა ჩიტი

ეს სურთი ფეისბუქმა ამოაგდო.

ჩემს გარდა სამივე გარდაცვლილია. მეუფე მირიან იორამაშვილი (პოეტი), რომელიც დაკრძალულია სიონში. მეუფე ჩვენი აკადემიის წევრი იყო. ყოველთვის იბეჭდებოდა ჟურნალ „ათინათში“ და ანთოლოგიაში. თითქმის ყველა ღონისძიება მისი ლოცვა კურთხევით ტარდებოდა. მახსოვს, რუსთავის მეორე საჯარო სკოლამ მიგვიწვია, რომლის დირექტორია ქალბატონი ლალი ნაზლაიძე. მეუფე მირიანი იორამაშვილი, ჯგუფ ზღვარის წევრები, სერგი ლომაძე და ვახა ბაციკაძე, მათთან ერთად რამდენიმე აკადემიის წევრიც. ლამზირა შეყილაძე კი, ყოველთვის შეუცვლელი და აქტიური წევრი იყო და არის დღესაც. მეუფეს ისე უყვარდა სერგი და ვახა, პოეზიის ლომებს უწოდებდა. ჰოდა, მეუფეო ეტყობა სერგის გაახსენდა თქვენი თბილი დამოკიდებულება, ზღვარელების პოეზიასთან და სამეცნიერო წერილი დანერა. თქვენი წიგნის ირგვლივ მიმოხილვა გააკეთა, რომელიც უკვე დაიბეჭდა ანთოლოგიის მეთორმეტე ტომში. დიდი მადლობა სერგის ამ დიდი ადამიანობისათვის. უჭირთ შენს გარეშე, ზღვარელებს ყოფნა და ხშირად გამოხატავენ გულისწყვეტას მეუფეო, შენი გარდაცვალების გამო. ხოლო, მსოფლიო მოგზაური, თოთხმეტჯერ გინესის წიგში შესული ბატონი ჯუმბერის გარდაცვალების შემდეგ, აღარავის არ ეჯერა, რომ აკადემია გააგრძელებდა მუშაობას. ვმუშაობთ მეუფეო, ვმუშაობთ ბატონო ჯუმბერ, უფლისა და თვენი სულის მფარველობის ქვეშ ვსულდგმულობთ, არა გვიშავს

რა. შენ კი ქეთი თითბერიძევ, აკადემიის ინტერნეტ გვერდი გქონდა გახსნილი, მითხარი პაროლი ჩაინერეო. შემოგხედე და ღიმილნარევი სიცილი შემოვაველე შვილო, შენ ლამაზ სახეს. არ გეცოდება ჩემი ტვინი ამდენი ინფორმაციებისათვის-თქო და პაროლი არ გამოგართვი. თურმე რა ... არავინ იცის ბედისწერის აღმართი სად გაგაჩერებს. ვუყურებ სურათს და სინანული მიპყრობს სამივე უფალთან ხართ. რუსთავის მოხუცთა სახლასაც ბევრჯერ ვწვდი, რომლის დირექტორია ბატონი მალხაზ კვინიკაძე. ქეთი შენ ძალიან ბევრი პარფიუმერია მოხუც ქალბატონებს ჩამოურიგე. როგორ ეფერებოდი, მოიპრანჭეთ, გალამაზდით, თქვენ ჯერ კიდევ ლამაზები ხართ და ასაკმა არ შეგაშინოთო. აძლევდი საჩუქრებს და სათითაოდ იკრავდი გულში. ქეთი შვილო, ის მოხუცები ძალიან კარგად არიან შენ კი ზეცაში ხარ. სურათი გადაღებულია სამებაში, ახალგაზრდულ ცენტრში. იმ წლებში, სამების ახალგაზრდული ცენტრის დირექტორი იყო, ბატონი გიორგი ფარეშაშვილი.

აღარ მახსოვს ვისი ღონისძიება იყო. რატომ დგას მეუფე ფეხზე. ან მე რატომ ვზივარ. ეტყობა რაღაცა მომენტში ასე მოხდა, თორემ როგორ შეიძლებოდა, მე მჭდარიყავი და მეუფე ფეხზე ყოფილიყო. ამდენი კარგი ხალხი უფალთან ხართ. დავრჩი ფრდებდამსხვრეული დედა ჩიტი თქვენს გარეშე.

### გზამკლავი



დუმილით უფრო მშვიდდება სული, ვიდრე განსჯით. რა აზრი აქვს თქმას, ჯობია გაჩუმდე. რამდენი ადამიანი არსებობს, იმდენი აზრია და გამოდის, რომ შენი ცხოვრება სხვისი საკენჭი გახადე. ამიტომ უნდა გაჩუმდე. არასოდეს მოინდომო ცუდი სხვისთვის. ეცადე იყო მშვიდი და კეთილი. როცა რამეს კარგს გააკეთებ ნუ ელოდები, სესხს დაგიბრუნებენ უკან. წავიდა ის დრო. „სესხს მოუხარედესო“ დედამ იცოდა ხოლმე, როცა გაისტუმრებდა მოვალეს, ცოტა მეტს აძლევდა.. 21 მეერთე საუკუნეში სხვა არშინი არსებობს. რადგან შეგხვდა ეგ ბედნიერება, რომ ორი საუკუნის მეპატრონე გაგხადა უფალმა. კეთილი ინებე და შეეგუე, სიკეთის სესხის არ

დაბრუნებას. 21 მეერთე საუკუნეა ქალბატონო, რეაბილიტაცია ხდება. მეოცე საუკუნეშიც იცხოვრე, ახლა აქაც შენ ხასიათზე ააცეკვო ხალხი ეგრე სად არის. ჰოდა გაჩუმდი. შენ არ გარდაიქმნა არ აყვე მავანთ, თორემ დაკარგავ ყველაზე ძვირფასს. ყველაზე ძვირფასი კი შენთვის იცი რაც არის, სიკეთის კეთება. მაგის სურვილი რომ, გაგიქრება მაშინ შენი სიცოცხლევც დამთავრდება. ამიტომ გაჩუმდი. დუმილის იარაღი გამოიყენე და სუკეთის გზაზე სიარული გააგრძელე. ღმერთი გხედავს და ის იქნება შენი ცხოვრების გზა მკლვევი.

### როდის იყო დედა შვილებს უბრაზდებოდა

შორს გავუბრუნებარ ცრუ რწმენებს. ამაგს არავინ ხედავს. ვარდი დავთესე და ეკალი ამოვიდა. გზა ვასწავლე და გასავლელი გზა ჩამიკეტა.

ნოემბერი დადგა. მთელი წლის მოსავალს ველოდები. ვარდები დავთესე სულ უეკლო, სურნელებიანი. რწმენა მაქვს, ისეთი ვარდები ამოვა როგორიც დავთესე. არანაირი ეკლები არ ექნებათ ჩემგან დათესილ სხვადასხვა ფერის ვარდებს და წითელგულა ყვავილებს. პირიქით ტოტები რბილი და ფაფუკი ექნებათ. ისეთი სურნელი დადგება, მთელ საქართველოს სიყვარულის ცეცხლში გაახვევს. მკითხველს კი მადლის სამოსელს წამოაფარებს სულის შირმად. უიმედოს იმედს მისცემს. ავადმყოფს უმკურნალებს. გასაბედნიერებელს გააბედნიერებს. ხანდაზმულებს სიცოცხლის სტიმულს მისცემს. გულდაჭრილებს მალამოდ წაესმება გულზე. გარდაცვლილებს არდავინწყების ფურცლებში გააცოცხლებს. პოეტებს, კაპოეტის ფრთებით ცის სივრცის, ოცნებების უსასრულობაში ატარებს. პროზაიკოსებს კეთილმონყობილ მატარებლით ამოგზაურებს. ვაგონებში ყველანაირი კომფორტი ექნებათ შექმნილი. მხატვრები ნაირ-ნაირი ფერთა გამებით დადინჯებულად შეზარხოშდებიან. ისტორიკოსები ისეთ ინფორმაციებს მიიღებთ, ჯერ რომ არსად თქმულა, არსად დანერვილა. რეალური და საინტერესო დოკუმენტარული ფილმები გელოდებათ თამარ მეფის ხანის. მართო თამარის არა, სხვაც იქნება გამოკვლეული და სამზეოზე გამოტანილი. ძირძველი მასალების ნაკითხვა მოგიწევთ. ხოლო ვინც აუგად მოიხსენიებს გიორგი სააკაძეს, ახლოს არ გაეკაროს, ჩემი შემოდგომის მოსავალს. ვინც პაატას აუგად მიხსენებს, ვინც ქეთევანს არ იწამებს, შორს ჩემგან. ჩემს მოსავალთან ჩემი წინაპრების აუგად მხსენებლებს რა ესაქმებათ. მოსავალი მრავალნაირია. დედამ მოიყვანა თქვენმა სულიერმა დედამ. კარგად რომ დანაყრდებით, შეგიძლიათ ბრძნულ აზრებთან ჩამოისვენოთ. გთხოვთ, სადღეგრძელო არ დაგავინყდეთ გმირი წინაპრების. მოამაგე დედას თუ არ ახსებებთ არაფერია. როდის იყო დედა შვილებს უბრაზდებოდა.



### ცრემლის წვეთი ზღვის წყალს გავს, მარილიანია. ერთმა კეთილმა ქალბატონმა გზაზე

უპატრონოდ დაგდებული მიწიდან ამოღებული ნერგი იპოვნა. ნერგი იმდენად პატარა იყო ვერ გაარჩია რა ჯიშის იყო. ხელში სიტაქიზით შეატრიალ- შემოატრიალა და უიმედოდ ჩაილაპარაკა. ამას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა და რა გაახარებსო. ბოლოს ბედს მიენდო, „ცდა ბედის მონახევრეაო“ და სიცოცხლის ნიშანწყალ გამოლეული ნერგი თავის ეზოში დარგა. ის წელიწადი ძალიან გვალვიანი გამოდგა. ნერგმა ხმოზა დაიწყო. კეთილი ქალბატონი ყოველ საღამოზე მიდიოდა ნერგთან და ღმერთს ევედრებოდა ნერგის გახარებას. თან თვალებიდან



ლაპალუპით ცრემლები ჩამოდიოდა. ცრემლები მინაში ჩარგულ ნერგს ეცემოდა. სულ ჩქარე ფოთლების გამოღება დაიწყო, სიცოცხლის ნიშანწყალ გამოლევულმა ნერგმა.

ასეთი დღეები ყოველ დღე მეორდებოდა. უთქმელმა კეთილმა ქალბატონმა, გზაში ნაპოვარი ნერგი მეგობრად გაიხადა. ჩამოჭდებოდა მის ახლოს და უყვებოდა თავის წარსულს. წარსულიდან გასასხენებელი ბავშობის და სტუდენტობის ხანის გარდა კარგი არაფერი აგონდებოდა. ფიზიკური და გონებრივი ტვირთი იმდენად მძიმე იყო, გახსენების პერიოდშიც მომენტალურად წელში იხრებოდა. თავისთავად ცრემლები სდიოდა. ცრემლები სიყარულით დარგულ ნერგს წამალივით ერგებოდა. ნესტი მის ფესვებს ასაზრდოვებდა. კეთილი ქალბატონის ცრემლიც კი უმიზნოდ არ იკარგებოდა. ზაფხულის პერიოდში ნაპოვარმა უცხო მცენარემ უკვე პრტყელ-პრტყელი ფოთლები გამოიღო. ნერგის გამხარებელმა ქალბატონმა, ვერაფრით ვერ დაადგინა, რა ჯიშის ხე გაზარდა. არც ერთ საქართველოში გაზრდილ ხეთა ჯიშის ვერ მიაგვანა. ბოლოს ხეხილ -სანერგე მეურნეობიდან სპეციალისტები მოიყვანა. ცდა უშედეგო გამოდგა. საქართველოში არსებულ არც ერთ ნერგს არ გაავსო და საგანგებოდ მოყვანილი ჯგუფი უკან გაბრუნდნენ. კეთილმა ქალბატონმა მას სიკეთის ხე დაარქვა. ცრემლით ნახარები ნერგი დღითი დღე იზრდება. ვინც მას ოდნავ ხელს შეახებდა სახლში მადლი მიყვებოდა. უხარია კეთილ ქალბატონს, რადგან მისმა შრომამ უშედეგოდ არ ჩაიარა. კეთილი ქალბატონის ცრემლმაც კი, სიკეთის ხე გაზარდა.

### როცა უფალი მიყვარს



საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის დარბაზში შედგა, „პოეტები საქართველოსი“ (1) ტომის პრეზენტაცია. ნიგინის პროექტის ავტორები არიან: – ქალბატონი მანანა სამყურაშვილი, წელი საგინაძე და ბატონი თენგიზ ფანცულაია. ქალბატონი მანანა არის მებრძოლი სულის ქალბატონი. ამ წიგნების ბეჭვდის საუკუნეში გაბედო და შეერკინო პოეზიის ზღვის ტალღებს, არაა იოლი. როცა უფალი გიყვარს აკეთებ იმას რასაც ღვთის ხმა ჩაგჩურჩულებს. არ ვიცი რა ღვთის მადლი გადმოეფინათ ნიგინის ავტორებს, მაგრამ ფაქტი სახეზეა. გამოვიდა უნიკალური ხარისხის პირველი ტომი „პოეტები საქართველოსი“. რაც შეეხება მეორე პროექტის ავტორს, ვის არ უყვარდა იმ პერიოდის ფეხბურ-

თელები. მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ ფანცულაია და სხვები. როცა ფეხბურთის კარიერა დამთავრდა, ცნობილმა ფეხბურთელებმა სხვადასხვა ფაკულტეტები დაამთავრეს და სხვადასხვა სპეციალობით გააგძელეს ცხოვრების გზა. ბატონი თენგიზ ფანცულაია, წლების განმავლობაში იყო შს საგამომძიებო, დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა, უფროსი გამომძიებლის მუშაკი და პოლიციის პოლკოვნიკი. ამ თანამდებობის კარიერის დამთავრების შემდეგ ბატონმა თენგიზიმ, პოეზიაში გადმოინაცვლა. ვაკვირდები და ვგრძნობ ამ კეთილშობილ პიროვნებას, პოეზიაშიც წესრიგის დაცვა უყვარს. მის ლექსში ვერ ნახავთ ბილწსიტყვაობას. მისი ლექსები გაჯერებულია სამშობლოს სიყვარულით. მესამე პროექტის ავტორი გახლავთ, ფილოლოგი, ქალბატონი წელი საგინაძე. არაჩვეულებრივი ლექსების შემქნელს და უამრავი ბავშვების აღმზრდელს, არ გაუჭირდებოდა წიგნზე მუშაობა და სჩანს კიდევ. შინაარსობრივად მოწესრიგებულია წიგნი „პოეტები საქართველოსი“.



ლონისძიება გახსნა მამა ამირან ამირანაშვილმა. თავისი ლამაზი ხმის ტემბრით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება. ეს საღამო იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ ოთხი საეკლესიო პირი ესწრებოდა. აქედან სამის პოეზია არის წიგნში დაბეჭდილი. წიგნში შეტანილია ორმოცდათხუთმეტი ავტორის ლექსები. ლონისძიება მიყავდა ქალბატონ მანანა სამყურაშვილს დინჯად და აუღელვებლად. სამივე წიგნის პროექტის ავტორმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. ყველა ავტორმა თავისი საკუთარი ლექსი წაიკითხა. ყველა ლექსი იყო ლამაზად და ხარისხიანად წაკითხული.

დარბაზში არ ცხრებოდა ოვაციები. არ შემიძლია არ გამოვყო, პატარა გიორგი ქენქაძე, რომელმაც არა ერთი ავტორის ლექსი წაიკითხა. მათ შორის ბატონი ირაკლი ნადარეიშვილის. ეს იყო ლამაზი ლექსის კულმინაცია, მინიდან ცამდე ამალღებული პოეზია. ღვთის საჩუქარია ასეთი პოეტი საქართველოსთვის, როგორც ბატონი ირაკლია. ყველა პოეტი იყო განსაკუთრებული და კარგი. ვაითუ ვინმე გამომრჩეს და ამიტომ თავს შევიკავებ, გთხოვთ, მომიტევოთ და მაპატიოთ ავტორებმა. 55 ავტორის დასახელება ეს ერთი წიგნის ტოლფასია. ღონისძიება დამთავრდა, ქალბატონი მანანა სამყურაშვილის ლექსით ალო? საქართველოა? ბოლოს წიგნის ფორმის დიდი ტორტი გაიჭრა და თბილი და ტკბილ ღონისძიებამ ღვთის მადლი დატოვა დარბაზში!

### ქვირფასი ქალბატონები

დიდია უფლის ძალა. დიდება შენდა ღმერთო.



ათ ნოემბერს ვიყავით დავით გარეჯში. ეს ისე არ მომხდარა, რაღაცა მოინდომო და ნახვიდე. არა, ამ ნაბიჯის გადადმას წინ ლამაზი ისტორია აქვს. სურათზე ჩემს გვერდით დგანან ორი ქვირფასი ქალბატონები. ირმა კვეციანი და ეთერ ისაკაძე. ქალბატონი ირმა აფხაზეთის მინისტრის მოადგილე იყო წლების განმავლობაში. პროფესიით ექიმს, გული ტკიოდა და ამჟამადაც დიდი ტკივილია მისთვის სამაჩაბლო და აფხაზეთი. ეს ულამაზესი ქალბატონი, არა მარტო ფიზიკურად არის ლამაზი, მისი სულიერება ისე სუფთა და ლამაზია, ვით ჰაერში მშვიდად მოფარფატე თოვლის ფიფქი. ამჟამადაც მოქმედი ექიმი ქალბატონი ირმა. ის ერთი შვილის დედაა. ღმერთმა ათასად უქციოს და გაუმრავლოს. ქალბატონი ირმა და მისი მეუღლე, ცნობილი მსახიობი თენგიზ, გარეჯის მონასტრის მრევლია. ქალბატონ ირმას, ათინათი „ათინათი“ ხშირად აქონდა გარეჯში. სადაც მსახურებს ბერი მამა ნეოფიტე, რომელმაც ათინათს ლექსი მიუძღვნა და როგორც ათინათის რედაქტორი, მამა ნეოფიტემ თავისი მოძღვნილი ლექ-

სით მთელი ბავშობა შემომატარა.ის თითქოს ბავშობიდან მიცნობდა, ისე ლამაზად აქვს გაშიფრული ჩემი ბავშობის ისტორია. თვითონ პოეტია მამა ნეოფიტე. აი, რას სწერს მოძღვნილ ლექსში.

„ მეც შენსავით ლალ სტრიქონებს ვქარგავ,  
რა შეგარქვა ენძელა თუ ია?  
რასაც ფიქრში ვპოულობ და ვკარგავ,  
შენს ენაზე ათინათი ჰქვია“

ლექსი დიდია აქ, ორი სტროფი მომყავს იმდენად თბილია სიტყვები, გაყინული გული ისე გათბა ვგრძნობდი, რომ არც არასოდეს შემცივდებოდა და აღარც სულის შიმშილს ვიგრძნობდი.

„დევაცებო, მომეშველეთ სად ხართ?  
ვინ მაჩუმებს ღაღადებენ ქვანი,  
დღეს ძირულას მძევლად გაჰყოლიან,  
მერხეული, ჭალვანი და ხვანი.“

გულში ვიმერებდი მამა ნეოფიტეს სიტყვებს და მადლიბას ვწირავდი უფალს, რომ გვერდით ვიდექი იმ ქალბატონთან, ვისი წინამძღრობითაც მოვხვდი დავით გარეჯში. ეს ქალბატონია ირმა კველიძე. რაც შეეხება, ცნობილ პოეტს ეთერ ისაკაძეს, ეს ქალბატონიც „ათინათმა“ მაპოვნინა. ეთერ ისაკაძე ჩემი სულის ორეულია. აი, ეთერის სიტყვები:

„დღე იდგა მშვიდი ძალიან წყნარი,  
ბერების ლოცვა ზეცას სწვდებოდა,  
ჩვენ გვაზიარა მამა ფილიპემ,  
ნეოფიტე კი ეხმარებოდა“.

მე და ეთერი, ქალბატონ ირმას კვალს მივყევით და მიგვიყვანა იქ, სადაც სიცოხლეში ერთხელ მაინც უნდა მივსულიყავით. ორივეს ერთი და იგივე შეგრძნება გვაქვს ამ წუთშიც, იქ გვინდა ვიყოთ სადაც სულის სიმშვიდე შევიგრძენით. როდესაც ეთერიმ შვილის მოსახსენიებლად სანთლები ხელში დაიკავა, ოთხი სანთელი თავისით აინთო. ეს იმას ნიშნავდა, მისი შვილის სული იქ იყო. დედას გარდაცვლილი შვილი ახლდა დავით გარეჯში. ეთერიც გრძობდა შვილის სიახლოვეს და ცრემლად იღვრებოდა. საღამო ხანს დავტოვეთ გარეჯი. თუმცა ფიქრით იქ დავრჩით. ვერ გამოვდივართ დავით გარეჯის წარსულიდან. ამ წარსულის ძირძველ გარეჯს, მამა ნეოფიტე იცავს. „მე უფალმა შემიკვდლა გარეჯას, მე აქ ჩემს წილ საქართველოს ვდარაჯობ“ (მამა ნეოფიტე) იმ დღეს ამინდის პროგნოზით უნდა განვიმებულებოდით. პირიქით უფლის მადლით, მზიან დარი დაგვიდგა და რწმენით აღვსილნი შევეფინეთ გარეჯის შეღმართს, სადაც კი არ მივდიოდით მივფრინავდით. ეს ლამაზი დღე ქალბატონი ირმას წყალობით შედგა.

ულამაზეს ქალბატონს ისე შვენის უბრალოება, ვითარც პატარძალს თეთრი ქათქათა ფატა.

ირმას ვლოცავ ლამაზსა და სუფთას,  
ირმას ვლოცავ, როგორც ღვიძლი შვილი,  
მას ფიქრებით გულში ვუშლი სუფრას,  
იმ ლამაზ დღეს ჰქონდა ლომის წილი.  
მე რა მივცე, ჩემი რა ჭირდება,  
მართალ სიტყვას მე არ ვუშინდები,  
მისით ვხედავ წმინდა, სულით წმინდნს,  
ასეთებთან გულით დამშვიდდები.

### ჯვარო პატიოსანო



ხელთუქმნელო ჯვარო პატიოსანო. დაიცავი საქართველო. დაუბრუნე ქართველებს ქართველური სახე, რათა არ გადაგვარდნონ და არ გახდნონ სხვათა ვერპთაყენისმცემლები. ჩემი მიამიტი ერი გამოათხიზლე. ნებით თუ უნებლიეთ, მიდიან და მიდიან. მიდიან თავისი ნებით. აღარავის იტაცებენ „ხვიჩასა და გოჩასავით“. ადრე ასეთი მოტაცება, ფულის შოვნის კორიფცია იყო. ახლა ფულს იხდიან ოღონდ წავიდნონ. ქართველების ამაყი გენი ცხვრებივით დაბორილობებ ვარდაკარ უცხოეთში. გამოათხიზლე ერი, რათა არ გაიყიდოს მინა სხვათა რჯულზე. ჯვარო პატიოსანო, ჯვარო ხელთუქმნელო. დაუბრუნე საქართველოს, ერთმანეთის სიყვარული, ძმობა ურყევი და უღალატო.



# ცეცხლი



ლუარა სორდია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი



## ბარდასხეულებისა და მოგონების თეორია

პლატონის „მენონში“, „ფედონსა“ და „ფედროსში“ განხილულია „მოგონების“ (ანამნესის, რემინისცენცია), როგორც თანდაყოლილი ცოდნის თეორია.

„მენონში“ გამოიყოფა პლატონის მრავალწახნაგოვანი აზრის შინაგანი განვითარების ათი საეტაპო საფეხური, ათი ძირითადი მომენტი, რომელთაგან ერთ-ერთია მეექვსე – მოგონების თეორია.

„მენონში“ სოკრატე იზიარებს სულის უკვდავების ორფიკულ-პითაგორულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, „რაკი ადამიანის სული უკვდავია, ამიტომ მრავალგზის იბადება; მას ყველაფერი უნახავს და ყველაფერი იცის. სული ყოვლისმცოდნეა. ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1,100).

„ცნებებით გამოხატული ყოველგვარი ცოდნა „ანამნესისია“ – მოგონებაა, როგორც დასაბამიერი, ყოველგვარ აღქმამდე შეძენილი კუთვნილება სულისა“ (ფედონი).

„მენონის“ მიხედვით, ცოდნის შეძენა ახლის შეცნობა კი არ არის, არამედ „იმავს ხელახლა შემეცნება“, ცოდნის შეძენა მხოლოდ წინასწარ მოცემული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება“.

პლატონის აზრით, „ადამიანის სული წინასწარ ფლობს აზროვნების აპრიორულ ფორმებს, ცოდნის გარკვეულ ზოგად სანყისს, რომელთაც ის მხოლოდ „იგონებს“ და ამრიგად, თავისსავე თავში პოულობს მათ“ (მენონი) (1,112).

„მენონსა“ და „ფედონში“ მოგონება შემეცნებასთან არის იდენტიფიცირებული, „მოგონებას“ კი „ღვთიური ნიჭი“ ეწოდება.

„სული, რომელსაც არასოდეს უხილავს ჭეშმარიტება, ვერ შეიმოსავს ვაცის სხეულს, რადგან ვაცი რომ იყო, უნდა გესმოდეს, რა არის იდეა, რომელიც მრავალი ვერძო შეგრძნების მონაცემიდან გამომდინარე, ლოგიკური მსჯელობის გზით ერთ უზოგადეს მთლიანობად ირწყმის და ყალიბდება. ამ ერთობის წვდომა კი იმის მოგონებაა, რაც ოდესღაც უხილავს ჩვენს სულს, როცა ღმერთის თანამდევნი და თანამავალი, მიზლით არიდებდა თვალს ყველაფერს, რასაც ამქვეყნიურ არსთა სახელს ვუწოდებთ და ნეტარებით აღვსილი ჭვრეტდა ჭეშმარიტ არსს. სრულყოფილების მიღწევა ხელეწიფება იმას, ვინც მართებულად იყენებს მოგონების მისეულ უნარს და, ამრიგად, გამუდმებით ეზიარება უზენაესი სრულქმნილების წმინდათა წმინდა მისტერიებს. ვაცთა ფუჭ ფუსფუსს განშორებულს და მხოლოდ ღმერთისკენ მზირალს, მას შლეგად თვლიან უმცარნი და დასცინიან. რა იციან სანყალობლებმა, რომ ის შლეგი კი არ არის, არამედ ზეშთაგონებულია“ („მენონი“) (1,193).

„სული ყოვლისმცოდნეა... ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1,135).

გარდასხეულების მოძღვრება თავდაპირველად გავრცელებული იყო ინდოეთში. მეოცე საუკუნის მოაზროვნე ვივეკანანდა ამბობდა: მე შანკარნას (VIII-IX სს. ფილოსოფოსის) გარდასხეულება ვარო.

ფილოსოფია, პლატონისეული მოსაზრებით, სიკვდილისათვის მზადებაა, ე.ი. მას ვვალევა, იმდენად სრულყოფილი სული, რომ იგი სამუდამოდ დარჩეს იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაბრუნებას“ (2,110).

ქართულ ლიტერატურაში გარდასახელების თეორიას იზიარებდნენ ვასილ ბარნოვი, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჭილაძე, ნიკო სამადაშვილი.

გარდასახელების და მოგონების თეორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკელი პოეტის ედგარ პოს შემოქმედებაში.

მოთხრობაში „მორელა“ საუბარია „სულების გადასახლების პითაგორისეულ თეორიაზე“ (3, 81-86).

„ელეონორაში“ ხაზგასმით არის ნათქვამი: „ჩემი არსებობის მეორე, უდიდესი ხანის ხსოვნა... უნდა დაიჭეროთ მონათხრობი ჩემი ადრეული ყოფიერების შესახებ“ (3,75).

„მირიადი წლების ცნობიერებით, სიბილას თვალებით“ გამორჩეულია კაპიტანი მოთხრობაში „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“ (3,43-57).

„სიცოცხლის პირველი წლებისა და ადრეული ყოფიერების“ შესახებ არის საუბარი „პაემანში“ (3,61-73).

„მორელაში“ ნათქვამია: „ფიხტეს დაუოკებელი პანთეონი, სახეცვლილი სულების გადასახლება პითაგორელებისა და უფრო მეტად შელინგის მიერ აგრე საგულდაგულოდ შესწავლილი იგივეობის თეორია“... (3,81-86).

„ხილვებზე, მოგონებებზე, მესხიერების ჩრდილებზე“ საუბარი მოთხრობაში „მოთხრებლი და ქანქარა“ (3,102-117).

გალაკტიონი კოსმიური მასშტაბების პოეტი იყო, განსაკუთრებული ხედვის, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის უნარით მომადლებული: „...მინდა დავინახო ქვეყნის ყველა პოლუსები. ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, ათას ცხრაას ოცდასამ წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!“ (ეს იყო ოქტომბრის დამღევს) (4, 333-334).

საუკუნეებში მავალი პოეტის სული „უზენაესი ცეცხლის“ მადლით იყო გაალებული, ცეცხლი კი საღვთო სახელია: „...საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა... დადაფნულ გზაზე მიდიოდი, ვით კვისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“ (მგლოვიარე სერაფიმები) (5,196).

გალაკტიონის ქნარი „მარადის ცეცხლის“ (ღმერთის) საგალობელი იყო (პოეტს) (6,231).

„მსოფლიო გლობუსს საკულეში თამამად ვიდევ“, აცხადებდა პოეტი და ეს პრეტენზია გასაძირკვლება ობიექტურ მონაცემებს.

გალაკტიონი საუბრობს ძვირფას მოგონებაზე (7,64), „მოგონების ნეტარებაზე“ (შეხვედრა) (5,13), „პირქუში ჟამის ხსოვნაზე“ (მუხა) (5,203). წინანდელ, „დიდი ხნის წინათ“ განცდილზე“ (ვერხვები 15), „პირველ, მეორე სიკვდილზე“ (ქალის ქანდაკება) (5, 138), „სხვადასხვა მხრიდან“ მოვლენილ „მოგონებათ შადრევანზე“ (დგას ხეივანი სახლის წინ) (5, 187) „მოგონებათა სიხარულზე და უხვ გრძნობაზე“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები) (5,223), ბეთხოვენთან შეხვედრაზე (მეცხრე სიმფონია) (5, 506), შოთა რუსთაველთან ნაცნობობაზე (თენდება, გათენდა) (5,515), „მოგონებათა თოვაზე“, (მოგონებათა თოვის) (5,510) „მოგონებები მოგზაურია ლამაზი ნავის“ (გადამწვანებულ მწვერვალებიდან).

პოემაში „მშვიდობის წიგნი“ „პოეტი იგონებს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნას, პირველ სახეებს, „ქვეყნის შექმნის დიდ წამს“: „...იყო ამ ქვეყნად ხილვა სხვა არის“, „ყველაფრის მოქმელი, მომგონებელი არის ეს ველი, გზა ძველისძველი“ (5, 158-159).

ეს „ველი“ საინფორმაციო ველია, სადაც ყველაფერი ინახება და რომელშიც შესვლა ხელენიფება გენიოს პოეტს.

რეინკარნაციის თეორიაა გაზიარებულია გალაკტიონის შემდეგ ლექსებში: „მგლოვიარე სერაფიმები, მთვარის ნაამბობიდან, ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი, ძველ დღეებზე, ნიავი, ია, ნარგიზი“.

გალაკტიონი ზედმიწევნით იცნობდა იოგების ფილოსოფიას, ორფეიმს, პითაგორას მოძღვრებას, ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას.

ადამიანი მრავალგზის იბადება დედამიწაზე ახალი სხეულებრივი სახითა და ახალი ამოცანით. ბედის ბორბალი აიძულებს მას, ყოველი ახალი გარდასახელების ტვირთი ატაროს მანამ, სანამ მისი სული ბოლომდე არ განინმინდება და სრულყოფილი არ გახდება.

სიკვდილი „დიადი გადასასვლელია“, იგი გაგებულია, როგორც ნაბიჯი უფრო სრულყოფილი სულიერი არსებობისკენ.

არსებობს მოვლენები, რომლებიც მხოლოდ სულთა გარდასხეულებით აიხნება. ადამიანებს მემკვიდრეობით აქვთ წარსული ცხოვრების, წინაპრების კვალი. ამ წინაპრების მესხიერება კოდირებულია ჩვენს გენებში. ჩვენ ვღებულობთ სხვათა მესხიერებას მემკვიდრეობით და ამის გამო ვიცით ბევრი რამ, რაც არ გვისწავლია.

რუდოლფ შტაინერის მიხედვით, სიცოცხლე დედამიწაზე შემეცნებისთვის მიუწვდომელია და ამდენადვე გაუგებარი რჩება სიკვდილიც, რომლის წვდომაც მხოლოდ ზეგრძობად სფეროებში ხარციელდება.

გარდასხეულების თეორია გაზიარებულია ინდურ რელიგიასა და ფილოსოფიაში, სპარსულ პოეზიაში, დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, დიდი ამერიკული პოეტის უოტ უიტმენის „ბალახის ფოთლებში“, ფრანგულ პოეზიაში.

ბლოკი აცხადებდა: „ჩავეკონები წარსულ დროებას, მახსოვს ნაცნობი ქვეყნის მირაჟი. კი, ჩვენ ვცოცხლობდით, მაგრამ სხვა მხარეს წავედით, ახლა აღარ ვბერდებით, მე მახსოვს, როგორ დამასამარეს და მომყარეს შავი ბელტები“ (ბოდვა) (8, 205-206).

გალაკტიონი აცხადებდა: „საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა“ (მგლოვიარე სერაფიმები) (4,87).

„მოვიარე მინის კალთა, თან დამდევდა ბედისწერა ჩემთა უგზო ხეტიალთა“, გვამცნობდა „ათასის მხედველობის“, „ასი ათასის სმენის“ უნარით მომადლებული პოეტი.

ის იყო მარადიული მგზავრი, ქვეყნიერების, ზესკნელ-ქვესკნელის მომვლელი, ნათელხილვის და ნათელსმენის ფენომენებით გამორჩეული და გამაოგნებელი იყო მისი განაცხადი: „მე მესმის წყნარი შრაილით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“ (ვაგნერი).

ლექსში „მთვარის ნაამბობიდან“ რუსთაველის „ნაცნობობაზე“ კეთდება აქცენტი: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიაში“ (5,452).

ანალოგიური შინაარსის შემცველია შემდეგი ფრაზაც: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“ (თენდება, გათენდა) (6,515).

გვახსენდება ნოდარ დუმბაძის განაცხადი: „გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“.

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი... ჟრუანტელი დაგივლის, როგორც კი ცხრა წლის რუსთაველს წარმოიდგენ.“

„მას მართლა ახსოვდა რუსთაველი, რადგან იყო ყოველთვის – რუსთაველამდე და მის მერეც, ისევე, როგორც რუსთაველი იყო ყოველთვის, როგორც თანამდევი სული ქართველის – როგორც აკაკი იყო ყოველთვის.“

„რუსთველი, აკაკი, გალაკტიონი! – აი, ქართული პოეტური სულის შეუცვლელი ტრიადა!“ – გვამცნობს საყოველთაოდ ცნობილი პოეტი ტარიელ ჭანტურია წერილში „ალქიმიკოსიც, ოქროს მაძიებელიც“ (10,141-143).

გალაკტიონი ხედავდა მარადიულ სულთა სავანეს: „...მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუნის სიბმრად მინახავს მხარე, სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზეა და სინარნარე“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (5,28).

„ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“, აცხადებდა ქვეყნის ოთხივე განედის მომვლელი პოეტი და ამ მოგზაურობაში დაგროვილი სიბრძნე-გამოცდილების გათავისებაა მისი პოეტური ინტეგრალები: „აგერ მზის ამომთოვრება, მაღლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათას წელს გადაამრავლა... და მესმის ხმა იდუმალი: წამოდექ, ძეო დილისა... ო, ძეო დილის, ან განვლის გრძნობა სიბნელის ნაფლეთის, აღმოსავლეთის, დასავლის, ჩრდილოეთის და სამხრეთის“ (...ნიაჟი, ია, ნარგიზი) (4,78).

„საუკუნეთა შორი გრეხილის“ საიდუმლოებებში ჩაღრმავებულ პოეტს სიჩუმის ხმაც ესმოდა: „ვისმენ მიდამოს თავგადასავალს, სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს“ (ქარიშხლის შემდეგ) (4, 128).

„ლურჯა ცხენების“ ავტორის შემოქმედებაში საუბარია მოგონების ნეტარებაზე, მოგონების თეთრ ნაკადებზე, მოგონებათ ხომალდზე, მოგონებათ ცაზე, სიმაღლეებისკენ მიმსწრაფ ფიქრის ოქროს ნავეებზე.

მოგონებები „ლამაზი ნავის მოგზაურებია“ (გადამწვანებულ მწვერვალებისკენ“) (9,304).

„...ჩემს ანგელოზ დას – ჩემს მოგონებას – პოეზიას“, წერს ლექსში „ფარდების შრიალი“.

„გარდაცვალების ხელოვნება, გარდაცვალების მეცნიერება, გარდაცვალებისთვის მზადება“ – ასე იწოდებიან სიკვდილის პრობლემისთვის მიძღვნილი შრომები.

გალაკტიონმა გადასწია სიკვდილის ფარდა და ჩაგვახედა მიღმური სამყაროს საიდუმლოებებში, მოგვასმენინა „რაღაც არაქაური“, „სუნთქვა არაქაური“.

სულის მარადიულობას, მიღმური სამყაროს განჭვრეტას ეძღვნება მისი ლექსი „ნუ დაღონდები!“

არსებობა სულის მარადიული მოგზაურობაა „გევით თუ სამარეში“.

გარდასხეულების თეორია, დედემინაზე სულის მრავალგზის მოვლინების თეორიაა გაზიარებული სტრიქონებში, „...მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ, ოცნება ნუ გშორდება, ყოველივე იგი ისევ ისე განმეორდება“.

ქართველი პოეტი საუბრობს „მოგონებით შადრევანზე, მოგონებათ თეთრ ნაკადებზე, მოგონებათა გამაზე, ლურჯ მოგონებაზე“.

„ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“, გვაუწყებს ლექსი „ფარულ ტკივილებით“ (5, 181).

შთაგონების მოვლინებას გვამცნობს „ეს მშობლიური ქარია“: „...ძილი მეგონება, უცებ ქაოსიდან მთვარე ამოზიდა ლურჯი მოგონება“ (6,174).

მხოლოდ გარდასხეულების თეორიით თუ აიხსნება ედგარ პოს საუბარი „ადრეულ ყოფიერებაზე“, „მირიადი წლების ცნობიერებაზე“. გალაკტიონის მზერა „საუკუნეთა სათვალავში“, რუსთაველთან ნაცნობობა, მათი ჭვრეტა ბესკნელ-ქვესკნელის საიდუმლოებებში, რაც მხოლოდ ერთეულთა, რჩეულთა ხვედრია და ასეთები იყვნენ ამერიკელი და ქართველი პოეტი.

## დამონმებანი

1. პლატონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბ., 1974
2. უილიამ გათრი, „პლატონი“, ბერძენი ფილოსოფოსები, თარგმანი გ. ნოდისასი, წინასიტყვაობა და რედაქცია გ. თევზაძის, თბ., 1983
3. ედგარ პო, მოთხრობები, ზაურ კილაძის თარგმანი, „პალიტრა L“, თბ., 2011
4. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1993
5. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, ლექსები, პუბლიცისტიკა, მიმონერა, „განათლება“, თბ., 1989
7. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1993
8. მარადი დღე, თბ., 1984
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
10. გალაკტიონოლოგია, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი, თბ., 2003





ნანა სხირტლაძე  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
a-mail: nana.skhirtladze.2@iliauni.edu.ge

## წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების სანყისი ასაკი ქართულენოვან ბავშვებში



სტატიის მიზანია ქართულენოვან ბავშვებში წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების სანყისი ასაკის დადგენა. კვლევაში გამოყოფილია შემდეგი ასაკობრივი კატეგორიები: 18-30 თვემდე (1.5-2.5 წლამდე), 30-42 თვემდე (2.5-3.5 წლამდე) და 42-54 თვემდე (3.5-4.5 წლამდე). საკვლევი საკითხია: რომელია სანყისი ასაკი წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენებისთვის და რამდენად ხშირად გამოიყენებენ ამ ნიშანს კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფებში. თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში გამოყენებულ იქნა კითხვების დასმის მეთოდი.

კვლევაში სულ ჩართული იყო 36 ბავშვი, აქედან 16 (44.4%) იყო გოგონა, ხოლო 20 (55.6 %) - ბიჭი. მათი გადანაწილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირია: 18-30 თვემდე - 9 ბავშვი, 30-42 თვემდე - 13 ბავშვი და 42-54 თვემდე - 14 ბავშვი. მათი ენობრივი განვითარების შესამოწმებლად მშობელს დავუსვით ენის განვითარებასთან დაკავშირებული კითხვები, რის შედეგადაც ბავშვის ენობრივი დარღვევა გამოირიცხა.

რაოდენობრივი, აღწერითი კვლევის განხორციელებისათვის ბავშვები გამოკითხულ იქნენ საბავშვო ბაღის ფსიქოლოგის დახმარებით, თითოეული ბავშვი გამოიკითხა მისი ჩართულობითა და თანდასწრებით, კვლევა მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში, ერთი ბავშვის გამოკითხვისთვის დაახლოებით საჭირო იყო მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 15 წუთი. მათ უნდა ეპასუხათ 10 კითხვისთვის (მაგალითად: „წარმოიდგინე, რომ დილას მოხვედი ბაღში ადრე, შენი მეგობარი შენს შემდეგ შემოვიდა. როგორ დაუძახებ მას ისე, რომ სიტყვა „მეგობარი“ გამოიყენო?“). ყველა ბავშვის პასუხი ჩაინერა წინასწარ შედგენილ ცხრილში და შემდეგ დამუშავდა.

აღწერითი კვლევის შედეგად, ნათელია, რომ პირველი ასაკობრივი კატეგორიიდან 9 ბავშვიდან 9-ვე იშვიათად გამოიყენებს წოდებითი ბრუნვის ნიშანს, პატარები 10 კითხვიდან მაქსიმუმ 2-3 შემთხვევაში გამოიყენებენ სწორად წოდებითი ბრუნვის ნიშანს (მხოლოდ ო ნიშანს), რაც მიანიშნებს იმაზე, რომ წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება

ძალზედ იშვიათად და გაუაზრებლად ხდება, რაც განპირობებულია გრამატიკული უნარების განუვითარებლობით.

მეორე ასაკობრივ კატეგორიაში უკვე ჩანს მკაფიო განსხვავება პირველ ასაკობრივ კატეგორიასთან შედარებით. 13 ბავშვიდან 9 (69%) ყოველთვის სწორად იყენებს წოდებითი ბრუნვის ო და ვ ნიშნებს. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ენობრივი განვითარების დონე საკმაოდ მაღალია წინა ასაკობრივ კატეგორიასთან შედარებით. მეორე ასაკობრივი კატეგორიის ბავშვები შედარებით უკეთ ფლობენ ენობრივ კომპეტენციას და მეტი სიზუსტით გამოხატავენ წოდებითი ბრუნვის ნიშნებს.

მესამე ასაკობრივი კატეგორიის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება საკმაოდ მაღალია. 14 ბავშვიდან 11 (78%) ყოველთვის სწორად იყენებს წოდებითი ბრუნვის ნიშანს. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ მესამე ასაკობრივ კატეგორიაში ქართულენოვანი ბავშვების გრამატიკული და ენობრივი უნარები მაღალ დონეზე განვითარებული.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება ქართულენოვან ბავშვებში თანდათან, ეტაპობრივად შემოდის, ვინაიდან ასაკის მატების პროპორციულად იზრდება წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების სიხშირეც. საწყისი ასაკი კი არის 18-დან 30 თვემდე ასაკობრივ კატეგორიაში ნაკლები სიხშირით, თუმცა ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების რაოდენობაც ბავშვებში. კვლევის შედეგად კონკრეტული დარღვევა არ გამოვლენილა, ბავშვები იყენებდნენ მხოლოდ სახელობით ან წოდებით ბრუნვას, სხვათა სიტყვის ო-ს დაფიქსირება არ გამოვლენილა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მინდაძე ნ., ბავშვის მიერ ქართულის, როგორც მშობლიური ენის დაუფლების საიდუმლოებები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2017.
2. უზნაძე დ., ბავშვთა ფსიქოლოგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2005.
3. ავალიშვილი ა., ბავშვთა მეტყველების განვითარება დაბადებიდან სამ წლამდე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1961.
4. Tuite K., Imedadze N., The acquisition of Georgian, University of Tokyo, Japan, 1989.

რეზიუმე

სტატიის მიზანია ქართულენოვან ბავშვებში წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების სანყისი ასაკის დადგენა. კვლევაში გამოყოფილია შემდეგი ასაკობრივი კატეგორიები: I) 18-30 თვემდე; II) 30-42 თვემდე და III) 42-54 თვემდე. საკვლევი საკითხია: რომელია სანყისი ასაკი წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენებისთვის და რამდენად ხშირად გამოიყენებენ ამ ნიშანს კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფებში. თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში გამოყენებულ იქნა კითხვების დასმის მეთოდი.

კვლევაში სულ ჩართული იყო 36 ბავშვი. აღწერითი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება ქართულენოვან ბავშვებში თანდათან, ეტაპობრივად შემოდის, ვინაიდან ასაკის მატების პროპორციულად იზრდება წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების სიხშირეც. სანყისი ასაკი კი არის 18-დან 30 თვემდე ასაკობრივ კატეგორიაში ნაკლები სიხშირით, თუმცა ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება წოდებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების რაოდენობაც ბავშვებში. კვლევის შედეგად კონკრეტული დარღვევა არ გამოვლენილა, ბავშვები იყენებდნენ მხოლოდ სახელობით ან წოდებით ბრუნვას.

Resume

The aim of the article is to determine the initial age of the use of the vocative case in Georgian-speaking children. We have divided tree age categories: I) 18-30 months; II) 30-42 months and III) 42-54 months. The research question is: what is the initial age for the use of the vocative case and how often this sign is used in specific age groups. We used the method of asking questions.

36 children were examined. As a result of descriptive research, the vocative case is used more frequently in Georgian-speaking children with increasing age. The age of initial is less frequent in the 18 to 30 month age group, although the frequency of vocative case use increases with age. As a result of the research, no specific violation was revealed. Children used only nominative or vocative cases.



მანანა კვატაია

## ევროპული ლიტერატურის კვლევის ისტორიიდან

კონცეპტუალურ ნიგნში “ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ” (1911) კიტა აბაშიძე აღნიშნავს, რომ ჩვენი მწერლობა “კვალდაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას”. მისი შეფასებით, მე-19 საუკუნე როგორც ევროპაში, ისე საქართველოში რომანტიზმით დაინყო და დასრულდა რეალიზმით, რომელიც სამოცდაათიან წლებში ნატურალიზმად გადაგვარდა. შემდეგ პერიოდში ნეორომანტიზმი და სიმბოლიზმი გამეფდა. მკვლევარი ეთანხმება ფრანგი თეორეტიკოსის, ფერდინანდ ბრუნეტიერის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არსებობს საერთო — “ევროპის ლიტერატურა”, რაც ამა თუ იმ ეპოქის იდეალების, განწყობილებების, სტილის ერთიანობით არის განპირობებული და, კიტა აბაშიძის აზრით, ქართული მწერლობაც ამ უნივერსალური პროცესის ნაწილია.

საერთო მხატვრული დისკურსის აღმოცენებას მკვლევარი სხვადასხვა ქვეყანაში მსგავს გარემოებათა არსებობას უკავშირებს. ნაციონალური გაერთიანების ეპოქად სახელდებულ მონარქიულ წეს-წყობილებას ის დრამატული ხელოვნების აღორძინების ხანად მიიჩნევს, სალირიკო, კერძოდ, რომანტიკული, პოეზიის ფესვებს ინდივიდუალიზმის ეპოქაში ხედავს, “როცა პოლიტიკური წყობილება პირად, ინდივიდუალურ თავისუფლებას უწყობს ხელს” (აბაშიძე 1971: 105). რეალიზმის მიმდევრები კი, მისი დაკვირვებით, ადამიანის უღონობას, ცხოვრების კანონის უღმობელობას აღიარებენ.

საზოგადოების მენტალური განახლების, ახალი პარადიგმებისა და კონცეპტების დამკვიდრებისათვის კიტა აბაშიძე განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ევროპული მწერლობისა და ფილოსოფიის საუკეთესო ნიმუშების თარგმნას და ტირაჟირებას, რასაც, მისი აზრით, იმ დროის საქართველოში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. სტატიაში “პოლ ბურჟე” (ჟ. “მომბე”, 1894, 8-9) თეორეტიკოსი შენიშნავდა: ეს “დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.. ჩვენი ლიტერატურა ჯერ ძლიერ ღარიბია, რომ მარტო ორიგინალური თხზულებები ვიკმართ ჩვენის გონების საზრდო-საკვებად” (აბაშიძე: 1971: 117). ასეთ ვითარებაში მკვლევარმა ევროპული ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესწავლისა და ინტერპრეტირების რთული მისია თავად იკისრა. ლიტერატურული პროცესის კარდინალური საკითხების კვლევა კიტა აბაშიძემ 1890-იანი წლებიდან დაიწყო.

იმდროინდელ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში თეორეტიკოსი ორ მკაფიო მიმართულებას გამოყოფს: პირველი, რომელიც ყურადღებას უთმობს მარადიულ (“საუკუნო”) მეტაფიზიკურ და მორალურ კითხვებს (მათი მეთაურები: პოეტი გიუო და ფილოსოფოსი ფულიე), მეორე — “მორალური და ფილოსოფიური კითხვების გადანყვებლას ელის სარწმუნოებისაგან” (ფილოსოფოსი სეკრეტანი და რომანისტი ბურჟე). თავის თანამედროვე მწერალთაგან აბაშიძე გამოყოფს კრიტიკოსს და რომანისტ პოლ ბურჟეს, რომელიც, მისი თქმით, “აზრის მხრით.. მალლა დგას თვით ზოლაზეც და დოდეზეც”.

პოლ ბურჟე (Paul Burget, 1852-1935) XIX საუკუნის ბოლო ათწლეულის პოპულარული მწერალი გახლდათ. იგი მატერიალისტურ მსოფლალქმას კათოლიციზმისა და მონარქიზმის პოზიციებიდან ებრძოდა. ცნობილ რომანში “მონაფე” (1889) ავტორი ახალგაზრდებს მოუწოდებდა, ტრადიციულ კათოლიკურ მორალს დაბრუნებოდნენ. პოზიტივიზმის პრინციპები მის სხვა ტექსტებშიც იკვეთება.

ფრანგი მწერლის შემოქმედებას კიტა აბაშიძე ორიგინალის ენაზე გაეცნო და სათანადოდ შეაფასა იგი. მისი მოსაზრებით, რომანში “საშინელი გამოცანა” გადმოცემულია არისტოკრატიული ოჯახიდან წარმოშობილი ყმანვილი კაცის ისტორია, ღალატის ანატომია და წარმოდგენილია “მთლად ცხოვრება”, რომელიც თავადვე გახლავთ “საშინელი გამოცანა”. რომანი “ქალის გული” ამბავი გახლავთ ახალგაზრდა ქვრივისა, რომელსაც ათ წელიწადია, ერთი საყვარელი ჰყავს. მკვლევარი ფიქრობს, რომ ბურჟეს “ანდრე კორნელი” შექსპირის ჰამლეტის გამეორებაა, “მხოლოდ ანდრე უფრო ნაკლები ფილოსოფოსია”. აბაშიძის წერილში “პოლ ბურჟე” გაანალიზებულია ამავე ავტორის რომანი “ცოდვა სიყვარულისა”: გადმოცემულია მისი ფაბულა, შეფასებულია გმირების ქმედების მართებულობა და ა.შ. რომანს, რომლის სათაურია “სიცრუე”, კიტა აბაშიძე

ორი ლიტერატორის ისტორიას უნოდებს, “მონაფის” არსი მის წერილში ამგვარადაა გადმოცემული: გმირი მხეცური სიყვარულით არის შეპყრობილი და კლავს ანგელოზის მსგავს ქალს.

ქართველი თეორეტიკოსი საფუძვლიანად განიხილავს საზღვარგარეთის ლიტერატურის თარგმნის პრობლემებს და ხაზს უსვამს მთარგმნელთა უნუგემო ხვედრს: “საზოგადოდ, მთარგმნელები მიჩნეულნი არიან შავ მუშად და, რასაკვირველია, მოკლებულნი არიან ყოველგვარ ლიტერატურულ პატივს” (აბაშიძე 1971: 672). მკვლევარი შენატრის იმ დროს, როდესაც ყოველ საზოგადო საქმეს მონივნებით ეკიდებოდნენ და რუდუნებით აქართულებდნენ სასულიერო წიგნებს: სახარებას, დავითნს – ჩვენი ენის “დღემდეც თითქმის ერთ-ერთი დაუშრეტელი წყაროს” და საუნჯეს.

მსოფლიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშების ქართულად თარგმნის აუცილებლობაზე მსჯელობისას კიტა აბაშიძე აღნიშნავს: “ისეთი დიდებული ნაწარმოებებიც კი არა გვაქვს თარგმნილი, რომლის უქონლობაც უდრის ლიტერატურის უქონლობას.. არა გვაქვს გეტეს “ფაუსტი”, შილერის დრამები (ლექსად), დანტე, ბაირონი, ჰეინე, ჰიუგო, მიუსსე, ბალზაკი, ჟორჟ ზანდი, დიკენსი, თეკერეი, ელიოტის რომანები” (აბაშიძე 1971: 673.).

ქართველ მთარგმნელთაგან კიტა აბაშიძე მაღალ შეფასებას აძლევს გრიგოლ ყიფშიძეს, რომელსაც, მისი თქმით, “მშვენივრად აქვს ქართული ენა შესწავლილი”. მკვლევარს მოსწონს ყიფშიძის მიერ ნათარგმნი პოლ ბურჟეს რომანი “ცოდვა სიყვარულისა”, თუმცა თარგმანის ნაკლებზეც მსჯელობს და შენიშნავს: “ჩვენ მომაკვდინებელ ცოდვად მიგვაჩნია რომელიმე მწერლის ნაწერებიდან რისამე გამოკლება, თუ გინდ სრულიად უმნიშვნელო სტრიქონებისა” (აბაშიძე 1971: 676). კიტა აბაშიძე ყიფშიძეს პოლ ბურჟეს სხვა რომანების თარგმნასაც ურჩევს.

საფრანგეთის ახალგაზრდა მწერალთა შორის მკვლევარი მოიხსენიებს მარსელ პრევოს, პოლ მარგერიტსა და ჟან რონის. 1895 წელს “ივერიაში” (№ 98) კიტა აბაშიძეს დაუბეჭდავს წერილი “მარსელ პრევოს – “Les demi-vierges”, რომელმაც, ავტორის თქმით, “მთელი განათლებული ქვეყანა აალაპარაკა”. მწერალი და დრამატურგი ეჟენ მარსელ პრევო (Marcel Prevost, 1862-1941) თავის თხზულებებში მის თანამედროვეთა ბოჰემურ ცხოვრებას აღწერდა და აკრიტიკებდა. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილში კიტა აბაშიძე მიუთითებს, რომ ავტორი მშვენივრად ახასიათებს მისი დროის გახრწნილ საზოგადოებას, თუმცა ხსნის უხერხულ გზებს გვიჩვენებს.

1895 წელს აღესრულა ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (შვილი) (Alexander Dumas, fils, 1824-1895). შემოქმედის ანიჭი განსაკუთრებით მის ფსიქოლოგიურ დრამებში გამოვლინდა, რომლებიც ოჯახისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მტივიანულ საკითხებს ეხებოდა. თბილისში მწერლის პიესა წარმოუდგენიათ, რომელსაც ეძღვნება კიტა აბაშიძის სტატია “მარგარიტა გოტიე”, დრამა აღ. დიუმა-შვილისა” (“ივერია”, 1895, №№ 62, 63). ავტორის შეფასებით, “ეს დიდებული დრამა, ერთის მხრით, თაყვანსა სცემს და აღმერთებს ადამიანის სულის სიმშვენიერეს.. მეორეს მხრით, კრიტიკაა მთელი ეხლანდელი გათახსირებული და უგრძობელი საზოგადოების ცხოვრებისა; ბრალმდებელი ოქმია” (აბაშიძე 1971: 689). “მარგარიტა გოტიეს” კიტა აბაშიძე ვიქტორ ჰიუგოს “მარიონ დე ლორუს” ადარებს და აღნიშნავს, რომ პირველ მათგანს რომანტიკულ, მეორეს რეალურ დრამად მიიჩნევენ.

თეორეტიკოსი სტატისას უძღვნის გერმანელ დრამატურგს, ნობელის პრემიის ლაურეატს (1912) გერჰარდ ჰაუპტმანს (1862-1946) — “დიადი ნიჭის პატრონს”, რომელსაც მთელს ევროპაში სახელი აქვს განთქმული. წერილი “ჰაუპტმანის ახალი პიესის გამო” გაზეთ “ივერიაში” 1906 წელს დაიბეჭდა (№ 7). აქ ჰაუპტმანი ბელგიელ დრამატურგ მეტერლინკთან ერთად ახალი დრამის მეთაურად არის სახელდებული, დრამისა, რომლის უმთავრესი სიახლე მუსიკის როლის გაძლიერებაა: “თვით მონოლოგები, სიტყვები, სახელები აღსავსეა მუსიკითა და რითმით” (აბაშიძე 1971: 699). ამავე დროს, ახალი დრამა ცხოვრების ბრძოლის სიღრმისეული დინებების ამსახველია. წერილში აბაშიძე განიხილავს ჰაუპტმანის დრამას “პიპა კი ცეკვავს”, რომელიც იავორსკის დასს არტისტულ თეატრში წარმოუდგენია: “იგი არის რთული, მშვენიერი და საიდუმლოებით მოცული, როგორც თვით ცხოვრება” (აბაშიძე 1971: 706), — დაასკვნის ავტორი.

სტატია “აისედორა დუნკანის გასტროლების გამო” (გაზ. “ამირანი”, 1908, 58) მიუთითებს ღრმა ცვლილებებზე, თეატრალურ სამყაროში რომ ხდება: “რადიკალურად შეიცვალა დრამატული ხელოვნების გარეგანი გამოსახულება, ინტერპრეტაცია, ახსნა დრამატული ნაწარმოებისა არტის-

ტთა თამაშით”, — ნერს აბაშიძე და გენიოსს უწოდებს აისედორა დუნკანს, რომელიც მოსკოვისა და პეტერბურგის შემდეგ თბილისსაც სწვევია. აბაშიძის თქმით, განთქმულმა მოცეკვავემ სათე-  
ატრო ხელოვნებაში ახალი ეპოქა შექმნა.

ნერილი “კამილ ლემონიეს ტრაგედია “ხელები” ქართულ სცენაზე” (გაზ. “ფასკუნჯი”, 1909, 3) ეძღვნება ბელგიელ მწერალს, რომანისტსა და კრიტიკოსს კამილ ლემონიეს (Camille Lemonnier, 1844-1913). იგი გახლდათ ფრანგულენოვანი ნატურალიზმის წარმომადგენელი, 1880-1900-იანი წლების რეალისტი მწერალი. კიტა აბაშიძის შეფასებით, საქართველოში წარმოდგენილი ლემონი-  
ეს პიესა “ხელები” ხელოვნურად არის დანერილი. შაბლონური თემა — კაცის მოკვლით გამოწვე-  
ული სინდისის ქენჯნა, მისი აზრით, მხატვრული ხორცშესხმისას მეტ ოსტატობას ითხოვს.

ვრცელი ნერილი “საფრანგეთის თანამედროვე დრამატიული ლიტერატურა” გაზეთ “სახალ-  
ხო გაზეთში” 1911 წელს დაიბეჭდა (№№ 372-377). ავტორის შეფასებით, “საფრანგეთის სიტყვა-  
კაზმული ლიტერატურა მოწინავე აზრების მქადაგებელია”: სენით შეპყრობილ საზოგადოებას ის  
წყლულსა და იარას თვალწინ უყენებს და მისი წამლობის აუცილებლობაში არწმუნებს, თან ცდი-  
ლობს, მომავლის გზაც განჭვრიტოს. ამ რიგის შემოქმედთა შორის ნერილის ავტორი ასახელებს  
მოპასანს, ანატოლ ფრანსს, ბურჟეს, მიროს, რემი-დე გურანს, პრევეს, პოლ მარგერიტს და  
სხვ. 1900-1910-იანი წლების საფრანგეთის დრამატული მწერლობას მკვლევარი ნაყოფიერ პერი-  
ოდად მიიჩნევს. მისი ცნობით, 1906-1910 წლებში 150 დრამაზე მეტი გამოვიდა და ისინი პარი-  
ზის უპირველეს თეატრებში წარმოადგინეს.

ნერილში მოხმობილია ანატოლ ფრანსის მოსაზრება: რასინისა და კორნელის შემდეგ ფრან-  
გულ დრამას თვალსაჩინო არაფერი შეუქმნიაო. თუმცა აბაშიძე ხაზს უსვამს ფრანგ დრამატურ-  
გთა წერის ტექნიკის მაღალ დონეს და ახალ შემოქმედთა შორის ასახელებს: ალ. დიუმას  
(შვილს), მის ნიჭიერ შეგირდს პოლ პერვიეს, როსტანს.

კიტა აბაშიძე ახასიათებს კრიტიკოსთაგან შედეგად შერაცხულ პოლ პერვიეს დრამას “მე-  
ჩირალდნეთა სირბილი”, რომლის სიმბოლური დედააზრი განმარტებულია, როგორც დედაშვილუ-  
რი სიყვარულის გამოხატულება ძველ საბერძნეთში (გამწკრივებული ხალხი ერთმანეთს ჩირალ-  
დანს გადასცემდა და ტაძარს გარს უვლიდა). კრიტიკოსის აზრით, სოციალური ხასიათისაა პოლ  
ბურჟეს დრამა “ბარიკადები”, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ბატონი და მუშა, წარმოდგენი-  
ლია ბურჟუაზიული კლასის გადაგვარება. “ტენდენციის” დრამას უწოდებს ავტორი ჰანრი ბატაი-  
ლის “უგუნურ ქალიშვილებს”. დრამატურგს მკვლევარი “გაბედულ ამორალისტს” უწოდებს, რო-  
მელიც გაბედულად იბრძვის დახვსებული ზნეობრიობის წინააღმდეგ. აბაშიძე დაწვრილებით არ  
განიხილავს ედ. როსტანის შემოქმედებას, თუმცა ამ ავტორსაც ჰაუპტმანთან და მეტერლინკთან  
ერთად ახალი დრამის მამამთავართა შორის მოიხსენიებს. კიტა აბაშიძე დასკვნის, რომ საფრან-  
გეთის დრამატულ მწერლობას “დღემდე პოლიტიკური როლი აქვს და სცენიდან იბრძვის ახალი  
აზრების დამკვიდრებისათვის” (აბაშიძე 1971: 757).

კონცეპტუალურ ნერილში “ცხოვრება და ხელოვნება” (გაზ. “მზე”, 1908, № 1) მკვლევარი  
რუსოსა და ვოლტერს საფრანგეთის რევოლუციის წინამორბედებს, ბაირონსა და სხვა რომანტი-  
კოსებს პიროვნების თავისუფლების მოსარჩლეებს უწოდებს. XX საუკუნის დასაწყისის გამორჩე-  
ნილ ევროპელ მწერლებს: დ, ანუნიციოს, მეტერლინკს, უაილდს, რუსული ლიტერატურის იმდრო-  
ინდელ წარმომადგენებს თეორეტიკოსი ახალი ცხოვრების მახარობლებად მიიჩნევს.

მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედების ანალიზისას კიტა აბაშიძე იყენებს და  
იმონებს მისი დროის ევროპელ ავტორთა თეორიულ ნაშრომებს, მათზე დაყრდნობით განმარტე-  
ბულია ძირითად ლიტერატურულ მიმდინარეობათა არსი, რომანტიზმისა და რეალიზმის მიმარ-  
თება, ამ მიმართულებათა ნიშნები, ფილოსოფიური საფუძვლები და ა.შ.

რომანტიზმს აბაშიძე “ინდივიდუალური ფილოსოფიის ღვიძლ შვილს” უწოდებს. რომანტი-  
კოსი ავტორის გაგებით, ადამიანი ცხოვრების მეფეა, ის ყოვლის შემძლეა. რეალიზმი და პოზი-  
ტივიზმი, პირიქით, აცხადებს, რომ ადამიანი სუსტი და უღონოა, ცხოვრების უღმობელი კანონის  
წინაშე იგი ყურმოჭრილი მონაა, უმნიშვნელო ჭია, “ჭიანჭველა”. რაც შეეხება ნეორომანტიზმს,  
საქართველოში მის მამამთავრად ალ. ყაზბეგი სახელდება, “სიმბოლიზმის საუკეთესო წარმომად-  
გენლად” — ვაჟა-ფშაველა.

კიტა აბაშიძის დეფინიციით, სიმბოლიზმი რეაქცია იყო გადაჭარბებული ნატურალიზმის წინააღმდეგ. “ნატურალიზმმა, ამ დამახინჯებულმა რეალიზმმა გამოიწვია თავისი უარმყოფელი მიმართულება – სიმბოლიზმი” (აბაშიძე 1970: 441). ამ მიმართულებაში მკვლევარი როგორც რომანტიზმის, ისე რეალიზმის ელემენტებს ხედავს. შესაბამისად, ევროპულ სიმბოლიზმში იგი ორ დიდ ნაკადს გამოყოფს: ნეორომანტიკულსა და ნეორეალისტურს. მკვლევარი ფიქრობს, რომ, თავის მხრივ, ორივე მიმართულებამ დაკარგული მნიშვნელობა აღუდგინა “ინდივიდუალიზმს, მწერლის პირადობას” და პირად შთაბეჭდილებას.

მკვლევარი მოიხმობს “სიმბოლიზმის სახარებად” სახელდებულ მორის მეტერლინკის “მშვიდთა საუნჯეს”, სადაც მითითებულია, რომ ხელოვანი ღვთაებრივი ძალით მოსილი არსებობს. სიმბოლიზმის აღმსარებელთათვის ყოველი ფაქტი თუ მოვლენა ერთგვარი ნიშანია, სიმბოლო ცხოვრების იდუმალებისა.

მეთოდი, რომელსაც კიტა აბაშიძე ლიტერატურულ მოვლენათა განხილვისას იყენებს, ფრანგი ლიტერატურის ისტორიკოსის, თეორეტიკოსისა და კრიტიკოსის ფერდინანდ ბრუნეტიერის ლიტერატურის განვითარების ევოლუციის თეორიას უკავშირდება. ამას თვით აბაშიძე მიუთითებს თავისი “ეტიუდების” წინასიტყვაობაში.

ფერდინანდ ბრუნეტიერი XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის საფრანგეთის აღიარებული თეორეტიკოსი გახლდათ. ის იყო ჟურნალ “Revue des Deux Mondes” (“ორი სამყაროს ჟურნალის”) თანამშრომელი და შემდეგ რედაქტორი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის პროფესორი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. ფრანგი მეცნიერის ნაშრომი “ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში” კიტა აბაშიძემ 1894-1895 წლებში ქართველ მკითხველს ჟურნალ “მოამბის” ფურცლებიდან გააცნო.

ფერდინანდ ბრუნეტიერს XIX საუკუნის მეცნიერული აზრის უდიდეს მონაპოვრად დარვინის ევოლუციური მოძღვრება მიაჩნდა. ლიტერატურის ევოლუციის თეორიის ზოგადი პრინციპები ფრანგმა მეცნიერმა 1890 წელს გადმოსცა ნაშრომში “გვართა ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში”. ეს წიგნი პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო ოთხტომიანი გამოკვლევისა, რომელშიც “კრიტიკოსი აპირებდა როგორც ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრების ევოლუციის განვითარების გზის ჩვენებას, ასევე, ნაირგვარ კრიტიკულ მეთოდთა დახასიათებას და შეფასებას, ლიტერატურის ისტორიის ევოლუციური მეთოდით შესწავლის მეცნიერულ დასაბუთებას” (აბაშიძე 1964: 140).


კიტა აბაშიძის თეორიული წერილებმა, რომლებიც ევროპის ლიტერატურულ პროცესს და მის ცალკეულ წარმომადგენლებს ეძღვნება, ჩვენში სათავე დაუდო საზღვარგარეთის მწერლობის სისტემურ კვლევას. ერუდირებული ქართველი ანალიტიკოსის შეფასებანი საკითხის სიღრმისეულ გააზრებას ემყარება და აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს.

**დამონშებული ლიტერატურა:**

1. აბაშიძე 1970: აბაშიძე კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970.
2. აბაშიძე 1971: აბაშიძე კ. ცხოვრება და ხელოვნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971.
3. აბაშიძე 1964: აბაშიძე გ. კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. ნაკვეთი 1. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964.



ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე



## წითელი პარასკევი!

დღე უაღრესად მნიშვნელოვანი და სამყაროს სანყისი!

დღე პირველი, კვირის სანყისისა!

მთელი კვირის ათვლის წერტილი და ყველაფრის სათავე სამყაროში!

ღმერთში შესვლა ხდება აქ!

პარასკევიდან პარასკევამდე, ანუ ხუთშაბათამდე იწყება შვიდი დღის ათვლა და ეს სწორი და უმთავრესი მიდგომაა, ზუსტად აქ ხდება მნიშვნელოვანი პროცესი და განვითარება რაც კაცობრიობაზე მუშაობს, ესაა ის უდიდესი ეტაპი შობიდან სიბერემდე, ანუ უნდა დაბრძენდეთო, როგორც ბერი უნდა გახდეთ მოქადაგეო!

ჯვარზე გაკვრა პარასკევის ათვლის წერტილია, აუცილებელი პროგრამა, ადამიანის სულიერი აღორძინებისათვის, როგორც კი ცნობიერი მიაღწევს გაცნობიერებას, მისთვის უკვე აღარ იარსებებს ტანჯვა!

ადამიანში აღარ იქნება იმ მძიმე პროგრამის განცდა, რაც მის ცხოვრებაში გადალახვის ეტაპს შეეხება!

ანუ, ეს დღე ყველასაგან გამორჩეული და ადამიანის სულიერი გამოღვიძების განმსაზღვრელია.

გამარტივებული მეთოდი! ანუ აზროვნების მწვერვალიდან გამოვლენილი მიდგომით სწრაფად გადალახვა ხდება ამ დროს!

შაბათი!

ორ-შაბათი!

სამ-შაბათი!

ოთხ- შაბათი!

ხუთ- შაბათი!

რა არის ეს შ ა ბ ა თ ი? შაბ –ათი?

დიდი ხითშაბათი! ზიარება! საიდუმლო სერობა! უხრწნელი სისხლი და ხორცი?!

მა –ცხოვ –არი!

საიდუმლოაო ს –ერო –ბა!

ფეხის ბანვა?! აქ სიცოცხლის გახანგრძლივება ხდება, სიცოცხლე გრძელდება ჩვენში!

სიკვდილისა სიკვდილითა დამორუნგველი, ანუ სკობ ყოველივე უარყოფითს რაც კი შენშია.

შემდეგ უკვე კვერცხი!

წითელი კვერცხი! მიზანი!

ზუსტად პარასკევს ხდება აქ ფერთა ცვლილება, გამორჩეულობის ნიშანი.



წითელი კვერცხობა არის მიზანი, მიღწევა, გადასვლა ახალ საფეხურზე, ღვთიურ ენერჯიებში გასვლა, ეს სამყაროსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია, როგორც ადამიანისათვის ისევე სამყარო ზრდას განიცდის, მათი ურთიერთკავშირი იზრდება და ყალიბდება აზროვნებაში.

სწრაფი აზროვნებით იდება შედეგი!  
კვერცხი არ უნდა გალაყდეს!  
აუცილებელი ფორმა, მიზნის მიღწევა!

რატომ უჭირავს სიტყვას „ჭეშმარიტებას“ მთავარი ადგილი?! ე.ი. აქ რაღაც არის საძებარი, მიგნებას ითხოვს და ეს მიგნება დევს ზუსტად აქ, – კვირის დღეებში.

ეს განსაკუთრებული შეგრძნებების ადამიანებისათვის არის მოსული, რადგან დროის განლევის პერიოდია და ცნობიერების ზრდა არის აუცილებელი.

ერის გამოვლინებაც ამ პროცესებს შეეხება და ახალ ტალღას ელის!

კვერცხი სიცოცხლის სიმბოლო და ახალი სიცოცხლის დასაწყისია, რომელსაც მოაქვს მშვენება, სიკეთე სინათლე, და სილამაზე.

ქვეყნის დასაწყისიდან, ქვეყნის დასასრულამდე ემბრიონის თვისებაა მნიშვნელოვანი და განუმეორებელი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ახსნილი, ეს კი განსაკუთრებული ამოცანაა სადაც კოსმიური გენი სახლობს და ეს წითელი კვერცხი ა და აქ დიდებული შინაარსია ჩაკეტილი.


კვერცხი უნდა გატყდეს არა ფიზიკურად არამედ სულიერების ფონზე, აზროვნებით უნდა შევალნიოთ შიგ.

კვერცხი შთამომავლობაა!


ერთი სწორი აზრი და ყველაფერი იბრუნებს კუთვნილ ადგილს.

წითელი ფერი კი გამორცეულობის ნიშანია სიცოცხლისთვის!

„ჭეშმარიტებაში“ მთავარი სიყვარულია, მერე ძალა და იმედი მოდის!



# განათლება



## თეა კანდელაკი




ნიუ-იორკის არასამთავრობო, საერთაშორისო ასოციაცია „ერთობა“ და ქართველოლოგიური ცენტრი „ბიბლია და საქართველო“-ს დამფუძნებელი საქ. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო ფართოპროფილიანი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, ფაზისის აკადემიის წევრი, პოეტი – ესეისტი, ქორეოგრაფი

## ნავსაყუდელი

უდიდესი ქართველი მწერლისა და მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სიტყვებით: „ქვეყნის მყოფადი დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“.

ახალ თაობას კი ის საძირკველი სჭირდება, რომელსაც თავდაპირველად ოჯახი უქმნის. მათი განვითარება, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბება და მათი ფსიქიკური ჯანმრთელობა განპირობებულია მშობლის როლზე.

ოჯახი, თავისი ტრადიციებით, ადათ წესებითა და ყოფიერებით საძირკველს უქმნის მომავალ თაობას, მშობლის შემდეგ კი ბავშვის სწორად აღზრდა დამოკიდებულია იმ სკოლაზე სადაც ბავშვი იღებს განათლებას და ფაქტიურად დროის უმრავლეს ნაწილს ატარებს.



სკოლის ეზო. St. Edmund School yard.

ნელსონ მანდელას სიტყვებით ხომ: „განათლება დიდებული საშუალებაა პიროვნების განვითარებისათვის. სწორედ განათლების წყალობით შეიძლება გახდეს გლეხის შვილი – ექიმი, მეზახტის შვილი – ზახტის დირექტორი, ფერმერის შვილი – ქვეყნის პრეზიდენტი“.

კარგი სკოლა წარმატებული განათლების საწინდარია, და მაშინ ითვლება წარმატებულად, როდესაც ის დაკომპლექტებულია განათლებული, გონიერი და აქტიური პედაგოგებით. რომლებიც მშობლებთან ერთად უკვალავენ გზას მომავალ თაობას.

დღეს, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე, როცა საგრძნობლად შეიცვალა მსოფლიო ხედვა და ადამიანური ღირებულებები, გაბატონებული სიონიზმი, რომელიც მიზნად ისახავს – მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაკნინების და ზნეობრივ გადაგვარების ხარჯზე მსოფლიო იმპერიის შექმნას. დედამიწის ერების დენაციონალიზაციას, და ცდილობს მოახდინოს ამ ხალხთა ზნეობრივ, სულიერი, კულტურული დეკადანსი, რასაც უნდა მოჰყვეს უეროვნებო გლობალური სახელმწიფოს შექმნა – ასმაგად საგანგაშო გახდა სკოლების როლი ბავშვების ფსიქოლოგიური ჩამოყალიბების თვალსაზრისით (თანამედროვეობის ახალი ტენდენციების გამო მოზარდებში იმატა დეპრესიამ და სუიციდმა). სკოლებში კი „ბულინგი“ მოზარდების ერთ-ერთ დამანგრეველ იარაღად ჩამოყალიბდა...

მიუხედავად ამისა, ოჯახთან ერთად – სკოლა გვევლინება ბავშვის აღზრდის ერთ-ერთ წყაროდ რომელსაც ჩვენი შვილების მომავალს ვანდობთ. პედაგოგმა ბავშვში უნდა გამოაღვიძოს სწავლის სურვილი რომ მომავალში ერთ-ერთი წარმატებული პიროვნება გახდეს. რომელიც აყალიბებს ეროვნულ ზნეობას, მაღალ კულტურას, ლოგიკას და, თავისთავად დაუმარცხებელ ძალად გვევლინება.



იქ სადაც ღმერთია – სიყვარულია და იქ სადაც სიყვარულია სიმშვიდე მეფობს... სიმშვიდე თავისთავად მასაზრდოვებელი წყაროა ჩვენი შვილების სულიერი წონასწორობისა.

...სიხარულით მინდა წარმოგიდგინოთ მსოფლიოს წამყვანი მეგაპოლისის ნიუ-იორკის შტატში არსებული, ქალაქ ბრუკლინის ეპარქიის წმინდა ედმუნდის სახელობის კათოლიკური სკოლა, რომელიც მოიცავს დაწყებით, საშუალო და მაღალ კლასებს.

„მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა რომ მოგექცნენ შენ“... ამბობს უფალი და ზუსტად უფლის ეს სიტყვებია სკოლის უმთავრესი წესი...

მასწავლებლების და მოსწავლეების ურთიერთ დამოკიდებულება, რომელიც ბულინგის მსხვერპლად კი არა, ერთ დიდ

St. Edmund Elementary school students – Martha, Katie and Thekla Chaligavas  
წმ. ედმუნდის სახელობის სკოლის მოსწავლეები მარტა, ქეთი და თეკლა ჩალიგავები

მოსიყვარულე ოჯახად აყალიბებს ყველას განურჩევლად სქესისა, ეროვნულობისა და ასაკისა... ოჯახი სადაც ბავშვებს მიუხარიათ ყოველ ცისმარეს... სკოლა – რომელსაც თვალდახუჭულად შეგიძლიათ ანდოთ თქვენი შვილი, სკოლა სადაც საგანმანათლებლო საგნების მიღმა ასწავლიან ღვთისა და ოჯახის სიყვარულს, ურთიერთ პატივისცემას, და ყველა იმ ადამიანურ ღირებულებებს, რომლებიც ესოდენ აუცილებელია ჯანსაღი მომავალი თაობებისთვის.

წმინდა ედმუნდის დანყებითი სკოლა წარმოადგენს აკადემიურ ცენტრს, რომელიც დაფუძნებულია მყარ ქრისტიანულ და აკადემიურ პრინციპებზე, რომელიც ასახავს მათ მულტიკულტურულ წარმომავლობას, რათა გახდნენ პასუხისმგებელი მორალური მოქალაქეები დღევანდელ საზოგადოებაში.

წმინდა ედმუნდის დანყებით სკოლაში მოსწავლეთა სულიერი ზრდა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მათი აკადემიური ზრდა და განვითარება. სტუდენტებს ყოველდღიურად ეკითხებათ რელიგიის მცოდნეობა.

ყოველ დილით მოსწავლეები, დირექტორის და მერვე კლასის მკითხველების ხელმძღვანელობით, მონაწილეობენ დილის ლოცვაში. სტუდენტები ირჩევენ კლასის მფარველ წმინდანს, რათა იყოს მათი სულიერი მეგობარი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ასევე თვის პირველი პარასკევს მონაწილეობენ ლიტურგიაში და იღებენ საღვთო ზიარებას.


სკოლა, სადაც ბავშვებისთვის დაუძლეველი არაფერია, ურთულესი საგნებიც კი, რომელთა აღქმის წყაროდ სკოლის პედაგოგების საოცარი დამოკიდებულება და ახსნის მეთოდოლოგიაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ, სკოლის ფაკულტეტის წევრები მონაწილეობენ გილდერ ლერმანის ფონდის მიერ წარმოდგენილ სამუშაო შეხვედრებში. (გილდერ ლერმანის ამერიკის ისტორიის ინსტიტუტი დაარსდა ნიუ-იორკში ბიზნესმენ-ქველმოქმედთა რიჩარდ გილდერისა და ლუის ე. ლერმანის მიერ 1994).

ქ. თბილისის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო ფართოპროფილიანი მეცნიერებათა აკადემიის სახელით მინდა საჭარო მადლობა გადავუხადო ნიუ-იორკის წმ. ედმუნდის სახელობის სკოლის დირექტორს ქ. ანდრეა დემიკს, მოძღვარს – მამა ლუკა ტროჰას და ყველა თანამშრომელს ამ შეუფასებელი ღვაწლისთვის, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ისეთი ეროვნული და კულტურული ღირებულებებით მდიდარი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა და რომლის არაერთი ემიგრანტი აღუზრდია წმინდა ედმუნდის სკოლის კედლებს.

10/30/2022

ნიუ-იორკი, აშშ



**Tea kandelaki**

International Association “ERTOBA” of NY (Sole Incorporator and Founder)

Jumber Lezhava Multi Profile International Academy of Sciences (Vice President)

Academy of Phasis (member), poet, essayist, Choreographer

## HARBOUR


Great Georgian writer and statesmen Ilia Chavchavadze said: “The state of the country depends on the condition that will be given to the new generation.”

Above all the new generation requires the foundation that family can provide. Their development, establishment of a place in society, formation of personal values and their mental health depend on the role of parents.

Parents are given the primary role in establishing national traditions and customs for their children, setting an example of high moral standards.

After the parents, the proper upbringing of the child depends on the school where the child receives education and actually spends most of their time.

As Nelson Mandela said, "Education is the great engine of personal development. It is through education that the daughter of a peasant can become a doctor, that the son of a mine worker can become the head of the mine; that a child of farm workers can become the president of a great nation. It is what we make out of what we have, not what we are given, that separates one person from another".



A good school is a prerequisite for a successful education, and it is considered successful when it is staffed by educated, intelligent and active teachers, who together with parents, to pave the way of the next generation.

The role of school in terms of psychological formation of children, has also become relevant. School appears to us as one of the main sources to which we entrust the future of our children. The teacher awakens the desire to learn in the child, forms morals, culture, logic and appears as an invincible force itself.

Where there is God, there is love, and where there is love, peace reigns... Peace in itself is a source of nourishment for the spiritual balance of our children.

I would like to introduce St. Edmund Elementary School of Diocese of Brooklyn – an academic center founded upon solid Christian and academic principles which serves our children and reflects their multicultural backgrounds.

St. Edmund Elementary School endeavors to educate the whole child: Spiritually, academically, socially and physically, in order to become responsible moral citizens in today's society.

Each morning, students led by the principal and eighth grade readers, participate in Morning Prayers. Students select a Class Patron Saint to be their spiritual guide throughout the academic year. Students participate in the First Friday Mass and Benediction, seasonal liturgies, prayer services and devotional activities.

School faculty members participate in workshops presented by the Gilder Lehrman Foundation. These workshops provide Social Studies instructors with materials and resources that enhance students' knowledge and understanding. (The Gilder Lehrman Institute of American History was founded in New York City by businessmen-philanthropists Richard Gilder and Lewis E. Lehrman in 1994 to promote the study and interest in American history).


The Social Studies Program of St. Edmund Elementary School provides students with the means to understand world in terms of history, geography, government, demographics, politics and economics.

Learning about the past prepares our students to take their place as the leaders of tomorrow.


The mutual attitude of teachers and students forms one big loving family, regardless of gender, nationality and age. A family where children are happy for every moment, a school – to which you can blindly entrust your child, A school where beyond academic subjects, they teach love of God and family, mutual respect, and all those human values that are necessary for the health of future generations.

On behalf of Tbilisi Jumber Lezhava International Multi Profile Academy of Sciences, I would like to publicly thank principal Mrs. Andrea D'Emic, Pastor Rev. Lukasz Trocha and all of the employees of St. Edmund's School for this inestimable contribution, which is so important for a country rich in national and cultural values like Georgia, and many of whose immigrants have been brought up within the walls of St. Edmund's School.

10/30/2022  
NY, USA



# სიბრძნის სკივრი



ნაირა უგულავა (ნია გორდელი)



## გონების ზღვარზე

აზრები

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის მე -11 ნომერსა და ათინათის N 42- 43- 44-45-ში

**ადამიანი, როგორც ფანოჯანი –  
ფსიქიკა, ცნობიერება, აზროვნება**

\*\*\*

ცნობითთუცნობელად,

ადამიანი განმეორების უნითარისშეპყრობილი. იგი ასახავს თავისი დროის, თავის დროის წინა, ასევე, საუკუნეების წინამოვლენებს სხვადასხვა ფორმით, თუმცა ამას ყოველი ადამიანი თავისი იშნი თაღბეჭდავს; დაჟინებით, ჭიუტად, რიტუალურად, ზოგჯერ ავადმყოფურად იგი ამას ახერხებს, რითაც ამტკიცებს და ადასტურებს თავის ერთადერთობას და განუმეორებლობას...

\*\*\*

ყველამსჯელობაში არის რაღაც სოფისტური, ხელოვნური, გაზვიადებული, ტენდენციური, ფანატურ-ფანტასტიკური...

\*\*\*

ადამიანი არ არის მარტო „ეს“ – რაცაქარის. ის არის საიდანაც მოსულს ხივის გამოსახულება – გამონაშუქი, რომელიც აქმეს აბამის კვალსტოვებს...

\*\*\*

უტილიტარისტთა (ვოლტერი, ჰოლბახი, ჰელვეციუსი) შეხედულების საპირისპიროდ მსჯელობისას უნდა ვთქვათ, რომ ადამიანი რომელიც ცენტრულობას კარგავს, ის ავადმყოფია (პიროვნულობის ბირთვი არ არის ანაკლებად მენარჩუნებულია) – საკუთარ ვნებებში გაუნონასწორებელ-გაუცნობიერებელი და ასეთი არც საზოგადოებას გამოადგება. ადამიანი ტანჯვა-სიამოვნების ნაშიერია; იგი, ამზღვარში მოქცეული, ზომიერებას ებღაუჭება; მის საზღვრებში ეძებს და პოულობს გამოსავალს, – ესაა მისი ფენომენალურობა. თუ ადამიანი მას მოვაშორებთ, რამაც ის შექმნა, მისგან არაფერი დარჩება...

\*\*\*

აზროვნება – არამარტოსათვისო! – ხდის ადამიანს ადამიანად.

\*\*\*

ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თითოეული ჩვენთაგანი კოსმოპოლიტია, – ამჭრილში ვაზროვნებთ...

\*\*\*

არარისკითხვა, რომლისპასუხიბუნებაშითავისთავადარსებობს.  
ერთიკითხვისპასუხიმეორეშია, მეორისმესამეშიდა ა. შ. მრავალსაკანთაშორისმოციფი  
(გაბნეული) კითხვისპასუხიადამიანისათვისგამოცანათა-  
გამოცანაადამისიმთელიცხოვრებისდილემასწარმოადგენს...

\*\*\*

ზეშთაგონებებით, ზეცნობიერებით, სულშიხდებადიდიგარდატეხვები; რა, როგორ,  
როდის – ესნაკლებადშესწავლადია, მაგრამგონებისაზროვნებითიპროდუქტებით, ასევე,  
ადამიანისმოქმედებითიგამოვლინებებისშესწავლასავსებითშესაძლებელია.

\*\*\*

კულტურათათესიქოლოგია, რომელიც, ზოგჯერ,  
ძალადობრივიფსიქოლოგიურიზემოქმედებისნაშობია,  
არუნდაავურიოთთავადადამიანისფსიქოლოგიისგანმარტებაში...

\*\*\*

როგორცფსიქიკურ, ასევესომატურდაავადებათადიდიპროცენტიემოციურდაძაბულობაზე,  
შეუსრულებელსურვილებსადამოთხოვნილებებზემოდის (აქსხვაფაქტორებიცმუშაობს...)  
მოთხოვნილებათაგაზრდამშეუსრულებელისურვილებისწილიგაზარდა, რამაც,  
თავისთავად, ფსიქიკურიდაავადებისწილისგაზრდაგამოიწვია. სავარაუდოა,  
ფსიქიკურდაავადებათარიცხვიკიდევფერომეტადგაიზარდოსმომავალში.  
დროთაგანმავლობაში, ცხადია, ამუშავდება „გადარჩევის“ ფაქტორი. მოხდებაძლიერთა,  
უკეთშეგუებულთაგადარჩენა... საინტერესოა, ამშემთხვევაში „ძლიერი“  
სრულიადაცარუნდანიშნავდესფიზიკურადდიდსაძლიერს.  
თუადრინდელსაუკუნეებშიერთსადაიგივეპირობებშიმარტვებდაძლიერიდაძლიერთასქესი  
, აქ, უფროშეცვლილიგარემოსდადროისდაკვეთისკვალდაკვალ,  
ბუნებაშიძლიერსწორედძლიერთასქესიდაიწუნოს.  
გადარჩევისშედეგებიგენისშესაძლებლობათალაბირინთებშიუნდავეძიოთ...

\*\*\*

ადამიანისცალკეულორგანოთაბიოენერგეტიკაიკრიბება, აისახებათავისტვინში.  
თავისტვინიპულსირებსამენერგეტიკით. გასაკვირიარარის,  
სწორედორგანოთადაზიანებისგამო, დაირღვესპიროვნებისფსიქიკურიმთლიანობა  
(დეპრესია, განწყობილებებისშეცვლა, ცხოვრებისინტერესისგაქრობადაა.შ.).  
ესშეიძლებაიყოსგარდამავალი, დროებითიანმყარი, იმისდამიხედვით,  
რამდგომარეობაშიაესათუისორგანო.  
მთლიანობაშიადამიანისფსიქიკისსირთულესგანაპირობებსცალკეულორგანოთამდგომარე  
ობა. მოხუცებულობითდეპრესიასფიზიოლოგიურპროცესთადეფექტები, ასევე,  
ჰორმონულიდისბალანსიგანაპირობებს,  
რაცშესაბამისიორგანოსატროფიასთანარისდაკავშირებული. ენერგეტიკულიხარვეზი –  
ჩავარდნა, თავისტვინშიაისახება. ამრიგად, ადამიანისჯანსაღისაზრისი,  
სასიცოცხლოტენდენციათასისრულე-  
სრულფასოვნებადამოკიდებულიაჯანმრთელიორგანიზმისქონასთან.



\*\*\*

არასრულფასოვნებაზოგჯერწარმოშობსგანსაკუთრებულობას (თემადიდია, საჭიროებსგამლასდაანალიზს)... საჭიროამსჯელობადაკვლევებიმაზე, თუგენეტიკურიდარღვევების, ფსიქიკურიგადახრებისდაა.შ. სხვადასხვაპათოლოგიებისდროს, რატომძლიერდებაინტუიცია, მესხიერებაანგამოვლინდებასხვადასხვაარაორდინალურიუნარები...

\*\*\*

ის, თუროგორდამოკიდებულიაშიაადამიანისამყაროსმოვლენებთან – მზესთან, მთვარესთან, პლანეტებთან, გრავიტაციასთან, რხევითტალღებთან, სითბოსთან, სიცივესთან, ასევებიოლოგიურსამყაროსთან (სიამოვნება-უსიამოვნებისსაზღვრებში), განაპირობებსმისიფსიქიკის, ქვეცნობიერისჩამოყალიბება-ფორმირებას, რომელიცსოციალურცნობიერებასთანშეხება-ურთიერთობისასწარმოშობსდააყალიბებსმისგემოვნებას, მიდგომებს, დამოკიდებულებას, მსჯელობებსდა, საბოლოოდ, გამოკვეთსმისმიზნებს.

\*\*\*

ადამიანისმოთხოვნილებები (სულიერიცდამატერიალურიც) ფიზიოლოგიურძვრებშიდევს; სოციალურ-როლურინტერესებშიკისქვივისზოგადიკანონები, რომლებსაცესმოთხოვნილებებიეჭვმდებარება.

\*\*\*

თუადამიანიცოტასსაუბრობსანდუმს, ესარნიშნავს, რომარაზროვნებაანგამალებულადარსაუბრობსროგორცსხვებთან, ასევესაკუთართავთან...

\*\*\*

რატომღაცყურსუფროუკვირს, ვიდრემხედველობას. ნანახი – დამატერებელია, მოსმენილი – გამოგნებელი...

\*\*\*

სამყარომ, ზედმინწვნითიასახვისწყალობით, მეორესამყაროჩვენსშეგრძნებებშიგაშალა.

\*\*\*

ზეცნობიერებაარისცნობიერებისგანსაკუთრებულისახე, რომელიცმასშიშემოსულსიმბოლოებსცნობიერებისათვისმისალენაზეთარგმნის...

\*\*\*

ბედნიერსერგონილად, გულიგონებასთანიმდაგვარადდაეკავშირებინა, რომმათიურთიერთთანამშრომლობისგანსასარგებლოპროდუქტებიენარმოებინა.

\*\*\*

შრომისმოყვარეობაგაცილებითდიდინიჭია, ვიდრე „ნიჭიერება“ ზოგადად.

\*\*\*

ადამიანის დაუნებურად მოძრაობის ზოგადი კანონების მიხედვით. სამყაროს გონის მიერი – პირობითი დანაწევრება მას ხელს ვერ უშლის ამ მოძრაობაში. მისი გრძობები, სურვილები დამისწრაფებები განზავებულია ზოგადი მოძრაობის სისტემაში. თავისი ძალებით ის ამ სისტემიდან ამოხტომას ვერასოდეს მოახერხებს.

\*\*\*

ქვეცნობიერება ორგანიზმში ფიზიკურ და ბიოლოგიურ პროცესთა ფუნქციონირების ასმუშაობს დამათმოდრაობას აკონტროლებს. მას შეგრძნებათა სიმკვეთრე და რაგვარობა ცნობიერებაში შემოაქვს. ცნობიერებას აგანთახატების ოპერირებას ადავერბალურ გაფორმებაში მჟღავნდება.

\*\*\*


ყოველგვარი ცოდნა, აზრი და დამოკიდებულება მოვლენების შესახებ გენშია კოდირებული. ზოგიერთი მათგანი მარეგრესირებელია და რეცესიულ (დათრგუნულ) მდგომარეობაში იმყოფება. განსხვავებულია ბრიდემოკრატიის მონაპოვრად არუნდამივიჩნიოთ – ისარსებობდა ბუნებაში და იარსებებს ჩვენგან დამოუკიდებლად, თუმცა, ზოგჯერ, დაიშვება და გადაიქცევა ჩვენი ცხოვრების „მთავარი აზრის“ მყალიბებელ-მაფორმირებელად... თუმარეგრესირებელ-რეცესიულ მდგომარეობაში იმყოფა ბრსა და მიაჩნი „არაკეთილ მოსურნე ძალების“ დახმარებით არასაჭიროდ როსნამოატივიებს და თავს მოახვევს საზოგადოებას, იგი, როგორც მასწავლებელი ვირუსი, ადამიანის როგორც მორალური, ასევე ფიზიკური განადგურების საშუალება დიქცევა.

\*\*\*

სიმარში მუშაობს არეაული ნარმოდგენები თავისი ენა-სიმბოლოებით, ასევე, მასში მოძრაობს ფრაგმენტები ადამიანის ფილოგენეზური განვითარების ფაზებიდან – თვითფიზიკური ელემენტების სურთულები ბიოლოგიურ სისტემებში ჩართვის და ადამიანში მათია სახვის პროცესებით. ეს პროცესები, თავისი ნიშან-სიმბოლოებით პროეცირდება ქვეცნობიერებაში, ხოლო ცნობიერებაში ნარმოდგენები ან დამახინჯებული – დეფორმირებული ფანტომების სახით. სიმარში, ასევე ნარმოდგენების და განცდილის ფრაგმენტები, მოვლენების ნაშთები. გვრჩება მათაბეჭდილება, რომ სიმარში ინფორმაციები განზრახვა ხაზობილია. თუმცა ადამიანს აქვს ნათელი ხილვა, რომლითაც საჭიროდ როსს რული ინფორმაცია ეძლევა, ყოველგვარი ჩახშობისა და დეფორმაციის გარეშე...



ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა



დათო ყანდაშვილი

გაიღვიძეთ ადამიანებო...  
დრო მოვიდა ძილიდან გამოსვლისა!!!



ბატონებო და ქალბატონებო! მეგობრებო! თანადედამინელებო! მოვიდა დრო, რომელსაც დიდი მოთმინებითა და რუდუნებით ელოდით! გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ! რომ ჩაერთოთ იმაში, რისთვისაც აქ, ჩვენს საყვარელ პლანეტაზე, ჩვენს გაიაზე მობრძანება გინდოდათ. მოვიდა დრო ქვების შეგროვებისა...

რა მოხდა?! დედამინაზე ადამიანების საშუალებით დადგმული დიდი სპექტაკლი მძაფრსიუჟეტიანი პერიპეტივებითა და სამყაროს მიერ ურთულეს გადასაწყვეტ საკითხთა წარმოჩინება-გამოვლინების პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. მოვიდა დრო უკვე მიღებული შედეგების შეჯამებისა და ახალი მასალის გადასამუშავებლად მიღება ამ ეტაპზე წყდება. აი, ისე საკონტროლოს როცა წერდით სკოლაში ან გამოცდას როცა აბარებდით სადმე მიღების უფლების მოსაპოვებლად – და აი, საკონტროლო დავალების შესრულებისათვის ან ჩასაბარებელი გამოცდისთვის განსაზღვრული დრო სრულდება, ამის მაუწყებელი ზარი ირეკება, რის შემდგომაც ყველა მონაწილეს ჩამოერთმევა თავისი „ნაშრომი“ (ანუ ის, რაც ამ ხნის განმავლობაში მოახერხა) და ამის მიხედვით მიიღებს ამა თუ იმ შეფასებას, რის შემდეგაც განისაზღვრება მისი შემდგომი ბედი.

აი, ასეთი რალაცის დრო დადგა ახლა ადამიანების ცხოვრებაში ტოტალურად, მთელი პლანეტის მასშტაბით.

ვინეს სჯერა ამის, თუ არ სჯერა, პასუხისმგებლობით მიუდგება, თუ საერთოდ უგულებელყოფს – ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ სპექტაკლის მომწყობთათვის.

თუმცა, მოდით ცოტა სხვა კუთხიდანაც შევხედოთ, თორემ, ხომ იცით, ადამიანებს აფორიაქება უბრალო რამეზეც კი ჩვევად გამოუმუშავდათ და აბა ასეთ გრანდიოზულ რალაცაზე რალა დაემართებათ.

მაშ ასე, დავინწყით განხილვა....

არ ვიცი ვინ დაფიქრებულა, და ვინ არა, მაგრამ ეს იმას არ ცვლის, რომ ადამიანი მუდმივად ორ სამყაროს შორის ლავირებს. ეს უბრალოდ აქსიომაა და არავითარ მტკიცებულებას არ საჭიროებს. ადამიანი ამას საიქიოს (საიქაოს) და აქედან გამომდინარე ალბათ სააქაოს უწოდებს. თან ეს საიქიო თავის ცნობიერებაში ისე გაამარგინალა, რომ მის ხსენებაზე უკვე საშინელი ასოციაციები, სრული გაურკვეველობის განცდები და, შესაბამისად, უმართავი შიშები ეწყება.

საიქაოში გადასულს რომ ჰკითხოთ, საინტერესოა მისთვის რა იქნება სააქაო და საიქაო. ალბათ, ეს რეალობა გახდება მისთვის საიქაო, სავარაუდოდ, ადამიანების მიერ მონათლული საიქიო-საიქაო კი სააქაო, ის ხომ უკვე იქ იმყოფება.

მაგრამ ეს ყველაზე მთავარს არ ცვლის, უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ ადამიანი მუდმივად ხან აქ არის და ხან იქ, მაგრამ იმდენად ნეგატიური და მიუღებელი ელფერი მიანიჭა იქაურობას თავის ტვინში, რომ გარდაუვალი უბედურების უკიდურეს გამოვლინებად გამოაცხადა, ოხვრა-გოდების, გლოვის, დაუსრულებელი დარდისა და სინანულის წყაროდ აქცია. არადა, რა მოხდა? – ადამიანი საიდანაც მობრძანდა, იქვე წაბრძანდა.

მოკლედ, ესეა თუ ისე, ისევ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებთან მივყავართ ამ ყოველივეს. ადამიანი მოკვდა – რას ნიშნავს ეს, დარჩა რამე იმისაგან, რასაც ადამიანად მოიხსენიებდნენ, ბოლოს და ბოლოს არის რამე ამ სხეულს მიღმა, თუ სულ ეს არის, რაც არის და გვამად გადაქცევის მერე ის რაღაც, მამოძრავებელი ძალა, რაც ამ გვამს ცოცხალ ადამიანად აქცევდა, გაუქმებას, გაქრობას, ანიგილაციას დაექვემდებარა?.. მაგრამ რა ვუყოთ ადამიანებისვე აღიარებულ ენერჯის მუდმივობის კანონს, რომელიც ქადაგებს: სამყაროში არაფერი უკვალოდ არ ქრება და მუდმივად ერთი მდგომარეობიდან მეორეში გარდადინდება უკუნითი უკუნისამდე.

აი, აქ არის ე. წ. საიქაოს გასაღები. თუმცა, ვიდრე სიკვდილამდე მივალთ, ადამიანი ყოველდღე, უფრო სწორად, ყოველდღამე მიემგზავრება იქ. დიახ, ყველაზე ურწმუნო და დაუჯერებელი არსებაც კი... და თუ რამდენიმე დღე არ გაემგზავრა „იქ“, შეიძლება ამან საშინელ დეპრესიამდეც კი მიიყვანოს. ალბათ მიხვდით, ყოველდღამისეულ ძილის მოთხოვნილებაზე გელაპარაკებით, როდესაც სხეულს ასე მარტივად სტოვებს თქვენი მამოძრავებელი ძალა (გინდათ სული დაარქვით და გინდათ ცნობიერება, ეს თქვენი საქმეა) და საიქაოში სამოგზაუროდ მიბრძანდება. სხეული კი გვამივით დევს, მასში მხოლოდ ენერჯის გარდაუვალი აუცილებლობისათვის საჭირო ენერჯიაა დატოვებული იმისათვის, რომ ფიზიკურ სხეულში ორგანოებმა ფუნქციონირება არ შეწყვიტონ. და რაც უფრო ღრმა იქნება მოგზაურობა საიქაოში, მით უფრო დიდ დასვენებას განიცდის დატოვებული ფიზიკური სხეული სააქაოში. ამის უარყოფა მხოლოდ ბრიყვს თუ მოუნდება, და ვინაიდან ბრიყვებთან ურთიერთობას აპრიორი არ გააჩნია აზრი, აღარ ვთვლი საჭიროდ ახალი მტკიცებულებების მოყვანას იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანი მუდმივად ამ ე. წ. სააქაოსა და საიქაოს შორის არის გადებული ხიდივით და რაც უფრო დიდი იქნება მისი მიღების ხარისხი ამ ორივე სამყაროს შორის, მით უფრო დიდი იქნება მისი ღირებულება, ფასი, წონა, წვლილის შეტანის უნარი ამ სპექტაკლის დამდგმელთა გადასახედიდან, რასაც პლანეტა დედამიწაზე ცხოვრება ჰქვია.

ახლა თვითონ სამყაროებს დავუბრუნებები, ადამიანისაგან დამოუკიდებლად რას წარმოადგენენ და რა ამოცანები გააჩნიათ. ეს სამყაროები შეგვიძლია მოვიაზროთ, მოვინათლოთ, როგორც მარადიული და დროებითი.

ჩვენ აქ დროებით სამყაროში ვიმყოფებით. აქ ყველა და ყველაფერი დროებითია. ამ სივრცეში ყოველივე, რაც კი შექმნილა, იქმნება ან შეიქმნება, გარდაუვალი განადგურებისათვის არის განწირული. მაშინ, როდესაც მარადიულ სამყაროში ყველაფერი მარადიულია, მის სივრცეში ყოველივე რაც კი შექმნილა, იქმნება ან შეიქმნება, გარდაუვალი მარადიულობისათვის, ვეღარ განადგურებისათვის არის განწირული. გეთანხმებით, ამ შემთხვევაში სიტყვა „განწირული“ ცოტა გაუგებარია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამა თუ იმ სუბსტანციას აღარ სურს არსებობა, მაგრამ არსებობის შეწყვეტა უბრალოდ შეუძლებელი ხდება და ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს როგორც მისთვის, ისე მისი გარემოცვისათვის. იცით, ყველაფერი ხდება, შეიძლება ისეთი რაღაც მოუხდა, ჩაედენინა, რაც არ უნდოდა და ასე გამოუვიდა, რასაც მერე ვერანაირად ვეღარ ღებულობს და წარმოიდგინეთ ამის წაშლა და ამოძირკვა შეუძლებელი ხდება. აი, სწორედ ამისათვის ბრწყინვალე საშუალებას წარმოადგენს არა განადგურება, ამოთხარა და მოსპობა, არამედ გარდაქმნა, შეცვლა, გადახედვა და გადამუშავება. მაგრამ, როგორ მოახერხოს ეს იქ მარადიულ სამყაროში, როდესაც ის რაღაც, რასაც ვერ ღებულობს მუდმივად წინ უტრიალებს, არსებობას უწამლავს და გარემოსაც ხელს უშლის ჰარმონიის დამკვიდრებაში.

სწორედ ამისათვის ბრწყინვალე საშუალებას წარმოადგენს დროებით სამყაროში მისი მივლინებით გამგზავრება. მივლინების ამოცანა სწორედ იმ ფრაგმენტის გადახედვა,

ცხოვრება, ხელახლა გავლა იქნება, რაც პირველად გავლის შემდგომ შინაგანი უკმაყოფილების წყაროდ გადაექცა. ამისათვის, მისივე ნება-სურვილითა და დაბეჯითებული თხოვნით, მეხსიერების დავინწყების გზით, ხდება ამ ყველაფრის გადავინწყება და ამ მომენტის ხელახლა ცხოვრების შანსის მიღება. ამას როგორ გამოიყენებს იგი უკვე დროებით სამყაროში თავისზეა დამოკიდებული, რამეთუ ამისათვის სრულიად თავისუფალი ნება აქვს მინიჭებული. მაგრამ, ერთი რამ გარდაუვალია, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, მიღებული ახალი შეგრძნებებით იმ შეგრძნებების ჩანაცვლება მოხდება, რომლებიც იქ მარადიულ სამყაროში გააჩნდა.

ალბათ არ არის ძნელი მისახვედრი, რომ ეს მოგზაურობა უბრალოდ მარტივი გასეირნება არ გახლავთ და აქ ჩამობრძანებული ადამიანები საკმაოდ დიდ რისკზე წასვლის უნარის მქონე მარადიული სამყაროს მაცხოვრებლები, მოქალაქეები ბრძანდებით.

მაგრამ... არავის არ უნდა დაავინყდეს ის, რომ რამდენადაც ამა თუ იმ საკითხის გადახედვა სჭირდება თვითონ კონკრეტულად აღებულ ერთ არსებას, იმდენად საჭირო და უზომოდ საინტერესოა ნებისმერი საკითხის გადახედვის პროცესი მთელი ერთიანი მთლიანობისათვის, იმ საინფორმაციო ბაზისათვის, სადაც ყველაფერი გროვდება და ინახება და საერთო საარსებო სივრცის მაქსიმალური კეთილდღეობისა და წინსვლისათვის გამოიყენება. ეს ყოველივე ძალიან ჰგავს ფუტკრების მიერ თაფლის მომზადების პროცესს, რომელშიც თითოეული ფუტკარი თითქოს უმნიშვნელო პატარა პორციას ეზიდება სკაში თავისი პატარა, თვალისათვის ძნელად დასანახავ სხეულში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ათობით კილოგრამი თაფლი მიიღება, რაც ფუტკრების (და არა მარტო ფუტკრების) მთელი სახეობისათვის არსებობის, კეთილდღეობის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს.

და ახლა წარმოიდგინეთ არსება, რომელიც იმის მაგივრად, რომ საკუთარი ან საერთო დანიშნულების გარშემო საქმიანობაზე კონცენტრირებით იყოს დაკავებული, იწყებს ე. წ. საიქიოს ანუ მარადიული სამყაროს მარგინალიზებას იმით, რომ ადამიანების იქ დაბრუნებას, სიკვდილს, მოურჩენელ უბედურებას, მოუშუშებელ ტკივილს, უსამართლობას, სამყაროს დაუმსახურებელ განაჩენს და, რა ვიცი კიდევ რას არ, უწოდებს გარდაცვალებას და სიკვდილის სახელით მოიხსენიებს. ამით იგი მარადიულ სამყაროს მიუღებლობას უცხადებს, თანაც, ამასთან ერთად, მშვენივრად უწყის, რომ ადრე თუ გვიან თავადვე გარდაუვლად მოუწევს მასში დაბრუნება.

ჩვენი სამყარო როგორც არის მოწყობილი და ვინც მოაწყო ისე, როგორც მოაწყო, ვფიქრობ, სჯობს, აი ასეთი უპირობოდ მიიღოს ყველა ადამიანმა და ადამიანთა მიერ გამრუდებული რაც დაგროვდა, საკმარისზე უფრო დიდ ტვირთად რომ აწევს ახლა ჩვენს დედა-მინას, არ უნდა მივანეროთ მათ. ეს იქნება ამ ეტაპზე ყველაზე საუკეთესოც და საჭიროც ზოგადად რაც შეიძლება ადამიანმა გააკეთოს საერთოდ.

და ბოლოს, კიდევ ერთი, ერთობ რთული, მაგრამ აუცილებელი საკითხი – ადამიანმა უნდა მოახერხოს, ზოგადად, ადამიანზე ზევით ადამიანის შემქმნელი დააყენოს და ამის დასტურად ყველაფრის, რაც არ უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში, უპირობო მიღება მოახერხოს. უნდა დაიჯეროს, რომ მას გაცილებით ნაკლები ესმის იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება, რად ხდება და თავი დაანებოს უკვე მომხდარის დაუსრულებელ რევიზიას.

სწორედ ეს იქნებოდა გაღვიძების პირველი, საკამოდ მსუყე საფეხური, რომელიც დროა მოხდეს.

გაიღვიძეთ ადამიანებო, გაიღვიძეთ!



შემეცნებითი სემინარი  
—•••••—○—•••••

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)



**ბრალის თეორია**

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10 —11 ტომსა და ჟურნალ ათინათის №38-39-40-41-42-43-44-45-ში №№

**ბრალის სახეები და ფორმები**  
(სისტემატიზირებული)

**ოჯახური დაპირისპირებულობა და ბრალი**

**ა) ბრალი ოჯახის წევრებს შორის**

უფლის მიერ ცოლ-ქმრის „ერთ ხორც და ერთ სულ“ შექმნას ოჯახური ურთიერთობები მოჰყვა. ოჯახი მისი წევრების გამუდმებულ ჭიდილსა და წინააღმდეგობებში ყალიბდებოდა. განსხვავებული გემოვნებისა და შეხედულების მქონე ოჯახის თითოეული წევრი საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის იბრძოდა. ყოველ მათგანს ჰქონდა გარკვეული მოთხოვნა და ბრალი ოჯახის სხვა წევრების მიმართ. აქ იყო ქალსა და მამაკაცს შორის ფუნქციათა გადანაწილების, უპირატესი მდგომარეობის მოპოვების, გასაყოფი საგნების და განსხვავებული ტრადიციების გამო წარმოშობილი, თაობათა შორის დაპირისპირებულობის და ა. შ. ბრალი. განსაკუთრებულ სახეს იძენდა დაპირისპირებულობა და ბრალი სამეფო დინასტიის ოჯახის წევრებს შორის. მათ განსაკუთრებული რამ ჰქონდათ გასაყოფი – ხელისუფლება და დიდი ქონება. მათი ბრალი ერთმანეთის მიმართ და საშინელი ტრაგედიების მაგალითები ისტორიას კარგად აქვს შემონახული.

არათუ წარსულში, არათუ სამეფო დინასტიებში, დღევანდელ ოჯახებშიც არსებობს გამუდმებული ბრალი ოჯახის წევრებს შორის, – ზოგან, ჩახვეულ-ჩაპრესილ – მიჩქმალულ, ზოგან, აშკარად მანიფესტირებულ მდგომარეობაში. ზოგჯერ, ცოლ-ქმრის, დედ-მამიშვილების, რძლების, რძალ-დედამთილის და ა.შ. ბრალი სრულიად განუსჯელ ფორმას იღებს, უფრო მეტიც, ისინი ნამდვილ „ომს“ აჩაღებენ და ისეთ ბრალში ხვევენ ერთმანეთს, რომ მტყუან-მართლის გარჩევა შეუძლებელი ხდება. უსამართლო ბრალდებებით ზიანს აყენებენ ერთმანეთის ფსიქიკას, ჯანმრთელობას და, რაც მთავარია, უპერსპექტივოდ ტოვებენ მომავალს. სამწუხაროა, დღევანდელი კინონდუსტრია ოჯახური დრამების და ტრაგედიების მაგალითებით ხშირად ადგენს და ავსებს კინოსცენარებს. ეს ყველაფერი მოწმობს ბრალით გაჟღენთილობის არქეტიპულ მდგომარეობაზე, მისი გადალახვის და დაძლევის სიძნელეზე თანამედროვე ადამიანებშიც.

ზნემაღალი და კულტურული ადამიანები ეხმარებიან და პატივს სცემენ ოჯახის წევრებს, ზრუნავენ დედამამიშვილებზე, მათი მხრიდან ბრალის წარმოშობის, უმადურობის, არაკეთილგანწყობის და არაკეთილგანსჯის შემთხვევებშიც, რადგან ამ ადამიანებში უფლისგან ნაბოძები სიყვარული და მოვალეობის გრძნობა გაცილებით მეტია, ვიდრე დადანაშაულებით და უგუნური განსჯით გამოწვეული უკმაყოფილება.

**ბ) ანტაგონისტური წყვილების ბრალი ოჯახში**

ეს ბრალი გვხვდება დაპირისპირებულ ფენებსა და კლასებს შორის, ასევე ანტაგონისტურად განწყობილ წყვილებში, როგორცაა რძალ-დედამთილი, რძალ-მული, რძლები, სიძე-სიდედრი და ა.შ.

დაპირისპირებულ კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ბრალს განაპირობებს სოციალური უთანასწორობა და მენტალური განსხვავებულობა. ოჯახურ ანტაგონისტურ წყვილთა ბრალში არის სრულიად სხვა სახის მოტივები და შინაარსები. აქ შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეცნობიერ, არქექტიპურ განწყობილებებზე, ანალოგია მოვიყვანოთ ბუნებაში არსებულ სხვა ანტაგონისტურ, შეურიგებელ წყვილებთან, როგორცაა ძაღლი და კატა, კატა და თაგვი და ა.შ. აქ მუშაობს ქვეცნობიერებაში მყოფი სიძულვილის ხსოვნა-განწყობილება; ასევე, პირობათა შეუსრულებლობის მოლოდინი; ბრალის მიზეზისათვის არსებული საერთო სადავო საგნები; ტრადიციათა შეუთავსებლობა და ეგოიზმი; სადავების ხელში ჩაგდების, ასევე, ხელიდან არ გაშვების მოტივები; ძველსა და ახალს შორის შეუთავსებლობა და სხვა ფენომენები. ეს მიზეზები, რომლებიც აქ არის ჩამოთვლილი სავსებით საკმარისია, ერთმანეთთან დაპირისპირებულობისა და ბრალის აღძვრისათვის.

### **გ) ბრალი გარდაცვლილი მშობლებისა და ახლობლების მიმართ**

ძალიან ხშირია ბრალი გარდაცვლილი მშობლებისა და ახლო ნათესავების მიმართ, ასევე, თვითბრალი და თვითდადანაშაულება მათი სიცოცხლის გაუფრთხილებლობის გამო. ზოგჯერ, ადამიანი ფიქრობს: ცოტა რამ კიდევ რომ გამეკეთებინა ჩემი მშობლისათვის; ყურადღება გამომეჩინა და თავი მეტად შემენუხებინა; უფრო მეტად მეზრუნა მასზე; ნამალი თავის დროზე მიმეცა; ექიმი დროზე მომეყვანა; საავადმყოფოში დროზე წამეყვანა – ასე რომ მექნა, ისე რომ მექნა... ჩემი ბრალია, თორემ კიდევ იცოცხლებდა და ა.შ. ზოგჯერ, შვილი მშობლის სიკვდილში საკუთარ თავს პირდაპირ ბრალს დებს და მთელი ცხოვრება სტანჯავს ეს აზრი. ზოგიერთი შვილი თავის უვარგისობას, სიზარმაცეს, უუნარობას, წარუმატებლობას მშობლებს აბრალებს, – რომ არ გაყო სწორად სამკვიდრო ქონება, რომ არ გაიღო მეტი მისთვის, თავის დროზე სათანადოდ არ იზრუნა, არ ასწავლა და ა. შ. საყვედურობს არამარტო ცოცხალს, არამედ გარდაცვლილ მშობლებსაც.

### **დ) ბრალი არ მოვლენილი შვილის მიმართ**

თუ არა ბრალი, ჯერ არ მოვლენილი შვილის მიმართ, სხვას რას დავარქმევთ, როდესაც მშობლები უარს ამბობენ ბევრი შვილის გაჩენაზე, ან, უარეს შემთხვევაში, თავიდან იშორებენ უკვე ჩასახულ ნაყოფს. ამ ბრალის შინაარსი, მიზეზი, შედეგი და შეფასება საზოგადოებრივი ყოფისა და აზროვნების მრავალ ასპექტშია განსახილველი, რომელიც ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი არ არის. ჩვენ, ჩვენი კუთხიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ აუცილებლად არის ორი ბრალი; ერთი, „ნაგულისხმევი ბრალი“, მოსავლინებელი ბავშვისა მშობლის მიმართ და მეორე უკუბრალი ბავშვისგან თავდახსნისა მშობლისა მხრიდან. (ეს თემა განხილულია „ასახვის თეორიაშიც“).

## **სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აბეზული ბრალის ფორმები (არასისტემატიზირებული)**

### **ძალაუფლების ბრალი**

„საუკეთესო ადამიანებიც კი განწირულნი არიან გახრწნისათვის მას შემდეგ, რაც შეუზღუდავ ძალაუფლებას აღწევენ“ (ჰეროდოტი); იგივე აზრს ანვითარებს ინგლისელი მოაზროვნე ლორდი ექტონი: „ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად“.

ძალაუფლება ყველა დროში და საზოგადოებაში წარმოჩნდებოდა სისასტიკითა და ბრალით. ძალაუფლების წყურვილი ადამიანის ერთ-ერთი ვნებათაგანია. თუ ბრალწარ-


მოება, ზედმეტ-ნაკლებად, ყველა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, ძალაუფლები-სადმი ლტოლვა გამოხატულია განსაკუთრებული ფსიქოტიპის ინდივიდებში.

ძალაუფლების დახასიათება შეუძლებელია საზოგადოებრივი აზროვნების ფორმისა და მისი დამახასიათებელი წყობის შემანარჩუნებელი ძალის ურთიერთასახვაში წარმოდგენის გარეშე; ძალაუფლება ჩანასახშივე საზოგადოების ფორმა-შინაარსების შენარჩუნებისათვის საჭირო ძალის დაკვეთა იყო თავად ამ საზოგადოების მხრიდან. ისევე, როგორც მრავალი მოვლენა, ძალაუფლების ფორმირება ბუნების კანონებს ექვემდებარებოდა და ამ კანონებით იმართებოდა. იგი თავისი ძალის შესანარჩუნებლად ნირსა და სახეს იცვლიდა – ენერგიებს იკრებდა, სტილსა და მეთოდებს თანდათან ხვეწდა... დედამინაზე არ ყოფილა სახელმწიფო, რომელსაც უსამართლო ბრალი არ აღედრას როგორც საკუთარი მოსახლეობის, ასევე სხვა სახელმწიფოების მიმართ და ასე გრძელდება დღემდე...

აქ ჩვენ შეგვეძლო განგვეხილა ძალადობაზე დამყარებული სხვადასხვა მენტალური დაჯგუფებების – ქურდულ-მაფიოზური, ტერორისტული და ა.შ. ბრალი, მაგრამ ამ დაჯგუფებებშიც ვნებათა სანამყენე ძირი და ბრალი ძალადობაა. მართალია ამ საზოგადოების ბრალის მიზეზი და მოტივაცია (თითქოს, ჩანაფიქრში) – ძალადობა – ძალადობის წილაა, მაგრამ ის, ყველა შემთხვევაში, ბრალი და ძალმომრეობაა...


ძალაუფლების სრული კონცენტრაცია, დღეს, ძლიერმა სახელმწიფოებმა მოახდინეს, რომელთა ხელშია, არათუ, ცალკეული ადამიანის ან სახელმწიფოს ბედი, არამედ ჩვენი პლანეტის ბედიც.

ძალადობამ თავის „მუტაციებსა“ და მეტამორფოზებში გაცილებით საშინელი სახე მიიღო, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია. განუსაზღვრელმა შეიარაღებამ და ძალთა დემონსტრირებამ, ასევე, ძალის გამოყენებით დამდგარმა კატასტროფულმა შედეგებმა, დღევანდელი მსოფლიო ადამიანის ფსიქიკაში შესაბამისი ასახვა პოვა. არათუ, ძალადობრივად ცალკეული ადამიანის, ადამიანთა ჯგუფების, ცალკეული სახელმწიფოების განადგურების საშიშროებამ, არამედ, ზოგადად, სიცოცხლის მოსპობის საშიშროებამ დედამინაზე წარმოშვა სინდრომი, რომელსაც გარკვეული სახე, ჯერ კიდევ, ჩამოყალიბებული არ აქვს... ამ სინდრომს შეიძლება დავარქვათ უკუბრალი გადაჭარბებული ძალადობის წინააღმდეგ, რომელმაც შეიძლება ისეთივე საშიში სახე მიიღოს, როგორც სახელმწიფოთა განუსაზღვრელმა შეიარაღებამ და ძალადობამ. მკვეთრად გამოხატულმა ძალთა არატოლფარდოვნებამ წინააღმდეგობის განევის სრულიად ახალი – უცნაური საშუალებები წარმოშვა, როგორიცაა თვითმკვლელი კამიკაძეები, სხვადასხვა მოტივაციაზე დაფუძნებული ტერორისტული დაჯგუფებები და მსგავსი გაერთიანებები. მსოფლიო დამშვიდებული ვერ იქნება იმის მოლოდინში, აღმოფხვრის თუ არა გიგანტური სახელმწიფოები ტერორიზმის საფრთხეს, მით უფრო, როცა ამ სახელმწიფოების შიგნითაც არსებობენ მენტალური ჯგუფები, რომლებიც გადამეტებულ შეიარაღებას, ძალადობას ადამიანისა და ბუნების წინაშე ეწინააღმდეგებიან. მომავალში სავარაუდოა „განუსაზღვრელი ძალაუფლების“ წინააღმდეგ მომართული ძალის ტრანსფორმაცია და პათოლოგიური აფეთქება, რაც დამატებით საფრთხეს შეუქმნის მსოფლიოს...





## სამართალი



ლალი ჩოდრიშვილი



### არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა, ანუ უნარი, იყოს სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების სუბიექტი, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც ჩანასახი დედის ორგანიზმს გამოეყოფა და აკმაყოფილებს ყველა იმ ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ცოცხალი ბავშვის დაბადებად მიიჩნევს. სამართლებრივად ყურადსაღებია, თუ როდიდან იმსაზურებს

ჩანასახი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დაცვას. ქართული კოდექსი „მემკვიდრედ ყოფნის უფლებას“ უკავშირებს ჩასახვის მომენტს. ჩანასახის უფლებაუნარიანობის ბუნების შეფასების აღსანიშნავია ორი თეორია: ერთი ჩანასახის უფლება უნარიანობას მიიჩნევს უპირობოდ, მეორე – პირობითად. იმის გამო რომ სუბიექტი არარსებობს, უნდა ვივარაუდოთ რომ საუბარია შეზღუდულ უფლებაუნარიანობაზე. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად კი ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებით და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. გარემოებები, რომელთა მიხედვითა განისაზღვრება პირის ქმედუნარიანობა, წარმოადგენს პირის ასაკი და ჯამრთელობა. ქმედუნარიანობა იწყება პირის სრულწლოვანების მიღწევისთანავე. 7-წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ქმედუნაროა. 7წლიდან 18წლამდე არასრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. თუმცა პირი, დაქორწინების შემთხვევაში, შეიძლება ქმედუნარიანი გახდეს 18 წლამდეც. ასევე არასრულწლოვანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეუზღუდავ ქმედუნარიანად, თუკი მას მიანიჭებენ საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას. ჭკუასუსტობის და სულით ავადმყოფობის გამო პირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქმედუნაროდ. მაგრამ ეს სასამართლოს პრეროგატივაა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა პირი 7დან 18 წლამდე და ასევე პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს. ქმედუნარო პირები კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში უშუალოდ არ მონაწილეობენ, მათ მიერ დადებული ნებისმიერი გარიგება უცილოდ ბათილად ჩაითვლება. შეზღუდული ქმედუნარიანობის მ მქონე პირის მიერ გარიგების დასადებად კი აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

ამათგან უნდა გამოვყოთ არასრულწლოვანის ქმედუნარიანობა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. არასრულწლოვანს, ასაკიდან გამომდინარე, არ გააჩნია სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების უნარი. მას არ შეუძლია, კანონიერი წარმომადგენლისაგან დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ან ნებისმიერ სხვა სფეროში, თვითონ გამოავლინოს ნება და დადოს გარიგება.

ბავშვი, როგორც ინდივიდი, საზოგადოების სრულფასოვანი წევრია. ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი და სერიოზულად განხილული წარმომადგენს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ შემუშავებული კონვენციის მე-12 მუხლის კომენტარის თანახმად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ ბავშვები ჩამოაყალიბონ თავისუფალი მოსაზრება და უნდა შეუქმნან ისეთი გარემო, რომელიც ბავშვს აძლევს საშუალებას გამოიყენოს მისი უფლება იყოს მოსმენილი. ამავდროულად, კონვენციის მე-3 მუხლის კომენტარის შესაბამისად (§17) ნებისმიერი ქმედება, რომელიც უკავშირდება ბავშვს ან ბავშვებს, უნდა ითვალისწინებდეს მათ საუკეთესო ინტერესებს, როგორც უპირველეს პრიორიტეტს. თუ რა განიხილება ბავშვის

საუკეთესო ინტერესად უნდა განისაზღვროს ყოველი ცალკეული საქმის მიხედვით. ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება მოქნილი და ადაპტირებადია. თითოეული გადანაცვტილებისათვის ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა შეფასდეს და განისაზღვროს ინდივიდუალურად, შესაბამისი ბავშვის თუ ბავშვების კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, მათი პირადი კონტექსტის, მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით .

კონვენციის მე-3 მუხლის კომენტარში, კომიტეტი ასევე მიუთითებს, რომ კონვენციის მე-12 მუხლი ბავშვს უზრუნველყოფს უფლებით, გამოხატოს თავისი მოსაზრებები ნებისმიერი იმ გადანაცვტილების შესახებ, რომელიც მას შეეხება. ნებისმიერი გადანაცვტილება, რომელიც არ ითვალისწინებს ბავშვის მოსაზრებებს ან არ ანიჭებს მის მოსაზრებებს სათანადო მნიშვნელობას ბავშვის ასაკისა და სიმწიფის ხარისხის მიხედვით, არ სცემს პატივს ბავშვის ან ბავშვების შესაძლებლობას, ზეგავლენა მოახდინონ თავიანთი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში. ამდენად, აღნიშნული ნორმა არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენლებს ანიჭებდა უფლებამოსილებას, განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე განეხორციელებინათ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა, მათ შორის არასრულწლოვანის სახელით დაედოთ გარიგებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების დღიდან იცავდა და მიუთითებდა არასრულწლოვანის ინტერესის გათვალისწინებას გარიგების დადებისას და გარიგების ნამდვილობის წინაპირობას უკავშირებდა არასრულწლოვანის მიერ სარგებლის მიღება. თუმცა, აღნიშნული საკითხი ფასდებოდა მხოლოდ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლების შეხედულების შესაბამისად. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მოქმედების (ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია, საქართველოში 1994 წლის 02 ივლისს შევიდა ძალაში ) მიუხედავად ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვის ერთიანი ხედვა არ არსებობდა. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციისათვის, 2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც, კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, მიზნად ისახავდა ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად საქართველოში ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას. კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანაცვტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნიშანდობლივია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედებამ არაერთ საკანონმდებლო აქტში გამოიწვია ცვლილების შეტანა, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებით დაწესდა სავალდებულო სასამართლო კონტროლი არასრულწლოვანის უძრავი ქონების გასხვისების პროცედურებზე. კერძოდ, 183-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. საგულისხმოა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსაც დაემატა ახალი ნორმა – 2511 მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ არასრულწლოვანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადანაცვტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.

გემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ბავშვის ქონების გასხვისებისას სასამართლოს თანხმობის მოპოვების აუცილებლობის შემოღება ბავშვის უფლებების სათანადო დაცვის, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, საკუთრების გარეშე დარჩენის რისკების გამორიცხვისა და მისი კეთილდღეობის მიღწევის მიზნებით არის განპირობებული. მსგავსი სახის დავა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, რაც საჭიროებს ქონების გასხვისების მიზეზის, მიზნებისა და სავარაუდო შედეგების შესწავლასა და ბავშვის მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენას ემსახურება კანონმდებლობით მსგავსი ტიპის დავებში არასრულწლოვნის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და ადვოკატის ჩაბმა. დასახელებულ პირთა პოზიციების გათვალისწინება საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

კოდექსის საფუძველზე ნათლად და ცალსახად განისაზღვრა ბავშვის ქონების განკარგვისას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესთან აღნიშნული გარიგების შესაბამისობის კვლევის აუცილებლობა. კოდექსის მე-19 მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნასყიდობის საგნის რეალიზაცია ცალსახად უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის უპირატეს ინტერესებს და ქონების გასხვისების ერთადერთი მიზანი უნდა იყოს, უზრუნველყოს არასრულწლოვანის ინტერესების უპირატესი დაცვა, მისი მატერიალური და მორალური კეთილდღეობა, უსაფრთხოება, პირადი ცხოვრების განვითარება.

მსგავსი ცვლილება განხორციელდა მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით გარიგების დადებისას და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში მიეთითა, რომ ბავშვის საკუთრებაში არსებული 1 000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.

„არასრულწლოვანის ქონების განკარგვის შესახებ ნებისმიერი გარიგების დადების დროს პრიორიტეტულია არასრულწლოვანის ქონებრივი უფლებების დაცვა, რადგან დაუშვებელია გარიგების შედეგად გაუარესდეს არასრულწლოვანის ქონებრივი მდგომარეობა. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და მომავალზე ზრუნვა არის უპირატესი ინტერესი გარიგების დადების დროს და გარიგების დადება განპირობებული უნდა იყოს ბავშვის როგორც მატერიალური, ისე – არამატერიალური აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობით“.

ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ბავშვი არის 18 წლამდე არასრულწლოვანი. მე-8 მუხლის თანახმად კი ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

ამდენად, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც იკვლევს სასამართლო არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საკითხის გადაწყვეტისას, არის არასრულწლოვანის აზრი და მისი უფლება – იყოს მოსმენილი.

ბავშვის უფლება, მოუსმინონ და სერიოზულად განიხილონ მისი მოსაზრებები, წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. კონვენციის მე-12 მუხლი ადგენს ყველა ბავშვის უფლებას თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მასზე გავლენას ახდენს და ამის მომდევნო უფლებას, ეს მოსაზრებები მნიშვნელოვნად იყოს მიჩნეული ბავშვის ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ეს უფლება წევრ სახელმწიფოს აკისრებს ნათელ სამართლებრივ ვალდებულებას, აღიაროს ეს უფლება და უზრუნველყოს მისი აღსრულება ბავშვის მოსმენით და მისი მოსაზრებისთვის შესაბამისი მნიშვნელობის მინიჭებით. ბავშვს აქვს უფლება, არ ისარგებლოს ამ უფლებით. აზრის გამოხატვა ბავშვის არჩევანია.

ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. ამავე კოდექსის 24-ე მუხლი ადგენს ბავშვის ოჯახში ცხოვრებისა და პიროვნული განვითარების უფლებას. მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგე-

ბელი სხვა პირი ვალდებულია პატივი სცეს ბავშვის პიროვნებას, აღზარდოს და იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის. მშობელი ბავშვის კანონიერი წარმომადგენელია და განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე გამოდის მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში. დაუშვებელია მშობლის მიერ მშობლის უფლებების ისე განხორციელება, მათ შორის ბავშვის ქონების იმგვარად მართვა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ზიანი მიადგეს. ეს შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ ქონებას, ბავშვის ჯანმრთელობას, განათლებას, მატერიალურ მდგომარეობას და ა. შ.


საკითხი იმის შესახებ, რა სახის გარიგებების დადებისას იყო საჭირო სასამართლოს თანხმობა. დღეისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 186-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკით განისაზღვრა, რომ სასამართლოს თანხმობა აუცილებელია იმ გარიგებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება არასრულწლოვანის საკუთრებაში რიცხული უძრავი ნივთისა და 1 000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვას, რაც გულისხმობს გასხვისებას და არა გაქირავებას ან იჯარით გადაცემას, ვინაიდან აღნიშნული გარიგების დადებისას უძრავ და მოძრავ ნივთზე არასრულწლოვანის საკუთრების უფლება ნარჩუნდება.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 186-ე მუხლის 11 ნაწილის თანახმად, ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განსაკარგად სასამართლო თანხმობას იძლევა კონკრეტულ (და არა ზოგადად მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე) გარიგებასთან მიმართებაში, რა დროსაც აფასებს, მათ შორის ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისობას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებთან. ქონების განკარგვის მართლზომიერების საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობა და პოზიცია. სასამართლოს მიერ ქონების განკარგვაზე ნებართვის გაცემისთვის მნიშვნელოვანია იმ გარემოებების მტკიცება, რომ ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა რატომ შეესაბამება უშუალოდ არასრულწლოვანის ინტერესებს და მისი ინტერესები როგორ იქნება დაცული გასხვისების შემდეგ. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ერთ-ერთ საქმეზე (საქმე №ას-1378-2021) უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „მიუხედავად სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემისა, ქონების განკარგვაზე განმცხადებლის იძულება ვერ მოხდება. ამასთანავე, სწორედ დავის თავისებურების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებელმა გადაწყვეტილება სათანადოდ შეასრულოს, რაც გამოიხატება უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში მიღებული სარგებლის მიზნობრივად – სასამართლოს მიერ გამოკვლეული და ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფი დაინიშნულებით გამოყენებაში. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესრულების – სარგებლის სათანადოდ გამოყენების კონტროლის სპეციალური მექანიზმი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. მიუხედავად ამისა, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასრულწლოვანის დედას დაუნესეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, რათა სააგენტომ განახორციელოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგი....“

კოდექსის შემოღებისას კანონმდებელმა ბავშვის უფლებების დაცვის გასაძლიერებლად აღსრულების მექანიზმების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე იმსჯელა და სწორედ ხსენებული სპეციალური მექანიზმის ერთ-ერთ გამოკვლინებას წარმოადგენს სასამართლოს კონტროლის შემოღება ბავშვის ქონების გასხვისებისას, თუმცა უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე მონიტორინგის საკითხი კანონმდებელს არ განუსაზღვრავს (რაც შესაძლებელია, კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილსაც კი წარმოადგენდეს)“.



# ქართულ-ებრაული ურთიერთობები



აბრამ-პაატა იოსებაშვილი



## ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიული მნიშვნელობა და დანიშნულება!

მსოფლიოში უნიკალური ფენომენი, ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი ძმობა და მეგობრობა, რომელიც დღეს აღიარებულია, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, არ არსებობს დიდი სიყვარულის გარეშე! საუკუნეებია, თობიდან თაობამდე, ერთად ვქმნით და ვამდიდრებთ ჩვენს საერთო კულტურულ მემკვიდრეობას და ამით ვაძლიერებთ ერთმანეთს. რამდენად უძვირფასესი და დასაფასებელია ორ მოძმე ერს შორის მრავალსაუკუნოვანი ერთგულება, ნდობა და იმედი.

ჩვენ ერთმანეთისთვის თავს ვწირავდით, რისი გასაოცარი მაგალითები ბლომად გვაქვს.

ჩვენი წინაპარი მამა-პაპანი საქართველოში, საქართველოსათვისაც ლოცულობდნენ, ამას ჩვენი წმინდათა წმინდა წიგნი-თორა, გვკარნახობდა და გვაგალებდა!

ჩვენი რაბინების გადმოცემით ქართული მინა წმინდა მინად იყო და არის აღიარებული, რადგან უღირსი ადგილი საუკუნეების მანძილზე, ვერ დაიტევდა ამდენ ქართველ და ებრაელ წმინდანებს! ურთიერთობის ტრადიცია დღესაც არ ნელდება, იგი გრძელდება და ვითარდება, თუმცა გაძლიერება სჭირდება!

გ ა ვ ი ხ ს ე ნ ო თ ჩვენი ერების კარგად შემონახული ისტორიული და ბიბლიური ძველი ისტორია:

ძველი წმინდა დედაქალაქები, მცხეთა და იურუსალიმი, უცვლელი სულიერი ცენტრები, ქართულ-ებრაული ურთიერთობების საუკეთესო მაგალითია!

მცხეთაშია დაკრძალული საქართველოს ეკლესიის პირველი წმინდანები, ქართველი ებრაელები, წმინდა სიდონია და მისი დედა.

აღსანიშნავია, რომ სვეტიცხოველში იკურთხებოდნენ წმინდა დავით წინასწარმეტყველის, ანუ დავით მეფის შვილის, ბრძენი სოლომონ მეფის, ანუ შლომო ჰამელეხის შთამომავლები, ბაგრატოვანი ქართველი მეფენი.

ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ საქართველოში, სხვა ერების ქვეყნებთან განსხვავებით შეუფერხებლად და უვნებლად, დაიცვა ებრაელმა თემმა თავისი რჯული, ტრადიციები და ადათ-წესები... მხოლოდ ეს საკმარისია განაპირობოს ურთიერთობების უნიკალურობა!

ამ უნიკალურმა ურთიერთობამ 27-ე საუკუნის დღევანდელ სინამდვილეში ჩვენთან ერთად სიამაყით შეაბიჯა.

ეს ურთიერთობა ცოცხლობს, ფეთქავს და უფრო მეტს გვპირდება, რაც ჩვენი, დღევანდელი თაობის დამსახურებაა, ამ უპრეცედენტო მეგობ-



რობამ რამდენიმე წლის წინ ეროვნული მნიშვნელობის სტატუსიც მოიპოვა.

ორი ერის ასეთ მრავალსაუკუნოვან ერთგულ მეგობრობას მსოფლიო მასშტაბით ანალოგი არ გააჩნია! 26 საუკუნეზე მეტი დევნილობაში გავატარეთ და წმინდათ შვეინახეთ ჩვენი რწმენა, ჩვენი თორა. მათი დამსახურებით შევინარჩუნეთ ტრადიციები, ადათ წესები, ჩვეულებები, ოჯახის სინძინდე. დღეს ახალგაზრდა ისრაელის სახელმწიფო მაღალ-მორალური, მწიფობრივ ფასეულობებზე დაფუძნებული, ძლიერი ქვეყანაა, მაღალი ჰუმანიტარული კრიტერიუმებით, სადაც დაცულია ყოველი ადამიანი.

ქართველები და ებრაელები ორი უძველესი და კულტურული ხალხი ვართ, ერთმანეთის ტრადიციების პატივისცემის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ისტორიის ასეთი ღირსეული ფურცლების დანერა!

ჩვენ საქართველოს ებრაელები და სხვა რელიგიების ხალხები საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად ვცხოვრობდით ერთად საქართველოში, ჩვენს შორის განსხვავების მიუხედავად ჩამოგვიყალიბდა მშვიდობიანი თანაცხოვრების კულტურა, რაშიც თვითოეულმა მხარემ საკუთარი წვლილი შეიტანა.

ერთმანეთთან ურთიერთობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რომელსაც მოფრთხილება და მომავალი თაობებისათვის უვნებლად გადაცემა სჭირდება.

საქართველოდან ამოსვლის შემდეგ, მხოლოდ ქართველმა ებრაელებმა გამოავლინეს ერთგულება და განსაკუთრებული სიყვარული თავისი მეორე სამშობლოსადმი, ერთგულება ქართული ენისა და კულტურისადმი.

თანამედროვე რეალობამ ადამიანების სასარგებლოდ დიდ მიღწევებს მიაღწია. კეთილი სურვილის მქონე ადამიანებისთვის მიმინდვია ამ უნიკალური ურთიერთობების შენარჩუნება, გაღრმავება და განმტკიცება.

იმ დროს, როცა მსოფლიო პანდემიამ მოიცვა და მთელი სამყარო განსაცდელს ებრძოდა, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ქართველ-ებრაელთა დაინტერესებულ ჯგუფთა ერთობლივმა სურვილმა შექმნა საჭიროება ჩამოყალიბებულიყო ახალი ორგანიზაცია.

ორი წელიწადი მსოფლიოში პანდემია გიზგიზებდა, შეკავდა საერთაშორისო ორგანიზაციის, გაერთიანება

"მეგობრობის მერიდიანების" ჩამოყალიბება. გადაწყვიტეთ მეტს აღარ დაველოდებოდით.

ვ ა ც ხ ა დ ე ბ თ!

პანდემიის ქარ-ცეცხლის შუა პერიოდში ჩამოყალიბდა საერთაშორისო გაერთიანება

"მეგობრების მერიდიანები", გამოდის მისი საინფორმაციო წყარო, ჟურნალი "მეგობრობის მერიდიანი". გამოიცა ჟურნალის მე-3 ნომერი.

ამ მამაშვილური და ისტორიული მნიშვნელობის საქმის ირგვლივ გაერთიანდნენ სიტყვა-საქმიანი გულმნათი და გულანთებული ადამიანები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები!

ქართულ-ებრაული ურთიერთობა ურყევი ფენომენია, მართალია ფერმკრთალია, მაგრამ დავიწყებას არ მიეცემა. ის ორი ერის მომავალ ჰაიტეკის თაობებს ჯანმრთელი, უვნებლად უნდა გადაეცეს.

ქართულ-ებრაული ურთიერთობის ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია

"მეგობრობის მერიდიანები" და იმავე სახელწოდების ჟურნალი, ქართველი და ებრაელი ერის მარადიული მეგობრობის კუთვნილება იქნება.

სხვა დასახულ მიზნებთან ერთად ჩვენი მიზანია საქართველოში არსებული ებრაული მემკვიდრეობების პოპულარიზაცია, მეცნიერული კვლევა, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების განახლება,



შესწავლა და გაღრმავებაა, რაც ჩვენ ერებს შორის საუკუნეობრივად არსებობს და მისაბაძია მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის!



მივცეთ ახალგაზრდობას საშუალება გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და წარუდგინონ ფართო საზოგადოებას, რაც ხელს შეუწყობს ახალი თაობების სასურველ განვითარებას და პროფესიულ ზრდას!

ღრმა პატივისცემით

პროფ. აბრამ-პაატა იოსებაშვილი!

საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში!

საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე!


საქართველოს მწერალთა კავშირის დიპლომირებული "ღვანლმოსილი"!

ნამდვილი ოქროს მედლით დაჯილდოებული!

სპეციალობით არქიტექტორი!



## ისტორია



### გიორგი აღნიაშვილი

საქართველო – ევრ-აზიის საზღვარი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე განაპირა ქვეყანა და აზიაში ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა.

საქართველოა ლეგენდარული კოლხეთი, იაზონის და მედეას შესახებ ლეგენდის დასაბამი და დიდი მეფის აიეტის სამეფოც საქართველოა საქართველოა ლეგენდარული ნართების სამეფოც, ღმერთის მამულში დიადი მეფე იალბუზის და დედოფალი თეთნულდის ლეგენდის სამშობლოც. საქართველოა კავკასიონი, ბერძენი პრომეთეს და ქართველი ამირანის ლეგენდის სამშობლოც. საქართველოა – ფარსმან ქველის სამეფო, რომელსაც პატივი დასდეს და რომის იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა პატივისცემის ნიშნად ცენტრალურ მოედანზე დაუდგეს ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება. მსოფლიოში 5000-მდე ერია და მხოლოდ 200-მდე სახელმწიფო. ჩვენ უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ერი ვართ. საქართველოა – ქვეყანა რომელმაც გააჩნია საკუთარი უნიკალური ენა; ასომთავრული, მხედრული და ნუსხური დამწერლობა და ისინი იუნესკოს მიერ მსოფლიოს არამატერიალურ ძეგლთა შორის მოიხსენიება.

საქართველოა – ვაზისა და ღვინის სამშობლო. რასაც ადასტურებს როგორც ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალები, ასევე ლიტერატურული ძეგლები. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დრო აღმოჩენილ იქნა ყურძნის წიპნები, რომელიც ძვ.წ. 7-6-ე ათასწლეულებს განეკუთვნება. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ენეოლითის დროინდელი მარანი. საქართველოში 500-ზე მეტი ყურძნის ჯიშია აღწერილი.

საქართველო – ხორბლის სამშობლოა. მსოფლიოში 27 სახეობის ხორბალი არსებობს. აქედან 23 არის კულტურული სახეობა. ამ 23-დან კი 14 არის ქართული ხორბლის ჯიშები.

საქართველოში 1991 წელს, ვერძოდ კი დმანისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩენილი იქნა ადამიანის ნაშთები, რომელიც დაახლოებით 1.8 მილიონი წლისაა.

ეს ევროპაში აღმოჩენილი ადამიანის უძველესი ნაშთებია, რომლითაც დასტურდება, რომ ქართველებმა სათავე დაუდეს თეთრ კანიან რასას.

საქართველოა – ბორჯომის რაიონის სოფელ საკირესთან აღმოჩენილი იქნა ყორღანი, რომელიც მესამე ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება და დაახლოებით 5500 წლის არის. არქეოლოგებმა ასევე აღმოაჩინეს თაფლის ორი ჭურჭელი, რომელიც ტუტანჰამონის სამარხში არსებულ ცნობილ თაფლზე, თითქმის 14 საუკუნით უფრო ძველია.

საქართველოა – ქვეყანა რომლის პოლიფონიური მუსკია მსოფლიოშია აღიარებული როგორც მსოფლიო კულტურის საგანძური. 1977 წელს ილია ზაქაიძის და როსტომ საგინაშვილის მიერ შესრულებული სიმღერა "ჩაკრულო", ნასამ კოსმოსში გაგზავნა.

საქართველოა – უნიკალური ცეკვების სამშობლო, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. საქართველოა – რომლის ქრისტიანული არქიტექტურა უნიკალურია, უნიკალურია თბილისური აივნები. საქართველო – ერთერთი უმდიდრესია მსოფლიოში მინერალური წყლებით

საქართველოა – ქვეყანა, რომელიც გენერალისიმუსის და სხვადასხვა დროს ამერიკაში, რუსეთში და ევროპაში მოღვაწე მაღალი სამხედრო წოდების მქონე პირების სამშობლოა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მსოფლიო ისტორიაში. ქართული სუფრა და მისი ტრადიციები, ქართული სამზარეულო უნიკალურია მსოფლიოში და მას ანალოგი არ გააჩნია. ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგია – ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგია რომლის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. საქართველო – მსოფლიო სპორტის ისტორიაში საქართველო მნიშვნელოვან პოზიციებს ინარჩუნებს და ბოლოს, საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, საქართველოში ინახება უფლის კვართი და მარიამ ღვთისმშობლის სარტყელი. ბიბლიურად მეორე მოსვლის ჟამს უფლის მაგიდაზე ღვინო საქართველოდან მოვა.





გოჩა ჭელიძე



ჩემმა მშობლებმა ივერი ჭელიძემ და ნელი გელაშვილმა თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას გაიცნეს ერთმანეთი. მალე 1969 წელს ოჯახიც შექმნეს და ზემო სვანეთში დაფუძნდნენ. დედა ნელი გელაშვილი მესტიის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოღვაწეობდა და მისი მოღვაწეობა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას მიუძღვნა. ნელი გელაშვილმა ჩვენს სამშობლოს და მის გამორჩეულ მხარეს სვანეთს დაუტოვა ძალიან საინტერესო ეთნოგრაფიული ნაშრომები. დედის გარდაცვალების შემდეგ მოვაროვე მისი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა და წარმოგიდგინე ნაწილს, რომელიც ქალის დანინდვის და დანიშვნის წესს შეეხება.



**ნელი გელაშვილი  
ქალის დანინდვა (დაკავება) და დანიშვნა ზემო სვანეთში**

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით სვანეთში ქალის დანინდვისა და ნიშნობის შემდეგი სახეები და ფორმები დასტურდება: დაბადებამდე დანინდვა (რომელიც უმთავრესად პირობის სახით გვხვდება, ან წინასწარ შეთანხმებად გვევლინება); აკვანში დანინდვა; დაკავებული ქალის დანიშვნა; მცირეწლოვანთა დანიშვნა; პირობით დანიშვნა; სრულწლოვანთა დანიშვნა მოციქულების საშუალებით.

1) დაბადებამდე დანიშვნა:

ძველად სვანეთში დედ-მამა ყოველთვის ცდილობდა, რომ თავის ჯერ კიდევ გაუჩენელი ვაჟისათვის „დედის მუცელშივე დაენიშნა საცოლვე, ამის მიზეზი იყო დედათა სქესის სიმცირე მამრობით სქესთან შედარებით.“ – /ბესარიონ ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები/.

„ორი მეგობარი როდესაც ნადირობის დროს გამოცდიდა ერთმანეთს, ან თუ ორ ოჯახს ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა, ცდილობდნენ ეს განემტკიცებინათ დამოყვრებით. ასეთ შემთხვევაში პირობას დებდნენ, რომ თუ ერთის ცოლს გოგონა შეეძინებოდა, ხოლო მეორეს ვაჟი, აუცილებლად მიეცათ ერთმანეთისათვის. ამ პირობის აღსანიშნავად მომავალი დედები თავსაფრის ბოლოს განასკვავდნენ ხოლმე. ეს განასკვული თავსაფრები სიმბოლოდ რჩებოდა მანამ, სანამ საქმე არ დაგვირგვინდებოდა.“ – /მთხრობელი 69 წლის კუკულა ირაკლის ასული ჟორჟოლიანი-ჭაფარიძე. დ. მესტია. 1977 წელი/.

„ჯუინალდ ხადვთისგა იყდანვიხ. ნიშნად ხაჰვიღვიხ ცხუ /ფინდისხ/ ეჩქას ნიშან ალი ლასვ. შომა დინა ჟ,ანცხამ ი ლეჭრი ხოლა ირივ ი დინა მერმათე ადწვილივ, ეჩქას მიჩა მიჩა მანკუნ მყდანი ჭაშვ ჩუ ხოდგარივ, მადე ჯმილს“. (ძველად მუცელში ნიშნავდნენ – იკავებდნენ. ნიშნად აძლევდნენ /ტყვიას/ ისარს). მაშინ ნიშანი ეს იყო. როცა ქალი გაიზრდებოდა და საქმრო ცუდი იქნებოდა და ქალი სხვას მითხოვდებოდა, მაშინ მისი პირველი დამნიშნავი მოუკლავდა ქმარს ან ძმას. – /სვანური პროზაული ტექსტები/.

ამ ოჯახის ქალებს თუ ეყოლებოდათ ერთს ქალი, მეორეს ვაჟი, ვაჟის მამა მივიდოდა ქალის დედ-მამასთან. მიუტანდა „ნიშნად“ /ფინდიხს/ თოფის ტყვიას, ჩააბარებდა და ეტყოდა: „აი ეს ფინთხი ნიშნად და წამოზრდის შემდეგ, თუ ვისმეს წაუყვანია ჩემი დანიშნული შენი ქალი, მაშინ იცოდე, რომ ჩემი საკაცზე შენს სახლზე იქნება მიყუდებული. ამ სიტყვების აზრი შემდეგია: თუ შენი ქალი ან ნებით მიეცი სხვას, ან თუგინდ შენს უნებურად ვინმემ წაიყვანა, მაშინ მე, ვაჟის მამა თავს შეგაკლავ ან შენ მოგკლავ.“ /ბესარიონ ნიჟარაძე/.

ერთი წლის განმავლობაში დანიშნვის შემდეგ გოგოს მშობლები მიიპატიჟებდნენ თავიანთ ოჯახში პატარა სასიძოს. დედა აკვანში ჩანვნილ ვაჟს შუბლზე წაუსვამდა ნახშირს, თავის ქვეშ ამოუდებდა ნახშირს ან დანას, რომ თვალი არ სცემოდა და ისე მიიყვანდა მას სარძლოს სახლში. სასიძო მიჰყავდათ ღამით; ორივეს დედები შესთხოვდნენ ღმერთს, რომ მათი შვილების პირველი შეყრა ბედნიერი იყოს და სხვა.

დაბადებამდე დანიშვნის ჩვეულება დასტურდება ასევე ძველი ხევის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც.

## 2) აკვანში დანიშნვა:

აკვანში მწოლიარე ქალ-ვაჟის დანიშნვის წესი ძველად სვანეთში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მისი გავრცელების სინამდვილეს ადასტურებენ ძველი ხალხური გადმოცემები.

აკვანში მწოლიარე ქალ-ვაჟის დანიშნვა მათი მშობლების სურვილზე ყოფილა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში პირველი ნიშანი ტყვია იყო. „ეჭვარ ამგვარ ხოლა მაი ახფასოლ აშხვ, ედ მასსგარ იროლხ, ეში ჩუ დემ ყველენდახ, დეი ჩუ მომ ცვირახ, ადო ეჩქას დაგრობ ხეჭმენდა.“ (რაც არ უნდა ცუდი დამდგარიყო ერთი, ან სძულეობდათ ერთმანეთი, მაინც ვერ მიატოვებდნენ, ვერ დასცილდებოდნენ, თორემ მაშინ მკვლელობა მოჰყვებოდა).

აკვანში გოგოს დანიშნვის დროს სავალდებულო არ იყო ბიჭიც აკვანში ყოფილიყო. ასაკის განსხვავება დასაშვები იყო. ამგვარი წესი ახლა აღარსად გვხვდება და ქალ-ვაჟის დაქორწინება უკვე მათი მოზრდის შემდეგ ხდება.

აკვანში დანიშვნის ჩვეულება დასტურდება ასევე ძველი სამეგრელოს, გურიის, მთიულეთის და ხევსურეთის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც.

## 3) დაკავებული (ლიგჭე, ლიყდანი) ქალის დანიშვნა

დაბადებამდე, ან აკვანში დაკავებული ქალის დანიშვნა ხდებოდა სრულწლოვნად 17-20 წელი გახდომის შემდეგ. იგი სრულდებოდა ყოველგვარი იმ ცერემონიალის დაცვით, როგორც ჩვეულებრივი ნიშნობის დროს – რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

## 4) მცირეწლოვანთა დანიშვნა:

ძველად, ზემო სვანეთში, დაბადებამდე და აკვანში ქალის დაკავებასთან ერთად ფართოდ იყო გავრცელებული მცირეწლოვანთა (4-5 წელი) დანიშვნა.

მცირეწლოვანი ბავშვების დანიშვნაც მშობლების ნება-სურვილზე ყოფილა დამოკიდებული. დანიშვნის ინიციატორად ვაჟის მამა გამოდიოდა ხოლმე.

„პირველი ნიშანი იყო ტყვია. ამის შემდეგ ვაჟის ოჯახი დიდი ყურადღებით არის აღნიშნული გოგოს მიმართ. გოგო რომ გახდება 13-14 წლის, ვაჟის ოჯახიდან გოგოს ოჯახში მიდის 5-6 კაცი. მათ შორის ერთი ქალი. მათ მიაქვთ ფული, 10-15 ლიტრა არაყი, 1 ხბო ან ცხვარი.- ალას ხოშა ნიშნიშ ლიდისგ ხეშხენ. /ამას დიდი ნიშნის დადება ერქვა. ერთი წლის შემდეგ გოგოს ოჯახიდან მოდიოდა ვაჟის ოჯახში ათამდე კაცი და ერთი ქალი, მაშინ იღებდნენ ნაყდანურს: 1 კარგ ხარს (ღირდა 20-25 მანეთი), ან 3 ძროხის საფასურს. (1 ძროხა ღირდა 15 მანეთი). 3-4 წლის შემდეგ ნაჭვლაშზე რიგდებოდნენ. 20 წლისა რომ გახდებოდა ქალი, მაშინ უკვე ქორწილი იყო.“ – /მთქმელი მამურბა ბიტის ძე გირგვლიანი, 78 წლის, სოფ. ლატალი. 1977 წელი/.

5) პირობით დანიშვნა:

პირობით დანიშვნა ჩვენს მიერ პირველად იქნა სვანეთის სინამდვილეში დადასტურებული. ვთქვათ, ვაჟს და მის გვარეულობას მოეწონათ ქალი, მაგრამ ქალი კი არ იცნობს მათ ვარგად და არც სურს ამ ვაჟის ცოლობა, ვაჟი და მისი სამხუბის /სამძმოს/ წევრები კი ქალს თავს არ ანებებენ. ქალის მიზეზით თავის მხრივ უარზე დგანან ქალის სამხუბი, ოჯახის წევრები. ამდენად გამოდის, რომ ორივე მხარე არ თმობს თავის პოზიციას. ასეთ შემთხვევაში, ზემო სვანეთში ერთადერთ გამოსავლად მიაჩნდათ პირობით დანიშვნა. ეს ხდებოდა შემდეგნაირად: „ვაჟის მხარე შესთავაზებდა ქალის მხარეს პირობით დანიშვნას განსაზღვრული /1-2 წელი/ ვადით. ეს იქნებოდა ერთგვარი გამოცდა. თუ ამ ხანში ქალს ვაჟი შეუყვარდებოდა, მაშინ ეს პირობითი ნიშნობა ქორწილით დაგვირგვინდებოდა, ხოლო თუკი ამ ხნის განმავლობაში ქალს ვაჟი არ შეუყვარდებოდა, ვაჟი მშვიდობიანად ჩამოშორდებოდა ქალს და მტრობას ადგილი აღარ ექნებოდა მათ შორის. ამ პირობას ხატზე დაფიციებით სჭირდებოდა განმტკიცება“. /მთხრობელი 67 წლის ლუბა ფარნაოზის ასული ჯაფარიძე, მესტია, 1974 წელი/.

6) სრულწლოვანთა დანიშვნა – მოციქულების საშუალებით:

სრულწლოვანთა დანიშვნა ზემო სვანეთში, როგორც ჩანს, უფრო მეტად ხდებოდა და დღესაც შემორჩენილია შუამავლების – მეცქვლარ მიგზავნიო. მოციქულებად სვანი ყოველთვის სოფლის გავლენიან პირებს აგზავნიდა. მათ შორის შეიძლება ყოფილიყო ქალის ნათესავი, ვაჟის სამხუბის წევრი, სულ 3-6 კაცი. საერთოდ სვანეთში, პირველივე მისვლისთანავე დათანხმება, რაც არ უნდა შესაფერისი საქმრო ყოფილიყო იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა... როგორც სავლელე მასალები გვიჩვენებენ, თითქმის არცერთი ქალი არ არის გათხოვილი ისე, რომ შუამავლები რამდენჯერმე არ მოსულიყვნენ მის ოჯახში. არის აზრი, რომ თითქოსდა თავიდანვე დათანხმება ქალს და მისიანებს გარკვეულად ამცირებდა. უარის სათქმელად მშობლები ქალის გასათხოვრად მოუმნიფებლობას და სხვა მრავალ მიზეზს ასახელებდნენ. პირველად მიღებული უარის შემდეგ მოციქულების მოქმედება არ წყდებოდა. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, ყოფილა შემთხვევები როცა მოციქულობა 10-12 წელიწადს გაგრძელებულა.

„გულში თანახმაც რომ ყოფილიყვნენ, პირველ ხანებში მაინც უარით ისტუმრებდნენ ნათესავები მოციქულებს, ხშირად ლანძღავდნენ კიდევ მოციქულებს, მაგრამ ამ უკანასკნელებს მოთმინება მართებდათ, მათ არ უნდა წყენოდათ უარი“. /მიხეილ ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან/.

ასეც ხდებოდა: „შემოსულ მოციქულებს გოგო და დედა დაუჩოქებდა, ჩამოიხდიდა თავიდან სწრაფად თავშალს, შემოახვევდა ერთ ერთ მათგანს მუხლებზე და შეეხვენებოდა „ნოსა ლაქვად იშგნაგ, ალ გვემ მამა ისყი. გვიშგვეი ყორ ქამენჩუ ნოსა ლაქვა, ო, მიშგუ ლადალ სი“ – სხვაგან არსად თქვათ ეს საქმე არ გაკეთდება, ჩვენს კარს იქით არ თქვათ, ო, თქვენ გენაცვალეთ“. მთხრობელი პიმენ სიმონის ძე ჭელიძე, 68 წლის, სოფ. უშგული. 1976 წელი.

ბოლოს და ბოლოს მოციქულობა მეტწილად შეთანხმებით მთავრდებოდა, რაც ქმნიდა მეტად კარგ განწყობას როგორც ვაჟის, ისე ქალის გვარეულობათა შორის.

სვანური ოჯახი იქმნებოდა საკმაოდ რთულ სოციალურ გარემოში. საქორწინო ურთიერთობებში განუსაზღვრელად ერეოდნენ სამხუბი და ნათესავები. ქორწინებამდე ორივე მხარე: ქალისა და ვაჟისაც მოვალე იყო გადაესინჯათ მექორწინეთა გვარებისა და უახლოესი ნათესავების ურთიერთობა. უხუცესების საშუალებით უნდა დაედგინათ: ხომ არ არსებობდა მათ შორის ლიდგარიელ – მკვლელობა, ლიქაჩიელ – დაჭრა, ლიცვარიელ – მიტოვება, ლიყარიელ – ჩხუბი და სხვა, რაც გამოიხატებოდა ტერმინით-ლხ, ნანხრევი, თუ მექორწინლეთა გვარებს შორის აღმოჩნდებოდა ნანხრევი, ამ შემთხვევაში ქალის მხარე გადაჭრით მოითხოვდა

მონწერიგებულები ურთიერთობა სამხუბებს შორის; წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალის გატანებაზე უარს ამბობდნენ.

სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში განსაკუთრებულ შემთხვევებში ნიშნობას წინ უსწრებს დაწინდვა /ფინდობ/. იგი ორნაირი სახის გვხვდება ყოფაში: მშვიდობიანი გზით და ნაძალადევად.

1) ნიშნობა მშვიდობიანი გზით

როდესაც სასიძოს მხარეს არ შეეძლო დანიშნულ დროს არ გადაეხადა ნაჭვლაში. მაშინ ნიშნობამდე მივიდოდა ვაჟის მხრიდან ხალხი ქალის ოჯახში და მიუტანდა 40-50, ზოგ შემთხვევაში 100 მანეთსაც. ამის შემდეგ ქალი დაკავებულად ითვლებოდა და სვანეთში კი ცვარა – მიტოვება სისხლით განიბანებოდა, ან ნახევარი წორი – სისხლის ფასი უნდა გადახდილიყო 5-6 დღიური ყანის ოდენობით. ეს უკანასკნელი კი ოჯახს გაღარიბების გზაზე აყენებდა.

დაკავება ხდებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც რაიმე მიზეზის გამო ეს საქმე საჩქარო იყო და ქალის ოჯახს არ ჰქონდა დრო ნიშნობის მომზადების და გადახდისა. ამ შემთხვევაში მოციქულები ეტყოდნენ მშობლებს: „ჩიჟეი ფინდის ეში სგათხინდ ქორთე“ – სიძე და ფინდისი მაინც მიიღეთ სახლშიო. როდესაც თანხმობას მიიღებენ, დანიშნულ დროს სიძე და 5-6 კაცი – ახლო ნათესავები. მივლენ გოგოს სახლში და ნიშნად მიაქვთ ფინდისი“. /მთხრობელი ჰიმენ სიმონის ძე ჭელიძე, 68 წლის, სოფ. უშგული. 1976 წელი/. სვანეთის დღევანდელ სინამდვილეში ფინდისმა ნიშანის მნიშვნელობა შეიძინა. მაგალითად, ფინდისის სახელით ვაჟის ოჯახს მიაქვს ბეჭედი, ან სხვა რაიმე ნიშანი, ნივთი.

დაწინდვა ხდებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ქალი მგლოვიარე იყო და მას არ ჰქონდა ნიშნობის გადახდის თავი. ვაჟის მხარე ჩქარობდა, სხვას რომ არ დაესწრო ამ ქალის თხოვება. ამ შემთხვევაში ვაჟის ნათესავები მივიდოდნენ ქალის ოჯახში, მიიტანდნენ ნიშანს, რის შემდეგ ქალი უკვე დაწინდული იყო.

2) ნიშნობა ნაძალადევად:

იმ შემთხვევაში, თუ ვაჟის მოციქულებს ქალის მშობლები გადამწყვეტ უარს ეუბნებოდნენ წლების განმავლობაში და ვაჟის მხარე საბოლოოდ კარგავდა საქმის კეთილად დაბოლოების იმედს, მაშინ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც სასიძო ღამით ჩუმად შეიპარებოდა ქალის სახლს, შეაგდებდა სახლში ნიშანს-ტყვიას, ან „ჩიხრას“ – ვაჟის პატარა თეთრი ქვა, ან ფულს, ან თოფს გაისვრიდა და დაიძახებდა: „ალ დინა ქა იშგვინხ“ – ეს გოგო ითხოვეს; სასიძოს მიმალვამდე გოგოს ოჯახის წევრები თუ მოასწრებდნენ ნიშნის უკანვე დაბრუნებას – სროლას, მაშინ ბიჭს უკვე ვერაფერი შველოდა, ნაგებული იყო; ხოლო თუ ისე სწრაფად მიიმალებოდა, რომ გოგოსიანები ვერ მოასწრებდნენ ნიშნის უკან სროლას, იმას ნიშნავდა, რომ გოგო უკვე ითხოვეს, დაწინდეს, მისი მიუცემლობა „ლიცვრეს“ უდრიდა. /მთხრობელი ჰიმენ სიმონის ძე ჭელიძე, 68 წლის, სოფ. უშგული. 1976 წელი/. ამის შემდეგ ქალის ოჯახს ვერავინ გაუბედავდა ამ ქალის თხოვას. ვაჟის მხარე გაუგზავნიდა გოგოს ოჯახს მოციქულს (1-2 კაცი) შესარიგებლად. მოციქულებად ქალის ნათესავებს იყენებდნენ. /მთხრობელი ლუბა ანტონის ასული ჩარკვიანი. სოფ. უშგული. 1975 წელი/.

საქმე მედიატორობამდე მიდიოდა. ქალისა და ვაჟის მხარეები აირჩევდნენ თავ-თავიან ხალხს. იკრიბებოდნენ ქალის ოჯახში. მასპინძელი მიიწვევდა მათ გაშლილ სუფრასთან და ვახშობის დროს მოუყვებოდა მედიატორებს, თუ რა შეურაცყოფა ახსოვს ვაჟის გვარიდან. ამის შემდეგ მედიატორები განსაზღვრული თანხის გადახდას დაავალდებდნენ ვაჟის ოჯახს. რის გადახდის შემდეგ ქალის მშობლები თანახმა იყვნენ ნიშნობაზე და დათქვამდნენ ნიშნობის დღეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „თუ მოსისხლე გვარეულობა შერიგდებოდა და მოკლულის გვარეულობის რომელიმე ოჯახის ვაჟს მკვლელის გვარეულობის ერთ-ერთი გასათხოვარი ქალი

მოწონებოდა, მაშინ ვაჟის ოჯახი მოციქულებს აგზავნიდა ქალის ოჯახში. ასეთ შემთხვევაში მშობლები უმეტესად თანხმდებოდნენ ქალის გატანებას, რადგან მათი ქალის გამო მათ ოჯახს და გვარს მტრობა ასცილდებოდა და დამყარდებოდა კეთილი ურთიერთობა“. /მთქმელი 72 წლის მამში ჟორჟოლიანი, მულახი, 1976 წელი/.

ზემო სვანეთში ნიშნობა ორნაირი სახით დასტურდება. 1) „ხოხვრა ნიშნობ“ პატარა ნიშნობა და 2) ხოშა ნიშნობ – დიდი ნიშნობა. /მიხილ ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან/.

1) ხოხვრა ნიშნობ უნდა მომხდარიყო ვაჟისა და ქალის ოჯახების მიერ შერჩეულ კარგ მთვარეზე. „კარგი მთვარე იყო 6, 9, 12, 16 დღის. ნიშნობისთვის შეარჩევდნენ აგრეთვე შაბათ დღეს. ამ დღისათვის ვაჟის მხრიდან ქალის დასანიშნად მიდიოდა 5-6 კაცი. მათ შორის მშობლები, ძმები და მკვიდრი ნათესავები. ნიშანი მიჰქონდა ვაჟის ნათესავ ქალს. ნიშანი იყო ფული. დადგენილი არ იყო. ზოგს მეტი მიჰქონდა ზოგს ნაკლები, თან მიჰქონდათ 10 ლექვრაში – ერთი ლექვრაში 4 ლ არაყი. ამათ დასახვედრად ქალის ოჯახი ამზადებდა სუფრას.

2) ხოშა ნიშნობის დროს ვაჟის მხრიდან ქალის დასანიშნად მიდიოდა 15-20 კაცი. დასანიშნ ვერცხლის ბეჭედთან, ფულთან და არაყთან ერთად ვაჟის ოჯახს მიაქვს საკლავი ხბო, ცხვარი ან ვაცი.

ქალის სახლში შესვლისას ამბობდნენ: „ბედნიერუ ლი ბაზი ლეთ, მაგ ხოჩავ გარ ახჭემა ალ გვეშს – დინა ქორშალ ქახეშოლხ ი ხატსახ: ბედნიერული ისგვეიალ ქორისგა ლიხედ ი გუშგვეი ლიაქუ“ – ბედნიერი იყოს ამალამდელი ღამე, ყველაფერი კარგი მოჰყოლოდეს ამ საქმეს. ქალის ოჯახის წევრები ეგებებოდნენ მათ და პასუხობდნენ: – ბედნიერი იყოს თქვენი ამ ოჯახში შემოსვლა და ჩვენი დამოყვრება“. ქალის ოჯახში დალოცავდნენ სასიძოს, მის მომყოლებს, გამოსთქვამდნენ სურვილს, რათა კარგ მთვარეზე შემოედგათ მათ ფეხი ამ ოჯახში და ბედნიერი ყოფილიყოს ეს საქმე. შემოსულ ახალ მოყვრებს დასხამდნენ უფროს-უმცროსობის მიხედვით. სუფრის თავში „ასკამზე“, ე.ი. ერთი კაცის სავარძელში ოჯახის უფროსი ჩაჭდებოდა, რადგან იგი მას ეკუთვნოდა ჩვეულების მიხედვით. პირველი ყანწით, ან კათხით დაილოცებოდა ოჯახის უფროსი და იტყოდა; „ღერბათუ ამჟი ახკაფან ი ხოჩამ დომდულსუ ათხვიენა ალ გვეშ, ალიარს ხოლა თეი ხაყბა მქაბივ ხარხ ი ალიარე ლიფშირუ ი ლიშგაიშუ ალხიდელიშდ-ამინ“ – ღმერთმა ასე ისურვა და კარგ მთვარეზე მომხდარიყოს ეს საქმე, ამით ყოველგვარი ავი თვალი ააცდინოს, მათი სიმრავლით და ვაჟების ყოლით გახარებული ვყოფილიყავით – ამინ. ხალხი ამინს შეაგებებს დამლოცავს. იგი სასმელს ზემეულად დალევს და შემდეგ დაჭდება. დანიშნულებს რომ ყველა ადღეგრძელებს, ვაჟის მამა ადგებოდა და იტყოდა „მიიი ნუმავ ხვი შგურალ ისგვეი ცახან ი ჩუვ ესხვიენა ისგვეი სამხუბს ეჭუფ, იმგვაი ხოსგუვ“ – მეც არ შევრცხვენილიყავითქვენთან და დავხვედროდე თქვენს გვარს ისე, როგორც შეშვენის. /მთხრობელი გრიშა აზნაურის ძე ჯაფარიძე 83 წლის. მესტია. 1977 წელი/. ამის შემდეგ იმართებოდა ლხინი. შუა ლხინის დროს ადგებოდა დამნიშნავის მომყოლი ქალი, იგი ნიშანს აძლევდა საპატარძლოს. იყო შემთხვევები, როდესაც საპატარძლო არ ჩნდებოდა ხალხში, სცხვენოდა, მაშინ ნიშანს გადასცემდნენ გოგოს დედას. შემდეგ დაიწყებოდა სიმღერა, პირველად წმინდა გიორგის სიმღერას იტყოდნენ, ურომლისოდაც სვანეთში არცერთი ლხინი არ იწყებოდა. /მთხრობელი ჰიმენ სიმონის ძე ჭელიძე, 68 წლის, სოფ. უშგული. 1976 წელი/.

ახალი მოყვრები გათენების ჟამს ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, ნიშნობის შემდეგ სიძე რჩებოდა /1-2 კვირას/ გოგოს ოჯახში. იქ იგი მონაწილეობას ღებულობდა ოჯახურ საქმიანობაში. ცდილობდა თავი შეეყვარებინა „ლამთილისათვის“ – ცოლეურებისათვის.

1979 წელი.

## ეს დროც იყო!!!

1944 წლის 8 აპრილს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გაუქმების თაობაზე. ამავე ბრძანებულების თანახმად ბალყარეთის ტერიტორიის ნაწილი საქართველოს გადაეცა. შედეგად, საქართველოს ზემო სვანეთის რაიონის შემადგენლობაში შეიქმნა ელბრუსის სასოფლო საბჭო. ამავე ბრძანებულებით შეიცვალა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარი.

1944 წლის ივლისის პრესა წერდა: იალბუზის სასოფლო საბჭო ზემო სვანეთის სასოფლო საბჭოებს შორის გამოირჩევა თავისი ბუნებრივად მდიდარი და ულამაზესი ადგილებით. ბეჩოდან დილით გასული მგზავრი საღამოს უკვე იალბუზშია. იალბუზის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე ბაქსანის თვალწარმტაც ხეობაშია გაშენებული სოფლები: იალბუზი, თეგენეკლი, ბაიდაევკა, გაგიში, ჩაფურთალა. ყველა ეს სოფლები შეადგენენ იალბუზის სასოფლო საბჭოს. იალბუზის სასოფლო საბჭოს ცენტრში კარგახანია მუშაობას შეუდგა სასოფლო საბჭოს აღმასკომი. მომავალი სასწავლო წლისათვის უკვე მზადაა იალბუზის დაწყებითი სკოლა. სკოლის გამგედ მუშაობს ამხ. ი. ქოჩიანი. სკოლა უკვე დაკომპლექტებულია სასკოლო ასაკის ბავშვებით. იალბუზში უკვე მუშაობს საექიმო პუნქტი. ექიმი ვლადიმირ გერშტენკერი. საექიმო პუნქტს დათმობილი აქვს ორსართულიანი შენობა. გაიხსნა კავშირგაბმულობის რაიკანტორის სააგენტო. უფროსი შ. რეხვიაშვილი. სოფლის კოოპერატივმა უკვე დაიწყო მომხმარებელთა უზრუნველყოფა პირველადი მოხმარების საგნებით. მთავრობამ დასახლებულებს დახმარების სახით მისცა 10 ტონა სიმინდი. გაგზავნილია მშრომელთა გუნდი მენველი საქონლის ჩამოსაყვანად, რომელიც მთავრობამ მისცა ახლად დასახლებულებს. ეწყობა კლუბი და სამკითხველო, რომლებსათვისაც გამოყოფილია შენობები. ახლად დასახლებულთა კეთილმოწყობისათვის ენერგიულად მუშაობს საქართველოს მთავრობის რწმუნებული იალბუზის სასოფლო საბჭოში პ. კობახიძე. სასოფლო ტერიტორიის პირველადი პარტორგანიზაცია, მდივანი ი. ქოჩიანი, სასოფლო საბჭოს აღმასკომი თავმჯდომარე ი. უშხვანი, კომკავშირის პირველადი ორგანიზაცია თავმჯდომარე ბ. კვიციანი ყოველდღიური შრომით ზრუნავენ ახლად დასახლებულთა კეთილდღეობისათვის.

1945 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ზემო-სვანეთის რაიონის შემდეგ სოფლებს გადაერქვა სახელები და ეწოდა: გიშს – იალბუზი, თეგენეკლს-ფიჭვნარი, ბაიდაევს – თამარიანი, ყუბასანს – განახლება, ზემო ბაქსანს – ბუხაიძე. შექმნილია იალბუზის სასოფლო საბჭო ცენტრით იალბუზი.

1951 წლის 2 იანვარს ზემო სვანეთის რაიონული საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო უბნების შექმნის დადგენილებაში საარჩევნო უბნების ჩამონათვალში მითითებულია იალბუზის სასოფლო საბჭო: იალბუზის საარჩევნო უბანი. ცენტრი სოფელი იალბუზი. დასახლებული ადგილები: იალბუზი, ბუხაიძე, თამარიანი, ფიჭვნარი. საზღვრები: აღმოსავლეთით ადელსუსა და ქერდიკის მდინარეები, დასავლეთით უღელტეხილი-ჭიპერაბაუ, ჩრდილოეთით მდინარე მალკა, სამხრეთით კავკასიონის ქედი. ამავე-იალბუზის საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო: აფრასიძე ესტატე აფრაის ძე; მოადგილე: ქოჩიანი ივაკ ზაქარიას ძე;

კომისიის მდივანი: ქოჩიანი ინდიკო ფილიპეს ძე;

კომისიის წევრები: გიგანი ვედოკია საბას ასული; კვიციანი დონია ამიბის ასული; ნავერიანი ფიფი სეფეს ასული; სუბელიანი კატო მურზას ასული; უშხვანი ნიკოლოზ აჩახმათის ძე; გურჩიანი კეფა შეხვას ძე.

დეპუტატი გახდა სპირიდონ მურზას ძე ფარჯიანი.

## 1880-იანი წლების პრესაში ბევრი საინტერესო მასალა:

სვანეთში ექიმობაში ძალიან განთქმული გვარია გვიჭიანები, რომლებიც ცხოვრობენ ლატალიის საზოგადოების სოფელ იფხში. კერძოდ 1880 იან წლებში სვანეთის პირველი ექიმი ბექმურბა გვიჭიანი. მისი თქმით: ძველის ძველად ერთი ჩვენი წინაპარი ყორეზე მჯდარა. ახლოს გველს გამოუვლია, მას ქვა დაუცია და გველი ზედ შუაზე გადაუნყვეტია. შუაზედ განყვეტილი გველის თავიანი ნახევარი ახლო ბალახში შეცოცილა, მოუგლეჯია რაღაც ბალახი, წამოუღია იქ, სადაც თავისი მეორე ნახევარი ეგდო, ბალახი განყვეტილ ადგილზე მიუტკვებებია, მერე აბრუნებულა და ბოლო მიუდვია ბალახისათვის. ამნაირად ეს ბალახი ორად განყვეტილი ნახევრების შუა მოუტანებია. რამდენიმე ხნის შემდეგ გველის ნაჭრები ერთმანეთს შეჭხორცებია და გამთელებული თავის გზაზე წასულა. წინაპარს ამისათვის თვალ-ყური უდევნებია და მოუძებნია ის ბალახი, რომელიც მარტო ჩვენ ვიცით და რომელიც უებარი წამალი გამოდგა ჭრილობისათვის. ჩვენ რომ ეს ბალახი სხვას გავუმჟღავნოთ, ჩვენ რილასი მაქნისი ვიქნებით. მართლა და გასაოცრად მალე და უებრად არჩენენ გვიჭიანები მძიმე ჭრილობებს ამ ბალახით. იქ, სადაც მეცნიერებით აღჭურვილი ექიმი დანას და ხერხს იხმარებს, რომ მძიმედ დაჭრილს დაშავებული მოჰკვეთოს, გვიჭიანები ამ ბალახით რამდენიმე კვირას და თვეს არჩევენ.


სვანი ექიმი დისტაქარია და არა სხვა. შიგნით ავადმყოფობისა ან არაფერი არ იცის, ან ცოტა. გადამდებ ავადმყოფობათა წამლობა ხომ თავში არავის მოუვა, რადგან სვანის აზრით, ამ გვარი სენი ღვთის მოვლენილია – ღერმეთი მეფეზმდე და ღმერთს თუ უნდა მოარჩენს ავადმყოფს, თუ არა და მოჰკლავს, წინ ვერავინ ვერ დაუდგება. იარის, ჭრილობის მოსარჩენად სვანი ექიმები ხმარობენ: ერთ ნაირ საფხეკ თეთრ ქვას, ნაძვის ფისს-ორივე ესენი ჭრილობას სწმენდენ, დალპობას უშლიან ხორცს; მარგი მუშკს-რომლის თვისება ალბათ ყველას ეცოდინება; კირბილას – ე.ი. ბალახების ფოთლებს, რომელთაც გახმობის შემდეგ ფშხვნიან და ფქვილად გადაქცეულს წყლულზე აყრიან. კირბილი სამნაირი იციან: ერთი ჭრილობას, წყლულებსა სწმენდს, ასუფთავებს. მეორე ამრობს და მესამე არჩენს; ჭილს, ე. ი. სხვადასხვა ბალახების ძირებს. იციან ხუთნაირი ჭილი: ერთს ხმარობენ მაშინ, როცა ტანზე ნატკენ ადგილი დაუშინფდება და ბალღამი დაინყებს დენას. მეორე ნაირი ჭელია მაგალითად წამთერ ძირ ამნიფებს გასიებულ ადგილს. მესამე ბალღამის გამოსასვლელს მილს აფართოებს და ასუფთავებს. დანარჩენი ორ ნაირი ჭელი იარას, ჭრილობას არჩენს. იციან მალამო: აიღებენ ღორისა და თხის ქონს, ფისს, წმინდა სანთელს, კვერცხის გულს. შიგ აურევენ სხვადასხვა ბალახის ფშხვნილს, ყველა ამებს ერთმანეთში მოადულებენ და აკეთებენ სვანურ მალამოს; ჭიის წამლად ხმარობენ ნაშყდელის ბალახის ძირს. ეს წამალი ავადმყოფს ასაქმებს წინ და უკან; ნალრძობისა და გატეხილ უებარ წამლად მიაჩნიათ მეღვინი-ს ძირი ესეც ბალახია. ამ ბალახის ძირს ამოაძრობენ რა მიწიდან, გაფხევენ, ნაფხეკს ჭინჭზე წააცხებენ და მიადებენ მოღრძობილ-მოტეხილ ადგილს. ეს წამალი აქრობს აგრეთვე სიმსივნეს; ამასვე ხმარობენ გულის ტკივილის დროს სასმელად. ამასაც ფურშუკსავით აკეთებენ; იციან ხავინიც. იარის პირის შესაკრავად ხმარობენ საქონლის ძარღვების ნაფხეკს; თავის ძვლების შესამთელებლად ხმარობენ სპილენძის ნაფხეკს, ბალახებში გარეულს; სვანის ექიმებმა იციან ნალველების ხმარება წამლად; იციან სისხლის გაღებაც. ყველა ბალახებს, რომლების ფოთლებს, ან ძირებს წამლად ხმარობენ ექიმები, ჰკრეფენ 15 აგვისტომდე ე. ი. სანამ ნორჩი არის. სვანების ექიმები კარგად არჩევენ დურბელს, სიქაჩლეს და მჭამელასა. არიან ექიმები, რომლებიც ცვენების მორჩენასაც ხელსა ჰკიდებენ. მაგალითად მულახის საზოგადოებაში ექიმი სორეხ დაღვანი არჩენს. ექიმები და ამათგან მორჩენილებიც გვარწმუნებენ, რომ ეს სწეულება წამდვილად ჰრჩებაო.

ექიმის გასამჭელო ცოტა იციან: პირველ მონვევაზე ექიმს ეძლევა ერთი ლექვრაში – 1 მან ღირებულება, რომელსაც ხეჭკს ეძახიან. ექიმი ავადმყოფთან უნდა იყოს და ამის ხარჯზე უნდა ცხოვრობდეს; თუ ისე მოხდა, რომ ავადმყოფი ექიმისას უნდა ცხოვრობდეს, მაშინ ის იღებს თავისი ავადმყოფის როჭკს. ექიმს ეძლევა მსუბუქი ჭრილობისათვის 3-8 მანეთამდე; ხანჭლით დაჭრილისაგან, თუ ძვლებამდე არ არის ჭრილობა დასული – 10 მან; თოფით დაჭრილისაგან, თუ ტყვია სხეულშია გასული, ერთი ხარი; დურბლისა და მჭამელას მორჩენაში – 60 მანეთამდე. მორჩენის შემდეგ ექიმს საჩუქარი უნდა მიერთვას და რა საჩუქარი იქნება კაცზეა დამოკიდებული. თუ ჭრილობა ისევე განუახლდა, ექიმმა უსასყიდლოდ უნდა უექიმოს. ექიმს ხალხში დიდი პატივი აქვს და ყველასია. თუ მოსისხლე მტერმა მიიწვია, უარს ვერ ეტყვის ექიმი. „აქიმ, ჰაპ ი მუშვიდ ჩიმიმ ლი“ – ექიმი, ჰაპი და მჭედელი ყველასიაო – ამბობს ხალხი.

*გაგრძელება იქნება*



## ეკონომიკა



ვალერი მოსიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ  
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი

ნინო გრიგალაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი



### კომერციული ბანკების მდგრადობაზე მოქმედი ბიზნესი – მოდელის ანალიზი და შეფასება

**ანოტაცია:** საბანკო სისტემის სტაბილურობა ეროვნულ ეკონომიკაში გადანაწილების ფუნქციის რეალიზაციის ეფექტიანობას და აქედან გამომდინარე, მთლიანობაში ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობასაც განსაზღვრავს. ეკონომიკის დაჩქარებული ციკლურობა და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისებისადმი მაღალი

მიდრევილება კომერციული ბანკებისაგან ბიზნეს-დაგეგმვისადმი და მიზანსაჭიროებისადმი უფრო პასუხისმგებელ მიდგომას საჭიროებს. განვითარების სტრატეგიისა და ბიზნეს-მოდელის დამუშავებადობისა და ადეკვატურობის ხარისხზე, რომელიც მისი რეალიზაციის მექანიზმს ემსახურება, საკრედიტო ორგანიზაციის მდგრადობაა დამოკიდებული. უკანასკნელ პერიოდში ნათელი გახდა, რომ მხოოდ და მხოლოდ მარეგულაციის პრუდენციული ნორმატივების დაცვა საბანკო ბიზნესის ეფექტიანი არსებობისა და განვითარებისათვის საკმარის პირობას არ წარმოაგენს, და ისეთი მოდელის ფორმირებაა საჭირო, რომელიც შემოსავლიანობასა და მიღებად რისკს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მოძიების შემძლე იქნება. ამასთან ბიზნეს-პროფილი სწრაფად ცვალებადი რეალიზებისადმი მაღალი მოქნილობითა და ადაპტიურობით უნდა განსხვავდებოდეს. ის კომერციული ბანკები, რომლებიც ბიზნესის გაძლოლის ოპტიმალურ სტრუქტურას ფლობენ ან მის მოძიებას შეძლებენ დარჩებიან საბანკო ბაზარზე, დანარჩენები კი იძულებულნი იქნებიან გახდებიან შეაჩერონ საქმიანობა.

მოცემულ სტატიაში საბანკო ბიზნეს-მოდელის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებია განხილული, რომლებიც როგორც მარეგულირებლების, ასევე კერძო პროფესიონალური თანამეგობრობის მიერაც გამოიყენებიან. მოცემული მეთოდის ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ფინანსური კოეფიციენტების შეფასებაზე, როგორებიცაა: აქტივების ხარისხი, ლიკვიდობა, საკუთარი სახსრების საკმარისობა, ფინანსური შდები, ამასთან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა: საკრედიტო, სავალუტო, საფონდო და ა.შ. საბანკო რისკების შეფასებას. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოსაზრებით, განხილვადი მიდგომები ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რომლებიც ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. შეთავაზებულია არსებული მეთოდები შესებული იქნას არაფინანსური მაჩვენებლების შეფასებით, ისეთებით როგორცაა: საქმიანი რეპუტაციის, კორპორატიული მართვის ხარისხის, ინფორმაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარისხის და ა.შ. შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნეს-მოდელი; კომერციული ბანკი; შეფასების კრიტერიები; სტრატეგია; მარეგულირებელი; ანალიზი; რეიტინგი; ფინანსური მაჩვენებლები; კორპორატიული მართვა.

**Key words:** business model; commercial bank; evaluation criteria; strategy; regulator; analysis; rating; financial indicators; corporate governance.

საბანკო სისტემის მდგრადობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელი რამდენად იქნება ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი. კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელის შეფასება განხორციელებული უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, მათი მდგრადობის თვალსაზრისიდან როგორც ფინანსური მდგომარეობის ეფექტიანობისა და სტაბილურობის საკვანძო დახასიათებიდან, ანუ ფინანსური რესურსების ისეთი მდგომარეობიდან გამომდინარე, რომლის დროსაც ბანკი თავისუფალი ფულადი რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით, საკუთარი საქმიანობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით, თავისი ფუნქციონირების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფას



შედლებს (2). აღნიშნულთან დაკავშირებით საბანკო საქმიანობის მოდელის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია, რომლებიც ბიზნეს-მოდელის ნაკლოვანებების გამოვლენისა და აღმოფხვრის შესაძლებლობას და ამით კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის დანაკარგების რისკის მინიმიზირების შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება საბანკო ბიზნეს-მოდელის შეფასების კრიტერიუმებს უნდა აღინიშნოს, რომ ბაზელის კომიტეტმა საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში 2015 წლის ივლისში გამოუშვა განახლებული დოკუმენტი სახელწოდებით „სახელმძღვანელო პრინციპები სუსტი ბანკების გამოსავლენად და მათთან მუშაობის შესახებ“. საკვანძო ცვლილებები (აღნიშნული დოკუმენტის 2002 წლის საწყის ვერსიასთან შედარებით) საბანკო ზედამხედველობის სრულყოფის საკითხებს, კერძოდ ბიზნეს-მოდელის შეფასებას ეხებოდა. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით შეიძლება ბანკების არასიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-მოდელები იქნას გამოვლენილი, ასევე მითითებულია, რომ სწორედ მაღალრისკიან და/ან არაეფექტურ ბიზნეს-მოდელებს ბანკების ფინანსური მდგრადობის დაკარგვამდე და ლიცენზიების გამოთხოვამდე მივყავართ. ასე, მაგალითად, ბანკის ბიზნეს-მოდელი შეიძლება არაეფექტური იყოს, თუ იგი ხასიათდება (1):


- ამაღლებული დამოკიდებულებით ბიზნესის დაფინანსების სტრუქტურის შეუსაბამო მიზნებისა და ამოცანებისაგან;
- ზემომიერი კონცენტრაციით დაფინანსების, შემოსავლისა და/ან რისკის განსაზღვრულ წყაროზე;
- შემოსავლების ასიმეტრიულობით და ვალატიულობით, რომლებიც მოკლე ვადის განმავლობაში მათ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით არის განპირობებული;
- არარეალისტური სტრატეგიული ორიენტირებით (მაგალითად, ზრდის შესაძლებლობების, საკვანძო ეკონომიკური მაჩვენებლების და ბაზრის ტენდენციების ცვლილებების ზედმეტი ოპტიმიზმით), რასაც ხშირად საკვანძო გადანყვეტილებებში შეცდომებისაკენ მივყავართ;
- რთულ ტექნოლოგიებში მასშტაბური ინვესტიციებით კონტროლის, ზედამხედველობის ან აღნიშნული ბაზრის ბუნების გაგების გარეშე<sup>14</sup>.

**ევროპულმა საბანკო ორგანიზაციამ (European Banking Authority) დოკუმენტში** „სახელმძღვანელო პრინციპები კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და შეფასების საერთო პროცედურებისა და მეთოდოლოგიის შესახებ“ (2014) აქცენტი გააკეთა ბიზნეს-მოდელის სიცოცხლისუნარიანობაზე და მდგრადობაზე, ასევე მარეგულირებლებს რეკომენდაცია მისცა უპირატესობა არ მიანიჭონ ბიზნესის გაძლოლის რაიმე სახის კონკრეტულ მოდელს (მაგალითად, უნოვერსალურ ბანკს საცალოების წინაშე). გარდა ამისა, მოცემულ დოკუმენტში საბანკო ბიზნეს-მოდელის ანალიზის დეტალური ალგორითმია აღწერილი (იხ. ნახაზი 1), რომლის თანახმად მარეგულირებელმა ორგანოებმა გონივრული მიდგომებით უნდა იხელმძღვანელონ, რომლებიც ბაზრის სეგმენტების ანალიზის შედეგებს ითვალისწინებენ, რომლებზეც სპეციალიზირდებიან ბანკები<sup>15</sup>.



<sup>14</sup> Basel Committee on Banking Supervision Guidelines for identifying and dealing with weak banks, 2015, pp. 12-24.

<sup>15</sup> Guidelines on common procedures and methodologies for the supervisory review and evaluation process (SREP)// European Banking Authority, 2014, pp. 34-41.



**ნახაზი 1. კომერციული ბანკის ბიზნეს-მოდელების შეფასების ალგორითმი**  
(წყარო: შედგენილია ავტორის მიერ)

დროითი ჰორიზონტების სახით, რომლებზეც ბიზნეს-მოდელების სიცოცხლისუნარიანობა და სტრატეგიის ადეკვატურობა ფასდება, გამოიყენება 12 თვე და 3 წლის პერიოდები. მემოთგანხილული ალგორითმის მიხედვით გაანგარიშებული შედეგების საფუძველზე საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელი და სტრატეგია ოთხდონიან შკალაზე დაფუძნებული, რომელიც ბანკის სიცოცხლისუნარიანობისათვის რისკის ხარისხს განსაზღვრავს.

**ფინანსური სტაბილურობის საბჭო (Financial Stability Board)** გთავაზობს კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასების მოცემული მეთოდის სახით უკუ სტრეს-ტესტირების გამოყენებას. მოცემული მიდგომა დეტალურადაა აღწერილი დოკუმენტში „ფინანსური მდგრადობის აღდგენა სისტემურად-მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტების: სახელმძღვანელო აღდგენის კრიტერიუმებისა და სტრესის სცენარიების მიხედვით“ (2013). უკუ სტრეს-ტესტის ძირითად განსხვავებას წარმოადგენს გარემოებებისა და რისკების განსაზღვრის შესაძლებლობა, რომელთა რეალიზაციამ შეიძლება ბანკის ბიზნეს-მოდელის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის დაკარგვამდე მიგვიყვანოს, მაშინ როდესაც ტრადიციული მეთოდი ამა თუ იმ გარემოებების წარმოქმნისას სხვადასხვა ალბათობებთან შესაძლო შედეგებს სწავლობს<sup>16</sup>.

კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასების ყველაზე უფრო პოპულარულ და ეფექტურ უცხოურ სხვა მეთოდებს შორის შეიძლება აღინიშნოს **ამერიკული სისტემა CAMELS**, რომლის რეიტინგული სისტემა თავისთავად წარმოადგენს მოდელს, რომელიც საკრედიტო ინსტიტუტების ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის აშშ-ის სამი უწყების (ფედერალური სარეზერვო სისტემის – აშშ-ის ცენტრალური ბანკის, ფინანსთა სამინისტროსი და დეპოზიტების დაზღვევის კორპორაციის) მიერ გამოიყენება. დღეისათვის მისი აგებულების ძირითადი პრინციპები გამოიყენება მრავალ საზღვარსაშორებო ორგანიზაციების სისტემებში, ევროპული და საქართველოს საზღვარსაშორებო ორგანიზაციების სისტემის ჩათვლით. მოცემული მეთოდიკა თავისთავად ანალიზირებადი კომპონენტების საწყისი ასოების შეხამებას წარმოადგენს (5):

1. **C – capital adequacy (კაპიტალის საკმარისობა) –**

<sup>16</sup> Recovery and Resolution Planning for Systemically Important Financial Institutions: Guidance on Recovery Triggers and Stress Scenarios // Financial Stability Board, 2013, pp. 7-9.

კაპიტალის საკმარისობის შეფასების პროცესი CAMELS სისტემაში კაპიტალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების გაანგარიშებაში და შეფასებაში მდგომარეობს.

**2. A – asset quality (აქტივების ხარისხი) –**

ხარისხის ანალიზისას არა მარტო ბანკის აქტივების, არამედ გარესაბაღანსო ანგარიშებზე ასახული გარიგებებისაც შეფასება ხორციელდება. აქცენტი ანალოზსას აქტივების გაუფასურების რისკებზე და ცალკეულ ობიექტებზე საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ხარისხზე კეთდება.

**3. M – management (მართვის ხარისხი) –**

ბანკის მენეჯმენტი ფასდება ბიზნეს-მოდელის მდგრადობის სხვა შემადგენელების შემდეგ, რამდენადაც ბანკის მართვის ხარისხის შესახებ შეიძლება – ბანკის ლიკვიდურობისა და შემოსავლიანობის, მისი აქტივების მდგომარეობის, კაპიტალის საკმარისობის მიხედვით ვიმსჯელოთ. ასე, მაგალითად, მენეჯმენტის წინასწარი რეიტინგული შეფასების გაანგარიშებისათვის ყველა ზემოთჩამოთვლილი კომპონენტების საშუალოშენიშნულ რეიტინგულ შეფასებას განსაზღვრავენ.

**4. E – earnings (მოგებიანობა) –**

იმისათვის რომ ბანკის მოგებიანობის დონე იქნას შეფასებული გამოიყენება რიგი მაჩვენებლები, ასევე დინამიკაში ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ანალიზი ხორციელდება.

**5. L – liquidity (ლიკვიდურობა) –**

საბანკო ბიზნეს-მოდელის მდგრადობის სხვა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ლიკვიდურობა, რომელიც ბანკის მიერ კრედიტორების წინაშე თავისი ვალდებულებების თავისდროულად და სრულად დაფარვისადმი შესაძლებლობაში გამოიხატება.

**6. S – sensitivity to risk (მგრძობიარობა რისკისადმი) –**

დასასრულს, CAMELS სისტემის შეფასებას დაქვემდებარებული ბოლო ელემენტი – მგრძობიარობა რისკებისადმი – გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა, თუ როგორ ზემოქმედებენ საბაზრო რისკები ბანკის მოგებიანობაზე და კაპიტალზე. ამასთან არა მარტო საბაზრო რისკების (პროცენტულების, სავალუტოების, ფასობრივების და სხვა) დონე, არამედ მათ მიერ მართვის სისტემაც ფასდება.

საბანკო ბიზნეს-მოდელების შეფასების კიდევ ერთ ხერხს წარმოადგენს ინგლისური სისტემა RATE, რომლის განმასხვავებელ ნიშანთვისებას საბანკო საქმიანობას თანმხლები რისკების ანალიზზე და შესაბამის პირობებში საზედამხედველო ქმედებების ეფექტიანობაზე ორიენტაცია წარმოადგენს. სტრუქტურულად მოცემული მოდელი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ბლოკებისაგან:

1. რისკის შეფასება ხორციელდება ცხრა ძირითადი მიმართულებების მიხედვით: კაპიტალი; აქტივების ხარისხი; საბაზრო რისკი; შემოსავლიანობა/რენტაბელობა; ლიკვიდობა; ბიზნესი; შიდა კონტროლი; ორგანიზაციული სტრუქტურა; მართვა (3).

რისკების შეფასების თითოეული მითითებულიმიმართულებებისაში გამოყენებით ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები და მაჩვენებლები, რომლებიც ზემოთაა აღწერილი. რისკების შეფასების თვით პროცედურაკომოციავსრამდენიმეეტაპს:

- საკვანძო ქვედანაყოფების განსაზღვრა, რომლებიც შენონვასთან და შესაბამისი რისკების მართვასთან არის დაკავშირებული;
- ბანკზე ზემოქმედების ქვეშ არებული რისკების შესახებ წინასწარი ინფორმაციების მიღება;
- რისკების პროფილის წინასწარი ანალიზის განხორციელება;
- ინსპექციის განხორციელება ადგილზე;
- რისკების პორტფელის საბოლოო ანალიზის განხორციელება.

ბოლო ეტაპზე, ინგლისის ბანკის სპეციალისტის პროფესიული მსჯელობის გათვალისწინებით საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე, თითოეული ფაქტორის მიხედვით რიცხობრივი რეიტინგის მინიჭება და ჯამური რეიტინგის გამოყვანა ხორციელდება.

2. ზედამხედველობის ინსტრუმენტები, პროგრამები და მიდგომები, რომლებიც საზედამხედველო პერიოდის განმავლობაში საზედამხედველო ფუნქციების ყველაზე ეფექტიანად რეალიზაციის, ასევე მათ განხორციელებაზე კონტროლის მიზნებით, თითოეული საკრედიტო ორგანიზაციისათვის შემუშავდება.

3. ზედამხედველობის ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება თავისთავში მოიცავს დასკვნის მომზადებას – მთლიანად საზედამხედველო პერიოდში ბანკის მუშაობის შესახებ, ძვრების შესახებ, რომლებიც საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა (4).

ასეთი სახით, რისკ-ორიენტირების მოდელი RATE კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასების ჩარჩოებში რისკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების ყოველმხრივი ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს მარეგულირებელმა ეროვნული (ცენტრალური) ბანკის სახით პრევენტიული ზედამხედველობის რეალიზაციის ჩარჩოებში კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასებისას ბიზნეს-მოდელების მდგრადობაზე განსაკუთრებული დაჟინებული ყურადღების გამახვილება დაიწყო. აღნიშნული მოდელი ნაწილობრივ არის დაფუძნებული CAMELS სისტემაზე და იგი თავისთავში მოიცავს ანალიზს და შეფასებას ყოველკვარტალურ საფუძველზე შემდეგი მაჩვენებლების: კაპიტალის; აქტივების; შემოსავლიანობის; ლიკვიდურობის; საპროცენტო რისკის; კონცენტრაციის რისკის; მართვის ხარისხის.

ამასთან მაჩვენებლებიდან თითოეული მრავალი კრიტერიუმების მიხედვით ფასდება. პარამეტრების ერთობლიობის ანალიზის შემდეგ ხორციელდება ჯამური მაჩვენებლის შეფასება, რომელიც გაანგარიშებაში ჩართული თითოეული პარამეტრის ბალურ და წონით შეფასებას ითვალისწინებს.

მიუხედავად საქართველოს ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ გამოყენებადი მიდგომის ყველა ღირსებებისა, ჩვენი მოსაზრებით, საბანკო ბიზნეს-მოდელების შეფასების მოცემული მოდელი შეიძლება ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი უფრო დაჟინებული ყურადღების ნაწილში იქნას გაფართოებული. უპირველეს ყოვლისა, ცალკე შეფასებას იმსახურებს საქმიანი რეპუტაცია როგორც თვით ბანკის, ასევე მისი აქციონერებისაც, მენეჯმენტისაც.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას დათმობილი ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) შეფასებაზე, რომელიც ბიზნეს-მოდელების მდგრადობასთან არის დაკავშირებული.

ასევე ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასებისას რისკების მართვის შეფასების გაღრმავებაა საჭირო, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრული იქნას თუ რისკ-მენეჯმენტის მიმდინარე ინფრასტრუქტურა რამდენად შეესაბამება ბანკის მიერ გამოყენებადი რისკების პროფილს. კერძოდ, შეფასება უნდა იქნას განხორციელებული რისკის ცალკეული სახეობების მიხედვით, როგორცაა: საკრედიტო, საბაზრო (სავალუტო, საფონდო, საპროცენტო), საოპერაციო და ლიკვიდურობის რისკები.

საკრედიტო რისკის შეფასების ჩარჩოებში გათვალისწინებული უნდა იქნეს საკრედიტო პორტფელის მიმდინარე ხარისხი, რომელიც რისკ-მენეჯმენტის მუშაობის შედეგიანობის და რისკების მართვის პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხის შესახებ მონიშნავს (5). ასევე ღირს კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება იქნას გამახვილებული რისკ-მენეჯმენტის რეგლამენტაციის დონეზე, საკრედიტო ისტორიის ბიუროსთან თანამშრომლობაზე, საკრედიტო კომიტეტების შემადგენლობაზე, საგირავნო პოლიტიკაზე (მათ შორის მათი დაზღვევის ნაწილში).

საბაზრო რისკებისა და ლიკვიდობის რისკის მართვის შეფასებისათვის რეკომენდირებულია შეფასებული იქნას ამა თუ იმ სახეობის რისკის მართვასთან მიმართებაში გამოყენებადი ინსტრუმენტების სიფართოვე (gap-ანალიზი, რისკის ღირებულებითი ზომიერება (var), დიურაცია, სტრეს-ტესტირება და ა.შ.), ასევე რისკ-მენეჯმენტის შესაბამისობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან.

საოპერაციო რისკების შეფასების ნაწილში ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული საოპერაციო რისკების მიხედვით მონაცემთა ბაზის გაძღოლაზე (რეგლამენტაცია, მისი გაძღოლის ვადა, პასუხისმგებლობის განაწილება), კადრების დენადობის დონეზე (ტოპ-მენეჯმენტის დონეზე შეიძლება გუნდის შიგნით კონფლიქტის შესახებ მონიშნოს), ლეგალიზაციის საპირისპიროდ გამოყენებად მეთოდებზე (ინტერნეტ-ბანკის გათიშვა, შემაკავებელი ტარიფების გამოყენება, მომსახურე კომპანიების ფაქტიური ადგილმდებარეობის სემონშება), ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალური აქტივების დაკარგვის რისკებზე (მონყობილობის, სალაროსი და სხვების დაზღვევა), მონყობილობებისა და სისტემების მწყობრიდან გამოსვლის რისკებზე (ინფორმაციების ყოველდღიური სარეზერვო კოპირების, სარეზერვო სერვერების, ელექტროენერჯის უწყვეტი წყაროს არსებობა).

კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელის შეფასების ზემოთ განხილული მეთოდების გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. შეთავაზებულია კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელის შეფასებისადმი მიდგომებისა და მექანიზმების სახით გამოყენებული იქნას როგორც რაოდენობრივი ინდიკატორები (ბალანსის, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების მონაცემები, საკვანძო ფინანსური მაჩვენებლები), ასევე ხარისხობრივი პარამეტრები (სტრატეგიისა და კონკურენტული გარემოს ანალიზი, ბანკის სიცოცხლისუნარიანობისა და საიმედობის საფუძველში ჩადებული შედარებითი უპირატესობებისა და საკვანძო დამოკიდებულებების მდგრადობის გამოკვლევა).


2. მითითებულია, რომ საბანკო ბიზნესის ასეთი ყოველმხრივი შეფასება სტრატეგიული გეგმების არარეალობის, ბიზნესის ზრდისა და რენტაბელობის ტემპების შესახებ მოლოდინის გაზრდილი ოპტიმალურობის, თვითგაჭანსაღების გეგმების ეფექტიანი რეალიზაციისათვის წინააღმდეგობების და ბიზნეს-მოდელის ცვლილების აუცილებლობის შესახებ დამადასტურებელი სხვა ფაქტორების ოპტიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Basel Committee on Banking Supervision Guidelines for identifying and dealing with weak banks, 2015;
2. Guidelines on common procedures and methodologies for the supervisory review and evaluation process (SREP)// European Banking Authority, 2014.
3. Recovery and Resolution Planning for Systemically Important Financial Institutions: Guidance on Recovery Triggers and Stress Scenarios // Financial Stability Board, 2013.
4. <https://ijsser.org/2022files/ijsser-07—203.pdf>
5. <https://dergiipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640>
6. <http://eprints.tsu.ge/1457/>
7. <https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publication/354249108-2021-CEO-Proceedings-Book-Ready-to-Publish/links/612e579438818c2eaf72d485/2021-CEO-Proceedings-Book-Ready-to-Publish.pdf#page=179>
8. <https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287>
9. <https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022-1.pdf#page=95>
10. <https://scholar.google.com/scholar?q=IMPACT+OF+REFINANCING+RATE+ON+INTERNAL+INVESTMENT+VOLUME&hl=ru&as-sdt=0,5>.



## ხელოვნება და კულტურა



თეა კანდელაკი

ქორეოგრაფი, პოეტი, ესეისტი

ფაზისის და ჯუმბერ ლეჟავას მეცნიერებათა აკადემიის წევრი

### ქველი თბილისის აივნებიანი სარკე



2022 წლის 9 ოქტომბერი იდგა ნიუ-იორკში, ეს დღე არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული სხვა დღეებისგან, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტისა. ამ დღეს „ქინგს ბორო კოლეჯი“-ს ტერიტორიაზე ქართველ ემიგრანტთათვის ყველაზე საყვარელი და სასიხარულო ღონისძიება „თბილისობა“ აღინიშნებოდა...

მეც ქართულ სამოსში გამოწყობილი მეუღლესთან და ოთხ ქალიშვილთან ერთად თბილისობაზე გავეშურე ...

თბილისობისთვის დამახასიათებელი ბარ-ზეიმით შემეგებნენ მეგობრები. ქართული სურსათ-სანოვაგით და ტრადიციული ხელოვნების ნიმუშებით დახუნძლულიყო ფერად-ფერადი დახლები, ცად აღმართული საქართველოს დროშების ფრიალს მედიდურად აყოლოდა ქართველ ემიგრანტთა გულის ძგერაც და წამიერად ყოველის გულში პატარა საქართველო ცოცხლდებოდა თავისი სილაზათით...

შორიახლოს თიხის ნაკეთობებმა მიიქცია ჩემი ყურადღება და დასათვალიერებლად მივუახლოვდი... ფშაური ფაფახის ქვემოდან, პირქუში სახით მიმხერდა ვაჟა, ვაზის ტანჯმუხ ლაბირინთში კი ვაზის ცრემლებს ამოექარგათ ქართველთა სულიერი მისიის სიმბოლო „ქართველი“ ... ქართველი ამოვიკითხე ხმამაღლა და თითქოს პირველად გამეგო ექოდ შეასკდა ჩემს სულის კედლებს და აზვირთებულ სისხლად იჩქეფა... ქართველი!!! ქართველი!... დიახ! როგორც რთველს ასევე მოსთხოვს უფალი ღმერთი საქართველოს თავის ნაყოფს და ახლოა ჟამთან...

წამიერად დატრიალდა სამყარო ჩემს თავს... აგერ ყველაზე ნაცნობი და ტკბილი, ემიგრაციაში სიზმრად მოსული ზმანება – „ძველი თბილისი“.

„...მე შენს ქუჩებს ფეხშიშველი შემოვირბენ ჩემო თბილის ქალაქო, უცხოეთის ცის ქვეშთშიც მონატრებად მოვლენილო ზღაპარო...“

ახლა კი თითქოს ყოველგვარი საზღვარი გაუფერულელებულიყო და საკუთარ სულს ვუმზერდი ძველი თბილისის აივნების მიღმა... უდიდესი ენერგეტიკა იგრძნობოდა ხელოვნების ამ საოცარი ქმნილებებიდან, ცოცხლდებოდნენ და სულის სიღრმეებში გახედებდნენ, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფდა იმას, რომ „ხელოვნებაა უხილავი სული ღმერთისა“.

ვინ შექმნა ეს სილამაზე? – ვიკითხე აღფრთოვანებულმა და მეგობარმა იქვე, შორიახლოს მორიდებით მდგომ მამაკაცზე მიმითითა...

ბადრი გოგოლაძე დაიბადა ქ. თბილისში 1969 წელს. 1987 წელს ჩაირიცხა სა-



ქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმც ბავშვობიდან ხატვის სენით შეპყრობილმა ცხოვრების თანამგზავრადაც ხელოვნება აირჩია და ხატვასთან ერთად თიხის ოსტატობასაც დაეუფლა. მისი შემოქმედება თვალს იპყრობს შრეული ტექნიკით. გამომწვარი თიხა მინანქარის ზედაპირით საოცარ ელფერს სძენს მის ნამუშევრებს. ბადრი გოგოლაძის მიერ მოწყობილ გამოფენებს „ბინდის ფერები“, რომელიც გაიმართა თბილისში და „წინაპართა აჩრდილი“ შვეიცარიაში, ქალაქ ციურისში, არა ერთხელ აღუფრთოვანებია მნახველი. არც ნიუ-იორკი დაუტოვია გულგრილი მის მიერ გაცოცხლებულ ძველი თბილისის აივნებიან სარკვეს...

ბადრი გოგოლაძე მეუღლესთან ერთად



**ძველი თბილისის აივნებიანი სარკე**  
(ბადრი გოგოლაძის ნამუშევრები ნიუ-იორკის თბილისობაზე)

მე დღეს საქართველოს სულში ჩავიხედე  
ძველი აივნების მიღმა...  
სისხლმა გული ისე საოცრად ამიძგერა  
ვით მტკვარს აყოლილმა ტივმა...  
ცხრა მთის და ზღვის გაღმა აჩრდილებს მივეფერე  
ახლა ქუჩებში რომ ძრწიან,  
ფეხით ამერიკის მიწას ვეხები და  
სულით ჩემს სამშობლოს მზიანს...  
ფიროსმანს გაეშალა ფერადი პალიტრა და  
მეტეხთან შედევრებს ქმნიდა  
სარკის ანარეკლი ჩემს თვალწინ წარსულის  
საოცარ მოგონებებს ცრიდა

აგერ ვაჟას მზერას წავანყდი უეცრად  
ფიქრ-ნარევ თვალების მიღმა  
სმენას ექო მისწვდა “სტუმარ –მასპინძლისა”  
ვხედავ ფარ-ხმალს, ჩოხის ფრიალს...  
ვინ ვარ და სად დავალ – ღმერთო საოცარო  
ამ ტვირთს ან როდემდე ვზიდავ  
სადაც ნახევარი ცხოვრება გავლიე და  
მანაც – ემიგრანტი მქვია!...  
ვცდილობ სარკის მიღმა სულში ჩავიხედო  
იქ, სადაც შვლის ნუკრები ხტიან...  
იქ, სადაც სიოც ჩემი სულის სალბუნია...  
იქ, სადაც კვლავ “ქა-რთველი” მქვია!..

**თეა კანდელაკი**  
9 ოქტომბერი 2022

აშშ

თბილისობა ნიუ-იორკში

ბადრო გოგოლაძე ამ ჟამად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში მეუღლესთან ერთად და ნიუ-იორკში განაგრძობს მოღვაწეობას, რომელიც მალე ახალი გამოთვენით წარსდგება საზოგადოების წინაშე.

წარმატებები მინდა ვუსურვო ამ დიდ შემოქმედს ხელოვნების ულამაზეს ლაბირინთთან გზაზე.

10/31/2022

ბრუკლინი, ნიუ-იორკი, აშშ





# წორჩი ათინათილები



## გიორგი ქენქაძე

## მამა და შვილი



მამას ბევრი საქმე ჰქონდა და თავის პატარა ბიჭს თედოს დახმარება სთხოვა.

შვილო, წამოდი დამეხმარე ხეხილის ნერგები დავრგოთ. შვილმა უთხრა: მამი, დაგეხმარები, მაგრამ მე რომ ნერგის დარგვა არ ვიცი?

– არა, უშავს, წავიდეთ შვილო, მე გასწავლი როგორ უნდა დარგო.

მამამ ნერგები და წყალი აიღო, თედოს კი სთხოვა ბარი წამომიღეო და გაუდგინე გზას.

მამამ ნერგების დარგვა დაიწყო და თედოს უთხრა:

– თედო, შვილო, მოდი მიყურე და შენც ისევე გააკეთე როგორც მეო.

თედო იდგა და მამას უყურებდა, როგორ რგავდა, რამდენიმე ნერგის დარგვის შემდეგ თედომ უთხრა:

– მამი, ახლა მე ვცდიო და დაიწყო დარგვა. ისე კობხად და ლამაზად რგავდა ნერგებს, მამის დახმარება არ დასჭირვებია.

მამა სიამოვნებით შეჰყურებდა შვილს, უხაროდა რომ კარგი შვილი ეხერხებოდა.

ერთი დარიგება მინდა მოგცე შვილო, დაიმახსოვრე, კაცს მხოლოდ თავისი საქმე გამოაჩენსო.

## ზარმაცხი ივანე

ერთ სოფელში ზარმაცი კაცი, სახელად ივანე ცხოვრობდა. როცა სოფელში ყველა სხვადასხვა სამუშაოთი იყო დაკავშირებული და შრომობდნენ, ივანე დროს კოტრიალ ნებივრობაში ატარებდა.. მეზობლები შესძახებდნენ:

– ივანე! მთელი სოფელი მუშაობს, შენ სახლში რას უზიხარ?! წამოდი შენც იმუშავო. ივანეს გაეცინებოდა, მოცლილები ხართ, ამ პაპანაქება სიცხეში მუშაობა ვის გაუგია, ვერა ხედავთ, იწვის ქვეყანა, სამუშაოდ მე სალამოს გამოვალო. სალამოთი გაუჩინარდებოდა, არსად სჩანდა. ასე გადიოდა დღეები. შემდეგ კარდაკარ დადიოდა და ლუკმა პურს თხოულობდა, დამეხმარეთ მშია, არაფერი გამაჩნიაო.

– მეზობლები დასცინოდნენ, ერთი შეხედეთ ზარმაც ივანეს, როგორ დანაწალებს, მთელი ზაფხული უქმად გაატარა, დაბამთრდა და საჭმელს თხოულობს. როგორც დაინახავდნენ სახლისაკენ მიმავალს კარებს უკეტავდნენ.

ერთ ერთ მეზობელს ძალიან შეეცოდა ივანე და უთხრა:

– რა თქმა უნდა, დაგეხმარები, საჭმელს მოგცემ, მაგრამ როცა ჩვენ ვშრომობდით, შენ სახლში კოტრიალ ნებივრობდი, სიცხე განუხებდა.

ივანე დააფიქრა მეზობლების ნათქვამმა სიტყვებმა, კეთილ მეზობელს მადლობა გადაუხადა და პირობა მისცა, რომ მომავალში მათთან ერთად იშრომებდა.

ივანემ ნათქვამი კაცურად შეასრულა. შრომისმოყვარე და მუყაითმა ივანემ მალე ოჯახი გააძლიერა და მასთან მიდიოდნენ ლუკმა პურის სათხოვნელად.

ასე გამოასწორა მეზობლის რჩევა-დარიგებამ უქმარა ივანე.

### ცუგა და ლომა

პატარა ცუგა ხტუნვა – ხტუნვით ქუჩას მიუყვებოდა, თან მღეროდა, თან თამაშობდა და ვერ შენიშნა ჭა, რომელიც თავდია იყო და მოულოდნელად ჩავარდა.

ამოსვლას ცდილობდა და ვერ ამოვიდა. ყვირილი დაიწყო მიშველეთო. პატარა ცუგას ხმამ ქუჩის ბოლომდე მიაღწია. ერთმა ძაღლმა, სახელად ლომამ გაიგონა ეს ხმა და გადანყვიტა დახმარებოდა. გამოიქცა, ხმას მიჰყვა, მივიდა ნახა ცუგა ჭაშია ჩავარდნილი.

– ე, ძმობილო, ეს რა დაგმართნია.

– მიშველე, ვერ დავინახე და ვეღარ ამოვდივარ. ლომამ უთხრა: ცუგა ნუ დადონდები, აუცილებლად რაიმე გზას ვიპოვი და მანდედან ამოგიყვანო.

ლომა დაფიქრდა თუ როგორ შეიძლებოდა ამოეყვანა ცუგა, იქვე ახლოს ნაგვის ბუნკერთან შენიშნა მუყაოს ცარიელი ყუთები, ნავიდა მოიტანა ერთი, ჩაუგდო ორმოში, მოიტანა რამდენიმე ყუთი და ცუგას ამხნევებდა ცოტაც და მაქედან ამოგიყვანო.

მართლაც ლომამ შეძლო დახმარება და ის ორმოდან ამოიყვანა.

ცუგა სიხარულით დახტოდა და მადლობას უხდოდა ლომას. ლომა წავიდეთ აქედან უთხრა ცუგამ. მაგრამ ლომამ უარი უთხრა. მეგობარო, ცოტა ხანს დამელოდე, დაიწყო ორმოდან ყუთების ამოღება. ყუთები რომ ამოიღო, ჭას თავსახური დააფარა, ცარიელი ყუთები კი ისევ ნაგვის ბუნკერთან დააღაგა.

ცუგა გაოცებული შესცქეროდა. მოეწონა ლომას საქციელი, მივიდა ლომასთან გადაეხვია, კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა. ხელი მაგრად ჩამჭიდე, შენს გვერდით არასდროს არაფრის შემეშინდებაო და ასე ხელჩაჭიდებულებმა დატოვეს იქაურობა და გაუდგნენ გზას.



### შვლის ნუკრი და გოგონა

გამათხულის მზიან დღეს შველს ნუკრი წყალზე მიჰყავდა, პატარა ნუკრი დედას კუნტრუპით მიჰყვებოდა. მდინარეს რომ მიუახლოვდნენ, დაინახა მდინარის პირზე მასავით პატარა გოგონა იჯდა და რაღაცას ჭამდა. შორიასხლოს გაჩერდა და ფიქრობდა, ეჰ, ძალიან მშია, მივალ, იქნებ ცოტა მაჭამოსო და ასეც მოიქცა.

მიუახლოვდა გოგონას და მიესალმა. – გოგონა! იქნებ ცოტა საჭმელი მაჭამო, ძალიან მშია. გოგონა მოეფერა და თავისი პატარა ხელებით აჭამა. შვლის ნუკრმა მადლობა გადაუხადა.

– გზა აგებნა? ჰკითხა გოგონას. – არა, მე საბანაოდ გამოვედი. შენ მარტო ხარ? არა, დედაჩემი აგერ ახლოს მინდორზე ბალახობდა და მელოდებოდა.

ვარგად ხანს ისაუბრეს, შვლის ნუკრი წყალს დაეწავა. გოგონამ უთხრა: – მე ახლა უნდა წავიდე, დედა მელოდებოდა, ხვალ ისევ მოვალ და ვისაუბროთო, თან საჭმელს წამოგიღებ და ამ ადგილზე მოდიო.



იმ დღის შემდეგ ყოველდღე ერთმანეთს ხვდებოდნენ, საუბრობდნენ და საუკეთესო მეგობრები გახდნენ. დედა ნუკრი შორისან ადევნებდა თვალს და ხარობდა ასეთი მზრუნველი და ერთგული მეგობარი რომ ჰყავდა მის პატარას.

ერთ დღეს გოგონამ სთხოვა ნუკრის, ჩემთან წაგიყვან სტუმრადო. ნუკრი კუნტრუშით წავიდა დედასთან და ჰკითხა:

– დედიკო, გოგონას გავყვე თავის სახლში? დედას გაეხარდა მაგრამ შვილს უარი განუცხადა. ჩემს თვალწინ ითამაშეთ, უჩემოდ ვერსად გაგიშვებო.

მას მერე ყოველდღე მოდიოდა გოგონა და ერთად თამაშობდნენ.

### მოხერხებული ჯეკა

დილა მშვიდი და მონყენილი იყო. არემარეს წვიმის წვეთები წვრილი მარგალიტებით ებნეოდა ზეციდან. ცვრიან ბალახზე ფეხი ორ ნაბიჯზე სველდებოდა. – ჯეკ, ჯეკ, შემზარავი ყვირილი გაისმა, ყვირილს ტირილის ხმა მოჰყვა.

– სადა ხარ შვილო! სად დამეკარგე? მთელი ეზო შემოვირბინე, მეზობლები ფეხზე დავაყენე, შენი ასავალ-დასავალუ ვერ გავიგე, არსად ჩანხარ. ღმერთო! ღმერთო! რა დღეში ჩავვარდი, ლამის გული გამისკდეს ნერვიულობით.

ეზოში ყველა ფეხზე დადგა, პატარა წინილები დაწინივებდნენ ეზოში და თბილ ქურქში გახვეულ ჯეკას დაეძებდნენ. წინილები ცუდ ამინდში ჯეკას ეხუტებოდნენ და მისი თბილი ქურქით თბებოდნენ.

მოულოდნელად სიცილ-ხარხარით შემოვიდა ჯეკა ეზოში. კიჟინი და სიცილ-ხარხარი ატყდა.

– ჯეკ, ბიჭი ხარ, ყვავილების გვირგვინი რატომ დაგიდგია თავზე? დედა ახლოს მივიდა. – ჯეკ, როგორ მოიფიქრე? როგორ გიხდებააა. შენ ხომ ბიჭი ხარ! ჯეკი ჩაფიქრდა, აღარ იცოდა რა ექნა.

– დედიკო, შენ მოგიტანე, დღეს ხომ შენი დაბადების დღეა.

– ჯეკ! ჯეკ! რა კარგი ბიჭი ხარ! ყოჩაღ შეძახილი არ ცხრებოდა ეზოში აქეთ – იქიდან.


"ხერხი სჭობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა".





Ե յ Շ ա Ի ի ծ ա ժ ց ց





## მილოცვა



გულნამ ხარაიშვილი (ცისკარელი)



### გიყოფთ

ვისთვის ვარდებია სათაყვანო,  
ვისთვის ნიაფი რომ გასუსულა,  
მე კი დარდი უნდა გადვყარო,  
გარეჯს მიმიზეზი ამოსულა.

ტოტი მორთმეული წმინდა ბერის,  
წარიგ ძვინთვისა სახუკვარო,  
ჩემი სულისაა შესაფერი,  
ქანი არ მინდა რომ მიეკაროს.

ყველა თქვენი იყოს ყვავილები,  
მინდვრის იეზი და ეიფელიც,  
ესაა ჩემი დილილმეზი,  
აქაა სულის ასაფრენი.

ახლა სუამზე ვზივარ პოეტესა,  
ხედავთ მართოდ ვარ და არვის ველი,  
სჯობდა სული მთეზში მომეწყემსა,  
იქნებ შემხებოდა უფლის ხელი.

არ ვარ წუწუნა და შურიანი,  
და არც მითელია მთა და ბანი,  
დედა უნდა იყოს გულიანი,  
წმინდად რომ შეალოს უფლის კარი.

მამა ნეოფიტეს სანახსოვროდ,  
ტოტებს ცივ ნიაფს არ მივაკარებ,  
გიყოფთ, თქვენიც იყოს სანახევროდ,  
თუ თქვენც გამოაღებთ უფლის კარებს!





იონე, ნენე და დანიელ ლობჯანიძეები  
გილოცავთ ახალ წელს





*Հոգևոր Գարուն  
2023 Վերածնունդ!*



*Վերածնունդ*



## სარჩევო

გულნაზ ხარაიშვილი.....	2
*** გული შენი რწმენით ცოცხლობს	
ხატმწერები: ხატია და გიორგი ლარიაშვილები	
დაბა წყნეთის, წმინდა გიორგის	
სახელობის მერვე საუკუნის მონასტერი	
„ნათლისღება“ .....	3
„შობა“ .....	4
წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი .....	5
<b>გულნაზ ხარაიშვილი</b>	
მამა გაბრიელი .....	6
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს	
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II .....	7
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) .....	8
შევქმენ აურნალი .....	9

## ჭ გ უ ფ ი ბ ლ ვ ა რ ი

სერგი ლომაძე .....	10
კახა ბაცივაძე .....	12
გიორგი ზუხბაია .....	13

## ჰ ო ე ბ ი ა

ირაკლი ნადარეიშვილი.....	16
ეთერ ჭელიძე .....	21
თენგიზ ფანცულაია .....	24
ნაირა უგულავა (ნია გორდელი).....	28
ამირან ამირანაშვილი .....	30
ლამბირა შეყილაძე.....	33
ბერდიაკონი ნეოფიტე-გარეჯი .....	34
მირზა ვარძიკელაშვილი .....	36
ლიანა კაკუბაძე.....	39
ადეიშვილი კობა .....	40
თემურ გოგსაძე.....	42
მანანა სამყურაშვილი .....	46
ცაგო აბაშაძე .....	50
გაგა გომართელი .....	52
გიორგი ხათაშვილი .....	53
მათე არაგველი .....	54
გიორგი თუშიშვილი .....	55
ნელი საგინაძე .....	56
ხათუნა ჩიტაძე.....	60
ირინოლა ტყეშელაშვილი .....	62
ეკატერინე ნადირაშვილი .....	64
გიგი თეთრაძე .....	65
ლალი სოხაძე .....	66
ირაკლი ნადარეიშვილი.....	68
ეთერ ჭელიძე .....	69
თენგიზ ფანცულაია .....	69
ევლალაია.....	70
გივი სიხარულიძე .....	71
თინათინ ხაზურზანიანი .....	72
აბა შანავა .....	74
დალი მანცაძე.....	76
მარი უღენტი.....	80

ლია შენგელიძე.....	81
ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე .....	82
დავით ძნელაძე .....	86
ირმა იმერელი .....	89
მაგული კორძაია .....	90
მალვინა ჭელიძე .....	92
მაკა ახობაძე .....	94
დავით სხირტლაძე .....	95
ლელია ვადაჭკორია .....	96
თამარ ფიცხელაური.....	98
ლია კუპატაძე .....	100
მარეხი რიკაძე .....	102
ნათია ასათიანი .....	104
ნინო როსტიაშვილი .....	106
თამრო სვანი-ნიჟარაძე .....	108
იზა შუბითიძე .....	112
მაია ხარაიშვილი .....	114
ზაზა მედელაშვილი .....	116
მარინა იმნაიშვილი .....	118
ნანა ჭანკვეტაძე .....	119
ნინო უძილაური .....	120
მარი კუბლაშვილი.....	122
მაგდა გორგიძე.....	126
მადონა ვისკვიძე-ქორიძე .....	130
ეკა ქვრივიშვილი .....	134
შორენა ჩხიკვიშვილი.....	136
მზია გომართელი .....	138
შორენა ლამბაშიძე .....	140
ნანა დარჩიაშვილი .....	142
ნანა გიგუაშვილი .....	144
ლიანა ალადაშვილი .....	148
იზა ჭიკაიძე .....	152
მზია ელიაძე.....	154
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე .....	155
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი).....	156

## არდავიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი).....	165
მეჟან ხარაიშვილი .....	166
ავთანდილ უღერია	
მერაბ მელუა .....	167
გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)	
ყვითელი ფურცლები.....	168
ბართოლომეო .....	172

## პ რ ო ბ ა

რევამ მიშველაძე	
წამება .....	174
გარი ჩაფიძე	
სიყვარულის ლაბირინთი .....	182
ირაკლი ნადარეიშვილი	
ფარისეველი.....	188

წერილები საიქიოდან.....191  
წყალკამკამობა.....196

**მაკა დიდებულიძე**  
სიყვარულია თავად უფალი“ .....200

**გივი სიხარულიძე**  
დამრაცხებული სიძულვილი .....202

**კლარა გელაშვილი**  
"ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!..." .....204  
ახალი სიცოცხლე .....205

**ირმა კვეციანი**  
ფ ა ნ ჯ ა რ ა .....206  
გიორგობის თვე გარეჯში.....210

**ციცი გურიელი**  
საავთვალე ავგარობი .....216

**მაკა მიდლოძე**  
აუცილებლად წასაკითხი .....219

**მზია ელიაძე**  
ბგერათ კორინტელში.....221

**მარინა იმნაიშვილი**  
დაგვიბრუნე.....222

**ირმა ტყემალაძე**.....223

**ნელი საგინაძე**.....223  
სახლის კურთხევა .....224

**გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)**  
ვწერ სიმაართლეს .....227  
ილოცეთ ჩემზე.....229  
მამიდას სიხარული .....230  
ფრთხილადმსხვერუელი დედა ჩიტი.....230  
გზამკლევნი .....231  
როდის იყო დედა შვილებს  
უბრაზდებოდა.....232  
ცრემლის წვეთებით გახარებული  
სიკეთის ხე.....232  
როცა უფალი გიყვარს.....233  
ძვირფასი ქალბატონები.....235

**შ ე რ ი ლ ე ბ ი**

**ლუარა სორდია**  
გარდასხეულებისა და  
მოგონების თეორია.....237

**ნანა სხირტლაძე**  
წოდებითი ბრუნვის ნიშნის  
გამოყენების საწყისი ასაკი  
ქართულენოვან ბავშვებში.....241

**მანანა კვატია**  
ევროპული ლიტერატურის  
კვლევის ისტორიიდან .....244

**ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე**  
წითელი პანასკევი! .....248

**გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა**

**თეა კანდელაკი**  
ნავსაყუდელი .....250

**Tea kandelaki**  
HARBOUR..... 252

**სიბრძნის სკივრი**  
**ნაირა უგულავა (ნია გორდელი)**  
გონების ზღვარზე..... 255

**ფიროსოფია, ფსიქოლოგია, დოგმატიკა**

**დათო ყანდაშვილი**  
გაიღვიძეთ ადამიანებო...  
ღწო მოვიდა ძილიდან გამოსვლისა!!!.. 259

**შემეცნებითი საცყრო**  
**ნაირა უგულავა (ნია გორდელი)**  
ბრალის თეორია ..... 262

**ს ა მ ა რ თ ა დ ი**

**ლალი ჩოდნიშვილი**  
არასრულწლოვანის საკუთრებაში  
არსებული ქონების განკარგვა ..... 265

**ქ ა რ თ უ ლ ე ბ რ ა უ ლ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ ი**

**აზრამ-პაატა იოსებაშვილი**  
ისტორიული მნიშვნელობა და  
დანაშნულება ..... 269

**ი ს ტ ო რ ი ა**

**გიორგი აღნიაშვილი**..... 272

**გოჩა ჭელიძე**  
ქალის დაწინდვა (დაკავება) და  
დანიშნა ზემო სვანეთში..... 273  
ეს დროც იყო!!! ..... 278  
1880-იანი წლების პრესაში  
ბევრი საინტერესო მასალა..... 279

**ეკონომიკა**

**ვალერი მოსიაშვილი, ნინო გრიგალაშვილი**  
კომერციული ბანკების მდგრადობაზე  
მოქმედი ბიზნესი – მოდელის  
ანალიზი და შეფასება..... 280

**ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა და კ უ ლ ტ უ რ ა**

**თეა კანდელაკი**  
ძველი თბილისის აივნებიანი სარკე ..... 286

**ნორჩი ათინათელიძე**

**გიორგი ქენქაძე** ..... 289  
**ნუცა ჩიტაძე** ..... 292

**ბილოცხა**

**გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)**  
გიყოფთ..... 295  
**რეზი ლომსაძე გილოცავთ ახალ წელს** ..... 296



## ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სიტბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით [gulnazi5@bk.ru](mailto:gulnazi5@bk.ru)

**მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.**

შემონირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „ნმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „ნმინდა გიორგი“.



**ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:  
გულნაზ ხარაიშვილი  
რედაქტორი: ნანა სხირტლაძე**

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე — ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი  
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:

თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი,  
ლალი ჩოდრიშვილი – იურისტი

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების  
რედაქტორი: თენგიზ ფანცულაია – სამართალმცოდნე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.  
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ქელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები:

ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და გულიადა სანოძე – მსახიობი.

მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი),

ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი), დავით სხირტლაძე ექიმი (პოეტი).

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

იურიდიული განყოფილების რედაქტორი ირაკლი ნადარეიშვილი – სამართალმცოდნე,  
პროფესორი (პოეტი).

რედკოლეგიის წევრები:

ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური

იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური

მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული  
ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.

ლამზირა შეყილაძე – პოეტი

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე – პოეტი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,

პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.

ტელეფონი: 593 65 79 21;

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

**gulnazi5@bk.ru**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ავლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com